თავი პირველი

„...და წყეულიმც იყავით შენც და მთელი შენი ბალაგანიც!

იმედი მაქვს, აღარასოდეს გნახავ. კმარა. ნახევარი ცხოვრება სათოჯინო თეჯირს უკან გავატარე. და, თუ ოდესმე, თუნდაც შემთხვევით, ისევ გამომეცხადები...“

გამოგეცხადები, გამოგეცხადები... ასე, ხუთ საათში, სწორედაც რომ გამოგეცხადები, ჩემო სიხარულო.

კაცმა ფრთხილად დაკეცა ფურცელი, რომელზეც სიტყვა “სათოჯინო” გადატყდა და ნაკეცზე გადაიზნიქა, ქურთუკის ჯიბეში ჩაიჩურთა და კმაყოფილად გაიღიმა: ყველაფერი კარგადაა. შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივადაა. ის გამოჯანმრთელების გზას ადგას...

მზერა პრაღის აეროპორტის იმ ნაწილს მოავლო, სადაც თვითმფრინავის დაჯდომის მოლოდინში ღამეული მგზავრები ძლივს ამოძრავებდნენ ფარფლებს, სამაგიეროდ, ბარის დახლს უკან მხურვალედ ქშენდა ყავის ურჩხული და შიშინით ანთხევდა ფინჯნებში რძიან ქაფს... კაცმა კვლავ იმ ორის, ბებიისა და მისი დაუდეგარი შვილიშვილის, ხუთიოდე წლის გოგონას, თვალიერება განაგრძო.

გარიჟრაჟი ჯერ არ დამდგარიყო, გოგონა კი უკვე მოზღვავებული ენერგიით იყო აღსავსე, რასაც მის შეფუთნულ ბებოზე ნამდვილად ვერ იტყოდით. ბავშვი ასკინკილით დახტოდა ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ფეხზე,

მუხლებით ახტებოდა სავარძელს, კვლავ იატაკზე ცურდებოდა, წრიულად ურბენდა მთელ დარბაზს და მორიგი კითხვით უბრუნდებოდა ბებიას: “ბე, თვითმფრინავები რას კუკავენ, ბენზინს?!”

ბებია შეღონებული შესძახებდა:

– ნომი! ნომი! აქ მოდი, ერთი წუთით მაინც ჩამოჯექი წყნა რად! ღმერთოოოოო!

ბოლოს მოხუცი მიწყნარდა. თვალები მიებინდა, თავი ნელ-ნელა გადაუვარდა სავარძლის საზურგისკენ, ნიკაპი დუნედ და რბილად ჩამოეშვა, დასამთქნარებლად გაღებული პირი ღიად დარჩა და ჯერ ძლივს გასაგონად, მერე კი სულ უფრო ხმამაღლა, ბუყბუყით ამოუშვა ხვრინვა.

გოგონა ბებიის პირისპირ დადგა. ორიოდე წუთს უძრავად, მტაცებლურად ადევნებდა თვალს უვერტიურის განვითარებას: რაც უფრო უკან უვარდებოდა თავი მოხუცს, მით უფრო დიდზე ეღებოდა პირი, ხვრინვის კონტრაპუნქტს თანდათან შეერია მინამღერები, ტრელები, ფორშლაგები, და სულ მალე ამ მოზეიმე ქორალმა, აეროპორტის გუგუნის წიაღში, ჭეშმარიტად პოლიფონიური სიმძლავრე შეიძინა.

გოგონა რწევა-რწევით, ფეხათრევით სულ უფრო ახლოს, ახლოს მიეპარა მოხუცს... მეზობელ სავარძელზე აძვრა და სახელურზე მუცლით დამხობილმა ნელა მიუახლოვა სახე ხვრინვის წყაროს. ბებოს პირდაპირ ღია

პირში ჩახედა და მოწიწებულ-გაუცხოებული თავზარდაცემისგან გაშეშდა: ასე იხედება ხოლმე ველური მოგუგუნე ვულკანის წიაღში...

− ნო-მი-იიი! ნუ მაიმუნობბბ... მორჩჩჩჩი ცელქობასსსსსს... აცცცცალე ბებოსსსს ძილი... იხვრინოსსსს...

გოგონა შეკრთა. ხმა მოშიშინე სტვენა ბებოს პირიდან კი არა, საიდანღაც მოდიოდა. შეშფოთებულმა მოიხედა. მის ზურგს უკან უცნაური ძია იჯდა, ინდიელს ჰგავდა: შევარდნილი ლოყები ჰქონდა, არწივისებური ცხვირი, წინ წამოწვდილი ნიკაპი, ქურთუკის საყელოზე გადმოგდებული კიკინა. განსაკუთრებულად უცნაური კი თვალები ჰქონდა: სქელი ნისლისფერი. თხელი ტუჩები მაგრად მოეკუმა და ფიქრიანი სახით ათვალიერებდა დახლს ზემოთ დამაგრებულ განრიგის ეკრანს, მარცხენა ხელის თითებით სავარძლის სახელურზე აკაკუნებდა. ხოლო იქ, სადაც მისი მარჯვენა ხელი უნდა ყოფილიყო... − ჰოი, საშინელებავ! − გველი მოძრაობდა, იკლაკნებოდა და კუდზე დგებოდა!

და თან ადამიანის ხმაზე სისინებდა!

გველი ნელა იზრდებოდა ქურთუკის მარჯვენა, იდაყვამდე აწეული სახელოდან, ბრტყელ თავს არწევდა, თვალებს ახამხამებდა და გესლს ანთხევდა...

“გველი ხელისგან გააკეთა!” − მიხვდა გოგონა, შეჰკივლა, შეხტა და გაქვავდა, ისე, რომ თან თვალი არ მოუშორებია ამ რეზინივით დრეკადი, უძვლო ხელისთვის... ღიობში,

რომელიც შუა და საჩვენებელ თითებს შორის მოექცა, მოჩანდა ცერი, რომელიც ხან მოხამხამე თვალად იქცეოდა, ხან წამიერად გამოსროლილ გესლად. და, რაც მთავარია, გველი თვითონ, თვითონ ლაპარაკობდა, – ძია ჩუმად იყო, მართლა, მართლა, ხმას არ იღებდა! – პირი მოკუმული ჰქონდა, ამერიკულ ფილმებში რომ არიან, ისეთი კუშტი ინდიელივით.

– კიდევ! – ჩახლეჩილი ხმით ბრძანა გოგონამ გველისთვის თვალმოუშორებლად.

გველი მოიმჩვარა, ხელს მოსწყდა, გადაიხსნა გრძელთითება, დიდი ხელისგული, და წამიერად, თვალისუსწრაფესად იქცა კურდღლად.

– ნომი, აბეზარა! – დაიწრიპინა კურდღელმა, თან ყურების შმაშურით ძიას ფეხიფეხზე გადადებულ, წვეტიან მუხლზე დახტოდა, – მარტო შენ კი არ იცი ასე ხტუნვა!

ამჯერად გოგონა ინდიელის მოკუმულ პირს თვალმოუშორებლად ჩააშტერდა. ჯანდაბას კურდღელი, ხმა საიდან მოდის? განა ასეთები ხდება?

– კიდევ! – ვედრებით შესძახა ბავშვმა.

ძიამ კურდღელი სავარძელქვეშ შეაგდო, ქურთუკის სახელო ჩამოისწორა და ჩვეულებრივი, ოდნავ მოგუდული ხმით ჩაილაპარაკა:

– კარგი... გეყოფა. აგერ, უკვე რეისსაც აცხადებენ, ბებო შეაღვიძე.

და, სანამ მგზავრები ლურჯ-თეთრ სამოსმოტმასნილ სტიუარდესებს შორის მიიკვლევდნენ გზას, ჩანთებს საბარგულ ყუთებში ტენიდნენ და, თავთავიანთ სავარძლებში მოკალათებულნი, ღვედებს იკრავდნენ, კისერწაწვდილი გოგონა ცდილობდა, თვალებით მოეძებნა უცნაური, კიკინიანი ინდიელი, რომლის გასაოცარ, ჯადოსნურ ხელს სხვადასხვა ენაზე შეეძლო ლაპარაკი...

ის კი ფანჯარას მიუჯდა, თხელ პლედში გაეხვია და მყისვე ჩაეძინა, – უკვე მანამდე, სანამ თვითმფრინავი სიჩქარეს აკრეფდა და აფრინდებოდა. ფრენისას მას ყოველთვის ეძინა. გველიანი და კურდღლიანი ეპიზოდი იყო მხოლოდ და მხოლოდ შესაძლებლობა, ახალი მაყურებლის წინაშე შეემოწმებინა რაღაც იდეა.

ის არასდროს აწონებდა თავს ბავშვებს და, საერთოდ, დიდად არც აქცევდა მათ ყურადღებას. ცხოვრებაში მას ერთადერთი ბავშვი უყვარდა, – ის, უკვე დიდი გოგო, რომელიც ახლა გამოჯანმრთელების გზას ადგა იერუსალიმის კლინიკაში. და იმ გოგოს სწორედ რემისიის საწყის ეტაპზე სჩვეოდა მისთვის მრისხანე და საბოლოო წერილების მოწერა.

* * *

კაცმა გაჩვეულად გაიარა ჩამომსვლელთა ხმაურიანი, ხალხმრავალი დარბაზი და გააღწია გარეთ, უხეში თეთრი ქვის სამეფოში, რომელიც მოიცავდა ყველაფერს

ყველაფერს ირგვლივ მყოფს, გარდა ცისა: კედლებს, კიბის საფეხურებს, ტროტუარებს, ბორდიურებს გაბანჯგვლულ-გალაქულტანიანი, ღონიერი პალმების გარშემო, – და ზღვისპირა ზოლის ხმაურიან მზისგულზე გავიდა.

მუდამ მოულოდნელი იყო განსაკუთრებით კი, ნესტიანი ევროპული ზეცის შემდეგ ეს მხურვალე ნათელი, თვალისმომჭრელი ცის ეს ლურჯი ნაგლეჯები, უზარმაზარი ახალი ტერმინალის ბეტონის კონსტრუქციებს შორის რომ მოჩანდა.

სამარშრუტო ტაქსების მწკრივში იერუსალიმისკენ მიმავალი პირველი მანქანის მძღოლმა რაღაც გამოსძახა და თავით იქით მიუთითა, სადაც მგზავრთა ბარგის მოლოდინში უკანა კარებმოფრიალებული თეთრი მინი-ავტობუსი იდგა. მაგრამ კაცმა მხოლოდ უხმოდ ასწია ხელი: ჯერ არა, მეგობარო.

გავიდა თუ არა ღია სივრცეში, საიდანაც მოჩანდა თვითმფრინავების კუდები, პალმების წამოფოფრილი ტოტები და დელფინისებრი ამონახტომები ავტოსტრადებზე, ქურთუკის ჯიბიდან მობილური ტელეფონი, სათვალე ბუდითურთ და უმნიშვნელოვანესი ქაღალდის ნაგლეჯი ამოიღო. არწივისებურ ცხვირზე ლითონის მრგვალი ჩარჩო რომ წამოიცვა, იერით მყისვე მიემსგავსა რომელიღაც თოჯინურ პერსონაჟს. კლავიატურაზე ფრჩხილის

კიდით აკრიფა ქაღალდზე მითითებული ნომერი და ასე, ყურთან მობილურმიბჯენილი, გაქვავდა. ნიკაპი მტაცებლურად წამოეწვდინა წინ, ღია-ნაცრისფერი, არავინ უწყის, ვისი და რისი მავედრებელი თვალები კი სადღაც, აქედან განურჩეველი სიშორისთვის მიეპყრო...

...იქით, სადაც აღმოცენდა და მტანჯველად გაცურდა ზუმერების რიგი...

ახლა ყურადღებით უნდა წაიკითხოს ფურცელზე რუსული ასოებით ჩაწერილი სასაცილო სიტყვები, არ უნდა შეეშალოს.

აჰა: აი, გაისმა ქალის კეკლუცი ხმა, გულგრილობისა და თავაზიანობის სამსახურებრივი ნაზავი.

– მოჭუტული თვალებით ბეჯითად ამოიკითხა კაცმა ფურცლიდან, –

მაგარი ენაა: ბოგირ თოვა, კეშკეშ გორა, აქშა, აქშა...

ნეტავ, რას ზოზინობენ ამდენ ხანს, ღმერთო!.. როგორც იქნა, ყურმილი აიღეს.

– ბორკა, აქ ვარ... – ყრუდ ჩაილაპარაკა კაცმა: საფეთქელთან მობილური, იდაყვი განზე ბანკროტი, რომელიც უკანასკნელ შეტყობინებას ელის, ისეთს, რომლის მერეც ჩახმახს უნდა გამოჰკრას თითი... სუნთქვა შეეკრა, წამოახველა...

ექიმი დუმდა, აცდიდა. დიახ, უკმაყოფილოა ექიმი გორელიკი, უკმაყოფილოა. აფრთხილებდა კიდეც... წადი შენი!..

– ცოტა ადრეა, – ჩაიბურდღუნა ტკივილამდე ნაცნობმა ხმამ.

– აღარ შემიძლია, – უპასუხა კაცმა, – აღარ.

ორივე გაჩუმდა. ექიმმა ამოიოხრა და რაღაცნაირად, ფიქრიანად გაუმეორა:

– ცოტა ად-რე-ა... – და დაფაცურდა: – კარგი. ახლა რას ვლაპარაკობთ... ჩემთან მიდი, გასაღები ისევ იქაა. საჭმელი, რასაც ნახავ, ჭამე. საღამოსკენ მოვალ და ყველაფერი გავიაზრ...

– არა! – გაღიზიანებულად შეაწყვეტინა კაცმა, – ახლავე უნდა მოვაკითხო!

ყოველ ორ-სამ ნაბიჯში გული ღალატობდა, თითქოს სიცარიელეში მიაბიჯებდა, ვარაუდზე, ორივე საფეთქელზე კი რაღაც აწვებოდა.

– გამოსაწერად მოამზადე, გთხოვ!

... მკვეთრ მოსახვევში სამარშრუტო ტაქსი ოდნავ გადაიხარა, ორი-სამი წამით შემაშინებლად შეფერხდა ტყიანი ხეობის კიპარისებით დაფარულ კლდისპირზე, მერე კი ისევ აღმა, იერუსალიმის მთებისკენ აუყვა გზას. მზიან-ბურუსიანი, ცისფერი, აკვარელისებრი დღე დგებოდა. შორეულ ბორცვებზე ბლანტი, ოპალისფერი ტბა გადაღვრილიყო, რომლის მოუსვენარი მოძრაობისას ხან კრამიტით გადახურული სახურავების კასკადი შიშვლდებოდა, ხან მთის ჩამუქებული ნაძვნარიდან ფანჯრების ათინათებით ამოყვინთავდა თოჯინური,

ქათქათა სახლების წყება; ხან ორ, ჩანისლულ ფერდობს შორის მოლურჯო, კლაკნილ ჭრილობასავით გადაიხსნებოდა ხოლმე ღრმა მინდორ-ველი, და სწრაფადვე იკვრებოდა ისეთივე გრძე ლი, მარგალიტისფერი ღრუბლით...

როგორც ყოველთვის, ეს ყველაფერი კაცს სახალინის მთებს აგონებდა, რომელთა წიაღშიც, თათრის სრუტის პირას, მიყუჟულა მისი მშობლიური პატარა ქალაქი ტომარი, იაპონურად ტომარიორა.

სწორედ ეს სახელი დაარქვა მან თავის ერთ-ერთ საუკეთესო, ჯოხით სამოძრაო თოჯინას – ტომარიორა: ნაზი, ფერმკრთალი სახე, რბილი მოძრაობები, ნიღაბთან შეფარდებით მეტისმეტად გრძელი, თხელი თითები, და თავის მცირე მოძრაობისას, შუქის თამაშის ხარჯზე, შავი, წვრილი თვალების ფანტასტიკური სისხარტე...

კარგი ნომერი იყო: საკურას ქარწაღებულ ყვავილთა ვარდისფერი კვამლი;

პლასტიკური აზრის სინატიფე და სრულყოფილება...

და უცებ კაცმა გაიფიქრა: ალბათ, აქ, ამ მთებში, ახლო და შორი სივრცეების ამ ღვთაებრივ თამაშში, ამ იმედიან, საზეიმო მარადიულ ნათელში სიცოცხლე არასდროს მოგბეზრდება. ნეტავ, ლიზა თუ ხედავს თავისი პალატის ფანჯრიდან ამ მთებს, თუ მისი ფანჯარა აქაურ თეთრ ქვის კედელს გასცქერის, ან კატებიან და ნაგვის ურნებიან ეზოში გადის?

ავტოსადგურში ტაქსი იქირავა და კვლავ ბეჯითად ამოუკითხა მძღოლს მისამართი ფურცლიდან. ვერა და ვერ შეძლო ერთი სიტყვის დამახსოვრებაც კი ამ აბურდულ, უხეშ, და, იმავდროულად, ყულფებად მოსრიალე ენაზე, თუმცა კი ბორკა არწმუნებდა, რომ ეს ენა მარტივია, მათემატიკური ლოგიკითაა სავსე. ზოგადად, უცხო ენების შესწავლა არ ეხერხებოდა, ხოლო ის ფსევდო-უცხოენოვანი ფრაზები, წარმოდგენების დროს რომ გამოუფრინდებოდა ხოლმე, იყო ნაყოფი რაღაც იდუმალი, თანდაყოლილი ნიჭისა, რომელსაც ლიზა ეშმაკისეულად თვლიდა.

შესასვლელში, როგორც კი ბორისის სახელი ჩაიბურტყუნა, დაუყოვნებლად გაატარეს როგორც ჩანს, მან ასეთი განკარგულება გასცა.

შემდეგ იცდიდა კორიდორში, რომლის კედლებიც ქაფიანი შადრევნებითა და ნამიანი ფერდობებით მოეხატათ, და რომლებზეც დადებითი ემოციები მოყვითალო-მოიისფრო ზამბახების სახით აღმოცენდებოდა... კაბინეტის კარს იქიდან კი მღელვარე საუბარი მოისმოდა. ოთახში, როგორც ჩანს, ხმამაღლა, გამეტებით ჩხუბობდნენ, მაგრამ, როდესაც კარი გაიღო, იქიდან წვერგაბურძგნულ, მოყაჩაღო სახეებზე ღიმილგადაფენილი ორი თეთრხალათიანი კაცი გამოგორდა. და მან კვლავ გაიფიქრა: გაგიჟდება კაცი, რა ენაა, რა დეციბელები...

– მეგონა, ჩხუბობდით... – თქვა კაბინეტში შესვლისას.

– არა, – მიუგო ნეტარად აცრემლებულმა ექიმმა გორელიკმა და მთელი თავისი კავალერგარდული სიმაღლით წამოიმართა სავარძლიდან. – დავითი ისეთ სასაცილო ამბავს ჰყვებოდა...

მან კვლავ ჩაიფხუკუნა, შავი მელიის ბეწვივით საუცხოო წარბები შეათამაშა და ულვაშებზე ვეება ხელისგულებით შეიმშრალა კურცხალი. ბავშვობაშიც, მხიარულ ბორკას ხარხარისგან თვალებიდან და ცხვირიდან ისე ჩამოსდიოდა, როგორც ძლიერი სურდოს დროს, და ბებიამისი სასკოლო ქურთუკის ჯიბეში ერთის ნაცვლად ორ გატკიცინებულ ცხვირსახოცს უდებდა ხოლმე.

– ეგ და მაგისი ცოლი გუშინ დაბრუნდნენ შვებულებიდან, ნიცაში ისვენებდნენ. ჰოდა, შაბათ დღეს ბულვარში სასეირნოდ გასულან... მორწმუნე ხალხია, შაბათს მკაცრად იცავენ: გარეთ გასვლისას ჯიბეებიდან ფულსა და სხვა ყველაფერ საეროს იღებენ და შინ ტოვებენ, რომ ამ დღის სიწმინდე არ შებღალონ. სეირნობდნენ თურმე თავიანთთვის ზემო ნიცაში სამოთხე, სიმშვიდე, მდიდრული ვილები... მერე სძლიათ ეშმაკმა და ქვევით ჩასულან, ინგლისურ სანაპიროზე... – და ექიმს კვლავ მოეძალა მტრედის ღუღუნივით ნაზი სიცილი და კვლავ ჩამოსდინდა ცრემლები ულვაშებისკენ. ხალათის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, ჩაუსაყვირა დიდებულ

ხმაზე, თან წარბები ააყოლა დირიჟორივით.

– უჰ, მაპატიე, პეტკა, ამის გუნებაზე კი არ ხარ, მაგრამ... ძალიან სასაცილოა! მოკლედ: იქ რაღაც ხდებოდა თურმე, დემონსტრაციის თუ კარნავალის მაგვარი რაღაც ისეთი, ცეცხლოვანი! ვიღაც ნახევრად ტიტველი, ლურჯ და ყვითელპარიკიანი ადამიანები დადიოდნენ, ნაირფერდროშებიანი მანქანები. ბრბო, მუსიკა, შეძახილები... ესენი ხუთი წუთის მერე ძლივს მიხვედრილან, რომ გეიპარადია. ჰოდა, უცებ რომელიღაც მანქანის სახურავიდან რაღაც ველურმა, გაურკვეველი სქესის არსებამ ისკუპა, დავითს ეცა და ხელში რაღაც ჩაუჩურთა. ეს, გონს რომ მოეგო, დახედა და პრეზერვატივი არ არის?!.

ექიმის ვეება, ჭორფლიანი სახე დამორცხვებულ ღიმილში გალღვა:

– მაგარი სასაცილოა, ხომ გესმის: წმინდა შაბათი... და ეს ჩვენი არამიწიერი დავითი პრეზერვატივით ხელში.

– ჰო. სასაცილოა... – კაცმა ცალყბად ჩაიცინა, თან ფანჯარაში იცქირებოდა იქით, სადაც ყარაულის ჯიხურიდან წელამდე გადმოეკიდა ნარინჯისფერკეპიანი, შავად მოლაპლაპე ყმაწვილი, რომელიც მოლაპარაკე ხელთა პლასტიკით თოჯინა ბალთაზარს წააგავდა, რიგით მესამეს სამ საშობაო მოგვთაგან, ასეთსავე შავსა და ნარინჯისფერჩალმიანს. ბალთაზარს თვითონ ათამაშებდათეატრში “ანგელოზები და თოჯინები”, პრაღაში

ცხოვრების პირველ თვეებში.

მოგვი-ყარაული აღგზნებულად ელაპარაკებოდა გისოსებიანი ჭიშკრის იქით ჩამომდგარი მსუბუქი მანქანის მძღოლს და ისევ და ისევ შეუძლებელი იყო, გაგეგო ჩხუბობდნენ თუ, უბრალოდ, ახალ ამბებს უყვებოდნენ ერთმანეთს.

– ყველაფერი მოაგვარე? ახლავე მოიყვანენ?

ბორისმა ამოიოხრა და თქვა:

– დაჯექი, ტვინის ბურღო... შეგიძლია, ჩამოჯდე ხუთი წუთით?

და, როცა კაცი მორჩილად და მოუქნელად, გვერდულად დაეშვა ტყავის სავარძლის განიერ ბორტზე, ბორისი ზურგის მხრიდან დაუდგა, ხმელ-ხმელ მხრებზე ვეება ტორები შემოაჭდო და მათ სრესას მოჰყვა დუდუნით:

– იჯექი... იჯექი! ერთიანად შებოჭილი ხარ, კუნთები კი არა, ქანჩებია. შენ თვითონ ხარ უკვე გიჟი, რა ხანია... რას მოქანდი, შე ოხერო, ვინ დაგიძახა? ხომ გაგაფრთხილე? ექიმი ვარ თუ ვინ ვარ? იჯექი, ნუ მებრძვი! თორემ პოლიციას გამოვიძახებ და ვეტყვი ჩემს საკუთარ კაბინეტში მანიაკი დამესხა თავს, ჩემი კანონიერი მეუღლე მიჰყავს-მეთქი...

– მართლა, ხომ მოაგვარე ყველაფერი? – მოუთმენლად დაეკითხა კაცი და მხარზემოდან გამოხედა.

ექიმმა გორელიკმა მაგიდას შემოუარა, თავის სავარძელში ჩაჯდა. ერთი წუთით უხმოდ, უღიმილოდ შესცქეროდნენ ერთმანეთს.

– პეტრუშა... – წარმოთქვა ბოლოს მან რბილად (და ამ წამს საოცრად მოგაგონებდათ არა მამამისს, რომელსაც ძალიან ჰგავდა, არამედ ბებია ვერა ლეოპოლდოვნას, დიდ გინეკოლოგს, ქალაქ ლვოვში, შჩორსის ქუჩაზე მდებარე სამშობიარო სახლის ლეგენდას. ისიც ასე საფუძვლიანად მოკალათდებოდა ხოლმე, როცა შვილიშვილთან "განმარტებით საუბარს" იწყებდა. იყო ამაში რაღაც პროფესიული: თითქოს აი, ახლა, წუთი წუთზე გამოჩნდება ბავშვის თავი, და მხოლოდ ექიმზეა დამოკიდებული, რანაირად მოევლინება იგი სამყაროს ბუნებრივი გზით თუ მაშებით გახდება გამოსაქაჩიო).

– რა იყო, რა? პირველად ხომ არ ხდება? ყველაფერი კარგად მიდის, ლიზა ძალიან დამაჯერებლად გამოდის გამწვავებიდან...

– ვიცი! – გააწყვეტინა კაცმა და მხრები დაძაგრა. – უკვე მივიღე მისგან სამი წერილი, სამივე წყევლა-კრულვა.

– აი, ხომ ხედავ. კიდევ სამი კვირაც, ან ოთხი და... მესმის, ვეღარ ითმენ, მაგრამ გაიხსენე: ბოლო რემისია ორ წელიწადს გაუგრძელდა, ხომ სწორია? გვარიანი ვადაა...

– მისმინე, – მოუთმენლად, ბღვერით წარმოთქვა კაცმა, ისეთი სიჯიუტით, ავადმყოფობას რომ უძალიანდებიან, – მოიყვანონ დროზე, რა? ჩვენი რეისი ეილათზე დღესვეა, ორი ღამით ნომერი დავჯავშნე "გოლდენ ბიჩში".

– ოჰო! – ექიმის წარბები ოდნავ განცვიფრებულ მოწონებას ადასტურებდნენ, – “გოლდენ ბიჩი”! არც მეტი, არც ნაკლები!

– სეზონური ფასდაკლებები აქვთ და...

– კარგი, მერე რა იქნება? პრაღა?

– არა, სამარა... – და აჩქარდა: – იცი, დეიდა გარდაგვეცვალა. ლიზას ერთადერთი ნათესავი დედის მხრიდან. უშვილო იყო... უფრო სწორად, კი ჰყავდა ქალიშვილი, მაგრამ მოტოციკლით დაიმტვრა, კავალერთან ერთად, დიდი ხნის წინ... ჰოდა, ახლა ვისიაც გარდაიცვალა. ბინა დარჩა, მოკლედ. გაყიდვა შეიძლება, არა?

– ალბათ, – ბორისმა მხრები აიჩეჩა. – უკვე საერთოდ აღარ მესმის, რა შეიძლება იქ და რა არა.

– ძალიან გაგვიმართავდა ხელს...

ექიმი ტელეფონს გადასწვდა, ყურმილი აიღო და რაღაც ჩაილაპარაკა...

– იქით გადაჯექი, კუთხეში, – ბრძანა მან, – უცბად რომ ვერ დაგინახოს... – და ამოიოხრა: – მერამდენედ გავხდე ამის მოწმე!.. შეიძლება, მე თვითონ ავურიო...

მეორე სავარძელი კუთხეში, ტანსაცმლის საკიდქვეშ იდგა და შემოღებული კარი შირმად იქცეოდა მასში მჯდომარესთვის. და, თუ ექიმ გორელიკის გოლიათურ, მყუდრო საწვიმარშიც გაეხვეოდი, თოჯინასავით თუ ჩაიყუჟებოდი მასში... და დაივიწყებდი ერთხელ და სამუდამოდ რისთვის ჩამოხვედი: მას თუ დაივიწყებდი, – ო,

რამხელა სიხარული იქნებოდა, რამხელა თავისუფლება... აბა კი! ბოლო მტანჯველი კვირების განმავლობაში ხომ სწორედ აი, ამ წუთებზე ოცნებობდა: როგორ შემოიყვანენ ლიზას და თავად ჯერ კიდევ შეუმჩნეველი, სულ რაღაც ორიოდ ნაბიჯში დაინახავდა მის გულისამაჩუყებელ და თითქოსდა გაუბედავ ფიგურას.

სწორედ ამ სინაზის გამო ვერავინ, ვერასდროს ადგენდა ლიზას ასაკს.

ნაბიჯები დერეფანში... მათი ხმის მიხედვით, თითქოს ვიღაც ერთი და ზორბა მოაბიჯებს, მაგრამ არა, ნამდვილად არ შეცდება: ლიზა ბავშვობიდან ასე უჩუმრად დადის ასეთი მსუბუქი, ბელურის ნაბიჯებით მარიონეტები დაიარებიან სცენაზე.

კარი ერთბაშად მოფრიალდა, და წამით შემოჭყეტილი და, მყისვე თავის საქმეზე გაჩქარებული მედდის ხორხისმიერი მისასალმებელი ყიჟინის ფონზე, ფანჯრის კონტრაჟურში გავარვარებულ სპილენძისფრად იფეთქა ჰაეროვანი თმის ბუჩქმა: ჩემი მაყუალი შეუწუელი... მხარზე ზურგჩანთა, იგივე სამოსი, ჯინსი და თხელი ბეჟი სვიტერი, – რითიც მოიყვანა აქ აგვისტოში... – ქალი მისკენ ზურგით იდგა ზეციური მექანიკოსის უზადო ნამუშევარი, თხემით ტერფამდე გენიალური ხელის ერთი მოძრაობით ქმნილი.

როგორც ყოველი ხანგრძლივი განშორების შემდეგ, კაცი კვლავ გააოგნა ქალის გასაოცრად პატარა მეტრი და ორმოცდარვა სიმაღლემ: რა სუსტი ხარ, საყვარელო...

და მყისვე როგორც წარუშლელი, ბავშვობის დროინდელი კოშმარი, თვალმოკრული სულელი ბასიას უხეში ხელისგულსქვეშიდან, მისთვის თვალების დახუჭვას რომ ლამობდა, რათა ბიჭუნასთვის სიკვდილის სურათის დანახვა აერიდებინა, – მეხსიერებაში წამოფრიალდა ლურჯი ზეწარი, მანქანების სავალ ქვაფენილზე პირქვე დადებულ სხეულს რომ ეფარა... და გრძელი, მეწამული კულულების ორი ცოცხალი ნაკადი, თითქოსდა ჩამორჩენილი სპილენძისფერი თმის ფარას, გაზაფხულის ნაკადულივით მხიარულად რომ მოედინებოდა ტროტუარის გასწვრივ...

– აბა, გამარჯობა, ლიზა! – არაბუნებრივი ენთუზიაზმით შესძახა ექიმმა გორელიკმა, – ვხედავ, ყოჩაღად ხარ, მ-მ-მ? უზომოდ კმაყოფილი ვარ შენით...

რა სუსტი ხარ, საყვარელო... მოიხსენი ეგ ზურგჩანთა, მხარს გიმძიმებს.

ქალმა ზურგჩანთა იატაკზე ჩამოაცურა, მაგიდასთან მიიჭრა, ორივე ხელისგულით დაებჯინა მას და ხალისით ალაპარაკდა:

– ჰო, ბორია, იცი, უკვე სავსებით ჯანმრთელი ვარ. და გპირდები, რომ... იცი, ვგრძნობ, დარწმუნებულიც კი ვარ, რომ შევძლებ მარტო ცხოვრებას... შენც ხომ მითხარი, რომ

აბსოლუტურად დამოუკიდებელი აზროვნება მაქვს...

– ლიზა... – ჩაიბურდღუნა ექიმმა, რომელიც უეცრად ინტერესით ჩაუღრმავდა კომპიუტერის ეკრანს, თან ოხრავდა და ათამაშებდა წარბებს, განცალკევებით და ლაღად რომ ცხოვრობდნენ მის სახეზე (მას არასდროს ეხერხებოდა თავის მოკატუნება, ისევე, როგორც არასდროს შეეძლო საკონტროლოს გადაწერა სკოლაში) – ჩემო ლიზა, ლიზონკა...

– და სწორიც იყავი! – რაღაცნაირი, მხიარული სიჯიუტით განაგრძობდა ქალი, თან ყოველწამს, მოუსვენარი თითებით ეხებოდა მაგიდაზე მდებარე რაღაც საგნებს, – საკანცელარიო კლიპებით სავსე ბრინჯაოს ჯამს, სტეპლერს, სუვენირულ მოცეკვავე ხასიდს, ცალი მუხლი რომ წამოეწია, – ხან ერთ რიგზე გაამწკრივებდა ამ ყველაფერს, ხან კი საჩვენებელ თითს წაჰკრავდა და კვლავ დაშლიდა. – სწორი იყავი! ყველაფერი ერთბაშად უნდა დაიწყო, გზების მოჭრით! ყველაფერი ჩამოვისხიპე წინა ცხოვრებისა, უკანმოუხედავად, უშიშრად. ახლა შინაგანად თავისუფალი ვარ, მ ი ს გ ა ნ სავსებით თავისუფალი! უკვე აღარ ვარ მარიონეტი, რომელიც შეგიძლია...

და ანაზდად, დაიჭირა რა ბორისის უმწეო, მის თავს ზემოდან ოთახის შორეული კუთხისკენ მიმართული მზერა, მყისვე შემობრუნდა.

ამას მოჰყვა მგზნებარე მიწყდომ-

მოწყდომებით სავსე მიზანსცენა. ორი მამაკაცი, თითქოსდა რაღაც ნიშნის ხმაზე წამოხტა და მხოლოდ პეპლების საჭერებიღა აკლდათ ხელში, რომ დაეცხოთ წრეზე მოფარფატე პეპლისთვის.

ქალი უხმოდ დაეშვა სკამზე, სახეზე ხელისგულები აიფარა და გაქვავდა.

– ლიზა... – ექიმმა გორელიკმა, წამოჭარხლებულმა, უბედურმა, მაგიდას შემოუარა და ფრთხილად დაადო ხელები მის სპაზმით აცახცახებულ, ბავშვურ მხრებს. – შენ ხომ ჭკვიანი ხარ, და თვითონაც გესმის ყველაფერი... კარგი რა, ლიზა, გთხოვ, ასე ნუ ხარ! თვითონაც იცი, რომ ე-მ-მ... ადაპტაციის პერიოდი აუცილებელია. ყოფითი გარემოებებიც ხომ არსებობს, ლიზა! მათაც უნდა გაეწიოს ანგარიში. ადამიანი ვერ იცხოვრებს სოციუმის მიღმა, ჰაერში, არსად... შენ უკვე გამოჯანმრთელდი, ეს ნამდვილად ასეა, და... ყველაფერი კარგადაა, და ყველაფერი, დამიჯერე, არაჩვეულებრივად იქნება... მაგრამ ჯერ, შენც ხომ გესმის... შენ ხომ ჭკვიანი ხარ... პეტია მხოლოდ დროებით – ჩაუფიქრდი დრო-ე-ბით... უბრალოდ... როგორც ე-მ-მ... მხარში მდგომი მეგობარი...

კაცს, მხარში მდგომ მეგობარს, ძვლოვანი სახე ჩაჰკვდომოდა, ნეკნებქვეშ ღრმული უფეთქავდა... ცარიელი მზერით იცქირებოდა ფანჯარაში, სადაც შავი მოგვ-ყარაულის ძღვენთა მომრთმევი ხელის ბრძანებაზე ნელა იხსნებოდა ავტომატური ჭიშკრის გისოსი, და საავადმყოფოს ტერიტორიაზე ამბულანს-მანქანას ატარებდა...

კაცმა იცოდა, რომ პირველი წუთები სწორედ ასეთი იქნებოდა: ქალის შიშველი, უმწეო სიძულვილით სავსე; და კიდევ საკუთარი, როგორც არ უნდა მიუდგე, მაინც შიშველი, უმწეო ძალადობით. ყოველთვის ემზადებოდა ხოლმე ამ წყეული წუთებისთვის და მაინც არასდროს იყო მზად.

* * *

ეილათამდე მთელი გზის მანძილზე კაცი გარეგნულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, ხან მელანქოლიურად წამოუსტვენდა ხოლმე, ხან კი უმნიშვნელო კითხვებით მიმართავდა ქალს:

– ფანჯარასთან გირჩევნია თუ...

ის, რასაკვირველია, არ პასუხობდა.

ეს ნორმალურია, არწმუნებდა კაცი საკუთარ თავს, როგორც წინა ჯერზე. ეილათის იმედი ჰქონდა სინოპტიკოსები იქ ედემურად ლურჯ ცასა და ოქროსფერ მთებს პროგნოზირებდნენ, – და კიდევ სასტუმრო ეიმედებოდა, რომელშიც, მთელი იქაური სიკეთეებისთვის, თვალისმომჭრელი ოდენობის ფული გადაიხადა.

სანამ ჩაფრინდნენ, სანამ შესახლდნენ სასტუმროს მეცხრე სართულზე, ფუფუნებით გამაოგნებელ ნომერში, რომლის აივანიც ყურის ლივლივა წყალში გრძელი ათინათების რწევასა და ესოდენ ახლო აკაბას მოლურჯო-მოყვითალო ელექტრონულ ნისლს გასცქეროდა,

ჩამოღამდა კიდეც...

ქვემოთ ჩავიდნენ და ზღვიდან ორიოდ ნაბიჯში, ჩინურ რესტორანში მდუმარედ ივახშმეს, მსხვილტუჩა, კბილებდაკრეჭილ, გალაქულქერცლიან სამშვენის-დრაკონებს შორის, რომლებიც დარბაზის მთელ პერიმეტრზე გამოეფინათ.

ლიზა დიდხანს სწავლობდა მენიუს, და მერე თხუთმეტ წუთს აწვალა ოფიციანტი ჩაფსკვნილი, შესახედაობით სავსებით ჭეშმარიტი ჩინელი (უფრო, ალბათ, ტაილანდელი) – საწებლის შემადგენლობის თაობაზე. საერთოდ, ლიზა მშვენივრად ჭიკჭიკებდა ფრანგულადაც და ინგლისურადაც: ეს მამისეული მემკვიდრეობა იყო.

ბოლოს და ბოლოს, რაღაც ძნელად წარმოსათქმელი შეუკვეთა თავისთვის. კაცმა მიმქრალი თვალების თავაზიანი მზერით ჩაიბურტყუნა: “აი თუ”, რის შემდეგაც სცადა ჩანგლით დაუფლებოდა მომჟავო-მოტკბო ღეროებს, ქათმის ხორცის წიწაკამოყრილ ნაჭრებში რომ იყო არეული. კაცს ჭამის სურვილი სრულებით არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს ღამით, თვითმფრინავში ჭამა, უფრო სწორად, არაყი დალია პლასტიკატის ჭიქით. და ისიც იცოდა, რომ ჭამას ვერ შეძლებდა, სანამ...

ვახშმის შემდეგ ნავებითა და ჯიხურებით უაზროდ და მჭიდროდ ჩახერგილ სავაჭრო სანაპიროზე გაიარეს ქალი წინ მიდიოდა, კაცი უკან მიჰყვებოდა... ქარი ყოველ ნაბიჯზე

ჩამოკიდებულ შაროვარებს, მბრწყინავ შარფებსა და გრძელ ძაფებზე მოქანავე, ეშმაკურად მოწკრიალე ზანზალაკებს ემუსაიფებოდა. გადაიარეს არხზე გადებული ჰოლანდიური ხიდის ზურგი... არხის ჩამუქებულ წყალში ცეცხლოვან ზიგზაგად ირწეოდა უახლოესი სასტუმროს ნათურათა მწკრივი. ცოტა ხანს იძრომიალეს სტელაჟებს შორის წიგნის მაღაზია “სტემაცკიში”, საითაც ქალმა მოულოდნელად გაიწია (კარგი ნიშანია!), და სადაც, მხრებზე ცეცხლოვან კულულებგადმოყრილი, ათიოდე წუთს ტუჩების ცმაცუნით კითხულობდა წიგნების სათაურებს რუსული წიგნის განყოფილებაში (სამი თარო შეევსო რუსეთიდან შემოტანილი წიგნების წვრილ-წვრილ, ჭრელ ქარავანს). კაცმა მოუთმენლად ჰკითხა: “გინდა რომელიმ...” – შეცდომაა, შეცდომა! – ქალი უხმოდ შებრუნდა და გასასვლელისკენ გაემართა. კაციც თან მიჰყვა...

მოშორებით რომელიღაც გასართობი ატრაქციონის გიგანტური კოშკურა ჩაშავებული ცისკენ ტყორცნიდა ცეცხლოვან ბურთს, რომელიც გოგონათა მომხიბლავ კივილს გამოსცემდა.

ლიზა ერთთავად დუმდა, მაგრამ კაცი, რომელიც ქურდულად ათვალიერებდა ვიტრინებისა და ქუჩის ფარნების შუქით განათებულ მის ვიტრაჟულ ანგელოზისებრ პროფილს, იმედმოცემული ამჩნევდა, რომ ტუჩები ოდნავ მოსდუნებოდა და პირის

მარცხენა კუთხესთან მიყუჟული პაწია ნაიარევი სადღაც ჩამალვოდა, ნიკაპი ოდნავ მომრგვალებოდა და ხაკისფერ-სპილენძისფერი თვალებიც ცოცხლად უელავდა... და, როცა ატრაქციონს მიახლოებულებმა განათებულ ბურთში თვალი მოჰკრეს ჯარისკაცის სამოსში გამოწყობილ, ცისკენ სასაცილოდ ფეხებაშვერილ გოგოს, ქალმა ღიმილი ვერ შეიკავა, კაცისკენ მოიხედა და კაცმაც გაბედა და საპასუხოდ გაუღიმა...

ოტელში ათი საათისთვის დაბრუნდნენ და სასტუმროს ბარში რაღაც წებოვანი ლიქიორიც დალიეს (ეშმაკმა წაიღოს, რა ძვირია აქ ყველაფერი!); ბოლოს და ბოლოს, უხმაურო ლიფტის მინის ცილინდრში შევიდნენ, სწრაფად აცურდნენ ზევით და ერთიმეორის მიყოლებით ქვევით მოიტოვეს გამჭვირვალე სართულები. მერე შავ მთებზე მოცახცახე ბროლისებრად მანათობელი ღრუბლის გასწვრივ დერეფნის უსასრულო, ხალიჩაფენილ სიჩუმეს გაუყვნენ და საჭირო კარს მიაღწიეს და აი, ისიც, – ნახევრად მთვლემარე ტორშერთა წყალქვეშა ნათებაში გარინდული მათი უზარმაზარი აკვარიუმი, ზღვისებრი კედლით მთელი აივნის გასწვრივ, არაჩვეულებრივი, ქირურგიული სითეთრის სააბაზანო ოთახითურთ. ბრავო, პეტრუშკა!

სანამ ლიზა ჭყუმპალაობდა (წყლის ირიბი ჭავლის ჩურჩულ-ჩუხჩუხის, გარინდებული წვეთების ბოლო ამოოხვრისა და ბოლოს, ფენის ზუზუნის რთული პოლიფონია. წამით

ნაზი კრუტუნიც კი მოეჩვენა?.. არა, შეცდა, ნუ ჩქარობ, ეს კედლის იქით იყო ან მეზობელ აივანზე), კაცმა არქტიკასავით ქათქათა საწოლი გადაშალა, რომელზეც ვეება აისბერგებივით იდო ორი ბალიში. ტანთ გაიხადა, კიკინა დაიშალა და ჭაღარით მკვეთრად დაზოლილი სქელი შავი თმა თითებით აიბურდა, რის შემდეგაც უკვე ჭეშმარიტ ინდიელად გარდაიქმნა, მით უფრო, რომ ნახევრად შიშველმა, ძველ საბჭოურ მაისურსა და ტრუსში გამოწყობილმა, აღმოაჩინა, რომ სადღაც, უცნაურად გამქრალიყო მისი შეუხედავი სიგამხდრე, და მის ჩამოსხმულ, მტაცებლურ სხეულს მოულოდნელად განვითარებული კუნთები დაესხა.

საწოლზე ჩამომჯდარმა ზურგჩანთიდან ნახაზებითა და ჩანახატებით სავსე თავისი განუყრელი პლანშეტი ამოიღო. წამით დაფიქრდა, ღირდა თუ არა ლიზას თვალწინ ახლა ამ ყველაფრის ამოლაგება? და გადაწყვიტა: საშიში არაფერია, ლიზას ხომ არ ჰგონია, რომ პროფესია შევიცვალე? ყველაფერი ისე იყოს, როგორც ყოველთვის. ექიმმა გორელიკმა თქვა: ყველაფერი იყოს ისე, როგორც ყოველთვის. სხვათა შორის, ზურგჩანთის აურაცხელ ჯიბეებში ფანქრის ძებნისას, მილისებურად დახვეულ ხუთ ასდოლარიანს გადააწყდა, რომლის ჩაჩურთვაც ყალიბების კოლოფში ექიმს მაინც მოეხერხებინა. ოხ, ბორკა...

და გაახსენდა, როგორ ცმუკავდა ბორია, ჭიშკრამდე რომ აცილებდა მათ: კეთილი ექიმი აიბოლიტი, გოლიათი, რომელმაც არ იცის, რა ქნას... ის ზურგზე ვეება, რბილ მუშტს უბაგუნებდა პეტიას, თითქოს ბეჭებში მის გამართვას ცდილობსო, და თან, აღშფოთებული, მოსულელო ხმაზე ბუბუნებდა:

– მიჰყავთ! ჩემს კანონიერ ცოლს მტაცებენ! – და ლიზას ერთხელაც არ მიუხედავს მისკენ.

...როგორც იქნა, გამოვიდა პირსახოცის უზარმაზარ ხალათში გახვეული (თუმცა, ნებისმიერი ხალათი დიდი ექნებოდა), თეთრი ჩალმით თავზე. ხალათის კალთები ორივე ხელით წამოეკრიფა და მაინც ებიჯებოდა ზედ გამარჯობა, პატარა მუკ! – აივანზე გაფრატუნდა და დიდხანს იდგა იქ გაუნძრევლად, განიერ სახელოებში მოქცეული თხელი ხელებით მოაჯირს ისე დაყრდნობოდა, როგორც ბეჯითი მოსწავლე – მერხს. გასცქეროდა ჩაშავებული წყლის სივრცეს და იახტებისა და გემების ბაც-ძოწისფერ თანავარსკვლავედს მასზე, და ბულვარზე უდარდელად მოტორტმანე ბრბოს. იქ მხიარულება ახლა იწყებოდა.

ესენი კი, საგასტროლო გალერთა ტუსაღები, თერთმეტ საათამდე დაძინებას იყვნენ მიჩვეულნი.

ოთახში შემობრუნებული ქალი კაცის პირისპირ შეჩერდა კაცი უკვე საწოლში იწვა, წამახულ ცხვირზე უსახური, მრგვალი სათვალე წამოეცვა და პლანშეტის

ფურცელზე რაღაცას ჩხაპნიდა მონდომებულად. ქალმა თავიდან წაიძრო პირსახოცი, შინდისფრად მოვარვარე ტორშერის გახურებულ-გაგიჟებულ ხახაში ჩაუძახა და ნაწრთობი სიძულვილით წარმოთქმული ამ სიტყვებით პირველად მიმართა კაცს:

– ერთი გაბედე და მომეკარე!

სიჩუმე. კაცმა რეზინის ნამცეცები გადმოფერთხა ფურცლიდან, რომელზეც გაუმჯობესებული მამოძრავებელი ფუნქციის ძიებაში მარიონეტის იდაყვის სახსრის პრინციპულად ახალ მექანიკას ამუშავებდა, და ოდნავ დაბნეულადაც კი მიუგო:

– აბა, რას ამბობ, პატარავ... დაწექი, გაცივდები.

ორივე საფეთქელზე უწინდებურად უბრახუნებდა ორი მტანჯველი ჩაქუჩი. და მგონი, ჯანდაბა, წნევის აბები დაავიწყდა. არაფერია, არაფერია... კაცმა რომ თქვას, დღეს არც ჰქონია რამის იმედი. და საერთოდაც, ყველაფერი ისე მშვენივრადაა, ვერც კი დაიჯერებ.

ორმოციოდე წუთს კიდევ სცადა მუშაობა, და თან პირველად, მრავალი კვირის განმავლობაში, ნეტარებით გრძნობდა ხელმარცხნივ, ფუმფულა საბანში მჭიდროდ გამოხვეულ სხეულს, რომელსაც თავის ყოველი მოძრაობისას ჭავლებად ამოჩრილი თმა ცეცხლისფრად უბზინავდა, თხელი მუხლი კი გარეთ გამოეშვირა. გაცივდება, გაითოშება... გაჩუმდი! იწექი, იწექი,

პეტრუშკა, წყნარად იწექი, და ოდესმე მოგეზღვება, ბებერო იდიოტო...

ბოლოს გამომრთველს გადასწვდა რა მოხერხებულადაა მოწყობილი აქ ყველაფერი! – და ერთბაშად ჩააბნელა ოთახი, რითიც აივანს იქით მოლივლივე ყურის მოშავო-მოვერცხლისფრო ნათელი გამოაჩინა...

ბინდბუნდის მაჯისცემის ფონზე, ოტელის სიღრმიდან, საიდანღაც, ქვედა გემბანიდან სანაპიროს ხმაურში, ჭურჭლის წკარუნში, რესტორნიდან რომ მოისმოდა, და ვიღაც ქალის წამიერად ამოფრქვეულ კისკისში ნაწყვეტ-ნაწყვეტ მოედინებოდა მუსიკის პაწია ნაკადი, ძლივს რომ აღწევდა მათი აივნის ღია კარამდე.

ბაჯბაჯით გაიარ-გამოიარა კონტრაბასმა, თითქოს მავანი მსუქანა სასაცილო ბუქნებით, დაჟინებულად ცდილობს ვიღაცის გაცინებასო. მას ენისგასატეხივით სწრაფად, ქუჩის ბიჭივით გაეპასუხა ბანჯო, მსუქანა კი კვლავ იბრიცებოდა, იფუყებოდა და სასაცილო ბუქნებით რვიანებს ხაზავდა დამსწრეთა სამხიარულოდ; ბანჯო დამცინავად ისროდა აკორდების ღონიერ კონებს, და გიტარის ნაღვლიანად მოფლირტავე ხმისა და ვიოლინოს ხმამაღალი ამონაფრენების თანდართვით, ყველაფერი ერთ გულღია, ძველებურ ფოქსტროტად ერთიანდებოდა და მიიწევდა ზღვისკენ, აქედან უჩინარი იახტებისკენ...

კაცი თავქვეშ ხელებამოდებული იწვა, აყურადებდა აივანსიქითა სამყაროს, ზღვის ჩუმ, ჩანასახობრივ ჩქამებს... შინაგანად თანდათან წყნარდებოდა, თუმც კი მაინც იხანგრძლივებდა დაძაბულ, მტანჯველ ბედნიერებას... იწვა, მთვარის შუქზე ჩამოსხმული კუნთები უბზინავდა, – როგორც ყოველთვის, განცალკევებული, ეკლიანი ბუდიდან გამომძვრალი წაბლივით, – და არ განძრეულა, როცა ქალი შეინძრა და ხალათისგან თავის დაღწევა სცადა, – ვითომ, ძილში? არა, კაცს წამითაც არ ეეჭვებოდა, რომ ლიზას ეღვიძა... ის კი კვლავ შეძვრა საბანქვეშ, გადმობრუნდა შიგ, დაგროვილი სითბო შემოაფრქვია კაცს და მოულოდნელად ძალიან ახლოს აღმოჩნდა მასთან (იწექი, ნაგაზო!), – თუმც კი საწოლი იმსიგანე იყო, რომ ველოსიპედით გაისეირნებდით ზედ...

კაცს ყველა კუნთი, ყველა აზრი და ყველა ბედკრული ნე რვი ისეთ უკიდურესობამდე დაეძაბა, როცა ნეტარი, ცაში აჭრილი ყმუილით შესაძლებელია საკუთარი არსებიდან დაგროვილი ტკივილის შადრევნად ამოფრქვევა... და სწორედ ამ წამს თეძოზე ქალის გახურებული ხელისგული იგრძნო, რომელმაც, უცნაური აღმოჩენით თითქოსდა განცვიფრებულმა, განიზრახა უფრო საფუძვლიანად მოესინჯა საგნის საზღვრები...

მოვენატრე, – გაიფიქრა კაცმა, – მოვენატრე, მაგრამ შენ მაინც არ გაინძრე, ბებერო, არ გაინძრე... არ გაი... – და ვეღარ გაუძლო

წამებას, მთელი ტანით მიაწყდა ქალს, გაუბედავად შეეგება მის ხელს, თითები გადააჭდო...

და იმავე წამს ესოდენ პატარა ხელისთვის მართლაცდა გოლიათური ძალა ტკაცანით დააცხრა მის საბრალო თავს.

– არ გაბედო!!!! – დაიყვირა ქალმა, – შე თეთრთვალება ნაძირალა!!!! – და ისეთი სასოწარკვეთით, ისე საზარლად აქვითინდა, რომ მეზობლები იმჟამად სანაპიროს ბარებსა და სამიკიტნოებში რომ არ ყოფილიყვნენ მიმოფანტულნი, რომელიმე მათგანი უთუოდ გამოიძახებდა პოლიციას. რაც, სხვათა შორის, მომხდარა...

კაცი წამოხტა და, პირველ ყოვლისა, აივნის კარი მიხურა. და, სანამ ქალი გულამომჯდარად, უნუგეშოდ მოთქვამდა, მდუმარე ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში, დაბრუნების ამ გარდაუვალი ეტაპის ჩაწყნარების მოლოდინში. კაცმა რომ თქვას, ამ სცენას დღეს არ მოელოდა, მაგრამ... როგორც ჩანს, ისე მოვენატრე, ისე მოიწყინა... ჩემი საბრალო! თან ბევრი რამ დაატყდა დღეს თავს, მეტისმეტად სწრაფად შეეცვალა დეკორაცია საავადმყოფოს პალატიდან ამ სასახლეში აღმოჩნდა... იქნებ, ეს მორიგი შეცდომაა? იქნებ, რომელიმე იაფი პანსიონის მოკრძალებული ოთახის ქირაობა აჯობებდა? რატომ, რატომ ვერასდროს გრძნობ მ ი ს განწყობილებას, ძაღლიშვილო იდიოტო?!

როცა, ბოლოს და ბოლოს, საბანქვეშ შეყუჟული ქალი ჩაწყნარდა, კაცი მიეპარა, მის გვერდით ჩამოჯდა საწოლზე და დიდხანს იჯდა ასე, ჩაფიქრებული, მოკუნტული, მუხლებს შორის ხელებმომწყვდეული, ვერა და ვერ გადაეწყვიტა, დაწოლილიყო თუ არა ხერხემლით შუაზე გაყოფილი საბნის მეორე მხარეს.

ქვემოთ კვლავ უკრავდა კვარტეტი. ბიჭები კეთილსინდისიერად უბერავდნენ გვიან ღამემდე. კარგად უკრავდნენ. გემოვნებით, ახლებური მიდგომითაც კი შეედგინათ პროგრამა 30-40-იანი წლების ჯაზური კომპოზიციებით. და ჟღერდა, მაინც ჟღერდა ამ მელოდიებში თბილი, მიამიტი და სევდიანი იმედი: ცოტაც, სულ ცოტა მოთმინებაც და ყველაფერი მოგვარდება! ხვალ ყველაფერი სხვანაირად იქნება... მზე, ნიავქარი, ზღვა, ნავები... საცურაო კოსტიუმს ვიყიდით... რამე ბეჭედსაც, კიდევ რას?

უცებ, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, როცა კაცმა იფიქრა, რომ მუსიკოსებმა უკვე მიიღეს დღევანდელი დღის გასამრჯელო და განაპირა მაგიდასთან მიმსხდრები უკვე სალათებს იღებდნენ თეფშებზე აფეთქდა, გაიღიმა და სადღაც გაცურდა მშობლიური მოტივი ჯანგო რეინჰარდტის “მინორული სვინგი”, სხეულის ყოველ უჯრედში რომ ჰქონდა გამჯდარი და ჩაკირული... აბა, რა: ამ ჰანგის თანხლებით ხომ ასჯერ მაინც უცეკვია ელისთან ერთად თავისი ნომერი... ჰო-ჰო: ამ რამდენადმე რიტმული და ლაღი შესავალი ტაქტების მერე, ის ფრაკსა და ლაქის

სამეჯლისო ფეხსაცმელში გამოწყობილი ასწრებდა კულისებიდან სცენაზე გამოსხლტომას და სავარძელში მარტოსულად მჯდომი ელისის ატაცებას.

და მაშინ იწყებოდა: ვიოლინოს მარციპანული ხმისა და ბანჯოს ხმელ-ხმელი დარტყმების ფონზე შემოდის მთავარი მელოდია: ტარა-რარა-რურა-რირა-ა-ა-ა... და უმპ-უმპ-უმპ-უმპ! – ამობერავს კონტრაბასი, და სულის მოთქმამდე, ვიოლინოს გაწელილ ამონაკვნესამდე: – ჯუ-დიდუ-ჯი-ჯა-ჯუ-ჯი-ჯა-ა-ა-ა-! – ელისი მოძრაობს აი აქ, მის მარჯვენა ხელქვეშ, მეწამული კულულების ნაწილი კი ლოყაზე უღუტუნებს... ოპ! – დაგიჭირე, – ოთხი ნაბიჯი მარცხნივ, – დაგიჭირე და ოპ! – ისევ დაგიჭირე, – ოთხი ნაბიჯი მარჯვნივ, და წავედით-წავედით-წავედით, ჩემო ნამცეცა, სინქრონში: ფეხი ფეხს, მარჯვნივ-მარცხნივ, მარჯვნივ-მარცხნივ, მთელი კორპუსით, მკვეთრად უფრო მკვეთრად, უფრო! ოპ! ტარა-რარა-რური-რირა-ა-ა-ა... ახლა კი, როგორც ჩემს მკლავზე გადაკიდებულმა აბრეშუმის დამყოლმა ნაგლეჯმა: იცურე გიტარისა და ვიოლინოს მელანქოლიურ ხმაზე, იცურე, იცურე... და მხოლოდ იდაყვს ქვემოთ ჩაყრილი ცეცხლოვანი კულულები მღელვარებენ, იხვევიან, გველისებრ იკლაკნებიან, თითქოსდა ნაკადულის დინებას გაყოლილნი...

კაცმა ვერც შეამჩნია, თავადაც როგორ წამოფრინდა საწოლიდან და როგორ გაცურდა, როგორ ატორტმანდა ღამეულ,

სქელ ბინდბუნდში იდაყვში მოხრილი მარჯვენა ხელი უხილავი პარტნიორის ზურგისთვის შემოეხვია, მარცხენა კი მავედრებლად გაეწვდინა წინ და მიცურავს, მიცურავს “მინორული სვინგის” დამცინავ-მგრძნობიარე ლაბირინთში...

კაცმა უმცირესი მოძრაობების რთული კონტრაპუნქტი შეასრულა; მისი დახელოვნებული თითები მცოდნედ დარბოდნენ ღილაკებსა და მუხრუჭებზე, რომელთა მეშვეობითაც ამჟამად იქ არმყოფი პატარა ელისის უსიცოცხლო მოძრაობები სრულდებოდა, – ასე იხმობენ ხოლმე სულებს წყვდიადის საუფლოდან. კაცის ხერხემალმა, კისერმა, მგრძნობიარე მხრებმა, ხელის მტევნებმა და ფეხისგულებმა ზეპირად იცოდნენ ამ რთული და ულამაზესი ცეკვის რიტმული ნახატის ყოველი სანტიმეტრი. ცეკვისა, რომლისთვისაც ტაში დაუკრავთ მსოფლიოს არაერთ დარბაზში. ის ტრიალებდა და იჭერდა ქალს, ნიკაპწამოწვდილი იფენდა მარცხენა იდაყვზე უწონო, მყიფე ჩრდილს, ხან წინ მიისწრაფოდა, ხან შედგებოდა თითქოსდა იმ ადგილს ჩაზრდილივით, ხან მტაცებლურად იხრებოდა ქალისკენ, ხან მკერდზე იკრავდა მას... და ამ ყველაფერს სავსებით ავტომატურად აკეთებდა, თითქოს ჩაფიქრებული მიუყვებაო ნაცნობ ქუჩას, ანგარიშგაუწევლად იმისა, თუ სად მიდის, რატომ მიდის, უბრალოდ, მიდის და საკუთარი ნაბიჯების ხმაც კი არ ესმის. და მის ნაბიჯებს ჰაერში კვალის დატოვება რომ შეძლებოდა,

მაყურებლის თვალწინ თანდათან მოიქსოვებოდა მაქმანისებრი, ფაქიზი წნულებისა და ხალიჩათა იდუმალი დამწერლობის ურთულესი ნაყში.

აივნის მოაჯირს იქით, წამოქოჩრილი პალმების თავზე, ვარსკვლავიან ცაში ღონივრად ჩახრახნილიყო საუცხოოდ ჩამოქნილი, თუმცა ზედმეტად დიდი (გამნათებლებს მეტისმეტად მოენდომებინათ) სპილენძის მთვარე. იგი ავსებდა არა მხოლოდ მთელ ყურეს, მის სანაპიროს, პატარა გემებს, ნავებსა და ნავმისადგომებს... იგი ჯიუტი პარაფინული ნათებით შემოიჭრა ოთახში, ყოველ სხეულს შავი ჩრდილის მოზრდილი ნაჭერი მიაკუთვნა, კედლებზე ღონიერი ნახაზები, ამოუცნობი ნიშნები და რთული მონოგრამები მიმოფანტა, ფარდებზე კი ჩრდილების უსასრულოდ მოტრიალე კარუსელი მომართა...

და ვინმეს, ვინმეს რომ შეძლებოდა და ამ უცნაური სანახაობის მოწმე გამხდარიყო... გონმიხდილი მინიატურული ქალი საწოლზე და ამ ნახევრად სიბნელის ფონზეც კი, მართლაცდა, მეტისმეტად ღია ფერის თვალებიანი, მთვარისსახა კაცი, გარს რომ უვლიდა მას მგზნებარე, მოცახცახე, ავხორცი ცეკვით, და მხურვალე ხელისგულით რომ აუთოებდა და გულზე იკრავდა სიცარიელეს და წამიერი ვნების ცახცახით ატანილი ირინდებოდა დროდადრო, – ვინმე, ვინმე რომ გამხდარიყო ამის მოწმე, თავისუფლად

შეეძლო ჩაეთვალა ეს სცენა რომელიმე მოდური რეჟისორის ნატანჯ მიგნებად.

განსაკუთრებულ განცვიფრებას (შეიძლება ითქვას, აღფრთოვანებას) იმსახურებდა ერთადერთი რამ: რა მომაჯადოებელი მოქნილობით ცეკვავდა ეს საშინაო ტრუსსა და იაფფასიან მაისურში გამოწყობილი ცხვირწამახული, მოუხეშავი და მხრებაწურული კაცი, რა განუზომელი, ირონიული სევდით იყო სავსე და რა გასაოცრად იყო შეყვარებული მარჯვენა იდაყვქვეშ მოქცეულ უძვირფასეს სიცარიელეზე...

თავის ბოლო, მკვეთრ მოძრაობასთან ერთად მუსიკა შეწყდა. ჩრდილთა კარუსელმა უკანასკნელად გადაატარა კედლებს თავისი ლანდური ეკიპაჟები და შედგა.

ორ-სამ წუთს კაცი არ განძრეულა, ელოდა, როდის ჩაცხრებოდა უხმო აპლოდისმენტები; მერე შექანდა, ხელები ჩამოყარა, თითქოს უჩინარი ტვირთი ჩამოიშორაო, ორიოდ ნაბიჯი გადადგა აივნისკენ, ნელა გააღო კარი და ყურეს ღონიერი ღამეული სუნთქვა შემოუშვა...

სახე უბრწყინავდა... ისევე უხმო ნაბიჯით, როგორც ცეკვისას, საწოლთან მიიპარა, სადაც ფუთასავით უძრავად იდო მისი სატრფო. ღრმად ამოისუნთქა და მუხლებზე დაეშვა მის თავთით, ლოყით მიეკრა ქალის მხრებზე წაფარებულ საბანს და დაიჩურჩულა:

− ნუ იჩქარებ... ნუ იჩქარებ, ჩემო ბედნიერებავ...

თავი მეორე

“გეყოფა ბორგვა, ექიმო გორელიკ! დროა, გონს მოეგო: უკვე სამი საათი გავიდა, რაც ისინი გაემგზავრნენ, შენ კი კვლავ აქეთ-იქით აწყდები...

არა, რომ გამახსენდება ეს ბადრაგი: წინ ის ქალის აჩრდილი, შიზო-აფექტური აშლილობის მქონე ცეცხლოვანთმიანი ელფი, – მის უკან კი ის: ვაგასავით

 უხეში, მხრებში აწურული, შებოჭილი ნაბიჯებით მოსიარულე, ბევრად უფრო მეტად რომ წააგავს მარიონეტს, ვიდრე ყველა თოჯინა ერთად აღებული. მოკლედ, ლურჯწვერა თავისი უბიწო მსხვერპლით.

კაცმა რომ თქვას, რატომ ვწერ ამას? ნუთუ ამდენი წლის შემდეგ ჩემში ისევ ცოცხლობს გრაფომანიული ამბიციები? არა მგონია... უკვე რა ხანია, მავანი ბორის გორელიკის, ამ მგზნებარე იდიოტის ოდესღაც გამოქვეყნებულ ლექსებსა და მოთხრობებს რომ გადავაწყდები ხოლმე საქაღალდეებში, სრულებით, სრულებით არაფერს ვგრძნობ: როგორც ჩანს, ემიგრაცია რაღაცნაირად ჯიგარს აცლის ადამიანს. მით უმეტეს, ისეთი წარმატებული ემიგრაცია, როგორიც ჩემია, – თუ, რასაკვირველია, მაიასთან განქორწინებას წარმატებად ჩავთვლით.

არა, ამაღლებული სურვილები აქ არაფერ შუაშია. უბრალოდ, რაღაც-რაღაც აზრების ფურცელზე გადატანის უეცარმა სურვილმა

მეხსიერების არხში რაბი გადახსნა, საიდანაც ჯერ ნაკადულად, მერე კი ნიაღვრად მოსკდა წარსული, მთელი რიგი მოვლენების უკანა თარიღით ამხსნელი ჩვენ სამის ცხოვრებაში, რაც, როგორც გამოირკვა, ბევრად მჭიდროდ ყოფილა ერთმანეთს შედუღაბებული, ვიდრე რომელიმეს, ჩვენ სამთაგანს, წარმოედგინა.

ხოლო ყოველდღიურად რამდენიმე ფურცლის შევსებით, უნებურად ქმნი ასეთს თუ ისეთს, – თუნდაც ნამსხვრევების თუ ენისგასატეხის მსგავსსა და გაურანდავს, – მაგრამ მაინც სამყაროს შენეულ ნახატს. უფრო ცუდია, როცა ამ ნახატზე შენი ადგილის პოვნას ცდილობ, ფიქრობ მასზე და... აღმოაჩენ იმპოზანტურ, ულვაშა არარაობას, რომელსაც შენი სახელი ჰქვია.

მე კი ყოველთვის არარაობად ვგრძნობ თავს, როცა ხანგრძლივი განშორების შემდეგ ამ ორის შეხვედრას ვესწრები.

ყველაზე აბსურდული ისაა, რომ ლიზა მართლაც ჩემი ცოლია. აბა, სხვანაირად როგორ შევძლებდი მის მოთავსებას ჩვენს კლინიკაში? მას ხომ მცირედი საფუძველიც კი არ გააჩნდა ისრაელში რეპატრიაციისათვის?

როდესაც ოთხმოცდათექვსმეტ წელს, პრაღიდან პირველად დამირეკა სანახევროდ შეშლილმა პეტკამ (ისინი პრაღაში თოჯინების თეატრების მორიგ ფესტივალზე აღმოჩნდნენ, არც საცხოვრებელი ჰქონდათ, არც მოქალაქეობა, არც სამედიცინო

დაზღვევა; თანაც სწორედ იმხანად მოუკვდათ – და მადლობა ღმერთს! – ის უბედური ბავშვი), ჰოდა, რომ დამირეკა, იმდენად შერყეულმა, რომ თავიდან წესიერად ვერც კი გავერკვიე, რომელმა მათგანმა აურია, და რომ ბღაოდა: “რამე იღონე, ლიზა გადაარჩინე, ბორკა!!!!!”, – აი, მაშინ გამახსენდა, რომ ნახევარი წლის წინ წარმატებით განვქორწინდი, და სავსებით მზად ვიყავი ახალი იდიოტური გმირობების ჩასადენად.

არ ვიცი, რა დაემართა იმ წუთებში ჩემს გონებას, აი, გული კი ლამის გამგლეჯოდა ორივე მათგანის სიბრალულით.

რაც მთავარია, იმ წუთს რატომღაც თითქოს თავში ჩამცხესო! – გამახსენდა ჩემი დაუვიწყარი ბებიკოს, ვერა ლეოპოლდოვნას მიერ წარმოთქმული წინასწარმეტყველური სიტყვები იმ დღეს, როცა პეტიამ და ლიზამ გადაწყვიტეს, რომ...

– ბობა... – თქვა მან, როდესაც ჩემს ოთახში შემოვიდა და განიერი ზურგით მთლიანად დაფარა კარი. – მეგობარი კი არა, ნამდვილი მძღნერი იქნები, თუ პეტრუშას ამ დამღუპველ ნაბიჯს არ გადააფიქრებინებ.

ჩემი დაუვიწყარი ბებიკო ოთხ ენას ფლობდა და ოთხივეზე ნათლად და ხატოვნად ლაპარაკობდა, როგორც ზოგადად, გინეკოლოგებს სჩვევიათ, მაგრამ რუსულად ის მაინც განსაკუთრებული სილაღითა და დამაჯერებლობით აყალიბებდა აზრებს, და

შიგადაშიგ, როცა ამას ემოციურ გარდაუვალობად ჩათვლიდა, ბილწსიტყვაობასაც გამოურევდა ხოლმე. მაგალითად, შემოვიდოდა ჩემს ოთახში შუა გახურებული თამაშის დროს, განუყრელი სიგარეტით პირში, და დასჭექდა თავისი შეუდარებელი ბანით: “ოხ, პეტლიურა! რა გადაჯმული გაქვთ აქაურობა, თქვე კაი ხალხო?!”

− გააჩერე ეს გიჟური მანქანა, ბობა, თორემ ზედ გადაუვლის პეტიას, − თქვა ბებიკომ.

− რატომ? − ვკითხე გაკვირვებულმა.

− იმიტომ, რომ არაა ეგ ციცქნა გოგო კარგი ოჯახისშვილი...

და, როცა ფეხზე წამოვვარდი და ავიფოფრე, ბებიკომ ისე მომაჯინა ადგილზე, მხოლოდ მას რომ შეეძლო: სიძულვილნარევი ცივი მზერით (მამაჩემი, მისი ერთადერთი ვაჟი, მსგავს შემთხვევებში ჩაცინებით ამბობდა: “სკალპელით გავხსნათ პრობლემა”).

− უტვინო, − თქვა ბებიკომ ხმადაბლა და ძლევამოსილად. − მე ექიმი ვარ. ფეხებზე მკიდია მთელი მაგათი ოჯახის ზნეობრივი სახე. ფეხებზე მკიდია, რომელი ცოლი წააგო მაგ გოგოს მამამ ბანქოში, და რა ჯანდაბამ გადმოახტუნა საძინებლის ფანჯრიდან ღამის პერანგისამარა მაგისი უბედური დედა. სხვა რამეზე ვლაპარაკობ ახლა: ცუდი გენი აქვთ მაგათ გვარში, ეს კი სახუმარო ამბავი არაა.

− რა გენი... − ჩავიბურდღუნე და მისი

სიტყვების მიღმა ღრმა მორევის მღვრიე სიცივე ვიგრძენი.

– ის გენი, რომ დედამისმა ლიზამდე ორი ბიჭი გააჩინა, მიყოლებით, და ორივე სინდრომიანი იყო. კიდევ კარგი, რომ არც ერთს დიდხანს არ უცოცხლია.

– რა სინდრომი? დაუნის?

– არა, სხვა. რა მნიშვნელობა აქვს?

– არა, თუ ამბომ, ბარემ თქვი! – წამოვფრინდი სკამიდან.

– მოკლედ... არსებობს ასეთი რამ... – თქვა ბებიამ, – "ანსელმანის სინდრომი" ჰქვია ან "მოცინარი თოჯინის სინდრომი". კიდევ "პეტრუშკას სინდრომი". სახე ნიღაბს მიუგავს, თითქოს სიცილი შეჰყინვია ზედ... უეცარი ხარხარის შეტევა იცის... და, თავისთავად ცხადია, ჭკუასუსტობა. რა მნიშვნელობა აქვს! კაცურად დაელაპარაკე პეტიას, თუ არ გინდა, რომ მე ჩავერიო.

– ერთი გაბედე! – მივაძახე ოთახიდან გასულს და მოხურულ კარს გაავებით ვესროლე მოქარგული ბალიში. თუმცა პეტკასთან დალაპარაკება მაინც ვცადე, – ისე იმოქმედა ჩემზე ბებიკოს ნათქვამმა. განსაკუთრებით, სახელწოდებამ...

...თუ ასეა, პეტკას მთელი ცხოვრებაა ჯერ მოსაყოლი: სახალინზე გატარებული მისი ბავშვობის, მისი არეული ოჯახის ამბები მე კი, კაცმა რომ თქვას, რა ვიცი? პატარაობიდანვე საშინლად გულჩათხრობილი იყო, უფრო სწორად,

ჰერმეტულად დახუფული ჰქონდა მთელი თავისი განცდები; ლვოვში მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა, როცა დედა არდადეგებზე თავის საყვარელ სულელ ბასიასთან უშვებდა. ის კი, ბასია, ჩვენი ოჯახის წინაშე ჩემთვის გაურკვეველი დამსახურების გამო, ყოველ კვირადღეს მოდიოდა ხოლმე ჩვენთან "სასუფრაოდ" – როგორც ბებიკო ამბობდა.

ბასია რატომღაც მხოლოდ ასეთი მახსენდება: მაღალი, დატკეპნილი ჭაღარა თმით, გრძელ და ბრტყელ ტერფებიანი, მამაჩემის მხარბეჭიანი, მოსული მამაკაცის – ძველ, ვეებამხრებიან საწვიმარში გამოწყობილი. ყელზე კი ბავშვის ვარდისფერი, პომპონიანი შარფი ეხვია.

მგონი, ფეხსაცმელიც მამაჩემის ნაქონი ეცვა, ფეხი ერთი ზომის ჰქონდათ. მამა კი მოქილიკე და ხუმარა თავაზიანი, შეწუხებული სახით ეტყოდა ხოლმე:

– მოუფრთხილდით მაგ ყველაფერს, ბასია, თითქმის ახალია. ჩემამდე მხოლოდ სამს ეცვა: ბაბუაჩემს ულამაზეს ხარკოველ მეეტლეს, მსახიობ ვერა ხოლოდნაიას და ფელიქს ედმუნდოვიჩ ძერჟინსკის.

სულელ ბასიას კი ყველაფერი სჯეროდა.

როცა ბებიკო ძალიან დაკავებული იყო, ბაზარში ბასიას გზავნიდა. ბასიას თან მიჰქონდა დიდი კალათა, რომლის ფსკე რზეც საფულეს დებდა და საშინლად

უკვირდა, როცა საფულეს ჰპარავდნენ. ვერ გაეგო: ხომ ყოველთვის ასე აკეთებდა “პოლონელებში” ყოფნისას. მამა სიცილით ეუბნებოდა:

– წადით, ბასია, ბაზარში, ალბათ, უკვე გელიან.

მგონი, საკსაგანსკის ერთ-ერთ სახლში იყო ნამუშევარი მეეზოვედ...

ოდესმე ესსეს დავწერ ლვოველ მეეზოვეებზე – ამ გადაშენებულ დინოზავრებზე თუმცა რის ესსე! ისინი ხომ მთელ პოემას, ტრილოგიას, ეპოპეას იმსახურებენ!

იმ წლებში, ლვოვის ცენტრალურ ქუჩებზე “ბრამები”, ანუ ეტლების შესასვლელი, ბინოკლივით გრძელი თაღების ჭიშკრები ყოველთვის ჩაკეტილი იყო. მობინადრეები თუ სტუმრები ბინების ნომრებიან პანელზე საჭირო ღილაკს აჭერდნენ თითს და ელოდნენ, როდის გამოვიდოდა... მეეზოვე, რადგან იგი არა მხოლოდ ეზოს გვიდა, არა მხოლოდ მასტიკას უსვამდა პარკეტს და კარის სახელურებს აპრიალებდა ისე, რომ მზეზე ცეცხლმოკიდებულივით ებრიალათ, არამედ კონსიერჟის მოვალეობასაც ასრულებდა.

ისინი, ჩვეულებრივ, სარდაფში ან ბელეტაჟზე ბინადრობდნენ, უფრო ზევით არა.

ჩვენი სახლის მეეზოვეს პან ლუშჩი ერქვა. სწორედ ის გამოდიოდა ამა თუ იმ ბინაში დარეკილი ზარის ხმაზე და ღირსებით

ამბობდა: “შინ არ არიან. კარგად ბრძანდებოდეთ”, ან “პროშე ბარძო”, – რაც ნიშნავდა: სტუმრის თაობაზე უკვე გაფრთხილებული ვარ. მასპინძლები გელიანო... მას გულისამაძგერებელი დანიშნულების ბარათებსაც უტოვებდნენ ხოლმე “მოკითხვამდე”... და ახლა ვფიქრობ, რომ პან ლუშჩს შეეძლო გვარიანი კაპიტალიც დაეგროვებინა, საიდუმლო სიყვარულის ყველგანმყოფი ქალღმერთის ჭკუაზე თუ ირბენდა აქეთ-იქით: ხნიერი, აქა-იქ ყვითელ კბილებშერჩენილი, ქარიყლაპიასავით პირდაღებული ამური...

მთავარი ღირსება მისი “კავალერკისა”, ანუ პატარა ოთახისა, რომელსაც ტუალეტიც ჰქონდა (აბაზანა კი არა) და რომელშიც ერთხელ დაუკითხავად შევიხედე გახლდათ პოლონური პრეზერვატივების ომამდელი, საუცხოოდ შესრულებული რეკლამა, ჩემი ახლანდელი შეხედულებით, გენიალურად მარტივი: მხოლოდ საფირმო ნიშანი “Ultra Gum” და წარწერა მის ქვეშ: “Predzej ci serce peknie!”, – “უმალ გული გაგისკდება!”.

უფროსებთან ურთიერთობაში მუდამ წინდახედულად თავაზიანი (აბა რა: გვიან საღამოს შინ დაბრუნებული მობინადრეები ასე იყო მიღებული ერთ-ორ მანეთს უთუოდ ჩაუჩურთავდნენ საწოლიდან წამომდგარ მეეზოვეს), გაცეცხლებული გამოგვენთებოდა ხოლმე ჩვენ, ბავშვებს. გასაგებიცაა: ჩვენ ხომ ყოველდღე ვაცოფებდით მას ერთი და იმავე, საძაგელი ოინით: ერთდროულად რამდენიმე ბინაში ვრეკავდით ზარს და გავრბოდით, რომ

სახლის კუთხეს მოვფარებოდით.

პან ლუშჩი გარეთ გამოვარდებოდა ხოლმე პოლონურ ენაზე ხმამაღალი გინებით, და უცოდველ გამვლელებს ჯოჯოხეთს ჰპირდებოდა... და ორიოდე წუთის შემდეგ, ხუთ ღილაკზე ერთდროულად დაჭერით აზრიალებული მორიგი მოზეიმე აკორდის გაგონებაზე კვლავ გარეთ გამორბოდა, როგორც ბოროტებასთან მეომარი მოუღლელი ჩინური ფაიფურის თოჯინა. ეს ყველაფერი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელებულიყო, განსაკუთრებით, არდადეგების დროს: ჩვენ პან ლუშჩის გამძლეობას ვცდიდით. ის კი (კერკეტი კაკალი!) კვლავ და კვლავ გამორბოდა ზარის ხმაზე, და სულაც არა იმისთვის, რომ ჩვენ დავეჭირეთ, არამედ იმისთვის, რომ ეშინოდა, რომელიმე ბინადარი ან სტუმარი არ გამოჰპარვოდა ანუ იმისი, რომ თავისი მოვალეობა, ღმერთმა ნუ ქნას, ვერ შეესრულებინა.

ეს კია, რომელიღაც, ასე, მეასე მასხრადამგდები ზარის ხმაზე შეეძლო, სველი ტილოთი ხელში გამოვარდნილიყო გარეთ, ტილო ისე ექნია ჰაერში, როგორც დაჭრილ მედროშეს დროშა და თვალებგადმოკარკლულს კარგა ხანს ეღრიალა: “ძაღლიშვილო! ნაბიჭვარო! შლიაგ ბი ტე ტრაფილ! ჟები ტე კროვ ზალიალა

ოჰ, რა სახლი გვქონდა... ლვოვში ასეთ სახლებს “ავსტრიულებს” უწოდებდნენ; და

კიდევ ამ სტილს ერქვა “სეცესსია”, და არც ერთ სხვა ევროპულ ქვეყანაში მსგავსი სახელწოდება არ შემხვედრია.

ივან ფრანკოს, “ზელიონაიას” და შოთა რუსთაველის ქუჩები ერთ სამკუთხედს ქმნიდნენ, რომლის შიგნითაც, თავის მხრივ, სახლების სამკუთხედი მოთავსებულიყო, ხოლო მის შიგნით კი სხვადასხვადონიანი და მრავალკასტური ეზო ცხოვრობდა.

წვრილი ფილაქნით მოგებული ჩვენი ეზოს გარშემო იტალიური ალვები იყო დარგული. ყოველ წელს მათ კრეჭდნენ, ფორმას აძლევდნენ, და მაშინ მთელი ქუჩა აფრქვევდა ალვის ნასხეპი რტოების მწკლარტე და ამაღელვებელ სურნელს.

ეზოში მსხლის ხეც იდგა, ორ წელიწადში ერთხელ მსხმოიარე ბებერი, ღონიერი მსხლის ხე. და, როცა მისი ლიმონისფერ-მოოქროსფრო ნაყოფი დამწიფდებოდა ხოლმე, ბელეტაჟზე მცხოვრები ცნობილი მწერალი სტანისლავ კობრინსკი მოსავალს იღებდა და და ყველა ოჯახს უნაწილებდა (უცნაურია, რომ არასდროს მიცდია კობრინსკის ნაწერებიდან რამე წამეკითხა უგულისყურო სიყმაწვილის ბრალი თუ იყო? არადა, ეს პანი ფრიად კომიკური ვინმე გახლდათ: ბებიკო გვარწმუნებდა, რომ ის დღეში ხუთჯერ იცვლიდა პერანგს, ხოლო ოპერაში განაპირა სკამზე ჯდებოდა, რადგან ჭაღის საბედისწერო ჩამოვარდნის ეშინოდა.)

და კიდევ, საკვირველია, რომ სახლის არც ერთი სხვა მობინადრე მსხლის ხეზე

პრეტენზიას არ აცხადებდა. მაგალითად, მისი ტოტები ზედ ჩვენი სამზარეულოს ფანჯრებს სწვდებოდა და მოსავლიან წელს თავისუფლად შეიძლებოდა, გამოგეღო ფანჯარა და მოგეწყვიტა ნაყოფი. მაგრამ ეს აზრადაც არავის მოსდიოდა თავში. ყველა ელოდა, ღირსეულად როდის დაანაწილებდა მოსავალს პან სტანისლავი. სხვათა შორის, როცა მოხუცი მწერალი გარდაიცვალა, მსხლის ხემ, როგორც კეთილ იგავებშია, მსხმოიარობა შეწყვიტა.

ჩვენი სახლის სარდაფი და სხვენი საპირისპირო სამყაროთა ორი კონტინენტი – საგანგებო მოხსენიებას საჭიროებენ. სარდაფში ზამთრისთვის მომარაგებული ბოსტნეული და ათასგვარი ძველმანი ინახებოდა, აი, სხვენი კი – სხვენი იყო ნათელი, სუფთა, მუდამ კარგად განიავებული; სხვა სახლების მობინადრეები იქ მტრედებს ამრავლებდნენ... ჩვენთან მეზობლები სარეცხს აშრობდნენ, ამზეურებდნენ; სუფთა, გახამებულ-გალილავებული ზეწრები კარაველათა იალქნებივით იყო ხოლმე გაფენილი მთელი სხვენის სიგანეზე, და ეს იყო ჩემი ბავშვობის კიდევ ერთი ამაღელვებელი სურნელი – სურნელი ზღვისა ლვოვის ცენტრში. სარეცხის რეცხვა მკაცრი გრაფიკით ხდებოდა, ყველას თავისი თოკი ჰქონდა გაჭიმული – პანი სტეფნას, გალიას, ბერტა ეფიმოვნას, ჩემს დაუვიწყარ ბებიკოს...

– დღეს უამრავი სარეცხი მაქვს დასარეცხი, – შეწუხებული იტყოდა ხოლმე რომელიმე

მათგანი.

– მე კი ისე, არც იმდენი...

ჩვენი სახლის მთავარი სადარბაზო... მისი იატაკი კარგად შემონახული წვრილი ფილებით ხალიჩისებურ ორნამენტებად იყო დაგებული: კრემისფერ მინდორზე ლურჯი შროშანები გადაწნულიყვნენ. ლევინსკის სახელგანთქმული ფაბრიკის ნაწარმი: კერამიკული ფილები, ფილები ღუმელებისთვის... ახლაც კი, შეაღეთ ძველი ლვოვის ცენტრში ნებისმიერი ჭიშკარი და ფერხთით დაიხედეთ: ეს ფილები მა-რა-დი-უ-ლი-ა! – თუ, რა თქმა უნდა, რკინის ძალაყინით არ დაადგება ვინმე დასანგრევად.

ზევით მიიწევდა თუჯის მაქმან-წნულებიანი მოაჯირითა და უამრავი ხელის შეხებით გაპრიალებული ხის სახელურით დამშვენებული განიერი, ხვეული კიბე; ხალიჩები უკვე აღარ ეფინა ზედ, მაგრამ საფეხურებს შორის ჯერ კიდევ შემონახულიყო ხალიჩის დასამაგრებელი ძელების ბრინჯაოს ჩამოსაცმელები. ბავშვობაში ჩვენი სადარბაზო პროტესტანტულ ტაძარს მაგონებდა. მართალია, მასში საკურთხეველი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, სახლის ყველა სართულს გასდევდა მაღალი ფანჯრები, რომლებშიც გამჭვირვალე კი არა, ვარსკვლავებიანი, მოყვითალო შუშები იყო ჩასმული, საიდანაც მთელ არემარეზე იღვრებოდა სუსტი, მაგრამ სანეტარო თბილი ნათელი.

წელიწადში ორჯერ სააღდგომოდ და საშვიდნოემბროდ პან ლუშჩი მუხის პარკეტს მასტიკით აპრიალებდა, კიბის სახელურებს კი ოლიფას უსვამდა. მას შემდეგ, საღებავებისა და ლაქების მაღაზიაში შესვლისთანავე სადაც უნდა იყოს ეს ცხვირით ღრმად ვისუნთქავ ჰაერს, რათა ჩვენი სახლის მთავარი სადარბაზოს სურნელი გამოვიხმო მოგონებებით...

* * *

...საინტერესო ისაა, რომ სავსებით ნათლად მახსოვს ჩემი და პეტკას პირველი შეხვედრის დღე.

დილის ნეტარ ძილში, ხმების მსუყე ნაზავში, რომელსაც შეადგენდა: წინკარში რძის ბიდონების რახუნი, სატვირთო ლიფტის დაძაგრული ჭრიალი ეზოში (ვიღაც შეშას ეზიდება ზევით, ან კარტოფილიან ტომარას), უკანა აივანზე ხალიჩის ბერტყვის ყრუ ხმა, ქუჩაზე ჩავლილი ტრამვაის მყუდრო წკარუნი და ბოთლების შემგროვებლის გაწელილი მოძახილი: “ააააბა-ბოოოოთლები-ქიიიილებიიიიიი!”, და რომელსაც დილის ქალაქის ნაცნობი სურნელებები ერთვოდა: ჩვენი სახლის მოპირდაპირე ყავახანისა და ახლადგამომცხვარი ნაწარმისა უახლოესი საშაქარლამოდან, – ბებიკოს ხმა აღწევს (კარი შეღებულია):

– არ მესმის, როგორ ანდობს დედამისი ბიჭუნას ამ სულელ დედაკაცს...

ჯერ დედაჩემის პასუხი მოისმის გაურკვევლად, მერე კი ბებიკოს ხმები: ასანთის ღერის გაფხაკუნება კოლოფზე და ასთმური ფშვინვა, რომლითაც ბებიკო სიგარეტის კვამლს შეისუნთქავდა ხოლმე (ხოლო ის, რომ სიგარეტის ღერი უკვე პირში აქვს გაჩრილი, თანხმოვანთა ჩლიფინა წარმოთქმითაა მისახვედრი):

– კარგი რა, საკუთარი სახელი აღარ ახსოვს! მისმინე, ბიჭს ცოტა სითბო უნდა ვანახვოთ, არა? უთხარი, კვირას თან წამოიყვანოს, ერთი თეფში წვნიანი არ მენანება. ჰოდა, მაშინ ბობაც...

ბებიკო დერეფნით სამზარეულოსკენ მიემართება, სადაც მყისვე გამოცოცხლდება თუჯკაფელური ხმები. იქ, სადაც ახლა დედა და ბებიკო ერთნაირი, მზრუნველი ხმებით დუდუნებენ: “ბობა-ბობას-ბობასთვის...”, ვეება, ოთხკონფორიანი ღუმელიცაა, პურის საცხობი ქურაც და თუჯის განიერი, ირმებამოტვიფრული საფენებიც ღუმლიდან ანაზდად გადმომხტარი ნახშირისათვის...

და კვირას სულელი ბასია მარტო არ მოდის, თან მოჰყავს გამხდარი, ცხვირა, ჩუმი ბიჭი; ძალიან, ძალიან უცნაური ვინმე...

სწორედ იმას ვამბობ, რომ პეტია ბავშვობიდანვე გულჩათხრობილი და ჩაკეტილი იყო ყველაფრის მიმართ, რაც არ ეხებოდა მთავარს: თოჯინებით მის მოჯადოებას, რაღაც გაუგონარ

დაინტერესებას... შეუბრალებელ, – მე ვიტყოდი, ტირანულ სიყვარულსაც კი თოჯინური სამყაროს ირეალური სივრცეებისადმი.

ახლა ვფიქრობ: ხომ არ იყო მისი სწრაფვა, თოჯინის მეშვეობით გამოევლინა საკუთარი თავი, ნაწილობრივი აუტიზმის დაძლევის მცდელობა, სამყაროსადმი მიმართვის ხერხი? ახლაც ხომ სავსებით იცვლება, როგორც კი თოჯინას იღებს ხელში; და თუ თეჯირს მიღმა კი არა, სცენაზე, ღიად მუშაობს, მისი ტანდაბლობის, აწურულობისა და სრულიადაც არაკლასიკური აღნაგობის მიუხედავად უფრო მაღალი, აუხსნელად მნიშვნელოვანი, – და ჰო, ბევრად მეტიც! – ჭეშმარიტად შეუდარებელი ხდება.

მისი ბავშვობის მთავარი ანეკდოტი იყო პაწია ლიზას მო პარვა, გაუფრთხილებლად, – “ერთი წუთით!” – უმეთვალყურეოდ რომ მიეტოვებინა სლავ ძიძას მაღაზიის წინ. პეტიამ, რვა წლის ბიჭმა, პირდაპირ საბავშვო ეტლიდან გაიტაცა გოგონა მხოლოდ იმიტომ, რომ მეოცნებე თვალებისა და ძახველივით წითელი, კულულა თმის წყალობით, ბავშვი საოცრად წააგავდა გაცოცხლებულ თოჯინას!

მაგრამ შესაძლოა ჩვენი პირველი შეხვედრა იმიტომ დამამახსოვრდა, რომ სწორედ იმ დღეს ჩვენს ქუჩაზე საშინელი უბედურება დატრიალდა: ადვოკატ ვილკოვსკის ახალგაზრდა ცოლი საკუთარი საძინებლის

ფანჯრიდან გადმოხტა.

სულელი ბასია ჩვენს წინკარში შემოვარდა, ორთქლმავალივით ქშენდა, მამაჩემის ბათინკებს აბრახუნებდა და რუსულ-პოლონური სიტყვების აღრევით რაღაც აბდაუბდას ქაქანებდა. როცა, ბოლოს და ბოლოს, გახადეს, ფეხსაცმელი გამოუცვალეს და სასტუმრო ოთახში შეაგდეს, გამოირკვა, რომ წინკარში ვიღაც დარჩენილიყო და საკიდქვეშ იდგა. ღმეეერ-თოოოო, – ჩაიდუდუნა ბებიკომ მსუყე, გაწელილი ბანით, – ეგ ბავშვი ხომ ტანად ჩემი ქოლგისხელაა...

(ბებიკოს მართლაც მეფური ქოლგა ჰქონდა: იასამნისფერი, ბრჭყვიალატარიანი. მამამ მას რატომღაც “იმპერატრიცას ფრეილინა” დაარქვა, – უყვარდა მეტსახელების შერქმევა, ადამიანებისთვისაც, საგნებისთვისაც. მის კაბინეტში მდგომ ტანდაბალ სეკრეტერს “ნაფიცი რწმუნებული” ერქვა, ხოლო დედას ღიღილოებით მოჩითულ ხალათს, რომლის ოქროსფერი ღილი მკერდთან მუდამ შეხსნილი იყო, გაუგებარი სახელწოდება “გამარჯობა-მობრძანდით!” ჰქონდა.)

ბიჭს, რომელიც სულელმა ბასიამ მოიყვანა, ჰქონდა მონაცრისფრო-გამჭვირვალე, რაღაცნაირი, ჭაღარა თვალები და გამოთიშული მზერა. და თვალებს შორის უცნაური აცდენაც ჰქონდა, რის გამოც გეჩვენებოდა, რომ სადღაც შენ მიღმა, შენ თავზემოთ იყურებოდა... მოგვიანებით მივხვდი, რომ ბიჭი ჩვენთან სწორედ მას შემდეგ მოვიდა, რაც სასწრაფომ

თვითმკვლელის გვამი წაიღო; აღმოჩნდა, რომ ქალი სწორედ მის თვალწინ გადმომხტარიყო ფანჯრიდან, – რვა წლის ბიჭუნასათვის სავსებით გასაგები შოკი იყო. მაგრამ მაშინ ბიჭი საშინლად არ მომეწონა: სულელია ვიღაც, ვფიქრობდი, თანაც მუნჯი. არადა, დედამ დამიყოლია "ახალი მეგობრისთვის" ჩემი მანქანების პარკი გამომემწკრივებინა. მანქანები მთელ ოთახში გამწკრივდნენ ფერად, მოელვარე კოლონად, რომელიც ხან სავარძლების, ხან მაგიდის ქვეშ უხვევდა, ხოლო ხელზე წამოსაცმელი თოჯინების ყუთის თავზე კი პატარა, საკოლექციო მოდელების სადგომი მქონდა მოწყობილი.

მაგრამ ამ თითქოსდა გაყინულმა ტიპმა თვალი ნაძალადევად შეავლო ჩემს ავლადიდებას. სამაგიეროდ, თვალი მოჰკრა თუ არა კუთხეში ყუთიდან გადმოყრილი თიხისთავიანი და შელახულსამოსიანი თოჯინების გროვას, პირდაპირ გაშეშდა!

– შე... შეიძლება? – მკითხა ხმადაბლა და თითი მოუქნელად გაიშვირა იმ ზედახორისკენ.

– კი-ბა-ტონო, – მივუგე მე და მხრები ავიჩეჩე. არ შევიმჩნიე, რომ მეწყინა.

ხელზე წამოსაცმელი თოჯინები მამას ჩემთვის მოსკოვიდან ჩამოჰქონდა ხოლმე, სადაც დროდადრო მივლინებით მიემგზავრებოდა. ყუთში სამი ნაკრები ჩატეულიყო: "არვიცია მთვარეზე", "რუსული

ხალხური ზღაპრები”, “ზღაპარი მღვდელსა და მის სულელ მოსამსახურეზე”. სამიოდე დღე გავერთე ამ სათამაშოთი, დედას და ბებიკოს სკამის საზურგეზე “სპექტაკლები” წარმოვუდგინე და, რამდენადაც ჩემი მთავარი სადადგმო ელემენტი ჩხუბები იყო, თოჯინები კი მამლებივით გამეტებით იბრძოდნენ და ცხვირ-პირს არ ზოგავდნენ, მალე მათი თიხისგან ქმნილი ფიზიონომიები შეილახა. “მსახიობებს” საწყალობელი იერი დაედოთ, მე კი სრულიად დავკარგე ამ საცოდაობით გართობის ინტერესი. და საერთოდაც, მე ყოველთვის ნამდვილს ზედმიწევნით მიმსგავსებული საგნები მიყვარდა, – ანუ, ახლა რომ ვფიქრობ, წარმოსახვის არმქონე ბავშვად ვიზრდებოდი.

არასდროს დამავიწყდება, როგორ დაეცა ჩემი სტუმარი მუხლებზე იმ ძონძების გროვის წინ და როგორ დაიწყო მისი გადარჩევა. თოჯინებს სათითაოდ ალაგებდა ხალიჩაზე და თან მზრუნველად უსწორებდა დაჭმუჭნულ კონკებს...

და კვლავ, ამომხედა თავისი ღია, რაღაცნაირი, გამჭოლი თვალებით და მკითხა: შეიძლება?

– ეს ხომ ნაგავია, საზიზღრობა! – ბრაზიანად ჩავილაპარაკე და საუცხოო საზღვარგარეთული მანქანის სამართავ პულტს დავაჭირე თითი.

მაშინ ის მკვეთრად შეტრიალდა მუხლებით, ზურგი მაქცია, მოიკუნტა, აფათურდა და, როცა მლოცველივით ხელებაპყრობილი

შემობრუნდა და ორივე ხელზე კი თოჯინა ჰქონდა წამოცმული უკვე სხვა სახე ჰქონდა, სულ სხვა გამხდარიყო.

და აი, მაგიდის კიდეზე მძიმედ აბობღდა ამპარტავანი და მოსულელო, ღიპიანი მღვდელი, რომელიც ფაციფუცით იწერდა პირჯვარს, რაღაცნაირი, გასაოცარი სიცქვიტით ამოძრავებდა გვერდებს, წინ მიიწევდა და ბოხი ხმით იმეორებდა: “უუფალო-იესო-ქრისტე-უუუფალო-იესო-ქრისტეე”... მის შესახვედრად კი სულ სხვა ზღაპრიდან, ნაწნავის რხევით მზეთუნახავი გამოემართა... ის წრიპინა ხმით მოიმღეროდა ქუჩურ, უწმაწურ კუპლეტებს და ჰპირდებოდა მღვდელს, რომ აჩვენებდა... მოკლედ, ბიჭმა მთელი ეს ტექსტი მშვენივრად იცოდა, შთამბეჭდავად ამბობდა მას, კეკლუც უმწიკვლო ფხუკუნსაც ურთავდა და თან კაბის კალთას სასაცილოდ იქაჩავდა ზემოთ. მზეთუნახავი სულ უფრო ურევდა თავგზას მღვდელს, სულ უფრო აწონებდა თავს, და სწორედ ეს იყო წარმოდგენის გამყინავი არსიც. ლამაზმანი მღვდელს ხან “ბებერ კუნძს” უწოდებდა, ხან “ძაღლის კუდს” და ხანაც “აყროლებულ ძეხვს”; თან კი მის წინ უზნეო კანკანს ცეკვავდა, მღვდ ელი კი ზურგზე გორავდა, ხვნეშოდა, მოთქვამდა, შებრალებას სთხოვდა... “არ წახვიდე რაა, ჩემო ტკბილო, ცვრიანო მარწყვო! რაც გინდა, ისა მთხოვე, ოღონდაც მაგ ძუძუებზე მაჩქმეტინე!”... გოგო კი პასუხობდა: “როგორ არა, შე ბებერო ღიპიანო! ჯერ ის შენი მსუქანა ცოლი მოკალი!”. მოკლედ, ეს

წარმოდგენა პუშკინის ზღაპარს არაფრით ჰგავდა...

სპექტაკლის ყველა პერიპეტია უკვე აღარ მახსოვს, მაგონდება მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება: სრული გაოგნება და, მე ვიტყოდი, მრავალმხრივი აღფრთოვანება: მისი გაბედულებით, მოზრდილთა ურთიერთობების სფეროში მისი ღრმა გათვითცნობიერებით, იმით, თუ როგორ იქცნენ უეცრად ცოცხალ არსებებად უტვინოთავიანი ძველი ძონძები, იმით, თუ რა მომაჯადოებლად იცვლიდა იგი ხმას: მღვდლის ლუდის სმით ხმაჩახლეჩილი მოსამსახურე ყოჩაღად წელავდა სიტყვებს, კბილებს შორის სტვენდა და საზარლად იგინებოდა; არვიცია დანაწევრებულად დასძახოდა ხულიგნურ აბრაკადაბრას და ერთხელ მუცლის ქარიც კი გაეპარა ყველას გასაგონად, სიმღერის “კოცონად აღეგზნეთ, ლურჯო ღამეებო!” ყველაზე პათეტიკურ ადგილას. რაც მთავარია, წარმოდგენაში ერთი შეფერხებაც კი არ ყოფილა: ვიღაც ვიღაცას მისდევდა, სცემდა ან ეცეკვებოდა, ის კი ღრიალებდა, გარბოდა ან რაღაცას ქაქანებდა; ხმები ერთმანეთში ირეოდნენ, ერთმანეთს ეჯახებოდნენ, ერთმანეთს აჯავრებდნენ და, როგორც მაშინ მომეჩვენა, სულ რაღაცას იმღერდნენ, ლამის დუეტში; თავის წიაღში იხვევდნენ და თან იტაცებდნენ ორ ხელზე განვითარებულ ამბავს.

ჩემს ცხოვრებაში ასე არასდროს არაფრით დავინტერესებულვარ. მორჩილი,

მონადირებული და დატყვევებული ვიყავი, ერთხელ და სამუდამოდ დამონებული მის მიერ... მგონი, ეს ყოველივე დღემდე გრძელდება, თუმც თოჯინების თეატრი და, ზოგადად, თოჯინური სამყარო, ვერა და ვერ გავითავისე.

სასადილო ოთახში რომ გვიხმეს, მან წამოსვლა არ ისურვა, – არ უნდოდა ხელებიდან თოჯინები მოეხსნა. მაგიდის ქვეშ შეძვრა და უხმოდ იმზირებოდა იქიდან თავისი მგლური თვალებით, მაგრამ მოფერებით მაინც გამოიყვანეს. სადილობისას ის შესაძლოა იმიტომ, რომ უფროსებმა მინიშნებებით, ბავშვები რომ ვერ მიმხვდარიყვნენ, ნაწყვეტ-ნაწყვეტ რამდენჯერმე ახსენეს დილას დატრიალებული ტრაგედია იჯდა კუშტი და მარტოსული, ზუსტად ისეთი, როგორიც მოვიდა. ჩემკენ არც კი გამოუხედავს, სუფრას უჩხიკინებდა ჩანგლით. არადა, მეგონა, რომ უკვე დავმეგობრდით...

ახლაც კი, მასთან ყოველი შეხვედრისას, მინდა, რომ ხელში თოჯინა მივაჩეჩო, რათა გაუცხოებული ნიღბის ნაცვლად მისი ნამდვილი სახე დავინახო. სხვათა შორის, სიყმაწვილეში, საკმაოდ დიდხანს, ყველგან თან დაატარებდა ერთ რომელიმე ხელისგულისოდენა თოჯინას, გასაოცარი ოსტატობით, საკუთარი ხელით რომ დაემზადებინა “სასაჩუქრედ”. თუ სწორად მახსოვს, თოჯინა ასე მზადდებოდა: მავთულის ჯვარზე სინტიფონს ახვევდნენ და გარედან ქსოვილს აწებებდნენ, რის

შემდეგაც მხოლოდ სიფათის მიხატვაღა რჩებოდა. და პეტია მართლაც არიგებდა მათ საჩუქრებად, – ურიგებდა ქუჩებში პირველივე შემხვედრთ, დიდებსა თუ პატარებს.

ერთი სიტყვით, იმ პირველ ზაფხულს პეტკამ მთელი ჩვენი ეზოს ბავშვები მოხიბლა სულ რვანი ვიყავით. დედას ფრჩხილების ვარდისფერი ლაქი გამოვთხოვე, თოჯინების დამტვრეულ ცხვირებს ისეთი ფაქიზი რესტავრაცია ჩავუტარეთ, მზეზე ახლებივით აელვარდნენ. მთელი ზაფხული იმ წელს კი გასაოცარი ზაფხული დაუდგა ლვოვს: მზიანი, ლურჯთვალა, მაღალი ციხე-კოშკის თავზე ფუმფულა ღრუბლებიანი, – ჩვენი ეზოს თეატრი დილიდან საღამომდე, გულმოდგინედ გადიოდა ჩვენ მიერვე შეთხზული კომედიებისა და ზღაპრების რეპეტიციებს. და ახლა ვფიქრობ: გულჩათხრობილი, აშკარად “პრობლემური” რვა წლის ბიჭუნა გახდა პატარა, მაგრამ შემოქმედებითი კოლექტივის დამაარსებელიც, რეჟისორიც, მხატვარიცა და მსახიობიც; ის ჭეშმარიტად მოცარტული ნიჭიერებით ქმნიდა ტექსტებსა და მიზანსცენებს, მოთმინებით ამუშავებდა მათ, ვისაც თოჯინას მიანდობდა, დაუდევარ მსახიობებს კვლავ და კვლავ ამეორებინებდა მოძრაობებსა და როლის სიტყვებს ან “აკეთებინებდა ორკესტრს”: თუნუქის საყვირებსა და ტუჩის გარმონებს აყვირებინებდა, საჩხარუნოებს

აჩხარუნებინებდა და დოლებზე აბრახუნებინებდა.

ამ საყოველთაო გატაცებამ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა უფროსებზე, რომ გულკას მამა, ძია რუსტამი, მილიციელი, სადურგლო-საზეინკლო სახელოსნოში წავიდა, რომლის უფროსობასაც რაღაც პაწია ცოდვა ედო კისერზე და, არ ვიცი, შანტაჟისა თუ სხვა საშუალებით, დირექტორი აიძულა, ჩვენი თეატრისათვის თეჯირი დაემზადებინა. ეს იყო ნამდვილი კარის სამაგრებიანი დასაკეცი თეჯირი! დედამ მას ოთხივე მხრიდან შემოაკრა ნაცრისფერი სასარჩულე ქსოვილი, ძველი გობელენებიანი სუფრისგან კი შეკერეს ნამდვილი წინსაფარი ისეთი, მაყურებლის წინ რომ გადმოფენენ ხოლმე თეჯირზე: მწვანე მინდორზე მწიფე, ყვითელი მსხლები დაგორებულიყვნენ, თითქოსდა პან სტანისლავის მზრუნველ ხელს ეს-ესაა დაეკრიფა.

არადა, სადღაც ხომ გდია ახლა ის თეჯირი, იქ, ლვოვში, ჩვენი დიდი ხნის წინ მიტოვებული სახლის სარდაფში...

* * *

ერთი სიტყვით, მე მაინც წამოვიწყე მასთან ის სამძიმო საუბარი. ვცდილობდი, ბლუკუნით რაღაც მემცნო მისთვის “ცუდი გენის” შესახებ; სახელწოდებაც კი ამოვთქვი...

არმიანსკაიაზე, ყავახანაში ვისხედით, სადაც ყავას გახურებულ ქვიშაზე, ჯეზვეებში ხარშავდნენ. ჯეზვეს ვიწრო თავთან ქაფი ამოიბერებოდა ხოლმე და, თუ ვერ

მიუსწრებდნენ, გვერდებზე ბუშტუკებად ჩამოშიშინდებოდა და პაწია ნაგებობას ღვთაებრივი სურნელი ავსებდა. გარეთ კოკისპირულად წვიმდა. ოთხკუთხა ფილაქნით მოკირწყლული, ორმოებით დატალღული გზის ნაპირებთან გროვდებოდა და ნაკადულებად მოედინებოდა წვიმის წყალი. ხოლო ბუშტუკებიანი გუბეების თავზე მოცურავდნენ გამვლელების ხელში მოტრიალე ფერადი ქოლგები.

ამ ვიწრო და ძველ, მაგრამ მუდამ ცოცხალ და მშვენიერ ქუჩაზე, რომელსაც გემრიელი მუშტი-კრივიც უნახავს და მძაფრი ვნებებიც, მუდამ იკრიბებოდა ლვოვის მხატვრულ-შემოქმედებითი ბოჰემა. ერთხელ, როცა მაია ჯერ არც კი იყო ჩემი საცოლე, მეც მომიხდა მის გამო მუშტის მოქნევა მხატვარ ტროფიმენკოსთან. იმ წლებში ხარირემთა შეჭიდებები ქალის გულის მოსანადირებელ უტყუარ საშუალებად მიმაჩნდა.

და აი, ჩვენ-ჩვენი “ფინჯანი ყავის” მოლოდინში, ვსხედვართ შელახულ მაგიდასთან...

არა, არმიანსკაიას ყავახანაზე ცოტა დაწვრილებით მოყოლაა საჭირო! შესაფერისი სიტყვები უნდა ვიპოვო ამ შეუხედავი დაწესებულების პიკანტურ, მეწამულ ჰაერს ხომ ჩვენი სიჭაბუკის დაუდგრომელი, მონავარდე ლანდი შემორჩა...

არ ვიცი, ვინ და როდის შეთხზა ლეგენდა,

რომ ყავა არმიანსკაიაზე მსოფლიოში საუკეთესო ყავაა. უცხოსთვის იქ თავისუფლად შეეძლოთ ნარეცხის ჩამოსხმა. უბრალოდ, უცხო იქ თითქმის არასდროს, არავინ შეხეტებულა ვერ იყო მიმზიდველი ალაგი: დაჯდომით, პრაქტიკულად ვერსად დაჯდებოდი, დესერტი არ არსებობდა... და ისედაც, თვით ეს ქუჩა, თავისი, რასაკვირველია, არაჩვეულებრივად პროპორციული, მაგრამ ბათქაშჩამოცვენილი ტაძრით... და მაინც, რით სჯობდა "არმიანსკაია" ქალაქის დანარჩენ ადგილებს?

აქ შეიძლებოდა გადაჰყროდი იმას, ვისი მისამართი და ტელეფონის ნომერიც დიდი ხნის დაკარგული გქონდა, აქ ადამიანები ერთმანეთს უტოვებდნენ ამანათებს, დოკუმენტებსა და ბარათებს. "არმიანსკაიაზე დაგიტოვებ", – ეს იყო ჩვეული ფრაზა, რომელსაც გზადაგზა, სირბილ-სირბილ, ან ტრამვაის ფანჯრიდან მოგაძახებდნენ, ან ინსტიტუტის სამკითხველო დარბაზში ჩაგჩურჩულებდნენ...

იქ ცვლებად მუშაობდა ორი ქალი: ლარისა და ნადია. ნადია, მსუქანი დედაკაცი, რბილი, თავშეკავებული მოძრაობები რომ ჰქონდა და უგემურ ყავას არასდროს მოხარშავდა; ალბათ, გული არ აძლევდა ნებას. ალერსიანად იშვიათად ხვდებოდა ვინმეს, მაგრამ მის მომზადებულ ყავას "როგორც ყოველთვის" ერქვა სახელად, – იცოდა დეიდამ ამ რიტუალის ჩატარება. მეორე ქალი, ლარისა დედოფალი იყო: გახამებული წინსაფარი, მაკიაჟი, მანერები

თვალს ვერ მოსწყვეტდი! თუ ვინმე არ მოეწონებოდა, შეეძლო მეორედ, “მეორე წყალზე” მოეხარშა მისთვის ყავა.

ყავის ხარშვის პროცედურაში იყო ჩართულობის მომენტი: გიმზადებდნენ ჯეზვეს, გიჩვენებდნენ, სად იდგა და შენც საქმეში იყავი გასული: წარამარა წამოხტებოდი მაგიდიდან და ჯეზვეს გაამოძრავებდი ქვიშაში, თვალყურს ადევნებდი, რომ ქაფი ამოსულიყო, მაგრამ არ გადმოღვრილიყო: ქაფი სამჯერ-ოთხჯერ მაინც უნდა ამოსულიყო.

და პეტკამ, რომელიც თვალს ადევნებდა, თუ როგორ ატრიალებდა ნადეჟდა თავისი მსუქანი ხელებით ერთდროულად რამდენიმე ჯეზვეს, მკითხა:

– რა მითხარი?.. “პეტრუშკას სინდრომიო”?.. – და უცებ გაეცინა: – ჩემზეა ზედგამოჭრილი: მე თვითონაც ხომ პეტრუშკა ვარ!

იმხანად რუსული ქუჩის ბალაგანით იყო გატაცებული, ბევრს კითხულობდა მის შესახებ, მოხუცებს აყოლებდა საუკუნის დასაწყისში “ეზო-ეზო” მოარული, მოხეტიალე თოჯინური თეატრების შესახებ, თვითონ თლიდა საწრიპინოებს და საშინლად სასაცილო და მახვილგონივრულ სკაბრეზულ ტექსტებსაც კი თვითონ წერდა რაღაც “საეზოვე სცენებისთვის”, რის დადგმასაც მომავალში აპირებდა.

შეეძლო საათობით ელაპარაკა, თუ რომელი

ხის ჯიში ჯობს თოჯინის ამა თუ იმ დეტალის დასამზადებლად, და ხე-მასალის მიხედვით როგორ შეიძლება იმის დადგენა, თუ სადაური წარმოშობისაა თოჯინა, და თუ რა მნიშვნელობა აქვს ხეზე კვეთის მიმართულებას, რომ აღარაფერი ითქვას ისეთი სეზონური კონდიციების მნიშვნელობაზე, როგორიცაა, მაგალითად, ტენიანობა. მე ბეჯითად ვისმენდი მთელ ამ მოსაწყენ ბოდვას, რადგან ასეთ წუთებში ყველაზე საინტერესო მისი სახე და ხელები იყო.

იმხანად ლვოვში უკვე პიტერიდან ჩამოდიოდა, სადაც ლთმკსი-ში (ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინოს სახ. ინსტიტუტი მთარგმნელი) სწავლობდა; ლიზას გამო ხშირად ჩამოდიოდა და, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მის გამო: ლვოვის ცენტრალური პიონერთა სასახლის ლიბერალურად მოაზროვნე დირექტორმა ნება დართო მას თავისი პირველი სპექტაკლი “ყანჩა და წერო” სწორედ იქ დაედგა.

ახლაც საკმაოდ დაწვრილებით მახსოვს ის სპექტაკლი.

ის მაგიდაზე მუშაობდა სამი წყვილი თოჯინით, საკუთარი ესკიზების მიხედვით თვითონვე რომ დაემზადებინა. თოჯინების პირველი, სრულიად ნორჩი და ამაღელვებელი წყვილი იყო წერო და მომხიბვლელი ყანჩა. ისინი, შეყვარებულები, ჭაობს გაღმა-გამოღმა დაიარებოდნენ, ერთმანეთს ხელსა და გულს სთავაზობდნენ,

მაგრამ ვერა და ვერ შეთანხმებულიყვნენ... მეორე წყვილი უკვე “ასაკოვანი” იყო: შეჭაღარავებული, ნისკარტზე პენსნეწამოცმული წერო, რომელსაც მტკიცედ გადაეწყვიტა დაოჯახება, უწინდებურად დაიარებოდა სტუმრად კეკლუც ყანჩასთან... და ისინი კვლავ ბუტიაობდნენ, და არა და არ უთმობდნენ ერთმანეთს...დაბოლოს, თოჯინათა მესამე წყვილი: ვეღარსაცნობი, გამსხვილებულ, თითქოსდა გასიებულნისკარტიანი ბებერი-წერო, და სულელი, გაბეცებული დედაბერი-ყანჩა, ძლივსღა რომ იდგნენ ფეხზე და მაინც არ იშლიდნენ ერთმანეთისთვის სულელური პრეტენზიების წაყენებას...

გასაოცარი იყო თოჯინების ფეხები, რაც მთელი სპექტაკლის ღერძს წარმოადგენდა მისთვის: რთულ-სახსრიანი, რაღაცნაირად უსასრულო, გამაოგნებლად მუშაობდნენ პერსონაჟის სასარგებლოდ: ხან მოიკეცებოდნენ, ხან დაფრატუნობდნენ, ხან ჟესტიკულირებდნენ და ხანაც წაუცეკვებდნენ ხოლმე... სიყვარულში გამოტყდომისას აწოწილი წერო ცალ მუხლზე იჩოქებდა... მთავარი ფეხები იყო, განუწყვეტლად მოძრავი და განსაცვიფრებლად ცოცხალი. პეტკა წამითაც არ ტოვებდა მათ, ის ერთი თოჯინიდან მეორისკენ მირბოდა, მაგიდას თავს ევლებოდა, ზედ ემხობოდა და, იმავდროულად, ახერხებდა, თითქმის უხილავი დარჩენილიყო იმ ნახევრად სიბნელეში. სპექტაკლის ბოლოს ერთმანეთს

მიყრდნობილი ორივე თოჯინა, უბრალოდ, წყნარად, თავჩაღუნული ეშვებოდა მაგიდაზე... და აი, მაშინ, ის უჩინარდებოდა ბნელში, ტოვებდა მათ. განათებულ წრეში რჩებოდა მდუმარებაში ჩაღვენთილი ორი მოხუცი: ეს იყო დასასრულის მოლოდინი შემოქმედის უსასოო არყოფნაში...

ეს იყო ერთადერთი შემთხვევა (ბავშვურ, ეზოს წარმოდგენებს თუ არ ჩავთვლით), როცა მან სცადა, შევები საქმეში, – მე, ჯან-ღონით სავსე ხარირემი, ლვოვის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, ლამაზმან მაიაზე ოცნებით დამწვარ-დადაგული...

უარის თქმა ვერ შევძელი, ვერასდროს ვუწევდი წინააღმდეგობას მის დესპოტურ ზეწოლას; და, თუმც მორიგი სესიისათვის მზადებაში ვიყავი ჩაფლული და, იმავდროულად, სასიყვარულო ნოველას ვწერდი წერილებად (რომელიც, სხვათა შორის, ერთი წლის შემდეგ ალმანახ "ვარსკვლავთცვენაში" დაიბეჭდა), მაინც მორჩილად დავეთრეოდი რეპეტიციებზე და ჩემი მსუყე ბანით გულმოდგინედ ვბაძავდი ქარის ზუზუნს თუ ყორანთა ჩხავილს. ამ ყველაფრის ფონზე კი ორი თოჯინის ხმას უნდა ეჟღერა. მუსიკალურ თანხლებას ჩვენთვის ეს იყო ვალსი "ამურის ტალღები" – უზრუნველყოფდა პიონერთა სასახლის კონცერტმაისტერი ალევტინა იურიევნა. ახლაც თვალწინ მიდგას: მარცხენა მხარეს ოდნავ გადახრილი, იგი თავდავიწყებით

შლის გულუხვ აკორდეონს, მოთხიპნილ ტუჩებზე კი მეოცნებე ღიმილი გადაჰფენია...

ჩემთვის ფრიად ჭკუისსასწავლი დრამა სწორედ პრემიერაზე დატრიალდა.

რაკი წინა დღეს რთული გამოცდა გადავაგორე, ბიჭებთან ერთად ცოდვების წარმატებული მონანიების აღსანიშნავად გავეშურე და კარგადაც გავიჭყიპე ცივი ლუდით. დილით ჯერ კიდევ რაღაცას ვხაოდი, სპექტაკლის დასაწყისისთვის დროულად გამოვცხადდი, ვახველებდი, ყელს ვიფხანდი და, მოკლედ, ასაჟღერებლად ვემზადებოდი... მაგრამ, როგორც კი აკორდეონის ლირიკული ჰანგი დაირხა, როგორც კი განთიადის უნაზესი სხივი დაადგა მაგიდას, ანუ ჭაობსა და ლელიანს... როგორც კი მაგიდაზე წერო და ყანჩა გამოჩნდნენ, – ვიგრძენი, რომ სავსებით დავკარგე ხმა. ამაოდ დავამთქნარე ხუთჯერ: ჩემი ხახიდან მხოლოდ ლუდის ქაფი თუ ამოვიდოდა.

ხმის ოპერატორი სლავა მიკროფონით ხელში მოქანდა კულისებს უკან. აკანკალებული ხელებით ჩავბღუჯე მიკროფონი, მაგრამ ისიც უძლური აღმოჩნდა. გამოცდილი ალევტინა იურიევნა ცალ გვერდზე მიწვა და ამურის მოკრუტუნე ტალღა გადაშალა... მოკლედ, პეტკა, რა თქმა უნდა, გამოძვრა; მე საერთოდაც არ მესმოდა, რაში სჭირდებოდა კადრს მიღმა რაღაც სპეცეფექტები, თუ მოქმედების და ტექსტის წყალობით ყველაფერი ისედაც გასაგები იყო. მაგრამ, რადგან საზიზღარ დამნაშავედ ვგრძნობდი თავს, – როგორც კი

მაყურებელმა დაშლა დაიწყო, პეტკამ კი რეკვიზიტების ჩალაგება, – ნაცემი ძაღლივით მივხოხდი მასთან.

– პეტრუხა... – დავიჩურჩულე, – მაპატიე, რა... ძალით ხომ არ მიქნია... სხვა დროს, აი, ნახავ...

მან მკვეთრად ასწია თავი, მძულვარე მზერით დამფუფქა და ცივად, მშვიდად, ველური ზიზღით წარმოთქვა:

– იდიოტო... ყველა სპექტაკლი ერთადერთია.

ნაწერი გადავიკითხე... რა უთავბოლოდ, რა აბურდულად ვწერ გეგონება, კურდღელი დახტის მინდორზე. და მაინც, ისე ნათლად მახსოვს ლითონის მრგვალი მაგიდა, ზედ “ფინჯანი ყავა”, დღის ცრიატი მოყავისფრო აგურის კედლებზე და ის ქარხნული თოჯინა მის ხელში: ქსოვილის ტანი, რეზინის ხელ-ფეხი და მელოტი თავი რომ ჰქონდა...

მან თოჯინა ნაგავსაყრელზე იპოვა, გარეცხა, უმკურნალა, ცარიელ ბუდეებში შუშის თაფლისფერი თვალები ჩაუსვა, და მას შემდეგ ყველგან თან დაათრევდა. “ობოლი” შეარქვა. მაგიდაზე წამოასკუპებდა ან მუხლზე დაისვამდა, კისერს ფრთხილად უჭერდა საჩვენებელი და ცერა თითით, თავით ამოძრავებდა აქეთ-იქით და რეზინის ხელ-ფეხიც რაღაც პატარ-პატარა, გულისამაჩუყებელი მოძრაობების შესრულებას იწყებდა. ჩვილი მისი თითების ნებით მოძრაობდა, ცნობისმოყვარედ იყურებოდა ფინჯანში; შემობრუნდებოდა და

მიამიტად ეძებდა კმაყოფილების ნიშანს “მამიკოს” სახეზე. ქარხნული შტამპი თითქოს ცოცხლდებოდა მის გენიალურ ხელში, თუნდაც არ განძრეულიყო –– აი, ეს იყო განსაკუთრებით გასაოცარი.

ეს კია, რომ სწორედ ასევე ცოცხლდებოდა მის ხელში ყველა სხვა საგანიც: ჩემი კეპი, ლიზას ხელთათმანი, სკამზე მიფენილი შარფი, პანი დრიბცი-უმცროსს რომ დარჩენოდა, მაგიდის ელექტროლამპის შნურიც კი –– და რაღაც უცნაური გუმანით ის ამ ყველაფრის “ხასიათს” პოულობდა. ეს ყოველთვის იმპროვიზაცია იყო: ან ლირიკული, ან გროტესკული. ის ირწმუნებოდა, რომ თოჯინის გაცოცხლების ხელოვნება თავისი არსით შეიძლებოდა მხოლოდ ტრაგიკომიკური ყოფილიყო.

მოძრაობა ქმნის ისტორიას, – ამბობდა ის, – ჟესტიდან იბადება სიცოცხლე...

– მე თვითონაც ხომ –– პეტრუშკა ვარ! – გაიმეორა მან, და მაღაზიის თოჯინა სასაცილოდ წამოიმართა მისი მუხლიდან, ზევით გაიწია და გულზე მიეხუტა, თითქოს ეთანხმებაო...

ეშმაკი აჯდა მაშინ მას წვეტიან მხარზე და უხმოდ ხითხითებდა!

* * *

უცნაურია: საკუთარ თავს ვამჩნევ, რომ მინდა ჩვენი შეხვედრები, საუბრები და მთელი ჩვენი ცხოვრება წარსულ დროში აღვწერო

არადა, მგონი, ცუდი ნიშანია, არა? ან რატომ? არ ვიცი: ნამყო დროის ზმნათა უსაშველო გარდასულობა საოცრად უხდება მას მის ხელოვნებას, მის ვნებას, მის უცნაურობას; ლიზასადმი მის პირქუშ და სასტიკ ერთგულებას, და, საერთოდაც, მთელ მის ლამის მარგინალურ პიროვნებას.

ყველაფერში მოუხერხებელი იყო, მაგრამ არაერთხელ გავუოგნებივარ. მაგალითად, ვიცოდი, რომ მისი გაურკვეველი, დაუნაწევრებელი მეტყველება უკვალოდ ქრებოდა, როგორც კი საუბრის თემა თოჯინებს შეეხებოდა.

ასეთ დროს მას გასაოცარი, ლამის ფიზიოლოგიური გარდასახვების მთელი წყება ემართებოდა: მისი ენა სხვანაირად იწყებდა მოძრაობას პირში, თითქოს ვიღაცამ ერთი ხელის აქნევით ჯადო მოუხსნაო. მისი შებოჭილი ხელები მანამდე წარმოუდგენელ სისხარტესა და თავისუფლებას იძენდა, თუმცა სტუმრად ყოფნისას, სუფრასთან, თხელი ფინჯნის დაჭერაც კი არ შეეძლო თითებით იმ თითებით, საოცრებებს რომ სჩადიოდნენ, როგორც კი თოჯინის ნაწილად იქცეოდნენ ხოლმე. ამას, კაცმა რომ თქვას, ბავშვობიდანვე მივეჩვიე, ჩვენი ეზოს წარმოდგენების დროიდან. მაგრამ, ო, როგორ შემძრა მისგან მიღებულმა, ცხოვრებაში პირველმა და უკანასკნელმა წერილმა, ხუთი წლის წინ რომ მომწერა სახალინიდან, სადაც დედის დასაკრძალად ჩავიდა.

იმ ზამთარს კუნძულს წარამარა ატყდებოდა

თავს არნახული ქარბუქი, და აეროპორტი რამდენიმე დღით იკეტებოდა ხოლმე... როგორც ჩანს, განსაკუთრებული სევდა მოერია იქ, რაკი უცებ ადგა და წერილის წერას შეუდგა. ხოლო ის, თუ მე რაოდენ შეძრული გახლდით, როდესაც ამ ფურცლების კითხვას შევუდექი (ეს იყო ხელით წვრილად ნაწერი 12 გვერდი), ძნელი გადმოსაცემია. დასაწყისშივე, ქარბუქის აღწერილობის წაკითხვისთანავე, ჩემში აენთო, განცვიფრდა და ჩაიღვენთა ზედაპირული და კეკლუცი გრაფომანი...

სადღაც შენახული მაქვს ეს ნაწერით გადავსებული ფურცლები, რომელიღაც მუყაოს ყუთში, რომელთა დალაგების ძალა, რაც მაიასგან წამოვედი, არა და არ მომეცა.

მაგრად უწერია ყველაფერი წერილში გადაშლილი წიგნის ფურცლებზე ცისფრად ასხლეტილ ელვაზე, ვაჟიშვილზე, სახეზე სიცილგადაფენილი რომ დაიბადა, და უარი თქვა მთელი ცხოვრება ეს სიცილი ეტარებინა...

არა, ზეპირად უკვე აღარ მახსოვს. არადა, ღირს კიდევ ერთხელ გადაკითხვა, რათა საბოლოოდ დავრწმუნდე მის ტოტალურ ნიჭიერებაში, რაკი დაბადებითგანვე ზეცამ მომაჯადოებელი წახნაგებით დამშვენებული ალმასი უბოძა მას, და თითოეულ ამ წახნაგში უსასრულოდ შეიძლება ცქერა... აი, მაშინ პირველად შევიგრძენი მისი პიროვნებისა და მისი წარმოსახვის მასშტაბი და მისი ძლევამოსილი ნებისყოფა, რომლითაც მუდმივად ქმნიდა თავის მაგიურ სამყაროს.

მართლაც, უნდა ამოვქექო ის წერილი, და, სამწუხაროა, რომ ლიზას ვერ წავაკითხებ; იქ მას რამდენიმე სულისშემძვრელი გვერდი ეთმობა... ასეა თუ ისე, ეს მთავარს მაინც ვერ შეცვლიდა: იმ მტრობას და დაძაბულობას, იმ მძულვარე მიჩვევას, რომლითაც ლიზა მასზე იყო მიჯაჭვული და რაც, ერთად აღებული, კიდევ უფრო მკვეთრად და კიდევ უფრო მტკივნეულად გიზგიზებს პეტიას ურყევი და უიმედო სიყვარულის ფონზე.

* * *

ლიზას ავადმყოფობის დასაწყისში მსურდა გავრკვეულიყავი მიზეზებში, უბედურების სათავისთვის მიმეკვლია. დიახ: ერთადერთი, თუნდაც ავადმყოფი შვილის სიკვდილმა, რა თქმა უნდა, შესაძლოა იმოქმედოს ქალის ფსიქიკაზე. მაგრამ მაშინ ლიზა საკმაოდ მალე გამოკეთდა, და ავადმყოფობის მთელი ფონი ადამიანურად სავსებით გასაგები იყო. გამოჯანმრთელდა თუ არა, წუხილი დაიწყო: როგორაა პეტია მარტო, რა ბედი ელის მათ სახელგანთქმულ ნომერს, ცდილობდა, შინ მალე დაბრუნებულიყო... და როცა მაშინ, იმ პირველ ჯერზე პეტია მის წასაყვანად ჩამოვიდა, ლიზა სრულ წესრიგში იყო. გაშლილ ხელებში შეაფრინდა ქმარს, ის კი იხუტებდა, რაღაცნაირად, უცნაურად ეხებოდა მის მხრებსა და ზურგს და ბოლოს შესძახა:

– ზუსტია! ასე, ზეპირად, რა ზუსტად გადამიღია ყველაფერი! ლიზა, მალე ნახავ, რა გავაკეთე, – რაღაც გენიალური!

ნახევარი წლის შემდეგ კი მე მათთან აღმოვჩნდი, პრაღაში; სექტემბერში ჩავედი. სწორედ პეტიას დაბადების დღეს.

ერთხელ ვკითხე: – რატომ პრაღა?

განცვიფრებით შემომხედა: ანუ, ასეთი თვალსაჩინო რამ როგორ არ გესმისო? მიპასუხა:

– პრაღა იმიტომ, რომ ის მსოფლიოში ყველაზე გრანდიოზული თოჯინების თეატრია. აქ ყოველ სახლზე სამი მოჩვენება მოდის. ჯერ მარტო ტიხო ბრაგეს ვერცხლის ცხვირი რად ღირს.

– ან ყბადაღებული გოლემი? – ავიტაცე მე.

– გოლემს თავი დაანებე, – შემეწინააღმდეგა, – გოლემი სრული სინამდვილეა... მთავარი, აი, რა არის: მიაქციე ყურადღება, რომ სახლები აქ გაშლილი, მრავალსიბრტყიანი თეჯირის პრინციპითაა განლაგებული? თითოეული სიბრტყე სახლის ფასადია, მხოლოდ ფერია განსხვავებული, და სხვა თოჯინებია გამოფენილი. და თოჯინების თეატრის მოლოდინში ყველაფერი მზადაა მოქმედების დასაწყებად...

ჩემს ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე ისინი მალა სტრანაში, ანუ პრაღის ისტორიულ რაიონში, ზედ გრადჩანებს ქვემოთ, ვალდშტეინის ქუჩაზე მეტროს სადგურ "მალოსტრანსკაიას" მოპირდაპირე მხარეს, ერთ სიმპათიურ, თუმც მოუხერხებელ ბინაში გადაბარგდნენ. ეს იყო ორი ოთახი ძალიან ძველი, საყვარელი და მოუვლელი სახლის

პირველ სართულზე. კარი პირდაპირ ოთხკუთხა, სიმეტრიულ, სოფლურად მყუდრო, ფიქლის ნაფშხვენებმოყრილ საერთო ეზოში გადიოდა და ამ ნაფშხვენებიდან გაზაფხულობით და ზაფხულობით ხასხასა ბალახი ამოიწვერებოდა ხოლმე. პეტკა მარწმუნებდა, რომ ძველად ამ შენობაში სამეფო თავლები იყო განთავსებული. ასეა თუ ისე, როგორც ჭეშმარიტად პრაღულ სახლს, ამ სახლსაც ხის ჭიშკრის თავზე საკუთარი ემბლემა ეკიდა: მოხატული მედალიონი, რომელზე გამოსახული წვრილფეხება ცხვარი ადამიანისსახიანი, განცალკევებით მყოფი კრავი, – წვრილფეხმოკეცილი იწვა შუა მდელოზე. სახლსაც ამიტომ ერქვა “შავ ცხვართან”. პეტკა მთავაზობდა, შემედარებინა ერთმანეთისთვის მათი “პორტრეტები” და დავრწმუნებულიყავი “მასპინძლისა და მდგმურის” ზედმიწევნით მსგავსებაში. და თუ ჩავუკვირდებოდი, უნდა მეღიარებინა კიდეც, რომ რაღაც მსგავსება მართლაც იკვეთებოდა განდგომილ მზერასა და ძვლოვან ყვრიმალებში...

თვითონ ბინაც რაღაცნაირი, სასაცილო იყო. ორიდან ერთ-ერთი, ძალიან დიდი ოთახი სამზარეულოც იყო მათთვის, სასადილოც და სახელოსნოც განიერი, ლამის მთელი კედლის სიგანე კარ-ფანჯარა საკუთრივ მათს, ვიწრო ლენტისმაგვარ ეზოში გადიოდა, და პირდაპირ შესცქეროდა მონასტრის მორუხო-

მოწითალო აგურის კედელს, რომელსაც იმ შემოდგომით მეწამულ ტალღებად მოსდებოდა ზუსტად ლიზას თმისფერი სურო. თხელ ჟალუზებიანი ფანჯრების ორივე მხარეს მოგიზგიზე ამ ორმაგი ხანძრის გამო, ავეჯით მწირად გაწყობილი Oოთახი, რომლის შეთეთრებულ კედლებზე თოჯინათა მთელი არმია ეკიდა, მორთულად, შეხმატკბილებულად და მხიარულად გამოიყურებოდა...

და მხოლოდ მასპინძლებს ვერ ვამჩნევდი მხიარულების ნატამალს.

ეს იყო ფრიად უცნაური ტრაპეზი. არავინ უწყის, რომელი ციხე-კოშკის სარდაფიდან ამოიტანა პეტკამ ხის ძველი, უზარმაზარი, ასაფრენ-დასაფრენ ზოლისმაგვარი მაგიდა. მაგიდას ლამის ნახევარი სახელოსნო ეკავა, და თითქმის მთელი მისი ზედაპირი გადატენილი იყო ხელსაწყოებითა და სამუშაო მასალით, თოჯინების ნაწილებით სავსე ყუთებითა და მომარაგებული დეტალებით...

საზეიმო სუფრისთვის განკუთვნილი იყო პატარა ადგილი, რომლის გარშემოც თავი მოვიყარეთ ჩვენ სამმა და კიდევ მინდა სათანადო სიტყვა მოვძებნო იმ ანდროიდმა: პეტიას მიერ გენიალურად დამზადებულმა, მომნუსხველმა და საზარელმა თოჯინა ელისმა, ლიზას ასლმა. გამაოგნებლად ზუსტი ასლი იყო; იმდენად ზუსტი, რომ შეძრწუნდებოდი კიდეც.

ჯერ, ალბათ, მათი ის, ძველი ნომერი უნდა

აღვწერო, რომელიც ატყვევებდა ყველას, როგორც კი სცენაზე პეტკა გამოვიდოდა, ზურგზე წამოკიდებული დიდი ყუთით. ყუთს იატაკზე დგამდა, საზეიმოდ ხდიდა თავს და ამოჰყავდა წელში გამართული ლიზა. ლიზა განმაცვიფრებლად თამაშობდა თოჯინას: იმ შეყინული ღიმილის, უმოძრაო თვალებისა და ჯოხებივით სწორი ხელ-ფეხის ცქერისას ვერაფრით დაიჯერებდი, რომ ეს ქალის თბილი, მოქნილი სხეული იყო...

მერე იწყებოდა: პეტკა “თოჯინასთან” ცეკვას ცდილობდა, ის კი განზე ყირავდებოდა, გამართული, ტროსტივით სწორი; პეტია ბოლო წამს იჭერდა მას, ატრიალებდა, “შემთხვევით” ხელიდან უვარდებოდა და იღლიაში ამოჩრილს კუნძივით დაატარებდა... – იქ იყო გონებამახვილური მიზანსცენების მთელი კასკადი... ბოლოს და ბოლოს, ლიზას კედელზე აყუდებდა და მის გარშემო შამანურ ცეკვას იწყებდა, რითიც ცდილობდა თოჯინასთვის “ჯადო აეხსნა”: ჯიბეებიდან რიგრიგობით იღებდა თავის ნახელავ რამდენიმე მარტივ ქმნილებას, მყისვე რომ ცოცხლდებოდნენ, როგორც კი მათ სამოძრაო თოკებს შეეხებოდა ან როგორც კი რომელიმე მათგანის ბალახონში გაუყრიდა თითებს, – და ისინიც მოუწოდებდნენ ახალ თოჯინას გონს მოსულიყო, გაადამიანებულიყო და მასაც დაეწყო ცხოვრება... მარიონეტები მხრებზე აცოცდებოდნენ დიდ თოჯინას, გზადაგზა კი დაუჯერებელ ილეთებს აკეთებდნენ, ესოდენ

რომ ეხერხებოდა მათ ოსტატს...

მოკლედ, ეს იყო თვალისმომჭრელი, კასკადური ნომერი, რომლის ფინალშიც, განცვიფრებული მაყურებლების მქუხარე აპლოდისმენტების ფონზე, “თოჯინა ლიზა” უცბად “ცოცხლდებოდა”: როგორც ჩანს, მაყურებელთა კარგა დიდი ნაწილი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული, რომ თოჯინა ცოცხალი მსახიობი ქალი იყო. და მაშინ... აჟღერდებოდა ხოლმე ჯანგო რეინჰარდტის “მინორული სვინგის” პირველი აკორდები, და პეტკა და ლიზა ცეკვავდნენ მათივე დადგმულ იმ მომაჯადოებელ, მომნუსხველ ეროტიკულ ცეკვას, – რაღაც შუალედურს ტანგოს, ლამბადასა და კიდევ რაღაცას შორის, – რომელიც ჭკუიდან შლიდა ხალხს.

ისინი მხოლოდ ზედმიწევნით სუფთად, ფილიგრანული სიზუსტით როდი ცეკვავდნენ. მათ ცეკვას იმიტომ ხვდებოდა ხოლმე წილად გრანდიოზული წარმატება, რომ მაყურებელი მასში იმ ფარულ ინტიმურ სინქრონულობას გრძნობდა, რომელიც ვერასდროს მიიღწევა ვერანაირი რეპეტიციებით, და რომელიც მხოლოდ მრავალწლიან წყვილს შორის მყარდება.

კი მაგრამ, – ვფიქრობ, – როგორღა აღწევდა ის მსგავს სინქრონულობას ელისსთან, უსულო თოჯინასთან? და “ცეკვა-ყირამალაში” პარტნიორთა სწორედ ამ დახვეწილი ურთიერთშეწყვილების გამო ხომ არ ეჭვიანობდა მასზე ლიზა, ამის გამო ხომ არ იტანჯებოდა ასე საშინლად?

ერთი სიტყვით, ეს იყო უმაღლესი კლასის ნომერი, რომელიც, სხვათა შორის, კარგადაც აცხოვრებდა მათ.

ისინი მუდმივად გამოდიოდნენ სცენაზე, პეტკა თეატრიდანაც კი წამოვიდა, საიდანაც, კაცმა რომ თქვას, კარგა ხნის წინ აპირებდა წამოსვლას: გასტროლები სამი წლით წინასწარ ჰქონდათ გაწერილი. რომ დაორსულდა, ლიზა მაგრად იკრავდა მუცელს და მაინც გამოდიოდა სცენაზე, და ეს ლამის მშობიარობამდე გაგრძელდა... მერე კი სცენის დარდი აღარ ჰქონდათ.

ჩემი დაუვიწყარი ბებიკო სიტყვებს ჰაერში არასდროს ისროდა.

და სანამ მე კლინიკა “კფარ-შაულში” ლიზას ვმკურნალობდი, პეტკა, სცენაზე ლიზას შემცვლელის ძიებაში, გიჟივით აწყდებოდა აქეთ-იქით.

არაფერი გამოდიოდა: ნომერი შექმნილი იყო ლიზასთვის და ლიზაზე იყო მორგებული, მის მინიატურულ სიმაღლეზე და არარეალურად მცირე წონაზე. მოზარდი გოგონები, საბავშვო ქორეოგრაფიული ანსამბლების აღსაზრდელები, სადაც პეტკა, პირველ ყოვლისა, მიქანდა, როლს ვერ უმკლავდებოდნენ; მოზრდილ მსახიობებში კი ისეთი, ყუთში რომ ჩაეტეოდა, უბრალოდ, არ არსებობდა...

და მაშინ მის თავში საუბედუროდ! – იშვა “სხვა ლიზას შექმნის” იდეა: ყველაფერი

უნდა შებრუნებულიყო ნომერში იმ დონემდე უნდა შთაბერვოდა სული თოჯინას, რომ არავის მაყურებელთაგან მის ადამიანურ ბუნებაში ეჭვი არ შეჰპარვოდა.

დაწვრილებით არ ვიცი, როგორ დამზადდა ეს საოცრება მეტისმეტად შორს ვიყავი, და როცა მირეკავდა, მხოლოდ ლიზა და მისი ჯანმრთელობა აინტერესებდა. მაგრამ ძუნწად ამოთქმული სიტყვებით მივხვდი, რომ ვიღაც ნაცნობი მექანიკოსის დახმარებით თოჯინას ძირითადად თვითონ ამზადებდა ამერიკიდან გამოწერილი რაღაც უახლესი, დასამუშავებლად იოლი მასალისგან, რომელიც ტექსტურით ხეს წააგავდა, მაგრამ ბევრად მსუბუქი იყო. რაც მთავარია, რაღაც უნიკალური შერეული მექანიკა გამოუყენებიათ, რომლის შემუშავებასაც მრავალი კვირა მოანდომეს.

სიმართლე გითხრათ, მე მისი თოჯინების მაგვარი რაღაც მქონდა წარმოდგენილი, – სასაცილო, თბილი ქმნილება (პეტიას დიდად არც უყვარდა მექანიკური ხელსაწყოები, რადგან მიაჩნდა, რომ თოჯინას ხელოვანის ოსტატობა აცოცხლებდა), – ამიტომაც გავოგნდი ისე აეროპორტში, სადაც არ დაეზარა და მოათრია ეს... სიურპრიზი. მე ისინი ჩამომფრენთა დარბაზში, ერთ სვეტთან შევნიშნე. დავინახე, როგორ მიქნევდა ხელს ლიზა, მათ მივაშურე და... ჰო, გვარიანი შოკი იყო! პეტკა კი ეშმასავით ხარხარებდა, თოჯინას ხელს არ უშვებდა, იხუტებდა: მას კი, თოჯინას, იღლიაში მრავალთაგან ერთი პაწია ბერკეტი თუ,

ღმერთმა უწყის, რა ჰქონია, – რომელიც თავის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მოძრაობებს უზრუნველყოფდა; ამიტომაც აღერილ კისერზე დადგმულ თავს ხან აქეთ-იქით ატრიალებდა, ხან კი თანხმობის ნიშნად მიქნევდა ლიზას გამომეტყველებით, თითქოს ყურადღებით უსმენდა ჩვენს რეპლიკებს...

და აი, ჩვენ ვსხედვართ გაშლილ სუფრასთან მათს ახალ, ძალიან პრაღულ ბუდეში...

– საოცრად ალერსიანი, ბანჯგვლიანი ცუგა, სამფეხა ინვალიდი, რომელიც პეტკამ გადაარჩინა და განკურნა, და ნაკლული კიდურიც დაუმზადა (და ესეც იყო განხეთქილების ერთი მიზეზი: ლიზა თვლიდა, რომ ყარაგიოზი ხის ფეხის გარეშეც კარგად დარბოდა; პეტკას კი დაეჟინა, რაკი ძაღლს ოთხი საყრდენი წერტილი ეკუთვნის, ნაკლული, მეოთხე ფეხის ადგილი უნდა შეივსოსო).

ვერა და ვერ წარმოვთქვით პირველი სადღეგრძელო, სუფრას ხან რა აკლდა, ხან რა: რაღაც დარჩენილიყო მაცივარში, სადღაც გადაკარგულიყო ბოთლის გასახსნელი... და მხოლოდ თოჯინა ელისი იჯდა აუღელვებლად, და სავსებით ლიზასეული, მომაჯადოებელი ღიმილით იღიმებოდა.

უკვე მაშინ გავიფიქრე: ეს რა იდიოტური ხუმრობაა? რატომ დასვა თოჯინა ჩვენთან ერთად სუფრასთან? მაგრამ პეტკა ძალიან

ამაყობდა თავისი ქმნილებით (სულ ახლახან დადგა თოჯინასთან ერთად მართლაცდა გამაოგნებელი ნომერი, რომლის შესახებაც მოგვიანებით აღფრთოვანებულ სტატიებს ბეჭდავდა პრესა მრავალ ქვეყანაში), წარამარა აცქერდებოდა თოჯინას, აშკარად ტკბებოდა თავისი ნამუშევრით, და რაკი ავიწყდებოდა, რომ უკვე მკითხა, სამჯერ მაინც ჩამძახა:

– არა, მართლა, ხომ მშვენიერებაა?

უნდოდა, რომ ყველას ელისისთვის ეცქირა, ყველა დამტკბარიყო მისით. ის გაუჩერებლად ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა იაპონური თეატრის, ბუნრაკუს თოჯინებზე, რომლებიც, ევროპელის თვალთახედვით, უხეშად ნატურალისტურია, სამაგიეროდ, სცენაზე უაღრესად დაძაბულ მოქმედებას წარმოადგენენ, რისი მიღწევაც ევროპულ თოჯინების თეატრს არ ძალუძს. გაიხსენა ვიღაც ანტიოქე დიდი III, სელევკიდების მეფე, რომლის კარზეც თოჯინები მეჯლისებს მართავდნენ, და რომ ამას ის ურთულესი, საოცარი სიზუსტით დამზადებული მექანიზმები განაპირობებდნენ, რომელთა წყალობით იქმნებოდა სრული ადამიანურობის ილუზია. თანაც, ის ანტიოქე თურმე თვითონ დამოწაფებია კომედიანტებს, რათა თოჯინების მართვა შეესწავლა, და იმდენი უმეცადინია, სანამ უჩვეულო სიმაღლეებისთვის არ მიუღწევია ამ პროფესიაში ის თვითონ აცმევდა თავის უზარმაზარ თოჯინებს, თვითონ რთავდა

ოქროთი და ძვირფასი თვლებით... – მოკლედ, აშკარად და სავსებით ჩემი პაციენტი ყოფილა.

დროდადრო, ვითომდა, დაბლა დავარდნილი დანის ასაღებად უცბად დახრილი, ან ელისის წინ შემთხვევით ჩავლილი პეტკა შეუმჩნევლად აჭერდა თითს რომელიღაც პატარა ბერკეტს ან ღილაკს და წყეული თოჯინაც რაღაც კმაყოფილ, წკლაპუნა ხმას გამოსცემდა, ან მიბნედილად არწევდა თავს... სიმართლე გითხრათ, მოულოდნელობისგან შევხტებოდი ხოლმე, თავს ძალიან უხერხულად ვგრძნობდი, მაგრამ, აი, ლიზა კი...

მაშინვე უნდა მიმექცია ყურადღება მისი მდგომარეობისთვის: მისი ავადმყოფურად მოელვარე თვალებისთვის და წყნა რი, სასოწარკვეთილი ღიმილისთვის...

უცებ მან იკითხა:

– ბორია, შენც მოგწონს ეს საოცარი გაორება?

დავიბენი და მხურვალე ხოტბა შევასხი ოსტატობას, რომლითაც თოჯინა იყო შექმნილი.

– მაგრამ მე ვჯობივარ, არა? – ლამის ვედრებით შემაწყვეტინა ლიზამ, – მე ხომ ცოცხალი ვარ. ნეტავ, რა იპოვა მასში?

და პეტკამ აშკარა იყო, რომ ეს თემა უკვე არაერთგზის განეხილათ, რადგან არგუმენტებს არც კი განიხილავდნენ, უბრალოდ, ორივე მათგანი ტყვიებივით

მხურვალედ ისროდა მათ, – თქვა:

– ასეთ შედარებას მხოლოდ იდიოტი თუ ეცდება, გამიგე? აქ საუბარი ხელოვნებას ეხება, უსულო არსების გაცოცხლებას. წარმოდგენა მაინც თუ გაქვს, რას მივაღწიე? ბუნრაკუში ერთ თოჯინას სამი მსახიობი დაატარებს, მე კი დაუჯერებელი რამ შევძელი...

– იცი, ბორია, – სავსებით სერიოზულად, ისე, რომ ქმრისკენ არც გაუხედავს და მისთვის არც მოუსმენია, ჩაილაპარაკა ლიზამ, – ვგრძნობ, რომ ამ თოჯინისთვის მარტო ჩემი გარეგნობა კი არ გამოიყენა, არამედ რაღაც უფრო მნიშვნელოვანიც.

პეტკამ ტანჯული სახით წამოიძახა:

– მაინც რა?! ღვიძლი?!

– არა, – თვინიერად, ნერვიული ღიმილით მიუგო მან, – სული...

– ლიზა, რა სისულელეა!!! – აფეთქდა პეტია.

იმ დღეს გულდამძიმებული წამოვედი მათგან... ხოლო ასე, თვე-ნახევრის შემდეგ, მან უკვე ცოცხალმკვდარმა დამირეკა იერუსალიმში.

იმ დროიდან ელისი სახლს მოაშორა, – ეს მანამდე მოვთხოვე, სანამ ლიზას უკან, პრაღაში, გავუშვებდი. და დიდხანს არც ვიცოდი, სად ინახავდა იმ თოჯინას, სანამ ერთხელ ჩემთვის მოულოდნელ ადგილას არ ვნახე იგი...

* * *

და მაინც, ასე ძალიან რამ გამიფუჭა დღეს გუნება? ჰო, ცუდად, ცუდად გამოიყურება პეტია, და უკვე გვარიანადაც გაჭაღარავდა. ეს აღარაა ძველი პეტკა კლოუნი, მასხარა, ზღაპრული ტრიქსტერი, რომელსაც ჰქონდა ყოვლისშემძლე, თითქოსდა ტანისგან განცალკევებით მცხოვრები ხელები, და კიდევ ოინბაზი თითები, თითქოსდა სამ კი არა, არამედ ოთხფალანგიანები, რომელთაგან მეოთხე იყო უძვლო და სასწაულმოქმედი; ეს აღარ იყო ძველი პეტკა, რომელსაც ჰქონდა მუცლითმეზღაპრეობის ფანტასტიკური უნარი... უნარი, ესაუბრა ნებისმიერი ხმით, განსაკუთრებული სიფაქიზით კი ქალის ხმით და თანაც ისე, თითქოს ხმის წყარო სადღაც, მის ზურგს უკან იყო, ოთახის კუთხეში ან სულაც ფანჯრის გარეთ.

ერთხელ, ღამით, ლიზასგან აკადემიჩნაიათი რომ ბრუნდებოდა, გარსშემოხვეული ბიჭბუჭების მთელი ხროვა გააქცია, ისე ოსტატურად მიბაძა მილიციელის სასტვენს.

ერთხელაც, რაღაც უაზრო შეხვედრაზე წავიყვანე, “შოკოლადნი ბარში”. იქ ძალიან მოიწყინა და გასართობიც გამონახა: იჯდა აქ, სკამზე, მღეროდა ნაღვლიანად და ჯიუტად და სადღაც იქიდან, შორიდან მოისმოდა კოლორატურული სოპრანოს ხმა ჯერ “ა-ა-ა-ა-ა-ა“, მერე კი სხვა ხმოვნებიც... სანამ ჩვენს თანამოსაუბრეს მოთმინება არ დაელია და არ წამოიძახა:

– ნამდვილად დავახრჩობდი ამ ვოკალის სტუდენტს!

ლიზას წასაყვანად როცა ჩამოდის წინასწარვე უარყოფილი, დამცირებული ჯალათი წესიერად დალაპარაკებასაც კი ვერ ვახერხებთ ხოლმე. იერუსალიმი მისი მტკივნეული ადგილია. იერუსალიმი ნიშნავს განშორებას, ლიზას ავადმყოფობას და მისდამი მტრობას, და მის უსასრულო სევდას... ღმერთმანი, ნორმალურად რომ ვილაპარაკოთ, პრაღაში უნდა ჩავფრინდე. საჭიროცაა... ამბობენ, რომ ამ ზამთარს ევროპაში ჯადოსნურად თოვლიანი ზამთარია. ხომ არ დავეთხოვო გიჟებს ერთი-ორი დღით და ხომ არ დავახვიო? რამდენი ხანია, რაც პრაღაში არ ვყოფილვარ? ორი წელია, მგონი.

...კარგი, კმარა სადღეისოდ, ექიმო. დაახვიე შენი მანუსკრიპტი, გამორთე კომპიუტერი, გაქუსლე შინისკენ. ჰოდა, საძილე საშუალებაც მიიღე, ერთი და იგივე კადრი რომ არ იტრიალო თვალწინ: როგორ მიდიან ისინი ჭიშკრისკენ, ის ორნი, – წინ ლიზა, უკან ის; ერთიერთში ლურჯწვერა და მისი უმწეო მსხვერპლი.

და მხოლოდ, სულ ვფიქრობ და ვერ გამიგია, რომელია ამ ორთაგან მსხვერპლი”.

თავი მესამე

– აი, სილვა, – თქვა ლიზამ, – “უშანკა” რომ ახურავს. ტრანსპორტიორთან.

არაფერი შეცვლილა აქ ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში: ჩამომფრენთა დარბაზში აუჩქარებელ მდინარედ მოედინებოდა საბარგო ლენტი, აქვე ირეოდნენ მძღოლები და ქარივით სწრაფად ჩაყვანას გპირდებოდნენ, თუნდაც, სამარამდე, ან, თუნდაც, ტოლიატიმდე.

სქელ, მორუხო ჰაერში, რომელიც თვითმფრინავების ძრავების გამონაბოლქვითა და თამბაქოს კვამლით იყო გაჯერებული, იდგა მაღალი, არააქაური შესახედაობის სილვა საოპერო სილამაზის მქონე მამაკაცი და ვიღაცების თავებს ზემოდან მოსძახოდა მათ:

– რაო?! ფერი! რა ფერისაა ჩემოდანი-მეთქი?! – და ხელებს ისე იქნევდა, თითქოს საბარგო ლენტიდან, ყოველი შემთხვევისათვის, რეისის ყველა ჩემოდნის გადმოყრას ეპირებოდა. და შეეძლო კიდეც: მასში ხომ ყოვლისმომცველი წინამძღოლის უძლეველი ენერგია დუღდა.

– დაიცადე, სილვა, – უთხრა პეტიამ, როცა მიუახლოვდა, – ნუ ჩქარობ. იქ ერთადერთი ზურგჩანთაა. ლიზასი კი, აი, მე მაქვს.

სილვა მყისვე გადაერთო ლიზაზე, ხელები შემოხვია, რისთვისაც ჩაიმუხლა და ერთბაშად ატირდა, რაღაცნაირად, ქალურად, მოურიდებლად. ხომ უნდა მოგმადლოს

უფალმა ასეთი მგზნებარე გული...

– მორჩა, ლიზა, მორჩა... დაგვტოვა ვისენკამ...

სილვა ჟუზეპოვიჩ მორელლი (სწორედ ასე) დიდი სამამულო ომის დროს კუიბიშევში ევაკუირებული იტალიური დიპმისიის ერთი წარმომადგენლის, შავთვალა, ქარაფშუტა ლამაზმანის ვაჟიშვილი იყო.

მას შემდეგ, რაც მისიის მზარეულისგან სილვა გააჩინა, ლამაზმანმა არნახული კარიერული კულბიტი გააკეთა, მოულოდნელად კონსულის თანაშემწეს გაჰყვა ცოლად და ახალ ქმართან ერთად ისე დაახვია მილანში, რომ შვილის თან გაყოლება სულ გადაავიწყდა. ულამაზესი ბიჭუნა ადგილობრივ ბავშვთა სახლში გაამწესეს. მალე მას სავსებით დაავიწყდა იტალიური ენა, სკოლა დაამთავრა და მთელი ცხოვრება იმუშავა სამშენებლო ტრესტში. ის თავს ნამდვილ რუსად თვლიდა, მაგრამ ასეც მომხდარა ცხოვრება ხომ ჭრელია სომხების მიზეზითაც დატანჯულა, ებრაელების მიზეზითაც და ბოშების მიზეზითაც კი; და თუმცა ლიზას დეიდა გამუდმებით ჩასჩიჩინებდა წასულიყო მოსკოვში, საელჩოში, – ჭარმაგობის ჟამს სამართლის საძიებლად, – ის ჯიუტობდა და არა და არ ადგამდა ნაბიჯს იტალიელი ნათესავების მოსაძებნად. ლიზას დეიდა და სილვა კარგი მეგობრები იყვნენ, ამიტომ მისი ცრემლი გულწრფელი და ამაღელვებელი იყო.

– ასეა, – ჩაილაპარაკა მან, და ცისფერი ცხვირსახოცით შეიშრო ცრემლი ახლადგაპარსულ, საოპერო ტენორისთვის შესაფერ სახეზე. – ასეა, ასე... აი, ასე უცაბედად გარდაიცვალა, ლიზონკა, დეიდაშენი... ტელეფონით ლაპარაკობდა და ეგრევე, ტელეფონიანად დავარდა. მე კი...

– ზურგჩანთა ჩამოვიდა, – თქვა ლიზამ, სილვამაც მგზა ვრები მიმოფანტა და საბარგო ლენტს მიაწყდა პეტიას მაღალი, გაბერილი ზურგჩანთის გადმოსათრევად, აი, ისეთის, გამოცდილი ტურისტები რომ დაატარებენ მრავალდღიან ლაშქრობებში.

მოსკოვის გზატკეცილის გზაჯვარედინზე სილვამ დაამუხრუჭა და მოულოდნელი აზარტით იკითხა:

– მოდი, ძველი გზით წავიდეთ, ჰა? კარგი გამომშრალი ჩეხონი ვიყიდოთ სადმე... ვისიასთან, მაცივარში ლუდი დამრჩა, ჰოდა, ჩეხონთან ერთად, ეგ იქნება, რაც იქნება!

– წადი, რომელი გზითაც გინდა, – თქვა პეტიამ.

– ძველით, ძველით! – ღონივრად დააკანტურა თავი სილვამ. მერე ქუდი მოიხადა და ურჩი, არტისტული კულულები დრაფის ძველი პალტოს საყელოზე გადმოეყარა.

– ზედმეტ ათ კმ-ს კი გავივლით, მაგრამ, სამაგიეროდ, ვოლგის ნაპირებს დაინახავთ, ცარევშჩინაზე ულამაზესი ეკლესია დგას, ჰოდა, ჩეხონკასაც გავიყოლებთ ბაზრიდან... წინა ჩამოსვლაზე ხომ ნახე ჩვენთან,

“ცარევი კურგანზე” ჯვარი აღმართეს... ლიზა, გესმის? – ჯვარს დავინახავთ ახლა...

ლიზა მის ზურგსუკან იჯდა, უხმოდ გასცქეროდა მოწყენილ, თოვლით დაფარულ მინდვრებსა და სააგარაკე მასივებს, გზისპირა სარეკლამო ბანერებს, ადამიანური ყოფისთვის სრულიად უსარგებლო რამეებს რომ გთავაზობდნენ: რაღაც პროპილენს, მინერალურ სასუქებს, ასფალტის დასაგებ მანქანებს...

– იცი, რას ვამბობ... – სილვამ ზემოთ აიხედა და სალონისკენ მიმართულ სარკეში ლიზას საპასუხო მზერის დაჭერა სცადა: – აი, სიკვდილიც ესაა-მეთქი, არა? ვისია ხომ არც აქეთ, არც იქით, ზუსტად თავის დაბადების დღეს გარდაიცვალა... სტუმრები დაპატიჟა! ორი დღე ქურასთან იდგა, წვავდა და ხარშავდა... მერე დაქალთან მოუნდა წაქაქანება, ორი სიტყვის თქმა ძლივს მოასწრო... ბრახ და ამინ! მაცივარი საჭმელებით იყო გამოტენილი თხილს ვეღარ ჩააკვეხებდი. ლაბა გინდა, ვინეგრეტი, ჩაშუშული ხორცი, შემწვარი ქათმები... არ დაიჯერებ: თავისივე ნამზადით ვუხსენეთ სული!

ცრემლი კვლავ წამოგორდა მის კარგა დიდ, რომაელი სენატორის ცხვირზე; ის კურცხალს შავი, ნაქსოვი, საჩვენებელ თითზე ოდნავ გამოხეული ხელთათმანით იწმენდდა.

– მორჩა, მორჩა, – იმეორებდა ქსუტუნით, – აღარ ვიტირებ. ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე და...

პეტია ფანჯრისკენ შებრუნდა. იქ, თეთრი, ყრუ ცის ქვეშ თაბაშირის მწკრივად გაბმულიყვნენ გიგანტური, გაწელილი სხეულების თავები, მხრები, ძუძუები, მრავალგვარი კუნთები და სხეულის ნაწილები, – საუკუნოდ გაყინული თოვლის სივრცეები. ფანჯრისკენ იმიტომ შებრუნდა, რომ სილვას მისი სახე ვერ დაენახა. ვერაფერი მოეხერხებინა საკუთარი სახისთვის: სავსებით და უსაშველოდ ბედნიერი იყო...

...მას ისევ ახსენდებოდა ის ბედნიერი დილა, როდესაც იქ, ეილათში, ერთად გაიღვიძეს... ეს იყო გუშინ, ასი წლის წინ, და ბევრმა წყალმა ჩაიარა იმ წუთის შემდეგ, რაც ლიზას ოდნავ ჩახლეჩილმა, ნამძინარევმა ხმამ გააღვიძა:

– იქ რა არის, მზეა?

მან თვალები გაახილა და აღმოაჩინა, რომ მკერდზე ლიზას თავი ედო, და მეწამულად მობრიალე თმის ბურუსში ჭერმისფერი ფარდები მქრქალ-ვარდისფრად მოჩანდა... ხალასი გუმანით მიხვდა, რომ ლიზა დაბრუნდა, დაუბრუნდა... რამდენიმე წუთს არ განძრეულა, ენითუთქმელი ბედნიერების შეგრძნებას მინებდა. ლიზაც წყნარად იწვა, რაღაც ნაღვლიან მოტივს კრუტუნებდა, წარამარა ახველებდა, რა დროსაც მისი თავი რბილად უღუტუნებდა მას მკერდზე.

ქვემოდან აუზში მობანავეთა ხმა ამოდიოდა, დროდადრო ბავშვის აღტაცებული ყიჟინა გაისმოდა, ბალახიან ფერდობს

ტყვიამფრქვევის ჯერივით გადაუგრუხუნებდა ხოლმე გაზონების საკრეჭი მანქანის ხმა, პაუზებში კი სანაპიროს მხრიდან აღმოსავლური, მტირალა მელოდიის კვნესა აღწევდა.

დასაწყისისთვის, ფრთხილად დაუკრა თითებით ნაზი ცეკვა მის ზურგზე. ქალს ეცვა პიჟამა, რომელიც სწორედ გამომგზავრების წინ უყიდა “C&A”-ს ბავშვთა განყოფილებაში, ვაცლავის მოედანზე: მქრქალ-ფირუზისფერ ველზე წითელი, მომღიმარი თევზები (გამოდის, ღამით წამომდგარა? ლიზა ისეთი უხმაურო იყო, ხელის ცეცებით შეეძლო ამოეღო საჭირო ტანსაცმელი ჩანთიდან, ჩემოდნიდან, ზურგჩანთიდან... და, რაც მთავარია, გრძნობდა მას როგორც წყაროს მაძიებელი გრძნობს ლერწით შორიახლო არსებულ წყალს)... მერე უფრო გაბედული ქმედება წამოიწყო: ხელისგულით დიდი, შეყვარებული თევზი შექმნა, რომელმაც საკმაოდ დიდხანს, სიფრთხილით ისხმარტალა პიჟამას მიდამოებში და დროდადრო, ქალის ოდნავი მოძრაობისთანავე, შეშინებული წამოფრინდებოდა ხოლმე; ბოლოს, საბნის ქვეშ ღრმად ჩაყვინთა, იქ სხეულის სიმხურვალით დაიფუფქა (როგორც ჩანს, პიჟამას ქვედა ნაწილი ღამით ვერ მოიძებნა), აცახცახდა და თავი მოიმკვდარუნა.

ლიზა იწვა, თითქოსდა უგრძნობი, თვალდახუჭული, და ოდნავ შესამჩნევად უცაცუნებდა ლოყას მის მკერდს. უცბად საბანი განზე მოისროლა, მუხლებზე დადგა,

რაღაცნაირად, მთლიანად გამოჩნდა მიმოფანტული წითელი თევზების გუნდში, სხეულზე შერჩენილი ერთადერთი, ქვემოთ ჩამომსხლტარი, საოცნებო ცეცხლოვანი თევზით, მუდამ, თუნდაც სანახევროდ სიბნელეშიც კი რომ აბრმავებდა მას; ორივე მუშტით მაგრად მიებჯინა კაცს და მერე ერთად გაცურეს... შეწყობილი წყალქვეშა ბიძგებით და ჰარმონიული შემობრუნებებით, ამოფრენებით და ჰაერში წამიერი გარინდვებით; და უსასრულო მარჯნისფერ ათინათებში ერთმანეთის უეცარი, შმაგი დადევნებებით, მეწამული თმის კარავში სულის შეხუთვებით, და სულმოუთქმელად, კვლავ ჩამუქებულ, ნოტიო სიღრმეებში ჩაძირვებითა და ზედაპირზე ამოქანებებით, და ნელი ტალღების მძიმე რწევაში ერთმანეთს ზევით ტივტივით... და კაცის ბრმა ტუჩებს ვერა და ვერ დაეჯერებინათ, და საკუთარ თავს უმტკიცებდნენ, და მაინც არ სჯეროდათ, რომ ეს მისი მხრებია, მისი კისერია, მისი ტუჩებია, მისიმხრებია... – სანამ, ბოლოს და ბოლოს, ნაპირზე არ გამოირიყნენ, და ჭერმისფერი მზის გუბეში არ მოეგნენ გონს... მზისა, რომელსაც თავისი მოგიზგიზე ნიაღვარი ფარდების გავლით ღონიერ ნაკადებად გადმოეშვა პირდაპირ მათ უზარმაზარ, შტორმით მიმონგრეულ საწოლზე...

...მადლობა უფალს, ამ ჯერზე არ ყოფილა ის საშინელი: “წადი და ის შენი მკვდარქალა გაჟიმე!” ან რამე უარესი: “მიდი, ძაფი მოქაჩე,

იქნებ, გავშალო ფეხები...”

ქალმა მკაფიოდ თქვა:

– მაინც მძულხარ და მიგატოვებ. საცურაო კოსტიუმი ვიყიდოთ?

კაცმა თქვა:

– მორჩა. ყველაფერი ვიყიდოთ გარშემო. ჩემი უგონო ბედნიერება ხარ, ბედნიერება...

– აი, ოღონდაც ეგეთები არ გინდა, ნაბიჭვარო! – ქალი შეიჭმუხნა და ზედ ცხვირთან მიუტანა საჩვენებელი თითი, თითქოს უმიზნებსო:

– შენ ჩემთვის არავინ არ ხარ, გაიგე? არავინ! ყარაგიოზი როგორაა?

– დაკაკუნობს და არის, – კაცი იწვა და ჭერს უღიმოდა. – ტონდას მივაბარე. როგორც ყოველთვის.

... – ვოლჟსკი კი ჰქვია სახელად ამ დაბას, მაგრამ, – სილვას ჰქონდა ლამაზი, რბილი ტემბრის მჟღერი ტენორი; იგი დამატებით უცნაურობებს ამცნობდა დანჯღრეული “ვოლგის” ფანჯრებს მიღმა მიმქროლავ მკვდარ-ცვილისებრ მინდვრებს ხალხი მაინც ცარევშჩინას უწოდებს. რატომ? იმიტომ, რომ აზოვზე გალაშქრების დროს პეტრე პირველმა საკუთარი ხელით აღმართა მაგ ყორღანზე ჯვარი. ის ციცქნა ეკლესია კიდევ პეტ, გახედე, იქით, მარჯვნივ... – ვისია იტყოდა ხოლმე: პროვინციული რენესანსიო... – მანდ დეკაბრისტი ვედენიაპინია დაკრძალული...

...არა, სილვას უწყვეტი მონოლოგის მიუხედავად, შეუძლებელი იყო ვოლგისპირა სივრცეებზე გადართვა. გაძალიანებული გული და სული ნებას არ აძლევდა კაცს დეკემბრის მზიანი ზღვისპირეთიდან ამოეყვინთა... როგორც ქინქლა ქარვაში, ისე გაჭედილიყო გამჭვირვალე ნათლის კრისტალში... მოგონებებად მოცურავდნენ შაქარყინულისებრი ცის ქვეშ გადაშლილი, ვარდისფერ, მუქ-ლილისფერ და მდოგვისფერნაკეცებიანი მთები... თევზის ქერცლივით მოლაპლაპე წყლის ზედაპირი ყურეში, სასაზღვრო ნაღმოსნების თუჯის უთოები, დღის განმავლობაში ნელა რომ უვლიდნენ წრეს არემარეს, თითქოს გიგანტური მრეცხავის უხილავი ხელი ყველა ნაოჭს ბეჯითად აუთოებსო ულამაზეს ლურჯ სუფრაზე.

ზარმაცი, ნეტარად-მოზეიმე, თითქოსდა ქარით ფრთაშესხმული ზღვისპირა ცხოვრება... ზამთრის მზის უნაზესი ათინათები, მაღალი პალმების ტოტებს რომ დასთამაშებენ, და თეთრი ტილოს ტენტებს რომ ელამუნებიან მათი სასტუმროს განიერ ტერასაზე, სადაც ლიზასთან ერთად საუზმობს მას მერე, რაც... რაც... ახლა უკვე შეუძლია, ხარბად უცქიროს: აი, ლიზას ხელი კალათიდან პურის დაბრაწულ ნაჭერს იღებს, თაფლიან პაწაწინა კოლოფს ხსნის, თაფლი კი მისი თვალების ფერს ირეკლავს... თვალების, რომელნიც ახლა მის თავზემოთ დააცურებენ ისეთ უშფოთველ, ისეთ ნოტიო

და წყლიან მზერას, რომ წამიერი ცახცახი უვლის ტანში...

ნაღმოსნებთან შედარებით, აქედან რაღაცნაირად, ისე უმნიშვნელოდ მოჩანს პატარა გემებისა და იახტების იალქნებზე სასიგნალო ალმები, თითქოს პეპლებმა წამით მოკეცეს ფრთე ბი და წყლის ლურჯად მოკამკამე ზედაპირზე დასხდნენ.

აქაური მაცხოვრებლები ტაქსისტები, ოფიციანტები, სასტუმროს პერსონალი ძალიან უშუალოები არიან, – მოლაპარაკეები, გულღიები, ფამილარულებიც კი. ტერასაზე ყავას ახალგაზრდა ოფიციანტი დაატარებს: კარგად განვითარებული მხრები სპორტულად აქვს აწურული, იაპონელი სამურაის მაღალ კეფაზე გირჩისებურად შეუკრავს თმა, ღონიერ, გარუჯულ კისერზე კი ფაქიზად აქვს ამოსვირინგებული რომელიღაც რთული იეროგლიფი. ყავადნით ხელში, მაგიდებს შორის თითქოსდა მოცეკვავე ნაბიჯით დადის, და იგრძნობა მასში რაღაცნაირი, მოქნილი, მოზღვავებული ძალ-ღონე. ხალისით, დროის დაუნანებლად, კარგი ინგლისურით უყვება სასტუმროს მობინადრეებს ამა თუ იმ სალათის ან რომელიმე სხვა კერძის ინგრედიენტების შესახებ, ურჩევს ან არ ურჩევს, ეწინააღმდეგება, თვალებს ჭუტავს, ლიზას რეპლიკების საპასუხოდ გემრიელად ხარხარებს, ორიოდ სიტყვით საკუთარ დედაზე ჰყვება, რომელმაც თურმე “მაწანწალა” შეარქვა. მას, მოკლედ,

ვინდსერფინგი იტაცებს, ამიტომაც გადმოსახლდა იერუსალიმიდან ეილათში.

...ლიზას კი ჯერ არ გადაუწყვეტია მიდიან აქაურ სახელგანთქმულ აკვარიუმში, თუ...

“ჯერ საცურაო კოსტიუმი!” – შეახსენებს ქალს და თავიდან იმას ნატრობს, ეს საუზმე უსასრულოდ გაგრძელდეს, მერე კი იმას, რომ ის, რაც შეიძლება, მალე დამთავრდეს, რათა კვლავ ნომერში ავიდნენ. და ადიან კიდეც საბანკო ბარათიანი საფულის წამოსაღებად, რომელიც წინდახედულად ჩატოვა ზურგჩანთაში.

ერთი შეხედეთ, მათი ნომერი უკვე დაულაგებიათ, უკვე უწინდებურად უბიწოა საწოლი და თავისი შტილით აივანს იქით მაგრად გადაჭიმული ზღვის ლურჯ ტილოს ეხმიანება.

“ნუღარ დაფათურობ ასი წელი!” – გაბრაზებით ამბობს ლიზა.

იგი ღია კარში დგას და მოუთმენლობითაა ატანილი, საყიდლებზე წასვლისწინა, ოდინდელი ქალური მოუთმენლობით.

ის კი, ჩაცუცქული, ხან ზურგჩანთის ჯიბეებში იქექება შეწუხებული სახით, ხან კი ვითომდა რაღაცას ეძებს საწოლქვეშ. მოიტყუოს აქამდე და მერე გავერკვევით...

“ერთი ნახე, აქ ვინ ყოფილა!” – წამოიძახებს შეშინებული ღიმილით: – “კატა...” და მართლაც, საწოლის ქვეშიდან კატის გაწელილი კნავილი მოისმის.

“ტყუი!” – ეპასუხება ლიზა, თვალებს ჭუტავს და მის მაგრად მოკუმულ პირს აცქერდება, მაგრამ თან რატომღაც ოთახში შემოდის და კარს შიგნიდან კეტავს გასაღებით. არა და არა, იმედიც ნუ ექნება, ახლოსაც არ გაეკარება! დიდი ხანია, ყველა მისი საძაგელი ოინი ზეპირად იცის... და თუ ახლავე არ!.. ახლავე თუ არ!.. ამ წუთსვე... თუ ის მართლა სულელი, საზიზღარი და მასხარა ახლავე არ გაუშვებს ხელს, და თუ არ შეწყვეტს უი! მისი ფეხის ლოკვას, როგორც ვიღაც იდიოტი ძაღლიშვილი!!!!

...და ნახევარი საათის შემდეგ მათი მაღალზნეობრივი საწოლის კეთილსაიმედოობისგან კვალიც კი აღარ რჩება. ბალიშები იატაკზე ყრია, ხოლო სასტუმროს ფუმფულა ქოში რატომღაც პეტიას ადევს გულზე...

ნეტავ, სამუდამოდ შეიძლებოდეს ასე წოლა, – ამ ქოშით გულზე; ამ საყვარელი, გასაგიჟებელი ქოშით, რომლითაც ლიზა ტყიპავდა, და აიძულებდა გასულიყო სადღაც, ერთი საათით მაინც, ერთი წუთით მაინც, – პირუტყვო კლოუნო მახინჯო რა საჭირო იყო აქ ჩამოსვლა მთელი დღე ამ ოთახში ჟიმაობისთვის კარზე წარწერა მაინც ჩამოკიდე!!!

ჰო, მაგისთვის.

მთელი დღე.

ამ ოთახში.

უკვე ჩამოვკიდე.

ჩემო ბედნიერება...

ტენტგადმოფარებული გრძელი დახლები, რომელთა უკანაც თუჯის ბებოები გამწკრივებულან და გამოუფენიათ ემალის კასრები, ჯამები და ბიდონები (შიგ კომბოსტოს მწნილი, “კვეცხი”, კარტოფილი, ჩეხონი და სხვა პროდუქტია), – აი, სულ ესაა ცარევშჩინის გზისპირა ბაზარი.

სილვამ მანქანაში დატოვა ისინი და ხუთიოდე წუთის შემდეგ ქაღალდის პაკეტში გამოხვეული, ქარვასავით გამჭვირვალე ხმელი ჩეხონით ხელში დაბრუნდა.

– ნახე, რა ცხიმიანია, – თქვა მან და ქაღალდის პაკეტი ცხვირთან მიუტანა პეტიას, – ან რა არომატი! ამას ისეთი თხელი ფხები აქვს, გესმის, შეგიძლია ეგრევე ჭამო.

გზის დარჩენილი ნაწილი მიეძღვნა მოცემული თევზის, – რომელიც, ზოგადად, ზღვის თევზია, – ვოლგაში გაჩენის ისტორიას: მდინარე გადატიხრეს, გამიგე? ნაირნაირი ჰესები ჩადგეს... ეკოლოგია ეშმაკსაც წაუღიაო, სამაგიეროდ, რა ძვირფასი მისაყოლებელია?!

იმას, რომ ეს თევზი ძვირფასი მისაყოლებელია, მოწმობდა ისიც, რომ ცარევშჩინიდან რამდენიმე კილომეტრის რადიუსში გზისპირები თევზის ჩონჩხებით იყო მოფენილი: თავი-ხერხემალი-კუდი.

როგორც ჩანს, ადგილობრივ ხელისუფლებას “ქალაქობანას” თამაში უყვარდა:

ტაშკენტსკაია, კიევსკაია, პენზენსკაია, ვლადიმირსკაია... აი, კიდევ, სტარა-ზაგორა, დაძმობილებული ბულგარული ქალაქის პატივსაცემად საბჭოთა ინტერნაციონალიზმის დანატოვარი. ოდესღაც ბულგარელებს აქ ვარდის უამრავი ბუჩქი დაურგავთ. რა სურნელი იდგა ხოლმე ზაფხულის საღამოებში...

ბოლოს ტროიცკი ბაზრის პავილიონის თაღებიც გამოჩნდა. ესე იგი, სადაცაა, მივლენ.

დეიდა ლენინგრადსკაიაზე, ძველი სამარის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე ცხოვრობდა; მისი სახლი სწორედ იმ კვარტალში იდგა, რომელიც იქაურ საფეხმავლო ზონას ზაპანსკისგან მიჯნავდა.

ვისია ამბობდა, რომ ოდესღაც ლენინგრადსკაიას პანსკაია ერქვა მასზე ვაჭრები სახლდებოდნენ და ფარდულებში პანური საქონლით ანუ ქსოვილებით ვაჭრობდნენ. პანსკაიას იქით კი, წარმოუდგენელ სიღატაკეში ცხოვრობდა საზოგადოების არცთუ სამაგალითო ნაწილი. მობინდებულზე იმ უბანში გოგოსთან ერთად გასეირნება, და სულაც, იქით ცხვირის შეყოფა, განსაკუთრებით, სარკინიგზო ლიანდაგებს გადაღმა, არავისთვის იყო მიზანშეწონილი. მაგრამ თვითონ დეიდას ზაპანსკის უბნის არ ეშინოდა: იგი მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა სკოლაში მეოჯახეობას, ხოლო მის მოწაფე გოგონათაგან რამდენიმეს ზაპანსკელ ყოჩებშიც ჰყავდა თაყვანისმცემლები...

“ვოლგა” ძველი, მრავალბინიანი სახლის თაღთან შეჩერდა.

– გასაღები გამომართვი, – თქვა სილვამ, პალტოს ჯიბიდან პატარა ასხმულა ამოიღო და პეტიას გაუწოდა. – აი, ესაა, დაკბილული. რა ძველია, ხედავ? არ აგერევა. გარაჟში ჩავირბენ და წამში ამოვალ. ლიზა, ჩაიდანი დადგი ქურაზე ბარემ, ცხელი მინდა რაღაც. გზა თუ გახსოვთ კიმაინც?

– ნუ წუხხარ, – გაეპასუხა პეტია და ასხმულა გამოართვა. განიერ, დაბალ თაღს თოვლით დაფარულ პატარა, მყუდრო ეზოში შეჰყავდი, რომლის ბოლოც დეიდას სახლის ბაღს ესაზღვრებოდა. იასამნის შიშველი შტოები და ორი ალუბლის ხე თოვლში... – გაზაფხულობით და ზაფხულობით აქაურობა ლამაზი იყო.

ერთი-ორჯერ ყოფილა აქ ლიზასთან ერთად, მას შემდეგ, რაც მოულოდნელად გამოჩნდა მრავალი წლის წინ დაკარგული ვისია: მის გასაცნობად ჩამოვიდნენ, გაწყვეტილი ნათესაური ძაფის ხელახლა გაბმა სცადეს... – არ გამოვიდა. ლიზას დეიდა მაშინ უკვე ხნიერი, თუმცა ახალგაზრდული, ცეცხლისფერთმიანი ქალი იყო და პეტიას გულში გაუკვირდა ლიზასა და ამ ქალის ესოდენი მსგავსება გარეგნობაში, სხვა დანარჩენში კი არავითარი. ეს კარგა ხნით ადრე, თორმეტი წლის წინ იყო.

მერე კიდევ ორჯერ მოხვდა პეტია სამარაში, გასტროლებით. ვისიას ესტუმრა, და ქალის

მხრიდან კვლავ შეიგრძნო ნაძალადევი სითბო, სურვილი, ყველაფერი მოეყოლა მისთვის მეზობლების, ნაცნობების, მოწაფეების შესახებ, – ესაუბრა ყველაფერზე, გარდა მთავარისა: სად იყავი, ვისია, სანამ შენი ობოლი დისშვილი გაიზრდებოდა?

საერთოდ, სამარა უყვარდა. სწორხაზოვანი, ძალიან კაცური და მკაცრი პიტერისგან განსხვავებით, სადაც რამდენიმე წელს მოუწია ცხოვრება, ვაჭრული სამარა რბილი და ქალურ-მოქნილი ეჩვენებოდა კატასავით გაწოლილ-გაწელილი მდინარის გასწვრივ, მისკენ გვერდმოქცეული...

მოსწონდა ვოლგისკენ ჩამავალი ციცაბო ფერდობები... მდინარე ამ ადგილებში იმდენად განიერი იყო, რომ გაღმა ნაპირი ცისფრად მოჩანდა, იდღაბნებოდა და ნისლად ეკიდა ცისა და მიწის საზღვარზე; მოსწონდა ხეებჩაყოლებული განიერი ტროტუარები, მოსწონდა სიმპათიური ბებოები, გაზეთებზე კამა და ოხრახუში რომ ეწყოთ და განსაკუთრებული, ვოლგისპირული ჯიშის ვაშლები რომ გამოეტანათ ვედროებითა და ტაშტებით. მოსწონდა სანაპირო როტონდები, სადაც შუშხუნა სასმელებს ყიდდნენ, მოსწონდა მილიონიანი ქალაქის ცენტრში შემონახული სამფანჯრიანი სახლები, ჭიშკართან წყლის ავზიანები და მესერს იქით ხეხილის ბაღიანები, საიდანაც მუდამ მოისმოდა ძაღლის ყეფა.

და რაც მთავარია, მას, თათრის სრუტის

ნაპირზე გაზრდილს, განსაკუთრებით მოსწონდა ზაფხულობით კატერებისგამუდმებული გუგუნი, რომელიც გარემომცველ სივრცეში დიადი მდინარის მარადიულ თანაარსებობას შეახსენებდა...

ერთხანს იმასაც კი ფიქრობდა, სამარაში ხომ არ გადმოვსახლდეთ, დეიდაც ხომ, აი, აქ არისო. ლიზას არასდროს აუტაცებია ეს თემა. თუმცა დეიდის სახლი მოსწონდა.

კაცმა რომ თქვას, ეს მხოლოდ სიტყვები იყო: “დეიდის სახლი”, – სინამდვილეში, დეიდას მხოლოდ ერთი ბინა ეკუთვნოდა იმ სამიდან, რომლებადაც სახლი ოდესღაც დაეყოთ. მარჯვენა განაპირა ფანჯრის ზედა ჩარჩოზე ჩახრახნილი ბრინჯაოს პატარა დაფით თუ განსჯიდით, რომელზეც ეწერა “ეს სახლი დაზღვეულია”, – მთლიანობაში, ამ მანსარდიან ნაგებობას რამდენიმე ეპოქა გამოევლო. იმას, რომ სახლი ოდესღაც ერთ მესაკუთრეს ეკუთვნოდა, ადასტურებდა მისი ფასადის ყოვლად შეუფერებელ ადგილებში ჩასმული სხვადასხვანაირი შესასვლელი კარები. და მხოლოდ დეიდას ბინის კარი ძალიან მაღალი და მასიური, რომლის კეთილშობილი ჩუქურთმები ყოველწლიურად სულ უფრო იკარგებოდა საღებავის ფენებქვეშ, – იყო ის ერთადერთი, მთავარი კარი, ძველი დროიდან შემორჩენილი; სწორედ ასეთი საპარადო შესასვლელი უნდა ჰქონოდა მე-19 საუკუნის სასახლეს.

ზარიც ძველი იყო, პეტიას იგი კარგად ახსოვდა: შავი ღილაკი რამდენ ხანსაც მიაჭერდი თითს, იმდენ ხანს გაისმოდა განუწყვეტელი, გამკივანი ზრიალი. სტუმრები ფეთდებოდნენ და დეიდას ზარის გამოცვლას ურჩევდნენ ხომ არის ნაზი მელოდიები, მაგალითად, “პოდმოსკოვნიე ვეჩერა”. დეიდა პასუხობდა, რატომ გამოვცვალო, ერთხელაც არ გაფუჭებულაო.

და მსუბუქად, ჩვეულად შეიღო თბილი და სუფთა ოთახის კარი. სილვა, გულიანი კაცი, ძალიან გარჯილა.

– როგორ თბილა... – ჩაილაპარაკა ლიზამ, ზღურბლს გადმოაბიჯა და შემოსასვლელი შეათვალიერა; და კაცმა პირველად გაიფიქრა: რა საინტერესოა, ოდნავ, სულ ოდნავ მაინც თუ განიცდის მისი ცოლი დეიდის მოულოდნელ სიკვდილს? დღეს, როდესაც აეროპორტში სიფრთხილით შერჩეული სიტყვებით (უნდა აეხსნა, რატომ მიფრინავდნენ სამარაში და არა შინ), როგორც იქნა, შეატყობინა ეს სიახლე და თან, მისი რეაქციის მოლოდინში, შეშფოთებული ჩააცქერდა სახეში, – ლიზას არაფერი უთქვამს. მხოლოდ ეს იკითხა: რისგან?

– ალბათ, ინსულტი იყო, ან რამე მსგავსი, – შვებით მიუგო მისი გულგრილობით გახარებულმა. ახლა გაიფიქრა ერთმანეთს ხომ თითქმის არ იცნობდნენ ეს დეიდა და დისშვილი. იქნებ, ლიზამ ვერა და ვერ გადახარშა და ვერ აპატია ვისიას ის იდუმალი, მრავალწლიანი გაუჩინარება? ის

ხომ ძალიან უცნაურად გაქრა, ერთადერთი, ღვიძლი დის, ლიზას დედის გასვენებიდან. და მაშინვე უარყო: არა, არა მგონია. ლიზა ხომ მაშინ ერთი ციცქნა იყო. და დეიდა მათ ცხოვრებაში მხოლოდ ლიზას მამის გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდა ხელახლა. თითქოს იქ, სადღაც შორს, ამას ელოდებოდა და აჰა, მოესწროო. ზარის ხმა გაისმა, ლიზა ტელეფონთან მივიდა, ყურმილში გაისმა ნაზად, წამღერებით ნათქვამი "ჩეეეემო ბააია!" საპასუხოდ მან გათეთრებული ტუჩებით წარმოთქვა: "დედა!"

ხდება ხოლმე, როცა დებს ერთმანეთისას მიუგავთ ხმები...

– ისევ ის სუნია: ფორთოხლის ქერქის, – აღნიშნა ლიზამ, და მისი აწყლიანებული, სადაცაა აცრემლებული თვალების დანახვაზე კაცმა მყისვე, ჩვეული შიშით დაიწყო გახსენება, მიიღო თუ არა ლიზამ თავისი წამალი ამ დილით. მიიღო. თვითონ დაუსხა ჭიქაში ვაშლის წვენი აბზე მისაყოლებლად.

– სულ გაითოშე, იცი, – თქვა კაცმა შეშფოთებულად, – სულ მთლად გაყინული ხარ, პატარავ!

ეს მანია არასდროს ტოვებდა: გამუდმებით ეჩვენებოდა, რომ ლიზა მეტისმეტად პატარა იყო, რომ მისი მცირე წონა ვერ უზრუნველყოფდა სხეულის ნორმალურ ტემპერატურას, და ადრე, როცა ჯერ კიდევ ბევრს ხუმრობდნენ ხოლმე ერთად, ლიზა

ურჩევდა, ბამბაში გამახვიე და ღუმელზე შემომდეო, როგორც სოფლის ბებოები გამოზრდიდნენ ხოლმე დღენაკლულ ჩვილებს.

– ეჰ, ეილათში ახალი ქურთუკი უნდა მეყიდა შენთვის. მომეცი თათუნები...

ლიზამ უხმოდ გაჰკრა ხელი მის ხელს და სასტუმრო ოთახში შევიდა.

ოფიციალურად ითვლებოდა, რომ დეიდას ორი ოთახი ჰქონდა. სინამდვილეში კი სამი, მეტიც ოთხი იყო. ერთ დროს დიდი სასტუმრო ოთახი დეიდამ გადატიხრა, რითიც გამოიყვანა ხუთკედლიანი სასტუმრო ოთახი (მეხუთე, მოკლე კედელმა ჰოლანდიური ღუმლის ადგილი დაიჭირა, რომელიც ჯერ კიდევ პირველი გამათბობელი სისტემის გაყვანისას დაშალეს) და ეგრეთ წოდებული კაბინეტი: გამავალი პატარა ოთახი, სადაც იდგა ხის ტახტი და ერთმანეთზე დაწყობილი თხუთმეტამდე ჩეხური წიგნის თარო თავგადასავალთა მოოქროვილი სამყაროთი და თვალწარმტაცი კლასიკოსებით გამოტენილი. შემოსასვლელიდან გამავალი მეორე კარი კარგა დიდ საძინებელ ოთახში შედიოდა, რომელიც მინსკის ავეჯის ქარხანაში დამზადებული მოკრძალებული გარნიტურით იყო გაწყობილი. აქ ყველაფერი ყოველთვის გიზგიზებდა, მოღრუბლულ ამინდშიც კი: საწოლის გადასაფარებელი, ბალიშები და ფარდები დეიდას რაღაცნაირი, განსაკუთრებულად მხურვალე ალისფერი, ოქროსფერ ტიტებდაქარგული ქსოვილისაგან შეეკერა

პირდაპირ შაჰრაზადის ზღაპარი იყო (ამ ბალიშებზე რომ მიესვენებოდა ხოლმე, დეიდა თავადაც ოქრო-სპილენძისფერთმიანი, ალისფერ აბრეშუმის ხალათში გამოწყობილი ერთი ღირსეული დეტალი გახლდათ მთელი ამ სიდიადისა... უცნაურია, მაგრამ ის ქალი რატომღაც ლიზას მამას აგონებდა პეტიას და არა ტრაგიკულად დაღუპულ მის ღვიძლ დას, ლიზას დედას, რომელსაც საოცრად ჰგავდა).

ამ სპარსული სამოთხის შუაგულში, კედელზე მიჭედებულ ორ ესპანურ მარაოს შორის, ერთნაირ ჩარჩოებში ჩასმული ორი ფოტოსურათი ეკიდა: ერთი მათგანიდან პირდაპირ ობიექტივში, ერთგულად და გააზრებულად, თითქოს პოზირებსო, იცქირებოდა დეიდას საყვარელი პუდელი მარკუშა, მათუსალას ხნოვანება 23 წელიწადში რომ გაიარა (მისი გაცნობა მოასწრეს). მეორე ფოტოსურათიდან კი იყურებოდა მოტოციკლ “იავას” გვერდით მდგომი... ლიზა, ოღონდ უფრო მაღალი და მოსული: დეიდას განსვენებული ქალიშვილი ირენა, სრულიად ახალგაზრდა რომ დაიღუპა სწორედ ამ მოტოციკლეტით, – და რატომ უნდა დამტკბარიყო ვისია მისი ყურებით ყოველდღე, ყოვლად გაუგებარი იყო!

ამ დარბაზ-პალატთა გარდა, ბინაში იყო კიდევ ერთი პატარა ოთახ-ანტრესოლ-მანსარდა, – სორო, რომელიც ოდესღაც, ალბათ, მსახურებისთვის იყო განკუთვნილი. ჭერი აქ დაწესებულ ნორმატივებზე

გაცილებით დაბალი იყო, ამიტომ ოთახი საცხოვრებლად უვარგისად ითვლებოდა და სასარგებლო ფართში არ ირიცხებოდა. ანტრესოლ-მანსარდისკენ გზა თაღოვანფანჯრებიანი, ვეებერთელა, თავადური სააბაზანო ოთახის გავლით მიდიოდა, სადაც კედლებზე რძისფერი კაფელის ფილები იყო აკრული და ფეხებზე შემდგარი, პატრიციული სიდიადის მქონე თუჯის აბაზანა იდგა, რომლის ძველებური, სპილენძის ონკანების გახეხვა-გაპრიალებაზე დეიდა ჭკუას კარგავდა. ანტრესოლი საკუჭნაოს მაგივრობას სწევდა – სწორედ იქ ინახებოდა ცარიელი ბოთლები, საჭირო რამერუმით სავსე ყუთები და კოლოფები და, ამ ყველაფერთან ერთად, ტახტი, რომელზეც ორი რანგის სტუმრებს აწვენდნენ: ან შემთხვევითებს და უმნიშვნელოებს, ან ძალიან თავისიანებს ჩვენიანი ხარო, რა... პეტიამ ორჯერ გაათია ღამე ამ ტახტზე სამარაში გასტროლებით რომ მოუწია ჩამოსვლამ. ის თავისიანიც იყო და უმნიშვნელოც.

გარდასულ წლებს აქ არაფერი შეუცვლია. რაც მთავარია, იგივე სუნები დარჩა, და ყოველ ოთახს თავისი საკუთარი სურნელი ჰქონდა. სასტუმრო ოთახი სურნელოვანი, საბჭოური საპნის არომატს აფრქვევდა: ჯერ კიდევ იმ დროიდან მოყოლებული, როცა ყველაფრის მომარაგება იყო მიღებული, დეიდა დივანის საბარგულში ინახავდა ხოლმე მარწყვის საპნით სავსე ყუთს, ასე რომ, დივანი სამარადისოდ გაიჟღინთა ამ

სუნით. საძინებელ ოთახში ცხრა ზღვას იქითა პლანტაციების სურნელება ტრიალებდა დეიდა აქ ყველაფერზე ფორთოხლის ქერქს აფენდა, რადგან ამას ჩრჩილთან ბრძოლის საუკეთესო ხერხად თვლიდა. კაბინეტში კი ტყავის სუნი იდგა... მრავალი წლის განმავლობაში იმ სკოლის შეფი, რომელშიც დეიდა ასწავლიდა, ტყავგალანტერეის ფაბრიკა იყო. დეიდას საშუალებას აძლევდნენ, ცოტა ფული გამოემუშავებინა იქ იგი ლურსმნებს უყრიდა ტყავის ოვალურ ნაკუწებს, რომელთაც მერე სამასაჟო ჯაგრისებში სვამდნენ. ტელევიზორთან მოკალათებულს შეგეძლო ხუთი ჯაგრისისთვის საკმარისი ლურსმნები გაგერჭო ტყავში. მართალია, ამაში რაღაც კაპიკებს იხდიდნენ, მაგრამ დეიდა ხარბი ქალი არ იყო, უბრალოდ, მარაგები უყვარდა ძალიან. რატომ არ უნდა გავაკეთო ფული, როცა თავისით მოდის ჩემთანო? – ამბობდა.

გიჟდებოდა სამზარეულოს რამერუმეებზე კარადები გამოტენილი ჰქონდა ათასგვარი ისეთი მოწყობილობითა და ნივთით, ჩვეულებრივ ადამიანს ცხოვრებაში ერთხელ რომ დასჭირდება, ან საერთოდაც რომ არ დასჭირდება არასდროს: აქ ინახებოდა ნამცხვრის საცხობი ფორმები, კვერცხის ხარშვისას ჩასართავი ტაიმერები, კვერცხის შესაწველი სპეციალური ტაფები, სავაფლეები, საიხვეები, ქვაბ-ტაფურები, ტაბაკა-წიწილების შესაწვავი პრესები, კექსების გამოსაცხობი პაწია კალათები,

ლიმონისთვის ცედრის ასაცლელი დანები... “რკინის ფარდის” გახსნამ დეიდას ახალი ჰორიზონტები გადაუშალა და მის თადარიგიანობას დიდი გასაქანი მისცა ყიდულობდა ყველაფერს, რისი ყიდვაც შეიძლებოდა: პროდუქტის შესანახ ვაკუუმიან პაკეტებს, “ცეპტერის” ჭურჭელს, ტეფლონის ქვაბებს, სუნელების ჩასაყრელ ლამაზ პაწია ქილებს... არადა, სადღესასწაულო სუფრაზე მას ყოველთვის ჩვეულებრივი რუსი დიასახლისის კერძები ედგა ხოლმე, და არა რამე სიახლე: ვინეგრეტი, ლაბა, სალათი-ოლივიე, ქათამი... ერთი სიტყვით, დეიდას სახლი გახლდათ სწორედ ის პირთამდე სავსე თასი, რომლის გამოცლასაც სამი თვე მაინც დასჭირდებოდა, რომ არა სილვას გულითადი თანადგომა. სილვა იმავე ეზოში ცხოვრობდა, ერთოთახიან ბინაში, მეხუთე სართულზე, და როცა რომელიმე მეზობელი ქალის გაბმულ დაძახილზე: “სიიიიილ-ვაااა!” ფანჯრიდან მისი ლომის ფაფარი და რომაელი ლეგიონერის ღონიერი ტორსი გამოჩნდებოდა, უცხო გამვლელები ნაბიჯს ანელებდნენ და გაკვირვებული გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს. რა შეემთხვა სილვას უნაკლო სხეულის ენდოკრინულ წიაღს, მთელი თავისი ცხოვრება ასე შიშნარევად რატომ არიდებდა თავს ეს მგზნებარე, ლამაზი კაცი სიყვარულის სიტკბოსა და სიმწარეს, – არავინ უწყოდა და, როგორც დეიდა იტყოდა ხოლმე დელიკატურად და მკაცრად, – არც იყო ჩვენი საქმე.

სილვა ათ წუთში მოქანდა თავისი ჩეხონკით ხელში. ჩაიდანი უკვე დუღდა და ბრაზიანად თუხთუხებდა, ფინჯნები გამოლაგებული იყო, პური დაჭრილი; თუნუქის ყუთში, ვარდისფერი ჩინური განთიადით რომ იყო მოხატული გარედან, ლიზამ მწვანე ჩაი იპოვა, მაცივარში ყველი, ძეხვი და ოლადები აღმოჩნდა...

– ჯერ ცხელი ჩაი დამისხი, – წინკარიდან უბრძანა სილვამ, – სულ გავითოშე, ძძ-ძაღლივით!

სილვა არც ახლა ჩუმდებოდა, წუთითაც კი, განკარგულებებს იძლეოდა და თვითონვე დაუყოვნებლივ იწყებდა მათ აღსრულებას. სამზარეულოს ზღურბლს გადმოაბიჯა თუ არა, მყისვე ყველას ჩამოუსხა ჩაი, სკამზე დაეხეთქა, ოლადს კიდე მოაგლიჯა და ენერგიულად შეუდგა ღეჭვას. სამზარეულო პატარა იყო და სილვა მას მთლიანად ავსებდა, განსაკუთრებით ჟესტიკულაციის დროს, რის გარეშეც ლაპარაკი არ შეეძლო.

– ამ კედლის აღება უნდოდა, აი, – ოლადის მოზრდილი ნაჭერი პირში გაიქანა და კედელს მუშტი დასცხო, – ამერიკული სამზარეულო რომ ჰქონოდა. ოღონდ ვერ გამიგია, ამერიკა რა შუაშია? კედელი კიდე აქ ისეთია, თუ დადგამ რამეს, თორემ რას მოანგრევ! იცით, რა სისქისაა აქ? – ორნახევარი აგურის! აგე, ღუმელი რომ დაშალა, რა იწვალა!.. ეს ხომ ჩელიშოვის სახლია! არქიტექტორისა კი არა,

ამშენებლისა, ვაჭარი იყო...

ლაპარაკ-ლაპარაკში სილვა ფუნთუშას ჭრიდა პატარა ნაჭრებად და ზედ კარაქს უსვამდა თანაბარ ფენებად. დანას ისე მოხერხებულად ხმარობდა, როგორც მლესავი ქაფჩას. თან ამას ყველას სთავაზობდა, უარს ყურსაც არ უგდებდა. შთაგონებული და შეუვალი განმკარგულებელი იყო.

– მომგებიან სახლებში დებდა ფულს! აი, სახლები ეგენი იყო! და ფანჯრის კონსტრუქციებს როგორ ამოწმებდა, იცი? ფუნთუშა აიღე, ლიზ, რაღაც ძალიან დაწვრილებულხარ... ეგრეც ხომ არ შეიძლება, ზრდასრულ ქალს ტანი საერთოდ რომ არ ჰქონდეს...

– სილვა! ფანჯრის კონსტრუქციებზე რას ამბობდი? – შეაწყვეტინა პეტიამ.

– ჰო: მოუტანდნენ, მოკლედ, ჩარჩოებს. დაავლებდა ხელს ერთ ცალს და გადმოაგდებინებდა მეორე სართულიდან. თუ გაიპობოდა ჩარჩო, ეგრევე უკან გააბრუნებდა მთელ პარტიას! იმასთან ხის დეტალებს ოლიფით განა უბრალოდ ღებავდნენ, – დიდ ავზებში საათობით ხარშავდნენ ოლიფაში. და აგურს როგორ წვავდნენ, ან როგორ ამოწმებდნენ! ჩაუშვებდნენ წყალში და, ღმერთმა ნუ ქნას, გახეთქილიყო, – ეგრევე, მთელ პარტიას უკან გააბრუნებდა. რა აგური იყო! სამი ფერის მზადდებოდა: მონაცრისფრო, წითელი და

ალისფერი. აი, ეს სახლი... – მან ალერსიანად გადაატარა ხელისგული კედელზე, – წითელი აგურისაა. ოღონდ თაბაშირითაა გალესილი... პეტ, ეგ რამსიმძიმე საყურე ჩამოგიკიდია... ჩამოწელილი გაქვს ყური. პირდაპირ იმათსავით ხარ, იმ სულელებივით... იქ რომ ცხოვრობენ, აღდგომის კუნძულზე.

პეტიამ ჩაიცინა, ხელი მართლაცდა ჩამოქაჩულ ყურის ბიბილოზე მოიკიდა და განმარტა:

– კიდევ ერთი მარიონეტის ძაფს ვიბამ ხოლმე. დამატებითი სამოძრაო შესაძლებლობაა, გამიგე? თითები ხომ მხოლოდ ათია...

მეორე ფინჯანი ჩაის შემდეგ სილვამ ჩათვალა, რომ ლუდსა და ჩეხონზე გადასვლის დრო დადგა.

წამოხტა და ლუდის მოსატანად გავიდა სამზარეულოში სივიწროვის გამო მაცივარი სასტუმრო ოთახში იდგა...

პეტიამ ფანჯარაში გაიხედა: გარეთ უკვე შესქელებულიყო მონაცრისფრო ბინდი და, მოხუცი ლოთივით, თითქოს გონს მოეგოო, გამოფხიზლდა ეზოს ფარანი, რომელიც დროდადრო თვლემდა. ჩაბნელებული ეზოს გაყინულ ჰაერში ერთიმეორის მიყოლებით ცოცხლდებოდნენ ყვითელი, მოცისფრო, ნარინჯისფერი ფანჯრები...

ლიზამ ფეხები აიკეცა, სამზარეულოს ტახტის კუთხეში მიიყუჟა და თითქოს რული მოეკიდა.

– პატარავ, – შეეხმიანა კაცი ფარული

სინაზით, – იქნებ გახვიდე, დაწვე... მე მგონი, ეს სუფრა საუკუნოდ გაგრძელდება.

ქალს არ უპასუხია, არც შერხეულა, მაგრამ წუთის მერე ტახტიდან ფეხები ჩამოწია, ჩუსტები მიიჩოჩა და მოღვენთილი წაფრატუნდა საძინებლისკენ. დაიღალა დღეს, წუხილითგაიფიქრა კაცმა, ფრენა, გადასხდომა, მერე ამსიგრძე გზა ყურუმოჩიდან, სილვაც, ყველა სიკეთესთან ერთად, ქაქანებს და ქაქანებს მომართულივით... და უცბად, – თითქოს ცეცხლის ენა შეუფრინდა წამით სხეულშიო, – კვლავ გაახსენდა, როგორ დასტრიალებდნენ თავს ლიზას პიჟამის ალისფერი თევზები გუშინ, და შემდეგ, ტერასაზე საუზმობისას, როგორ იჯდა იგი მის პირისპირ და გრძელი, ჩაფიქრებული წარბები ატლასის ლენტებს მიუგავდა. ეს წარბები ყველაზე ცოცხალი და მშვენიერი, ყველაზე ზუსტად მიგნებული გამოვიდა იმ ყველაფერს შორის, რაც ელისს გაუკეთა. რა თქმა უნდა, იდეალური ვარიანტი იქნებოდა ლიზას ნამდვილი თმის გამოყენება, მაგრამ... საბოლოოდ, მაინც კარგად გაართვა თავი: ყარაგიოზი გადაპარსა და მერე, ზუსტი ფერის მისაღებად, ბევრი ექსპერიმენტი ჩაატარა.

– აჰა! ლუდი ეს არის, თუ არის! – სილვას რამდენიმე ბოთლი ეჭირა ცალი თათით. – აი, რას გეტყვი: თქვენმა ჩეხურმა ჭირი მოგჭამათ. ამას უყურე და დაიმახსოვრე, საყურიანო: “ფონ ვაკანო შავი”! “ფონ ვაკანო თეთრიც” გვაქვს. რომელი გირჩევნია?

– სულერთია... დიდი მსმელი არ ვარ.

– კარგი რა, ზღაპრებს ნუ მიყვები, შე ბა-ჰემა! ჯერ გასინჯე: იცი, ვის პატივსაცემად ჰქვია? რამე შაყირი გგონია? რაღაცა უცხოური სახელი რამე, რუმე... მადამ პომპადურივით?

სილვამ ლუდი მაღალ კათხებში ჩამოასხა (ყველაფერი, ყველაფერი ჰქონდა დეიდას ბუფეტში, ეჰ, ვისია, ვისია...) და თევზიანი ქაღალდის პაკეტი გახია და პირდაპირ მუშამბაზე გადმოყარა ჩეხონი.

– ალფრედ ფილიპიჩ ფონ ვაკანო, წმინდა სისხლის თავადი, თუმცა, ავსტრიელი კი იყო... ლიზა სად არის? მოსწყდა კისერი? სუსტი გყავს, არა?.. ის ალფრედ ფილიპიჩი სერიოზული კაცი იყო.

სილვამ საოპერო ტენორის მოზეიმე სახე მიიღო, მხრები ფართოდ გაშალა და კათხა ასწია:

– ლუდით კია, მაგრამ მოდი, ჩემი დაუვიწყარი მეგობარი, ვისია მოვიხსენიოთ.

ახლა ისევ ატირდება, მოწყენილად გაიფიქრა პეტიამ, მაგრამ შეცდა: როგორც ჩანს, სილვა ღამის ადამიანი იყო, გვიანი დროის, და სწორედ საღამოს ათი საათიდან იწყებდა ძალის მოკრებას. ნეტავ, არიებს არ შემოსძახებდეს.

მათ ერთდროულად ასწიეს კათხები და ერთდროულად გამოცალეს კიდეც. მაგრამ ერთ წუთზე მეტხანს სილვას დადუმება ყოვლად შეუძლებელი იყო.

– თევზი ჭამე... გარჩევა იცი? აი, მიყურე,

ისწავლე და დაიმახსოვრე ჩემი სიკეთე...

სილვა ვირტუოზულად არჩევდა თევზს: ჯერ გაჩვეული მოძრაობით მოუგრეხდა და მერე დაბლა ჩამოქაჩავდა თავს, რომელსაც ხერხემალი და შიგნეული მოჰქონდა თან და თევზიც ორ მოზრდილ გვერდად იპობოდა, რომელთაც მხოლოდ ზედა ფარფლი აკავშირებდა.

– კანი ვისაც უყვარს, იმისია, – თქვა სილვამ, თევზი მოკბიჩა და ღონივრად აამოძრავა ყბები, – უკვე უქერცლოდ ახმობენ და მე, პირადად, კანიანად ვხეთქავ. აჰა, ჭამე, ობოლო... ჰოდა, რას გეუბნებოდი: სწორედ იმ ავსტრო-უნგრელმა თავადმა ფონ ვაკანომ შეიმუშავა ჩვენი "ჟიგულევსკის" რეცეპტი. "ჟიგულევსკი" მაგას მერე მიქოიანმა დაარქვა, თორე მანამდე "ვენური" ერქვა...

პეტიამ საათს დახედა: ხვალ დილაადრიან ნოტარიუსთან უნდა წავიდნენ, გაფრენამდე, სილვასთვის ბინის გაყიდვის თაობაზე მინდობილობის გაფორმება უნდა მოესწროს. მაგრამ ეს საღამო, რაც სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, მხოლოდ ახლა შედიოდა ეშხში და კიდევ მრავალი ყურადსაღები ისტორიის გაცნობას უქადდა პეტიას. სილვა ჟუზეპოვიჩი მშობლიური ქალაქის პატრიოტი გახლდათ, მისი განაწყენება კი უხერხული იყო და ან რატომ უნდა გაენაწყენებინათ?

– ჰოდა, ათას რვაას ოთხმოც წელს ალფრედ ფილიპოვიჩმა ლუდსახარში ქარხანა გახსნა კომპანიური წესით... დაიცა, დროა, მეორე

ჩამოვასხათ... ახლა, იცი, რისი დავლიოთ? რომ შენ და ლიზას ყველაფერი კარგად გქონდეთ და შვილი რომ...

– კარგი, – მკვეთრად შეაწყვეტინა პეტიამ, – ცოტა ჩუმად, იქით ლიზა იძინებს...

– სწორია, – შეწუხდა სილვა და ჩურჩულზე გადავიდა: – მაპატიე მე სულელს... მოდი, ისევ ფონ ვაკანოზე მოგიყვები, კარგი? ადგა და რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, – აი, ასეთ რისკზე წავიდა ის კულტურული უცხოელი კაცი! და სამარა როგორ უყვარდა, რა ქველმოქმედი იყო!.. სამარის დუმის წევრიც გახდა და მთელი ამბავი. ახლა ნახატების და ძვირფასეულობის რა კოლექცია შეაგროვა! – ახლა "ერმიტაჟშია", რა გგონია, მაგის შთამომავლებს იხვის ტოლმა ერგოთ... მოკლედ, წარმოიდგინე: ცხრაას თხუთმეტში, სამარის ეს საპატიო მოქალაქე, საზოგადოების, შეიძლება ითქვას, ბურჩი! პეტ, რომელია სწორი ბურჩი თუ ბურჯი? – სერიოზულად დაინტერესდა უცებ სილვა.

– ერთი ოხერია, – სერიოზულადვე უპასუხა პეტიამ.

– ...შპიონაჟში დასდეს ბრალი, – მხურვალედ განაგრძო მისთვის ესოდენ საინტერესო თემაზე ლაპარაკისაგან ლოყებწამოწითლებულმა სილვამ. – და ბუზულუკში გადაასახლეს! ეს ჯერ კიდევ მეფის დროს, გამიგე? ადექი ამის მერე და დაემდურე რამეზე საბჭოთა მთავრობას! ის მეფეებიც კაი ჩიტები იყვნენ, რომ იცოდე! რასაც ვერ ვიტან: გუშინ კომუნისტი იყავი,

დღეს გავიხედე და ცარისტი ხარ, მაგის დედაც! ვერ ვიტან, რა!

– ჩამოასხი...

– ო! მართალი ხარ! ყოჩაღ შენ... ახლა მოდი... იცი, რისი დავლიოთ?

– არ გინდა. უბრალოდ დაასხი და დავლიოთ.

– სწორია... ეჰ, პეტ... დარჩენილიყავით აქ! რა ოხრობა დაგრჩენია იქ, შენ ხომ რუსი ადამიანი ხარ. სამშობლო ხომ აქ გაქვს, იქ კი არა. სახლი გაქვს, სამუშაოს მოვძებნით, – რა, ვერ გაგიხერხებთ რამეს თუ რა! ოქროს ხელები გაქვს, ნანახი მაქვს შენი თოჯინები. შეგიძლია, შრომის გაკვეთილები აიღო აქ, სკოლაში, ან, ხატვის, თუ გინდა. ზაფხულობით რა სივრცეებია აქ, ჰა? ვოლგა ეს ხომ... რა გრანდიოზული ამბავია! მეზობელი მყავს ერთი, პალიჩი, ტუბერკულოზის მერე ცალი ფილტვით ცურავს გაღმა ნაპირამდე, მიუხედავად იმისა, რომ დინება და მორევები...

– ჟუზეპიჩ...

– არა, დაიცა! აი, რას გეუბნები: ამისთანა ისტორიულ სახლს გაყიდის კაცი?! სულელები იქნებით! ის მაინც იცი, ვის უცხოვრია ამ ბინაში დიდი-დიდი ხნის წინ? ერთი მარტოხელა ქალი ცხოვრობდა თურმე, ეროვნებით პოლონელი, სახელად ლეოკადია. გეფიცები. ჭამე რა, თევზი! ძალიან კეთილი, და ლამაზი ყოფილა, ხელჩანთა სულ მუდამ კანფეტებით ჰქონდა

თურმე სავსე, – იმ პოლონელ ქალზე გეუბნები. ამიტომაც, მეზობლის ბავშვებს გადარეულად ჰყვარებიათ, “პანი ლელიას” ეძახდნენ თურმე. ახლა, საიდან ვიცი ეს: მეზობელი ქალისგან. ბებო 93 წლის იყო, და მშვენივრად აზროვნებდა, არ გაგიჟდები? ჰოდა, იმას ახსოვდა კეთილი პანი ლელია. თავიდან ის ქალი მგონი ვარშავიდან გამოუწერიათ, – ფონ ვაკანოს ოჯახისთვის, ბავშვების გუვერნანტად, და მერე, ისინი რომ გაიზარდნენ, ქალი მაინც აქ დარჩენილა, ჩვენთან, სამარაში. და როგორც ამბობენ, ალფრედ ფილიპოვიჩი მასთან ამ ბინაში შე-მო-ივ-ლი-და ხოლმე... მაგრამ არანაირი რეალური ფაქტები იმათი სასიყვარულო კავშირის შესახებ არ დარჩენილა. მარტო მოსაზრებები. ლამაზი ქალი ყოფილა, რითი ცხოვრობდა, კაციშვილმა არ იცოდა, არ მუშაობდა და არაფერი... მოკლედ, ვოლგური ცქვრინი არ იყო, როგორც ჩვენში იტყვიან. ოციან წლებში გარდაიცვალა. საიდუმლოებით მოცული ამბავია, გამიგე?

– მისმინე, სილვა. ხვალ ადრე ვართ ასადგომები.

– კარგი რა. ადრე არა, ის. დააყენე მაღვიძარა ექვსზე და ეგაა. აი, მე და დებილა სამზე რომ ვდგებით, სათევზაოდ როცა მივდივართ, ეგ სხვა ამბავია, მართლა ადრეა... დაიცა! მე ხომ იმ პოლონელ ქალზე გიყვებოდი... ლეოკადიაზე. პირდაპირ, დეტექტივია, რა! იმას მნიშვნელოვანი დეტალია ძვირფასეულობა ჰქონია. დაიცა რა, მომაყოლე! მთელი სამარას ნაღები

ხალხი მოუთმენლად ელოდა ხოლმე, – აბა, რითი გამობრწყინდება დღეს ლელიაო. ყველა მეჯლისზე იწვევდნენ ხოლმე. არ იცი, რამდენჯერ მისდგომიან სამარელი მდიდრების ცოლები ლელიას რაო და, რამე მოგვყიდე, შენ ხომ ბევრი გაქვსო... – სულ უარით ისტუმრებდა.

გამოკითხვას რომ დაუწყებდნენ, ყველას პასუხობდა, ძვირფასეულობა ბებიასგან დამრჩა მემკვიდრეობითო. ის ბებია მაღალი წრის ჰყოლია, – გრაფინია თუ ბარონესა...

– ჟუზეპიჩ, მერე დაასრულე. თვალები მეხუჭება.

– შენც ადექი და მოისრისე, – თქვა უცებ სილვამ მრავალმნიშვნელოვნად; მკერდით გადმოემხო მაგიდას, რომელზეც უკვე ბორცვად იდგა თევზის თავები და კუდები და პეტიას მიუახლოვა დიდი, მბზინავი ცხვირი: უჰ, თოჯინა ლეპორელოდ რა კარგად ივარგებდა “დონ ჯოვანიში”, – კარგად გაახილე ეგ თვალები და დაფიქრდი: ახლა ხომ სწორედ შენ და ლიზა ხართ მთელი იმ სიმდიდრის მემკვიდრეები?

– ჰოდა, ძალიანაც კარგი, – პეტია წამოდგა, ჭუჭყიანი კათხები მოაგროვა და ონკანის ნიჟარაში ჩადგა. დამცინავად გადახედა სილვას. – სადაა მერე ის სიმდიდრე? სერვანტში?

– არ გჯ... გჯერა... – ჩაიცინა სილვამ. – არადა, სხვათა შორის, ყველამ ყოველთვის იცოდა,

რომ ამ სახლში საგანძურია. აქაა, აქ! რამდენჯერ მოიშორა თავიდან ვისიამ ნაირ-ნაირი განძისმაძიებლები, თანაც, ოფიციალურები მილიციიდან, საქალაქო საბჭოდან... სულ ეძებდნენ, ეძებდნენ! ვერაფერიც ვერ იპოვეს.

– ხვალ მოვძებნოთ, – მშვიდობიანად შესთავაზა პეტიამ. – გაგაცილო თუ შენით მიხვალ?

– მე რა... ორ ნაბიჯში ვარ... – ჩაიბურდღუნა სილვამ და მძიმედ წამოდგა. – ლიზას პასპორტი არ დაგავიწყდეს... შემოგივლით დილით.

სასტუმრო ოთახის გავლისას ის შედგა მეხუთე, მოკლე კედელთან, რომელზეც დიდი, ჩახლართულ-ორნამენტებიანი ხალიჩა იყო აკრული, ხელები ისე გაშალა, თითქოს მეთევზე დაჭერილი თევზის სიდიდეს აჩვენებსო, და ჩაილაპარაკა. – აი, აქ. აქ იყო ღუმელი... ჩემი აზრით, სწორედ აქ იპოვა.

– ვინ? – მოუთმენლად ჩაეკითხა პეტია, რომელსაც უკვე იმედი დაჰკარგვოდა, რომ ამ გულიან ახმახს ოდესმე გაისტუმრებდა.

– ვისიამ, ვინ! – სერიოზულად მიუგო სილვამ, – ღუმელს როცა შლიდა. დარწმუნებული ვარ. თავიდან ხომ მუშები იქირავა... მერე უცებ დაითხოვა, ეგრევე, შუა დღეზე, და მერე ძალიან დიდხანს, თავისით, აგურ-აგურ, კაფელ-კაფელ, თვითონ შლიდა. მეც არ დამიძახა. დიდხანს იჯახირა, – მარტომ სულ. ჩემი აზრით, სადღაც აქ... გადააწყდა კიდეც. შეიძლება, სეიფი იყო. შეიძლება, რამე სხვა

საიდუმლო სამალავი.

პეტიამ გაიცინა და თქვა:

– განძის კუნძული! იყო ასეთი სპექტაკლი ტიუმენის თეატრში, მე კაპიტანი სილვერი დამყავდა. მხარზე თუთიყუში ეჯდა, ნისკარტს აღებდა და გაჰყვიროდა: “პიასტრები! პიასტრები! პი-აააას-ტრეეე-ბიიი!”

სილვა შეკრთა და პეტიასგან განზე გადაქანდა, – ისე წამიერად და ავბედითად გარდაისახა იგი მეკობრეთა თუთიყუშად.

– იცინე, იცინე, – ჩაილაპარკა წყენით. – მიდი, დამცინე, არტისტო. რომ იცოდე: ერთხელ ტატიანამ, ჩვენმა მეზობელმა, ოქროულობის საკომისიო მაღაზიაში ვისიას წაასწრო, რაღაც ოქროს ნივთს რომ აბარებდა. ტანკა, რა თქმა უნდა, მაშინვე აორთქლდა იქიდან, მაგრამ მერე ისევ დაბრუნდა, – ხომ აინტერესებდა! აზრზე მოდი: ვისია ღირსეულად ცხოვრობდა, მაგრამ მოკრძალებულად, სამკაულებს არასდროს ატარებდა. ყურები გახვრეტილიც კი არ ჰქონდა. და უცებ ძვირფასი ქვები... ტანკამ გამყიდველს ეგრევე რაო, რა ჩაიბარეთ ესესაა კომისიაზეო? – ჰკითხა. აღმოჩნდა, რომ ძველებური ბეჭედი ჩაუბარებიათ, ისეთი, ნატიფი ნამუშევარი, კარგა დიდი, საფირონისთვლიანი. ჰოდა, იმ გამყიდველს უთქვამს, ამ ქალს დროდადრო უცნაური ძვირფასეულობა მოაქვსო. ეს რა დრო იყო, იცი? ოთხმოცდაათიანების დასაწყისი... მაშინ ირენკას საქმრო, სლავიკი აღარც

ერთი აღარაა ცოცხალი, საცოდავები ბანდიტებთან რაღაც ვალების თაობაზე დიდ გარჩევებში იყო ჩათრეული. იყო ერთი შიში და მღელვარება... ბინას საფრთხე დაემუქრა... და უცებ, ყველაფერი უკვალოდ ჩაიფარცხა. თითქოს არც ყოფილა. ნეტავ, რატომ? ბანდიტები ვინმეს რამეს პატიობენ? გეუბნები ვისიას ლეოკადიას სიმდიდრე ჰქონდა ნაპოვნი. დამიჯერე: მანამდე იმას დიდი ფული არასდროს ჰქონია.

– რატომ არა, – შეეწინააღმდეგა პეტია, რითიც პირველად აჰყვა მთვრალ სილვას ამ სულელურ, არაფრისმომტან საუბარში. – მას ხომ ქმარი სამხედრო პირი ჰყავდა. პოდპოლკოვნიკებს კი საკმაოდ მაღალი...

სილვა ეგრევე გაშეშდა ადგილზე, პირდაღებული.

– ქმარი? – ჩაიბუტბუტა, – რა... ვინ ქმარი? შენ რა, ეგრე დათვერი? ვისიას? ვისიას ქმარი თავის დღეში არ ჰყოლია! ვისია პირველივე დღიდან მახსოვს აქ. ვაგზალზევე დავინახე, – მატარებლიდან ჩამოვიდა, არც ბარგი, არც არაფერი, რაც ტანზე ეცვა, იმის ამარა! და როგორც ომიანობის დროს ერთი პატარა ხელჩანთა ეჭირა მარტო. ვხედავ, გოგო დგას, მიუსაფარი, არ იცის, რა ქნას... მეც მივედი. მას მერე დავმეგობრდით. სკოლაშიც მე მოვაწყვე, დიასახლისობის გაკვეთილები მისცეს. ორსულად რომ ყოფილა, ეგ ჰო, – მაგრამ ეგ მერე გავიგეთ, გვიან. რა შეემთხვა, რა გადახდა პირადულში, – ეგ არასდროს არავისთვის უთქვამს. და სწორადაც იქცეოდა, მე თუ მკითხავთ. ვისი რა საქმეა?

– გასაგებია, – ჩაილაპარაკა პეტიამ, რომლისთვისაც ყველაფერი ერთბაშად ნათელი გახდა, რადგან დეიდას მიერ მოყოლილი ისტორია სრულიად განსხვავებული ვერსია იყო. – კარგი, სილვა. მართლა ძალიან გვიანია. მოდი, დავიშალოთ...

ბოლოს და ბოლოს, სილვამ პარმაღიდან დაბლა, დათოვლილ მიწაზე გადააბიჯა. რამდენიმე წამს, თავდაჯერებულობის მოსაპოვებლად, გაუნძრევლად იდგა და ბოლოს ბარბაცით გაუყვა ეზოს. პეტიამ კარი დახურა, გასაღები გადაატრიალა და ღრმად ჩაისუნთქა. ამდენი არ უნდა დაელია... ქველმოქმედი და ჯაშუში ფონ ვაკანო, ვაჭარი ჩელიშოვი, ფანჯრის ჩარჩოებს რომ ისროდა მეორე სართულიდან, დეიდას მიერ თითქოსდა ნაპოვნი ლეოკადიას ძვირფასეულობა... და, რაც მთავარია დეიდას, როგორც გაირკვა, არასდროსარსებული ქმარი, პოდპოლკოვნიკი კოლია (რომლის ფოტოსურათებიც სახლში “წყენის გამო” არ მოიპოვებოდა მას შემდეგ, რაც მან, თითქოსდა ვისია ახალგაზრდა გოგოზე გაცვალა), – მთელი ეს სულელური ნაზავი კვერცხის გულივით აითქვიფა მის გონებაში. თუმცა ყველაფერი ეს თავშესაქცევად და ძალიან თოჯინურად მოეჩვენა...

და სწრაფად, სწრაფად უნდა დაწოლილიყო, თვალი მოეტყუებინა, და თუ მოხერხდებოდა, კარგად გამოეძინა: ხვალ რთული დღეა, შინ

დაბრუნების დღე. და თუმცა იქ ყველაფერზე იზრუნა, პირველი წუთები შინ მაინც ლამის ისეთივე ძნელი იყო, როგორიც შეხვედრის პირველი წუთები.

ლიზას დეიდას განიერ საწოლზე, ზედ ალისფერ გადასაფარებელზე კატასავით მოკუნტულს ეძინა. შეეძლო ასე, გაუნძრევლად ეძინა დილამდე როგორც ჩანს, მისი წამლები საძილე ნივთიერებასაც შეიცავდა. კაცი იდგა, დაჰყურებდა და ფიქრობდა, გავაღვიძო, რომ ტანზე გაიხადოს და საწოლში ადამიანურად დაწვეს თუ არ ღირსო. თვითონ ვერ გაბედა ფრთხილად გაეხადა მისთვის, ვაითუ გაღვიძებოდა. მძინარე ლიზასი, ცოტა არ იყოს, ყოველთვის ეშინოდა: ვერ გამოიცნობდი, რა გუნებაზე გაახელდა თვალს.

ტანსაცმლის კარადაში სქელი შალის გადასაფარებელი მოძებნა, ცოლს დააფარა, თვითონაც დაიწყო ტანზე გახდა, უკვე სვიტერიც გადაიძრო თავზე და... რაღაცისთვის კვლავ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა.

აქ იდგა სამოციანი წლების ჩვეულებრივი ავეჯი სერვანტი, ტახტი, ორი სავარძელი, მამლისებურ, გაჩაჩხულ ფეხებზე მდგომი ჟურნალების მაგიდა, და მჭიდროდ სკამებშემოწყობილი მრგვალი სასადილო მაგიდა.

კაცი მეხუთე კედელს მიუახლოვდა, ცოტა ხანს იდგა მის წინ, ხალიჩის კუთხე გადასწია და შპალერზე ჩაფიქრებულად ააკაკუნა

თითები. ჩაიცინა: შე ბებერო ყეყეჩო, შე თოჯინების კაცო... წადი, დაიძინე. განძი, რასაკვირველია, არსებობს; აი, ეს ბინაა შენი და ლიზას განძი, საშუალება, რომ ცოტა ამოისუნთქოთ, ცოტა ხნით მაინც იგრძნოთ თავი უზრუნველყოფილ ადამიანებად, შესაძლოა, სადმე, პრაღის გარეუბანში ბინის ყიდვაც შეძლოთ, – კლადნოში, მაგალითად.

და მაინც, უცნაურია: დეიდა... უეცრად დაკარგული დეიდა, როგორ გაქრა ლიზას დედის დაკრძალვის დღეს...

უკვე მრავალი წელი იყო, რაც თავისი ბავშვობის ყველაზე საზარელი ეპიზოდის დავიწყებას ამაოდ ცდილობდა და ეპიზოდიც მისი ცხოვრების თანმდევ უხმო, რაღაცნაირ, მოძრავ და უჩვეულო, საშინელი სიმკვეთრის მქონე კადრად გარდაიქმნა: გაზაფხულის ქარიანი დღე ლურჯი ცის ქვეშ.

ბასიასთან ერთად მიუყვებოდა ტროტუარს. თან, როგორც ყოველთვის, თავაწეული ათვალიერებდა “ავსტრიული” სახლების ფასადებს: ნიშებში შედგმულ წმინდანთა ქანდაკებებს, აივნების მოაჯირთა თუჯის ორნამენტებს, ნემსიწვერას მეწამულ ყვავილებს მაღალი ფანჯრების რაფებზე. ფანჯრებს მიღმა დუღდა გასაოცარი, მჩქეფარე ცხოვრება, რომელსაც ის უწვრილმანეს სცენებამდე თხზავდა გზადაგზა, თან ცხვირში დუდუნებდა მონაწილე გმირთა რეპლიკებს, ხმას ხან აუწევდა, ხან დაუწევდა, ხან ბანით

ამოაბუბუნებდა ფრაზას, ხან კი ქალის ხმაზე წრიპინებდა...

სამწუხაროდ, ყველა ფანჯარა დახურული იყო, და მხოლოდ ერთი, მეოთხე სართულზე, მთლიანად მოეფრიალებინათ. იქ, თითქოს ბიჭუნას ფანტაზიამ მოიხმოო, რაფაზე გაუნძრევლად იდგა გრძელ, ცისფერპერანგიანი თოჯინა, რომელსაც უცნაური მოგიზგიზე კოცონივით თმა ჰქონდა. მის ზურგსუკან ქარი აცახცახებდა ღია ფანჯრების შუშებს, რომლებშიც მზე ირეკლებოდა. ათინათები ცისარტყელის ფერებად ერწყმოდა ერთმანეთს, და ეს ნათება თითქოს მისი ფრთები იყო! და სწორედ იმ წამს, როცა პეტიამ ის დაინახა, თოჯინამ უცნაური მოძრაობა გააკეთა მაღლა აიჭრა! – თითქოს საკუთარ თავს თვითონ ექაჩებოდა ზეცისკენ. მაგრამ ქვევით გადმოეშვა და ხმაურით, ხის თოჯინასავით დაეხეთქა ქვაფენილზე.

ის და ბასია ადგილზე გაქვავდნენ! მოხუცმა მაგრად მოუჭირა პეტიას ხელზე და ცდილობდა თავის ზურგსუკან მოექცია ბიჭი. მერე თავზე ხელი სტაცა და მუცელზე მიიჭირა.

მაგრამ ბიჭი დაუსხლტა და ერთდროულად აღტაცებული და თავზარდაცემული დააცქერდა უმოძრაო სხეულს, ქვაფენილს იმავე პოზაში რომ შეჰყინვოდა, რომლითაც მოფრინავდა ჯვარცმულივით. ჟღალთმიანი თოჯინა, მინიატურული ქალი რომ აღმოჩნდა, მანქანების სავალ ქვაფენილზე იწვა, და ცისფერი პერანგი ისე ჰაეროვნად

შემოტმასნოდა მის სუსტ, დალეწილ სხეულს და მას ისეთი... ისეთი არაჩვეულებრივად თლილი ფეხები და ისეთი პატარა შიშველი ტერფები ჰქონდა...

ამ დროს თაღიდან მეორე წითურთმიანი ქალიშვილი გამოვარდა, ძალიან ფერმკრთალი, ლამის გამჭვირვალესახიანი...

უახლოესი სახლებიდან მეზობლები გამოცვივდნენ, მრავალი ფანჯარა გაიღო და იქიდან, როგორც თეატრალური ლოჟებიდან, ადამიანები გადმოეკიდნენ, ისინი ერთმანეთს გადასძახოდნენ და ცდილობდნენ უკეთ დაენახათ ქვაფენილზე დავარდნილი თვითმკვლელი. ხოლო ყველაზე თეატრალურები, ყველაზე თოჯინურები მაყურებელთა შორის იყვნენ ფანჯრებს შორის მდგომი ქანდაკებები მამაკაცთა ფიგურები: ისინი თითქოს კედლიდან ამოზრდილიყვნენ და ყურადღებით იცქირებოდნენ ქვევით, ტროტუარისკენ. სწორედ ამ მამაკაცთა წყვილები, სახლის ბოლო სართულის ფანჯრებს შორის რომ ჩაერიგებინათ, დაინტერესებული მზერით მიაცილებდნენ გაფრენილ თოჯინა-თვითმკვლელს.

სწრაფად მოვიდა ჯერ “სასწრაფო დახმარება”, მერე მილიცია, ქალს ლურჯი, ცასავით ლურჯი ზეწარი წააფარეს, რომლის ქვეშიდან ოქროსფერ ხანძრად გიზგიზებდა წითურ კულულთა ორი ნაკადი, და ნელ-ნელა დიდდებოდა მკვეთრი წითელი ლაქისებური

სისხლის გუბე.

მოგვიანებით ის დახუჭული ქუთუთოების შავად მოელვარე თეჯირზე უსასრულოდ აბრუნებდა და აბრუნებდა ამ საზარელი თოჯინური მოქმედების გამოსახულებას: წამით დარწმუნებულიც კი იყო ხოლმე, რომ თოჯინას გამობმული ძაფები დაინახა. რომ უხილავ მეთოჯინეს წამის რაღაც უმცირეს მონაკვეთში ვერ გადაეწყვიტა ზეცისკენ აეზიდა იგი და ანგელოზად ექცია თუ დაბლა გადმოეგდო და დაემტვრია... იქნებ სწორედ ამიტომ მოეჩვენა ბიჭს, რომ თოჯინამ წამით ზევით შეიფრთხიალა?

ეზოდან შემომავალმა ხმებმა გამოაფხიზლა და აღმოაჩინა, რომ წინკარში, ტაბურეტზე იჯდა კეფით კედელს მიბჯენილი. აქ როგორ აღმოჩნდა? აჰ, ჰო: შუქის ჩასაქრობად გამობორიალდა და აქვე ჩაეძინა. მის წინ, ირმის ლამაზ რქებზე მარტოსულად ეკიდა ცისფერი თავსაფარი და მსხვილსახელურიანი დიდი, შავი, სამგლოვიარო იერის ქოლგა.

სადღაც, ეზოში, ფაფუკ თოვლიან წყვდიადში კეკლუცი, ახალგაზრდული სიცილი გაწკრიალდა, რაღაც გაურკვეველი თქვა ქალის წვრილმა ხმამ, რომელსაც ხმამაღლა უპასუხა კაცმა: “ნეტავ ძეხვის ჩამონაჭრების შენ რა გაგეგება?” და შემდეგ, ყრუ სიცილის, თოვლის ჭრაჭუნისა და ვიღაცისათვის განკუთვნილი “გაუმ-ჯოსს!” წიაღში ხმები თანდათან მიიკარგა თაღქვეშ და იქ თითქოსდა ჩატკეპნა სიჩუმემ...

...რომელიც უცებ მკვეთრად და მოჭრილად შემოტეხა ზარმა შემოსასვლელ კარზე.

პეტია მოულოდნელობისაგან ისე შეკრთა, რომ ტაბურეტიდან წამოხტა. კართან მიიპარა (საჭვრეტში გახედვას აზრი არ ჰქონდა, მაინც ვერაფერს გაარჩევდა!), ჩამოგრძელებული ყური საკეტს მიუახლოვა და მოგუდულად, უხეშად იკითხა:

– ვინ არის?

სილვას ხმამ ნაჩქარევად მიუგო:

– პეტ, ერთი წამით გამიღე, თორემ დამავიწყდება.

– სილვა, მერე იყოს, ხვალ! – უპასუხა გაღიზიანებულმა, – ნუ ხმაურობ, ლიზას გააღვიძებ. დაიძინე. მეც დავწექი უკვე.

– არა, დაიცა, რომანიჩ, რას ამბობ, საშენო ამბავია! – აბუბუნდა კარსუკან სილვა, – მაშინვე უნდა მეთქვა და დამავიწყდა. ქვემოთ, ვისიას სარდაფში, კარტოფილის ტომრის უკან რაღაც ვიპოვე. არ დამიჯერებ: თოჯინა.

პეტიამ ხმადაბალი გინებით გადაატრიალა გასაღები, კარი გააღო და ჭრილში მყისვე მარმარილოს სვეტად აღიმართა ყინულოვანი ჰაერი. პარმაღზე უკვე სავსებით მთვრალი როგორც ჩანს, ყინვის მიუხედავად, სასმელი უფრო მოჰკიდებოდა, ან შინ კიდევ დაამატა, – სილვა ჟუზეპოვიჩ მორელი იდგა, ორივე ხელი ზურგსუკან წაეღო და უხერხულად და თან საზეიმოდ

იღიმებოდა.

– აბა?! – მოუთმენლად დასძახა წამიერად გათოშილმა, ნახევრადშიშველმა პეტიამ, – რა არ გასვენებს?

– გინდა განახო? – ჰკითხა სილვამ და ზღურბლს გადმოაბიჯა. ხელებს კვლავ ზურგსუკან მალავდა და სახეზე ამოუცნობი ღიმილი დასთამაშებდა, – არ დამიჯერებ. ნამდვილი სიურპრიზია შენთვის. არ ვიცი, გამოგადგება, არ გამოგადგება... თუ არადა, აქვე, საკომისიოშიც შეიძლება... ხომ არსებობენ მოყვარულები...

და გამოაჩინა.

პეტია ადგილიდან არ დაძრულა, ისე წაიწია გამოსართმევად, მაგრამ მკერდის და მუცლის კუნთები ისე დაეჭიმა, თითქოს დარტყმის მოლოდინშიაო. წინკარის სამი ბრიდან მხოლოდ ერთი ენთო, მაგრამ ეს შუქიც კმაროდა საიმისოდ, რომ ეცნო...

– აი! – ჩაილაპარაკა ბედნიერმა სილვამ, – მეზობლის შვილიშვილებს ვათხოვე სათამაშოდ, მაგიტომაც დამავიწყდა. ისეთი საყვარელი გოგონები არიან... ჰოდა, ახლა უცებ გამახსენდა: ვახ, ჩემი... თოჯინა ხომ პეტკას უნდა მივცე! ძველებურია არა? ასე, ოთხმოცი წლის, ან ასის? თან, ნახე, რამხელაა, ლამის მეტრია, ჰა? ნაღდად პანი ლელიას ნაქონია. იცი, რას გეტყვი? ეს ფონ ვაკანოა საკუთარი პერსონით. როგორ ფიქრობ? ნახე, რა სერიოზული კაცია... ღიიი-პი ნახე! ეგრეა ფონ ვაკანოა!

პეტია ჩუმად იდგა ნახევრადბნელ წინკარში და თვალმოუცილებლად უყურებდა თოჯინას, სილვას რომ ეჭირა ხელში. სილვას ზურგსუკან კი, შეღებული კარის ჭრილში, ჯოჯოხეთიდან გამოღწეულივით მოიბოლქვებოდა ყინულოვანი კვამლი.

არავითარი ფონ ვაკანო ეს არ იყო. ეს გახლდათ დიდი, დიდი ხნის წინ მოპარული, გამოტირებული და სანახევროდ მივიწყებული, მაგრამ მთელი ცხოვრების მანძილზე მის მიერ ძებნილი: კორჩმარი.

* * *

აეროპორტიდან, როგორც ყოველთვის, ავტობუსით იმგზავრეს მეტრო “დეივიციმდე”, იქიდან ტაქსი იქირავეს, და როცა გრადჩანებიდან სერპანტინით ეშვებოდნენ, ხოდკოვის ბაღებქვეშ, მალაია სტრანაზე, ქვემოთ ახალი, არარეალური სახით ამოიზარდა პრაღა: იგი თოვლში იყო გახვეული და ერთიანად აჰყოლოდა ქარბუქსა და თოვას; მისი ყველა გუმბათი და შპილი, კრამიტით გადახურული სახურავების ციცაბო შვეულები, ეკლესიათა ფლიუგერები და კოშკურები, მათი ყველა წმინდანი, მადონები და მთავარანგელოზები, მძიმედ გადმოკიდული ფარნები ქუჩათა ვიწრო და დაბრეცილ ხეობებში... – ყველაფერი ჩამდნარიყო მოლურჯო, ყინულოვან ბურუსში.

ესეც ვალდშტეინსკა მადლობა ღმერთს, მოვიდნენ!

– მოვედით, მადლობა ღმერთს, – თქვა და ტაქსისტს ფული გაუწოდა. ცდილობდა, ხმაში ირონიული ღიმილი შეენარჩუნებინა, და კიდევ, ძალიან ცდილობდა არ შეეხედა ლიზასთვის, თვალყური არ ედევნებინა მისი გამომეტყველებისთვის, ეხუმრა, ეხუმრა, და გაეთელა განგაშის განცდა...

– ყარაგიოზის წამოსაყვანად ხვალ წავიდეთ, კარგი? – მსუბუქად დასვა კითხვა, თან ორივე ზურგჩანთა ერთად მოიგდო მხრებზე და არც კი უცდია, ლიზას ტაქსიდან გადმოსვლაში დახმარებოდა, – გრძნობდა, რაოდენ ფეთქებადი იყო ახლა ყოველი შეხება. – დღეს დაღლილები ვართ, გათოშილები, დატანჯულები...

აი, ისიც, ხის მომრგვალებულთავიანი ჭიშკარი ძველი სახლის ქვის თაღში, ჭიშკარში პაწია კარი, ზედ კი სპილენძის მოგრძო ფოთლისებრი, მოღუნული სახელური, იოლად რომ ემორჩილება მისი ხელის ნებას.

ჭიშკრის თავზე, ტრადიციულ, გამოძერწილ მედალიონზე, ჩვენი მფარველი ნებისმიერ ამინდში მწვანედ მოხასხასე მინდორზე წამოწოლილი, ადამიანისსახიანი, ნაღვლიანი შავი ცხვარი მოჩანს.

აბა... ღმერთმა გვიშველოს!

უხმოდ შეაბიჯა და უკანმოუხედავად გაუყვა გზას დაბალ და ღრმა თაღქვეშ, რომელიც ოთხივე მხრიდან დახშულ ეზოში გადიოდა, სადაც, სქელ ნისლად ქცეულნი, უაზროდ აწყდებოდნენ აქეთ-იქით თოვლის

დატყვევებული ფიფქები და სადაც კუთხეში მათი საცხოვრებლის ჩაბნელებული კარი მოჩანდა, თითქოსდა გარინდული იმის მოლოდინში, თუ, ბოლოს და ბოლოს, როდის შეაღებდა მას ეს ორი მდუმარე ადამიანი.

კართან შედგა და მოიხედა. ლიზა ეზოს თაღქვეშ იდგა და ადგილიდან არ იძვროდა. დაკარგული ბავშვის გაუსაძლისი, გაუსაძლისი სახე... მართალი იყო ექიმი გორელიკი, რომ ამბობდა, ნაადრევიაო. მისივე ჯანმრთელობის გულისთვის ცოტა უნდა მოეცადა, ჯერ კიდევ უნდა ეკვება საკუთარი გულით ყოველდღიური, მიუსაფარი სევდა...

ყელში მოწოლილი გორგალი დაძლია და გასძახა:

– ქალიშვილო! მანდ დიდი ხნით გაიჭედეთ? აქ ჩაის დაგისხამენ, ალო!

კარი გასაღებით გააღო, ბათინკებიდან თოვლი დაიფერთხა, ბინაში შევიდა, ერთბაშად აანთო სინათლე დერეფანსა და სამზარეულო-სახელოსნოში, მათს ჰაწია საძინებელში და აბაზანაშიც კი, აბაზანაშიც კი, რომ ყველგან ხალისი და ნათელი ყოფილიყო. პირველ სართულზე, ყოფილ თავლებში მოწყობილი ეს ბინა საკმაოდ ბნელი იყო, ამიტომ გადმოვიდნენ თუ არა, მაშინვე დაამატა ელექტრობის რამდენიმე წყარო, და ყველგან ძლიერი ნათურები დააყენა.

ზურგჩანთა ფრთხილად დადო სახელოსნოს კუთხეში, კარადის გვერდით. მერე, როცა ლიზა დაიძინებდა, კარგად უნდა გარკვეულიყო, რა იდო ამ ზურგჩანთაში. უნდა მოესაზრებინა, სად დაემალა სანუკვარი კერპი, სანამ სახლიდან შეუმჩნევლად მისი გატანის შესაძლებლობა არ მიეცემოდა. საერთოდაც, უნდა გადაეწყვიტა, აღედგინა თუ არა ეს კერპი მკვდრეთით. უნდა, უნდა, უნდა გადაეწყვიტა... რაც მთავარია, ხელახლა უნდა ესწავლა ერთობლივი ცხოვრება აქ, კედლებზე ჩამოკიდებული უამრავი მარიონეტის გარემოცვაში; უამრავი თოჯინის გვერდით, რომელთა შორის არ იყო მხოლოდ ის, ერთადერთი.

ო, ღმერთო, სად არის, სად?! ისევ თაღქვეშ დგას? დაიცა, სად მიდიხარ, იდიოტო! არ გახვიდე, თვითონ შემოვა. გარეთ ყინავს, გაითოშება და შემოვა. აი, ისევ შეცდომა: ტონდას ყარაგიოზის მოყვანა არ სთხოვა. არადა, ის მიუალერსებდა, ხელებს აულოკავდა, იკაკუნებდა იმ თავისი ხის ფეხით, – ცოტა გაახალისებდა...

სასწრაფოდ აავსო წყლით ჩაიდანი და ჩართო. მერე მაცივარს ეცა, საყინულედან პური გამოიღო და ორი ნაჭერი სასწრაფოდ ჩაუშვა ტოსტერში. ასე... კიდევ რა შემოგვრჩა ამ ჩვენს გამოქვაბულში? ერთი ქილა მარწყვის ჯემი, მშვენიერია, თითქმის სავსეა... კარაქი... ყველი... გაყვითლებული კიტრი და მომჭკნარი პამიდორი არ გვინდა. ჰო, კიდევ ხუთი კვერცხი გვაქვს, სულ დამავიწყდა, მთელი ქონებაა! ახლავე მივუსჯით მათ

ტაფაზე შეწვას.

შემოსასვლელმა კარმა გაიჭრიალა და მანაც ამოისუნთქა.

– ლიზა! – გასძახა თავისი მეტად ჩვეულებრივი, საღამოსპირული ხმით, – კვერცხი შეგიწვა თუ მოგიხარშო?

ლიზა დუმდა. ისევ ისე, ქურთუკიანი, უხმოდ იდგა სახელოსნოს ზღურბლთან, გეგონებოდა, წამში შებრუნდება და წავაო... ნახევრადშეშლილი, ციებცხელებიანი თვალებით ათვალიერებდა კედლებს, კუთხეებს, მასალებით, ყუთებითა და ხელსაწყოებით თითქმის მთლიანად სავსე მაგიდას, უზარმაზარ ჟალუზებიან ფანჯარას, ეზოში გამავალ კარს, რომლის იქითაც, გარეთ, შეიძლებოდა დაემალათ...

და უცბად ადგილს მოსწყდა, კარადას ეცა, კარი მოაფრიალა და დაიწყო ყველაფრის გადმოყრა, რაც თაროებზე ელაგა. პირდაპირ იატაკზე ცვიოდა ნახაზებით სავსე საქაღალდეები, მუყაოსგან დამზადებული ნიღბების რაღაც დეტალები, ლურსმნებიანი პლასტიკატის კოლოფები... – ყველაფერი ბრახუნობდა, კაკუნობდა, შრიალებდა, ეხეთქებოდა...

რამდენიმე წუთს ლიზა ამ დანარბევის შუაგულში იდგა, მერე, კვლავ უხმოდ, ქარივით დაუარა მთელ სახლს, საწოლებს გადასაფარებლები ააგლიჯა, გამოაძვრინა და მოაპირქვავა ძველი ჩემოდნები, საკუჭნაოდან გამოათრია და იატაკზე გადმოცალა ძველი კონკებით გამოტენილი

პლასტიკატის ტომრები.

ამასობაში პეტია სახელოსნოში, მაგიდასთან იჯდა და თავი გადაჭდობილ მკლავებზე ჩამოედო.

რატომ შეიპყრობს ხოლმე ყოველ ჯერზე ეს სასოწარკვეთა? არა, ნაადრევი არაფერიც არ არის, არაა ნაადრევი, და მთელი ეგ შენი აბები, ბორკა, აქ არაფერ შუაშია. წინა ჯერზეც ასე მოხდა. ამ დარბევისთვის თავიდანვე ემზადებოდა შინაგანად. აი, რაშია მწარე ირონია: ერთადერთი, რასაც ეს “საპარადო შემოწმება” არ ემუქრება, მისი ფეთქებადსაშიში ზურგჩანთაა: ლიზა ხომ დარწმუნებულია, რომ ყველაფერი იცის მისი წიაღის თაობაზე.

და უცებ შუქი ჩაქრა.

და ორივე ერთბაშად დააყრუა ზამთრის ჩქამებით სავსე სიჩუმემ, რომელშიც ქალი ღამურასავით აფრთხიალდა, აქეთ-იქით მიაწყდა, გზადაგზა ავეჯს წამოედო და მაინც უწინდებურად დუმდა.

წამოხტა და იქით გაქანდა, სადაც ქალი უხმოდ იბრძოდა, როგორც პეპელა ქილაში; დერეფანში ერთმანეთს შეეჯახნენ, ქალი მის მკლავქვეშ გასხლტა და სახელოსნოში შევიდა... იქ დაეწია, ხელი სტაცა, ის საძულველი ქურთუკი შემოაგლიჯა, და მიიხუტა, მიიკრა, მთელი სხეულით შემოეხვია...

– რა... რა იყო... აბა, რა იყო... – აჩურჩულდა

სწრაფად, – რა იყო, რა იყო...

მისი ჩურჩული ხან წყდებოდა, ხან კვლავ გაისმოდა, ხან მიჩუმდებოდა, მიწყნარდებოდა; ნაზად, გაუბედავად ჩაჰკვნესოდა ქალს ყურში რაღაც დამაწყნარებელ შორისდებულებს... და ისიც თანდათან დაწყნარდა, და უკვე აღარ კანკალებდა, ჩაეხუტა და მკლავებზე მიესვენა...

– ის აქ არ არის... – ჩაიჩურჩულა ბოლოს კაცმა.

ცხოვრებაში არასდროს, არავის, საკუთარ თავსაც კი, არ გამოუტყდებოდა, რომ სწორედ ეს წუთები – ეს, და არა წუთები ხანგრძლივი განშორების შემდეგ ერთმანეთთან შერწყმისა – მისი სიცოცხლის ყველაზე ტკბილ-მწარე წუთები იყო... შინ არიან. ჩამოიყვანა. ჩამოიყვანა. ლიზა კვლავ მის ხელთაა.

უსასრულოდ დიდხანს იდგნენ ასე: შერწყმულ სილუეტად განიერი ფანჯრის ფონზე, რომლის ირიბად დაზოლილ ჟალუზებს მიღმა ნელ სიჩუმეში სწრაფად ცვიოდა თოვლის ფიფქი და თანდათან ფარავდა ეზოს...

შორიახლოდან, წმინდა მიკულაშის ტაძრიდან მძლავრად დაირხა და დათოვლილი სახურავებით წამოდინდა ზარის მსუყე და შეკრული ხმა – ბუუ-მმ, მერე კი სამ-სამი გადაძახილით, თითქოს ერთმანეთს ასწრებენო, ამღერდნენ უფრო წვრილხმიანი ზარები.

და როცა ყველაფერი ჩაწყნარდა, სადღაც, უზარმაზარ სიცარიელეში, სანიაღვრე მილზე რბილად გადაგორდა თოვლის გუნდა...

გული ძლიერად და მტკივნეულად უძგერდა ამ სიჩუმეში; მისი ბნელშიც კი ნათელი თვალები იქით იცქირებოდა, სადაც მაცივარზე ორი სასუვენირო მაგნიტით მიმაგრებული ძველი, შავ-თეთრი ფოტოსურათი ეგულებოდა. და კიდევ კარგი, რომ შავ-თეთრი, თორემ აუტანელი იქნებოდა სამი სპილენძისფერთმიანი თავის ცქერა: ორი და რომელთაგან უმცროსი ახლა უკვე იცოდა ეს ქურდი იყო, და მათ შუაში მოქცეული პუტკუნალოყებიანი, სერიოზული და საოცრად საყვარელი ციცქნა ლიზა, რომელიც ტანად უფრო დაბალი იყო, ვიდრე მის გვერდით მჯდომი ღიპიანი და კიკინებიანი, წარმატების მომტანი საოჯახო კერპი, – თავზე არახჩინი რომ ეხურა, ხიფთანი და ზედ ჟილეტი რომ ეცვა და ულვაშებში რომ იღიმოდა კორჩმარი.

თავი მეოთხე

პირველი, თანაც დამტვრეული თოჯინა მამა იყო: ყველა მამას ორი ხელი ჰქონდა, რომკას კი ერთი, უფრო ზუსტად, ერთი და კიდევ მარჯვენას მეოთხედი: როცა ჟესტიკულირებდა, – არადა, რაკი ოდნავ ებმოდა ენა, ჟესტებით ცდილობდა ამის გადაფარვას საქმეში მეოთხედიც ერთვებოდა ხოლმე, – მარცხენას მხარდამჭერი გუნდის როლში.

იმ უბედურებამდე რომკა მთელ თავისუფალ დროს საბილიარდოში ატარებდა, ამიტომ მის ხელს მოქნილობა და წარმოუდგენელი მოხერხებულობა შემორჩენოდა. აისროდა ჰაერში ხახვს მარცხენა ხელით და მარჯვენას ნარჩენით სადღაც, იღლიასთან იჭერდა როცა მთვრალი არ იყო, ცხადია. და ბანქო, ბანქო! ისე არიგებდა, ისე აჭრიდა და ისე ჩამოყრიდა ორხელას შეშურდებოდა! მარჯვენას მეოთხედით შეეძლო მოერია და გადაეადგილებინა მაგიდაზე... ცოტა შემზარავი ატრაქციონი კი იყო, მაგრამ დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა.

სხვათა შორის, რომკა კარგადაც ცურავდა: პატარა ხელს (თავისი ნერვებაშლილი და ფიცხი დედისგან განსხვავებით, პეტიას სძულდა სიტყვა “ტაკვი” და არასდროს წარმოთქვამდა მას) ჩქარ-ჩქარა, რაღაც პაწია ძრავასავით უსვამდა წყალზე.

მაგრამ მამა პირველი მეთოჯინეც გახლდათ. მთავარი ის კი არ იყო, რომ მას ნებისმიერი სისულელისგან შეეძლო თოჯინის გაკეთება

მას თოჯინის გაცოცხლება შეეძლო. ამოიღებდა ჯიბიდან მოძველებულ, ველ-მინდორივით უზარმაზარ ცხვირსახოცს, გადაიფენდა ნიკაპამდე აწეულ მუხლისთავზე, საოცარი სისწრაფით დაახვევდა ძეხვივით, ხან მეოთხედა ხელით, ხან ნიკაპით, ხან ცხვირით დაიჭერდა, მერე უცებ მოხერხებულად გამოაძვრენდა და კუთხეებს გამოუნასკვავდა. ერთი მხრიდან კუდი გამოდიოდა, მეორე მხრიდან კი ორი მრგვალი ყური.

და აი, მოთეთრო, ზურგზე ლურჯზოლებიანი თაგვი თითების შეუმჩნეველი მიშველებით ცუნცულით არბოდა მის მკლავზე. კარგად რომ მოიჯერებდა გულს მამის ზურგზე სირბილით, თაგვი დაიშლებოდა და მისგან, როგორც მუხლუხოდან პეპელა, გამოიჩეკებოდა ნაღვლიანად ფრთებჩამოყრილი ბუზი, რომელიც საჩვენებელ თითზე მაგრდებოდა, პეტიას დასტრიალებდა თავს და ჩაფიქრებული, უსახური ბანით ამღერებდა: “ბოტი რომ მომცა წყვიი-ლიიი, ქურქიც რომ მომცა თბიიი -ლიიი, და შარვალიც დაა-ბამ-ბუუული, – მო-მი -სწრეეებდა გაზაფხული! “

ხელი ისევე სულელურად დაკარგა, როგორც ცხოვრობდა, ისევე სულელურად, როგორც აღმოჩნდა დალოცვილი ლვოვიდან სახალინზე ჩხუბისა და აყალმაყალის გზით: ზამთარი, ქარბუქი, ხილვადობა ნული, მანქანა (სამხედრო, ტენტგადაფარებული, ბორტიანი “ზილი”) თოვლში ჩაეფლო და თანამშრომელთან ერთად მის ამოყვანას

ცდილობდა. თანამშრომელი დიდად არ გულმოდგინეობდა, რჩევების მიცემას ამჯობინებდა, რომკაც ადგა და “ჩვენებურად” ახსნა დაუწყო: ერთი-ორი ჩააფარა სიფათში, წონასწორობა დაკარგა, თოვლზე დაეხეთქა... და ამ დროს უტვინო სალდათმა მკვეთრად დახია მანქანა უკან.

მერე ყველა ჭირი ერთად წამოხვავდა: ურთულესი ოპერაცია ხაბაროვსკში, მაღალი ამპუტაცია, სამხედრო სამსახურიდან დათხოვნა და, როგორც თვითონ უყვარდა გამეორება ფინიტა კონჩიტა: პატარა ბინა “ზედა” ქალაქის ხუთსართულიან სახლში და დარაჯის თანამდებობა “ქაღალდკომბინატის” შესასვლელში (რაც დიდ გამართლებად უნდა ჩათვლილიყო: ოდესღაც იაპონელების მიერ აშენებული ქაღალდის კომბინატი იყო ბირთვი, რომელსაც გარს შემორტყმოდა ქალაქი ტომარი რვაათასიანი მოსახლეობა, ორი სკოლა, საავადმყოფო, ნავსადგური, სამთო-სათხილამურო ტრასა, პატარა ფოთლოვანი ტყე და ხელოვნური ტბა).

კომბინატის ტერიტორიაზე, სხვათა შორის, იყო აუზიც, დასასვენებელი ოთახებიც და ბილიარდიც კი. სწორედ ის წყეული ბილიარდი, რომელიც მისი თვითდამკვიდრების უკანასკნელ საშუალებად იქცა.

კაპიტნის სამხრეებიდან აძრობილი ოქროს ამობურცული ვარსკვლავები კიდევ დიდხანს

ეყარა სერვანტში გამოდგმულ ბროლის სასალათეში ძაფებს, ღილებსა და ქალაქების ფსკოვისა და კოსტრომის სამახსოვრო მედლებს შორის. მაგრამ როცა სამი დღით გულის გადასაყოლებლად წავიდოდა, მამა ნებისმიერ სამოსზე, სპორტულ ქურთუკზეც კი, აუცილებლად დაიბნევდა ხოლმე სამახსოვრო სამკერდე ნიშანს წარწერით -КГБ, და გულწრფელად სჯეროდა, რომ ფარი და ოქროსფერი მახვილი მოთამაშეთა თვალში მის ავტორიტეტს ამაღლებდა.

ზოგადად, სასაზღვრო ჯარების ყოფილი კაპიტანი რომან პეტროვიჩ უკსუსოვი იყო მეტისმეტად აზარტული, ფეთქებადი და წარმოუდგენლად მოჩხუბარი კაცი. ის მხოლოდ სანახევროდ იყო რუსი: კეთილშობილი სისხლის უძველესი, ნოვგოროდული წყაროები არაფერს იუწყებოდნენ და მხოლოდ ლურჯ თვალთა სულშიჩამწვდომ მზერაში გამოსჭვიოდნენ, თუმცა ეს მზერა, საბოლოოდ, სმას გადააყოლა. სამაგიეროდ, სისხლის მეორე, ფეთქებადსაშიში ნახევარი, ღმერთმა უწყის, რა ეგზოტიკას მოიცავდა: აქ მოიაზრებოდნენ ტყვე იტალიელი ყმაწვილიც და წყნარი ოსი ქალწულიც, რომელიც ბაბუამ, კაცმა არ იცის, საიდან ჩამოიყვანა და თავის გვერდით გაატარებინა უტყვი სიცოცხლე; მის სისხლში მძვინვარებდა ჭეშმარიტი მედასავლეთე და ლოთი-შფოთი, დედის მხრიდან ბიძა პეტრო გალიცკი, და კიდევ ვინ აღარ მოხვედრილა მისი დედისეული, მხიარულ-ბახუსიანი,

ღვინოდ მოჩუხჩუხე სისხლის კალაპოტში. სწორედ მათი, სწორედ ამ შფოთისთავთა სისხლი არ აძლევდა მოსვენებას არც ოჯახს და არც თვითონ კაპიტან უკსუსოვს. მისი სიცოცხლე, როგორც მწარედ იმეორებდა ხოლმე ცოლი კატია, სამ ვეშაპზე იდგა: სამ “ბ” -ზე: ბოთლზე, ბოზებსა და ბილიარდზე.

პატარა პეტიას ბუნდოვნად ახსოვდა რაღაც გაკვამლული, გინებით გაჟღენთილი სარდაფი, და უქნარები, გაფაციცებით რომ ადევნებდნენ თვალს, როგორ აგორებდა რომკა ბურთს ლუზაში ცალი ხელით: მარცხენათი კიას უმიზნებდა, მარჯვენა პატარა ხელით კი მარცხენას ამაგრებდა, რომ არ ეცახცახა.

ჰოდა, ქალებიც, სულ ნაირ-ნაირები, გუნდ-გუნდად ეხვეოდნენ გარს, და ხშირ-ხშირად ულამაზებდნენ ღამის მორიგეობებს.

– ამ ღიღილოებზე, ამ ღიღილოებზე მოფრინავენ ფუტკრებივით, – ხშირად იმეორებდა დედა და მის ხმაში ენითუთქმელი დაღლილობა გამოსჭვიოდა, – ერთს შეხედავს ეს გაიძვერა და მორჩა, თვალის ჩაკვრაც კი არ სჭირდება.

დედამ წააგო ომი იმ სამი “ბ”-ს ტრიუმვირატთან, რომკას გაშორდა და ადგილობრივი გაზეთის, “კომუნიზმის განთიადის”, ინტელიგენტურ რედაქტორს, მიშას გაჰყვა ცოლად. მამა ვერ შეეგუა ამას. კვირაში სამჯერ მაინც გამოჩნდებოდა, ფანჯრის მინებს ამსხვრევდა, მიშას სცემდა

(რაც მართალია, დედას არასდროს შეჰხებია: ამ ტაკიმასხარას უსაყვარლესი შეძახილი იყო: “წყეულიმც იყოს ყველა, ვინც ქალზე ხელს აღმართავს!”); მოკლედ კომედია, სუფთა ფარსი, რაღაც თოჯინების თეატრი და თან ნაღდი ხულიგნობა.

ერთხელ რომკამ ხუთი წლის ვაჟიშვილი საბავშვო ბაღიდან მოიპარა და მათ სამი დღე იბორიალეს ტომარის შემოგარენში კატორღელების იერის მქონე ვიღაც მაწანწალებთან ერთად.

ბიჭუნას მეხსიერებაში ჩარჩა ბალახის ხალიჩაზე ამოხეთქილი აქაური, ნარინჯისფერი შროშნები, ღამეული, ჩაშავებული ზღვის ზედაპირზე მეწამული მთვარის მოლაპლაპე ხანჯლისებრი ანარეკლი, კოცონი სანაპიროზე, ხის ნახშირით სავსე ჩანთა, ზღვის კომბოსტოს ღეროები, და შიგა მხრიდან მარგალიტისებრ -მოთეთრო ნიჟარები სველ ქვიშაზე.

კიდევ მკვლელობისთვის ნასამართლები სერიოგა დაამახსოვრდა: ორმოციოდე წლის მამაკაცი, ბავშვური, უძრავი სახე კისერზე დანით მიყენებული ჭრილობით სამუდამოდ რომ ჰქონდა მილურსმული ჩაფსკვნილ, ძალიან კაცურ და შიშისმომგვრელ ტანზე. იგი ასწავლიდა მამას, თუ როგორ ხდება უზარმაზარი კეტას სწრაფად დამარილება, საღამოობით კი კოცონთან ჰყვებოდა, თუ ციხიდან გათავისუფლების შემდეგ როგორ გაიარა ზამთარში ზღვის უკაცრიელ სანაპიროზე 30 კილომეტრი მეთევზეების სადგომამდე, – როგორ იარა უფულოდ,

ულუკმაპუროდ, ერთადერთი დანის ამარა, ჩექმის ყელში რომ ჰქონდა დამალული.

შემდეგ ისინი მილიციამ იპოვა, ბიჭუნა დედას დაუბრუნეს, რომკა საკანში აყურყუტეს, მაგრამ ბოლოს გამოუშვეს და მკაცრად გააფრთხილეს, კილომეტრზე ახლოს აღარ მიჰკარებოდა ყოფილი მეუღლის სახლს.

ოცი წუთის შემდეგ, რაც იმათ რაღაც ქაღალდებს ხელი მოაწერა, უკვე ეზოში წრეზე დასდევდა სამსახურიდან დაბრუნებულ რედაქტორს, ბოლოს, ეჭვიანობის ვნებით გავეშებული დაეწია კიდეც და მარცხენა მუშტის ერთი დარტყმით მოცელა.

ხარირემთა ორთაბრძოლებით დატანჯული მამინაცვალი მიშა მეორე დილით ისე გაუჩინარდა, ახსნა-განმარტებითი ბარათიც არ დაუტოვებია. ხმები მოვიდა, თითქოს ხაბაროვსკში გამგზავრებულა, და გასაკვირიც კია, რომ იმის იქით, სადმე, სამარყანდში არ გადაიკარგა.

ხოლო რომკა სამი დღე და ღამე იწვა ზედ ზღურბლზე: იგი გამოცხადდა ფხიზელი, სუფთად გაპარსული, პირქუში, მონანიე სახით; გულაღმა გაწვა და თქვა: “არ ავდგები!” და ასე იწვა კიდეც, და სულშიჩამწვდომად იყურებოდა იმ თავისი წყეული, აწეწილი სულის ფსკერიდან მომზირალი წარმოუდგენლად ლურჯი თვალებით. და მეოთხე დღეს კატია დანებდა ან ვეღარ

გადააბიჯა ამ თვალებს, ან მართლაც ეამა ეს ყველაფერი. აბა, რას მიბრძანებთ, რა ვუყო? – და გაგრძელდა ისევ ის ცხოვრება, მათ განქორწინებამდე რომ იყო: რომკას რაღა გამოასწორებდა, და თუმც ქალების საკითხში ცოტა დაამუხრუჭა, არყისგან თავის დახსნა არც უფიქრია.

ჰო, არაყი. არყის დანახვისთანავე რომკა კეთილი და მხიარული ხდებოდა, ენამოსწრებულად და გალანტურად ხუმრობდა, მისი ლურჯი თვალები კიდევ უფრო ნაზ გამომეტყველებას იძენდა, ხოლო ხელი კი, მისი ცალი ხელი სულაც მოლაპარაკე ხდებოდა. ბოთლს ვირტუოზულად ხსნიდა მარცხენათი. პეტიას მხოლოდ “მოსკოვსკაია” დაამახსოვრდა. “სტოლიჩნაიას” ხრახნიანი სახურავი ჰქონდა და მარტო ვერაფერს მოუხერხებდა, აი, “მოსკოვსკაიას” ლითონის სახურავს კი პაწია ლენტზე მოქაჩვა სჭირდებოდა და მორჩა. რომკა ბოთლს მაგიდაზე დადგამდა, პატარა ხელს ისე შემოხვევდა, როგორც მინიატურულ ქალს... მერე მარცხენას ზემოდან საჩვენებელი თითი, ქვემოდან ცერი ერთბაშად დააჭერდა, სახურავი ყრუ ხმით შეფრინდებოდა ტახტის ქვეშ და აჟღერდებოდა მისი უსაყვარლესი მუსიკა: ბულ-ბულ-ბულ-ბულ... ვაჟიშვილი თავისი ნათელი ნახევარ მე-თი უყვარდა თავდავიწყებით და დრამატულად. ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ მოსცხო, უკვე მეექვსეკლასელს, და სარწმუნო მიზეზიც ჰქონდა: ბიჭმა მისი ხელი მოიპარა.

ჰო! ახლა უფრო დაწვრილებით მოყოლაა საჭირო ხელის შესახებ.

რა თქმა უნდა, რომკას ჰქონდა პროთეზი. ის ჯერ კიდევ იუჟნო-სახალინსკში, ხელის ამპუტაციის შემდეგ დაუმაგრეს. მას ეწოდებოდა “სიკვდილი ინვალიდს!”, ხუთ კილოგრამს მაინც იწონიდა, იყო ჩამკვდარ-ცვილისფერი, და მხართან დერმატინის ქამრები ჰქონდა. რომკამ უარი განაცხადა მის ტარებაზე, დღესასწაულებზეც კი. მხოლოდ ერთი-ორჯერ გაიკეთა: მაგალითად, კატიასთან ერთად ხუთწუთიან ფოტოატელიეში ფოტოსურათს რომ იღებდა ქორწინების წლისთავის აღსანიშნავად. ამბობდა, ხუთწუთიანი ამბისთვის თუ გამოდგება ეს პროთეზიო. მაგრამ თავად სიტყვას “პროთეზი” – ვერ იტანდა, არც ახსენებდა, ევფემიზმით იფარგლებოდა, რომელშიც გარკვეული მოწიწებაც კი გამოსჭვიოდა: საზარელ, მკვდარ მოწყობილობას ერქვა ამაყი სახელწოდება: “ხელი”. იგი ტახტის საბარგულში ინახებოდა და, თუ ვინმე, გულმავიწყი ადამიანი, შემთხვევით გამოსწევდა საბარგულს, – მაგალითად, ზამთრისთვის ბამბის პლედის ამოსაღებად, – პირველ წამს შეიძლებოდა გაგიჟებულიყო ელდისგან. ბავშვობაში პეტიას ეშინოდა ხელის. დაახლოებით, მეექვსე კლასამდე ეშინოდა, სანამ არ მიხვდა, რომ ეს ხელიც თოჯინა იყო.

ჯერ ნელ-ნელა ეჩვეოდა მას: უცბად ასწევდა ტახტის თავს და მოკვეთილი კიდურის მსგავს

პროთეზს თვალმოუშორებლად დააშტერდებოდა, უყურებდა, უყურებდა... ბოლოს და ბოლოს, შიში სავსებით გაუქრა, და ერთხელაც, პალტოში შემალულ-შეფუთული ხელი გეომეტრიის საკონტროლო წერაზე მიათრია. გაკვეთილის ბოლოს, როცა ბავშვობისდროინდელი პოლიომიელიტით გვერდმოქცეულმა მათემატიკის მასწავლებელმა ქალმა, სქელშუშიანი სათვალე რომ ეკოსა ცხვირზე, იკითხა: “ვინ დაამთავრა წერა, ხელი ასწიოს”. პეტიამ მერხს ქვემოდან გამოაძვრინა და მაღლა ასწია ის საზარელი, ის ჩამკვდარ-ცვილისფერი რაღაც...

მაყურებლის რეაქციამ სრულად დააჯილდოვა არტისტი: გოგონების წივილ-კივილი, ყალყზე დამდგარი ჭაღარა თმის ორეოლში მოქცეული წამოწითლებული სახე მასწავლებლისა, ბოლოს კი კარცერი. ასე ეწოდებოდა დირექტორის კაბინეტის უკან მდებარე საკუჭნაოს, შემზარავს ყველასთვის, გარდა პეტიასი: კარცერში ძალიანაც მშვენიერი სიმყუდროვე იყო, რადგან იქ ინახებოდა, უფრო სწორად, თაროებზე უწესრიგოდ ეყარა ფიზიკის, ანატომიისა და გეოგრაფიის კაბინეტებიდან მოტანილი გამოუსადეგარი ხელსაწყოები; რომკა, მაგალითად, ამ ჭუჭყიანი კოლბებისგან, დამტვრეული სასწორებისგან, ამ ერთ ხრახნზე ჩამოკიდულყბიანი ჩონჩხისგან და ნებისმიერი სხვა ხარახურისგან, რაც აქ იდო, ნამდვილ კლასს ჩაატარებდა: ყველაფერს გააცოცხლებდა, აამოძრავებდა, ააცეკვებდა

და აამღერებდა.

დასანანია, მამა აქ რომ არ არის ფიქრობდა პეტია.

თუმცა მამა სწორედაც რომ გამოცხადდა და ბიჭი კარცერიდან გამოათრია. აღმოჩნდა, რომ დირექტორს, პეტიას კარცერში გამოკეტვის შემდეგ, მათთან სახლში ერთი კარგი მოსწავლე გაუგზავნია, ისიც ფეხათრევით წასულა ცუდი ამბის მისატანად. საშინლად დაღონებულ ბავშვს დაახლოებით 40 წუთი უყურყუტია მათ სადარბაზოსთან და ვერა და ვერ გაუკეთებია არჩევანი დირექტორის რისხვასა და პეტკას მამის საყოველთაოდ ცნობილ ხასიათს შორის. ღამის ცვლიდან მოსული რომკა გააღვიძეს და იგი, ისე, რომ წამლის მიღებაც ვერ მოაწრო, გაშმაგებისგან ერთიანად გაფითრებული, მიიჭრა სკოლაში. სხვათა შორის, მოგვიანებით გამოტყდა, რომ სკოლისკენ მიმავალი სულ იმას ფიქრობდა, ვისთვის ეფეთებინა: შვილისთვის თუ დირექტორისთვის; და მხოლოდ სკოლის შენობის დანახვისას გადაწყვიტა ეს მტანჯველი საკითხი დირექტორის სასარგებლოდ.

გზა სკოლიდან შინისაკენ და ამის მომდევნო ექსტრავაგანტური ეგზეკუცია ბიჭუნას სამუდამოდ დაამახსოვრდა: მამა მარცხენა ხელით სასკოლო ქურთუკის საყელოში ჩაფრენოდა ბიჭს და მიათრევდა, მარჯვენა ხელის ნარჩენქვეშ კი ის თავისი ამაყი, უფერული ხელი ამოეჩარა. შინ სწორედ ამ საგნით მიბეგვა პეტია. პროთეზი წარამარა

უვარდებოდა, მაგრამ ისევ და ისევ იღებდა მას იატაკიდან და უბაგუნებდა შვილს. ბიჭი ყვიროდა, მაგრამ არა იმდენად ტკივილისაგან, რამდენადაც აღტაცებული თავზარდაცემისაგან: ჰაერში მიმომფრენი მკვდარი ხელის დანახვა აჯადოებდა: ხელი თავისით ჩხუბობდა!

ერთი კვირით გარიცხეს სკოლიდან, და ბიჭი სავსებით ბედნიერი იყო.

სწავლით ცუდად სწავლობდა. უფრო სწორად, საერთოდ არ სწავლობდა. პირველ კლასშივე ცხადი გახდა, რომ არ არსებობდა ძალა, რომელიც მას დაფასთან გამოსვლას აიძულებდა. სავსებით მუნჯდებოდა, თევზივით უფერული თვალებით იმზირებოდა და მასწავლებლის კითხვებს უპასუხოდ ტოვებდა. თითქოს ვიღაც, მის შიგნით მჯდომი, გამჭვირვალე, მაგრამ გაუმტარ ფარდებს იფარებდა თვალებზე, მაგარი ბოქლომით იკეტავდა ენას და გარედან დაკაკუნებას არ ეხმიანებოდა.

კატია სკოლაში გამოიძახეს. დირექტორის მოადგილე და დაბალი კლასების მასწავლებელი დიდხანს ესაუბრნენ მას, ურჩევდნენ, პრობლემური ბიჭუნა ბავშვთა ფსიქიატრისთვის ეჩვენებინა, და არწმუნებდნენ, რომ ბავშვი იუჟნო-სახალინსკის სპეცინტერნატში გადაეყვანა.

– ის ხომ ფაქტობრივად არ ლაპარაკობს, – რბილად შთააგონებდა მასწავლებელი, – შორისდებულებით ძლივს გამოხატავს

სათქმელს.

თავზარდაცემული კატია შეშინებული უსმენდა მათ, დროდადრო მგზნებარედ ეწინააღმდეგებოდა, ეუბნებოდა, შინ არ ვიცი, სად გავექცე მის გაუთავებელ ყბედობასო, მაგრამ ორი ქალის შეთანხმებულ არგუმენტებს ვეღარ გაუძლო და დანებდა. ნეტავ, ამ ორმა მისი ბიჭუნას იმქვეყნად გასტუმრება ხომ არ მოილაპარაკა?!

გზად შინისაკენ, ცოტა რომ დაწყნარდა, ჩაფიქრებულ კატიას გაახსენდა, რომ პეტია მხოლოდ მაშინ ამოიდგამდა ხოლმე ენას, როცა თავის კაცუნებს ძერწავდა პლასტილინით: ზოგჯერ, რამდენიმე დღეში სამზარეულოს ფანჯრის განიერ რაფაზე მთელ ქალაქს თუ არა, ერთ დიდ სოფელს მაინც გამოძერწავდა: – უამრავ პაწაწინა ადამიანს, ძაღლებს, კატებს, თხებს, ძროხებს და ცხენებს, ველოსიპედებზე შემოსკუპებულ ველოსიპედისტებს, ტრაქტორებზე შემომსხდარ ტრაქტორისტებს, მოხუც ქალებს, ციცქნა ვაშლებითა და მსხლებით სავსე ვედროებით ხელში. დედას არწმუნებდა, რომ ისინი ყველანი ღამღამობით ცოცხლდებოდნენ და დილამდე ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრობდნენ: რაფაზე დასეირნობდნენ, ჩხუბობდნენ, ქორწინდებოდნენ, ვაშლებით ვაჭრობდნენ...

მართლაც, იხსენებდა ქალი, რომ შინ პეტიას მუდმივად ეჭირა ხელში პლასტილინი, რომელიც არასდროს ჰყოფნიდა, მუდამ აკლდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დღესასწაულებსა და დაბადების დღეებზე

ყუთობით სჩუქნიდნენ. ის გამუდმებით სრესდა მუჭში პლასტილინს, ჩქარ-ჩქარა ძერწავდა ფიგურებს, ისევ სრესდა და ისევ, ისევ გამოჰყავდა ამ მაგარი, პლასტიკური ცომისგან ხან ვიღაცის თავი, ხან ვიღაცის ხელი... ჩხუბით და დავიდარაბით შეაგდებდა ხოლმე კატია შვილს სააბაზანოში ჭამის წინ ხელების დასაბანად, რის შემდეგაც ბიჭი სწრაფად, უხმოდ და გულგრილად ჭამდა ყველაფერს, რასაც წინ დაუდებდნენ, და მყისვე თავისი პლასტილინიანი ყუთებისკენ მიიჩქაროდა. და კიდევ, – გაიხსენა ქალმა, – ჰო! – კიდევ, მისი შვილი გამოთქმით და სხვადასხვა ხმაზე წარმოთქვამდა გრძელ და ჩახუჭუჭებულ ტირადებს, როცა “თეატრს დგამდა” ხოლმე: საჩვენებელ თითზე პინგ-პონგის ბურთს წამოიცვამდა, რომელზეც სასაცილო სახე იყო დახატული (მამამისმა მთელი დუჟინი დაუმზადა, სულ სხვადასხვა სახიანები) და ცვლიდა: ხან მხიარულსახიანს ამოსწევდა, ხან მოწყენილსახიანს, ხან დასაღრიალებლად პირდაღებულ, წარბებშეჭმუხნულ ბანდიტს, ხან უცებ მოღიმარ ლამაზმანს... – და ყოველი მათგანისთვის როლის შესაბამისი ტექსტიც მზად ჰქონდა.

დედას არასდროს მოსჩვენებია უცნაურობად ბიჭის ყოველწუთიერი მისწრაფება, ეძერწა და ეხატა ან აი, ასე “წარმოედგინა” მერე ეს ყველაფერი პინგ-პონგის ბურთულებით; იგი თვლიდა, რომ, უბრალოდ, ბიჭში შეერთდა მამამისის ჭკუამხიარული და მისი, კატიას,

გენები: მანაც ხომ, რაც უნდა იყოს, ლვოვის სამხატვრო სასწავლებლის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი დაამთავრა, ტომარიში კი არტ-სტუდიას ხელმძღვანელობდა ბავშვთა შემოქმედების სახლში.

მოკლედ, ქალმა მთელი ღამე მძიმე ფიქრებში გაათენა, დილით კი, შვილს სკოლაში რომ ისტუმრებდა, ერთ გუნდად აზელილი პლასტილინის ცისარტყელასავით ჭრელი ბურთი გაუწოდა და უბრძანა, მუდამ ხელში ჰქონოდა იგი, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაფასთან გაიძახებდნენ.

ამის შემდეგ პეტიას სწავლის საქმე, მართალია, ისე არ გამოსწორებულა, როგორც კატიას ეოცნებებოდა, მაგრამ თანდათანობით მაინც დალაგდა ყოველ შემთხვევაში, საშინელი საუბრები, სულელების სპეცსკოლაში მისი გადაყვანის თაობაზე, აღარ განახლებულა.

ბავშვთა შემოქმედების სახლი, სადაც კატია მუშაობდა, ზედ ყურეს ნაპირზე, ოდესღაც იაპონელების მიერ აშენებულ ხიდთან იდგა. მას ოთხი სვეტის ფერხთით მჯდომი, მკერდგანიერი, პირქუში და ბრაზიანი გრანიტის ლომი სდარაჯობდა. თვითონ შენობაც იაპონური იყო და სრულებით არ ჰგავდა კოლოფებივით ჩარიგებულ საბჭოურ ნაგებობებს: სახლი ხის იყო, შემრგვალებულჭერიანი, მეორე სართულის თაღოვანი ფანჯრებიდან მოჩანდა ყურეს ფართოდ გადაშლილი რკალი, გემები ნავსადგურში და ღრუბლები ცისკიდურზე,

რომლებიც უსასრულოდ მიცურავდნენ, რათა ჰორიზონტის ტიხარს იქით ერთმანეთს შერწყმოდნენ...

თავისი პატარა აღსაზრდელებისთვის კატია საინტერესო, “წარმოსახვის განმავითარებელ” თამაშებს იგონებდა: მაგალითად, ბავშვები ფოტოქაღალდზე დაალაგებდნენ ოქტომბრელის ვარსკვლავებს, რის შემდეგაც წითელი შუქით გაშუქებულ ქაღალდს ლამპას დაანათებდნენ: მკვეთრი ნათება! – და აი, თქვენ თვალწინ ვარსკვლავიანი ცა!

უცნაური იყო: დედა, რომელსაც ჰქონდა პროფესიული დიპლომი, შეეძლო ხატვა და სილამაზის მოფიქრება, მამისგან განსხვავებით, უსულოს ვერ აცოცხლებდა და თვითონაც არ შეეძლო თოჯინობა. ის ნამდვილი ადამიანი იყო ამტანი, კეთილი, ძლიერ, მსხვილმაჯებიანი... მას ჰქონდა ფერმკრთალი, დაჭორფლილი სახე, რომელსაც რომკაზე გაბრაზების ან დამდურების დროს ხელისგულებში ჩარგავდა ხოლმე და ასე, დამძიმებული, დიდხანს იჯდა სამზარეულოში.

არა, დედისგან არანაირად არ გამოვიდოდა თოჯინა. აი, რომკასგან კი...

მამის სიკვდილის შემდეგ, არეული და აბეზარი სიზმრებით დევნილმა პეტიამ მისი გაცოცხლება გადაწყვიტა; და მას შემდეგ რომკა, თითქოსდა გათავისუფლებული, თავდაღწეული, მუდმივად მონაწილეობდა

მის წარმოდგენებში: თამაშობდა ბილიარდს, ცეკვავდა ჩეჩოტკას და იმ ერთადერთი მარცხენა ხელით ჩხუბობდა (საერთოდ, მარიონეტების ჩხუბები პეტკას სადადგმო ხელოვნების ღერძს წარმოადგენდა); და ასეც მომხდარა, რომ რომელიმე მაყურებელი პეტკასთან მისულა და ზრდილობიანად დაინტერესებულა რატომ არ ცდილობდნენ ასეთი არაჩვეულებრივი თოჯინის შეკეთებას?

* * *

ხოლო ნამდვილი მეთოჯინე პირველი კლასის დასრულებისას გამოჩნდა.

ამას ეწოდებოდა: “თოჯინების თეატრი, ოცდაათ-ოცდაათი კაპიკი დადეთ!” გაკვეთილების შემდეგ პირველკლასელები დაამწკრივეს, სააქტო დარბაზში შეიყვანეს და პირველ რიგებში დასხეს. სკამები დაბალი იყო, ამიტომ თავი უნდა წამოგეწია და ისე გეცქირა სცენაზე წამოჭიმული თეჯირისთვის, რომელზეც მწვანე, მუქყვავილებიანი ქსოვილი შემოეკრათ, დაახლოებით ისეთი, პეტიას და მამას პლაჟზე დასაფენად რომ მიჰქონდათ ხოლმე. და როგორც კი გამხმოვანებელმა სემიონიჩმა მუსიკა ჩართო, კულისებიდან ცალი ფეხის თრევით გამოვიდა მხრებში აწურული, ყავისფერ პიჯაკში გამოწყობილი სრულიად უინტერესო იერის მქონე ბიძია, რომელსაც ჩამომტირალი, მსხვილი ცხვირი ჰქონდა და დანაოჭებულ შუბლს ზემოთ თითქოსდა გახამებული ჭაღარა თმა მოუჩანდა.

კაცი თეჯირის უკან შეძვრა თეჯირი დაბალი იყო, წელამდე სწვდებოდა და მაშინვე წამოიმართა. ორივე ხელზე ნაჭრის თოჯინა ჰქონდა წამოცმული, რომლებიც... რომლებიც უცებ გაცოცხლდნენ დასცხეს ლაპარაკი, სირბილი, სიცილი, ერთიმეორის გამოჯავრება, სიმღერა ზუსტად ისე, როგორც პეტიას ფანჯრის რაფის ბინადარი პლასტილინის კაცუნები ცოცხლდებოდნენ ხოლმე, მხოლოდ არა სიზმარსა და ფანტაზიაში, არამედ სინამდვილეში!

პეტია გაშეშდა... სიტყვები თითქმის არ ესმოდა, სამაგიეროდ, მხედველობა თითქოს გაუფართოვდა, და მოიცვა მთლიანი სცენა, თოჯინებისა და მეთოჯინის ყოველი მოძრაობა, და კიდევ რაღაც, რაც ამ ყველაფრის მიღმა იხატებოდა და ფეთქავდა, რისი სახელწოდებაც მან ჯერ კიდევ არ იცოდა, თუმცა მასში ისე დუღდა და თუხთუხებდა, რომ რამდენიმეჯერ, უნებურად წამოიძახა კიდეც რაღაც. ბიჭი გააოგნა მოქმედების არარეალურობის განცდამ, ამ ყველაფრის საბავშვო სპექტაკლად წარმოსახვის ცბიერმა ჯადოსნობამ. თოჯინები სულ სამი იყო თოკზე მოსიარულეებივით, სიფრთხილით დადიოდნენ თეჯირზე და ეს წარმოდგენას სახიფათო თავგადასავლის ელფერს სძენდა.

მოქმედების სიუჟეტი, თოჯინების წრიპინა წამოძახილებითა და ამის საპასუხოდ დარბაზში აგორებული ხარხარის მიხედვით, სასაცილო და ჭკუის სასწავლებელი იყო,

მაგრამ პეტია ხედავდა, რომ თოჯინები თავს იკატუნებდნენ, და რომ ყოველი მათგანი, და მათი საიდუმლო ცხოვრება იმაზე გაცილებით მნიშვნელოვანი იყო, რაც თეჯირზე ხდებოდა. ეს იყო შეთქმულება თოჯინებისა და არტისტისა, რომლის ხელებსაც უსულო ნაკეთობების მკვდარი მდუმარებიდან თბილი, სასაცილო და სულისშემძვრელი ცხოვრების საიდუმლო ამოჰქონდათ. და ყველაფერი გარშემო სკოლა, მასწავლებლები, ბავშვები, ეს პატარა ქალაქი თავის ქაღალდის კომბინატიანად, და ეს მთები და ზღვის უდაბნო ბავშვთა შემოქმედების სახლსუკან, – არსებობდა განყენებულად, ცალკე და გარკვეულად, ხოლო ეს შეთქმულების მონაწილეები კი არტისტი და თოჯინები იმყოფებოდნენ სულ სხვა, მიუწვდომელ სამყაროში, რომელში შესვლაც ჩვეულებრივი ადამიანებისთვის აკრძალული იყო.

ბიჭი არტისტს უფრო მეტად უცქერდა, ვიდრე თოჯინებს. კაცი არ იმალებოდა, პირიქით თავზე ემხობოდა მოქმედებას, თან სხვადასხვა ხმაზე ბურდღუნებდა, თავს აქნევდა, თოჯინებთან ერთად შეხტებოდა ხოლმე და გასაოცარი სიზუსტით ემთხვეოდა ტაქტს. და მისი თმის ბულულიც მტრედის ფრთა დანაოჭებული შუბლის ზემოთ მასთან ერთად ხტოდა, ხოლო მსხვილი ცხვირი კი ქვევით იყო მიმართული, მაგრამ დროდადრო, მეთოჯინე მახვილ მზერას სტყორცნიდა ხოლმე დარბაზისკენ (პეტია დარწმუნებული იყო, რომ სწორედ მისკენ),

და აი, ეს კი ნამდვილად საშინელი რამ იყო.

სპექტაკლი რომ დამთავრდა, ბავშვები ყიჟინით გაცვივდნენ გასასვლელისკენ, თუმცა რამოდენიმე ადამიანი, და მათ შორის პეტკაც, დარბაზში დარჩა იმის სანახავად, თუ რას მოიმოქმედებდა ახლა ეს ბიძია. მსახიობმა სწრაფად მოხვეტა და საგზაო ჩანთაში ჩაჩურთა ყველა თავისი გმირი, მერე მაგრად ჩატენა და ჩატკეპნა შიგ. გასაკვირია, მაგრამ ჩანთაში ყველაფერი ჩაეტია, პლაჟზე სატარებელი ქსოვილ-თეჯირიც კი. ახლოდან ბიძია უფრო ბებერი და უცნაური ჩანდა: იქ კვლავ განაგრძობდა თავის რიტმულად ქნევას და ხმადაბლა რაღაცის ბურდღუნს, თითქოს საკუთარ თავს ელაპარაკებაო. ბავშვებს ზედ არ უყურებდა, მაგრამ დარბაზის გასასვლელისკენ რომ მიდიოდა, უცებ მხიარულად ჩაუკრა თვალი პეტიას, რამაც ბიჭი კიდევ უფრო შეაშინა.

მსახიობი მიდიოდა კარისკენ, რომელშიც იდგა დედა... ზოგჯერ, როცა სკოლისკენ მოხვდებოდა, დედა შინ წასაყვანად შემოუვლიდა ხოლმე პეტიას. ისინი კუთხის მაღაზიაში ჯემიან ღვეზელებს ყიდულობდნენ და ერთად მიდიოდნენ სასეირნოდ, “საითაც გული გაუწევდათ”. უფრო ხშირად გული სანაპიროსკენ მიუწევდათ, გარდასული სინტოისტური ტაძრის ნანგრევებისკენ მთაზე ობლად მდგარი ორი სვეტისა და მათზე გადებული ძელისკენ, რაიც სულ სხვა, უკვე აღარარსებული სამყაროსკენ ხსნიდა გზას. სწორედ ამ ადგილიდან მოჩანდა მთელი

ყურე.

და აი, როცა მსახიობი კარს მიუახლოვდა, დედამ ანაზდად შესძახა: “კაზიმირ მატვეევიჩ!”, და კაციც ისე შედგა, თითქოს ფეხი წამოჰკრა რამესო, კიდევ უფრო ღონივრად მოჰყვა თავის ქნევას, ჩანთა იატაკზე დადო და თქვა:

– კასია?! ო, ღმერთო, კასია! კატაჟინკა! – და ისინი ერთმანეთს გადაეხვივნენ...

და უცნაური მეთოჯინე თავის ჩანთიანად მათთან სახლში აღმოჩნდა.

დედამ ნაუცბადევი ვახშამი მოამზადა მოლუსკები და კარტოფილი შეწვა, მაცივრიდან რომკას საყვარელი მისაყოლებელი გამოიღო, – კორეული ცხარე სალათი “კიმ-ჩი”. და მათ, ერთმანეთით უსაზღვროდ გახარებულებმა, დაიწყეს მოგონებების წიაღიდან მოხმობილი უცნობი გვარ-სახელების ჩამოთვლა, დანანებით ოხვრა, რაღაცების წამოძახება და ერთმანეთისთვის თავის ქნევა... – და ეს ყველაფერი ეხებოდა დედის ბავშვობისა და სიყმაწვილის ედემურ კუნძულს, სახელად “ლვოვი”.

– და პინია თუ გახსოვს, სულელი-პინია?

– რომელი, ჩანთით აგურებს რომ დაატარებდა მთელ ქალაქში და ყველას რომ ეუბნებოდა, ოქროს ზოდებიაო?

– სხვათა შორის, ამბობდა, ოდესღაც ძალიან მდიდარი ადამიანი ვიყავიო, და სავსებით

შესაძლებელიცაა, რომ რაღაც სავაჭრო ფარდული ჰქონოდა: საბჭოებმა ბევრი გააღატაკეს და შეშალეს ჭკუიდან...

(და კაცის ამ სიტყვებზე დედის ფრთხილი მზერის ტრაექტორია სტუმრიდან პეტიას და კარს გადასწვდა, რომლითაც ნებისმიერ წამს შეიძლებოდა შემოსულიყო "საბჭოთა სასაზღვრო ჯარების კაპიტანი!" ბილიარდისტი და მაწანწალა რომკა.)

– კაზიმირ მატვეევიჩ, და გახსოვთ, რა გალანტური ვინმე იყო ის პინია? ქალებს ზურგს უკან მიასტვენდა ხოლმე, ოღონდ მარტო იმათ, ვისაც ძალიან მომხიბვლელებად თვლიდა.

– აი, რას გეტყვი, – აიტაცა სტუმარმა, – არ ჰქონდა ცუდი გემოვნება. ჩემი ყურით გავიგონე, გალიცკის ბაზარზე რომ უთხრა ერთმა გამყიდველმა ქალმა მეორეს სულ უფრო ახალგაზრდავდები, შე ბებეროო. იმან კი უპასუხა, რანაირი ბებერი ვარ, როცა პინია ჯერ კიდევ მომასტვენს ხოლმეო!"

– და გახსოვთ, მომგებიან შეკვეთას როცა მიიღებდა ხოლმე, მამა ერთ სირჩას გადაკრავდა და მღეროდა:

ო პულნოცი სე ზიავილი იაცის დვაი ცივილე,

მორდი პოდრაპანე, ვლოსი იაკ ბადილი,

კასია, ეს იცოდე, მამაშენი სხვებივით უბრალო დურგალი არ ყოფილა, მისნაირს ლვოვში ვერ ნახავდი! მამაშენი მხატვარი იყო!

ქალაქი ლვოვი პეტიას წარმოსახვაში დედის მონათხრობისა და, რაც მთავარია, მის გაქუცულ პატარა ბლოკნოტში კალმისტრით ჩახატული უსაყვარლესი ნახატების მიხედვით ყოველთვის ამოცურდებოდა ხოლმე არა სახალინური, არამედ რაღაც სხვა, გაფოთლილ-გაფურჩქნული ხეების დაბურული, აქოჩრილი მაქმანებიდან, გუმბათების, სამრეკლოების, ჭედურრიკულებიანი აივნების, უკანა თათებზე მჯდომი ხნიერი, გაფიჟვინებული, წინა თათებით ღერბებჩაბღუჯული ქვის ლომების წრიულ ტრიალში. იქ მოწკრიალე ტრამვაები მოხდენილად უქცევდნენ გვერდს აყვავებულ კლუმბებში ჩადგმულ ქანდაკებებს; იქ სვებედნიერად ცხოვრობდნენ კოხტა შლაპებიან-ვუალებიანი გრაციოზული პანიები, მერძევეები, მეეზოვეები, მეშოკოლადეები, მემწვანილეები; იქ მაღალი, მრგვალი სვეტიდან ბრინჯაოს მიცკევიჩისკენ ფრთოსანი ზეციური მაცნე ეშვებოდა; იქ მხიარულ პერსონაჟთა მორევში ბრწყინავდა დედის საყვარელი ბასიას გულღია და კეთილი სახე, რომელიც ბიჭს მხოლოდ ფოტოსურათზე ჰქონდა ნანახი...

– ბასია როგორაა? – ღიმილით იკითხა მსახიობმა (მისმა გრძელმა სახელ-მამისსახელმა გაცილებით გვიან შეიძინა პეტიასთვის გარკვეულობა და სინათლე). – გახსოვს, რისი გამეორება იცოდა ხშირ-ხშირად? – “არავინ-მე თვითონ!”, რაც ნიშნავდა, რომ არავისი ბრალი არაა, მარტო

ჩემი ბრალიაო, – და ამ დროს დარწმუნებული იყო, რომ გამართული რუსულით ლაპარაკობდა...

და დედა, წარამარა რომ ქსუტუნებდა და იღიმებოდა, უნებურად გადავიდა პოლონურზე, საიდანაც ორივემ, დედამ და სტუმარმა, მხოლოდ მაშინღა ამოყვინთეს, და თითქოს გონს მოვიდნენო, როცა საუბარში ახლადმოსული რომკა ჩაერთო. მან, როგორც ყოველთვის, ყველაფერი გააუხამსა: ცმუკავდა, უადგილოდ ხუმრობდა და ცდილობდა სტუმარი ლაპარაკისკენ გადაეხარა, – ლაპარაკისკენ, რომელიც მხოლოდ თვითონ ესმოდა, – მაგრამ სტუმარი მშრალად და თავაზიანად პასუხობდა: “არა, არ ვსვამ. არა, გმადლობთ, მე არ ვსვამ”... მამა კი ძალას ატანდა, მის არამსმელობას დასცინოდა, და შეპარვით აზუსტებდა: იქნებ, კუჭის წყლული გაქვთ? – მოკლედ, მამლაყინწობდა.

ღამისკენ გვარიანად გამოთვრა და თავისი ჩვეული თვითშეგრძნების იმ მწვერვალსა თუ ორმოს მიაღწია, როცა ჯერ კიდევ ახერხებდა ფეხზე დგომას, უცნაური მოხდენილობითაც კი უვლიდა გარს სკამებსა და მაგიდას და რაღაც სასწაულის წყალობით არ აყირავებდა მათ. ის დაბარბაცებდა სამზარეულოში, ხელში ბანქოს შეკვრა ეჭირა (აჰ, ესე იგი, მსახიობი ხა-ა-ართ? მსახიობები აქაც ოხრად გვყავს!) – და ოთხი ტუზით რაღაც გასაშტერებელი ფოკუსის ჩატარებას სთავაზობდა კაზიმირ მატვეევიჩს.

და დედა ანთებული თვალებით შესცქეროდა მას, ოდინდელი, უძლური სიძულვილით.

ხოლო სტუმარს ყველანაირი საფუძველი გააჩნდა საიმისოდ, რომ უარი განეცხადებინა იმ ადამიანთან დალევასა და საუბარზე, რომლის პიჯაკზეც -КГБ-ს სამკერდე ნიშანი იწონებდა თავს. მოიხადა რა სოლიდური სასჯელი 58-ე მუხლით, იგი ჯერაც კარგად ვერ ერკვეოდა საბჭოთა საჯარისო სახეობათა განმასხვავებელ ნიუანსებში, მაგრამ ამჯობინებდა, თავი შორს დაეჭირა ნებისმიერი, თუნდაც ყოფილი, თუნდაც ინვალიდობის გამო ჯარიდან დათხოვილი ოფიცრისაგან. ერთხელ სწორედ ასეთ ოფიცერს ხუმრობით აჩვენა ნომერი, ულვაშა პოლონელი ვოევოდა-თოჯინის მონაწილეობით, სასაცილო და თავისუფალი კომენტარებითურთ. მაგრამ იმ ოფიცერს თოჯინამ სულ სხვა, თუმც ისიც ულვაშა ადამიანი მოაგონა (ხდება ხოლმე, – ფილოსოფიურად უხსნიდა მერე კაზიმირ მატვეევიჩი ბარაკის მეზობლებს, რომელთაგან ერთი სახელგანთქმული “ლვოვის მათემატიკური სკოლის” პროფესორი აღმოჩნდა, – თოჯინების თეატრი ხომ ასოციაციებით ცოცხლობს). ასე რომ, მხიარული სპექტაკლის შემდეგ მეთოჯინე პირდაპირ გაუყენეს გზას მთელ ლვოვში უსიამოდ ცნობილი გრძელი, გემისმაგვარი სახლისკენ ძერჟინსკის ქუჩაზე; ეს სახლი საზღვაო ფლოტში დაღუპული ვაჟიშვილის სახსოვრად ერთ ცნობილ ბანკირს აუგია ოდესღაც.

ციხიდან გათავისუფლების შემდეგ მოხუცმა მეთოჯინემ იუჟნო-სახალინსკში გადმოსახლება გადაწყვიტა: ქამელეონისთვის გარემოსთან შერწყმა ჯობსო, იტყოდა ხოლმე. გაჭირვებით არ უჭირდა. სახალხო თეატრში რაღაც მოარულ სამსახიობო ერთეულად ირიცხებოდა. თანდათან გაითავისა აქაურობა, თუმცა ხშირად ამბობდა ხოლმე, სახალინს ჯერაც დასტრიალებს თავს კატორღის სულიო. რაღაც კავშირებიც გაუჩნდა, და "გამოცდილი მსახიობის" ურყევი სახელიც; ხშირად იწვევდნენ ხოლმე სკოლები და საბავშვო ბაღები თავის სარჩენად საკმარისი იყო. ასე დამოგზაურობდა იგი მთელ კუნძულზე, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, "თავის ჭკუაზე", – თოჯინების თეატრით სამგზავრო ჩანთაში: "იცი, კასია, ბავშვი ყველგან ბავშვია".

ეშმაკობდა და ინიღბებოდა: რა ბავშვები! მით უმეტეს, აქაური ბავშვები რომელთაგან ბევრნი სიდუხჭირის, სიღატაკის, კრიმინალისა და ლოთობის უბედური და გულქვა ანასხლეტები იყვნენ. ისინი ვერ იღებდნენ ხელოვნებას, მათ ვერ ჩააგონებდი სიკეთეს, და ვერც წარმოსახვას გაუღვივებდი...

მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მიხვდა პეტია, თუ რა საერთო ჰქონდათ მასა და კაზიმირ მატვეევიჩს. ისიც მონადირე და სხვა ცხოვრების მიმქრალ და მომაჯადოებელ სურნელზე დაგეშილი მეძებარი იყო; კვალმაძიებელი სამუდამო ექსპედიციაში.

ისიც არაამქვეყნიურობაში გასასვლელ ხვრელს ეძიებდა...

პეტიას ნება დართეს მთელი საღამოს განმავლობაში კაზიმირ მატვეევიჩის ჩანთიდან ამოღებული თოჯინებით გაერთო თავი. და ისიც იატაკზე იჯდა, ფრთხილად და ხარბად ათვალიერებდა მათ, ეხებოდა, თითებით სინჯავდა, რიგრიგობით იღებდა ხელში, თან ცხვირში დუდუნებდა გათავისუფლებულ, საიდანღაც თავდაღწეულ, უაზრო და ერთმანეთთან დაუკავშირებელ სიტყვათა მღელვარე ნიაღვარს... – ვინმეს, უფროსთაგან ყური რომ მიეგდო, ასე ჩათვლიდა მაგრამ ეს სიტყვები სავსე იყო გრიგალისებრი, დამანგრეველი, შეუჩერებელი მოძრაობით: “გამარჯობა გამარჯობა რა იყო რას იქნევ ხელებს წადი წადი აქედან არა შენ თვითონ წადი ჯერ შე საზიზღარო ნუ ყოყლოჩინობ იცი რას გიზამ აბა ერთი გაბედე მუ მუ მუ რა იყო შე მტირალა შენი ბრალია პირველმა დაიწყე აი ახლა აეგრე აეგრე შენ მარტო მარცხენათი რას გიზამ მიდი მიდი სინჯე ბიჭებო ნუ ჩხუბობთ...”.

ერთი თოჯინა ძალიან განსხვავდებოდა დანარჩენი ორი უბრალო და როგორც თვითონ უწოდა გონებაში საბავშვო თოჯინისგან. ისინი იყვნენ, უბრალოდ, გოგონა და ბიჭი, ჰქონდათ მიმნდობი, მოტირალ-მოცინარი, პოროლონისგან დამზადებული და მოხატულ ქსოვილშემოკრული მოწაფური სახეები. აი,

ის მესამე თოჯინა კი, სპექტაკლში ხულიგნად რომ იწოდებოდა... ეს ნაჭრისგან გაკეთებული, ხის თავზე წითელ ჩაჩჩამოცმული თოჯინა ჩაცინებისას კბილებს აელვარებდა, აქეთ-იქით ატრიალებდა თავს და მასთან ერთად ხარბ, კეხიან ცხვირს... ზურგზე ფუმფულა კუზი ჰქონდა დამაგრებული, ხოლო წითელი პერანგის ქობაზე, წინა მხრიდან, შეუსაბამოდ პატარა, ბამბით გამოტენილი ფეხები მიეკერებინათ, რომლებიც რაღაცნაირად, დამცინავად და უხამსად უქანავებდა... აი, ეს ყოჩაღი, სასაცილო და ავბედითი მახინჯი თან აშინებდა, თან იზიდავდა პეტიას, და მთელი საღამოს განმავლობაში ერთი წამითაც კი არ დაუთმია იგი. შეუძლებელი იყო მასთან განშორება! ბიჭის ხელებში მოქცეულ თოჯინას თავის ყოველ მოძრაობაზე სახის გამომეტყველება ეცვლებოდა: ხან ეშმაკურად და იქედნურად იმზირებოდა, ხან მხიარულად, ხან მთვრალ-თავგზაარეულად... იგი რაღაცით რომკას ჰგავდა, თუმცა უცნაურია! – რომკა ხომ ლამაზი იყო, ეს კი მახინჯი. მაგრამ ხელის გატოკებისთანავე სახეზე გამომეტყველების შეცვლა, – ჰო, ეს სწორედაც რომ მამის განწყობილებათა მკვეთრ ცვლილებებს მოაგონებდა ბიჭს.

როცა სტუმარს სამზარეულოში გასაშლელი საწოლი გაუმზადეს და ყველა დაწვა, და როცა რომკამაც კი შეწყვიტა უაზროდ ბორიალი, პეტია დაელოდა, სანამ სახლის სიჩუმე ღამეული ნახევარხმების, შარიშურის,

წამოხვრინვების, მთვარის შუქდაფენილ რაფაზე ტიულის ფარდების შრიალის ერთ გაწელილ, თანაბარ მთლიანობად იქცეოდა, – და საწოლიდან ჩამოსხლტა. ფეხშიშველა მიიპარა ჩანთასთან და ნელა წამოსწია, მოსინჯა, რამსიშორეზე შეძლებდა მის წაღებას. ბიჭს უკვე მოფიქრებული ჰქონდა საუკეთესო და გონივრული გეგმა, თუ სად უნდა გადაემალა ჩანთა: ფარდულში, ეზოს კუთხეში რომაა, – იყო ასეთი ადგილი, ყველა მეზობელი იყენებდა საჭიროების შემთხვევაში. ხოლო, როცა დილით სტუმარი ჩანთას მოიკითხავდა, პეტია ეტყოდა, რომ ღამით ბინაში ქურდები შემოიპარნენ, თვითონ დაინახა, ორნი, კრიმინალები, გადაპარსულები... ისეთი ბანდიტები, რომ შიშისგან დამუნჯდა და გაშეშდა.

მაგრამ მოულოდნელად სტუმარმა, რომელსაც თურმე უძილობა სჩვეოდა, მისკენ მოაბრუნა თავი და სწორედ იმ მახვილი მზერით შემოხედა ბიჭს, დარბაზს რომ მოავლო. სწრაფად წამოჯდა გასაშლელმა საწოლმა ჯერ გაიტკაცუნა და მერე გაბმული ჭრაჭუნი მოაყოლა, – და ჩურჩულით, პოლონური და რუსული სიტყვების ნაზავით ჰკითხა:

– რა იყო, შვილიკო? მოგწყურდა?

და პეტიას ისღა დარჩენოდა, რომ უხმოდ დაექნია თავი და ჭიქა შეედგა ონკანისთვის.

– აბა, რა ქენი, კარგად დაათვალიერე ჩემი თოჯინები? – ჰკითხა სტუმარმა.

ისევ დაუქნია თავი. ბიჭი მღელვარებისა და სირცხვილისაგან ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა, ის ხომ თოჯინების წაღებასა და დამალვას აპირებდა, ამ მოხუცმა კი, საცოდავმა, არაფერი იცოდა და აი, რა ტკბილად ელაპარაკებოდა.

– მერე, ყველაზე მეტად რომელი მოგეწონა?

უცნაური იყო, რომ კაზიმირ მატვეევიჩი, სცენაზე დგომისას ესოდენ გამართულად, კარგად და სწრაფად მოლაპარაკე რუსულ ენაზე, რომკას თავდასხმების საპასუხოდ რუსულად ესოდენ თავდაჭერილად და თავაზიანად მოპასუხე, პეტიასთან საუბარში წარამარა ურთავდა პოლონურ სიტყვებს, მაგრამ მხოლოდ იმ სიტყვებს, რომლებიც ბიჭისთვის გასაგები იქნებოდა. და სიტყვების ამ ნაზავსა და ტრიალში პეტიამ გუმანით ისევ ის ფარული თამაში იგრძნო, ისევ ის მაგიური სწრაფვა აზრთა აღრევა-კორიანტელისკენ, მოხიბვლის, ჩათრევის იგივე მცდელობა, რომელსაც ბუნდოვნად მთელი საღამოს განმავლობაში გრძნობდა, როცა თოჯინებს რიგრიგობით იღებდა ხელში და სახეში ჩასცქეროდა თითოეულს...

მოხუცი გასაშლელ საწოლზე იჯდა, განიერი, ფერადყვავილებიანი ტრუსი ეცვა და წვეტიანი მუხლები განივრად გაედგა აქეთ-იქით. სამზარეულოში, მიუსაფარი მთვარის ცივ შუქზე, იგი, იმ თავისი საზიზღარი ნაიარევით, თითქოს თიხის გუნდა შეაწებესო, მარცხენა ძუძუსთავიდან მთელ ჩამომჭკნარ გვერდზე რომ გასდევდა, გაცოცხლებულ მიცვალებულს, ან კიდევ, დიდ, გაქუცულ

თოჯინას წააგავდა.

– რა იყო, შეგეშინდა ჩემი? – უცებ რბილად ჰკითხა მან ბიჭს, – მე რა შესაშინებელი ვარ... ერთი მარტოხელა მოხუცი... აი, ძალიან მესიამოვნა, რომ მთელი საღამო ჩემს თოჯინებს ათვალიერებდი. მოდი, ერთად დავათვალიეროთ, მე კი, რაღაცას მოგიყვები, კარგი?

პეტია იმავე წამს ჩანთას მივარდა, მსახიობთან მიაჩოჩა იგი და გრძელი ელვა-შესაკრავის ენა გამოქაჩა.

– აი, – ჩაილაპარაკა მღელვარედ, – გრძელი ცხვირი რომ აქვს. ხულიგანი რომ ჰქვია.

მეთოჯინემ კმაყოფილებით ჩაიცინა, ჩანთაში ხელი ჩაყო, მოაფათურა და სწორედ ის, ხისთავიანი, წითელჩაჩიანი, ბოროტად კბილებდაკრეჭილი თოჯინა ამოიღო.

– ყოჩაღ, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა მოხუცმა, – ეგრევე მიხვდი, რომელია ნამდვილი. ის ორი მე თვითონ გავაკეთე, უკვე აქ. ისინი ისე, სასკოლო წარმოდგენებისთვისაა... დიდი ოსტატი არ ვარ... აი, ეს კი პეტრუშკა, ნამდვილი თოჯინაა. შენი მოსახელეა, სხვათა შორის. არ მეშლება, ხომ? დედაშენი ხომ პეტრუშას გეძახდა დღეს, არა? ესე იგი, პიოტრი... ეგრეა. გაგიკვირდება, პიოტრეკ, ამ ხულიგანის თავი და ფეხები ხომ შენმა ბაბუამ გამომითალა შეკვეთით. კატაჟინკას მამამ. ოჰ, რა ოსტატი იყო! ეს, ხომ ხედავ, ცაცხვისგან გამოთალა, როგორც მე ვთხოვე.

ცაცხვი თოჯინებისთვის ყველაზე მხიარული, ყველაზე თბილი ხეა.

– და... ფეხები რატომ აქვს ასეთი... პატარა?

– ჰეჰ! ფეხები ხომ, უბრალოდ, ბუნებრიობისთვის აქვს! ეგ ხომ ზედ თეჯირზე დადის. გადმოკიდებს ფეხებს და დახტის: ხან ყვირის, ხან ჭიდაობს, ხან უსტვენს. ადრე უწმაწური სიტყვებით იგინებოდა კიდეც, ღმერთმა ეგეთი არაფერი გაგაგონოს. ეს თეჯირზე ამხედრებული დადის, ამიტომაც ჰქვია "მხედარი". ეს ხომ "ხელთათმანის" თოჯინაა, ამიტომაც იცვამენ ამისთანებს ხელთათმანივით. დაიცა, აჰა, შენ თვითონ სინჯე. "საყვარელზე" უნდა ჩამოიცვა, ანუ მარჯვენა ხელზე. ცაცია არ ხარ, ხომ? მომე ხელი...

მოხუცმა საგულდაგულოდ ჩამოაცვა ბიჭს ხელზე თოჯინა, თან ბუტბუტებდა: "შუა და საჩვენებელი თავში, ცერი და არათითი აქეთ-იქით, აი, ასე..."

როგორც კი პეტიას ხელი თოჯინის შიგნით აღმოჩნდა, და როგორც კი საჩვენებელი თითის გამოძრავებასთან ერთად ცხვირა ხულიგანმა გვერდულად ისე დახარა თავი, თითქოს აყურადებს, რა ხდება შიგნით და ახლა რას უნდა ველოდეო, – ბიჭმა მოულოდნელად რაღაც მხურვალე და გამჭოლი ტალღა შეიგრძნო, რომელიც მისი მხრიდან პეტრუშკას ხის თავისკენ ჩაგორდა, თითქოს ერთმანეთთან ერთი მთავარი ძარღვით იყვნენ დაკავშირებულნი, რომელშიც საერთო სისხლი ჩქეფდა.

მსახიობი კი ისევ ბუტბუტებდა:

– არაფერია, პიოტრუსიუ, ვხედავ, ხელი მოქნილი გაქვს, ძალიან მოქნილი, სწრაფად შეეზარდა თოჯინას... მთავარია, ხასიათი გაუგო, დაუმეგობრდე, თუმცა აი, ამასთან დამეგობრება დიდად არ მოგინდება. ძალიან თავნებაა ეს ოხერი, ეს მართლა ქოლერა ეს! სიფათს ხედავ? ეს, ძმობილო, იისსეთი ხასიათის პატრონია, როომ!..

– და... პეტრუშკა რატომაა? – ჩურჩულით იკითხა ბიჭმა. ეშინოდა, დედამ არ გაიღვიძოს და დასაძინებლად არ გამაგდოს, არ მითხრას, ტვინს ნუ უბურღავ ადამიანსო. – წარმოდგენაში ხომ ხულიგანს ასრულებდა, იმას კი სახელი საერთოდ არ ერქვა...

– ო, არა, ამ ტიპს ბევრი სახელი აქვს: პანიც, ჰანსვურსტი, კაშპარეკი, პოლიშინელი, პულჩინელა... რომელ ქვეყანაშიც მოხვდება ეს ტაკიმასხარა, ეს მავნე, – ყველგან იქაური სახელი ჰქვია. გვარიც კი რამდენიმე აქვს. აი, შენ ხომ ერთი გვარი გაქვს, არა? რა გვარი ხარ?

– უკსუსოვი, – ჩახლეჩილი ხმით ჩაიბურტყუნა ბიჭმა.

და უცებ გასაოცარი რამ მოხდა. მეთოჯინე პირდაღებული გაშეშდა, უკან გადაქანდა აჭრიალებულ საწოლზე და მოგუდულად შესძახა:

– რაო? რაო? რას ამბობ? რას მეუბნები? – რითაც ძალიან შეაფიქრიანა ბიჭი, რომ მისი

უბრალო, ოღონდ არცთუ გემრიელი გვარი (დიახ, სკოლის ბიჭები აჯავრებდნენ ხოლმე: იმანჭებოდნენ, იატაკზე იფურთხებოდნენ, – რა მჟავე რამეაო, ანუ, რა დაძმარულიო!), ალბათ, ღმერთმა უწყის, რას ნიშნავდა.

მოხუცმა კი ხელზე ხელი დასტაცა და მხურვალედ აჩურჩულდა:

– ეს ხომ მისი უძველესი სახელია სწორედ... მისმინე, ჩემო ტკბილო, თუ არ მეხუმრები: შენ ხარ, სწორედაც შენ ხარ ის, პეტრუშკა, პიოტრ უკსუსოვი! – და თავგადაგდებული უხმოდ ახარხარდა: – აი, დამთხვევა, ღმერთო დიდებულო, აი, დამთხვევა!

გაუგებარი აღტაცებისგან მოხუცმა თითქოს წამოიტირა კიდეც არა, მაინც ძალიან უცნაური ბიძია იყო, – ცრემლს იმშრალებდა, თავს იქნევდა და იმეორებდა:

– აი, ეს მესმის! თვით ღმერთმა მიგანიშნა, ვინ უნდა გახდე... აი, ფოკუსი! აი, დამთხვევა წვრილმანებამდე!

პეტიამ დაიხედა ხელზე, რომელშიც ავი და ცალყბა ღიმილით მომზირალი თავისი უსიამოვნო მოსახელე ეჭირა, დაბლა დაუშვა იგი და თქვა:

– არ მინდა, ეს რომ ვიყო, საზიზღარია.

მოხუცი ახლა მხარში ჩააფრინდა და ყელში მობჯენილი, მოგუდული ხმით მგზნებარედ და უკვე სრულიად გაუგებრად აბუტბუტდა:

– არა, არა, ეგ არც ცუდია და არც კარგი. არც ცოცხალია და არც მკვდარი! ეგ ისეთი პერსონაჟია... მორალი და ღირსება

სამაგისო რამეები არაა. იცი, ეგ ტრიქსტერია! არის ასეთი მარადიული არსება მიწისქვეშა სამყაროში, ცბიერი, ყველაფრის დამანგრეველი... ყველაფრის უფლება აქვს: ზეციდანაც და მიწისქვეშეთიდანაც. მრავალი ათასი წლისაა. ვინიბაგოს ტომის ინდიელებთანაც იყო, ინდოეთშიც იყო, სპარსეთშიც... მას სულ სხვა ძალები ამოძრავებს, მიღმური. ამიტომაც ლაპარაკობს მიღმური ხმით. აი, ჩამოდი ჩემთან სტუმრად იუჟნიში, ერთ კარგ რამეს განახვებ: საწრიპინოს. ენის ქვეშ იდებ, და პეტრუშკა ისეთ ხრინწიან ხმაზე აყმუვლდება, ჯოჯოხეთის ორპირი ქარი გეგონება... შენ გაიგონებ!

მეთოჯინე რატომღაც ღელავდა, და მთვარის მქრქალ, უსიცოცხლო, “მიღმურ” შუქზე ბიჭს თავად ის მოეჩვენა მოჯადოებულ პეტრუშკად, რომელიც ტრიქსტერად გაცოცხლდა და მონათესავე სულს შეხვდა. პეტია მის გვერდით ჩამოჯდა საწოლზე, ზედ სახესთან მიიტანა ხელი, რომელშიც კუზიანი, წითელჩაჩიანი ჩხუბისთავი ეჭირა. მისი ღიმილი ნუსხავდა ბიჭს. თოჯინა რაღაცით საშინლად მიმზიდველიც ჩანდა და, იმავდროულად, საშინლად აუტანელიც. საიდუმლო იყო. შეყინული სიცილი. და ძალაუფლება.

−იუჟნამდე შორია, − ამოიოხრა ბიჭმა, − ას ოთხმოცი კმ.

მსახიობი წამოენთო:

– რა შორია, რა ისეთი შორია! ჩაგსვამს დედა მატარებელში, მე კი დაგხვდები. დიდი ამბავი!

პეტია კიდევ ერთხელ ჩააცქერდა ხელზე წამოცმულ ცხვირას ვიწრო, შავ, მოცინარ თვალებში და ფიქრიანად იკითხა:

– და ცხოვრებაში... ცხოვრებაში არსებობენ ამისთანები? ასეთი ისინი... ტრიქ...სტერები? რომლებიც თავისი ნებით კი არ არიან... რომლებიც... ჯოჯოხეთიდან არიან?

მეთოჯინემ გვერდზე გადახარა ჭაღარაქოჩრიანი თავი და ბიჭს ისე დააცქერდა, თითქოს ფიქრობს, ვთქვა თუ არ ვთქვაო.

– არსებობენ, – ჩაილაპარაკა ბოლოს სერიოზულად, – ძალიან კარგადაც არსებობენ. მამაშენი ნამდვილი ტრიქსტერია.

* * *

ორიოდე კვირის შემდეგ, არდადეგების პირველივე დღეს, დედა დათანხმდა, გაეგზავნა იგი იუჟნო-სახალინსკში, კაზიმირ მატვეევიჩთან. მხოლოდ მარტო არა, რა თქმა უნდა, არამედ სართულის მეზობელთან, ძია საშასთან ერთად, რომელიც სწორედ ახლა გახდა წასასვლელი იქ მივლინებით.

ძია საშამ, სამთო მოთხილამურეობის მოყვარულმა, სამოცდახუთი წლის ტანმოკლე მუშკეტერმა, პირობა დადო, რომ “ყმაწვილს მიხედავდა”. რა იყო მისახედი, ჩვილს ხომ არ ატანდნენ აკვნით.

და, როცა პეტია დერმატინშემოკრულ,

მაღალზურგიან დასაჯდომზე აძვრა, რომელიც ისე იდგა, რომ მის მოპირდაპირე მხარეს მჯდომი ძია საშას მუხლები მის მუხლებს ებჯინებოდა, უპირველეს ყოვლისა, ღრმად, მუცლის ფსკერამდე შეისუნთქა ჰაერი, თითქოს მთელი გზის სამყოფი მარაგით ივსებდა ბედნიერების ვეება ბუშტს, შიგნიდან რომ აწვებოდა... ვიწრო, ძველისძველი იაპონური ვაგონი დაიძრა და წაღოღდა, უკან გაიყოლა შიშინი და სტვენა, და ნელი დაგ-დუგ-დუგი, მერე უცებ აგუგუნდა, მხიარულად ააზანზარა მინები და რელსებზე წარაკუნდა.

მარცხნიდან ზღვის სანაპირო გაიწელა, მარჯვნიდან კი ყურე და მწვანე ველი აედევნათ, მოცისფრო, დანისლულ მთებს რომ ერწყმოდა შორეთში, და ვაგონში ზღვის, ბალახისა და ხის სურნელთა ნაზავი შემოიჭრა. ბნელ, უკუნ გვირაბთა შორის ნარინჯისფერ ნათლად იფეთქებდა ხოლმე ხან მდინარე, ხან წერწეტა არყნარ-ნაძვნარი, ხან თვალისმომჭრელი ღრუბლის კუდიანი კომეტა.

– რამდენიმე საუკუნის წინ რომ გაევლო აქ მატარებელს... – ჩაილაპარაკა ძია საშამ, გაზეთს თავი ანება და “ახლომხედი” სათვალე მოიხსნა, – ფანჯრიდან ლაპერუზის ხომალდის იალქნებს დავინახავდით...

და კვლავ მთები და ტყე, მობრეცილი პატარა სადგურები, და გველივით დაკლაკნილი გზა ნაძვნარში, და ოდესღაც

არსებული ხიდებისგან შემორჩენილი ხავსმოდებული ბიჯგები ღელეებთან, და დაბალი ბამბუკის მოწყენილი ჭალები... კარგა ხანია, რაც გასცდნენ ილინსკს, ყველაზე ვიწრო ადგილას გადაკვეთეს კუნძული, უკან მოიტოვეს მეთევზეთა პატარა დასახლება ვზმორიე, თავის პაწია კერძო სახლებიან და სტალინის ჭუჭყიან-ვარდისფერ ორსართულიან კორპუსებიანად... და ახლა უკვე მარცხნიდან, გზის კიდეებზე ისევ ღელავს ველური ასკილის იისფერი ნაპერწკლებითა და ნარინჯისფერი შროშნებით სავსე მაღალი ბალახი, მერე კი იწყება ქვიშის ზოლი მუქ-ლურჯი ოხოტის ზღვის გასწვრივ... მარჯვნიდან მთაგორებზე ხტუნვით, ხეობათა ნისლებში ყვინთვითა და ფოთლოვან-წიწვოვან ტყეთა მღელვარე ტალღებად, ცურვით, მატარებელთან ერთად მოქრის უსასრულო ტაიგა, ხოლო მის იქით, შორეთში, მწვანე-ზამშისებრი, ნაკეცებად მიჯრილი მთაგრეხილები აჭრილან ჩამოძენძილ ღრუბლებქვეშ.

ბიჭის უკან ორი ქალი იჯდა, რომელთა ენა მთელი გზა არ გაჩერებულა, რაც ძალიან უშლიდა ხელს მთელი სამყაროს ამ მიზანსწრაფულ სრბოლას, ხმაურიან სრბოლას ხშირ, ლურჯ-მწვანე სივრცის წიაღში, რომელიც პეტიას თვალთა ორივე მხარეს მოედინებოდა და მოხტოდა.

−მოდი, დღეს მოვამზადოთ სალათი ოხრახუშით, ძალიან გემრიელია, − ამბობდა ერთი, − ვიღებთ ცხრა კვერცხს, ერთ ქილა სიმინდს, ხახვს, ძეხვს, სოსისს, ცოტა მწვანე

ბარდას და მაიონეზს...

– ოხრახუში სადღაა?

– როგორ თუ სად? თავზე ვაყრით წვრილად დაჭრილს...

უცებ მატარებელმა ცივ ნისლში ჩაყვინთა, და გაცურა შიგ მთვრალი რომკასავით რწევითა და ყანყალით, სწორედ მასავით შარიანი მოძახილით, არავინ უწყის, ვის შესაშინებლად.

ძია საშა გამოერკვა, ელვით ჩაკეტა საბუთებით სავსე ტყავის საქაღალდე, რომლის თვალიერებაშიც გზის მიწურულს ჩაჰყვინთვოდა და ცხვირი ისე დაეხარა მისკენ, თითქოს ყნოსავს, ახალია თუ არაო; სათვალე მყარ ბუდეში ჩადო, ტკაცანით დაკეტა და თქვა:

– მალე დოლინსკია... ხომ არ დაიღალე? ნამძინარევს ჰგავხარ, მიმიკას ვერ ვხედავ...

– ეგ რა არის ეგ მიმიკა? – ჩახლეჩილი ხმით გაეპასუხა პეტია. მის თავში წყნარად გუგუნებდა მობუტბუტე აზრთა ნეტარი ღრუბელი. გრძელი გზის მანძილზე მან მოასწრო და კაზიმირ მატვეევიჩის სამ თოჯინასთან ერთად აზრობრივად გაითამაშა კიდეც რამდენიმე საზარელი ამბავი, რომლებშიც მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, პეტრუშკა იყო, – ხან მხიარული, ხან გაავებული, ხან ყაჩაღი, ხან მხსნელი გულადი ტრიქსტერი... მთელი გზა ბიჭი წელში გამართული, მუხლებაწეული იჯდა, და

თუმცა ძალიანაც უნდოდა, ტუალეტში გასვლაზეც კი უარი განაცხადა. არ შეეძლო მოქმედებასთან განშორება...

– რა და... განცდა, – განმარტა ძია საშამ, – აღტაცება, გაკვირვება, ბედნიერება. შენ ბედნიერებაში უფრო ხარ თუ საშინელებაში?

ბიჭმა ალალად მიაყურადა საკუთარ თავს, და კარგა გრძე ლი პაუზის შემდეგ ალალად უპასუხა:

– ორივეში...

კაზიმირ მატვეევიჩი ცხოვრობდა რკინიგზის უკან, ერთსართულიან ხის სახლში, უბანში, რომელსაც საიდუმლოდ “შანხაი” ერქვა: ეს იყო თიხით შელესილი, ალაგ-ალაგ ბათქაშამძვრალი ქოხმახები, ცელოფანგადაჭიმული ფანჯრები, ჩაწოლილი ღობეები, ჭაობიან ნიადაგზე საყრდენი რომ ვერ მოეძებნა, წიდის ჭუჭყიანი ბორცვები, ქვანახშირის მტვერი, შარშანდელი ოროვანდის ტოტები ღრმა თხრილებში და საყოველთაო ლოთობა.

მაგრამ მეთოჯინის დიდი ოთახი, რომელიც მეზობლებისგან სამი ბოქლომით საიმედოდ იყო გამიჯნული, საოცრად სუფთად და კოხტად გამოიყურებოდა. ოთახის შუაგულში იდგა დიდი, მრგვალი ხის მაგიდა, რომელზეც არაფერი იყო გადაფარებული. ზედ იდო სახლის ბინდბუნდში სხივიანად მოელვარე ფილა-სადგამი, რომელზეც ფუმფულა, კვამლისფერბეწვიანი, მხრებში თავჩარგული მძინარე კატა მოკუნტულიყო. (“აქ სად დამჯდარხარ, შე ქოლერა, შენა!!!” – დასძახა

კაზიმირ მატვეევიჩმა და, რაკი კატა არათუ არ გადმოხტა მაგიდიდან, არამედ არც კი შეინძრა, მიუახლოვდა, ნაზად აიყვანა ხელში და მის მოცისფრო ბეწვში ჩარგო სახე და წამით თავისი ჭაღარა შეურია მას.)

მაგრამ მთავარი, მთავარი რამაც ბიჭი ზედ ზღურბლთან გააშეშა და სუნთქვა ისე აუჩქარა, თითქოს მატარებლით კი არ მოდიოდა, არამედ მთელი გზა სირბილით უკან მოსდევდა მას: კედლებზე თოჯინები ეკიდა! თან ისეთები კი არა, როგორებითაც მოხუცმა სკოლაში წარმოდგენა გამართა, არა “მხედრულები”, არა ხელზე წამოსაცმელები, არამედ სულ სხვა ნაირები – ძაფებზე დაკიდებულები. გადაჯვარედინებული ხის ნაჭრებიდან თითოეული ძაფი ამ არსებათა თავის, ხელებისა და ფეხებისაკენ ეშვებოდა. (ღმერთო, ვის არ ნახავდით აქ!) და ამ არსებებს კაზიმირ მატვეევიჩი “ჩემს თოჯინებს” უწოდებდა.

– არა, – თქვა კაზიმირ მატვეევიჩმა და თან გახევებულ ბიჭუნას ქურთუკი გახადა, – გრძელი გზა გამოიარე. ჯერ ვისადილოთ.

მაგრამ ბიჭი კვლავ ისე იდგა, ჩუმად ყლაპავდა ნერწყვს და გამშრალი მზერით ათვალიერებდა კედლებს.

– მე... – დამნაშავედ ამოთქვა ბოლოს და უცებ ატირდა, – ჩავიფსი...

* * *

...მას შემდეგ ხშირად ჩადიოდა მოხუცთან, უკვე მარტო მიემგზავრებოდა, დედა მორჩილად უშვებდა მთელი არდადეგებით, და ეს მისი და დედის საიდუმლო იყო, შარიან რომკას კი სულ უფრო უჭირდა თვალი მიედევნებინა ამ იდუმალი გაუჩინარებებისთვის. პეტიას ჩასვლისთანავე კაზიმირ მატვეევიჩი გამოცოცხლდებოდა ხოლმე, თოჯინებს ხსნიდა კედლებიდან და იღებდა იმგვარი ფუთებიდან, მოხეტიალე მომთაბარეებს რომ დააქვთ თან, – და ისინი საათობით მეცადინეობდნენ.

და აი, ახლა, ამ ხელობაზე უსასრულო საუბრების დროს, მოხუცი მეთოჯინე, – თითქოს აუკრძალა საკუთარ თავსო, – აღარასდროს გადადიოდა პოლონურზე. როგორც ჩანს, თვლიდა, რომ ჩვენი პროფესია (ის კი ერთი წუთითაც არ დაეჭვებულა, რომ პეტია სათოჯინო საქმისთვის იყო მოწოდებული), – აი, ეს პროფესია მკაცრად უნდა დაქვემდებარებოდა ქვეყნისა და ბავშვების ენას.

უპირველეს ყოვლისა, იგი აიძულებდა პეტიას, ესწავლა მოთმინება: უსაზღვროდ დიდხანს სჭეროდა თოჯინა მაღლა აწეულ ხელზე. თავიდან ეს ადვილი იყო, ხუთი წუთის შემდეგ კი ძნელი, ხოლო კიდევ ათი წუთის მერე გაუსაძლისი. მხარსა და ხელს ნელი, გაწელილი ტკივილი გაუბუჟებდა ხოლმე, რომელიც ჯერ ზურგისკენ მიცოცავდა, მერე ბეჭებს შორის ჩააფრინდებოდა, მერე კი

კისერზე მოუჭერდა...

– არა უშავს, არა უშავს, – ამბობდა კაზიმირ მატვეევიჩი და თან საათს გახედავდა ხოლმე. – კიდევ ერთი წუთიც და-ა-ა-ა-ა, გაგიადვილდება... და მალე ძალიან გაგიადვილდება, და ჟესტების თავისუფლებას შეიძენ. სიმსუბუქე სიძნელის ატანით მოგივა. ჯერ, სანამ გტკივა, ვერაფერზე ფიქრობ. მეთოჯინეს, შვილო, ხელები მოჭიდავესავით ძლიერი უნდა ჰქონდეს. იცი, სიცილიური მარიონეტი რამდენს იწონის? ოჰო-ჰოო! ამიტომაც აქვს გამობმული თავზე რკინის მავთული "ოქროს ძაფის" – მარიონეტის მთავარი ძაფის ნაცვლად... რაო, შეწყალებას მთხოვ? კარგი, შევისვენოთ! – და პეტია მოწყვეტით ჩამოსწევდა ხოლმე დაბლა თოჯინიან ხელს...

მოხუცი მარჯვედ და მომჭირნედ დიასახლისობდა. ვიღაცისაგან შეძენილ სამგზის განაყიდ მაცივარ "სარატოვში" მუდამ მოიძებნებოდა სოსისი, თევზი და ბარაქიანად მოხარშული მაკარონი. ზოგჯერ მზა წიწიბურას ყიდულობდა "კულინარიაში", სახალინსკაიაზე, კლუბ "სტროიტელის" გვერდით რომ იყო. კარგად უნდა დანაყრდე, იმეორებდა ხოლმე, მშიერი მსახიობი პოეტური მოვლენაა, მაგრამ სევდისმომგვრელი და უსარგებლოაო.

იგი სუფრასთანაც განაგრძობდა "ხელობაზე" ლაპარაკს, და მისეული წარმოთქმით ეს სიტყვა დამაჯერებელ და მნიშვნელოვან

აზრს იძენდა, სწორედ ისეთს, როგორსაც სიტყვა “ნიადაგი” იძენს აგრონომის მოხსენებაში.

− თოჯინა... − იწყებდა იგი და ატლასის, ფერად შუშისმძივებიანი ანგელოზი, ამ მხიარული სამყაროს დარაჯი და მფარველი სული, წამოფრინდებოდა, სარკისებრ თვალებს ააელვარებდა, და მაკარონის გორაკებიანი თეფშების თავზე დაეკიდებოდა. − თავისი ბუნებით თოჯინა დაუცველია. ის შენს, მხოლოდ შენს ძალაუფლებაშია. მხოლოდ შენზეა დამოკიდებული იცოცხლებს, ისუნთქებს თუ არა... მიირთვი კიტრი. ჩვენთან, აქ, ქალები ისეთ გემრიელ კიტრს ყიდიან გზისპირას... ჭამე, გემრიელად სანსლე, შე გაჩხიკინებულო, შენ, პან უკსუსოვ... ჰო: ყოველ წუთს უნდა გრძნობდე თოჯინის მაჯისცემას. უნდა გესმოდეს კიდეც ის ხვდები, რას ვგულისხმობ?

პეტია თავს უქნევდა და მაკარონს ღეჭავდა. კაზიმირ მატვეევიჩი ამოიხვნეშებდა, კიდევ ერთ კიტრს დაუდებდა თეფშზე და ამბობდა:

− თოჯინა მისი მარტოსულობის გამო უნდა გიყვარდეს.

საბოლოო ჯამში, მოხუცი ერთი წუთითაც კი არ წყვეტდა თავის მონოლოგს. დილაობით საწოლიდან წამომდგარი პეტია მას ნიჟარის თავზე საკმაოდ დაბლა მიმაგრებული სარკის წინ წაასწრებდა ხოლმე, − მოკუზულს, ცალ ხელში გასაპნულფუნჯიანს... ცალი ლოყა თეთრი და ქუნქულა ჰქონდა ხოლმე, ბოლომდე გამოუძერწავი თოვლის კაცივით.

ის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბუტბუტებდა:

– სარკე, ჰმ! სისულელეა... საათობით დგანან თოჯინით ხელზე სარკის წინ და იქ უყურებენ... მე კი ვამბობ: “იქ” – სწორედაც რომ “იქაა” და არა “აქ”. როცა თოჯინასთან მუშაობ, იგი “აქ” უნდა იყოს შენს მხართან, გულთან... – მერე უცებ ფანჯარასთან მიდგმულ გასაშლელ სავარძელში მჯდომი ბიჭის მისკენ მოპყრობილ ყურადღებიან მზერას შენიშნავდა, და შესძახებდა: – ოჰ! დილა მშვიდობისა! ზიხარ და ჩუმად მისმენ, რას ვლაპარაკობ, არა? შე მელია, შენა! კარგი, შენც გეტყვი: როცა სარკის წინ მუშაობაზე მეუბნებიან რამეს, მე ვპასუხობ: შენ სარკეში იყურები და “იქ” ხედავ თოჯინას, ესე იგი, ამ დროს “იმ” თოჯინას ხედავ და არა ამას, ხელში რომ გიჭირავს. მაგათ ხომ თოჯინის ტარების კონცეფციისა არაფერი გაეგებათ!

“ისინი” – იყვნენ ახლახან დაარსებული თოჯინების საოლქო თეატრის ახალგაზრდები. უფრო ზუსტად, ორი შთაგონებული კოვბოი, ორივე ლენინგრადის თეატრალური ხელოვნებისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებული, რომელთაც გადაეწყვიტათ, თავიანთი სპექტაკლებით “სახალინის თოჯინური სამყარო ამოეტრიალებინათ”. იმ კომპანიაში კაზიმირ მატვეევიჩს მეტსახელად “ყარაბასი” შეარქვეს და ოპოზიციონერად, რეტროგრადად, “თოჯინების თეატრში ხავსმოდებული ნატურალიზმის” მომხრედ მიაჩნდათ. პეტიამ საკუთარი ყურით გაიგონა,

როგორ ეუბნებოდა საბუტაფორიოში ახალგაზრდა რეჟისორი რუსლან სერგეევიჩი მხატვარ იურა პრონიჩევს, რომ “ყარაბასი”, ალბათ, ჯერ კიდევ რევოლუციამდე, სოფელ-სოფელ, მარხილით დაატარებდა თავის თოჯინებს და “გარმოშკის ხმაზე ატარებდა წარმოდგენებს”. მაგრამ ეს სიცრუე იყო! სიცრუე! დედას უამბნია, რომ დიდი ხნის წინათ, მის ბავშვობაში, კაზიმირ მატვეევიჩს ლვოვში საკუთარი პატარა საოჯახო თოჯინების თეატრი ჰქონია, სახელად “ფოტინი” – გაბედული ძველი ბერძენი მეთოჯინის სახელის პატივსაცემად, რომელსაც თურმე რომაული ღმერთების დაცინვისაც კი არ ეშინოდა! – და ამ თეატრში თოჯინებს კაზიმირ მატვეევიჩი, მისი ცოლი, ვაჟი და რძალი დაატარებდნენ, რომლებიც მერე, არავინ უწყის, სად გაქრნენ (და ღმერთმა დაგიფაროს, შვილო, არასდროს არაფერი ჰკითხო კაზიმირ მატვეევიჩს ამის შესახებ).

წელიწადის შემდეგ პეტიამ უკვე ბევრი რამ იცოდა სხვადასხვაგვარი თოჯინის მოწყობილობის შესახებ იმათიც, თეატრალურ დასს რომ შეადგენდნენ და იმათიც, – კაზიმირ მატვეევიჩის კედლებზე რომ ეკიდნენ.

ო, ეს პერსონაჟები ერთმანეთს არაფრით ჰგავდნენ.

– მე დიდი ოსტატი არ ვარ, – ნაღვლიანად იმეორებდა მოხუცი, – ხატვა არასდროს

შემეძლო. ესკიზებს ჰენრიკი მიკეთებდა, მერე ესკიზები პეკარსკაიაზე მიმქონდა იაკობ სამოილოვიჩთან, ბაბუაშენთან, და ის ნაწილებს გამომითლიდა ხოლმე. პეკარსკაიას, სხვათა შორის, პირდაპირ ლიჩაკოვსკოეს სასაფლაოზე გაჰყავხარ, ჰოდა, იცი, პიოტრეკ, ადრე ლვოვში ადამიანურად ასაფლავებდნენ ხალხს, ფეხით მიდიოდნენ: კატაფალკა, სამგლოვიაროდ მორთული ცხენები, კატაფალკის უკან კი ნელი, დამწუხრებული პროცესია; ადამიანები მაშინ სიკვდილის აზრში წვდომას ცდილობდნენ, სატვირთო მანქანებით კი არ მიქროდნენ არიქა, ჩქარა მივაყაროთ მიცვალებულს მიწა და სასწრაფოდ დავლიოთო... ეს ისე ვთქვი, სიტყვამ მოიტანა, ყურს ნუ დამიგდებ. მე იმას გეუბნებოდი, რომ ბაბუაშენი, იაკობ სამოილოვიჩი, მექანიკის საკითხშიც მეხმარებოდა, გაპიტსაც მიმზადებდა, აი, ამ სადგარს “მხედარი” თოჯინის შიგნით, რაზეც თავი მაგრდება. აი, ხედავ, პეტრუშკას გაპიტი სულ უბრალოა, მაგრამ ზოგჯერ გაპიტზე მთელი მექანიკა მაგრდება. გაპიტის წყალობით, თოჯინას თავის აქეთ-იქით მიბრუნება, დახრა და მაღლა აწევა შეუძლია, მეტიც! – პირის გაღება და ყურების გამოძრავებაც კი! გაპიტი ჩვენი დიდი დამხმარეა, პიოტრეკ... იაკობ სამოილოვიჩი – უ-უ-უ-უ, გაპიტის მეფე იყო. ომამდე ერთი თოჯინა დამიმზადა, მეფე იაგელო, ჰოდა, იმას სულაც თვალები ეღებოდა და წარბებიც კი უმოძრავებდა, და ყველაფერი გაპიტზე იყო დამაგრებული... თუმცა დიდი არაა, აი,

ადამიანის მუშტისხელა თუა. მოხატვით კი თოჯინებს ისევ ჰენრიკი მიხატავდა, ჩემი მეთვალყურეობით...

მოხუცი თვალს შეავლებდა კედლებს, საიდანაც გულღიად თუ მრისხანედ, ნაღვლიანად თუ ალერსიანად იცქირებოდნენ ჰენრიკის მოხატული თოჯინები, ღრმად ამოიოხრებდა და განაგრძობდა:

– ეს, რაც “მხედარ” თოჯინებს შეეხება... მარიონეტი სხვა რამეა. იქ სხვა ამბავია, სხვა დამოკიდებულებაა ადამიანისადმი. ეს ადამიანის უძველესი მოდელია, იცი? ძველ საბერძნეთში ფილოსოფოსი იყო, პლატონი. ათასი მოსწავლე მაინც ჰყავდა. მე ერთი შენ მყავხარ, და პლატონს ათასი ჰყავდა! ჰოდა, პლატონი ადამიანს ღმერთის მარიონეტს უწოდებდა, ამბობდა, ადამიანსაც მრავალი ძაფი ამოძრავებსო, – კეთილი საწყისი, ბოროტი საწყისი... მარიონეტის ტარება რთულია: ყველაფერი ვაგასა და შენს თითებზეა დამოკიდებული. და მეშვიდე მალა არ დაგავიწყდეს, მანდ წელია და მანდ მაგრდება ბურთულა, რომელზეც თოჯინის მთელი ზედა ტანის მექანიკაა დამაგრებული. საჯდომი უმოძრაოა. საჯდომი ისეა, ეგ სულს არ გამოხატავს, ამიტომაც კონტროლს არ ექვემდებარება... მარიონეტი, პიოტრუსიუ, უამრავ-უთვალავია... ეს რაღაც მსოფლიო ერებივითაა: არსებობენ ჩინელები, შავკანიანები, ინდიელები და ინგლისელები... და ყველა თავისი წესით და რიგით

ცხოვრობს. აი, მაგალითად, ინდოეთში არსებობენ ასეთი თოჯინები: ისინი მეთოჯინის კისერზე დამაგრებულ რგოლს ძაფებით უერთდებიან, მის ხელებს კი წვრილი ლერწმის ღეროებით.

არსებობენ, ვთქვათ, პლანშეტური მარიონეტებიც; ეს რას ნიშნავს? მათში ჰორიზონტალური ზონარია გატარებული, რომლის ერთი ბოლო შენს ფეხზეა დამაგრებული, მეორე ბოლო კი მიწაში მაგრად ჩასობილ ჯოხზე. და თოჯინას ხელით კი არ მართავ, არამედ ფეხით! ხელებით კი ამ დროს, თუ გინდა, გარმონზე დაუკარი. მეარღნე აღარც გჭირდება. აი, მე ჩემს თეატრში ხელის არღანიც მქონდა და მექანიკურიც...

პეტიას ახლა უკვე ხშირად ნახავდით მშენებელთა კლუბის რამდენიმე ოთახში გაჭირვებით ჩატეული თეატრის კულისებში, და თუმცა ჯერჯერობით არაფერს ავალებდნენ, მან უკვე ყველა თოჯინა სათითაოდ იცოდა. სიგიჟემდე უყვარდა საბუტაფორიოში ჯდომა და ცქერა, თუ როგორ მუშაობდა მხატვარი იურა პრონიჩევი: როგორ ძერწავდა იგი სასკულპტურო პლასტილინისაგან ამა თუ იმ ფორმას ხის შტიფტის გარშემო, როგორ აკეთებდა ღრმულებს თვალის ბუდეებისათვის ცერა თითების დაჭერით, როგორ ამატებდა კიდევ პატარა ბურთულას ცხვირისათვის, წარბებისა და ნიკაპისათვის, მერე კი დიდხანს ჯადოქრობდა სკალპელით, დანითა და სპეციალური ლითონის ნიჩბით,

აგროვებდა, აწებებდა ნაფშვენებს და, როგორც პიანისტი კლავიატურაზე, ყველა თითის ზუსტი და ალერსიანი მოძრაობებით ურბენდა, ეხებოდა, გლესდა ზედაპირს... ბიჭი ხარბად აკვირდებოდა, წამიერად როგორ გაშეშდებოდნენ მხატვრის ხელები თოჯინის ზემოთ, და თან, ცერის ფრჩხილის გადატარებით, როგორ სწრაფად ჩამოაცლიდნენ ძლივს შესამჩნევ წებოვან ნათალს მსხვილი ცხვირიდან მომავალ ყარაბასს, ძალიან საეჭვოდ რომ წააგავდა კაზიმირ მატვეევიჩს; და ამ მსუბუქი მოძრაობის შემდეგ მოხუცის პირქუში ცხვირი უცებ მრისხანე და მნიშვნელოვანი ხდებოდა.

– როგორი ძლევამოსილი ცხვირი გამოგივიდა, ჰა?! – თავს უქანჩალებდა თოჯინას იურა, – ცხვირი, მოხუცო, ხასიათია, ლირიკაა... თოჯინა ხომ დარბაზში ცხვირით "იყურება". ყურადღება მიაქციე: ყველა ჩემს თოჯინას მსხვილი ცხვი რი აქვს.

– და... თვალები? – ეკითხებოდა პეტია.

– თვალებს, პირიქით, დაწვრილმანება არ სჭირდება: არც გუგები, არც წამწამები. წვრილმანები შთაბეჭდილების მთლიანობას დაანგრევს. მაყურებელი რას აღიქვამს? თვალებს მთლიანობაში. დაქუცმაცება საჭირო არაა. – იურა ისე გაფარჩხავდა სასკულპტურო პლასტილინით დათხუპნულ თითებს, თითქოს უხილავი ბურთი უჭირავსო, და თვალს ჩაუკრავდა: – განაზოგადე, მოხუცო! განზოგადებას უფრო ძლიერი აქვს

მაყურებლამდე “მიტანის ტალღა”. – და ჰაერში წარმოქმნილ ბურთს კალათბურთელის რბილი მოძრაობით ტყორცნიდა წარმოსახვით დარბაზში.

პეტია მართლაც საათობით იჯდა ხოლმე მის გვერდით, ჩუმად, მოხუცივით. უხმოდ და სწრაფად აწვდიდა მაკრატელს, აბრაზიული ქაღალდის ნაგლეჯს, წებოს ტუბს. მუშაობის უმცირესი ეტაპის გამოტოვებისაც კი ეშინოდა. ჩამოსხმის ყურება უყვარდა.

აი, იურა საღებავით გათხვრილი უხეში პერანგის სახელ ოებს იკაპიწებს, საპირფარეშოდან წყლით სავსე ტაშტი მოაქვს და თაბაშირს ზელს. და სანამ პეტია აკვირდება, როდის შეწყვეტს მასა ბუშტუკების გამოყოფას, სწრაფად ფარავს თოჯინას ვაზელინის ფენით...

– აბა, კიდევ ამოდის ბუშტუკები? – ეკითხებოდა ბიჭს თავის მოუბრუნებლად, – უდარაჯე, თვალი არ მოაშორო: არაჟანივით ხსნარი მჭირდება.

მალე იურა უკვე ნებას რთავდა ბიჭს წვრილად დაენაკუწებინა ქაღალდი, წყალში ჩაელბო, გაეწურა და წებოში აერია, – როგორც თვითონ ამბობდა, “პაპიე-ფაფის”

 დასამზადებლად... და მერე, როცა ამ წებოვანი ფაფის ექვსი, შვიდი ფენა მარლითაც ჩაწებდებოდა და “როგორც საჭიროა”, ისე გამოშრებოდა კიდეც, იურა ნამზადის სიმყარესა და გამძლეობას შუქზე გახედვით ამოწმებდა.

მხატვარი იურა იყო ექსტრავაგანტური ლენინგრადელი ახალგაზრდა, ტერფებთან მოვიწროებულ განიერ კუბოკრულ შარვალს იცვამდა, შერლოკ ჰოლმსივით ჩიბუხს ეწეოდა და თავს პირწმინდად იპარსავდა (შესანიშნავი ფორმის თავის ქალა ჰქონდა, ჭეშმარიტად თოჯინური, პრიალა. გინდოდა ხელი გადაგესვა, ფრჩხილებით გეკაკუნა ზედ; ბილიარდის ბურთები გაგახსენდებოდა, მწვანე მინდორზე იმ თავისი ერთადერთი, მარცხენა ხელით რომ დააგრიალებდა რომკა).

იურა და ახალგაზრდა რეჟისორი რუსლან სერგეევიჩი ერთად ჩამოვიდნენ. რუსლანიც ფრანტი იყო, მხოლოდ სხვა სტილის: ბაკენბარდები პუშკინივით მოეშვა და ცოტათი მართლაც წააგავდა მას, ყოველ შემთხვევაში, ფეთქებადი ხასიათით მაინც. კეთილი და სიმპათიური იურასგან განსხვავებით, ნერვულად მეტყველებდა, რეპეტიციების დროს, შემაშინებლად სწრაფად ცოფდებოდა, თუ რომელიმე მსახიობი კარგად ვერ გაერკვეოდა შემოქმედებით ამოცანაში.

დასი ექვსი ასაკოვანი ქალი, “ყარაბასი” კაზიმირ მატვეევიჩი და თეატრზე სიგიჟემდე შეყვარებული, საფეიქრო ტექნიკუმის სტუდენტი ვლადიკი მას ნამდვილ სასჯელად, ინერტულ მასად მიაჩნდა. პეტიას კი მხოლოდ “ქიშმიშიანი ხაჭოს მასისა” გაეგებოდა; მას, კულისებში წყნარად მჯდომს, მთვრალი რომკას გამოხდომებზე მეტად

აბნევდა და აშინებდა რეჟისორის გააფთრებული წამოყვირებები, მით უფრო, რომ რეჟისორი რეპეტიციებზე ჯიბის დანით ხელში ცხადდებოდა და ირწმუნებოდა, ეს “შინაგანად მათავისუფლებსო” (თითქოს რაღაც შინაგანი წყლულების გადახსნას აპირებსო). როცა ცოფდებოდა, იმუქრებოდა, აი, ახლა მთელ თოჯინებს ავკუწავ ამ დანითო, და ერთხელ აკუწა კიდეც ერთი თოჯინა, რის გამოც ყველა, კაზიმირ მატვეევიჩის გარდა, ჩაჩუმდა და ხელოვნების არსზე ჩაფიქრდა, მოხუცმა კი წყნარად უთხრა რეჟისორს:

– ჰიტლერიც გამოვიარე, ციხის ზედამხედველებიცა და კრიმინალების მთელი ბანდებიც. ისინი, ყველა, ცოცხალ ადამიანებს ხოცავდნენ. მაგრამ უდანაშაულო თოჯინები დანით არც ერთს აუკუწია. მე, ბატონო ჩემო, მიმიფურთხებია თქვენთვის, რუსლან სერგეევიჩ!

მოკლედ, თეატრში საოცარი მხიარულება სუფევდა, მით უფრო, რომ პრემიერის შემდეგ ყველა რიგდებოდა.

მსახიობების გარდა, თეატრში მოღვაწეობდნენ მკერავი თამარა, თოჯინების მექანიკოსი მირონ პეტროვიჩი, რომელსაც ყველა მიროშას ეძახდა. პენსიაში გასვლამდე იგი სამთო ინჟინერი ყოფილა. ერთხელ კოკისპირულ წვიმას მისთვის კლუბში შესვლისკენ უბიძგებია, სხვაგან ვერსად შეაფარებდა თავს, და მიროშასაც, საქმე რომ არა ჰქონდა რა, თეატრის ბილეთი შეუძენია. რის შემდეგაც კულისებში გამოცხადებულა და უთქვამს:

– ბიჭებო, რაიმე სამუშაოზე ამიყვანეთ. თქვენთან მინდა...

მიროშა გენიალური მექანიკოსი, ჯადოსნურ გარდასახვათა გამომგონებელი გამოდგა. მისი წყალობით, მარიონეტი პრინცესა ფუ-ფუ თვალის დახამხამებაში გარდაისახებოდა ალქაჯად: უნაზესი ჭრილიდან მომზირალი მისი მიბნედილი თვალები წამიერად გადაქანდებოდა უკან და ბურთულების უკუღმა მხარე ჯდებოდა ბუდეში გადმოკარკლული თეთრი თვალები, შავ-წერტილა ბოროტი გუგებით; ფაქიზი პირი გადაიქცეოდა ხახად, რომელშიც გაოგნებული მაყურებლის თვალწინ ეშვები ამოიზრდებოდა... და მთელ ამ მექანიკას მიროშა ახერხებდა და გაპიტზე ამონტაჟებდა.

სპექტაკლების დროს თეჯირს მიღმა სხვა ცხოვრება დუღდა: ირკვეოდა ურთიერთობები, შეურაცხყოფას შურისძიება მოსდევდა და შეთქმულებებიც კი მზადდებოდა.

ერთ-ერთ სპექტაკლში ორი წუთის განმავლობაში ჟღერდა ვალსი და თეჯირის უკან თავისუფალი მსახიობები ყოველთვის ცეკვავდნენ ვალსს. მსუქანი ტანკა გამუდმებით ეღლაბუცებოდა მორიდებულ ყმაწვილ ვლადიკს, სწორედ იმ მომენტში შეუხსნიდა ხოლმე შარვალს, როცა ვაჟის ხელზე წამოცმულ ზღარბს კურდღლისთვის უნდა ეთქვა: “შენ მე ყურებს ნუ მიცანცარებ! საკუთარ საქციელს ჩაუფიქრდი!” ერთ-ერთი სცენის დროს ყველას გიჟური სიცილი აუტყდებოდა ხოლმე და აღარც კი ახსოვდათ,

საიდან დაიწყო ეს: უბრალოდ, რამდენიმე უცნაური წამის განმავლობაში, გაოგნებული დარბაზის სიჩუმეში, თოჯინებს უნდა ეცახცახათ და ეკანკალათ.

კულისებში შემთხვევით მოხვედრილ მავანს თეჯირსუკან შეყრილი ეს ადამიანები თავისუფლად შეიძლებოდა გიჟების გუნდად შეერაცხა. და თუ მთავარი რეჟისორის ოთახსაც მიაყურადებდა ვინმე გარედან, როცა იქ განიხილავდნენ მხატვრის მიერ ახლადმოტანილ თოჯინას, რომელსაც ყველა სათითაოდ ეხებოდა, ათვალიერებდა და თავის მოსაზრებას გამოთქვამდა, სავსებით დასაშვებია, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ეფიქრა, რომ საგიჟეთში მოხვდა:

– ცალი თვალი ამოვარდნაზე აქვს...

– ყურიც სძვრება...

კულისებს მიღმა საუბრები და მოვლენები პეტიას ისე აღელვებდა, რომ ღამით ვეღარც კი იძინებდა. მას ხიბლავდა არარუსული, მომაჯადოებელი სახელები: ამ სახელებს თეატრში იურა მოიტანდა ხოლმე, რომელიც წელიწადში ორჯერ მშობლების სანახავად წასვლას ახერხებდა პიტერში და იქ ხანდახან საგასტროლოდ ჩამოტანილ არაჩვეულებრივ სპექტაკლებზე ხვდებოდა. მაგალითად, ერთხელ ფრანგი ფილიპ ჟანტის სათოჯინო რევიუს დაესწრო და მერე მთელი ორი თვე მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა. ხელებით, ცხვირით, ნიკაპით სხეულის ყველა ნაწილით, საოცრად ხატოვნად

აღწერდა სახელგანთქმული კონცერტის ნომრებს: მოცეკვავე სირაქლემებს, ჭირვეული ბოას კლაკვნას, ძველი ფოტოაპარატის გარმონით რომ იწონებდა თავს და, რაც მთავარია, მეამბოხე პიეროს:

– და აი, სიბნელიდან აღმოცენდება ფილიპ ჟანტი, თავისი თოჯინით! – ჰყვებოდა იურა, ოთახის შუაგულში შემოაბიჯებდა და ხან მეთოჯინეს განასახიერებდა, ხან მარიონეტს. – და უცებ, პიერო აღმოაჩენს, რომ მას მართავენ. არადა, ეგონა, ჩემი თავის ბატონ-პატრონი მე ვარო! და იგი ცხვირს მაღლა სწევს, ყოყლოჩინობას იწყებს, დაუმორჩილებლობას აცხადებს. არ უნდა, რომ მასზე ზემომქმედი ძალა აღიაროს. მეო, მოკლედ, ჩემითაც ვივარგებ, ჩემი ჭკუითაც მშვენივრად ვიცხოვრებო. და როცა მისი და მსახიობის კონფლიქტი უმაღლეს წერტილს აღწევს, პიერო ერთიმეორის მიყოლებით იწყებს ძაფების გაწყვეტას და თანდათან იჩვარება, ეკიდება... ერთი... მეორე... მესამე... აი, მარცხენა ხელი ჩამოეკიდა... მერე მუხლები, ტერფები... ასე ხდება ყველა ძაფზე, ყველაზე! ბოლოს ერთადერთი, “ოქროს ძაფი” რჩება და, ხალხო, იმ ერთი ძაფით ჟანტი, ეშმაკმა უწყის, რას აღარ აკეთებინებს თოჯინას! – არ უშვებს, აიძულებს, იცოცხლოს და იმოქმედოს, ის კი, თოჯინა, ისევ განაგრძობს ამბოხებას! და მაშინ, მისი განმგებელი ნელა უშვებს თოჯინას იატაკზე: სიკვდილი აირჩიე? კი ბატონო! – და მიდის. სცენას ტოვებს გულგრილი ღმერთი, – მარიონეტი კი წევს გამოფიტული,

უსიცოცხლო... მაგრამ! – და იურა თითს მაღლა სწევდა: – მაგრამ დაუმორჩილებელი!

საბუტაფორიოში, ტაბურეტზე მჯდომი პეტია გაფაციცებით შესცქეროდა იურას, ჩამოშლილ-ჩამოფუშულ პიეროს რომ განასახიერებდა, და მამაზე ფიქრობდა; ყველაფერი თითქოს მასზე იყო. სათითაოდ წყვეტდა იგი ყველა სასიცოცხლო ძაფს, ოჯახური სიყვარულის ყველა ძაფს, რომელიც ცოლთან და შვილთან აკავშირებდა, და მხოლოდ ერთ, უკანასკნელ, წვრილ "ოქროს" ძაფზეღა კონწიალობდა...

სპექტაკლების დროს ბიჭი პირველიდან ბოლო წუთამდე კულისებში იდგა, სიბნელეში თითებს და ტუჩებს ამოძრავებდა, ხან წინ წაქანდებოდა, ხან უკან იხევდა და უკვე ვეღარც ამჩნევდა, რომ უსასრულოდ დიდხანს შეეძლო ხელებაწეული მდგარიყო.

– დგახარ? – ჩასჩურჩულებდა ხოლმე გვერდით ჩარბენისას სტუდენტი ვლადიკი, – სწორია, იდექი. ბუნრაკუს თეატრში ახლადმოსულები პირველი ხუთი წელი თოჯინებს არ დაატარებენ და მარტო კულისებიდან უყურებენ, როგორ მუშაობენ ოსტატები...

ბიჭმა უკვე იცოდა, რომ თოჯინათა სამყარო ისევე უკიდეგანო, მრავალფეროვანი და მჭიდროდ დასახლებულია, როგორც მთელი დედამიწა თავისი ქვეყნებით, ხალხებით, ყვავილებითა და ხეებით, ცხოველებითა და ფრინველებით, ღრუბლებით, თოვლითა და

წვიმით. რომ მასშიც ისევეა დაფარული ცხოვრებისეული საიდუმლო, როგორც ნებისმიერ სხვა ცხოვრებაში. რომ ეს საიდუმლო უნდა იპოვო და ამოზიდო, და რომ იგი ყველას როდი ანახვებს თავს, – არა და არა, – თვით ყველა პროფესიონალსაც კი არ ენახვება... მისი დანახვა მხოლოდ რჩეულებს, მოჯადოებულებს, თავდავიწყებულ ადამიანებს შეუძლიათ...

ერთხელ კაზიმირ მატვეევიჩმა კარადის ორივე კარი მოაფრიალა (ეს, ჩვეულებრივ, მრავალრიცხოვანი ფუთების წიაღში საგანგებო არქეოლოგიური გათხრების დაწყებას ნიშნავდა), დაახლოებით თხუთმეტ წუთს გააგრძელა თავისი გამხდარი, რევმატიული, რუხ სპორტულ შარვალში მოქცეული უკანალის დემონსტრირება, სანამ, ბოლოს და ბოლოს, შლაპიანი ქალბატონი არ ამოქექა: უმოძრაო, არათეატრალური თოჯინა.

პეტიამ უკვე იცოდა, რომ ასეთ მარიონეტებს საინტერიერო ან ოთახის თოჯინა ეწოდება, და თუმცა ისინიც თოჯინურ უწყებას მიეწერებიან, მოქალაქეობაც აქვთ იქაური და ყველა უფლებაც, მაინც ვერ ცხოვრობენ ისე, როგორც თეატრალური თოჯინები ცხოვრობენ. მოსახლეობის ამ ნაწილის მიმართ პეტია სრულიად გულგრილი იყო, და გულახდილად რომ ითქვას, უკვირდა კიდეც, კაზიმირ მატვეევიჩი ასეთ სისულელეს რომ აჩერებდა თავის სახლში.

– შეხედე ამ ქალბატონს, – თქვა კაზიმირ მატვეევიჩმა და წელში ნელ-ნელა, ქშენით

გაიმართა. წამოწითლებულ სახეზე იდუმალი ღიმილი დასთამაშებდა, – ოღონდ არ აჩქარდე. კარგად დააკვირდი, როგორც საჭიროა, ისე. შენი აზრით, რა არის ეს?

– რა და... გასაგებია, რაც არის, – მიუგო ბიჭმა.

– არაა გასაგები! – დაიყვირა მოხუცმა, რომელსაც სახე ჯერ ისევ წამოწითლებული ჰქონდა და ამის გამო ძალიან მრისხანე იერი ედო. – არასდროს არ თქვა, რომ რამე გასაგებია შენთვის! გასაგებია მხოლოდ სულელებისთვის ყველა საქმეში მთავარი ინსტრუქტორებისთვის...

მან მყარად დადგა ქალბატონი მაგიდაზე და უხმოდ, ხელის მოძრაობით მიიხმო თავისთან პეტია.

პეტიამ თოჯინა აიღო, ყურადღებით დაათვალიერა... ძველია... ძალიან ფაქიზად დამუშავებული: სახე და ხელის მტევნები ნაზი ნაღებისფერი ფაიფურისაა, მთლიანად ბზარებით დაქსელილი; ფეხზე ბისერით მოქარგული, ლაიკის ფეხსაცმელი აცვია. ერთ ხელში დაკეცილი მარაო უჭირავს, მეორე, ოდნავმოხრილ ხელში კი პაწაწინა, მაგრამ ნამდვილი ჩანთა, დახურული წიგნის მსგავსი, ოქროს პეპლისებრი შესაკრავით. დედა ასეთ ჩანთას “რედიკულს” უწოდებს. მხრებზე მოგდებული მელია, შავი მძივის მკვდარი თვალები რომ აქვს, ნამდვილს ჰგავს. მაღალ მკერდს აბრეშუმის ფერადი ძაფებით საუცხოოდ მოქარგული ბლუზა უფარავს ყველაფერი არაჩვეულებრივი,

დამატყვევებელი სიფაქიზითაა გაკეთებული. და მხოლოდ ეს უმსგავსი სახე, ეს მოხეული, ავყია პირი, ჭვინტიანი ფეხსაცმლის მსგავსი ცხვირი და ამ ზომის თოჯინისათვის შეუფერებლად დიდი ეს სულელური შლაპა...

– ეს “ზარდახშა”-თოჯინაა, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა კაზიმირ მატვეევიჩმა ზედ პეტიას თავზემოთ, – დაიმახსოვრე, გამოგადგება: “ზარ-დახ-შა”. რითი განსხვავდება ის ჩვეულებრივი თოჯინისგან? საიდუმლოთი. რომელიმე დეტალის უცნაურობით. მხოლოდ არა ხილული უცნაურობით, რომელიც თვალში საცემია, ინტერესს აღძრავს და აღაგზნებს, არამედ ლოგიკური უცნაურობით. შეხედე: ეს ქალბატონი, რეალურად, გროტესკია. იცი, რა არის გროტესკი? ეს ისაა, როცა ყველაფერი მეტისმეტად თავშესაქცევია, როცა ყველაფერი ისე აღრეული და სულელურია, რომ ეს უკვე მასხრად აგდება და დაცინვაა... გარდერობის რომელიმე დეტალი... აი, ეს შლაპა, მაგალითად. საკუთარ თავს ვეკითხებით: შეიძლება თუ არა, რომ თოჯინას ამხელა შლაპა ეხუროს თავზე? და ვპასუხობთ: რა თქმა უნდა, ეს ხომ გროტესკული სახეა: შეხედე მის ცხვირს, მის ვეება პირს. ეს პანი არ არის, ისე, ხელში რედიკულით, ეს ვულგარული დედაკაცია. ასეთები მოდურად, ძვირფასად გამოეწყობიან, და რაღაც მაინც გამოეპარებათ. რაღაც მაინც არ ექნებათ რიგზე. აი, მაგალითად, ეს საეჭვო შლაპა. “ოჰ, ეს თქვენი თოჯინაა?” – გეკითხებიან საზღვარზე გადასვლისას, – “და შიგნით რა

აქვს?” – “არაფერი, პანე ოფიცეჟე, – პასუხობ, – არაფერი, ამხანაგო ოფიცერო, შეგიძლიათ თავად შეამოწმოთ”. და ისიც ამოწმებს. თოჯინას საცოდავ, ნაჭრის მუცელსაც კი უფატრავს, იქ მხოლოდ ნახერხს აღმოაჩენს, გაცუცურაკებული რჩება, ბოდიშსაც კი იხდის, მიუხედავად იმისა, რომ ხეპრეა. არადა, შენ ხომ იცი, რომ მთავარი შლაპაა? ერთხელაც შეამოწმე. სცადე, საიდუმლო ამოიცნო.

და პეტიაც ხელახლა, ზედმიწევნით ჩაკირკიტებულად ათვალიერებს თოჯინას: თითებით სინჯავს ნაჭრის ხელებს, ფეხებს, ტორსს, ყურადღებით სწავლობს შლაპას, მასზე შემოვლებულ შინდისფერ ლენტს, ლილისფერი, ყვითელი და წითელი ფაიფურის პაწაწინა ყვავილებით რომაა მორთული... არა, ეჭვგარეშეა, რომ შლაპა ერთი მთლიანობაა, უფრო ზუსტად ისიც ფაიფურისაა და ფარჩა აქვს შემოკრული.

– არაფერი არაა, – ამბობს გაკვირვებული ბიჭი. და დარწმუნებით იმეორებს: – ნამდვილად არაფერი არაა!

– ახლა კი ლილისფერ ყვავილს ორჯერ დააჭირე თითი, ოღონდ ზედიზედ არა, ნელა, საგულდაგულოდ დააჭირე, შესვენებით, როგორც უბნის რწმუნებული რეკავს კარზე.

და იმავე წამს გატკაცუნდება რაღაც უხილავი, მაგრამ სანდო საკეტი, – და შლაპის ზედა, მაღალი ნაწილი უმალ ვარდება, როგორც ზარდახშის სახურავი! ოჰ, რა მაგარია! – და ეს ხომ მართლაც პატარა ზარდახშაა,

რომელშიც... სადაფის ღილი დევს.

– ა-იი, – ეშმაკური იერით გაწელა სიტყვა კაზიმირ მატვეევიჩმა. კმაყოფილებისგან ლოყები, შუბლი და მსხვილი ცხვირი ულაპლაპებდა. – აი. მაგრამ აქ, შესაძლოა, ბრილიანტის ყელსაბამიც იყოს დამალული, მნიშვნელოვანი საბუთიც და, ვაი, რომ, ნარკოტიკიც...

პეტია თვალდახუჭული, ხელის შეხებით ცნობდა მოხუცის ყველა თოჯინას, მაგრამ როგორც კი რომელიმე მათგანის გაცოცხლებას ეცდებოდა, მყისვე ვარდებოდა სასოწარკვეთაში არაფერი გამოსდიოდა. – თოჯინა, რომელიც სულ რაღაც ერთი წუთის წინ სავსებით ცოცხალი იყო მოხუცის ხელზე, პეტიას ხელზე გადაბარგებული უარს აცხადებდა სუნთქვაზე და თავს ხისთავიან ძონძად იკატუნებდა...

– ხელებს ნუ აცოდვილებ! – დასძახოდა კაზიმირ მატვეევიჩი, – მხოლოდ ცუდი მსახიობები აცანცარებენ თოჯინას. ნუ ფართიფურთობ, სტილი შეიმუშავე. მაყურებელი ისე აკვირდება მოძრაობას, როგორც კატა გუბურაში მოჭყუმპალავე ბეღურას. მისი ყურადღება შენი ძალაუფლებაა. თოჯინა ტკბილი ყურძნის მტევანივით უნდა გეჭიროს ხელში და ნეე-ეეელა, წვეთწვეთობით უნდა გამოწურო... უფრო ძუნწად... უფრო ძუნწად... შეჩერდი! ოოო-ოოდნავ ატრიალებინე თავი აქეთ-იქით... გაიხსენე, ჩემი მაშკა როგორ მოძრაობს: მარტო ბეჭები ენძრევა ბეწვქვეშ რბიიი-ლად. კატისებრნი, კატისებრნი

გაიხსენე ხშირ-ხშირად: არც ერთი ზედმეტი მოძრაობა! პაუზები! პაუზები ისწავლე მათგან.

მოხუცს თავისი უპირატესობები გააჩნდა: იგი “მხედარ” თოჯინებს აღმერთებდა. მარიონეტები, მიუხედავად იმისა, რომ მათ “ელიტას, თოჯინური სამყაროს არისტოკრატიას” უწოდებდა, ნაკლებად უყვარდა. ჯოხებიანი თოჯინები კი თეატრში ცოტა იყო, ერთი, ორი და მორჩა. ჯოხს მხოლოდ მაშინ ვიყენებთ, როცა ფართო ჟესტია საჭიროო, ამბობდა მოხუცი.

– კაზიმირ მატვეევიჩ, – გულღიად შენიშნავდა ხოლმე იურა, როცა რეპეტიციის შემდეგ უნებურად ხდებოდა მორიგი მასტერკლასის მოწმე, – დაანებეთ ბავშვს თავი, ნუ წაართმევთ ბედნიერ ბავშვობას. რას წვრთნით, მართლა და მართლა. მაგ სიტყვების ნახევარიც არ ესმის. არა, პეტრუხა? იქნებ კოსმონავტობა უნდა ბიჭს...

მაგრამ იურა მხოლოდ ხუმრობდა, ახირებულ ბერიკაცს დასცინოდა. ის თავადაც ხედავდა, კარგად ხედავდა ამ ბიჭში თავისიანს, დაბადებითგან თავისიანს, მთელი თოჯინური შიგანით თავისიანს.

როცა მუშაობისას პეტია საათობით იჯდა მის გვერდით საბუტაფორიოში და ყოველ მის მოძრაობას ადევნებდა თვალს, იურაც, იქნებ, მოწყენილობით დატანჯული, ან, იქნებ, ბავშვის მტაცებლური ყურადღებით ნასიამოვნები, მსჯელობას იწყებდა და

იმისთანა ლექციებს ატარებდა, რომ მოხუცის გამონათქვამები ბიჭს, უბრალოდ, ოქტომბრელთა სიმღერად ეჩვენებოდა.

– დრამატული თეატრი სახეებს არ ფლობს, მოხუცო, თოჯინების თეატრისგან განსხვავებით, – ამბობდა იურა, – ის ჩვენამდე ვერ გაქაჩავს. რატომ? იმიტომ, რომ თოჯინა ეს ცხოვრების, სულიერი მდგომარეობის შეცნობის საშუალებაა. აზრს მისდიე, მოხუცო... რითი განსხვავდება სათოჯინო საქმე დრამისგან? თოჯინის საშუალებით მე-ტა-ფო-რის გამოთქმაა შესაძლებელი. ბერძნული სიტყვაა. იცი, ეს რა არის? აი, რა: "აჰ, – ამბობს თოჯინა, – Mმაგის თავი არ მაქვს!" – და უცებ თავი სწყდება და მიფრინავს. ან, "ეშმაკის წისქვილში", ეშმაკი რომ ამბობს: "ამას ჰქვია ორმაგი ეშმაკობა!" და ამ სიტყვებზე უეცრად ორ ერთნაირ თოჯინად ორმაგდება. ჰოდა, აი, რა: რატომ ვერ ახერხებენ დრამატული მსახიობები თოჯინებთან მუშაობას? იმიტომ, რომ ისინი თვითონ დუღან, იწვიან და "თამაშობენ!"... თოჯინა თავისთვის რჩება, ცალკე. თოჯინა იმათ ხელში არ ცოცხლობს.

არადა, ზუსტად თოჯინაში უნდა ითამაშო, შიგ ნიღაბში უნდა გაარტყა. ხმაც ზუსტად უნდა დაადო თოჯინისას... კიდევ გიმეორებ თოჯინის ტარება ბალეტთან უფრო ახლოს დგას, ვიდრე დრამატულ ხელოვნებასთან. პლასტიკა რა არის, იცი? მდგო-მა-რე-ო-ბის გადაცემათა რიგი ეს ჩვენთვის ყველაფერია: თოჯინას თვითონ მიჰყავხარ, თვითონ გკარნახობს, რა უნდა...

თოჯინა თითქოს ფესვებს იდგამს შენს ხელებში, შენს სხეულში, შენი სიარულის მანერაში. ეს სიახლოვის უმაღლესი მომენტია... მახსოვს, ტაშკენტის ფესტივალზე, ადგილობრივი დრამთეატრის ერთმა მსახიობმა სასტუმროს ფანჯრიდან გადმოიხედა, დაინახა ადამიანების პატარა ჯგუფი, უახლოეს ღვინო-არყის მაღაზიისკენ რომ მიემართებოდნენ და თქვა: “ეგე, მეთოჯინეები მიდიან...”. როგორ მიხვდა? ეს ხომ ჟესტებით, სიარულის მანერით იყო ნათელი, – პლას-ტი-კით!

– ბიჭს თავგზას ნუ ურევ, – დაბალი, მოღიავებული შირმის უკნიდან შენიშნავდა ხოლმე მსუქანი ტატიანა, თან კაბის ქვეშ მარჯვედ იქაჩავდა რეიტუზს, – პლასტიკით კი არა, ღვინო-არყის მაღაზიით იყო ნათელი...

– აბა-აბა, წითელქუდა! – თავის მოუტრიალებლად გაეპასუხებოდა მხატვარი.

– პირველი მოხეტიალე მეთოჯინეები პირველი დისიდენტები იყვნენ... – საკუთარი მსჯელობა ისე ჩაითრევდა ხოლმე იურას, რომ სრულებით აღარ ზრუნავდა იმაზე, ბიჭისთვის რამე განემარტა. – ალბათ, მკითხავ რატომ? გპასუხობ: ეს უძველესი ჟანრია. მსახიობი თეჯირის უკან იმალება, თოჯინის უკან იმალება. გესმის? იქიდან, რაც გინდა, ის ილაპარაკე თოჯინით: ლანძღე მეფე, მთავრობა, მღვდლები. იგინე, რამდენიც გაგიხარდება! თოჯინა ადამიანზე გაბედულია, უფრო მკვეთრია, უფრო

მძლავრია. ამიტომ: თუკი შენ, მოხუცო, თოჯინებთან მუშაობა გადაწყვიტე, მაშინ უნდა აურიო, ტვინი უნდა ამოიტრიალო, სხვანაირად აზროვნება უნდა ისწავლო. სათოჯინო საქმეს ფანატიკოსები უნდა აკეთებდნენ, გასაგებია?

– დიახ! – მტკიცედ პასუხობდა ფერმკრთალი, შავთმიანი ბიჭუნა და მხატვარს გამჭვირვალე თვალებით შესცქეროდა. ბევრი სიტყვა არ ესმოდა, მაგრამ ესენი "უნდა აურიო", "ფანატიკოსობა" – დიახ, მშვენივრად ესმოდა. დედა ლოთობის, ბილიარდისა და ბოზების ფანატიკოსს უწოდებდა მამას, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი, ამპუტირებული ხელის ტკივილით გაწამებული, ღამღამობით ოთახებში დაბორიალობდა და დედას შავი დღისთვის გადანახული ფულის გამოჩენას ევედრებოდა...

– დიახ, დიახ... – გამოაჯავრებდა ხოლმე იურა, – იცოდე, უნდა გესმოდეს, ჩერჩეტო! აჰა, აი, მანეთიანი, მიდი, კულინარიიდან ბელიაშები მოარბენინე, მოსულა?

მეზობელი "კულინარიიდან" მოღწეული ბელიაშებისა და დამწვარი ზეთის სუნი ერთვოდა საღებავების, ხისა და წებოს, ლაქისა და ანილინის ტექნიკურ, საწარმოო სუნებს, თეჯირისა და კულისების მტვერს და იქცეოდა ერთ მძაფრსურნელოვან სპირალად, საოცარ, სპეციფიკურ "თეატრის სულად", რომელიც ცხვირში უძვრებოდა პეტიას, შინაც მიჰყვებოდა და ღამღამობითაც კი არ ტოვებდა... და ასეთ

დროს ბიჭს ესიზმრებოდა, რომ მეთოჯინეთა ზეციურ ბილიკზე დგას: ხელში ვაგა უჭირავს, შუა თითი “ოქროს ძაფისთვის” აქვს გამოდებული, მკერდში გული თითქოს გაჰბერვია მოთუხთუხე ბედნიერებისგან, რომელიც იცის, მან იცის! – უკვე მისკენ მოდის, უკვე გზაშია; მას ხომ ხელში მთავარი თოჯინა უჭირავს. თოჯინა ჯერ გაყუჩებულია, ჯერ თავს იმკვდარუნებს, ელოდება წამს, როცა ბიჭის ხელიდან მისკენ, მათ გასაერთიანებლად, საერთო სისხლი წაჩუხჩუხდება.

და უცებ მთელი ჯადოქრობაც აღსრულდება: თოჯინა ცოცხლდება! იგი მოძრაობს, იგი სავსებით ემორჩილება მის აზრებს და იმ ცხელ ტალღას, ბიჭის ხელიდან მისკენ რომ მიიწევს... აი, თოჯინა მინდობილად ატრიალებს სახეს მისკენ, გულზე იხუტებს ვიწრო ხელისგულს და თხელ, მოძრავ თითებს... და ბიჭი მის გულისცემას გრძნობს! კიდევ ერთი წამიც და თოჯინა რაღაცას წარმოთქვამს!

მაგრამ კაზიმირ მატვეევიჩი ბრაზდება და ყვირის:

– ყურადღება ნუ გეფანტება! ჩემი ინტონაციებით ითამაშე. იარე, იარე, კი ნუ იფრენ! იატაკს ვერ გრძნობ!..

* * *

შუა ოთხმოცდაათიან წლებამდე იუჟნო-სახალინსკის აეროპორტის დასაფრენი

ზოლი დიდ რეაქტიულ თვითმფრინავებს ვერ იღებდა. ხაბაროვსკამდე დაფრინავდა ორი ილ-18, იქიდან, ნოვოსიბირსკში ან კრასნოიარსკში საწვავის დამატებით, მოსკოვამდე ჩააღწევდნენ. შემდეგ კი გაფრინდი, საითაც გინდა, თუნდაც, ლვოვში.

არდადეგების შემდეგ, აგვისტოს ბოლოს, შინ დაბრუნება მტანჯველი რამ იყო: უამინდობის შემთხვევაში მგზავრები რამდენიმე დღით ჩარჩებოდნენ ხოლმე ხაბაროვსკში. ღამეს აეროპორტში ათევდნენ, ჩემოდნებსა და ფუთებზე მიწოლილები... მაგრამ სხვა გზა, როგორც ძია საშა იტყოდა ხოლმე, “დიადი ქვეყნის სივრცეებზე” გასაჭრელად, ვაგლახ, არ არსებობდა.

სწორედ ძია საშა, რომელსაც დროდადრო რაღაც კონფერენციებზე ჩაფრენა უწევდა ხოლმე ხაბაროვსკში, დათანხმდა, თან გაეყოლიებინა პეტია და შემდეგ ხაბაროვსკის აეროპორტში მოსკოვის რეისზეც კი გადაესვა, თანაც ლვოვამდე ვინმე გულითადი თანამგზავრი დეიდაც მოეძებნა ბიჭისთვის. იმის იქით კი აღარაფერი შემიძლიაო, გაშალა ხელები.

იმის იქით კი პეტიას მოსიყვარულე ბასია უნდა დახვედროდა, სწორედ ის ღონიერი და დიადი ბასია, რომელმაც, კაცმა რომ თქვას, ბილეთის ფული გამოგზავნა (ხუმრობაა? – კატკას ბიჭუკა ცხრის ხდება, იმას კი მარტო ფოტოსურათებზე ჰყავს ნანახი!). ბასია, რომელსაც ნორმალური საბჭოთა ცხოვრების ბევრი არაფერი გაეგებოდა, და რომელსაც ბაზარში წარამარა ჰპარავდნენ საფულეს,

თვითონ უნდა წასულიყო “თავისი ბიჭიკოს” დასახვედრად და არ უნდა არეოდა ერთმანეთში რკინიგზის სადგური და აეროპორტი, არ უნდა არეოდა რეისი და თვითონ ბიჭი.

დედა სიხარულისგან ისე ტიროდა, თითქოს თვითონ ელოდა შეხვედრა მშობლიურ ქალაქთან და ახლობელ ადამიანთან, რომლის ჩახუტება, რომლის კალთაში ტირილი და რომლისთვისაც ყველაფრის მოყოლა, – ბოლოს და ბოლოს, ყველაფრის, რასაც საერთაშორისო ზარების უცხო ხმაურში ვერ ამბობდა, – ასე უნდოდა...

ხუთი წლის კატია უდედოდ დარჩა და მამამ ავეჯის ფაბრიკის მფლობელმა, წარმოსადეგმა, სერიოზულმა მამაკაცმა, “რეპუტაციის მქონე დურგალმა” (აბრაზეც ასე ეწერა) – უეცრად ძალიან გააოცა და შოკშიც კი ჩაყარა მეზობლები თავისი არჩევნით: სახლში საოჯახო საქმეების საკეთებლად და სხვა საჭიროებებისთვის კი არ დაიქირავა, არამედ ეგრევე ცოლად მოიყვანა სულელი ბასია, ეს ძონძროხა ლენჩი, მეტისმეტად უბრალო, მეტისმეტად კეთილი, ლამის ჭკუათხელი ქალი. და არც შემცდარა: ბასია პატარა ბავშვივით შეეთვისა კაცს. იგი ისეთი მადლიერებით აღივსო თავისი მოულოდნელი ქმრის მიმართ, და ისეთი ჭეშმარიტი სინაზით შეიყვარა გოგონა, რომ უკერავდა, ურეცხავდა, ყველაზე-ყველაზე გემრიელ რაღაცებს აჭმევდა და თხუთმეტ წლამდე საკუთარი ხელით აბანავებდა კატიას აბაზანაში.

მხოლოდ ეგაა, რომ ბასიას ბედნიერი ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა, ზუსტად ისე, როგორც ზღაპრებშია, მხოლოდ სამი წელი. ჯერ იყო და ავეჯის ფაბრიკა, სინამდვილეში კი იაკობ ჟელენსკის სახელოსნო მიიტაცა ახალმა, მარჯვე მთავრობამ, თუმცა ეს კია, მფლობელს იქ რიგით დურგლად დარჩენა შესთავაზა, და ისიც თითქოს დანებდა... მაგრამ გულგატეხილობას, როგორც ჩანს, ვერ გაუმკლავდა: ახალი შრომითი კარიერის მესამე დილას საკუთარი ხელით დამზადებული ავეჯით გაწყობილ თავის ყოფილ კაბინეტში გარდაიცვალა; ერთ წამში მოკვდა, სერთუკის გახდა და სამუშაო ხალათის ჩაცმაც კი ვერ მოასწრო. მხოლოდ ხელი ასწია, – შლაპა უნდა დაეკიდა საკიდზე და ეგ იყო, – ერთბაშად დაეცა ეს ამსიმაღლე კაცი.

მერე კი მათი დიდი ბინაც პეკარსკაიაზე ვიღაც ახალ უფროსს გამოადგა, ასე რომ, ბასიამ გოგონას ხელი დასტაცა და მეეზოვის ოთახს დაუბრუნდა საკსაგანსკის ქუჩაზე მდებარე სახლში, – სულ ცოტა ხანი დაჰყო პანი ჟელენსკად.

...კატიამ მთელი ორი თვე აგროვა საჩუქრები. ძალიან უნდოდა, შვილის ხელით ბასიასთვის მთელი დეფიციტური საქონელი გაეგზავნა, რისი შოვნაც ნაცნობი გამყიდველის მეშვეობით მოახერხა, მაგრამ წონამ დაახევინა უკან: თვითმფრინავს რა უჭირს, აფრინდება, აი, ბავშვმა კი როგორ უნდა ათრიოს ამსიმძიმე ტვირთი, გზად ხომ

არაერთი გადაჯდომა მოუწევს? და მაინც, მორიგი საა-უუცხო-ო სუფრის დანახვაზე მაინც აენთებოდა ხოლმე, გარბოდა ჯერ მეზობლებში ათი მანეთის სასესხებლად, მერე რიგის დასაკავებლად და მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ, დარცხვენილი, ეკითხებოდა შვილს:

– პეტრუშა... ამ სუფრასაც ჩავდებ, ჰა? სამასი-ოთხასი გრამი თუ იქნება... თუმცა, ესეც წონაა. მოერევი?

ბიჭი პასუხობდა:

– რას ამბობ, მე ღონიერი ვარ, აი, ნახე, – და პერანგის სახელოს მაღლა იწევდა: ჯოხივით გაჩხიკინებულ ხელზე მართლაც წამოზრდოდა კუნთის მაგარი ბორცვი.

და, გზად ჩასაფრებული დრამების მიუხედავად, ყველაფერი მოგვარდა: “აეროფლოტის” სალაროში ბილეთის საყიდლად წასვლის წინ აღმოჩნდა, რომ რომკას, იმ ეშმაკის მოციქულს, მაინც ეყნოსა სანუკვარი სამალავი, სადაც ბასიასთვის გადასაცემი ფული ინახებოდა (გასარეცხი თეთრეულის ბაკში, ძველი გადასაფარებლის ქვეშ) და ხუთიოდე დღეში დაემღერებინა კიდეც ყველაფერი პირველივე შემხვედრებთან ერთად ლუდის ბარსა თუ ფარდულში.

და რომ არა ისევ და ისევ ძია საშას ოჯახი...

იმავე საღამოს, როცა დანაკარგი აღმოაჩინეს, კარზე ჯერ წყნარად დააკაკუნეს,

შემდეგ უფრო ღონივრად კატია თითქოს დაეყრუებინა უბედურებას, – ბოლოს კი კარს ხელი ჰკრეს და შემოვიდნენ: ტანდაბალი, წვერ-ულვაშიანი მუშკეტერი და მისი ჩასუქებული ცოლი თამარა. ისინი გვერდიგვერდ ჩამოსხდნენ სასტუმრო ოთახის ტახტზე, და დეიდა თამარამ, წინასწარვე რომ მოქოქილიყო, მხურვალედ შესძახა:

– კატია, თქვენი მოთქმა ხაბაროვსკში ისმის, მარტო სამზარეულოს ფანჯარასთან კი არა! ეს რა არის! შეხედეთ საკუთარ თავს! თქვენ ხომ ულამაზესი ქალი იყავით, რას დაგამსგავსათ ამ კაცმა?

ძია საშამ ხელი ასწია, რითიც დელიკატურად, მაგრამ მტკიცედ აღუდგა წინ ცოლს თავის წამოძახილებიანად და რბილად ჩაილაპარაკა:

– აი, აქ ფულია, კატია. ნაწილ-ნაწილ დამიბრუნეთ, ხელფასზე... როგორც მოახერხებთ.

* * *

ის პირველი ფრენა პეტიას ბუნდოვნად დაამახსოვრდა, მეტისმეტად ღელავდა: ქვემოთ, სიშორეში წამით გამოჩნდა ხმელეთის ზოლი და ყვავილის ფურცლებივით იალქნებგაშლილი პაწია გემები... მერე კი ილუმინატორს აეფარა, ერთი შეხედვით, ყინულოვანი, სინამდვილეში კი მდუღარე ნისლი, რომლიდან ამოყვინთვის შემდეგაც ბიჭმა დაინახა აქაფებული ღრუბლების უსასრულო

ველი, შტორმით წამოფოფრილ ზღვას რომ წააგავდა... მერე კი იყო მხოლოდ და მხოლოდ კოშმარულსუნიანი ქაღალდის პაკეტები, რომელშიც ბიჭი წარამარა რგავდა თავს, და ძია საშა, ამ პაკეტებით წინ და უკან რომ დარბოდა ტუალეტში, შეშფოთებული შესცქეროდა ბიჭის გადათეთრებულ სახეს და ბუტბუტებდა: “ჩემო კარგო, ამის პატრონი სადღა უნდა გაფრინდე იქიდან?”

მაგრამ არაფერია, არაფერია, ჩაფრინდა, ბოლოს და ბოლოს... ლამაზმა, კულულებიანმა და ალისფერტუჩებიანმა დეიდამ, “გულითადმა თანამგზავრმა”, რომელსაც ძია საშამ ბიჭისთვის ყურადღების მიქცევა სთხოვა, გატანჯული პეტია ლვოვის აეროპორტის ჩამომფრენთა დარბაზში გაიყვანა. ლითონის ბარიერს მოწოლილი აუარება ხალხის დანახვაზე ბიჭმა უკან დაიხია და სწორედ ამ დროს იქიდან მამაკაცური, ვეება შტიბლეტის ბაგუნით, მუჯლუგუნებითა და შეძახილებით: “პიოტრეკ! პიოტრუსიუ!!!” – მაღალი, მსხვილძვლიანი, ჭაღარა ბასია გამოფრინდა, რომელსაც ბაიკის თხელი საბანი ჯარისკაცის დახვეულ მაზარასავით მოეგდო მხარზე.

რაკი ვერაფერი გაეგო ვერა ლეოპოლდოვნას დამცინავი სიძის ახსნა-განმარტებებისა, საიმედოობისათვის, აეროპორტში გუშინ მოსულიყო და თან წამოეღო ეს ბაიკის საბანიც, რომელზეც კარგად გამოეძინა კიდეც წუხელ, დილიდან კი დახვედროდა და დახვედროდა ყველა

რეისის მგზავრებს, სანამ იმ მხურვალე გულით “თავისი ბიჭი” არ დაინახა...

ბასია ცხოვრობდა ერთოთახიან, ნახევრადსარდაფულ ბინაში, საკსაგანსკის ქუჩაზე, იმ სახლთაგან ერთ-ერთში, “პოლონურ ლუქსს” რომ უწოდებდნენ. ოდესღაც ეს მეეზოვის საცხოვრებელი იყო საკმაოდ დიდი ოთახი, რომელშიც თავის დროზე კატია გაიზარდა. მოგვიანებით საბინაო კანტორამ ოთახი დაავიწროვა, აბაზანა, ტუალეტი და გაზქურაც კი ჩააკვეხა შიგ და ბინა გამოიყვანა. ბინაში ყოველთვის სანახევროდ ბნელოდა, მაგრამ არა ზემოთ ჩასმული პატარა ფანჯრების, არამედ უამრავი კარდალის, ქოთნისა და საყვავილის გამო, რომლებშიც წარმოუდგენელი ნაირსახეობის ყვავილები, ფიკუსები, ხვიარები და ჯუჯა პალმები იზრდებოდა. მცენარეები ეშვებოდნენ ჭერიდან და კომოდიდან, იდგნენ კედლის გასწვრივ იატაკზე, მიჭუჭყულიყვნენ კარადის თავზე, იტოტებოდნენ ვეება, ორკაციანი საწოლის თავთან (ეს იყო იაკობ ჟელენსკის ქმნილებათაგან ერთადერთი რამ, რისი გადარჩენაც და პეკარსკაიადან აქ გადმოტანაც მოეხერხებინა ბასიას), და აბაზანის კიდესაც კი აკრობოდნენ. ისინი იზრდებოდნენ, ხუჭუჭდებოდნენ და ყვავილობდნენ ბასიას “მწვანე” ხელქვეშ, რომელიც სამყაროს შექმნის პირველ დღეთა ჭეშმარიტად ღვთიური ძალით ჩუქნიდა სიყვარულსა და ალერსს ყოველივე ცოცხალს, მისი ბინის ლამის მთელი

ფართობი რომ დაეკავებინა.

ამიტომაც იდგა ბინაში ტკბილ-გამაბრუებელი ნესტიანი ჩახუთულობა, როგორც სათბურში. და თუ ამას ხაშხაშიანი ფუნჩულებისა და კოტლეტების სურნელიც დაემატებოდა!..

ხოლო როცა ქურაზე თეთრეულის სახარში ქვაბიც ამოუშვებდა ხოლმე ბოლქვებად ორთქლს ბასიას მთავარი შემოსავალი ხომ მათხოვრული პენსია არ იყო, – იგი ხალხს სარეცხს ურეცხავდა და უუთოებდა (ამ ყველაფერს იაფად აკეთებდა, სარეცხს კი საოცრად უზადოდ რეცხავდა) – აი, ამ დროს თავს სადღაც, ამაზონის ნაპირზე წარმოიდგენდი, ტროპიკულ ტრანსში ჩავარდნის ზღვარზე, და გამორიცხული არ იყო, სადღაც, ლიანებსა და ყვავილებს შორის, ხალებიანი მახრჩობელაც დაგელანდა...

და, საერთოდ, ბასიას მთელი ბინა თავშესაქცევი უცხოური ნივთებით გამოტენილი აღმოჩნდა, ამ რაღაცებით კი უსასრულო ისტორიების მოფიქრება შეიძლებოდა: ფაიანსის ძველებურ ხელსაბანს თუჯის უთო შეუყვარდა, ხოლო შუშის, ქალურთეძოებიანი ნავთის ლამპა კი ეჭვიანობდა და იტანჯებოდა... და მთავარი: ოთახის კუთხეში, ნახევარბნელში მეფურად ელვარებდა გვირგვინიანი, ბრინჯაოსკარიანი, მუქ-მწვანე კაფელის ღუმელი. აი, სწორედ ეს მოჯადოებული ციხე-სიმაგრე, რომელიც პეტიამ პალმებით შემოფარგლა და ლიანებით მორთო, და რომლის ღამეული მტრისაგან დაცვის

მიზნითაც მაღლა სწევდა ხოლმე დაკიდულ კიბეს, – ეს ციხე-სიმაგრე ესპანელი ჰერცოგების უძველესი შტოს რეზიდენციად იქცა, და პეტია მთელ დღეებს უთმობდა რაღაც უსაშინლესი სცენების დადგმას ამ ოჯახის ცხოვრებიდან, ოჯახისა, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრე აკლდა, თუნდაც უვარგისი, უხეირო ოღონდ მემკვიდრე... და აი, ერთხელ, ღაა-აამით, ერთმა ფერიამ უშვილო ჰერცოგინიას ტუალეტის მაგიდაზე პაა-აა-ტარა მოოქროვილი კაკალი დატოვა...

თავისებური ენობრივი ურთიერთობა ჰქონდათ: ბასიას ესმოდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა რუსულად, ბიჭს კი ცოტათი ესმოდა, მაგრამ ვერ ლაპარაკობდა პოლონურად, – თუმცა ბასიას ენას ბოლომდე პოლონური ნამდვილად არ ეთქმოდა; საუბარიც შესაბამისი წარიმართებოდა ხოლმე, ზოგჯერ ორმხრივად-გაუგებარი, მაგრამ ყოველთვის ორმხრივად-გულითადი. თავად ბასია ძველ “პოლონურ” ცხოვრებას განაგრძობდა: ქუჩებს ძველებური სახელებით იხსენიებდა, ტაძარში დადიოდა, ეკლესიასთან ჩავლისას პირჯვარს ისახავდა; სასაცილოდ ლაპარაკობდა: ხულიგნებს “ბატიარებს” უწოდებდა, გუბეებს “ბაიურებს”, სუსტ ჩაის კი “წმინდა ვერონიკას ცრემლებს”... და, საერთოდ, ლამის ყველა ფრაზას მჟღერი “ლვოვური მეტყველების” ტიპური შესავლით “ტა-იო-ოი”-თი იწყებდა...

ბასია არა მარტო ძველ ნივთებს ინახავდა,

არამედ რაღაც ძველ განცხადებებსა და სარეკლამო ფურცლებსაც: კომოდის თავზე, კედელზე მიკრული იყო 1782 წელს “სამეფო კარის მომწოდებლის” – ბაჩევსკის მიერ დაარსებული ლიქიორ-არყის საწარმოს სარეკლამო ბარათი.

და მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ შეძლო პეტიამ პოლონური ტექსტის წაკითხვა და სევდიანი ოხვრით ინატრა ის “პირველხარისხოვანი, დელიკატესური ლიქიორები და ნამდვილი პოლონური არყები და აგრეთვე დახვეწილი გემოს მქონე ხილზე დამზადებული, შეუდარებელი ხარისხის ნაყენები”.

* * *

მთელი პირველი კვირის განმავლობაში პეტია და ბასია ყოველდღე დადიოდნენ სასეირნოდ უზარმაზარ “სტრიისკი” პარკში, სადაც მოსარკულ ზედაპირიან ტბორში დახატულებივით ირეკლებოდნენ თეთრი გედები, ორანჟერეებში კი უცნაური ყვავილები ყვაოდნენ; სადაც საღამოობით შტრაუსის ვალსის ნაზ მელოდიებს აფრქვევდა სასულე ორკესტრი, ცაცხვებისა და წაბლების ქვეშ ბზრიალებდნენ მაისის აბეზარი ხოჭოები, ღირსეულად დასეირნობდნენ მთელი ოჯახები, წკრიალა შეძახილებით კლასობანას თამაშობდნენ თითქოსდა სათეატროდ თეთრ, ბომბონებიან გოლფებსა და კუბოკრულ ქვედაკაბებში გამოწყობილი გოგონები.

კიდევ, ისინი ადიოდნენ ხოლმე მთაზე,

რომელსაც ვისოკი ზამეკ ეწოდებოდა, და პანორამამ, რომელიც ფერდობის პირველი ტერასიდან იშლებოდა, პეტიას ერთი სამუდამო, მთელი სიცოცხლის მანძილზე გამყოლი აზრი ჩაუბეჭდა: ნამდვილი ქალაქი – ჯადოსნური, თოჯინური ქალაქი ბორცვებზე უნდა იყოს გაშენებული... იგი გუმბათებად უნდა იბურცებოდეს, ეკლესიებისა და ტაძრების შპილებითა თუ სამრეკლოებით უნდა იბასრებოდეს, და ხეთა გაბუჩქული ვარჯებითა და ყველგანმოდებული იასამნის თეთრ-ლილისფერი ტალღებით უნდა დუღდეს; და ჰაერში ტრამვაის წკრიალისა და ქვაფენილზე ქუსლების ბაკაბუკის ხმა უნდა ტრიალებდეს...

და მერე, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ესიზმრებოდა პეტიას გრაგნილივით რბილად, მოქნილად მოხაზული ტრამვაის ლიანდაგი: მიცკევიჩის მოედნის გასწვრივ, საკათედრო ტაძრის წინ, და იქით, იმის იქით, სულ ზევით და ზევით, – რუსსკაიას მხარეს, სადაც სიშორეში კარმელიტების ტაძრის წვეტიანი სილუეტი იკვეთება.

ჩასვლიდან ერთ კვირაში პეტია სავსებით მოშინაურდა, და კისერზე ჩამოკიდებული ხის სარჭების აცმულით სხვენზეც კი მიჰყვებოდა ბასიას, რათა თეთრეულის გაფენაში მიხმარებოდა. ბასია ზეწრის ერთ ბოლოს ჰკიდებდა ხელს ორივე კუთხეში, პეტია კი მეორე ბოლოს, მერე ერთმანეთს ისე

შორდებოდნენ, როგორც მენუეტის ცეკვისას და ზეწარს თანაბრად ექაჩებოდნენ, ზუსტად, კუთხე კუთხეში, – ეს იყო სამერმისოდ იოლი უთოობის საწინდარი.

ბოლოს და ბოლოს, ბასიამ ჯიბეში მანეთიანი ჩაუდო და “თავისით ვაჭრობის” ნება დართო. “იყიდე, გულმა რისკენაც გაგიწიოს”, – უთხრა და ეს დიდი ბედნიერება იყო პეტიასთვის, რადგან “გულმა გაუწია” გრძელი და განიერი მოედნისკენ, რომელსაც “ბაზრობა” ერქვა. ბიჭმა იქ მთელი დღე გაატარა, მოედანზე შემომავალი ქუჩები დაათვალიერა, წრეები არტყა შადრევანს, რომლის თავზეც, საიდანაც უნდა შეგეხედა, ალაგ-ალაგ ტეხილი, მარაოსავით გაშლილი მოკლე ცისარტყელა ელვარებდა...

სახეები და ფიგურები ეს თოჯინები აქ ყველგან იყო: სახლების ფასადებზე, თაღებისა და ფანჯრების თავზე, ბოკალივით მრგვალი, ჭედურრიკულებიანი აივნების ფუძეებში, ნიშებში, გასასვლელებში... ამან ააღელვა და შეძრა კიდეც ბიჭი: თეატრი ქუჩაში გამოჭრილიყო და მეჯლისს მართავდა, და შეუმჩნევლად ითრევდა თამაშში მთელ ქალაქს.

ბიჭი დიდი ხნით ჩერდებოდა რომელიმე წარბებშეჭმუხნული, ფაფარაშლილი ქვის ლომის ან ანგელოზების წინ, ერთმანეთს მიწებებულ წყვილად რომ შეყუჟულიყვნენ, თითქოს ჩამოშვებულ ფრთებს აკავებენო, – სწორედ ისე, როგორც გახამებული ჟაბოები აკავებენ მარკიზ-ჰერცოგთა ნიკაპებს ძველებურ ნახატებზე.

ბიჭი მოხიბლული, დატყვევებული, ბედნიერი იყო: ბოლოს და ბოლოს, იქ მოხვდა, სადაც სწორედაც რომ უნდა ეცხოვრათ ადამიანებს. სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო ნამდვილი თოჯინური ქალაქი. სწორედ ასეთი თოჯინური, – უნდა ყოფილიყო კეთილი და ზღაპრული ბასიაც.

მანეთიანიდან კი ბიჭმა ოთხ-ოთხ კაპიკად ორი "ტოშნოტიკი"

 იყიდა, – ასე უწოდებდნენ აქ გულ-ღვიძლის ძალიან გემრიელ და სრულიადაც არა გულისამრევ ღვეზელებს; და კიდევ მაღაზია "ზაბავკიში" ორი კოლოფი პლასტილინი შეიძინა, კარგა ხანს რომ ჰყოფნოდა. და მთელი საღამო ძერწავდა იმას, რაც დღისით განსაკუთრებით მოეწონა: წვერიანი კაცი, ქვის მხარზე ვეება ცული რომ გაედო. კაცს ისე ძლევამოსილად გადმოედგა ღონიერი, ბოტფორტიანი ფეხი, ისე დაბერვოდა ორთავა კუნთი მარჯვენა ხელზე, რომლითაც ცული წამოეწია, და ისე დაეკრიჭა კბილები, თითქოს ესაა, და გულიანად შეიგინაო.

ორ გადატოტვილ ფიკუსს შორის ტახტზე ჩამომჯდარი ბასია ზეწარს კიდეებს ულამბავდა და დროდადრო სიყვარულით აპარებდა თვალს ბიჭისკენ: აი, რა კარგად ეთამაშება საკუთარ თავს, იაკე მილე, ნე კაპრიშნე, ნე როსპესჩონე დზეცკო

... იოლი ბავშვია. რაც კატაჟინკა იყო პატარაობისას, იმის ასლია.

მეორე დღეს კი ამ “იოლ ბავშვს” სწორედ ის ამბავი გადახდა თავს.

დილით ბიჭი სასეირნოდ წავიდა, ბასია კი პან სტანისლავ კობრინსკის პერანგების რეცხვას შეუდგა. გარეცხილ-გახამებული და დაუთოებული პერანგები ხვალ დილით უნდა მიეტანა პატრონისთვის, მან კი მთელი კვირა პიოტრეკთან ერთად მიახალისა. ჰოდა, გონს მოგების დრო იყო.

რეცხვაც გაჩაღდა. ნახევრად შიშველი, გაოფლილი ბასია ავლებდა და წურავდა სააბაზანოში პან სტანისლავის პერანგებს. საწარმოო პროცესს, როგორც ყოველთვის, თან ახლდა ორი საყვარელი მელოდიის უვარგისი შესრულება: ერთი მათგანი იყო ომამდელი ტანგო “მხოლოდ ერთი სიტყვა, საყვარელო”, მეორე კი ცნობილი სიმღერა, რომელიც ბასიას სჩეპკას და ტონკას, – ომამდელი პოპულარული რადიოსატირიკოსების შესრულებით ახსოვდა. ისინი გარმონის თანხლებით, გულიანად მღეროდნენ: “ბო გდიბიმ სე კედის ურომიჩ მიალ ზნუვ ტო ტი-ილკო ვე ლვოვე”... ბასია, რომელიც მკვე თრად გამოხატული, გაწელილი ლვოვური აქცენტით ლაპარაკობდა, ამბობდა “ვე ლვოვი”... – “და კიდევ, სადმე რომ შემძლებოდა დაბადება მხო-ო-ოლოდ და მხოლოდ ლვოვში...”

საათ-ნახევრის შემდეგ ვიღაცამ ფეხებით დაიწყო ბრახუნი კარზე.

ბასიამ ვერა ლეოპოლდოვნას სიძის პერანგი შემოიცვა, მუ დამ შინ რომ ეცვა ხოლმე, –

ტანზე არ ეკრობოდა და ჩაოფლიანებული მკერდი კარგად უნიავდებოდა, – და კარის გასაღებად გაიქცა. ბასია ყოველთვის, ყველანაირ კაკუნზე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს აღებდა კარს, არასდროს კითხულობდა, ვინ ხარ და რა გინდაო. შესაკითხი რა არის, გააღე და გაიგებ, ვინც არისო.

ზღურბლთან წამოწითლებული და გაოფლილი პეტია იდგა, მღელვარებისა და აღტაცებისაგან სულს ძლივს იბრუნებდა, ხელში კი ასე, ერთი წლის ჩვილი ეკავა მოწითალო-ოქროსფერკულულებიანი გოგონა. აშკარა იყო, რომ ბიჭს ბავშვით ხელში დიდხანს ერბინა და გვარიანად დაღლილიყო, მაგრამ გოგონა ორივე ხელით მაინც ძლიერად, საიმედოდ ეჭირა მუცლით, როგორც ლეკვი. ბავშვი მოთმინებით და გაუჩერებლად, მაგრამ უხმოდ იქნევდა პუტკუნა ფეხებს, იგრიხებოდა, ცდილობდა, თავი დაეღწია ამ დაჟინებული ზრუნვისგან და იატაკზე ჩამოცოცებულიყო.

– ბასია! – შიშნარევი ბედნიერებით აღმოხდა ბიჭს, – შეხედე! შეხედე, რა საყვარელია, რა მხიარული კულულები აქვს! ნამდვილია! და ახლა ჩემი იქნება!

ბიჭმა მუხლით შეაკავა ხელებიდან ლამის ჩამოცურებული ბავშვი, გვერდი აუარა გადაფითრებულ ბასიას და ოთახში შევიდა, ჩვილი ტახტზე დასვა და მის გვერდით დაეხეთქა. მერე უცებ შეეშინდა, რომ ბავშვი ტახტიდან ჩამოგორდებოდა და სადმე

შეძვრებოდა, ამიტომ ისევ ხელში აიყვანა.

– მაღაზიის წინ მიატოვეს, რომ ვინმეს წაეყვანა... – წითელი კულულების მიღმიდან მომზირალმა ბიჭმა მოთმინებით აუხსნა ბასიას შეშლილ სახეს, და მერე მიაყარა, რათა კივილივით ყელში მომდგარ მის შეძრწუნებას წინ გადაღობებოდა, – ეს ბავშვი არავის სჭირდება, ამიტომ მე წავიყვან ტომარიში, და ამიერიდან სულ, მთელი ცხოვრება ჩემთან იქნება!

– ღვთისმშობელო დედაო! – როგორც იქნა, ამოიყმუვლა ბასიამ, თან სველ ხელებს შეუცნობლად დააცეცებდა ჰაერში, თითქოს საყრდენს ეძებსო, – ეს რა გააკეთე?!! ეს ხომ ადვოკატ ვილკოვსკის პატარაა... მოგკლავს, პიოტრეკ!..

ბასიამ ხელი დასტაცა საკმაოდ მძიმე პატარას და როგორც ეცვა, ისე გავარდა გარეთ ნახევრად ღილებშეხსნილი კაცის პერანგით, – გზადაგზა კი ცდილობდა ბიჭისგან, ნაცემი ძაღლივით რომ მისდევდა გვერდით, გაეგო, სახელდობრ, საიდან წამოიყვანა ბავშვი.

და გამართლებაც ამას ერქვა: აღრიალებული ძიძა ჯერაც იქ იყო, მაღაზიის კარსა და ქუჩის კუთხეს შორის დარბოდა, გამვლელ-გამომვლელს სახელოზე ექაჩებოდა და ევედრებოდა ერთი სიტყვა მაინც ეთქვათ: ვინმეს ხომ არ ენახა... შიშისაგან გოგოს ვერც სახლში მირბენა მოესწრო, ვერც მილიციაში წასვლა, – გული უწუხდა, სული ეხუთებოდა, მოთქმით ტიროდა და გულში

იმედგადაწურული ფიქრობდა, რომ ბავშვი ბოშებმა მოიპარეს. მაგრამ ნამდვილი ისტერიკა მაშინ დაეწყო, როცა ბასიას ხელში ცოცხალი და უვნებელი, თუმცაღა სამგზის ჩასველებული პატარა დაინახა. ქალი აცახცახდა, აკანკალდა, და ისე ხმამაღლა აღრიალდა შვებისა და ბედნიერებისაგან, პირჯვრის წერით იმდენჯერ ახსენა იესო, დედა ღვთისმშობელი და ყველა წმინდანი, ვინც კი გაახსენდა, რომ ბასიას კიდევ კარგა ხანს ეჭირა ბავშვი ხელში, რადგან ეშინოდა, ამ სულელ გოგოს შოკის გამო ან ბავშვის ეტლი არ გადაეყირავებინა და ან კიდევ რამე არ დაეშავებინა ჩვილისთვის.

მერე გაიმართა ხანმოკლე მოლაპარაკება, რომლის დროსაც დაინტერესებულმა მხარეებმა (ერთი წივილით, მეორე კი ალერსიანად) ამ საქმის მიჩუმათება გადაწყვიტეს: ბასია უხსნიდა, რომ მისი მზრუნველი ბიჭი სწორედაც რომ შეშინდა, ვინმეს არ მოეპარა ქუჩაში უპატრონო ლეკვივით დატოვებული ბავშვი, სწორედაც რომ მისი გადარჩენა მოუნდა... ვისგან? ბოშებისგან, თავისთავად ცხადია.

უკანა გზაზე კეთილმა ბასიამ მაგრად ჩაჰკიდა ხელი პეტიას და დაუწყო დარწმუნება, რომ ცოცხალ ბავშვებს, თანაც ასეთ მოვლილებს და ლამაზებს (ნახე, როგორი კაბა ეცვა? – კაპიკები არ ეღირებოდა, ალბათ!) და თანაც ასეთი ოჯახის შვილებს... – არ ტოვებენ, ა-არა... და რომ გული არ დასწყდეს: აი, ხვალ ისეთ არაჩვეულებრივ სახლში წავლენ სტუმრად,

ისეთ შესანიშნავ ხალხთან, იმათ ისეთი კარგი ბიჭი ჰყავთ, ბორენკა, და იმას იმდენი საუკეთესო მანქანა აქვს, რომ ვერანაირ მაღაზიაში ვერ ნახავ ისეთებს... ბასია ოხრავდა და დროდადრო რუსულად ლაპარაკზე გადადიოდა, როგორც ჩანს, ფიქრობდა, რომ ეს ენა უფრო დამაჯერებელი იქნებოდა ბიჭისთვის: “არავინ-შენთვითონ, არავინ-შენთვითონ”... – ანუ, სხვას ვერავის დააბრალებ, შენი ბრალიაო.

პეტია უხმოდ მიჰყვებოდა გვერდით... არ ტიროდა. რატომ უნდა ეტირა, უკვე დიდი ბიჭი იყო, მაგრამ აშკარად თავში რაღაც ჯიუტი აზრი უტრიალებდა.

– და ხანდახან რომ ვისეირნო მასთან ერთად, შეიძლება? – იკითხა უცებ და შედგა.

ბასიაც გაჩერდა, და დაღონებული გულით ერთბაშად გააცნობიერა, რომ იოლი ბიჭუნა არც ისეთი იოლი ჩანდა და რომ მისი ბავშვური სულის წიაღში მტკიცე, ძალმოსილი გულისგული ყოფილა ჩამალული, რომელიც პასუხს არავის წინაშე აგებდა.

– არა, – თქვა მან მტკიცედ, – ან რად უნდა ისეირნო მაგ ციცქნასთან ერთად, რა საინტერესოა შენთვის მასთან ერთად სეირნობა, ჯერ ლაპარაკიც არ იცის. აი, ხვალ ბორია, შენი თანატოლი... ის... იმას...

ქალმა ყურადღებით ჩახედა ბიჭს გაუცხოებულ, გამჭვირვალე თვალებში, სადაც

ვერაფერი ამოიკითხა, და თანაგრძნობით გაიღიმა:

– შვილო, გეგონა, შენი დაიკო გახდებოდა?

– არა, – უპასუხა კვლავ თავის საფიქრალში ჩაძირულმა ბიჭმა, – არა, ის ჩემი მთავარი თოჯინა იქნება.

...და ალალი ბასია საშინლად გაოცდებოდა, თუ გაიგებდა, რომ ვერც ლამის ნამდვილმა თოჯინების თეატრმა, რომელიც პიოტრეკმა ბორიას ეზოში დააარსა და რომლის სპექტაკლებითაც მთელი იქაური ბავშვები შთააგონა, ვერც მისმა მრავალსაათიანმა, დიდებისთვის დამახასიათებელმა ჯიუტმა გარჯამ დღისით შეხვედრილი ადამიანების ძერწვამ, – ვერაფერმა ამოშალა ბიჭის მეხსიერებიდან ის წარუმატებლად მოპარული პატარა გოგონა. პირიქით: ბასია უფრო ყურადღებით რომ ჩაჰკვირვებოდა, გამოძერწილ ფიგურებში გოგონასაც აღმოაჩენდა და მის დალეწილ, თავჩაღმა გაქვავებულ დედასაც, რომელიც ფანჯრიდან ცისკენ გადახტა, მაგრამ იქამდე ვერ მიფრინდა. ბასია ნამდვილად დამუნჯდებოდა გაკვირვებისაგან, როცა გაიგებდა, რომ ყოველ დილით მისი ბიჭუნა იმ სახლისკენ მიეშურებოდა, ივან ფრანკოს ქუჩისა და ზელიონაიას კუთხეში, სადაც ახლახან ის ტრაგედია დატრიალდა, და შესასვლელი თაღის ჩრდილში მდუმარედ ელოდებოდა, როდის გამოიყვანდა გოგონას სასეირნოდ ახალი ძიძა ხნიერი, მსუქანი, მოკლეფეხება ქალი, რომლის მსხვილი თავი ძლივს მოჩანდა საბავშვო ეტლის

კაპიუშონზემოთ. ბიჭი კოსტიუშკოს პარკამდე მიჰყვებოდა მათ, და იქ, მოპირდაპირე ძელსკამზე მჯდომი, დაახლოებით ერთი საათი მოთმინებით უთვალთვალებდა მათ, და თან აუჩქარებლად გამოჰყავდა პლასტილინის მორგვიდან გასაოცარი, მაგრამ სავსებით რეალური ცხოველები, რომლებსაც მერე კვლავ მორგვად ზელდა და ხელახლა ძერწავდა. გოგონას, ჩვეულებრივ, ამ დროს ეძინა. მაგრამ ხანდახან იღვიძებდა და მაშინ ძიძას ხელში აჰყავდა ხოლმე, ზოგჯერ კი მიწაზე აყენებდა და პატარაც რამდენიმე აცაბაცა ნაბიჯს გადადგამდა, სიხარულით ცმუკავდა, პუტკუნა, თითქოსდა პოროლონის ფეხებს აცეკვებდა და მზე-ჩრდილებით მოხატულ სკვერს მოზეიმე ჭყიპინით აყრუებდა.

ბოლოს პეტიას დროც დადგა: როგორც ჩანს, ძიძას ტუალეტში გასვლა მოუნდა. შეწუხებული აქეთ-იქით იცქირებოდა და მძინარებავშვიან ეტლს მიაქანებდა, პეტიას ჩაუარა და ხეივნის ბოლოსკენ გაემართა, სადაც ვიღაც დედიკო შეათვალიერა აბა, სხვა ვისთვის უნდა მიენდო ბავშვი ხუთი წუთით, თუ არა ასეთი დედიკოსთვის.

პეტია ძელსკამიდან წამოხტა და ქალს ზრდილობიანად უთხრა ზურგსუკნიდან:

– მე მივხედავ ლიზას!

– ლიზას იცნობ? – გაუკვირდა ქალს და მსხვილი, კულულა, საცირკო ფალავნის თავი მოაბრუნა:

– რა თქმა უნდა, – ნაჩქარევად მიუგო სამაგალითო ბიჭუნამ, – მე თქვენი მეზობელი ვარ, პანი ბასიას შვილიშვილი.

ქალი ყოყმანობდა, მაგრამ აშკარა იყო, რომ ხეივნის ბოლომდე მისვლა, იქიდან კი საპირფარეშომდე მიღწევა, სკვერის მეორე ბოლოში რომ იყო, გაუჭირდებოდა.

– კარგი, – გადაწყვიტა მან ბოლოს, – უბრალოდ, მის გვერდით იჯექი, კარგი? სძინავს, და იცოდე, არ გააღვიძო. კარგად თუ არ გამოიძინა, ჭირვეულობს ხოლმე. მაგრამ, თუ გაიღვიძებს, აი, სათამაშო მიეცი. წამში მოვალ!

ათი წუთის შემდეგ დაბრუნებულ ძიძას სრული იდილია დახვდა. გოგონას ეძინა, მისი მოხალისე დარაჯი კი ძელსკამზე იჯდა და კვლავ რაღაცას ძერწავდა.

– ო, რა ლამაზად გამოგდის, – შეაქო ძიძამ და გვერდით მიუჯდა, – ნამდვილი ტალანტი ხარ.

ბიჭმა ფერმკრთალი სახე წამოსწია, ძალიან დიდური გამომეტყველების მქონე ძალიან ღია თვალებით შეხედა და სადღაც, ხის კენწეროსკენ ცქერით თქვა:

– მე ლიზას მაიმუნს გავუკეთებ და მომავალ ზაფხულს ჩამოვუტან. და ის იქნება მისი მეგობარი, სანამ მე აქ არ ვიქნები.

– ჰო-ო-? – დატკბა ქალი, – რა საყვარელი ბიჭი ყოფილხარ...

ქალს მისთვის ლოყების ჩაჩქმეტა მოუნდა,

მაგრამ ხელი რომ ასწია, რატომღაც მაშინვე დაუშვა და ამოიოხრა: – მეცოდება ლიზა. ის ხომ ახლა ობოლია. დეიდამისიც სადღაც გაქრა... უბედური ოჯახი, უბედური ბავშვი... – უცებ დაფაცურდა, გადაწყვიტა, რომ სულაც არა იყო საჭირო, უცხო ბიჭს ეს ყველაფერი სცოდნოდა, და კმაყოფილებით დაუქნია თავი: – რა თქმა უნდა, ლიზას გაუხარდება საჩუქარი. მაგრამ იცი... ლიზა ხომ ჯერ სულ პატარაა და ჩერჩეტი, მოიწყენ მასთან...

– არა, – მშვიდად შეეწინააღმდეგა უცნაური ბიჭი, – დაველოდები, სანამ გაიზრდება. მერე კი აქედან წავიყვან.

ძიძამ ლამაზად, თოჯინურად გადაიკისკისა და ჩაილაპარაკა:

– აი, ეს მესმის! არც მეტი და არც ნაკლები... – და სანამ პეტია ხეივანს მიუყვებოდა ჭიშკრისკენ, მის ზურგსუკან ხან იფეთქებდა, ხან კი შეწყდებოდა ქალის რაკრაკა სიცილი.

სამაგიეროდ, ამიერიდან იგი ყოველ დილით გამოჩნდებოდა ხოლმე პარკის ბილიკზე, და მას აბარებდნენ ეტლს, რომელშიც მძინარე ლიზა იწვა, და რომელსაც იგი, ეტლის სახელურზე მკერდით ოდნავ გადაწოლილი, აქეთ-იქით დაატარებდა, სანამ კმაყოფილი ძიძა რაღაც წიგნს კითხულობდა. ეტლი რბილად მიცურავდა ნარინჯისფერ და მწვანე მზეთა მდუღარე ნაკადში, გვერდით ჩაუვლიდა პავილიონს, სადაც საღამოობით ღიპიანი ბიძიები საყვირებით გაბერილ-გაფუყულ პოლკებს აგუგუნებდნენ. გოგონას სქელ კულულებში ცეცხლოვანი რგოლები

იფეთქებდა ხოლმე, ხოლო მისი ძალიან “დიდური” და გამომსახველი გადაკალმული წარბები და გრძელი, მიჯრილი წამწამების რკალები კი ბრჭყვიალს იწყებდა, როგორც კი მზის სხივი დაეცემოდა...

საოცარი გოგონა იყო: ცოცხალი ჯადოსნური თოჯინა, სწორედ ის, სიზმარში ნანახი. ახლა მხოლოდ ისღა დარჩენილიყო, რომ ბიჭი დალოდებოდა, როდის ალაპარაკდებოდა ეს თოჯინა, როდის მიაბრუნებდა მისკენ სახეს და ეტყოდა, ეტყოდა...

...ერთი წლის შემდეგ კი უკვე სულ სხვა ქალმა (ამ ოჯახში ძიძები დიდხანს არ ჩერდებოდნენ), ცალი თვალით ქვიშაში მოთამაშე ბავშვს რომ გასცქეროდა, მეორეთი კი თვლები ამოჰყავდა ჩხირებით, წამით ყველაფერს თავი ანება და თავი ასწია: მზის ათინათებით მოელვარე ბაღის ხეივანზე მათკენ ათიოდე წლის ბიჭი მორბოდა, ხელში კი რაღაც შეკრულა ეჭირა. ბიჭი აშკარად ქვიშის პაწია მოედნისკენ მორბოდა, სადაც ნიჩბითა და პაწია ვედროთი ორი წლის გოგონა თამაშობდა და თმა ცეცხლოვანი ფაფარივით უელვარებდა შორიდან.

– ლიზა!!! – დაიყვირა ბიჭმა და მასთან მიირბინა. ქვიშის მოედნის ჯებირს გადაევლო, მუხლებით ქვიშაზე დაეხეთქა, ნაჩქარევად შემოაცალა ქაღალდი რაღაც ვარდისფერ, გრძელ კუდა სათამაშოს და ამოთქვა:

– ლიზა, ეს მარტინია!

ძელსკამიდან წამომდგარმა ძიძამ დაინახა, რომ ეს ყურბარტყუნა, თაფლისფერ შუშისთვალებიანი მაიმუნი... – არა, უფრო ზუსტად, ეს იყო მამრი მაიმუნი: აწოწილი, გალანტური მამაკაცი, რომელსაც თავზე საუცხოო ფეტრის ქუდი ეხურა, ტანთ სავსებით არაფერი ემოსა და შიშველი, ადამიანური ტერფები ჰქონდა. მაიმუნმა მკვირცხლად და ალერსიანად გაუწოდა ორივე თათი გოგონას, თავი დაუკრა და კულტურული ბანით ჩაილაპარაკა:

– გამარჯობა, ლიზა, მე შენი საუკეთესო მეგობარი ვარ, მარტინი.

გოგონას ხელიდან გაუვარდა ნიჩაბი და ვედრო, ორიოდე წამს დამუნჯებული შესცქეროდა მაიმუნს, რომელიც კუდს ატრიალებდა და საყვარლად ინაცვლებდა ფეხს ბიჭის მუხლზე.

– მატინ! – აღტაცებით შესძახა ბოლოს ბავშვმა. მერე ქვიშით დასვრილი ხელები გაიწოდა და ნაზი, მომთხოვნი კილოთი მიიხმო თავისთან: – მატი-ი-ინ!

* * *

გადიოდა წლები და ბიჭი სულ უფრო შორდებოდა მამას; მაღალ კლასებში სწავლისას, ზოგჯერ თვეობით არ ელაპარაკებოდა მას, თუმცა ახლა ბევრად უკეთ ესმოდა მისი, ვიდრე ოდესმე. ზოგჯერ, წინასწარ ისე ზუსტად ამოიცნობდა ხოლმე მამის რეაქციას დედის ნათქვამსა თუ

ნამოქმედარზე, რომ ეჩვენებოდა, აი, ახლა წამოიცვამს რომკას ხელზე და გააგრძელებს... ან თავისი ნებისამებრ სულაც შეწყვეტს ამ სპექტაკლსო. ზოგჯერ მამაზე და მთელ მის ცხოვრებაზე უცნაური და დამღუპველი ძალაუფლების განცდა აედევნებოდა ხოლმე... ხოლო როცა სკოლის დამთავრების შემდეგ პიტერში გაემგზავრა სასწავლებლად და იქ სწავლას, თეატრსა და ლვოვში ლიზას მოსანახულებლად სიარულს შორის გაიხლართა, ხანდახან ძირითადად, გზაში ემართებოდა, მატარებელი იქნებოდა ეს თუ თვითმფრინავი მამაზე ფიქრისას უცებ მწვავე, ლამის ფიზიკური ტკივილი აიტანდა ხოლმე. და ტკივილის კვალად უკანდაუხევლად, შეპარულად მოიწევდა გარდაუვალი, საბოლოო უბედურების წინათგრძნობა.

სწორედ ამიტომ, როცა ერთხელ ღამით საქალაქთაშორისო სატელეფონო ზარი აზრიალდა, პეტიამ, ძილ-ღვიძილში კვლავ რომ ეპოტინებოდა ნახევრადგამსხლტარ სიზმარს, უკვე იცოდა მოხდა. და უიმედოდ აიღო ყურმილი.

“შვილო...” – ყოფითი, ყოველდღიური ხმით წარმოთქვა კატიამ და მოჭრილი პაუზის მერე, თითქოს ვიღაცამ უეცრად ყელში წაუჭირა ხელი და მერე ასევე უეცრად გაუშვაო, ატირდა დაღლილი, უღიმღამო ხმით, რომელმაც პეტია ადგილზე გააქვავა.

– მოკლეს, – ჩაილაპარაკა მან დარწმუნებით. ქალს თითქოსდა გაუხარდა, ასე ზუსტად რომ გამოიცნო ბიჭმა და შესძახა:

– ჰო, მოკლეს, მოკლეს, პეტია, აი, რა მოიწია!

და სულ იმეორებდა დაქოქილივით: “მოიწია, მოიწია, მოო-ო-ო-კლეეეს!”... – და ხმას უფრო და უფრო უწევდა მაღლა, თითქოს საკუთარი თავის გაყრუებას ცდილობდა, რომ თავდავიწყებაში გამსხლტარიყო, გაფრენილიყო ამ კოშმარიდან...

და არა ამ, არამედ სხვა ღამეს, როცა დასაფლავების შემდეგ სამზარეულოში ისხდნენ და შუქსაც არ ანთებდნენ, კატიამ, რომელიც ძალიან ცდილობდა შვილისთვის დაემალა “ამაზრზენი წვრილმანები”, – მაინც უამბო ბიჭს, რომ მამა ორმა კაცმა მოკლა: ზინკას, მისი უკანასკნელი კახპას ქმარმა და იმისმა ძმობილმა. გასასვლელში დახვედრიან დანებით, – შეშინება გვინდოდაო, მერე უთქვამთ. მაგრამ რომკამ მასხრად აგდება და უშვერად ლაპარაკი დაუწყო და, რაც მთავარია, ჩეჩოტკას ცეკვას მოჰყვა. და გახსოვს, რა ლამაზად ცეკვავდა, პეტრუშა? გველთევზასავით მოქნილი იყო, ფეხებითაც ისეთები გამოჰყავდა, ქუსლებს ისე აკაკუნებდა...

ჰოდა, ეგრე, ცეკვა-ცეკვით, სულ რიტმში უსხეპდა სათქმელს, თან ისე, უბრალოდ კი არა, – მწარედ, დამცინავად, ხრინწით... ხომ იცი, როგორც... ჰოდა, ერთ-ერთიც (ორივე ერთმანეთს აბრალებს, ნაძირლები) გაქანდა მისი მოცეკვავე ზურგისკენ და გაურჭო დანა,

– ტირილით ჰყვებოდა დედა, – ის კიდევ, თითქოს არც არაფერიაო, ცეკვა-ბუქნას განაგრძობდა ზურგში დანაგარჭობილი, და იცინოდა, და ყვიროდა: “ფინიტა, კონჩიტა!” ერთიანად სისხლით იყო მოთხვრილი და მაინც ცეკვას განაგრძობდა, იმ შენი იმეებივით... ძაფებზე რომ კიდიან. ისეთი საშინელება იყო, შვილო. აგერ, დღემდე ყველგან მაგას ყვებიან, მკვდარი როგორ ცეკვავდა...

ხოლო მთვარე კვლავ ალაპლაპებდა ფანჯრის რაფას თავისი ცარცისებრი, შემპარავი ნათლით როგორც იმ ღამით, როცა ამ სამზარეულოში, ჭრაჭუნა გასაშლელ საწოლზე იჯდა მოხუცი, რომელმაც მოჯადოებული სამოთხისკენ გამავალი ოქროს ჭრილი შეხსნა ბიჭისთვის. ამ ნათების შუაგულში შავ კიბორჩხალასავით იდო მამისეული კეპი, რომელიც მისი სულის ხსენებისას ვიღაცას ჩამოეხსნა საკიდიდან და თავის ადგილზე აღარ დაებრუნებინა. კეპი საზარლად ცოცხალი, მაგიდაზე იდო და თითქოს მორჩილად ელოდა თავისი დაუდეგარი პატრონის დაბრუნებას, თითქოს აი, ახლა დაფაცურდება იგი, რომ თავშიშველაა და უსათუოდ დაბრუნდება, დასტაცებს ხელს ქუდს, ჩამოიფხატავს თვალებზე, და ის კი არა, იმ თავისი ფსკერამდე შესმულ-გამოცლილი ღიღილო თვალების ჩაკვრა-შემოფეთებასაც მოასწრებსო...

– ტრიქსტერი... – ჩაილაპარაკა ბიჭმა ძლივსგასაგონად. და პაუზის შემდეგ კვლავ

გაიმეორა მძიმე, უმისამართო სევდით: – ტრიქსტერი...

თავი მეხუთე

ჩაიდანმა ამოიოხრა, თითქოს რაღაც ძალიან თავისი გაახ სენდა, ორი-სამი წამით დაღონდა, მერე უცებ გამოცოცხლდა და დაბალ ხმაზე სულ უფრო მხურვალედ და დამაჯერებლად აბუტბუტდა, ათუხთუხდა... სულ უფრო ხშირად ურევდა ბუტბუტში შიშინა შეძახილებს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, მთელი ქუჩის გასაგონად არ აკივლდა... მაგრამ სწორედ ამ დროს ჩააჩუმეს კიდეც შფოთისთავი.

დილაადრიან უნდა გასულიყო გარეთ, სანამ ლიზას ეძინა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ პერიოდებში ქალს დიდხანს და ღრმად ეძინა, მაინც ვერ რისკავდა კორჩმარის ამოყვანას მზის შუქზე. ძნელი წარმოსადგენია, რას მოიმოქმედებდა ლიზა, დაკარგული საგვარეულო კერპი თავის სამზარეულოში რომ აღმოეჩინა.

კაცს არ ასვენებდა სურვილი, რაც შეიძლებოდა, სწრაფად გაეტანა შინიდან ზურგჩანთა დიდად მნიშვნელოვანი შიგთავსით სწორედ ისე, როგორც ყველაზე ახლობელ ადამიანებს ქვეცნობიერად ეჩქარებათ მათთვის ძვირფასი მიცვალებულის სახლიდან გატანა და მიწისთვის მიბარება. ეს გრძნობა ჯერ კიდევ იქ, სამარაში გაუჩნდა, როცა მიამიტი სილვას ხელში დაინახა ეს თოჯინა. გამაოგნებელია!

გამაოგნებელია, რომ, როგორც კი სილვამ კარი გაიხურა, მან მკვლელივით ან მკვლელობის თანამონაწილესავით

ნაჩქარევად გამოაჩოჩა ზურგჩანთა ოთახის შუაგულში, ხალიჩაზე გადმოყარა მაისურები და სვიტერები, სწრაფად, ისე, რომ არც შეუთვალიერებია, ჩანთაში ჩატენა კორჩმარი და თავზე დააყარა რაღაცები, – როგორც მიცვალებულს აყრიან მიწას. ცახცახმაც კი აიტანა, თითქოს ანაზდად ავად გახდაო, დილით კი მოეჩვენა, რომ თოჯინიანი სილვა მღვრიე და სასეირო სიზმარში იხილა, რის გამოც ლიზასგან ფარულად სააბაზანოში შეიტანა ზურგჩანთა და ხელის ფათურით მოსინჯა მასში ჩამარხული კორჩმარი. ჰო... მაგრამ ახლა, რაც უნდა გაწელოს საქმე, ექსჰუმაციის ჟამი დადგა. სწამდა, რომ კორჩმარი უბრალო თოჯინა არ იყო.

“იცი, გროტესკი რა არის, შვილო? ეს ისაა, როცა ყველაფერი მეტისმეტად თავშესაქცევია, როცა ყველაფერი იმდენად სასაცილო და უაზროა, რომ უკვე დაცინვაში გადადის”. თოჯინის დამცინავად ვეება ღიპი პერანგსა და ძვლის ღილებით გაწყობილ ჟილეტში გამოხეთქვას ლამობდა. სკალპელი, ჩქარა!

მაგიდის წიბოდან პატარა, სარჭიანი სანათური მოხსნა (ასეთი სანათურები რბილი და მყუდრო შუქის გამო უყვარდა), ოთახის შორეულ კუთხეში გადაიტანა, როგორც მონაზონმა ეული სანთელი სენაკში, და სამზარეულოში, ქურის თავზე, თაროს მიამაგრა; კედლებზე მოსრიალე შუქის რბილ რკალში ჩნდებოდა და ქრებოდა ძაფებზე მორჩილად მოქანავე მისი თოჯინების

სახეები და ფიგურები... ყველაფერი კარგად იქნება, პატარებო... ყველაფერი უკვე კარგადაა.

მყუდრო სინათლის წრემ მისი ხელიდან შუშის ქილებზე გადაინაცვლა, რომლებშიც შაქარი, ყავის მარცვლები, დარიჩინი და ილი ეყარა, და მის ზურგსუკან, მარიონეტების მდუმარე საძმო ბნელმა მოიცვა.

თოჯინაზე მისი მუშაობა... თავის თოჯინაზე, ცხადია, და არა პროხაზკების გალერეაში გამოსაფენ წარმოსადეგ, კომერციულ ქმნილებებზე (რომლებიც, სხვათა შორის, ცოდვას ვერ ვიტყვი, კარგად იყიდებოდა და ზამთრის გამოფიტულ თვეებს კვებავდა), ყოველთვის სიყვარულს ჰგავდა, შემპარავ ვნებას, რომელიც ნელ-ნელა ლესავს, აწვრილებს გულს და ბოლოს, სიმფონიის ფინალისკენ სიმებიან საკრავთა გუგუნად იქცევა...

ჯერ დიდხანს, დიდხანს დაატარებ მას შენში, არ იწყებ ესკიზების ხაზვას. თოჯინის, როგორც პიროვნების ჩასახვა ბავშვის ჩასახვას ჰგავს ჯერ ყველაფერი ბუნდოვანია, ჯერ არ იცნობთ ერთმანეთს; მოულოდნელად შენთვის ცნობილი ხდება შენი თოჯინის სქესი, და უცებ მისი ხასიათისა და გარეგნობის ცალკეული თვისებები და ნაკვთები ისახება: მოუსვენრობა, მაგალითად, ნებისმიერ საუბარში ჩაჭრის სურვილი, თვინიერი, ფართომტევნებიანი ხელები, ან დაუცველი, გამხდარი ფეხები და

ვეება ტერფები...

ზოგჯერ ყველაფერი სახელით იწყებოდა. მაგალითად, ფაიუმოჩკა ძილში გამოჩნდა, უბრალოდ, დაუკითხავად შეძვრა სიზმარში იმ თავისი გრძელი ოყნის ბუნიკით ცხვირის ადგილზე, დააპაჭუნა ახლო-ახლო განლაგებული თვალები, ყურებამდე გაიღიმა და ჰკითხა: “ფაიუმოჩკას შემოაყნოსინებენ აქ?” და პეტიამაც მასავით ყურებამდე გაღიმებულმა გამოიღვიძა, და სახელოსნოში გაქანდა, რათა საჩქაროდ ჩაეხატა ეს არამზადა.

სკელეტიკი პირიქით, ელავდა: ხან გამოჩნდებოდა, ხან გაქრებოდა. მშიშარა, მაგრამ ძალიან პრანჭია იყო, ყალბიც კი. თავიდან მისი ამოყრილი მენჯის ძვლები უტრიალებდა თვალწინ, ჰულა-ჰუპს რომ ატრიალებდნენ. თავდაპირველად პეტიამ სახის გამომეტყველება ვერ მოუფიქრა. სახე, გასაგებია, არც უნდა ჰქონოდა, რადგან სახის ნაცვლად საქმე შიშველ თავის ქალასთან გვქონდა. და უცებ, ერთ წამში (ეს, ღმერთო, მაპატიე და მათთვის ერთ-ერთ ყველაზე გაწამებულ ღამეს, ლიზასთან ჩხუბის, შერიგების და კვლავ საშინელი ჩხუბის მერე მოხდა, როცა, უკვე დილისკენ, ლიზა დაშავებული ბავშვივით სლუკუნ-სლუკუნით ააცოცდა და ძალაგამოცლილი გადააწვა ტანზე, სახეზე თმა გადააბლანდა, და ასე, ჩახუტებულები იწვნენ, და ამაზე უკეთესი ჯერ არაფერი ჰქონიათ ცხოვრებაში...), – და სწორედ იმ წუთს მოაფიქრდა, რომ სკელეტიკის თავი ასახდელი უნდა

ყოფილიყო(ეს თოჯინა თურმე მოიქურდბაცაცებდა კიდეც) და ამ ქალა-ზარდახშაში ამ გაიძვერას მთელი თავისი არასწორი გზით მოპოვებული ნადავლი უნდა დაემალა. და ამ დროს სკელეტიკს ნეტარად უნდა ჩამოვარდნოდა ხოლმე ქვედა ყბა, – ასე გადაწყდა. მაყურებელი სიცილით იგუდებოდა, როცა სკელეტიკი უსირცხვილოდ აქანავებდა თეძოებს და თეთრ, შუაში ლურჯწერტილებიან თვალებს ატრიალებდა, ჯიბიდან ვიღაც ბატონის ცხვირსახოცს ან საფულეს ამოიძვრენდა და სრული კაიფის გამომეტყველებით საკუთარ თავის ქალაში აბინავებდა. და, იმავდროულად, აწეული ყბა, მოკუმული პირი და ნაღვლიანად ჩაღუნული თავი წამიერად გარდაქმნიდა თოჯინას დარცხვენილ ყმაწვილად. უკანალის ქანაობით (რა თქმა უნდა, არ გვავიწყდება მეშვიდე მალა, მაგრამ უკანალი მოძრავია, კაზიმირ მატვეევიჩ, ამ საკითხში ცდებოდით; უკანალი ძალიანაც გამოხატავს სულის მოძრაობებს!), დარცხვენილი სკელეტიკი მიადგებოდა ბატონს, თავს მორჩილად ხრიდა, ისე, რომ ამ დროს ქალა-ზარდახშა იხსნებოდა, და უხმოდ სთავაზობდა ნაპარავის გადათვალიერებას. და მაშინ, დამტკბარი მაყურებელი პირდაპირ ყულაბაში უყრიდა ხურდებს სკელეტიკს გვარიანი შემოსავალი მოჰქონდა მისი შემოქმედისთვის.

პეტია უხმაუროდ მოძრაობდა სახელოსნოში. ჯეზვეში ყავა ჩაყარა, ჩაიდნიდან წყალი

დაასხა და ცეცხლზე შემოდგა.

ჰო... და ბინდიუჟნიკი აგე, ნახევრადშებრუნებული კიდია (ჩემი ძვირფასი, ყველაზე გულითადი, – მართალი ხარ, დიდი ხანია, არ გამინიავებიხარ), – ის ძველ ჩეხურ ლუდხანაში გაჩნდა, მეორე კათხა ლუდის შემდეგ. კარში შემოვიდა: მკერდგანიერი და მკერდღონიერი, მაგრამ მოკლეფეხება. ბარის დახლთან მიიპარა, მარჯვედ აძვრა მაღალ ტაბურეტზე და თავისი შესანიშნავი ბანით ამოთქვა: “თვითონაც-იცი-რომ-დიდი-პეპიჩკა”...

ვერც კი მოასწრო ბარმენმა, ლიტრიანი შავი პლზენური დაედგა მისთვის კათხით, რომ პეტიამ აღმოაჩინა ეს თოჯინა იყო; სინამდვილეში, ახალი თოჯინა მოვიდა მასთან; მკერდზე რბილი, ხელზე წამოსაცმელი თავი ედგა: საკუთარი თავისადმი განუზომელი პატივისცემით განმსჭვალული, განუზომლად ამბიციური და წიწილასავით მიმნდობი იყო... პეტიამ მყისვე ამოიღო ჯიბიდან ბლოკნოტი და იქვე, ლუდხანის მაგიდაზევე, დაიწყო მისი მოხაზვა.

პიპა ავსტრალიისკაია სულ სხვა ვინმე იყო. იმან თავიდანვე იცოდა, რა უნდოდა და დაჟინებით მოითხოვდა ბაყაყის თავს. ეს დრამატული გადაწყვეტილება იყო, პეტიამ დიდხანს იწვალა, გრაციოზული ტანისთვის სათანადო თავის ძიებაში უამრავი ესკიზი დაამზადა. საკუთარი ინტუიციის საწინააღმდეგოდ, ქალის თავიც კი ააწყო დეტალებისგან... არა, მაშინ ჯერ კიდევ უსახელო პიპა ბაყაყის თავს მოითხოვდა,

იხვეწებოდა. და ისიც დანებდა. და როცა ამ აღმაფრთოვანებელ ტანს გომბეშოს საზარელი თავი დაედგა, მყისვე იშვა რაღაც ახალი პითია, რომელიც ღმერთო ჩემო! – როგორ ცეკვავდა! როგორ შამანობდა და რაებს გაიძახოდა იმ საძაგელი, ყიყინა ხმით!

პიპა არნახულად წარმატებული იყო კორპორაციულ საღამოებზე. იგი შეკითხვებზე პასუხებს იძლეოდა, მომავალს წინასწარმეტყველებდა ძირითადად, სამსახურებრივი რომანების განხრით. გააღებდა ხოლმე ვეება პირს, ჩაფიქრდებოდა და წყნარად ახითხითდებოდა, თვითონვე თანდათან აჰყვებოდა რაღაც საკუთარ მოსაზრებას, და ირგვლივ ამ სკაბრეზული, საეჭვო ხითხითის მარცვლებს თესავდა... მერე უცებ მოხუჭავდა გრძელწამწამებიან, გომბეშოს დაბერილ თვალებს და რაღაც ისეთს იტყოდა, რომ შეცბუნებულ მშრომელ კოლექტივში მყისვე სიჩუმე ჩამოდგებოდა. ეს იყო მეხის გავარდნა მოწმენდილ სამსახურებრივ ცაზე.

მთელი ღამე გადაუღებლად ბარდნიდა და ახლა, ღრმა, ჩაშავებული ფანჯრის მიღმა, ეზოში თეთრი, ფუმფულაკუზებიანი დრაკონი გაწოლილიყო, რომელსაც ოთახიდან გამავალი მყუდრო სინათლის ოქროსფერიც დაჰკრავდა ოდნავ. იქ, მინის მიღმა, თოვლის ქინქლების ბრჭყვიალში, თოჯინური ლანდების ფერხულში, პეტია თავადაც ლანდივით მიმოდიოდა ყავით ხელში.

არა, ეს სასაცილოც კია: ზურგითაც კი გრძნობს იმ ღიპიანი ტიპის არსებობას ზურგჩანთაში იქ, ოთახის ბნელ კუთხეში!

დღეს გადაწყვეტილი მაქვს აგალაპარაკო, მეგობარო.

ახლა ცდილობდა არ ეფიქრა არც დეიდაზე და არც იმაზე, რაზეც მთვრალი სილვა ყბედობდა. ბოლოს და ბოლოს, რამდენადაც შეუძლია, ყველა ებრძვის თავის აჩრდილებს ან მათ მომხრობას ახერხებს. იძინე მშვიდად, ვისია, ვისია... არავინ დაიწყებს შენი დიდი ხნის წინათ დაღუპული ქალიშვილის გენეალოგიის ჩხრეკას, და არც იმის ამოცნობას, თუ რატომ მოიპარე კორჩმარი და რატომ გაქანდი ვაგზალზე პირველივე მატარებელზე შესახტომად იმ დროს, როცა კუბოს, რომელშიც შენი უბედური დის ცხედარი ესვენა ლიჩაკოვსკოეს სასაფლაოზე, ძველი საოჯახო სამარხის ნიშაში უშვებდნენ. იძინე მშვიდად, ვისია, ღირსეულო ასულო ბიბლიური რახილისა, რომელმაც მამის, ლავანის სახლიდან კერპები მოიპარა (და რომელიც საგვარეულო ძვალთშესალაგისგან ასევე შორს განისვენებს)...

ბავშვობაში, ყოველ ჩამოსვლაზე, ის და ბასია აუცილებლად მიდიოდნენ ხოლმე ლიჩაკოვსკოეზე, – ბაბუას მოსანახულებლად. ლიჩაკოვსკოეს, თავისი მარმარილოს აკლდამებით, პატარა ციხე-კოშკებს რომ ჰგავდნენ, თავისი მგლოვიარე ქალწულებით, ხვეული სვეტებით, ქნარებით, გადაფურცლული წიგნებითა და საფლავის

ფილებზე თითქოსდა შემთხვევით დაფრენილი პაწია ანგელოზებით, – პეტია გულში, საიდუმლოდ, ამქვეყნად ყველაზე თოჯინურ სასაფლაოდ თვლიდა. დარწმუნებული იყო, რომ ამ პატარა სახლების ბინადრები ღამღამობით გარეთ გამოდიოდნენ და ჩაბნელებულ, მიხვეულ-მოხვეულ ხეივნებში, თვალშეუწვდენელი წაბლებისა და ცაცხვების ქვეშ რაღაც მძაფრსიუჟეტიან სპექტაკლებში თამაშობდნენ. ერთხელ ბასიას შესთავაზა, ბაბუას სანახავად აქ ღამით მოვიდეთო, – ხომ საინტერესოაო! მაგრამ ბასიამ ისე გადახედა, ისე გაიწია მისგან განზე და ისე შეშინებულმა გადაიწერა პირჯვარი, რომ პიოტრეკმა გადაწყვიტა, ამის მერე მოხუცი აღარ შეეწუხებინა...

დღეს საერთოდ არ დაწოლილა. უფრო სწორად, გუშინდელს აქეთ, არც გაუხდია, ტანსაცმლიანად მიწვა ლიზას გვერდით ნახევარ საათს, – ასე აძინებენ ნარბენ-დაქანცულ ბავშვებს, – ცოტა ხანს ელოდა, როდის ჩაწყნარდებოდა მგზა ვრობითა და აბებით მოთენთილი, შინ დაბრუნებით გაწამებული ქალი, და როდის იქნებოდა შესაძლებელი მის მიერ მოწყობილი გრანდიოზული დარბევის შედეგად წარმოქმნილი არეულობის დალაგება. მერე მთელი ღამე აგროვებდა იატაკზე მიმოყრილ პაწია დეტალებს და ყუთებში აბინავებდა. მთვარეულივით მოძრაობდა, ნივთებს თაროებზე ალაგებდა, დროდადრო ჩაიცინებდა და საკუთარ თავს უმეორებდა,

რომ: კარგიც კია, როდის მოიცლიდა და ასე ზედმიწევნით როდის დაალაგებდა ყველაფერს!

ბოლოს და ბოლოს, კედლის საათმა “ძვირფასი ავგუსტინეც” დაამღერა.

მისი სიამაყე: ბრიუსელის ძველმანების ბაზარზე, დახეულ მუყაოს ყუთში, სხვადასხვა ჯურის ხარახურაში აღმოჩენილი ეს ძველებური, გერმანული კედლის საათი, რომლის მწყობრში ჩაყენებაც ტონდამ დიდი წვალების შემდეგ მოახერხა. საათი არათუ ამუშავდა, არამედ მისი წიაღიდან რეგულარულად გამოდიოდა გაციებული მწყემსი გოგონა და ჩახლეჩილი ხმით მღეროდა.

ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომერი აკრიფა:

– ტონდა, – ჩაიჩურჩულა, – გამოვდივარ და ორმოც წუთში მანდ ვიქნები.

– ო-ო-ო, – ხრინწიანი ხმით დაიკვნესა ვიღაცამ ყურმილში, – გიჟი ხარ, ნამდვილი უძინარი გიჟი...

ჰო, ტონდა ის ხომ გვიან იძინებს, ზოგჯერ დილამდე მუშაობს. ღორობაა, რა თქმა უნდა, მაგრამ...

– რაღაც საინტერესოს გაჩვენებ, – უთხრა შემრიგებ ლურად.

– ოკუპანტო ვირიშვილო, – იყო პასუხი და ყურმილი დაკიდეს.

სანამ წავიდოდა, მათს პაწია საწინებელში შეიხედა, ხუთიოდე წუთი გაუნძრევლად იდგა კარში და მძინარე ცოლს ათვალიერებდა: ლიზა იმავე პოზაში იყო, როგორც დაიძინა გულაღმა იწვა, ორივე ხელი თავსზემოთ გადაეგდო, და პატარა ბავშვივით შეეკრა მუშტები. პირი მაგრად, ტრაგიკულად მოეკუმა... – ზეცას დამუქრებული...

...ვალდშტეინსკაიაზე დიდი, ექვსკუთხა ფარნები ენთო, და მათ თეატრალურ შუქზე თოვლიანი ღამე ბნელ-მზიანი მოჩანდა. აი, თითქოსდა რაღაცის ძებნაში რელსების ყნოსვა-ყნოსვით, ქუჩის კუთხიდან ლოქოსსახიანი, ახალი ტრამვაი გამოძვრა, – ყინულქვეშა ქალაქის ღრმა წყალთა ბინადარი... უჩვეულო, ფიფქების ბურუსისგან შეშლილი და დაყრუებული პრაღა თითქოს ჩამჯდარიყო მფრინავ თოვლქვეშ, თითქოს მოხრილიყო ამ ჰაეროვანი ნაკადების მეამბოხე კორიანტელისგან.

ისე, ამბობენ, რომ ეს ზამთარი მთელ ევროპაში დაახვავებს თოვლს.

მარჯვნივ გაუხვია, ტაძრისკენ, და ვოჟანოვსკის ბაღების თეთრი, ლამპიონებით შემკული კედლის გასწვრივ გაუყვა გზას, ჩაუარა კაფე “გლამურს” და სასტუმროს “უ პავი”, სუვენირებისა და მინის ნაწარმის დაკეტილ ჯიხურებს, ბოჰემიური სამზარეულოს ძველ რესტორანს, რომლის სანადიმო სურათებით მოხატული კარი დღისით სტუმართმოყვრულად იყო გაღებული. ბოლოს მომცრო მოედანზე გავიდა, სადაც თოვლში ჩამალული თუჯის

ძელსკამები იდგა...

(აქ, კუთხეში, აგურის ღრმა ნიშაში, მისი ორი მეგობარი ცხოვრობდა არხეინად, ორი დიდი და მდიდარი ნაგვის კონტეინერი, რომლებისკენაც მიმდებარე სახლების შეძლებული ბინადრები და ახლომახლო რესტორნებისა და ფარდულების მოსამსახურეები სასარგებლო თოჯინურ რაღაცებს ეზიდებოდნენ: ტანსაცმელს, დამტვრეულ საოჯახო ტექნიკას (საიდანაც ძალიანაც გამოსადეგი სამუშაო დეტალების მოპოვება შეიძლებოდა) და, რაც მთავარია პოროლონის ლეიბებს პურს ჩვენი არსობისა პოროლონის საუცხოო ლეიბებს, ნედლეულს სხეულებისა და საქმეებისათვის. და ეს ნაგავსაყრელები სწორედ ღამით უნდა დაგევლო, რადგან დილით და დღისით მათზე უკვე საქმიან, ურიკებიან ბოშებს მიჰქონდათ იერიში).

მოედანი დამრეცად ჩადიოდა ვიწრო ქუჩაზე, რომელიც გზაჯვარედინზე ორად იყოფოდა...

მანსარდებიანი, სხვადასხვა სიმაღლის დათოვლილი სახურავების ზემოთ, თითქოს მოსწყდა კიდეც მათო, მთელი თავისი წამახული, წვეტიანი ბანდერილიებითა და შუბებით წამოზიდული და სიმაღლეს დამიზნებული პრაღის კოშკების ჯადოსნურად განათებული რიგი ჩაბნელებული, ოდნავ მოყვითალო, ჩამომძიმებული ცისკენ მიფრინავდა.

ჩვეული, ლამის ყოველდღიური გზა

ტონდასთან, სახელოსნოში ხშირად მუშაობდა და თითქმის ყოველთვის ამ დროს გამოდიოდა გარეთ, – დღეს, ალბათ, თოვის გამო, უცხოდ და არცთუ უსაფრთხოდ გამოიყურებოდა. ამიტომ, როცა ქუჩის კუთხეში მისკენ მომავალი ორი ცხენოსანი პოლიციელი გამოჩნდა, განზე გახტა და გულამოვარდნილი აეკრა კედელს.

ორი ვეება, წვრილფეხება ცხენი შავი და თეთრი, გვერდიგვერდ, თავი-თავსმიდებულად, რბილად და მკაცრად მოაბიჯებდა თავის მხედრებიანად თოვლით დაფარულ მდუმარე ქუჩაზე. ფლოქვებთან ქარბუქი სცემდათ და გეგონებოდა, ცხენები ქვაფენილის თავზე მიფრინავენო...

თვალი გააყოლა და დიდხანს უცქირა ცხენებს. თანდათან წყნარდებოდა და გაღიმებული ტკბებოდა ამ ჭეშმარიტად თოჯინური სანახაობით, სანამ მხედრებმა ვოჟანოვსკის ბაღებისკენ არ გადაუხვიეს და ისევე უეცრად არ გაუჩინარდნენ, როგორც გამოჩნდნენ...

მალოსტრანსკის ქუჩისპირა კოშკების თაღქვეშ გაიარა, მოსტეცკაიათი წმინდა მიკულაშის ტაძრამდე მივიდა, მარცხნივ გადაუხვია და კარმელიტების საკმაოდ განიერ ქუჩაზე აღმოჩნდა, რომელზეც ტრამვაის ლიანდაგი გადიოდა. აქ, ძლევამოსილ ქალწულ-მარიამის ტაძარში, ჩვილი იესოს განმასახიერებელი, იშვიათი ოსტატობით შექმნილი თოჯინა ეგულებოდა, რომლის სანახავადაც ხანდახან შემოივლიდა ხოლმე.

ზოგადად, ძალიან უყვარდა პრაღის ტაძრებისა და კოშკების მოყვითალო, შეკვამლული და ქარდაკრული ქვა, შიფრის ციცაბოდ დამრეცი სახურავები, წვეროსან მეფეთა და საეკლესიო ჩინოსანთა სამოსლის ქვაში ნაკვეთი ნაოჭები, და ჭადრაკული, შავ-თეთრი ტროტუარებისკენ მაღლიდან გადმომზირალი მათი ჭედური სკიპტრებისა და ტიარების მოელვარე ოქრო...

და როგორ უყვარდა, როგორ ემშობლიურებოდა პრაღულ ნაგებობათა მთელი სკულპტურული მოსახლეობა! – ყოველივე ის, რაც გამვლელ-გამომვლელთა თავზემოთ ბინადრობდა: ეს ათასობით, ათასობით სახე წმინდანები და ეშმაკები, ფავნები, ქალთევზები და ტყის ალქაჯები; ლომები, არწივები და მწყრები; დრაკონები, ცხვრები და ცხენები, ნიანგები და გველები, თევზები, მედუზები და ზღვის ნიჟარები; და ხალხი, თავისი ყველა ფენით: მსუქანქისებიანი ვაჭრები, დაშნიანი მუშკეტერები, მეშჩანები და მედიდური ელიტა; მაღალ, გაფუებულ ვარცხნილობებში სავარცხელგაჩრილი ასულები, დოინჯშემოყრილი მოახლეები, გალანტური კავალრები...

ანაზდად გაჩერდებოდა ხოლმე რომელიმე, მისთვის დიდი ხნის ნაცნობი აივნის წინ, რომლის სამი საყრდენიდან იდუმალად უღიმოდა სამი განსხვავებული სახე: შუაში მამაკაცი და აქეთ-იქით კი ორი ქალბატონი. გეგონებოდა, რეალური ადამიანები

გამოუძერწავთო და თითოეულ მათგანს შემორჩენოდა თავისი ღიმილი, თავისი დამახასიათებელი პაწია ფოსოები ლოყებზე, წინ წამოწვდილი ნიკაპი ან გაბუტულად მოკუმული ტუჩები...

მთელი ეს ურიცხვი ლაშქარი, ქვის გრიგალად რომ შემოძერწვოდა კარ-ფანჯრებს, აივნებსა და წინკარებს, ერკერებსა და სვეტებს, მთელი ეს ცხოველები და უწმინდურ-ეშმაკეულები, ნაკეცებსა და ნიშებში, კარნიზებს, შვერილებსა და სახურავებქვეშ რომ შეყუჟულიყვნენ და გამვლელ-გამომვლელთათვის შეუმჩნევლად, დამცინავად რომ ყოფდნენ გრძელ ენებს, ხშირად საათობით ართობდნენ მას. ნაძერწი მედალიონები, ჩამოშლილი კულულები, კრამიტის შვერილებიდან ჩამოშვებული, გველებივით დაკლაკნილი ლენტები... – და ეს ყველაფერი ძლივს გასარჩევი, რომელიღაც მეშვიდე სართულის რომელიღაც მანსარდის ფანჯრის ილუმინატორისთვისაა გაკეთებული... – ო, პრაღა, რა გულუხვი და გადაჭარბებული, რა დაუდეგარი, რა კარნავალური მხიარულება გჩვევია...

ჩაუარა შავ-მონაცრისფრო სახლს, რომლის აივანსაც ორი ცხვირწაწვეტებული და დაკუნთული კაცი მოკუნტული მხრებით ერთთავად სადღაც მიეზიდებოდა, და გზაჯვარედინზე გავიდა, სადაც, კუთხის სახლის ფრონტონზე, მარცხნიდან მესამე ფანჯრის ქვეშ, თავისთვის, წყნარად

ცხოვრობდა და არასდროს კვდებ... ერთი სიტყვით, ეს იყო მოცინარპირიანი და მოცინართვალებიანი ბავშვის სახე, – სახე მარადიული სიცილისათვის შობილი ბავშვისა.

ყოველთვის ესალმებოდა მას, მაშინაც კი, როცა ვინმე ახლდა. თავაუწევლად ჩაიბურტყუნებდა ხოლმე: “გამარჯობა, შვილო!”, არაფერს პასუხობდა თანამგზავრის შეკითხვას, თუკი ის ჩათვლიდა, რომ მას მიმართეს.

* * *

პრობაზკას საოჯახო სახელოსნოს კარმელიტებზე, ძველი სახლის მეოთხე სართულზე, სამოთახიანი ბინა ეკავა ასეთ სახლებს აქ “ჩინჟაკს”, “ჩინჟოვნი დუმს” – ანუ შემოსავლიანს უწოდებენ... სახელოსნოში მუდმივად მხოლოდ ტონდა ცხოვრობდა, “როგორც ახალგაზრდა უცოლო კაცს შეშვენის”, – მეგობრული ტონით დააზუსტებდა ხოლმე დედამისი, მაგდა. ეს კი სიცრუე იყო: ულამაზოდ აწოწილ, მუდამ ოდნავ მოკლე, წითელი აჭიმებით აქაჩულ შარვალში გამოწყობილ, ადრიანად გამელოტებულ, თითქმის არარსებულ ნიკაპზე პატარა, წითურ, მოუვლელწვერიან ტონდას სძულდა ქალები, მათ შორის, საკუთარი დებიც კი, მათ საზოგადოებაში იბნეოდა, და საკმაოდ პირქუშად აგრძნობინებდა ხოლმე, რომ სრულიადაც არ დასწყდებოდა გული, მარტოს თუ

დატოვებდნენ.

კარი წელზემოთ შიშველმა გააღო. წითელი აჭიმები ჩამოეშვა, სახე კი მაქცია-ვამპირს მიუგავდა: პირიდან კბილების სახეხი ჯაგრისი გამოსჩროდა. რაღაც ჩაიღმუვლა და სააბაზანოში შევიდა, სამაგიეროდ, რომელიღაც ოთახიდან, ხის ფეხის კაკუნითა და გამაყრუებელი წკავწკავით გამოვარდა ბედნიერებისგან შეშლილი ინვალიდი, ეზოთაშორის შერკინებათა ჭეშმარიტი გმირი.

პეტიამ სასწრაფოდ მოიხსნა ზურგჩანთა, იატაკზე დააგდო, ჩაცუცქდა, რომ ძაღლი უფრო იოლად მისწვდენოდა მის სახეს და მიეფერა: – ყარაგი-ოოზ! ჩეე-მო ბი-ი-ჭო, ჩემო კა-არგო ბიჭო... აი, ვის ეხერხებოდა ლოყების აქაფება თავისი მარჯვე ენით, ისე, რომ გაპარსვაც კი შეიძლებოდა! ეს შავ-თეთრი, წვეტიანყურებიანი, გრძელბეწვა ცუგა მოუთოკავი სიყვარულის ისეთ მუხტს დაატარებდა, რომ სულ ახლახან ძლივს მიეჩვია ტონდასთან წყნარად დარჩენას და ასევე ძლივს გადაეჩვია მოთქმით ტირილს დაბრუნებული პატრონების დანახვაზე.

პეტიამ იგი პრაღაში ცხოვრების ლამის პირველსავე კვირას ტრამვაის რელსებზე იპოვა ერთიანად დასისხლიანებული, უგრძნობელი... წამოიყვანა და მთელი ფული, რაც კი ხელზე ჰქონდა, ვეტერინარს მისცა ოპერაციისა და მკურნალობისთვის. თუმცა ის თანხა საკმარისი არც აღმოჩნდა, რადგან ძაღლს სისხლი მოსწამვლოდა და კლინიკაში ერთთვიანი მკურნალობა დასჭირდა. და თუმცა ყარაგიოზი ძალიან მალე მიეჩვია

სამი ფეხით მოძრაობას, პეტიამ მაინც გამოუთალა მას პროთეზი, რომელიც გულ-მკერდზე მეფე ნიკოლოზის არმიელ-ვეტერანის თასმებივით გარდიგარდმო გადაჭიმული ღვედებით მაგრდებოდა.

როცა ძაღლი ხელში აჰყავდათ, ხის ფეხი მუშკეტივით მოუჩანდა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ყარაგიოზი მიზანში იღებდა ვიღაცას, განსაკუთრებით მაშინ, თუ თავი გვერდულად ჰქონდა გადახრილი.

– იმიტომ, რომ თავხედთა შორის უთავხედესი ხარ, – გამოსძახა ტონდამ სააბაზანოდან, წყლის ჩხრიალში, – მოსჯილი გაქვს ჩემთვის ყავის მოდუღება.

– მართალია ეს კაცი, – თქვა პეტიამ და ნელა წამოდგა, – წამოდი, ყარაგიოზ, გული მოვულბოთ ტირანს.

მთელი ეს ძველი, მოუვლელი, ძალიან თოჯინური ბინა სამი დიდი ოთახი თავისი ორი მომრგვალებული ერკერით, დერეფნები და სამზარეულოს ნაწილიც კი, – თოჯინებისთვის დაეთმოთ. თოჯინების ურიცხვი, მხიარული და საზარელი ურდოები ეკიდა კედლებსა და კაუჭებზე, ელაგა ლითონისა თუ ხის სტელაჟებზე. ზოგი თოჯინა უკვე მზა, სახემოხატული და გალაქული იყო, ზოგი კი შიშველ-ახლადგამოჩორკნილი. თოჯინები დახარისხებული და დანომრილი ელაგა ყუთებში, კალათებსა და უჯრებში;

შტაბელებად ეწყო უკვე შეფუთული და ნებისმიერ ქვეყანაში გასაგზავნად გამზადებული: უკვე მეხუთე წელი იყო, რაც თოჯინებით წარმატებულად ვაჭრობდა ინტერნეტ-მაღაზია. აქაც, იქაც გორებად ელაგა ყვავილებიან ქაღალდში შეფუთული გზავნილები. ზოგჯერ, შესაძლოა ტრამვაის ვიბრაციისაგან, რომელიმე ხვეულა ან პაწია ტომარა რბილად, უხმაუროდ გადმოეშვებოდა ხოლმე ყველაზე მაღალი თაროდან და მაშინ ან ტონდას, ან პეტიას გასაშლელი კიბით ზემოთ აჰქონდათ იგი, ლანძღვა-გინებით მისწევ-მოსწევდნენ თოჯინებს და ადგილზე შეჩურთავდნენ ხოლმე გაქცეულს. მთელი მაგიდა და კედელს გაყოლებული ყველა თარო წებოთი და საღებავებით სავსე პატარ-პატარა ქილებითა და კოლოფებით იყო გადავსებული; რამდენიმე ლარნაკში თხელ, წვეტიან თაიგულებად ამოჩრილიყო სხვადასხვა სისქის ფუნჯთა შეკვრები. შუა ოთახში, სადაც კედელთან სადურგლო ხელსაწყოებით სავსე პეტიას მაგიდა იდგა, და სადაც ის და ტონდა ზოგჯერ საათობით ხმისამოუღებლად მუშაობდნენ ხოლმე ერთად, მაღალ ჭერზე აკრული იყო მსოფლიოს უზარმაზარი რუკა, დოჟების სასახლეში დაცული მე-17 საუკუნის სახელგანთქმული ვენეციური რუკის ასლი.

ტონდა იყო უფროსი შთამომავალი პრობაზკას დიდი თოჯინური ოჯახისა, რომელიც პრაღაში ორ საუკეთესო მაღაზიას ფლობდა, ტონდა ამაყად რომ უწოდებდა “გალერეებს”. ყველა მამა, ზდენეკ

პროხაზკა, ტონდას ორივე უმცროსი და, მარუშკა და ტერეზა, მათი დედა მაგდა და ბებია ჰანაც კი მეთოჯინეები და მხატვრები იყვნენ.

ეს იყო იმპერია, რომელიც ოციოდე წლის წინ ერთი საცოდავი დახლიდან აღმოცენდა. ოთხმოცდაათიანების დასაწყისში ზდენეკმა და მაგდამ სამოცი პრაღელი მეთოჯინე-ოსტატის გაერთიანება მოახერხეს; მათთან თანამშრომლობა ყველას მოსწონდა, რადგან პროხაზკები წამგლეჯი ხალხი არ იყო, ოსტატებს დროულად, პატიოსნად უხდიდნენ ფულს და მარჯვედ, ჭკვიანურად ვაჭრობდნენ. ოსტატებისთვის უკეთ რომ გაემართათ ხელი, მდიდარი ტურისტებისთვის “ვორკშოპები” და მასტერკლასები დააარსეს, და ყველაზე რთულ წლებშიც კი ახერხებდნენ ამ ყველაფრის შენარჩუნებას.

პროხაზკები კარგად ლაპარაკობდნენ რუსულად, რადგან რუსი, უფრო სწორად, კიეველი ებრაელი ჰყავდათ ბებია, ჰანა, – გარკვეულწილად ლეგენდარული პიროვნება. მან, კიევის თოჯინების თეატრის ახალგაზრდა მსახიობმა, მოისაზრა და გასროლამდე ერთი წამით ადრე გადახტა ბაბი-იარის ხევში

. მერე, როცა თიხასა და სისხლში ამოთხვრილი, ოკუპირებული უკრაინული სოფლებით თვითონაც არ უწყოდა, საით გარბოდა, – ღმერთმა ჩვენმა, ყოვლისშემძლემ, სამყაროსა და სხვა

კოსმიური ხარახურის შემოქმედმა, უფალმა ჩვენმა, ასე იოლად რომ დაუშვა მილიონობით ადამიანის სიკვდილი, რატომღაც სწორედ ეს შიშისგან გონდაკარგული კრავი გადაარჩინა და მომავალშიც კიდევ მრავალჯერ იხსნა დაღუპვისაგან. რასაც ვერ ვიტყვით ჰანას რუს ქმარზე, რომელიც კიევის ოკუპაციის პირველივე დღეებში გესტაპოში დახვრიტეს ებრაელი ცოლის მალვის გამო.

ომის დამთავრების შემდეგ ჰანა თავის თეატრს დაუბრუნდა და განაგრძო იმავე ფიფქიების, მელაკუდებისა და კურდღლების ტარება-გახმოვანება. იგი არ ყოფილა სახელგანთქმული მეთოჯინე, მაგრამ, სამაგიეროდ, ჰქონდა ბროლის ზანზალაკივით წკრიალა ხმა, რომელიც ძალიან ფასობს თოჯინების თეატრში. ხოლო, როცა ერთ სირჩას გადაკრავდა და გონება ოდნავ დაებინდებოდა, იმ თავისი გახარებული კურდღლის ხმით საკუთარი ცხოვრების ყველაზე შემზარავ ამბებს ისე ჰყვებოდა ხოლმე, რომ მსმენელებს ძარღვებში სისხლი ეყინებოდათ.

პრაღაში ჰანა სამოციანი წლების ბოლოს ჩამოვიდა თავისი ერთადერთი ქალიშვილის, მაგდას კვალდაკვალ, რომელიც იმავე თეატრის მსახიობი იყო. სამოცდაორში, გასტროლებით ჩამოსულ მაგდას პრაღის ეროვნული თოჯინების თეატრის მხატვარი, მომხიბვლელი ზდენეკ პროხაზკა შეუყვარდა. მაგდა, რომელიც მიჩვეული იყო, თავისი სახელითაც გადაეწყვიტა ყველაფერი და

გოგონა-დედიკოს სახელითაც, საქმეს უაღრესად მიზანდასახულად მიუდგა: ორ კვირაში ოპერატიულად დაფეხმძიმდა, ჩაისახა უფროსი ვაჟი, ტონდა, და ერთბაშად ორი წინაღობა გადალახა: თავქარიანი ზდენეკის ყოყმანი და დასის თანმდევი, სამოქალაქო სამოსში გამოწყობილი ადამიანის მახვილი ცნობისმოყვარეობა. სხვათა შორის, ჰანას, ამ გაბედულ კეთილ დედაკაცს ეკუთვნოდა ყველა ის ნაყოფიერი სავაჭრო იდეა, რომელიც პროხაზკას ფირმის აყვავებაზე მუშაობდა და, იმავდროულად, გარშემო ასზე მეტ ადამიანს არჩენდა.

ჰანა ახლაც, ოთხმოცი წლის ასაკში, არათუ წარმატებულად ვაჭრობდა პატარა მაღაზიაში კამპაზე და თავისი წკრიალა, სრულიად გაუბზარავი, ბროლის ზანზალაკისებრი ხმით სავაჭროდ უხმობდა ტურისტებს, არამედ რაღაც-რაღაცებს კერავდა კიდეც და წვრილმან სათოჯინო სამუშაოებსაც ასრულებდა მაგალითად, მზა ღრმულებში ხის ცხვირებს უსვამდა უამრავ კაშპარეკს, გურვინეკსა და სპეიბლს...

– არამზადა, – შემრიგებლურად ჩაიბურდღუნა ტონდამ, თან პერანგის ღილების შეკვრას და სახელოების აკეცვას მოჰყვა, – ნაძირალა. მაგრამ ყავას გენიალურად ხარშავ. ოთხზე დავიძინე!

– აბა, მე საერთოდ არ დამიძინია, – გაეპასუხა პეტია, – სწრაფად დალიე, მჭირდები.

და ვერ მოითმინა მხიარულად მოკაკუნე ყარაგიოზის თანხლებით წინკარში გავიდა, ზურგჩანთა შემოიტანა და იქიდან მაისურებისა და ტრუსების იატაკზე გადმოყრას მოჰყვა.

– ეს რას ნიშნავს? – იკითხა აუღელვებელმა ტონდამ, – ცოლისგან წამოსვლას?

პეტიამ უხმოდ ჩაყო ორივე ხელი ზურგჩანთაში და ფრთხილად ამოაძვრინა თოჯინა. აი, გამოჩნდა შავი არახჩინი, ნამდვილი თმისგან დამზადებული, დაშლილი წითური კულულები და გაქუცული სახე. პირველად ხედავდა თოჯინას დღის შუქზე, თუკი ასე ეთქმოდა სამზარეულოს მაღალ ფანჯარას თოვლის კორიანტელად მოწოლილ ზამთრის ყინულოვან ნათელს. ტონდამ ყავიანი ფინჯანი განზე გასწია და პირსახოცით ხელების მშრალება დაიწყო.

– ზედა შუქი ჩართე, – ჩაიბურდღუნა ისე, რომ სახეზე არანაირი გამომეტყველება არ დამჩნევია, რაც მის უმაღლეს დონეზე დაინტერესებას ნიშნავდა.

პეტიამ ჩამრთველი გაატკაცუნა, არ დააკმაყოფილა ლუმინესცენციურმა განათებამ და ოთახიდან დიდი სამუშაო ლამპის მოსატანად გაქანდა. მერე ყველანაირი ნივთისგან გაათავისუფლეს მაგიდა და ორივე თოჯინას დააცქერდა...

ლამპის ძლიერ შუქზე კორჩმარის ლუდისმოყვარე ღიპი ხელოვნურად გაბერილი მოჩანდა, თვითონ კი საკმაოდ შელახული აღმოჩნდა: ცხვირსა და ლოყებზე

საღებავი გადასცლოდა, არახჩინი გაქონილ-დაბურულიყო, მარჯვენა კულული ბეწვზე ეკიდა, ცალი წარბი კი სულაც ასძრობოდა. დამცინავ ტუჩებს შორის შავი ხვრელი მოუჩანდა, თითქოს ვიღაც ოინბაზმა ლურსმანი ჩაასო და მერე უკან ამოაძროო. ოდესმე ალბათ შავი სერთუკიც არსებობდა, მაგრამ მისი კვალიც გამქრალიყო. ჟილეტზე, კაბა-პერანგსა და მუხლებს ოდნავ ჩაცილებულ, მოკლე შარვალზე ობი მოკიდებულა... საბრალობელი სანახაობაა. ასე და ამრიგად, ძვირფას საოჯახო კერპს ვისია სარდაფში, სავსებით მიტოვებულს მალავდა. რა გამოდის, – მან, კორჩმარმა, იმედი გაუცრუა ვისიას, უმუხთლა?.. თუ პირიქით, ასე საგულდაგულოდ თოჯინის დამალვა იმისთვის იყო საჭირო, რომ ვერავის მიეგნო, ვერავინ ვერაფერს მიმხვდარიყო. ოღონდ რას?

ხის თავი და ხმელ-ხმელი ხელის მტევნები არაჩვეულებრივადაა შეკრული. მარჯვენა ხელში კორჩმარს გრძელი, სპილენძისმუნდშტუკიანი ჩიბუხი ჩაუბღუჯავს. ფეხზე ტყავისგან უზადოდ შეკერილი, ნალებაკრული, ოდნავ გამწვანებული ბრინჯაოსბალთებიანი ფეხსაცმელი აცვია. ჩვეულებრივ, ასეთ თოჯინებს ნახერხით მაგრად გამოტენილ ნაჭრის ტანს ამაგრებდნენ. მაგრამ ამ თოჯინას, ხელით თუ მოსინჯავდით, კორპუსიც ძალიან მაგარი და მძიმე ჰქონდა, და ზედ მჭიდროდ, საშვილიშვილოდ შემოეწებებინათ სამოსელი.

− ძველი თოჯინაა, − როგორც იქნა, მოწონებით ამოთქვა ტონდამ, − ძალიან ძველია. კარგი. სად იშოვე?

− გრძელი ამბავია, − ნაძალადევად უპასუხა პეტიამ, − მე... იცი... მისი გადახსნა მინდა. მუცელზე.

− ხუმრობ? − გაუკვირდა ოსტატს, − აქ ხომ ხის კორპუსია. რაო, გახერხვას ხომ არ უპირებ? წაახდენ თოჯინას. ცოტა შეკეთება უნდა და ეგაა. საღებავის გადაცლა, ხელახლა დაგრუნტვა, ხელახლა მოხატვა... შეიძლება ძალიან კარგ ფასადაც გაყიდო ანტიკვარების სალონში.

ტონდა თავის გაგრილებულ ყავას დაუბრუნდა, პეტიამ კი დიდ ოთახში გაიტანა კორჩმარი, თავის მაგიდაზე დადო, ერთი წუთით იქვე ჩამოჯდა, დააცქერდა, ისე, რომ არ შეხებია, გულზეც კი დაიკრიფა ხელები, თითქოს ცდილობდა დაერწმუნებინა თოჯინა, რომ მის მიმართ გამოყენებითი ინტერესი არ გააჩნდა.

სინამდვილეში, მოუთმენელი გულის ბაგაბუგის დაოკებას ცდილობდა... (“ეს თქვენი თოჯინაა?” − გეკითხებიან საზღვარზე გადასვლისას. − “და შიგნით რა აქვს?” − “არაფერი, პანე ოფიცეჟე, − პასუხობ, − არაფერი, ამხანაგო ოფიცერო, შეგიძლიათ თვითონ შეამოწმოთ”.)

კარგი. შევამოწმოთ. გავაღრმავოთ ნაცნობობა.

უპირველეს ყოვლისა, როგორც როიალის

კლავიშებს, ისე გადაურბინა თითებით ძვლისგან დამზადებულ, ჟილეტის დაბურცულ ღილებს. შემდეგ ყოველ მათგანს სათითაოდ, უფრო ღონივრად დააწვა თითით... ერთჯერ, ორ-ორჯერ... თავი დაბლა დასწია და გაფაციცებით მიუგდო ყური, თოჯინის დაბეჭდილი კორპუსის სიღრმიდან დაძრული სულ ოდნავი ჩქამი მაინც რომ გაეგო. ახლა ორი მოკლე, ორი გრძელი "ზარი" თითო ღილზე... ახლა ერთი მოკლე, ორი გრძელი... ორი-ერთი-ორი... წყეული მორზეს ანბანი ასე ხომ თვეობით შეიძლება იჯდეს!

აბა, რისი იმედი გქონდა, დაეკითხა საკუთარ თავს. გეგონა, ეს იდუმალი წუწურაქი პირველივე შემხვედრს გადაუხსნიდა სტომაქს: ინებეთ, პან, აი, ჩემი ყულაბაო?!..

უკვე საბოლოოდ დაწყნარდა. სამზარეულოშიც კი გავიდა და თავისთვისა და ტონდასთვის კიდევ მოადუღა თითო-თითო ფინჯანი ყავა. ჩამოსხდნენ და ისაუბრეს აქეთურზე, იქითურზე: რა საშინელი ზამთარია, ცოტა ტურისტია, ჯანდაბა ამ კრიზისს, გაყიდვები შემცირდა... თუმცა, რაღაც-რაღაც შეკვეთები კი არის გასვლით სპექტაკლებზე... ოკორჟში რომელიღაც წმინდანის დღესასწაულია, კლადნოში მეჯლისი, კრშივოკლატში, დედის დღეს თოჯინების ფესტივალი იმართება, როგორც ყოველთვის: ცირკის მსახიობები, მეთოჯინეები, ფოლკლორული ჯგუფები მოკლედ, კარგი ფული კეთდება... კიდევ, ღვინის ზეიმია მელნიკში, ზუსტად არ მახსოვს, როდის მაგდას აქვს ჩაწერილი...

ჰო, სანამ არ დამვიწყებია: დაგმარ კრატოხვილოვა გეძებდა, “შავი კაბინეტიდან”. შოტლანდიელი მეთოჯინეები ჩამოდიან, მთხოვა გადმომეცა, რომ დაუკავშირდე და დრო შეუთანხმო, – ელისსთან ერთად ნომერს ეხება მგონი.

– მე და ელისი ედინბურგში სამი წლის წინ ვიყავით, – უპასუხა პეტიამ.

– ჰო-ჰო... მგონი ეგ ნომერი უნახავთ, და ახლა თავიანთ პროგრამაში უნდათ, რომ ჩაგრთონ. ეტყობა, რაღაც სულ ახალ ზაფხულის ფესტივალზეა ლაპარაკი...

პეტია ფანჯარასთან იდგა, ყავიანი ფინჯანი ეკავა ხელში და ქვევით იყურებოდა თოვლით მოკორიანტებული ვიწრო ეზოს სიღრმეში, რძის კოქტეილით სავსე ჭიქას რომ წააგავდა. იქ სამი სხვადასხვა ფერის ქურთუკი გუნდაობდა, – ორი წითელი და ერთი ლურჯი.

– ტონდა... ოდესმე გქონია საქმე “ზარდახშებთან”?

– სამალავებთან, ანუ?

– ჰო... თოჯინებთან, რომლებიც საიდუმლოს მალავენ. მაგათი ამოცნობა უნდა შეგეძლოს და უნდა იცოდე, როგორ გაამხელინო საიდუმლო. ამაზე შეიძლება ასი წელი იწვალო. და მაინც ვერაფერი მოახერხო.

– სულ ერთია, – გამოეხმიანა აუღელვებელი ტონდა და ფინჯანი ნიჟარაში ჩადგა, – მაინც არ ღირს მაგ ბერიკაცის დამტვრევა.

– არადა, მინდა... – ფიქრიანად დაეთანხმა

პეტია, – მაგრამ ეს თვითონ მასზეცაა დამოკიდებული.

კაცმა რომ თქვას, საიდან მოიტანე, რომ ამ ფაშვში რაღაც იმალება? – დაეკითხა საკუთარ თავს. იქნებ, მასშიც, ისევე, როგორც კაზიმირ მატვეევიჩის რედიკულიან ქალში, სადაფის ღილი ან რამე სხვა სისულელე დევს? და, კაცმა რომ თქვას, რას ეძებ? და რატომ გგონია, რომ თოჯინას ოჯახისთვის რაღაც სხვა დანიშნულება ჰქონდა და უბრალო სათამაშო არ ყოფილა? მხოლოდ იმიტომ, რომ ვისიამ, ასე ნაუცბადევად და საფუძვლიანად გაქცევისას, მხოლოდ და მხოლოდ ეს თოჯინა გააყოლა ხელს? არც ფული წაუღია (ის ბაქანზე იდგა, მიუსაფარიო, – თქვა სილვამ), არც სამკაულები, არც რამე ნივთები... მხოლოდ ეს ერთადერთი, ძველი თოჯინა გაიყოლა. ნუთუ შესაძლებელია, რომ კორჩმარი, თავისთავად, რამეს ნიშნავდეს? უფრო სწორად, მისი მფლობელობა ნიშნავდეს რამეს? თუ ასეა, ამდენი წლის განმავლობაში რატომ ეგდო იგი სარდაფში, კარტოფილიანი ტომრის უკან მიტოვებული, უსარგებლო, დავიწყებული?

უკვე აღარ შეეძლო, ვისიაზე რომ არ ეფიქრა... აი, მაგალითად, ახლა ძალიან ეუცნაურებოდა მისი ზარი, ლიზას მამის დაკრძალვის შემდეგ, ზუსტად მეორე დღესვე რომ გაისმა. კიდევ უფრო უცნაურად ეჩვენებოდა ის, რომ ამ “დამთხვევას” მნიშვნელობა არ მიანიჭა (თავისი საოცარი ინტუიციის მიუხედავად!)... გამოდის, რომ რაღაც გზებით დეიდა ოჯახის ამბებს გებულობდა... როგორ? რა გზით?

ეშმაკმა წაიღოს ამ ვილკოვსკების ოჯახის მთელი ეს საიდუმლოებები!

მაგიდასთან დაბრუნდა და მთელი ორი საათი ეწვალა ძვლის ღილებს, თითებით ნაირგვარი მოძრაობით ეხებოდა მათ, ხან ცალკეულ ნოტებს იღებდა, ხან ერთიან აკორდებს, უსინათლო პიანისტივით თვალდახუჭული აყურადებდა საკუთარი თითების მოძრაობას... და ყოველ ჯერზე თოჯინის ავბედით დუმილს იმკიდა. კორჩმარი თითქოს დასცინოდა მას დაჭრილი, დამახინჯებული ტუჩების ბრეცვით და თითქოს ეუბნებოდა, რომ მინდოდეს, შენს სანუკვარ გასაღებს ერთი ამოსუნთქვით ამოვისვრიდი პირიდანო... ვინ სცადა მისი გახსნა? ნუთუ ვისიამ? ნუთუ სასოწარკვეთილმა იმით, რომ საიდუმლო გასაღებს ვერ მიაგნო, თოჯინის დამტვრევა სცადა?

ბოლოს დაქანცული გაიმართა წელში, ორივე ხელით მოისრისა კისრის დაძაბულ-გაშეშებული კუნთები. ხელში აიყვანა ჯიუტად იდუმალი კორჩმარი, მაგიდაზე დასვა და ზურგით კედელს მიაყუდა.

– აბა, რაო? – თავის მოუბრუნებლად ჰკითხა ტონდამ. იგი რაინდს აფერადებდა: ამობურცული, შეჯავშნული მკერდი, გრძელი, ხმელ-ხმელი კიდურები გამარჯობა, დონ კიხოტო, ჩვენი კატალოგის ვეტერანო! ტანი უკვე მზად იყო და თავის მიმაგრების მოლოდინში უსიცოცხლოდ,

შიშისმომგვრელადაც კი გადმოკიდულიყო კაუჭიდან. ოსტატის წინ რამდენიმე პატარა თავმოხდილი ქილა იდგა და ყოველ მათგანში ფუნჯი იდო.

– აბა, რა ქნა შენმა “სეზამ, გააღემ”? რა ჯაშუშური რომანების წერა აგიტყდა... მე მგონი, ჩვეულებრივი თოჯინაა.

– ეს ღიპი რაღაცას უნდა მალავდეს! – გაღიზიანებულად შეეწინააღმდეგა პეტია.

– არა. არაა აუცილებელი.

პეტია წამოდგა, და ყარაგიოზიც, აქამდე მოთმინებით რომ იჯდა მის სკამქვეშ, მყისვე წამოხტა კუდის გულითადი ქიცინით. მისი აზრით, გასეირნების დრო იყო.

– კარგი, – ჩაუბურდღუნა პატრონმა, – წინააღმდეგი არ ვარ. ყველასთვის მოფსმის დროა.

ტუალეტში შევიდა და ძაღლი, რომელმაც მოახლოებული გასეირნება იყნოსა, მის კართან ხტუნვას მოჰყვა, ხის ფეხს აკაკუნებდა და მხიარულად წკავწკავებდა ძველი უნიტაზის ბუზღუნა შხუილის ფონზე.

მერე ისინი დერეფანში ფათურობდნენ, იცვამდნენ, საყელურს აჟღარუნებდნენ, პეტია რაღაცას ბუტბუტებდა, აღტაცებისგან ცმუკავდა: “თოვლი! თოვლია გარეთ, ჩემო ცუგა! ალმასებივით ბრჭყვიალა თოვლს ნახავ!“... ბოლოს და ბოლოს, შემოსასვლელი კარი გაჯახუნდა და ლითონის ძველმა ჯაჭვმა უქმად კარგა ხანს იქანავა გაცვეთილ დერმატინზე.

ტონდამ სტვენა-სტვენით ჩააწო ფუნჯი საღებავში, ქილის თავთან მსუბუქად გაწურა და ერთი ციცქნა შავი საღებავი დაამატა რაინდის მარცხენა ულვაშს. გაჩერდა, დაახველა, მერე მაგიდას გადაემხო და პირთან ერთი ასიმეტრიული ნაოჭი მიახატა თოჯინას: აი ასე. ახლა კეთილშობილ რაინდს მოუხელთებელი სევდა შეეპარება. ტონდამ ფუნჯი განზე გადადო, თოჯინის ახლადშეღებილი თავი კვერცხების დასაწყობი მუყაოს ერთ-ერთ ღრმულში მოათავსა და მაგიდაზე მჯდარ კორჩმარს გადახედა. თოჯინას თითქოს საიმისოდ გაეღო ოდნავ პირი, რომ ან ეგინებინა ან დაეწყევლა ვინმე, მაგრამ წამით შეჩერდა და დაფიქრდა, სახელდობრ, რა სიტყვებით ამოეშვა ბრაზი. ტონდას გაეღიმა: სადაა ბებია ჰანა, რა კარგად უკარნახებდა საჭირო სიტყვებს: ნაბიჭვარო, ჩათლახო, სირო, ნეხვო, ნაძირალა მათხოვარო, – ასეთი ტკბილი სიტყვები ბებოს ბლომად მოეპოვებოდა შვილიშვილებისთვის... საინტერესოა: ეს კორჩმარი თითქოს იცინისო, არადა თვალები მკაცრად და დაჟინებულად გიცქერენ. ტონდას ცხოვრებაში უამრავი თოჯინა ენახა, მათ შორის, ძველებიც, მაგრამ ასეთი ცოცხალი ვინმე, გვარიანად მონგრეული სახის მიუხედავად, ჯერ არ შეხვედროდა. და ეს ცალი წარბის ნაკლებობაც მოხუცს რაღაცას ჰმატებს... რაღაცნაირ სიმხეცეს თუ მძვინვარებას...

ტონდა წამოდგა, კორჩმარს მიუახლოვდა,

დაიხარა და სახე მიუახლოვა. ცოტა ხანს უხმოდ ათვალიერებდნენ ერთმანეთს.

– ბატონო ურია, – წარმოთქვა ბოლოს თავაზიანად კიეველი ბებია ჰანას აღზრდილმა ტონდამ, – ასე რამ გაგაბრაზათ, ბატონო ურია?

მაგიდის უჯრა გამოსწია და კარგა ხანს ეძება შიგ რაღაც. ამ ბინის მრავალრიცხოვან უჯრებში, სულო და გულო, – რას აღარ იპოვიდა კაცი, და თანაც არა ერთადერთ ეგზემპლარში. თითქმის მაშინვე იპოვა, რასაც ეძებდა: ეს იყო მეწაღის წვრილი სადგისი, რომელიც ტილოთი გაწმენდის შემდეგ ფრთხილად შეყო კორჩმარის ტუჩებშუა მოყოლილ ხვრელში. სადგისმა თავისუფლად შეაღწია შიგ და თოჯინის კეფას მისწვდა, – თავი ფუტურო აღმოჩნდა, ორი ერთმანეთს მიწებებული, თანაბარი ნახევრისგან დამზადებული... ეს ბევრად უფრო თავსამტვრევი სამუშაოა, ვიდრე ხისგან ერთიანი თავის გამოთლა. და რა საჭირო იყო?

უკან დაბრუნებულ პეტიას ტონდამ გამოუცხადა, ფუჭად კარგავ დროს, რომელიც ჯობს თოჯინის რესტავრაციას მოახმარო და კარგი ფული იშოვო ანტიკვარულ სალონშიო, მით უმეტეს, რომ მამაჩემიც და მეც ერთ-ორ ისეთ კოლექციონერს ვიცნობთ, რომლებიც ამ ტიპის თოჯინას სიამოვნებით შეიძენენო.

– ნუ სულელობ, – შენიშნა ტონდამ, – საქმეს მიხედე. ნახე, ერთიანად მონგრეული და გაქუცულია, მარტო მუნდშტუკიღა უპრიალებს.

– მუნდშტუკი, ჰო... – დაბნეულად გაიმეორა პეტიამ. ჩაცუცქულიყო და ძველი პლედის ნაგლეჯით ენერგიულად ამ შრალებდა თოვლით დასველებულ, გამხიარულებულ ძაღლს...

– იცი, წავალ მე... რაღაც ვერ ვმუშაობ დღეს... ლიზამაც, ალბათ, უკვე გაიღვიძა...

– როგორაა? – წამით დაინტერესდა ტონდა. კარგად იცოდა, რომ ხშირად პეტია ამჯობინებდა ხოლმე, ვერ გაეგო ლიზასთან დაკავშირებით დასმული კითხვა. მაგრამ ამჯერად გაიგონა და უპასუხა კიდეც:

– ნორმალურად... უბრალოდ, არ მინდა, დიდი ხნით დავტოვო მარტო. ჰო, მართლა, რამე პატარა სამუშაოს თუ მისცემ, კარგი იქნება. ცოტა დაკავდეს.

– კარგი. აიღე ეგ ცხენები "შენით გააკეთედან"...

ნაკრები "შენით გააკეთე" – ყველაზე გაყიდვადი საქონელი იყო მაღაზიებშიც და ინტერნეტშიც. ეს იყო მაგდას გენიალური იდეა, რომელიც ბრწყინვალედ განახორციელა ზდენეკმა: მყიდველს თვითონ უნდა აეწყო მარიონეტი ნაკრებს დართული ნახაზის მიხედვით. თავიდან მხოლოდ კაშპარეკებს და სპეიბლებს ყიდდნენ, მერე კი ასაწყობი თოჯინების ოჯახი უსწრაფესად გამრავლდა. განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს ცხოველებმა, კუდიანმა დედაბრებმა და

ყველანაირი ჯურის საფრთხობელებმა. მათზე მოთხოვნილება არასდროს კლებულობდა: ეს მშვენიერი საჩუქარი იყო ბავშვისთვისაც და მოზრდილისთვისაც, მით უფრო, რომ ფასიც ხელმისაწვდომი იყო, – რაც უნდა იყოს, სერიული ნამზადია და არა საცალო...

პეტია მეზობელ ოთახში გავიდა, – ეს იყო ზდენეკის სახელოსნო, როცა აქ ჩამოდიოდა ხოლმე, – და კარგა ხანს იფათურა თაროებზე, სანამ ყუთებიდან არაკომპლექტური თოჯინების სხეულის ნაწილებს მოაგროვებდა. კიდევ ათი წუთის განმავლობაში ისე ალაგებდა ამ ყველაფერს ზურგჩანთაში, რომ ყარაგიოზის ჩასაჯდომი ადგილიც დარჩენილიყო. გრძელ მანძილზე ეს ზურგჩანთა პორტშეზის მაგივრობას სწევდა, – ცუგას ძალიან უყვარდა პატრონის ზურგს ამოფარებულად ეთვალიერებინა არემარე.

ძაღლი ახლა ადგილზე ცმუკავდა, შინ დაბრუნების მოლოდინით აღელვებული... მით უფრო, რომ მისთვის სველი ზურგის მშრალებისას პეტიამ სამჯერ, შელოცვასავით ჩასჩურჩულა წმიდათაწმიდა სახელი: “ლიზა, ყარაგიოზ! ლიზა, ლიზა!!!” – ეს კი ნეტარების არცთუ სახუმარო დაპირება იყო. ამიტომ, ყარაგიოზი ცდილობდა შეეკავებინა ბედნიერი ამოკვნესები და ყავარჯნის კაკუნით უხმოდ ცდილობდა ზურგჩანთაში ჩახტომას.

– რას შვრება, ისევ თოვს? – გაფანტულად იკითხა ტონდამ. იგი ფანჯრისკენ ზურგით

იჯდა და შებრუნება ეზარებოდა.

– არა, გადაიღო, – უპასუხა პეტიამ და თითქოს მისი სიტყვების დასტურად ოთახში ზამთრის მზემ შემოიჭვრიტა, თითქოს ორივეს მიანიშნა, რომ კარგი იქნებოდა, სახელოსნოს დამტვერილი ხის იატაკი მოეგავათ.

და უცებ ასეთი რამ მოხდა. გაურკვეველი მიზეზით შესაძლოა, ისევ და ისევ ქუჩაში მოზრიალე იმ ტრამვაის გამო კორჩმარი კედლიდან ჩამოცურდა და ზურგზე გადაგორდა. და დერეფნის იმ ადგილიდან, სადაც უკვე ჩაცმული პეტია იდგა, გამოჩნდა ის, რაც მანამდე არ ჩანდა: ოთახში წამით შემოჭრილმა გაცრეცილმა მზის სხივმა ააელვარა კორჩმარის ხელში ჩაბღუჯული სპილენძის მუნდშტუკიც და სპილენძის რგოლიც მისი პირის ღრუს სიღრმეში.

პეტია ერთი ნახტომით გაჩნდა მაგიდასთან, ჩიბუხიან ხელს ჩააფრინდა, რბილი, ზუსტი მოძრაობით მოათავსა მუნდშტუკი ტუჩებს შორის არსებულ ღიობში და ისე გადაატრიალა, როგორც გასაღებს ატრიალებენ ბოქლომის ხვრელში. კორჩმარის კისრის ღრუში რაღაც ჩხაკუნი გაისმა, – თითქოს მოხუცმა წამოახველაო, – და ძვლის ღილებჩაყოლებული ვიწრო ლენტი, რომელიც ნაკერს მალავდა, ტკაცუნით გადაიხსნა წვრილ ნაპრალად. პეტია შიგა სამაგრების ღრჭიალის ხმაზე ფრთხილი მოძრაობით მოჰყვა მის

გაფართოებას (დიდი ხანია, არ დაუზეთავთ, უჰ, დიდი ხანია, ასი წელი მაინც იქნება!). ტონდა, შეშინებული იმ ღრიალით, პეტიას მაგიდასთან მიჭრისას რომ აღმოხდა, წამოვარდნილიყო, მის ზურგს უკან დამდგარიყო და ახლა ენის წკლაპუნითა და ყრუ დუდუნით რაღაც გაურკვეველ რჩევებს აძლევდა.

– მოიცა, არ გამოქაჩო... ფრთხილად! გატეხავ!.. აბა, რა არის შიგ? რა?

– არ ვიცი... – ბუტბუტებდა პეტია და ცდილობდა თითებით მოესინჯა საიდუმლო სამალავის შიგთავსი, – რაღაც ძონძებია.

საკუთარ თავს მეანად შეიგრძნობდა, დედის მუცელში გახირული ბავშვის გადარჩენას რომ ცდილობს.

აი, ოდნავ დააწვა, თითებით გააფართოვა მუცლის ვერტიკალურ კედლებს შორის მოქცეული ღრმული და... უცებ ეს კედლები აქეთ-იქით გადაწვა, პაწია სამაგრებზე გადაეკიდა, და გამოჩნდა საიდუმლო სამალავის ლურჯხავერდგამოკრული ღრუ, რომლის ფსკერზეც ტილოს რაღაც ძონძი იდო.

რამდენიმე წამს ორივე გაოგნებული დასცქეროდა ამ ძონძს.

– სულ ესაა? – წითური წარბები აზიდა და დამცინავად იკითხა ტონდამ.

პეტია დუმდა, რატომღაც აჭიანურებდა ამ უცნაური ნადავლის შეხებას...

– მთელი დღე ამისთვის დავკარგეთ, მართლა

და მართლა, – ჩაილაპარაკა ტონდამ და კვლავ თავის მაგიდას მიუჯდა.

პეტიამ საიდუმლო სამალავიდან ძონძების გროვა ამოიღო. შიგ რაღაც მაგარი იდო. ქსოვილი გადახსნა და გაკვირვებით ამოთქვა:

– შეხედე!

და ასწია მარჯვენა ხელი, რომლის საჩვენებელ თითზეც პაწია, თათმანა თოჯინა ეჯდა: გრძელცხვირა, ხისთავა, ნაჭრის ქვედაკაბიანი არსება, რომელსაც კინკრიხოზე გახუნებული, წითელი ქსოვილის ნაგლეჯი ჰქონდა დაწებებული.

– კაშპარეკი! – შესძახა ტონდამ.

– პეტრუშკა, – დაეთანხმა პეტია, – ძველებური. უბრალოდ, საერთოდ ვეღარ გამიგია, რას უნდა ნიშნავდეს ეს.

– რას და ფილოსოფიურ იდეას: მთამ შვა თაგვი. – ჩაილაპარაკა ტონდამ, – ნუღარ დამღალე, დამასვენე.

მაგრამ ათიოდე წუთის შემდეგ, როცა დაფიქრებულმა პეტიამ უკვე მოაწესრიგა კორჩმარი ცეროდენა პატიმარი კვლავ მისსავე სატუსაღოში ჩაკეტა, როცა უწინდებურად მოქირქილე კორჩმარი აბა, რაო, ბიჭებო, მომერიეთ? – ვითომც აქ არაფერი, ისევ კედელსმიყრდნობილი იჯდა მაგიდაზე, და როცა მოთმინებადაკარგული ყარაგიოზი უკვე ზურგჩანთაში ჩაბრძანებულიყო და იქიდან ინდოელ

მაჰარაჯასავით იმზირებოდა, – ტონდა მათ გასაცილებლად და კარის ჩასაკეტად წამოდგა და ზღურბლზე მდგომმა, თითქოსდა სასხვათაშორისოდ, წარმოთქვა:

– ეგ საცოდავი კაშპარეკი, აი, მაგ შენმა ბუღამ რომ გააჩინა... სადღაც მინახავს.

– სად? – პეტია პირქუშად შემოტრიალდა კარში, – ასი წელი იჯდა შიგნით. არა მგონია, ოდესმე იქიდან ამოეღოთ. ეს რაღაც აზრობრივი შიგთავსია. გზავნილივითაა, რაღაც... ოღონდ, რას ეხება, – ამას ვეღარავინ იტყვის უკვე... – სიტყვა შეანელა, ფეხით ღია კარს ამაგრებდა და ფიქრობდა, ღირდა თუ არა აქ და ახლა მაგიურ თოჯინებზე მსჯელობა თუ ჯერ თვითონ უნდა გაეაზრებინა ყველაფერი, – აი რა, ტონდა. ეს ლიზას ოჯახის თოჯინაა. ბებიამისის, ან ბებიის ბებიის... ჰოდა... ჯერ ნურაფერს იტყვი, კარგი? ლიზამ არ იცის, რომ ეს თოჯინა მე მაქვს, და არც ვარ დარწმუნებული ჯერ, რომ უნდა გაიგოს. გასაგებია?

– შენი არასდროს არაფერია გასაგები, – თქვა ტონდამ, – მაგრამ კარგი, გავიგე. წადი, წადი, ძალად თავატკიებულო! საქმე თავზე მაყრია.

* * *

...ზეცაში დიდი, გენერალური დალაგება-დასუფთავება მიმდინარეობდა: მორუხო-რძისფერი ნისლი ალაგ-ალაგ გადაიხსნა და ჭრილებში გამოჩენილი ცისფერი სიღრმიდან გამოაღწია მკვეთრმა, თანაბარმა ნათელმა, რომელმაც აღგავა

უჟმური ბურუსი და ქალაქი, ხალხი გამოაფხიზლა. თითქოს უხილავმა ხელმა ცოცხით გადათოვლა წმინდა მიკულაშის ტაძრის მწვანე სპილენძის გუმბათი, ხოლო მალაია სტრანას სახლების კრამიტის სახურავებზე დამკვდარ-ჩამკვრივებული თოვლისთვის კი ჯერ ხელი არ უხლიაო. ტროტუარებზე თოვლი მაგრად იყო დატკეპნილი, მაგრამ გაყინვა ჯერ ვერ მოესწრო. პეტია და მის ზურგზე მოყუჩებული ყარაგიოზი უკვე კარლის ხიდს, მალოსტრანსკაიას კოშკის თაღს უახლოვდებოდნენ. უსაზღვროდ ბედნიერი ძაღლი დროდადრო ახერხებდა და ხან საყურიან ყურის ბიბილოს აულოკავდა პატრონს ხაოიანი ენით, ხან კიკინას, ხან სვიტერის საყელოში ჩამალულ კისერს; მისი ხის ფეხი პეტიას ყურთან ძველებური მუშკეტის ლულასავით გამოჩრილიყო, ხოლო მისი ხახიდან ამომავალი ორთქლი აფეთქებული დენთის ჩუმ ბოლქვებად მიიწევდა ზევით...

აბა, გავიხსენოთ, რას გვეუბნება მაგიური თოჯინების შესახებ იგივე გოლდოვსკის ენციკლოპედია? აუცილებლად უნდა ჩავხედო. მახსოვს, იქ რაღაც საშინელებები წერია აფრიკული ტომების შესახებ: ისინი გარდაცვლილი ბელადებისგან თოჯინებს ამზადებენ და მერე მარიონეტებივით მართავენ... ძვირფასი ადათები... ღმერთების მომადლიერების მცდელობა... კიდევ რა იყო? დაოსელი მაგების და ჯადოქრების ხელობა:

ისინი ავ სულებს თოჯინებით განდევნიან... ჰო, კიდევ სუმატრელი მალაელების მაგიური ადათ-წესები: რასაც მაგი თოჯინას დამართებს, ადამიანსაც ის მოუვა... დაიცა, მერე კორჩმარი რა შუაშია აქ? მის მუცელში ციცქნა პეტრუშკა თუ იპოვე, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის მაგიური თოჯინაა. იქნებ, ის პაწაწინა თოჯინა კიდევ უფრო ძველი საოჯახო რელიკვიაა?.. ჰმ, რომელმა ჭკვიანმა მოიფიქრა ეს საზარელი მატრიოშკა?

ან რისთვის?

კარლის ხიდზე უკვე გაჩაღებულიყო ვაჭრობა, გართობა... მუსიკა ჟღერდა და ყოველ ფეხის ნაბიჯზე რაღაც წარმოდგენები მიმდინარეობდა. მისი გიგანტური ზურგი წვრილი კენჭებით მოპირკეთებული თექვსმეტივე თაღი ღრმად ჩამდგარიყო წყალში, და ზამთრის ვლტავის მძიმე ტალღებს ცხრილავდა. გრანიტის ჯებირების გასწვრივ, დათოვლილი ხეივანი სავსე იყო ბრეზენტის სკამებზე ჩამომსხდარი მხატვრებით, მუსიკოსებითა და მეთოჯინეებით, აგრეთვე, თავ-თავიანთი ნამუშევრებისა და მოლბერტების შორიახლო მოყურყუტე კერამიკოსთა და ხეზე კვეთის ოსტატთა მთელი გვარდიით. ნახევარკილომეტრიანი პრომენადის ცენტრში აუჩქარებლად მიიწევდა წინ ტურისტების არცთუ მრავალრიცხოვანი, როგორც ზაფხულში, მაგრამ ასეთი ამინდის პირობაზე გასაკვირად მხიარულ-გამოცოცხლებული ჯგუფი.

სადღაც, შუა ხიდზე, იან ნეპომუცკის

ქანდაკების ქვეშ, ჰონზა უნდა გაჰყვიროდეს.

– მარტო იქამდე მივიდეთ და მაშინვე უკან დავბრუნდეთ, ჰა? – ოდნავ შემოაბრუნა თავი და იკითხა პეტიამ, – მერე კი ეგრევე სახლში წავიდეთ, ლიზასთან!

ძაღლმა მყისვე დაუდასტურა თანხმობა და ისე მოხერხებულად მისწვდა პატრონის ყურს, რომ პეტიამ შეჰყვირა და სიცილი აუტყდა შეღიტინებისგან, – ასე ხომ დამაყრუებ! – და ძაღლის ნერწყვის შემშრალებას შეუდგა.

ჰონზა ბრეზენტის პატარა სკამზე იჯდა და ისე გაჰყვიროდა, რომ შორიახლო, პლუშის მაიმუნით მომუშავე მოხუცი რიშის მექანიკური არღნის წყნარ ხმას სავსებით ახშობდა. უფრო სწორად, ჰონზა კი არა, კარაოკე გაჰყვიროდა, ხოლო ფართხუნა, კულულა, ვეება სვიტერში, ველვეტის თხელ შარვალსა და ალპინისტურ ძველ, ყელიან ფეხსაცმელში გამოწყობილი ჰონზა (მარჯვენა ფეხსაცმელზე ზონრით რაღაც საჩხარუნო შეება, რომელიც დროდადრო საქმეში ერთვებოდა) – თავისი უხეირო შესაძლებლობების მიხედვით აყოლებდა მელოდიას.

მის ფეხქვეშ, შემდნარ თოვლზე დაფენილ ძველ, გუცულურ პაწია ხალიჩაზე სათამაშო დაირა იდო. ჰონზა უთითო ხელთათმანებიან ვეება ტორებს გამეტებით აბრახუნებდა მუხლებს შორის მოქცეულ ტამბურინზე, დროდადრო კი დაირას დაავლებდა ხელს, შამანივით არაჩხუნებდა მას ისე, რომ დიდად

არ დაგიდევდათ რიტმს, თან კი თვალებმოხუჭული აქნევდა თავს, რაღაცას გაჰბღაოდა და ფართოდ დაღებული პირიდან თანაბარი, ქათქათა კბილები მოუჩანდა.

ამ ბედოვლათს ოთხი შვილი ჰყავდა ფრიად უცნაური, ნასწავლი ცოლისაგან, რომელსაც სულ ახლახან მესამე უმაღლესი დაემთავრებინა, და ერთი დღეც კი არ ემუშავა ცხოვრებაში.

მოწამე იან ნეპომუცკი, რომელსაც დაბლა დაეხარა ოქრო სფერი ვარსკვლავების შარავანდედით შემკული თავი, ჰანზას ისეთი ტანჯული სახით დასცქეროდა ზემოდან, თითქოს გამვლელ-გამომვლელებს ევედრებოდა, რამე ეშველათ მისთვის და აქედან მოეშორებინათ მის ფერხთით დაბანაკებული ეს გაუსაძლისი ტიპი: მაგალითად, მდინარეში მოესროლათ, – ისევე, როგორც თავად ის, ნეპომუცკი, ისროლეს მდინარეში ოდესღაც.

ზურგზე ყარაგიოზმოკიდებული პეტია ჰონზას პირისპირ შედგა, დაელოდა, როდის ჩამთავრდებოდა დინამიკებიდან მოგუგუნე მგზნებარე პასაჟი და, როგორც კი უქნარამ თვალები გაახილა, თვალი ჩაუკრა მას.

– სალამი, პეტიო! – გახარებულმა დაიბუხუნა ჰონზამ და პირიდან ორთქლის ვულკანური ზალპი ამოუშვა.

– მიდი, მანახე კლასი!

და დაიხარა, ღილაკები აატკაცუნა, დისკზე საჭირო პიესის ძებნას მოჰყვა. ეს მათი

ძველი თამაში იყო: როცა პეტია ხიდზე აღმოჩნდებოდა და იქ კი ჰონზა გადაეყრებოდა თავისი საბრალობელი ინვენტარითა და მცირედი “ნადავლით”, ჰონზა ჯანგო რეინჰარდტის “მინორულ სვინგს” რთავდა და გულკეთილი პეტია ცოტას წაუცეკვებდა ხოლმე მაყურებლის მისაზიდად. ხალხი მყისვე გროვდებოდა მისი პირველივე პა შორიდანვე იზიდავდა ტურისტებს. სხვადასხვა ჯურის ადამიანები მშვენივრად გრძნობდნენ იმას, რასაც ჰონზასთვის “მანახე კლასი!” ერქვა. ზოგჯერ, როცა არსად ეჩქარებოდა, პეტია იქვე, წმინდა ანტონი პადუელის ქვეშ მომუშავე მეთოჯინე ირჟისგან უსახურ მარიონეტს სევდიან გიტარისტს ითხოვებდა ხოლმე, ხის გაფერადებულ გიტარას რომ აჩხაკუნებდა, – და იმპროვიზებას იწყებდა. მაგრამ ამჯერად უარის ნიშნად გაიქნია თავი და ზურგზე მოკიდებულ ძაღლზე მიანიშნა.

– მიდი! მიდი! – ვედრებით შესძახა ჰონზამ (ეტყობა, დღეს საერთოდ ვერ ეშოვა ფული) და სვინგი ჩართო.

უცნაურია, მაგრამ ამ ნაწარმოების შესავალი ტაქტები, მისი პირველივე ზეაღმავალი ნოტები ისე მოქმედებდა პეტიაზე, როგორც გველების შემლოცველის დუდუკის ხმა კობრაზე. და ზუსტად კობრასავით ნელა დაიწყო მან რხევა სვინგის მელოდიის თანხლებით ზურგჩანთიანად, რომელშიც ყარაგიოზი მოკალათებულიყო და ისე იცქირებოდა, როგორც მეზღვაური იცქირება

ზღვის ჰორიზონტისკენ მიწის დასალანდად: მისი ხის ფეხი ახლა სათვალთვალო მილად ქცეულიყო, რომელსაც ჭკვიანი ცუგა დროდადრო შავი თვალით მაგრად ეკვროდა.

და, სანამ მუსიკა ჟღერდა, პეტია თითქოს მიცურავდა, და იდაყვქვეშ უჩინარ ელისს აბზრიალებდა, ხან შეუშვებდა ხელს, ხან კი ისევ მაგრად იკრავდა გულზე...

და როგორც ყოველთვის, სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი გროვდებოდა უხილავი წრეხაზის ირგვლივ, და, როგორც ყოველთვის, ნომრის ბოლოს მაყურებელი ღმუოდა და ტაშს უკრავდა, ხოლო ჰონზას კოლოფში არა მხოლოდ ლითონის კრონები ცვიოდა...

ცეკვა რომ დაასრულა, ხელისგული დაუდევრად გაუქნია ჰონზას, თითქოს ჰაერი გადახვეტაო, – აიღე, აიღე მოსავალი! – მერე გამომშვიდობების ნიშნად თავი ოდნავ დაუკრა ქარში მარტოსულად მდგომ მეთოჯინე ირჟის და წამოვიდა. ირჟის შავმინებიანი, ზედ თვალებზე მჭიდროდ მიბჯენილი მზის სათვალე რაღაც უცნაურად მოჩანდა ქურთუკის კაპიუშონქვეშ; მარიონეტი, ნაღვლიანი გიტარისტი –სამწუხაროდ, უნიჭო ნამუშევარი დინამიკიდან დაძრული მუსიკის ფონზე თანაბარი მოძრაობით აფხაკუნებდა ხელს სიმებზე: ბლიამ-ბლიამ, ბლიამ-ბლიამ. ირჟი ხელთათმანებსაც კი არ იხსნიდა, – გაითოშა, საბრალო. გაგულგრილდა...

მალოსტრანსკის კოშკებისკენ მიემართებოდა და, იქამდე არმისულს,

მარჯვნივ უნდა გადაეხვია. მაგრამ კამპას ტაძრის ჩასახვევთან ნაბიჯი შეანელა, გასცდა კიდეც კიბეს... მაგრამ კვლავ დაბრუნდა იქვე. ალბათ, ცეკვამ იმოქმედა ასე... შოტლანდიელებიც ხომ სანახავები მყავს, – მიეშველა საკუთარ თავს, – იქნებ, ხვალ მთხოვენ ნომრის შესრულებას? კარგი იქნება, თუ გადავამოწმებ, მექანიკა ხომ წესრიგშია იქ. ერთი წუთით დავხედავ. მხოლოდ ერთადერთი წუთით. ბოლოს და ბოლოს, ჯერ იქნებ არც გაუღვიძია იმას... ბეჯითად დაარწმუნა ძაღლი, რომ "აი, მარტო ერთი წუთით, ან ორით, და ეგრევე სახლში წავალთ", და კიბით კუნძულისკენ დაეშვა.

ზაფხულობით აქ საკმაოდ ხშირად მართავდა ხოლმე წარმოდგენებს თავის პატარებთან, ციცქნა მარიონეტებთან ერთად, ასე რომ უყვართ ბავშვებს. თოჯინები მხრებზე აცოცდებიან ბავშვებს, ეხუტებიან, ნაირ-ნაირ, სასაცილო ფსევდოენებზე ესაუბრებიან მათ.

განსაკუთრებული წარმატებით სამურაი სარგებლობდა კბილებდაკრეჭილი, გავეშებულსახიანი თოჯინა, – იგი დახტოდა, რაღაც ველურ ცეკვას ასრულებდა და მოგრეხილ ხმალს იქნევდა აქეთ-იქით, ბოლოს კი ხარაკირის იკეთებდა და დაბნეული დასცქეროდა, როგორ უცვიოდა მუცლიდან ფერად-ფერადი შუშის ბურთულები... მერე გამყივანი შეძახილი "ბანზაი!" გაისმოდა და ბავშვებიც მყისვე ბურთულების შეგროვებას იწყებდნენ.

ზედ ქვაფენილზე ჩაყოლებულ ხეთა ხეივნით, თუჯის მორკალული ძელსკამებისა და ბარების მიჯრილი დახლების რიგით, ვლტავას სანაპიროზე გრძელი კედელი რომ წარმოექმნათ, იგი მაღაზიისკენ, უფრო სწორად, “გალერეისკენ” მიიწევდა, რომელიც, იმედია, ჰანას უკვე გაღებული ექნებოდა. ზოგადად, მოხუცი გარიჟრაჟის ჩიტუნა ნამდვილად არ იყო და, ყოველ საღამოს ოჯახისგან მიღებული მითითებების მიუხედავად, 12 საათზე ადრე მაღაზიას არ აღებდა ხოლმე.

ამ დამხმარე სათავსოებიანი ორი ოთახის დიდი ვიტრინები ქუჩის კუთხეში ორივე მხარეს გამოდიოდა. ვიტრინებში ჩვენი პროდუქციის ფართო ასორტიმენტი ეწყო და ეკიდა. პარმაღზე, კარის წინ, ტონდასა და ზდენეკის საუცხოო ნამუშევარი, საზარლად დაკრეჭილი, კუზიანი მთავარი საფრთხობელა იდგა, რომლისთვისაც ჯერ არავის ჩაევლო გულგრილად. ტონდამ მასში ფოტოელემენტებიანი, ეშმაკური მექანიკა ჩადო: როგორც კი რომელიმე ტურისტი თოჯინისკენ ხელს გაიწვდიდა, რათა შეხებოდა მას, საფრთხობელა ვეება ხახას აღებდა და კბილების რაწკარუწკს იწყებდა.

და აი, როცა რომელიმე მორიგი, აღფრთოვანებისაგან აკივლებული წყვილი გზის გაგრძელებას დააპირებდა, მაღაზიის პარმაღზე ჰანა გამოდიოდა: არა, პანე, ეგ თოჯინა არ იყიდება, ეგ სარეკლამო თოჯინაა, მაგრამ არ გსურთ, მაღაზიაში შემოიხედოთ, პანე? უამრავი საინტერესო რამ

მოგვეპოვება, ჩვენ ხომ პრაღის საუკეთესო მეთოჯინეები... – და ასე შემდეგ, და მოკლედ, ეს ხომ სრული სიმართლეა, და ამ დანაოჭებული მოხუცი ქალის ნაზად-მოპატიჟე სირენის ხმა ჯერ კიდევ ისე მიმზიდველია, რომ ვისაც გინდა, ბლომად ფულს დასცინცლავს.

ჰო, მაგრამ, ჩვენ ხომ ერთი წუთით შემოვიარეთ, ყარაგიოზ, გეფიცები, და თუ კარი ჩაკეტილია, მაშინვე ვალდშტეინსკაიაზე გავუტევთ, "შავი ცხვრისკენ", ლიზასკენ, და თან საყვირივით ხმამაღლა დავიყვირებთ, რომ მივალთ.

კი, ღიაა! – პაწია დაფა "open" – "otevřeno" მინის კარზე ირიბად, მაგრამ გულღიად კიდია. მაგრამ შიგ არავინაა. ძველებური, მასარიკისდროინდელი და ტონდას მიერ საგულდაგულოდ შეკეთებული სალაროს აპარატი მოწყენილად გაყურსულა ვაჭრობის მოლოდინში. ეს რა გულგრილობაა? გასაკვირი არ იქნება, რომ მეზობელ კაფეში იყოს გადასული ყავის დასალევად, აქაურობა კი ასე, მძარცველებისთვის ჰქონდეს მიტოვებული! მაგდასთან ხომ არ დავაბეზღო? მაღაზიაში შესულმა ზურგჩანთა მოიხსნა და ყარაგიოზი იატაკზე გადმოსვა.

– ჰანა! – დაიძახა, – აქ ხარ?

ოთახების სიღრმიდან რა თქმა უნდა, ტუალეტიდან ფიფქიას ედემური, წკრიალა, კაფელის ექოთი მოგუდული ხმა გაისმა:

– პეტია, შენ ხარ?

– მე ვარ, მე...

– არ და

კაკუნიც კი ხდებოდა საჭირო. იშვიათ შემთხვევებში გადაუდებელი სარემონტო სამუშაოებიც ტარდებოდა. კომოდის კვალობაზე ეს მოწყობილობა მეტისმეტად მაღალია, გარდერობის კვალობაზე კი დაბალი. ყველაზე მეტად ეს ციხე-სიმაგრე იმ საცოდავის შესანახად იყო გამოსადეგი...

შენ გიჟი ხომ არ ხარ? – დაეკითხა საკუთარ თავს პეტია, როგორც ყოველთვის, – არა, აშკარად გიჟი ხარ. იქნებ გგონია, რომ გელოდება, რომ მოენატრე ან რაღაც სტკივა?

– აი, მაგას ახლა შევამოწმებთ, – ჩაილაპარაკა ხმამაღლა, კიბე მიიდგა და სამ საფეხურზე ავიდა. ლამის ჭერს მიბჯენილი ფანჯრიდან შემოსული დღის სინათლე თანაბრად ეფინებოდა კარადის განიერ თავს, სადაც, როგორც ქანდაკება სარკოფაგზე, ნახევრადგამჭვირვალე ქსოვილში გახვეული გრძელი, გაჭიმული რაღაც იდო.

აი, ასე წევს აქ მარტო, შინიდან გამოძევებული, საბრალო, და მის თავზემოთ, ნახევარ მეტრში, ტურისტების ფეხები გადი-გამოდიან წინ და უკან...

პეტიამ უხმოდ, სწრაფად გახსნა ზონარი და თითების მოუთმენელი მოძრაობით ქსოვილის შემოხსნას შეუდგა. ესმოდა, ხის ფეხის კაკუნით, გაჩვეულად როგორ დარბოდა ოთახებში ყარაგიოზი. ის აქ ბევრჯერ ყოფილა, და საერთოდ, ლიზას აქ არყოფნის ტრაგიკულ პერიოდში ყველგან თან დაჰყვებოდა პეტიას. მას მხოლოდ

ელისსთან ერთად გამართულ წარმოდგენებზე დასწრება ეკრძალებოდა, რადგან დაინახავდა თუ არა, რა თავდავიწყებით აცეკვებდა პეტია თითქოსდა ლიზას, ძაღლი ბედნიერებისგან ჭკუიდან გადადიოდა. ჭკუიდან გადადიოდა მანამ, სანამ კულისებში გიჟივით არ შეაფრინდებოდა რაღაცას, რომელსაც არანაირად, ოდნავაც კი არ გააჩნდა მთავარი: ლიზას სურნელი.

(ღმერთო, ჩემი საბრალო ცუგა, ჩვენ ხომ ორივე გადავდივართ ჭკუიდან ამის გამო...)

ვერაფერს იტყვი, გაუმართლა კავალერს ელიტარულ ცხოვრებაში! სულ მალე ამაღელვებელი შეხვედრა ელის...

შესაფუთი ქსოვილის ბოლო ნაკეცებიც გადახსნა და ოდნავ გაღიმებულმა, სახეწაწვდილმა მოძრაობები შეანელა... და, სანამ მექანიკის შემოწმებას შეუდგებოდა, ფრთხილად გადაატარა ხელისგული მის წინ მწოლიარე მინიატურული ქალის სხეულს: ესოდენ თვინიერს, ჩუმს, მონდობილს; სავსებით მის ხელთ მყოფს.

– აბა, როგორ ხარ, პატარავ? – ჩაიბურტყუნა.

და ყარაგიოზის ხის ფეხის კაკუნის ფონზე ვერ იგრძნო, ვერ გაიგონა მის ზურგსუკან, შეღებულ კარში, როგორ ჩადგა ფაშფაშა მოხუცი ქალი. იგი უხმოდ იდგა, და ენითუთქმელი სიბრალულით, განკითხვითა და... უსასრულო სევდით შესცქეროდა პეტიას ზურგს.

* * *

შუაღამისას მობილური აზრიალდა.

პეტია გულამოვარდნილი წამოფრინდა და, სანამ გააცნობიერებდა, რომ ლიზა ლიზა აქაა, და სულაც ყველა შინაა, ორი-სამი წამის განმავლობაში გიჟივით ატყაპუნებდა ხელისგულს თაროზე, საიდანაც ზარის ხმა მოისმოდა. ერთი უნდა დაულეწოს ცხვირ-პირი ამ შუაღამით დამრეკავს, ვინც გინდა იყოს!

მაგრამ არ დაულეწია. ბოლოს და ბოლოს, მიაგნო მობილურს, დასტაცა ხელი, ღილაკზე თითის დაჭერით ჩააჩუმა და ჩახლეჩილი ხმით ჩაიბურტყუნა: – გისმენთ!

– როგორ ითქმის... თვალი თვალისა წილ, ჰო? – რა თქმა უნდა, ტონდა იყო, – მერე კიდევ როგორაა, – რა რის წილ?

– სირი სირის წილ...

ყარაგიოზმა, მასა და ლიზას შორის რომ გადაწოლილიყო (პირველ დღეებში ძაღლი ერთი წამითაც არ შორდებოდა გვერდიდან ლიზას), თავი წამოსწია და შეკითხვის ნიშნად დაამთქნარა. პეტიამ ყურზე მოუთათუნა ხელი და გაბანჯგვლული თავი ისევ ბალიშზე დაადებინა.

შიშველ ფეხებქვეშ ლიზას მინიატურული ჩუსტები მოხვდა, მაგრამ თავისების ძებნა აღარ დაუწყია, ეგრევე, ფეხშიშველა წაბოდიალდა სახელოსნოსკენ. სიბნელეში პუანტებიან, თმაგაშლილ მთვრალ

ბალერინასავით მიაბიჯებდა. სახელოსნომდე მიაღწია, ყველაზე ნაზი სარჭიანი სანათური ჩართო და სკამზე დაეხეთქა.

– აბა, რა გინდა?

– გამახსენდა, სად მინახავს ეგ კაშპარეჩეკი.

– ხომ გითხარი: რაღაც გეშლება.

– ზუსტად ეგ კი არა, მაგნაირი. ერთი... რვა ცალი მაინც იყო... არა, ცხრა.

– რას ბოდავ, ტონდა? რაზე ლაპარაკობ?

– მიდი, ეგ გამოშტერებული სიფათი დაიბანე. – აუღელვებლად გამოეპასუხა ტონდა, – გგონია, ამ შუაღამისას ისე, ტყუილუბრალოდ გირეკავ?

– დაიცა... – პეტიამ ტელეფონი განზე გადადო, სამზარეულოს ნიჟარასთან მივიდა, წყალი დალია, მერე კი ღონივრად შეისხა სახეზე.

პირსახოცი ახლოს არსად იყო, და სველი, მკერდზე ნაკადულებჩამომდინარი დაბრუნდა ტელეფონთან.

– აბა?

– ბერლინში.

– გასაგებად ილაპარაკე! – გაბრაზდა, – ბერლინში რა? როდის? ვისთან?

– კარგი... აი, ახლა ნაღდად გამოღვიძებული ხარ, სირო, ვხედავ. ჰო, მოკლედ: გახსოვს, შარშან მე და მამაჩემი ბერლინში რომ ვიყავით, სამი კვირა რომ გავატარეთ იქ?

– მ-მ... რაღაც კერძო სარესტავრაციო შეკვეთა იყო, არა? მახსოვს.

– ჰო, დიდი სამუშაო იყო, ძველი თოჯინების ორი კერძო კოლექცია... ჰოდა იმ ბიძებიდან ერთ-ერთი ჩეხია, ისტორიკოსი, და დიდი ხანია, რაც ბერლინშია. ძალიან სიმპათიურია, ბოშასავით ხუჭუჭა. დიდი კოლექცია ჰქონდა, მამამისს დაუწყია შეგროვება. ასეთი, გრძელი შუშის ვიტრინა იყო მთელი კედლის გაყოლებაზე და შიგ ვნახე ეგეთები. გამწკრივებულები ისხდნენ. გამიკვირდა, ასე ერთნაირები რატომ არიან-მეთქი და რაღაც სისულელე გამოდგა. არ იყო საინტერესო. მითხრა საოჯახო მემკვიდრეობაა... იმან გააკეთაო... რა ჰქვია შთამავალი? შთამოვალი?

– შთამომავალმა კი არა, წინაპარმა, ალბათ, – ივარაუდა ჩაფიქრებულმა პეტიამ.

– არ მკიდია? უბრალოდ, გამახსენდა. ვიფიქრე ხომ შეიძლება, იმ კაცს მიჰყიდოს-მეთქი?

– მისი ტელეფონის ნომერი გაქვს?

– მამაჩემს ექნება. რა, გაყიდი?

– არა.

– შენ გიჟი ხარ თუ სულელი, ჰა! შეგიძლია, ცალკე თოჯინა გაყიდო სალონში და ცალკე კიდევ, ეგ ახალშობილი კაშპარეკი.

– უკვე გითხარი! – გაღიზიანებულად მოუჭრა პეტიამ. – არ ვყიდი არაფერს! და რომც

მინდოდეს გაყიდვა, არ შემიძლია. მორჩა. ხვალ ვილაპარაკოთ! – და გაბრაზებულმა გათიშა ტელეფონი.

იმავე წუთს მკვეთრმა შუქმა მოსჭრა თვალი. წამით თვალები მოხუჭა და, როცა გაახილა, ლიზა დაინახა.

ლიზას ტანზე ისევ ის მარჯნისფერ თევზებიანი პიჟამა ეცვა, ფეხზე პეტიას უზარმაზარი ჩუსტები და ხელი მაღლა, ჩამრთველისკენ ჰქონდა აწეული.

– რისი გაყიდვა არ გინდა? – მოწყვეტით იკითხა მან. ფერმკრთალ სახეზე გუგებგაფართოებული, შეშლილი თვალები შავად უელავდა.

კაცი უხმოდ უყურებდა, გონებაში წყევლიდა ბორკას დანიშნულ მთელ ამ წამლებს, რომლებიც ვერა და ვერ ერევიან ლიზას. იგი ისე აკნატუნებს ამ წამლებს, როგორც ციყვი კაკალს, ნაჭუჭებს კი ქარს ატანს. სად, სად უნდა გაექცეს ამ ქალის გამაოგნებელ ინტუიციას! ლიზა ხომ გუშინდელი დღიდან მოყოლებული... არა, ჯერ კიდევ სამარაში ყოფნისას გრძნობდა რაღაცას და შფოთავდა, შფოთავდა...

– თქვი! რას! ვერ გაყიდი!

– არაფერს, – კაცმა თვალები მოჭუტა, გაუღიმა, – ხომ გაიგონე. ნაღდადა-რა-ფერს.

საძინებლიდან ყარაგიოზი გამოვიდა კოჭლობ-კოჭლობით: როგორც გამოდის თავისი ოთახიდან კომუნალურ

სამზარეულოში ატეხილი ხმამაღალი ჩხუბის ხმაზე ომის ცალფეხა ინვალიდი, რომელმაც გუშინ საღამოს ზედმეტი გადაკრა, – კედელ-კედელ, ვაივაგლახით.

– და ამიტომაც მემალები! და ისე ლაპარაკობ, თითქოს მიგახრჩვეს!

ლიზა ვეება ჩუსტების ტყაპუნით მიუახლოვდა... და ანაზდად უკან გადაქანდა და ტკივილისაგან ტუჩები მოებრიცა: წამიერი ცვლილება! ერთ-ერთი მისი მოძრავი სახის წამიერ ცვლილებათაგან!

– ტირი! – ქალმა ყელზე იტაცა ორივე ხელი, თითქოს ვიღაცის უხილავი, მის კისერს შემოჭდობილი ხელების აძრობას ცდილობსო, – ჟესტი, რომელიც რატომღაც საოცრად შემზარავი იყო კაცისთვის, – ტირი. – ჩაილაპარაკა ქალმა, – ტირი... ვხედავ. ესე იგი, ეს სიმართლეა!

– რა, რა არის სიმართლე? – ნერვულად გადაიხარხარა კაცმა, – ეს წყალია. უბრალოდ, სახეზე შევისხი ცოტა წყა...

– ესე იგი, გამოვიცანი: ყველაფერს მივხვდი! – ჩაიჩურჩულა ქალმა შეშლილი ღიმილით, – ეს საუბარი... იმას ეხებოდა, ხომ? მისი გაყიდვა არ შეგიძლია, ხომ?

– ლიზა!!!! – დაიყვირა კაცმა და წამოიჭრა, – შენ გაგიჟდი! გეფიცები, უკვე სასაცილოა! ეს ხომ წყალია, ლიზა, წყა-ლი!!! რატომ უნდა ვტი...!!!

მაგრამ ქალი უკვე სახელოსნოში გავარდნილიყო, არ უსმენდა მის მოთქმა-

ვედრებას, გაურბოდა მის ხელებს, კედლიდან კედელს აწყდებოდა და მომართულივით იმეორებდა:

– ტირი, ტიროდი, დავინახე... ვიღაც გთხოვდა, მომყიდეო, შენ კი... გავიგონე შენი ნათქვამი: “არ შემიძლია და არც მინდა!”... არ შეგიძლია მასთან განშორება... გიყვარს და იმიტომ! მე ზედმეტი ბარგი ვარ შენს ცხოვრებაში...

– ღმერთო, ლი-ზა! მე ხომ სულ სხვა რამეზე ვლაპარაკობდი, სულ სხვა რა-მე-ზეეე!!

ერთმანეთს უყვიროდნენ... როგორც ყოველთვის, კაცს სრულიად დაავიწყდა, რომ ქალი ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულიყო და მთავარი მოთმინება, მოთმინება ევალებოდა... ერთბაშად, თითქოს გრძნობა დაკარგაო, ექიმ გორელიკის ყველა დარიგება დაავიწყდა, – ღრიალებდა, ევედრებოდა, სახეს და მკერდს ხელისგულებით იმშრალებდა, ქალისკენ გაწვდილ ხელებს ღონივრად იქნევდა და ეკითხებოდა: ამდენი ტირილი როგორ შეიძლება, გაგიჟდი? დაიცა, აგიხსნი ყველაფერს... ერთი წუთით გაჩუმდი, ყველაფერს აგიხსნი-ი-ი-იიიიი!!! უბრალოდ, არ გინდა ჩემი მოსმენა!

ანაზდად ქალი შუა ოთახში შედგა, უკან-უკან დაიხია მისგან, ზურგით კედელს მიეჯახა, გაშეშდა და სასოწარკვეთილი თვალებით შეაცქერდა. და უცებ, მისკენ მიაწყდა, და გამოფიტული, მავედრებელი ხმით ჩაილაპარაკა:

– მარტინ...

კაცს თითქოს ყველაფერი ჩასწყდა შიგნით.

ქალი კი მუხლებით დაეცა იატაკზე, მოეხვია, ჩაეხუტა მის ფეხებს, ლოყით აეკრა მათ, და ბუტბუტით მიმართავდა კაცს სახელით, რომელიც მრავალი წელია, აღარ უხსენებია.

– ჩემო მარტინ, ჩემო მარტინ... გაყიდე, გთხოვ! გემუდარები, გაყიდე ის! ან უმჯობესი იქნება, – გაანადგურე! და ყველაფერი ერთბაშად დამთავრდება... ყველაფერი წავა, გაქრება, როგორც საშინელი ბნელეთი... უბედურება დამთავრდება! მოკალი ის, მარ-ტი-ი-ინ!!!! ისევ გამოვალ სცენაზე, გინდა?! ისევ გამოვალ იმ წყეულ სცენაზე, ოღონდ მოკალი!!!

ქალის ამ ჩახლეჩილმა ხმამ, მუხლებზე შემოჭდობილი მისი გახურებული ხელების ცახცახმა, ამ შეშლილმა, საბრალო ბუტბუტმა თითქოს შინაგანად გააქვავა კაცი.

ერთიანად გადაფითრდა ცოცხლად გათავდა, – კისერი წაიწვდინა და იგრძნო, რომ კიდევ ერთი წუთიც და მოკლავს! მასაც მოკლავს და თვითონაც ჩაძაღლდება... რომ აი, სადაცაა, რაღაც ძარღვი გაუსკდება გულში... და დაიღრიალა:

– ლი-ი-ი-ი-ზა!!!

ვენებდაბერილი კისერი წაეწვდინა და ისე ყმუოდა, როგორც მგელი ზამთრის ტრამალზე. ცხვირით ხმაურიანად ისუნთქავდა ჰაერს და თავის ქნევით ისევ იწყებდა ყმუილს. მერე ქალის გვერდით დაეხეთქა იატაკზე, მხრებში

ჩააფრინდა ცოლს, დააჯანჯღარა, რაღაცის თქმას ცდილობდა...

ორივე ტიროდა, ყვიროდა, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცდიდა... ერთმანეთისთვის ვერაფრის ახსნას ვერ ახერხებდნენ, მხოლოდ ჩაფრენოდნენ და აჯანჯღარებდნენ ერთმანეთს და მათ ირგვლივ კი წკავწკავით დახტოდა საბრალო ძაღლი და ცდილობდა, როგორმე მიწვდენოდა მათ, შუაში ჩასდგომოდა, დაეწყნარებინა და სველი სახეები აელოკა მათთვის.

ათიოდე წუთის შემდეგ ორივეს გამოეცალა ძალა... გამოფიტულ-დაცლილები იწვნენ სახელოსნოს ცივ იატაკზე, ჩამოგლეჯილ-მიმოფანტულ თოჯინებს შორის, საშინლად ცოცხალ, სასაცილოდ ადამიანურ პოზებში რომ ეყარნენ აქეთ-იქით... ღამეულ სიჩუმეში მხოლოდ ყარაგიოზი არ ისვენებდა: ხან წამოიყმუვლებდა, ხან მონდომებულად იწყებდა უძვირფასესი სახეების ლოკვას, ხან მათ თავებთან ცუცქდებოდა და მოთმინებით, სევდით ელოდა, თუ როდის გახდებოდნენ ყველანი უწინდებურები: – თოჯინები ხის, ადამიანები კი ცოცხლები.

– კორჩმარი ვიპოვე, – თქვა ბოლოს პეტიამ მოგუდული ხმით.

ლიზა დუმდა.

ორიოდე წამის მერე გაიმეორა:

– კორჩმარი გამოჩნდა, ლიზა... სწორედ მასზე ველაპარაკებოდი ტონდას. სულ ესაა!

ადექი, გაცივდები იატაკზე.

და, რადგან ლიზა არ განძრეულა, თვითონ ადგა და, როგორც ბავშვობაში, ორივე ხელით მოქაჩა, – “ალე-ჰოპ!”, – წელში სწვდა, მხარზე გადაიკიდა, როგორც მწყემსმა ბატკანი, და საძინებელში წაიყვანა.

და იქ, მის ფერხთით მჯდომმა, მეთოდურად, დაწვრილებით უამბო ყველაფერი; დაიწყო სილვათი, – რომელმაც ერთი-ორი ჭიქა რომ დალია მუქთად, დროულად გაიხსენა მეზობლის გოგონებისთვის ნათხოვარი თოჯინა, – და კორჩმარის გასახსნელ-დასაკეტი მუცლის საკეტით დაამთავრა.

უკვე ყველაფერს მოჰყვა, ლიზა კი კვლავ დუმდა. ის უყურებდა არა ქმარს, არამედ მეორე, დიდ, მართკუთხა ეზოში გამავალ ფანჯარას. იქ, მათი ბინის გასწვრივ, მოყვითალო, დაჟინებულ შუქს აფრქვევდა ეზოს ფარანი, რომლის გამოც ყოველთვის ხურავდნენ ხოლმე ფარდას, გუშინ კი დაავიწყდათ, თავგზა აერიათ, სიყვარულობანას გადაჰყვნენ... ასეთი იყო გუშინდელი, ტკბილი საღამო: ბედნიერი ყარაგიოზი, მომბალი ლიზა, ამოქოთებული ყუთები სათამაშოსი “გააკეთე შენით”, რომლის დეტალებითაც პეტია ორ-სამ წამში აწყობდა არაკომპლექტურ ნაზ მათხოჯუნებს, და ისინი ნაირ-ნაირ ხმაზე წარმოთქვამდნენ აუტანლად სასაცილო ტირადებს, ჩხუბობდნენ, ჭიდაობდნენ, და ისე ენაბრგვნილად, ისეთი აქცენტით უტყდებოდნენ ლიზას სიყვარულში, რომ ქალმა, ბოლოს და ბოლოს, ძლივს ამოთქვა

ისტერიულ სიცილში: “გეყოფა, სულელო, ჩავიფსამ!”

რა კარგი იყო გუშინ...

ფარნის შუქი საწოლს ეცემოდა, მხოლოდ მის საზურგეს ვერ სწვდებოდა, სადაც ღამეულ ჩრდილში, ბალიშზე უმოძრაოდ იდო ლიზას თავი.

ბოლოს და ბოლოს, ქალი შეინძრა, მზერა მოაშორა ფანჯარას... – და კაცი გააოცა იმან, თუ რაოდენ სავსე იყო ეს მზერა თვალსაჩინო, ნათელი სევდით. ისტერიკის კვალიც გამქრალიყო, განცვიფრების მისხალიც არ დარჩენილიყო...

– ესე იგი, ვისია, – დაღლილად ჩაილაპარაკა ქალმა. და პეტიამ თავი დაუქნია:

– მაგრამ არა მგონია, ვისიას მუცლის ზარდახშა-სამალავზე რამე სცოდნოდა. უფრო სწორად, არც იცოდა. ამიტომ საერთოდ გაუგებარია, რად უნდოდა? რა ნახა ამ თოჯინაში?

ლიზას არაფერი უთქვამს. ბოლოს, აშკარა ძალისხმევით წარმოთქვა:

– იცი... რატომღაც მეჩვენება... რომ რაღაცნაირად... კორჩმარისგან გოგონები იბადებიან...

– რა?! ლიზა, ნუ მაშინებ.

– არა, ვერ გამიგე... სხვა რამეს ვამბობ... – ლიზა აიბნა, აზრობრივად ეძებდა სიტყვებს და გაუბედავად, თითქოს გზადაგზა

უფიქრდება თავში მოსულ აზრს და მის გულახდილად გამოთქმას ვერ ბედავსო, ჩაილაპარაკა:

– მოკლედ... ეჭვი მაქვს, რომ კორჩმარს გოგონები მოჰყავს.

– საიდან მოიტანე ეგ, ო, ღმერთო...

– ყველანაირად ასე გამოდის, – ცოცხლად მიუგო ლიზამ, – ოჯახში ტყუილად ხომ არ თვლიდნენ მას იღბლიანობის საწინდრად. მამა ხომ კორჩმარს "ორსულ კერპს" უწოდებდა, რამე სხვა სახელს კი არა.

– ეგ იმიტომ, რომ მისი ვეება ღიპი... ეს, გესმის, გროტესკია ასეთი, "თოჯინა-ზარდახშა" ეწოდება... და გამოდის...

– გახსოვს, – გააწყვეტინა ლიზამ, – მე ხომ მამას, როცა კვდებოდა, ნათელ გონებაზე ვეღარ მივუსწარი. პალატაში, მის გვერდით ორი დღე და ღამე ვიჯექი. ბოლომდე. და მთელი ამ საათების განმავლობაში, ლამის უკანასკნელ აგონიამდე, მამა ერთადერთ ფრაზას იმეორებდა: "ცეცხლოვანთმიანი ქალების ჯაჭვი ორსული კერპის დევნაშია"... მე მიკვირდა: რა ბოდვაა, ნამდვილი ბოდვა, მაგრამ საიდან მოიტანა, ან როგორ გამოთქვამს ასეთ ჩახლართულ ფრაზას? მას ხომ ინსულტისგან პირი მოექცა, ჩვილი ბავშვივით ლუღლუღებდა, ჩლიფინებდა, სუნთქვა არ ჰყოფნიდა... ჩაწყნარდებოდა ნახევარი საათით, და უცებ ისევ დაიწყებს იმ საშინელი, მობრეცილი პირით: "ცეცხლოვანთმიანი... ქალების ჯაჭვი...". მაშინ კინაღამ გავგიჟდი მის გვერდით. ესე იგი, ეს

მას რაღაცნაირად აწუხებდა, აწვალებდა? მამა ესთეტი იყო, ცინიკოსი, ხომ იცი, – ძნელი იყო მისი რამე თემაზე წამოკიდება... რას ეძებდა იმ თავის ბოდვაში, ვის ხედავდა მასში?

ლიზამ ამოიოხრა და ფიქრიანად ჩაილაპარაკა:

– ჰოდა, გამოდის, რომ ვისიამ ქალიშვილის გასაჩენად მოიპარა კორჩმარი. და მისი გაგება შეიძლება. ჩვენ ხომ კარგად ვიცით, რა ხდება, როცა ბიჭებს ვაჩენთ.

– ღმერთო, ლიზა, რაებს ამბობ? – შეჰყვირა პეტიამ და ხელები თავზე წაივლო, – ეგ რა შუაშია! რა სულელურ საშინელებებს...

– სულელურს? – ცივად და მშვიდად გააწყვეტინა ქალმა. ბალიშზე დადებული თავი გადააქნია და ჩაიცინა:

– რა მალე დაივიწყე შენი ვაჟიშვილი.

კაცმა ხელი დასტაცა მის ხელს, მაგრად მოუჭირა, და ლიზა ერთი-ორი წუთით მიჩუმდა. მაგრამ უეცრად, მკვეთრად წამოიწია იდაყვებზე, მისკენ გადაიხარა, ავადმყოფური, მეოცნებე ღიმილი დასთამაშებდა სახეზე.

– გახსოვს, როგორ იცინოდა? – ჰკითხა სწრაფი ჩურჩულით, – გახსოვს?ანაზდად, მხურვალედ, თითქოს მოულოდნელად რაღაც ისეთი დაინახა, რომ...

– გაჩუმდი! – მოგუდულად დაიყვირა კაცმა, სული ეხუთებოდა და კიდევ უფრო მაგრად

უჭერდა ხელზე ქალს. ლიზა უხმოდ გადაწვა ბალიშზე და ასე, ხელიხელ, დიდხანს დარჩნენ უმოძრაოდ ფანჯრის მიღმიდან მომზირალი დრაკონული ყვითელი თვალის შუქზე.

სიჩუმეში “ძვირფასი ავგუსტინე” დაამღერა საათმა... ეზოს აკვარიუმში ნელ-ნელა ბაცდებოდა მღვრიე ღამეული სითეთრე, კიდევ ნახევარი საათის შემდეგ კი ერთადერთი ფარანიც ჩაქრა...

რუხი ჩრდილების ფსკერიდან თანდათან იკვეთებოდა ლიზას სახე ბალიშზე: რელიეფურად გამოიკვეთა ყვრიმალები, ცვილივით აპრიალდა ფერმკრთალი შუბლი, გამოჩნდა ამოღამებული უპეები და ბოლოს, მშრალ, ცხელებიან თვალებში ცრემლი აკიაფდა.

და მაშინ კაცი გვერდით მიუწვა და დაიწყო ლოდინი, როდის დაწყნარდებოდა ქალი.

აი, ახლა კი დაბრუნდა ლიზა, – ფიქრობდა იგი, – აი, ახლა ნამდვილად დაბრუნდა.

ქალი კი იოლად, შვებით ტიროდა, მონოტონური ჩურჩულით იმეორებდა სახელს, რომელსაც ბავშვობაში უწოდებდა პეტიას... და გაურკვეველი იყო, მას მიმართავდა თუ საკუთარ თავს.

– მარტინ... მარტინ... მარტინ... – ისე უხმობდა, თითქოს პეტია მის გვერდით, მასთან ჩახუტებული კი არ იწვა, არამედ წარსულში ჩაკარგულიყო, – ქალაქში, სადაც მათი ბავშვობა დარჩა.

თითქოს პეტია ჩამორჩა, და ძალიან კი ცდილობდა, მაგრამ ვეღარ ეწეოდა. ლიზა კი უხმობდა, უხმობდა თითქმის უხმოდ, – ჯიუტი, თავგანწირული იმედით.

თავი მეექვსე

“...დღეს მედდა შირამ მკითხა: “თქვენი ციცქნა ცოლი როგორ არის, ექიმო?”

და შეცბუნდა: ეტყობა, იდიოტური ფიზიონომია მქონდა.

მე ხომ სიტყვა “ცოლი” უწინდებურად, განქორწინებიდან ამდენი წლის მერეც კი, წარმოსახვაში მხოლოდ და მხოლოდ მაიას მიხატავს: ულამაზეს, სწორად აჭრილ ეს ჩემი თერძი ბაბუის გამონათქვამია, – ქერათმიან ქალს, რომელსაც ვერც ასაკი და ვერც სიმსუქნე ვერაფერს აკლებს. ციცქნა სულაც არ არის, სიმაღლით ზუსტად შემეფერება; წლების მატებასთან ერთად ის მხოლოდ სიმწიფის მწკლარტე არომატს იძენს... კაცმა რომ თქვას, მაია ახალგაზრდობაშიც ხშირად იმეორებდა, ჩემს დეკოლტეს ბეწვეული და ძვირფასი სამკაულები უხდებაო. ამით მისი უზრუნველყოფა არ შემეძლო, განსაკუთრებით, აქ ცხოვრების პირველ წლებში (თანაც აქ ბეწვეულის დიდი საჭიროება არც გვაქვს). ჰოდა, მოიწყინა ჩემთან...

“გულს გატკენ სიყვარულითო”, – იტყოდნენ ხოლმე ჩვენში, იმ გაგებით, რომ გაიარა სიყვარულმა, ბაი-ბაი...

კარგი, გეყო, ძმაო. აღიარე: “ძველი მეგობრობის ხათრით” მაინც ხომ შემოგირბენს ხოლმე სანახავად, ჰა?

მაიას გულახდილ და მხიარულ ენაზე ამას

“ჟიმაობა” ჰქვია. სამწუხაროდ, ქალიშვილი მზად არ იყო ზოგი ისეთი უსიამოვნებისთვის, რომელიც შეიძლება თავს დაატყდეს სამოცდარვა წლის მამაკაცს, თუნდაც ის მამაცი გენერალი ან დიდი სამხედრო კონცერნის დირექტორი იყოს.

ასე რომ, იგი კეთილშობილი, გულიანი და მაღალანაზღაურებადი, – მხოლოდ ერთ რამეში ვერ აკმაყოფილებს მაიას. მე კი, როგორც ჩანს, მხოლოდ ამით ვაკმაყოფილებ. და თუმცა გული, გონება და მოდი, მაღალფარდოვნად ვთქვათ: ღირსება! – მიბრძანებენ, რომ კინწისკვრით გავაგდო ეს ამორძალი, ჩემი მხარი, რომელზეც დროდადრო ასე მოხერხებულად უდევს თავი, ჩემი ხელები...

გეყოფათ, ექიმო: ნაბრძანები გაქვს კინწისკვრით უნდა გააგდო! განსაკუთრებით, თუ გაიხსენებ, განქორწინების მიზეზების დამაჯერებლად და მომგებიანად ჩამოთვლისას, როგორ წამოიძახებდა ხოლმე: “ხომ გეუბნებოდი თავი დაიცავი-მეთქი!” (ეს, რა თქმა უნდა, არა დუელის, არამედ დისერტაციის კონტექსტში ითქმოდა).

არაფერია, ექიმო, გამხნევდით, გამხიარულდით... თავს ნუ მოისაწყლებთ: სამაგიეროდ, განქორწინების შემდეგ რამდენიმე მღელვარე რომანი გამოსცადეთ, ასე არ არის? და კიდევ გულზე ხელის დადებით აქვს რაღაც პლიუსები ჯერ კიდევ ახალგაზრდა მამაკაცის ამგვარ ყოფას.

ასე რომ, რაც შეეხება ჩემს “ციცქნა ცოლს”: მაშინვე ვერ მივხვდი, ვის გულისხმობდა მედდა შირა. რა თქმა უნდა, სიმართლეს მთლიანად ვერ დავმალავდი, და კლინიკაში ჩემმა ორმა მეგობარმა საქმის ნამდვილი არსის შესახებ ყველაფერი იცოდა. მაგრამ მედდები ამ უხერხულ ისტორიაში არასდროს არავის ჩაუხედებია.

ამიტომ საკუთარ სახეს როგორღაც გავუმკლავდი და შირას ვუთხარი:

− გმადლობ, მოტეკ

, კარგადაა.

და ჩავფიქრდი...

ლიზა არასდროს მომწონებია... მხედველობაში მაქვს ფლუიდები, ლტოლვა, უპირატესობის მინიჭება და სხვა მსგავსი რამეები. აშკარაა, რომ საკუთარი ფიზიონომია გკარნახობს, რას და ვის მიანიჭო უპირატესობა. ჩემი სიმაღლის გადმოსახედიდან მე კი სწრაფად ავიყარე ტანი და სულ რაღაც 13 წლის ასაკში უკვე მამაჩემის ფეხსაცმელი და სვიტერები მეცვა, − ლიზასნაირი ნამცეცა ქალები ყურადღების ღირსად არ მიმაჩნდა. ვხუმრობდი ხოლმე, პარტნიორი ქალის გამადიდებელი შუშით თვალიერებას ვერ დავიწყებ-მეთქი. თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ლიზას რაღაცნაირი მყიფე, სიფრიფანა, ვიტრინის მიღმა მოლიცლიცე ფაიფურის ფინჯნისმაგვარი სილამაზე ნამდვილად ჰქონდა: გასაოცრად

ლამაზი, ჩამოქნილი ფეხები, ვერცხლისბეჭდებიანი, თლილი თითები... ხმა – სიმაღლისათვის შეუფერებლად დაბალი და მსუყე (მე “პუნქტირულს” ვუწოდებდი), და თითქოს ძახილის ნიშანს ურთავდა ყოველ სიტყვას... და, რაღა თქმა უნდა, ეს მისი სქელი, სპილენძისფერი ფაფარი, რომლის ორეოლშიც მისი ფერმკრთალი სახე გამჭვირვალე ჩანდა, თითქოს შიგნიდან განათებული, როგორც გაზის ლამფა...

არა, ნუ მომთხოვთ ქალ-კამეათა და სხვა სამშვენისთა აღწერას. რადგან მის გარეგნობაში გარკვეულ პერიოდამდე არაფერი ადამიანური და პიროვნული მე არ შემინიშნავს.

სხვანაირად ან როგორ იქნებოდა, როცა ლიზა ბავშვობაშიც და ყრმობაშიც მეც მაღიზიანებდა და ჩემი და პეტკას კიდევ ბევრ ამხანაგსაც: ყველას თავს გვაბეზრებდა და ფეხებში გვებლანდებოდა ყველაზე საინტერესო, განსაკუთრებით, ზაფხულის თვეების, ბიჭურ თავგადასავლებში.

პეტკას ყველგან მოჰყავდა: კინოში, ფეხბურთზე, ქალაქში საბოდიალოდ, – თუკი მოახერხებდა და მოელაპარაკებოდა ევას, ყველაზე წარმატებულ ძიძას, რომელიც ლიზას, მგონი, სამიდან შვიდ წლამდე მწყემსავდა. წარმატებულად მას პეტკა თვლიდა: მოსიყვარულე ევას სახლში ხშირად მოჰყავდა ვიღაც ჯარისკაცუნები, გოგონა კი ხელს უშლიდა, ამიტომ, სარგებლობდა რა ლიზას მამის შინ ხშირად არყოფნით, ლიზას “პიოტრეკთან” ერთად სასეირნოდ უშვებდა,

იმის მიუხედავად, რომ ეს სეირნობა ზოგჯერ მთელი დღე გრძელდებოდა, – ევა ბიჭუნას ანდობდა ბავშვს. პეტკას არანორმალური მღელვარებისთვის, მისი შეშლილობისთვის ამ გოგონასთან მიმართებით უკვე მაშინვე შეეძლო დიაგნოზის დასმა ნებისმიერ ფსიქიატრს.

მახსოვს, ერთხელ, ბიჭების მთელი კომპანია სლოვაცკაიაზე, "საღვეზელეში" ვისხედით, – შინაურული, მყუდრო ადგილი იყო. სომეხი ამუშავებდა. ყველაც ეგრე ამბობდა "წავედით სომეხთან", იმიტომ, რომ ის ან ადმინისტრატორი იყო, ან მზარეული, – ღმერთმა უწყის, არ მახსოვს. ეს კია, რომ იქ საფუვრიანი ცომით გასაგიჟებელ ღვეზელებს აცხობდნენ: თხელკანებს, დაბრაწულგვერდებიანებს, ქიშმიშით გამოტენილებს. მისაყოლებლად კი რძიანი ყავა ჰქონდათ, რომელსაც პირდაპირ ცხვირიან წყალგამაცხელებელში აზავებდნენ. მოუშვებდით ონკანს და ყავა ჩამოისხმებოდა.

"საღვეზელიდან" "დაქანცული ცხენების" მესამედ სანახავად ვაპირებდით წასვლას, უკვე უნდა ავჩქარებულიყავით, ხუთი წლის ლიზა კი ჯერაც იჯდა და მიირთმევდა, პატარა თითებით სათითაოდ აძვრენდა ღვეზელიდან ქიშმიშებს და პირისკენ მიჰქონდა. ამ ზოზინა ბავშვის გამო პეტია მუდამ დამნაშავედ გრძნობდა ხოლმე თავს, ამიტომ დაფაცურდა და ბილეთებზე მე გავიქცევიო, თქვა, ცალი ფეხი რომ იქ მექნება, ცალი აქო. სეანსის

დაწყებამდე ცოტა დროღა რჩებოდა.

ლიზა ჩვენ დაგვიტოვა, წინასწარ კი ფიცი დამადებინა, რომ გოგონას თვალს არ მოვაშორებდი.

– რა უნდა მოუვიდეს, – დაუდევრად შენიშნა ტარასიკმა, – დროზე ჭამე, ცინგლიანო! დავაგვიანებთ შენი გულისთვის!

პეტკა გაქანდა. მაგრამ ერთ წუთში ისევ შემოვიდა კარში:

– ხელი მოჰკიდე! – მომაყვირა შეშფოთებული სახით, – ისეთი პატარაა, ჯიბით წაიყვანენ! – და გაქრა.

დღემდე თვალწინ მიდგას იმ უცნაური მოზარდის სახე: წინ წამოწვდილი გრძელი კისერი, მზერაში მისი არყოფნისას მოსახდენი, ერთ წუთში შეთხზული უბედურებები, – დგას და მაგიდებთან მსხდომი ადამიანების თავებზემოდან მიყვირის, და თან ცდილობს ერთხელაც დაინახოს, ერთხელაც მიეფეროს, დაიცვას ეს სპილენძისფერ-კულულებიანი პაწია თავი...

ვშიშობ, რომ ბევრი რამ არ ვიცი პეტიას შესახებ. ბევრი რამის წარმოდგენა არ შემიძლია. იმ გულახდილი წერილის წაკითხვის მერეც კი, ტომარიში, ქარბუქის სტვენისა და სისინის ხმაზე რომ მომწერა. მაგალითად, – როგორ ცხოვრობდა იქ, სახალინზე, თავისი მანიაკალური სწრაფვის ობიექტის გარეშე? როგორ იწელებოდა მისთვის ის ზამთრები, შემოდგომები და გაზაფხულები, – წლის უმეტესი ნაწილი?

როგორ უმკლავდებოდა მტანჯველ გაურკვევლობას, მისი ცხოვრებისა და მისი სულის ამ უზარმაზარ დანაკლისს, რომლის შესახებაც, თავისი ენაბრგვნილობის გამო, ვერც კი უამბობდა ვინმეს? და ჯანდაბა, რითი იკვებებოდა ეს ფანტასტიკური ერთგულება?

მხოლოდ ის ვიცი, რომ, რაკი მიზნად დაისახა, ყოველ ზაფხულს ჩამოსულიყო ლვოვში, ყველანაირ საშოვარზე გარბოდა: პატარაობისას ფოსტას დაატარებდა, ხოლო რომ წამოიზარდა, ერთჯერად სამუშაოსაც პოულობდა ხოლმე თევზის საწყობებში.

მოგვიანებით, როცა ლიზას მკურნალი ექიმი გავხდი, როცა მოხდა ყველაფერი ის, რაც მოხდა, – როცა ნახევარი ცხოვრება გაფრინდა, – ბევრს ვფიქრობდი ხოლმე ამ წყვილზე. რა იყო ეს, უფრო სწორად, რა არის მათი ეს მწარე, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ავადმყოფური კავშირი? და სულ ახლახან მივხვდი: ჩვენ, ყველას, ვინც კი დავცინოდით პეტკას "ცინგლიან" გატაცებას, ვინც აბუჩად ვიგდებდით მას, ვინც საფეთქელთან ვიტრიალებდით თითს ამაღლებული, და ახლა ასეც ვიტყოდი ტრაგიკული სიყვარულის ჩრდილქვეშ დავაჟკაცების ბედნიერება გვხვდა წილად.

მოკლედ, ლიზამ კარგა მაგრად გვიშალა ნერვები, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც წამოიზარდა. ბავშვობაში საკმაოდ საყვარელი გოგონა იყო. ხუთ წლამდე პეტია ლამის ზურგით დაატარებდა: წამოქაჩავდა

ხელებით (უნდა გენახათ, რა გასხივოსნებული ნდობით გაუწვდიდა ხოლმე გოგონა ხელისგულებს!), წელში წასწვდებოდა და ზურგზე მოიგდებდა, – ეს მათი კარგად გავარჯიშებული ნომერი იყო: “ლიზა: ალე-ჰოპ!” – და დადიოდა ასე, აქლემივით, წვრილ კისერზე ლიზას მკლავებშემოხვეული, ნებისმიერ მანძილზე, თუნდაც, მთელი დღე, – მხოლოდ ფეხბურთს არ თამაშობდა ლიზაწამოკიდებული, – და უდარდელად იმეორებდა, რომ ლიზა ბუმბულივით მსუბუქია. თუ ლიზას რაღაცით დაკავება ხდებოდა საჭირო, მისთვის ესკიმოს ვყიდულობდით. ისიც მხიარულად და მოხერხებულად მიირთმევდა ნაყინს, და შოკოლადის ნამტვრევები პეტიას კისერზე უცვიოდა.

* * *

და უეცრად, რაღაც ერთ წელიწადში იმ ხანებში თოთხმეტი წელი შეუსრულდა ლიზა პატარა გოგონადან, მარადიული ბავშვიდან, ერთბაშად ქალიშვილად იქცა. სიმაღლით ისევ ისეთი, მინიატურული დარჩა, მაგრამ სავსებით გარდაიქმნა.

აქ უნდა გავიხსენო, რომ ერთ-ერთი ჩამოსვლისას, პეტიამ იგი ჟოვტნევაიას ქუჩაზე, საბალეტო სკოლაში წაიყვანა საგამოცდო განხილვაზე. მას არწმუნებდნენ, ნუ აწვალებ დაიკოს, ერთი წელიც მოიცადე, ძალიან ციცქნაა ჯერო, მაგრამ პეტია დირექტორთან შევიდა და მისაღები კომისიის გადაწყვეტილების გადახედვაზე დაითანხმა. ახლა ეს ფანტასტიკურად ჟღერს,

მაგრამ სწორედ ასე მოხდა, პეტიამ მიაღწია თავისას: მისი სიჯიუტე უკვე მაშინ აოგნებდა უფროსებს. ლიზა მიიღეს და მან გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია, მოგვიანებით, როცა უკვე “კულსას” სტუდენტი იყო (ანუ კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის, სადაც საკმაოდ კარგი ქორეოგრაფიული განყოფილება იყო, უფრო სწორად, ხალხური ცეკვების წრე; მაგრამ პეტია ირწმუნებოდა, რომ იქაურობა “კლასიკურ სკოლას” უდრიდა), ის უკვე მაღალ კოშკში, ვარიეტეს პროგრამაში ცეკვავდა.

ეს იყო თოთხმეტი წლის გრაციოზული, ჭირვეული ქალიშვილი, – სწორზურგიანი კაპარჩხანა, სახის თლილი ნაკვთები და მოწიფული ქალის დაბალი, მბრძანებლური ხმა რომ ჰქონდა. რაც მთავარია, მათ შორის, თითქოსდა უხილავი გასაღების ერთი გადატრიალებით შეიცვალა ძალთა თანაფარდობა.

უცნაური დრო დაუდგათ: პეტია ოცდასამის გახდა, ლენინგრადის თეატრის, მუსიკისა და კინემატოგრაფიის ინსტიტუტში, ერთდროულად ორ ფაკულტეტზე სწავლობდა: სათოჯინოსა და სამხატვროზე, იყო თვალისმომჭრელად ნიჭიერი და გარეგნულადაც ძალზე მიმზიდველი: რომანტიკული, შკიპერული პაწია წვერი მოეშვა, დაკუნთულიყო და, თუ რამე კომპანიაში მოხვდებოდა და ცეკვას სთხოვდნენ, გოგოების თვალში წარმოუდგენელ წარმატებას აღწევდა, რაც

მისთვის და მათთვის სავსებით უსარგებლო რამ იყო.

ასე რომ, პიტერში მგზნებარე ცხოვრება ჰქონდა.

იმხანად, ქვეყანა უკვე გვარიანად ყანყალებდა ნაბახუსებ თათებზე და იგრძნობოდა, რომ მალე დაემხობოდა და უამრავ ადამიანს ქვეშ მოიყოლებდა. ჩვენ ყველა ხარბად ვკითხულობდით პუბლიკაციებს სქელ ჟურნალებში, ვნთქავდით ეკონომიკის, ისტორიისა და სხვა, პოლიტიკურად გარდამქმნელ თემებზე დაწერილ სტატიებს. ჩვენ ყველანი ვცხოვრობდით იმ მღვრიე, ძნელადმოსანელებელ ბულიონში, რომელსაც სხვა დასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში “დამდეგი” ეწოდა.

ერთხელ, მოვახერხე და სამი დღით პიტერში ჩავედი პეტიასთან. ჩემს ბიძაშვილთან ვაპირებდი დაბინავებას, მაგრამ იმ დილის გარდა, როცა მის ბინაში შევედი და ნათესავებთან ერთად ჩაი დავლიე, ბიძაშვილთან ერთადერთხელ, მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე შევირბინე. მთელი დანარჩენი დრო პეტიასთან, თოჯინების კათედრაზე გავატარე, რეპეტიციებსა და სპექტაკლებს ვესწრებოდი, ან მასთან ერთად რაღაც კომპანიებში დავდიოდი, და მხოლოდ სამი-ოთხი საათი გვეძინა დღე-ღამეში, მის გაქუცულ, საერთო საცხოვრებლის ტახტზე, რომელიც დიდი საშიშროება იყო, რომ უბრალო ცხვირის დაცემინებაზე ჩანგრეულიყო კიდეც.

უცნაურია: პეტია არასდროს ინტერესდებოდა პოლიტიკით და იმით, რასაც, ჩვეულებრივ, “საზოგადოებრივ ცხოვრებას” უწოდებენ; ზოგადად, სულაც ფეხებზე ეკიდა საზოგადოება და, ვშიშობ, ადამიანებიც. მით უფრო გაუგებარია როგორ ახერხებდა, ასე გენიალურად ეგუმანა იმ წლების საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი მოტივები... მოკლედ: მან ორი თოჯინა დაამზადა, ხელზე წამოსაცმელი ორი თოჯინა, რომლებსაც, რამდენადაც მესმის, რუსული ბალაგანის ტრადიციული პეტრუშკა უნდა ჩაენაცვლებინათ. უფრო სწორად, მან პეტრუშკა ორ პერსონაჟად გაყო. ესენი იყვნენ ატასი და კირდიკი.

მოუსვენარი, ნერვიული, მსუქანა ატასი გამუდმებით რაღაც “პროექტებს” წამოიწყებდა ხოლმე, რეფორმებისთვის იბ რძოდა, სიტყვით გამოდიოდა, ირწმუნებოდა, ამხელდა, ესალმებოდა, და უთუოდ ხვდებოდა იდიოტურ და ძალიან სასაცილო სიტუაციებში. მისი მგზნებარე, ენისგასატეხივით სწრაფი, გაუგებარი მეტყველება, მისი შეძახილები და შეკივლებები რომელიღაც ნახევრადშეშლილ ორატორებს მოგაგონებდათ. პირქუშ, ცხვირპირჩამომტირალ კირდიკს ჭიაყელასავით წაგრძელებული ფიზიონომია რომ ჰქონდა და თვალებზე ჩამოფხატული კეპი ეხურა მუდამ ყველაფრის ეშინოდა,

ქვეყანასა და ხალხს უბედურებებს, კატასტროფებსა და აღსასრულს უწინასწარმეტყველებდა. იგი მკაფიოდ, ნელა და მძიმედ ლაპარაკობდა. თოჯინებს დალევა უყვარდათ, ყოველი სცენის დასასრულს, კარგად გამომთვრალები ურთიერთობების გარკვევას იწყებდნენ, რაც მუშტი-კრივით მთავრდებოდა. ყველა მინიატურა ამ "ვაჟკაცების" მონაწილეობით ისეთი სასაცილო იყო, რომ ცრემლებამდე, ტკივილებამდე და კუჭის აშლამდე მიჰყავდა ხალხი. მაყურებელი საკუთარი თვალით მაქვს ნანახი გმინავდა და წარამარა ცხვირს იხოცავდა.

დაწვრილებით აღარ მახსოვს, მაგრამ ყველაზე სასაცილო იყო სცენა გამოსაფხიზლებელში. ამ სცენაში ატასი ლამის სახელმწიფო მოღვაწედ გვევლინებოდა, რომელიც პოლიციამ შემთხვევით შეაგდო გამოსაფხიზლებელში, ხოლო კირდიკი წყალწაღებულ ბომჟად. ორივე ერთნაირ მდგომარეობაში, ნაბახუსებ პროსტრაციაში მყოფი იღვიძებდა ერთ ტახტზე, ერთი გადასაფარებლის ქვეშ. აი, ამ დიალოგმა, რომელიც ნაბახუსების გულისრევიდან გლობალურ ფილოსოფიურ განზოგადებებამდე ადიოდა, ისტერიკაში ჩამაგდო. ისე, ჩემს მცინარობაზე ჯერ კიდევ სკოლაში დადიოდა ლეგენდები.

ერთ-ერთი ასეთი წარმოდგენის შემდეგ ვკითხე: როგორ იგონებ ამდენ სასაცილო რეპლიკას-მეთქი? მიპასუხა, არაფერს ვიგონებ, უბრალოდ, მთვრალი მამაჩემის

“გამოსვლებს” ვიმეორებო. ეგ ერთ-ერთი გმირი, მაგრამ მეორე? მეორეც მამაჩემია, – უდარდელად მომიგო პეტკამ, – ოღონდ დღე-ღამის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მდგომარეობაში.

ამ ორი, თავზეხელაღებული ტიპით იგი წარმოდგენებს იქ მართავდა, სადაც მოუწევდა უფრო ხშირად, ჯერ კიდევ კორსეტმოჭერილი ქვეყნის რაღაც ნახევრადოფიციალურ სცენებზე. მაგრამ ზონრები თანდათან ეშვებოდა, დამპალი კორსეტი იშლებოდა, და აქა-იქ სისხლშეგუბებული სხეულის ნაწილები მოჩანდა... და, თუმცა გარშემო ოფლის მძაღე სუნი ვრცელდებოდა, რაღაც პარადოქსული მიზეზების გამო სუნთქვა მაინც უფრო თავისუფლად ხერხდებოდა... უკვე შესაძლებელი გახდა წარმოდგენისათვის ამა თუ იმ კულტურის სახლში გექირავებინა დარბაზი, და თუ ბაზარი გაიფილტრებოდა, ტელევიზიისთვისაც კი შეიძლებოდა რამის შეტენვა.

ასე და ამრიგად, იმ წელს პეტია არნახულ სიმაღლეზე ადიოდა. და ვინ იყო ამ დროს ლიზა? არავინ: თოთხმეტი წლის ცინგლიანი, განებივრებული, აუტანელი მუზმუზელა.

მახსოვს იმ შემოდგომაზე პეტიას გაცილება ლვოვიდან: ის და ლიზა მამაჩემისეული “ჟიგულით” მივიყვანე აეროპორტში (ო, ჩვენი შინაური, ძველბერძნული აეროპორტი, მისი კოლონები და პორტიკები, სასაცილო,

სამიარუსიანი პაწია კოშკი მის კინკრიხოზე...)

პეტკას ბარგი უკვე ჩაბარებული ჰქონდა, მაგრამ ჩასხდომაზე ვერ გადიოდა, ლიზა არ უშვებდა. დავიტანჯე, მოსაწევად გასვლა მინდოდა, მინდოდა, პეტკა მალე და მშვიდობიანად გაუჩინარებულიყო ბარიერს იქით, მით უმეტეს, რომ საფორმო კიტელში გამოწყობილმა ქალმა უკვე სამჯერ დაიყვირა: “ლენინგრადი! ჩასხდომა იწყება! მთავრდება ჩასხდომა ლენინგრადზე!” – მაგრამ ბოლო წუთებში ლიზამ ნამდვილი ისტერიკა მოაწყო: ვეღარაფერს, ვეღარავის ხედავდა და მოთქმით გაჰკიოდა:

– მეც წამიყვანე, მარტინ!@ წამიყვანე აქედან!!!

და პეტია, დაბნეული მზერით, დამნაშავე ბურტყუნით ცდილობდა მოხვეოდა, დაემშვიდებინა, დაეწყნარებინა... ლიზა ხელიდან უსხლტებოდა, განზე გარბოდა, ფეხებს აბაკუნებდა და იქიდან უყვიროდა სახეზე ცრემლჩამომდინარე, გაწეწილი, გარშემო ვეღარაფრის და ვეღარავის დამნახავი:

– საზიზღარო, მარტინ, საზიზღარო!!!@ არ დამტოვო აა-ა-ააქ!!!

ჩემთვის, იმხანად თავქარიანი ყმაწვილისთვის, ეს სცენა ფრიად ჭკუისსასწავლებელი გამოდგა. სწორედ იმ დღეს მივხვდი, რომ ქალი მაშინ კი არ ხდება ქალი, როცა ფიზიოლოგია თავის სადირიჟორო ჯოხს აიქნევს, არამედ მაშინ, როცა მამაკაცის მიმართ დამანგრეველ

ძალაუფლებას იგრძნობს.

დარწმუნებული ვარ, – ყველა, ვინც ამ სცენას შეესწრო, თავს იმტვრევდა: ვინ უნდა იყვნენ ერთმანეთისთვის ეს ორნი? მეგობრები? – არა, შეყვარებულები? – არა, – ეს გოგო ჯერ მთლად წიწილაა! და-ძმის პირობაზე კი მეტისმეტად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან...

არადა ორ ნაწილად, ორ ნახევრად იპობოდა, იხლიჩებოდა, იშლებოდა ერთი სული; აშკარად ავადმყოფური, ფორიაქა, მეოცნებე და ვნებიანი სულის ორი ნახევარი...

...და თუ ჩავუფიქრდებით ეს ხომ მისთვის, ლიზასთვის, მართლაც იყო ბავშვური ტრავმა: პეტია მუდამ მიდიოდა, მუდამ ტოვებდა მას. ასე მოითხოვდა გარემოებები, ასე აეწყო მათი ბავშვობა და ახალგაზრდობა პეტია იძულებული იყო წასულიყო...

და აი, ცხოვრების შუაგზაზე მათ როლები გაცვალეს: პირველი შემთხვევა იყო, რომ ლიზამ, სწორედ რომ ლიზამ მიატოვა პეტია.

მხედველობაში მაქვს მისი პირველი მკურნალობა ჩვენს კლინიკაში.

თავიდანვე მოვახერხე და წარმატებულად შევურჩიე მკურნალობის კურსი, და ლიზამაც საკმაოდ სწრაფად დააღწია თავი გამწვავებას.

როგორც კი მის მდგომარეობას გამონათებები შევნიშნე და როგორც კი მასთან კონტაქტის დამყარება გახდა

შესაძლებელი, დავიწყე მისი ერთი-ორი საათით ქალაქში გაყვანა მინდოდა, გამოხალისებულიყო, ელაქლაქა ჩემთან, მინდოდა, გემრიელად მეჭმია მისთვის სადმე: საავადმყოფოს საკვები ხომ, რაგინდ კარგი იყოს, კვირიდან კვირამდე, ყოველდღიურად თუ იღებ, მაინც ყელში ამოდის და გზიზღდება. თან ჩვენი პაციენტების საზოგადოებაც დიდად არ გიბიძგებს ხალისიანი განწყობისკენ. მოკლედ, მინდოდა საავადმყოფოს კედლებს გარეთ დავკვირვებოდი ლიზას. ეინ-კერემეში რომელიმე სიმპათიურ რესტორანს შევარჩევდი ხოლმე და განზრახ ვითრევდი ლიზას იქაური საწებლებისა და კერძების განხილვაში, რათა მენახა როგორ ესაუბრებოდა ოფიციანტს, ამჟღავნებდა თუ არა ინტერესს საჭმლის, ინტერიერის, ადამიანების მიმართ, – მოკლედ, მინდოდა მისი ზოგი რეაქცია შემემოწმებინა.

სწორედ მაშინ, უნებურად, მისი უფრო ღრმად გაცნობა დავიწყე. და სიმართლე რომ ვთქვა, კატა რომ ალაპარაკებულიყო ჩემ თვალწინ, ასე ძალიან არ გავოგნდებოდი... იძულებული გავხდი საკუთარ თავთან დარცხვენილად მეღიარებინა, რომ მთელი ცხოვრება ლიზას მხოლოდ და მხოლოდ პეტიას დამატებად აღვიქვამდი. შესაძლოა, ბავშვობის ხანიდან გამოყოლილი შეხედულება მასზე, როგორც პეტკასთან მეგობრობაში ხელისშემშლელ ფაქტორზე, აქამდე ნებას არ მაძლევდა კარგად დამენახა იგი, საფუძვლიანად მომესმინა, რას ამბობდა...

აღმოჩნდა, რომ ლიზა საკმაოდ ნაკითხია, და რომ წაკითხულის შესახებ კარგად და საფუძვლიანად მსჯელობა შეუძლია; რომ კარგად ერკვევა მუსიკაში, და კლასიკური რეპერტუარის საყოველთაოდ ცნობილი, გავრცელებული ნაკრები როდი უყვარს; რომ მთელი მათი მოხეტიალე ცხოვრების მანძილზე აიძულებდა პეტიას ქალაქიდან ქალაქში ეზიდა ფერწერული ტილოები, რომელთაც ყიდულობდა, თუ ამის შესაძლებლობას მათი მწირი შემოსავალი მისცემდა. აღმოჩნდა, რომ დაკვირვებული, მგრძნობიარე და გულმოწყალეა. და თუ მოსაუბრისგან დაცინვას არ გრძნობდა, – უფრო სწორად, საუბრის განმავლობაში თანდათან თუ გათავისუფლდებოდა თავისი მუდმივი დაძაბულობისაგან, თანამოსაუბრის მხრიდან რაღაცნაირი, მამაკაცური ირონიის მუდმივი მოლოდინისაგან, – მთელი არსებით ერთვებოდა საუბარში და ზოგჯერ ძალიან მაოცებდა თავისი ამა თუ იმ, არაბანალური მოსაზრებით.

გამწვავების საწყის ეტაპზე ლიზას მხოლოდ საკუთარ ტკივილზე შეეძლო ლაპარაკი ანუ, პეტიაზე, მხოლოდ პეტიაზე: მათ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე. აი, მაშინ გადაიშალა ჩემ თვალწინ მთელი მათი ხეტიალის სურათი პერიოდი, რომლის შესახებაც ბევრი არაფერი ვიცოდი: თეატრების უსასრულო ცვლა, უბადრუკი შემოსავლები, ირგვლივ კი ცხოვრებისგან გატანჯული, მთვრალი და დამშეული პროვინცია...

ეს ყველაფერი მძიმე მოსასმენი იყო; მაგრამ ვცდილობდი, ბოლომდე ეთქვა სათქმელი, რათა როგორც ფსიქოლოგები ამბობენ “მთელი ნეგატივი გარეთ გამოსულიყო”, თუმცა, ღმერთია მოწმე, ასეთ საქმეში არასდროს იცი, სად იშრიტება ნეგატივის ჩირქი და სად იწყება სულის სისხლდენა.

თავის აკვიატებულ იდეათა შორის ლიზას ყველაზე მეტად თოჯინებზე პეტიას გაგიჟების, ანუ მისი შეშლილობის იდეა უყვარდა.

– ბორია, – მეუბნებოდა გამოცოცხლებული ხმით, – იცი, რატომ მიამაგრა მან ყარაგიოზს ის იდიოტური პროთეზი? – პასუხის მოლოდინში ხანმოკლე პაუზას ჩართავდა, რომლის განმავლობაშიც მე დაბნეული ღიმილით ვათვალიერებდი სასმელების მენიუს, იმ იდეით, რომ მტკივნეული თემიდან რამე სხვაზე გადავრთავდი; ბოლოს და ბოლოს, ის კმაყოფილად ამოთქვამდა:

– იმიტომ, რომ უპროთეზოდ ყარაგიოზი, უბრალოდ, ძაღლია, ცოცხალი ტექნოლოგიის ინვალიდი. პროთეზით კი თოჯინაა. მას მხოლოდ თოჯინები აინტერესებს, გესმის, ბორია? დამეთანხმე, რომ ეს ავადმყოფობის ნიშანია.

მისი გამონათქვამები, რაღა თქმა უნდა, ბევრწილად შემაძრწუნებელი და უსამართლო იყო... მაგრამ ზოგჯერ მათში ისეთი სულისშემძვრელი სევდა გამოსჭვიოდა, რომ გული მეწურებოდა, და მავიწყდებოდა, რომ მისი ექიმი ვარ.

– თავიდან ჩემგან გააკეთა თოჯინა, – მითხრა ერთხელ, – მერე სრულყოფილების უმაღლეს მწვერვალს მიაღწია: თოჯინისგან მე გამაკეთა...

იერუსალიმის ერთ-ერთ მიმზიდველ, ნახევრად სოფლურ გარეუბანში, რესტორან “კარმას” შემინულ ტერასაზე ვისხედით, განიერ ფანჯარასთან, საიდანაც იშლებოდა ხედი გორნენის მონასტერზე, რომლის გუმბათებიც ისე ელავდა მთის ტყიან ფერდობზე, როგორც პატარა ოქროსფერი ღილები მწვანე, ფუმფულა ბეწვზე...

– იმას მე არ ვჭირდები, ბორის. ამ ადამიანს მხოლოდ თოჯინები სჭირდება. მის იმპერიაში არ მოიძებნება ადგილი ცოცხალი ქალისთვის...

ცოტა ხანს ჩუმად იყო, სუფრას აუთოებდა, ასწორებდა ვიწრო ხელისგულებით, რომელთა მიხედვითაც პეტკამ, – ამაში თვითონ გამომიტყდა, – თავისი საუკეთესო, ჯოხით სამოძრაო თოჯინის, ტომარიორის, შეუდარებელი ხელები დაამზადა. ეს თოჯინა ერთი იაპონური ზღაპრის მიხედვით დადგმული სპექტაკლისთვის შეიქმნა.

და უცებ ლიზამ ამომხედა და თქვა:

– აი, შენ მე მკურნალობ, ბორია. მაგრამ თუ ჩავუფიქრდებით, ნამდვილი გიჟი, ნამდვილი მანიაკი ისაა.

... – და იცი თუ არა, – მითხრა ერთხელ ლიზამ,

ჩვენი მორიგი “სასადილოდ გაძრომის” დროს, – რომ ქორწილის მერე, მე და ის მთელი თვე-ნახევარი ორი განდეგილ-მონაზონივით ვცხოვრობდით? რომ ვერა და ვერ ბედავდა იმას, რის გაკეთებასაც ყველა ნორმალური შეყვარებული მამაკაცი მტანჯველი მოუთმენლობით ელის? ო არა, – მან ხელისგული ასწია მაღლა და დამცინავად გადააქნია თავი: – ამ თვალსაზრისით სავსებით ჯანმრთელია. და არ მიხსენო რაღაც განსაკუთრებული და მღელვარე სიყვარული, ეგ დამტკბარი ტყუილიც ისევე მირევს გულს, როგორც ის პეტრუშკული ბოდვა, რომ თითქოს ეშინოდა... რომ მე, თურმე, პატარა ვარ, ნამცეცა, ბავშვივით ფაქიზი... – ლიზამ ჩაიცინა და ჩაილაპარაკა: – მე ყოველთვის ჯანმრთელი გოგო ვიყავი, და პატარა ტანს, მაპატიე უხეში გამონათქვამისთვის, მაგრამ ჯერ არავისთვის შეუშლია ხელი ჟიმაობაში. მაგრამ გეტყვი - რაც იყო ეს. გეტყვი, რა იყო, როცა ისე მაგრად მიხუტებდა, რომ ვეღარ ვსუნთქავდი, და რა იყო მისი კბილების კრაჭუნი, ძილშიც კი: თავისი მთავარი თოჯინის დაკარგვის ეშინოდა. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ცოცხალი ქალის რანგში უნდა გავეყვანე. ჩემში ცოცხალი ადამიანი ეღიარებინა! არაფერი თქვა, ბორის, ვიცი, რომ ყოველთვის მას იცავ!

და მეც არაფერი მითქვამს. რაღაც ამდაგვარს მეც კარგა ხანია, ვეჭვობდი.

ჯერ კიდევ მაშინ, არმიანსკაიაზე, ყავახანაში რომ ვისაუბრეთ, როცა ვარწმუნებდი “კარგად

გარკვეულიყო ყველაფერში, არ აჩქარებულიყო”, და რაღაც ამდაგვარებს ჩავჩიჩინებდი, – თითქოს საუბარი მის მრავალწლოვან სიყვარულს კი არა, არამედ ცეკვა-გართობისას გადაყრილ რაღაც შემთხვევით ნაცნობობას ეხებოდა (დღემდე ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის ის ჩემი მაშინდელი ბანალური, ფარისევლური დამოძღვრა ამაზრზენი წმინდა მამა!), – პეტიამ უცებ შემაწყვეტინა ლაპარაკი და გამომიცხადა, რომ, უბრალოდ, ვალდებული იყო, ბოლოს და ბოლოს, წაეყვანა ლიზა ლვოვიდან.

– შენ არ იცი ყველაფერი, – ჩაიბურდღუნა მან, – დეტალები არ იცი.

– ო’კეი! – ავიჩეჩე მხრები (იმხანად ყოველ სამ სიტყვაში ვურთავდი ამ იდიოტურ “ო’კეი”-ს). – კი ბატონო, წაიყვანე. მაგრამ რაში გჭირდება შტამპი სახელმწიფო ინსტიტუციებში?

მან ყურადღებით და დამცინავად შემომხედა თვალებში და მკითხა:

– რა, არ იცი, შეE ინ-სტი-ტუცია, რომ ქალისთვის საკუთარი თავის ცოლად აღქმაა აუცილებელი და არა საყვარლად?

და სწორედ ამ დროს საშინელი შეცდომა დავუშვი.

– ჰო მაგრამ, თქვენ ხომ ისედაც დიდი ხანია... რა არა? ანუ, – რა, აქამდე არ ისა?..

– გაინტერესებს, არასრულწლოვანთა გამხრწნელი ვარ თუ არა? – გამაწყვეტინა

მან ცივად და სკამის საზურგეზე გადაწვა. – არა. არ ვარ!

და მეც მოვკეტე.

არავითარი არასრულწლოვანი ლიზა იმ დროს არ იყო. მაგრამ მივხვდი, რომ პეტიას ეს სიტყვები იყო პასუხი ყველა ჩვენს მზერაზე, ჩაცინებაზე, მიხვედრილ თავის დაქნევაზე, ყველა ჩვენს გამოუთქმელ, ირიბად გადაკრულ სიტყვაზე, რასაც უხმოდ, საკუთარ სულში ჩამალულად დაათრევდა ლიზას წამოზრდის წლებში.

ახლა მესმის: ის, რაც მაშინ ფსიქოზად, ფაზის აცდენად, “კრამიტის დაცურებად” მეჩვენებოდა, სხვა არაფერი იყო, თუ არა საკუთარი თავისთვის დაწესებული მსახურება. მან, უბრალოდ, ბავშვობიდანვე ლიზას მიუძღვნა საკუთარი თავი. რაღაცით თოჯინების თეატრის კეთილშობილ რაინდს წააგავდა: ჩაფხუტი და ჯავშანი, არაფრისმაქნისი მახვილი, გრძელი ფეხები, მოუსვენარი ხელები და თაბაშირისგან ნაკვეთი ნატანჯი სახე...

მერე რა, ვეუბნები საკუთარ თავს. ხომ თანავუგრძნობთ რომეოსა და ჯულიეტას, რომლებმაც თავი მოიკლეს სიყვარულისთვის? და ასეთი რამეები მხოლოდ სცენაზე არ ხდება. დიახ, ვეუბნები საკუთარ თავს. მაგრამ ჩვენ არ ვიცით, როგორ იქნებოდნენ რომეო და ჯულიეტა და სხვა მათი მსგავსნი ქორწინებიდან სამი წლის შემდეგ...

* * *

წლევანდელი შემოდგომა, ოქტომბერი...

იმ დროისათვის ლიზას უკვე ორი თვე ჰქონდა გატარებული კლინიკაში და ვხედავდი, – კარგად ვხედავდი, – ძალიან ენატრებოდა პეტია, თუმცა არასდროს მეკითხებოდა, დარეკა თუ არა, რა სიახლეებია მისკენ, რა გეგმები აქვს და როგორ ცხოვრობს. მაგრამ უკვე სწერდა და სწერდა მას მძულვარე წერილებს და უსასრულოდ მსჯელობდა ჩემთან იმაზე, – ო, ეს მარადიული თემა! – თუ როგორ იცხოვრებდა მარტო, დამოუკიდებლად.

ეს კარგი ნიშანი იყო: ლიზა ნორმას უბრუნდებოდა. მე ხომ თავიდანვე ვერ მივხვდი, რომ ეს დაძაბულობა და აღგზნებულობა, ეს მარადიული ომი ყველა ფრონტსა და ყველა თემაზე მათთვის სწორედ ნორმაა, მათი სიყვარულის მაღალი, გიჟური ტემპერატურა. ნებისმიერი თემა მათ ხელში დუღილის სტადიას აღწევდა და ორივეს პირველი ხარისხის დამწვრობით ფუფქავდა. ლიზას ცოფიანი ტემპერამენტი, რომელსაც ბოლომდე წამლებიც კი ვერ უმკლავდებოდნენ, რაღაც შექსპირული ვნებებით ახურებდა ორივეს. ისინი ყველაფერს გაათმაგებული სიმძლავრით განიცდიდნენ. და ამ ყველაფერშიც მომიტევეთ, ამას რომ ვამტკიცებ, მაგრამ იყო რაღაც, თოჯინების თეატრისეული.

ავიღოთ, თუნდაც, მათი უბედურება. სიტყვები უძლურია, არანორმალური ბავშვის დაბადება

უდიდესი უბედურებაა ოჯახისთვის. მაგრამ ის სულ პატარა მოკვდა, და არ დაუტოვებია მნიშვნელოვანი მოგონებები საკუთარ თავზე...

მრავალი წელი ვიცხოვრე რა ტრაგიკულ ქვეყანაში, სადაც მშობლები ომებსა და ტერაქტებში კარგავენ ჯანმრთელ და საუკეთესო შვილებს, სადაც ცოლები უდროოდ დაღუპულ ქმრებს დასტირიან, ბავშვებს კი არ ახსოვთ ახალგაზრდა მამები – მივეჩვიე უბედურებაში გამოვლენილი უდიდესი ამტანობისა და ცხოვრების ხელახლა დაწყების ჯიუტი მისწრაფების ცქერას...

ეს ორნი კი ვერა და ვეღარ აღწევდნენ თავს იმ უბედურებას... ისინი თავიანთი ავადმყოფი ბიჭუნას უსიტყვო აურაში განაგრძობდნენ ცხოვრებას... და თუ უეცრად ერთმანეთს ჩასჭიდებდნენ ხელს, ეს იმას ნიშნავდა, რომ საუბარსა თუ ფიქრებში ერთ-ერთ მათგანს, – ანუ მეორესაც, იმწამს "პეტრუშკას სინდრომით" დაბადებული ვაჟიშვილის სახემ გაუელვა...

და ამაში პეტკას ვადანაშაულებდი ეს მისი სტილი იყო: იგივე ბეჯითი მსახურება, მხოლოდ ახლა ხსოვნისადმი მსახურება. ეს იგივე მონაზვნობა იყო და, ეშმაკმა დალახვროს, არავის რომ არ სჭირდება, ისეთი წმინდანობა.

მოკლედ, მომინდა, რაღაცით გამეხარებინა ლიზა, ბუნებაში, "ლამაზ გარემოში"

გამეყვანა იგი.

ერთ-ერთ კვირადღეს მანქანით შევუარე კლინიკაში და ეინ-გედისკენ გავქროლდით. არა ნაკრძალისკენ, სადაც დაუძლურებული მცენარეები ხარობდა, სამიოდე თხა დახტოდა ქვა-ღორღიან ბილიკებზე და ლამის დამშრალი ჩანჩქერი მოწანწკარებდა კლდიდან, არამედ კიბუც

ეინ-გედის ბოტანიკური ბაღისკენ, რომელიც მყისვე ამომიტივტივდება ხოლმე წარმოსახვაში, როცა რომელიმე წიგნის კითხვისას სიტყვა “სამოთხეს” გადავეყრები.

ცხელი, მშრალი, მოყვითალო-მოლურჯო დღე იყო, რომელიც კიდევ უფრო გალურჯდა, როცა მოსახვევში, თითქოსდა ზეცის საპასუხოდ, ვეება ლურჯი ბლინივით მოლაპლაპე მკვდა რი ზღვა გამოჩნდა.

ლიზა ყუჩად იჯდა და იღიმებოდა, თუმც დილიდან პირქუშად გამოიყურებოდა... მერე ალაპარაკდა აქაურ, დაუნდობელ შუქზე, რომელიც, თითქოს გასილაქებს, ცრემლს გადენს დანესტრილი თვალებიდან და სამყაროს აღქმის ფოკუსს გიცვლის. ჩვენ სხვადასხვა ადგილთა სხვადასხვაგვარად განათებულ სივრცეებზე ავლაპარაკდით და საუბარი, როგორც ეს ხშირად ხდებოდა, ჩვენი ბავშვობის ქალაქს ჩაუღრმავდა. და სანამ მივქროდით, გავიხსენეთ ადამიანები, რომელთა გვერდით მრავალი წელი გავატარეთ, რაღაც ცალკეული შემთხვევები, ვიღაცების ბედისწერები და, რაღა თქმა უნდა, ჩვენი ბავშვური ოინების გახსენებაც არ

დაგვიწყებია.

– და ბრიუხოვიჩი გახსოვს? – მეკითხებოდა ლიზა, თვალებს ჭუტავდა და მზის შუქით გამჭოლად განათებულ, მეწამულ ხელისგულს იფარებდა თვალებზე. მისი ხშირი, აბრეშუმივით სრიალა და ალისფერი თმის დანახვაზე – თანაც ამ დეკორაციების ფონზე! – წარმოსახვამ რაღაც მწყემსურის, რაღაც კრავულის, რაღაც ბიბლიურის ხილვა დაიწყო... თვალი ვეღარც კი მოვაცილე.

ბრიუხოვიჩი – დიახ, ეს იყო ტბებიან-წიწვოვანტყეებიანი საკურორტო ზონა ქალაქიდან ოც კილომეტრში: სანატორიუმები, პიონერთა ბანაკები... მწვადების გასამრავლებელი პლანტაციები. ღმერთო, რამდენი წელია, რაც ბრიუხოვიჩი აღარ გამხსენებია?

– ავტობუსი იქით ლემკოვსკაიადან გადიოდა, გახსოვს? და ის სახელოვანი "საჩებურეკე", ქვემძრომთა ბუდე? – ხელსახოცების მაგივრად ტუალეტის ქაღალდის რულონი რომ იდო, თეფშები – ქაღალდის, ჭიქები ქაღალდის... და თან ფეხზე დგომით ყველაფერი...

– არადა, რა ჩებურეკებს წვავდნენ! – უეცრად ავენთე, – ოჰ, რა ჩებურეკები იყო! – ხრაშუნა, წვნიანი... შეჭამდი და, ეგრევე მაისური უნდა გაგერეცხა, არ ყოფილა შემთხვევა, რომ გულზე არ ჩამომწუწვოდა. და ხის კასრში ჩადებული მჟავე კიტრიც რომ ჰქონდათ, აღარ გახსოვს?

– რატომ აღარ მახსოვს? თვითონვე ამწნილებდნენ...

...და ჩვენი წარსული, სულ მცირედში რომ ჰქონია შეხება: ქუჩებისა და პარკების ტოპონიმებში, მაგალითად, და ისიც მხოლოდ ბავშვობაში, – უფრო ზუსტად, ზაფხულის თვეებში, ერთი ბიჭის გამხდარ მხრებზე რომ ატარებდა, – უხილავ ლანდად მოქროდა ჩვენთან ერთად, გადმოკიდებულ კლდეთა გასწვრივ მარჯვნიდან და თვალისმომჭრელი სილურჯის გასწვრივ მარცხნიდან, სანამ გვერდითა გზაზე არ გადავუხვიე და მოსახვევების სერპანტინით არ ავუყევი მთას, სადაც მკვდარი უდაბნოს შუაგულში თითზე ჩამოსათვლელი რომანტიკოსი მსუყე, საოცარ სურნელს აფრქვევდა, მეოცნებე სამოთხეს ქმნიდა...

რაღა არ ჩაერგოთ ამ კლდეში, რათა მას შრომისა და ალერსის საპასუხოდ ათასი უცნაურობა ეხარებინა: ტანადი ლამაზმანები და ნაირ-ნაირი სიგანის ბოთლა-მახინჯები: ჯერ მარტო კაქტუსები იყო წარმოდგენილი თავისი გვარისა და ჯიშის მთელი არმიებით! მარაოებად გადაშლილიყვნენ პალმები; ტროპიკული, ტანდაბალი და მძიმევარჯიანი, ლალისფერკვირტებიანი ხეები თავზე გადმომხობოდნენ უცნაურ, შვიდფერა თეთრიდან ლილისფერამდე ბუჩქებს.

მაგრამ ყველაზე გასაოცარი “ბაობაბები” იყო – ასე მათ ტურისტებისთვის შეარქვეს; სინამდვილეში სულ სხვა, პატივსაცემი სამეცნიერო სახელი ერქვათ. მათი დაძარღვულ-დაკუნთული, ხის

ვენებდაბერილი (მოხუცი მტვირთავის ძარღვებდაბურცული ხელივით) ღია ფერის ღეროები, მათი მიწამდე გადმოკიდებული და მიწაშივე ჩაზრდილი ტოტებ-ფესვები ან მრავალფეხება ხეს მოგაგონებდათ, ან რაღაც სტიქიურ, გაუვალ წინაღობას, ან გაქვავებულ, გიგანტურ, ჯერაც ბოლომდე ვერშეწებებულ მაკარონს საწურში.

მთელი ამ მაქმანური და ფუშფუშა-ეკლოვანი დიდებულების წიაღში კი კიბუცის კატები განუზომლად თავისუფალი არსებები დაიარებოდნენ, დიდი ხნის წინ რომ მიეღწიათ თავიანთი მაძღარი სამოთხის საზღვრისთვის.

– აქ ხომ ზოოპარკიც აქვთ, – გამახსენდა, – მოსკოვისას ან ბერლინისას ვერ შეედრება, მაგრამ ამ ფერფლისფერი მთების ფონზე მაინც სანახაობაა. გინდა ნახო?

ო, მას ყველაფერი, ყველაფერი უნდოდა. და, დაახლოებით საათ-ნახევარი დავეხეტებოდით მთის ფერდობის ციცქნა ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენს იქ სეირნობას სრულებით არ იმსახურებდა... რამოდენიმე გალიასა და ვოლიერში კარგა ხანს ვათვალიერეთ კიბუცური ნოეს კიდობნის, უფალმა უწყის, რაოდენ მდიდარი ცხოველთა სამყარო, აქაური მზისგან სული ძლივსღა რომ ედგა.

ყველაზე ჯანიანად და თავმომწონედ ნასუქი, გაბრაზებულ კატისხმიანი მამალი ფარშავანგები გამოიყურებოდნენ,

საფირონის გულ-მკერდი და ტოპაზებდაყრილ ზურმუხტის ბოლოთა მძიმე მარაოები რომ ამშვენებდათ; კიდევ აქ ცხოვრობდა რამდენიმე ენოტი; ძველი რეჟიმის გუვერნანტი ქალებივით მკაცრი ორი-სამი ლამა; პაპანაქებისგან გაქვავებული სამი მტვრიანი ნიანგი; მაიმუნი, მონდომებით რომ მიირთმევდა მუჭში გულისამაჩუყებლად ჩაბღუჯულ რაღაც სასუსნავს; მოყვითალო-ფირუზისფერ თუთიყუშთა მთელი კოლონია, ხმაურიან პავილიონში რომ ბინადრობდა, რომლის შემრგვალებული ჭერი პაწია მოწნული სახლებით, კალათებითა და საქანელებით იყო დახუნძლული; და აგრეთვე, რამდენიმე ვეება კუ.

ერთი ყველაზე ბებერი კუს გვერდით ფოტო გადავუღე ლიზას. კუ ყოველ წუთს დაღლილად ქინდრავდა თავს და ბაკნის ქვედა ფილაზე დებდა, ასე მარჯვედ რომ შეეშვირა მისთვის წინდახედულ ბუნებას, და მაშინ ეს მელოტი, მოჭმუჭნულტყავიანი თავი მოხუც, ყელზე ბაბთიან კონფერანსიეს მოგაგონებდათ, კულისებში, სკამზე ჩამომჯდარს წამით რომ ჩაჰყვინთვია თავისი გამოსვლის მოლოდინში.

უეცრად ლიზამ ჩემკენ მოაბრუნა გაბრწყინებული სახე და ფარული ზარ-ზეიმით ჩაილაპარაკა:

– ყველანი ცოცხლები არიან!

ძალიან ბედნიერი იყო! არა მგონია, ამ ბოტანიკურ ბაღს მასზე მადლიერი, მასზე

შთაბეჭდილებებით შეძრული დამთვალიერებელი ჰყოლოდა ოდესმე. ლიზა აღფრთოვანებისგან ოხრავდა, მყისვე ტრიალდებოდა ჩემ მიერ მითითებული რომელიმე კაქტუსისა თუ ბუჩქისკენ, აღტაცებასა და სიხარულს აფრქვევდა გამაოცა კიდეც ამგვარმა რეაქციებმა სედატიური პრეპარატების ფონზე.

ბოლოს და ბოლოს, ზოოპარკიდან გამოვედით და მშრალ, ქარიან ხვატში კიბუცური სასადილოსკენ ავუყევით გზას. ქვემოთ მკვეთრი, თვალისმომჭრელი ათინათებით მოელვარე ზღვა იწვა. ზემოთ კი ფერფლისფერ მონსტრად აზიდულიყო და არემარეს გამოქვაბულთა შავ-შავი თვალებით გადმოსცქეროდა უზარმაზარი კლდე, რომელსაც ქალური სახელი “ცრუია” ერქვა.

და სწორედ ამ დროს რაღაც დამემართა... ეშმაკმა უწყის ჩემი თავი რა მეტაკა: მზემ დამკრა, გონება ამემღვრა, ტვინი დამიბნელდა თუ რა...

ლიზა ჩემ წინ, ციცაბო ბილიკით მსუბუქად და იოლად ადიოდა, არც ფიქრდებოდა, სად დაებიჯებინა ბავშვურ ბოტასში გამოწყობილი ფეხები: პაციენტი კი არა, უბრალოდ, ქალი იყო ჯინსიანი, ცისფერმაისურიანი, – ძალიან მოქნილი, საუცხოოდ აწყობილი ქალი... და უცებ უცნაურად ამიჩუყა გული მისმა პატარა ტანმა. საბრალო გოგონა, – გავიფიქრე, – უცხო

ქვეყნის, უცხო ენის წიაღში ჩაკარგული საბრალო ავადმყოფი გოგონა, ჩიტივით უსუსურს რაღაც არარეალური “დამოუკიდებელი ცხოვრება” რომ განუზრახავს გულადად (ნეტავ, თვითონ თუ სჯერა ამ დამოუკიდებლობის?)... – და მომინდა მივფერებოდი, რომ, თუნდაც, სულ ცოტა ხნით ეგრძნო მცირედი სითბო...

მაგრამ, იქნებ, საკუთარ თავს ვატყუებ? იქნებ, პირიქით, – მე, მარტოსულ იდიოტს, მე თვითონ მომინდა უეცრად მცირედი სითბო?.. მოკლედ, დავეწიე ბილიკზე და მხარზე შევეხე.

სურვილის მიხედვით, ამ ჟესტის რამდენიმენაირად გაგება შეიძლებოდა: როგორც ქალის შეჩერების მცდელობა, რათა კიდევ რომელიმე ფრინველი ან ხვლიკი დამენახვებინა მისთვის; როგორც სურვილი, ხიდან ჩამოვარდნილი ხმელი მჭადა მომეცილებინა მისთვის მხრიდან...

საინტერესო იქნებოდა შეხებათა ფსიქოლოგიის შესწავლა. ასჯერ მაინც შევხებივარ ამ სხეულს ლიზას გასინჯვის, მასთან საუბრის ან, უბრალოდ, მისი მოსმენისას. და ლიზა ამას ყოველთვის ნდობითა და სიმშვიდით უდგებოდა როგორც, კაცმა რომ თქვას, უნდა უდგებოდეს კიდეც პაციენტი მკურნალი ექიმისგან შეხებას. და აბა, რა იყო იმ ჩემს ჟესტში, მის მხარზე იმ ჩემს ხელის დადებაში ისეთი, რომ ორივე გაქვავებულებივით შევდექით, და ლიზა ყველაფერს მიხვდა, მე კი თითქოს ცეცხლი მომედო, და, ალბათ, გავწითლდი

კიდეც, რაკი ერთბაშად და სავსებით შევიგრძენი ჩემი სულელური ქმედების თვალსაჩინოობა.

ლიზა არ გამძალიანებია, არ გაბრაზებულა; უბრალოდ, შემოტრიალდა, პირდაპირ თვალებში ჩამხედა და მშვიდად ჩაილაპარაკა:

– აზრი არა აქვს, ბორია. ეს უკვე ვცადე... მან მხოლოდ თავისთვის გამაკეთა...

ის ჩემზე მაღლა იდგა ბილიკზე. პირველად ვხედავდი მის სახეს ქვევიდან ზევით, ეს სხვა რაკურსი იყო, თავგადაწეული ქალის ძველთაძველი რაკურსი, რომელსაც მამაკაცი თავისი სიცოცხლის საუკეთესო წუთებში ხედავს. და თითქოს ყინულოვანი წყალი გადამასხესო: წარმოვიდგინე პეტკა, მისი მწვე ლი დღეები და ღამეები...

ორიოდე წამიც და კვლავ აღმა მივუყვებოდით ბილიკს, და ორივესათვის რაღაც უმნიშვნელოზე ვსაუბრობდით, რათა სიჩუმე არ ჩამომდგარიყო.

...კიბუცის მთავარი შემოსავლის წყარო ტურისტული ბიზნესი იყო.

ტროპიკულ სიმწვანეში ლამაზად მოჩანდა დამთვალიერებლებისთვის აგებული, აქა-იქ მიმოფანტული პატარა სახლების კრამიტის სახურავები. მთის ყველაზე ჩრდილოვან ალაგზე კი ეს-ესაა დაფრენილი მფრინავი თეფშივით ქათქათებდა სასადილოს ვეება შენობა. სადღაც, შორიახლო, ღია საცურაო

აუზი უნდა ყოფილიყო, რასაც წყლის ყრუ დგაფუნის ხმა მოწმობდა. ხოლო სასტუმროს შესასვლელში, ორი უზარმაზარი “ბაობაბის” ჩრდილქვეშ მოწყობილ ხისიატაკიან პატარა მოედანზე საზაფხულო კაფე მოეწყოთ, რამდენიმე მოწნული მაგიდა და სკამი გამოეტანათ...

ლიზამ გადაწყვიტა სასტუმროს ფოიეში შეეხედა და, ესე იგი, – თუ ჯერ კიდევ რამე გამეგება ქალების, – შესაძლო იყო, დიდხანს შერჩენილიყო სამკაულებისა და სუვენირების სალონში. “ბაობაბის” ჩრდილქვეშ მაგიდას მივუჯექი და ოფიციანტ გოგონას მენიუს მოტანა ვთხოვე.

გოგონა, როგორც ჩანს, ახალი ამოსული იყო საცურაო აუზიდან თმა ნოტიო კი არა, გალუმპული ჰქონდა, რის გამოც მხრებსა და მოკლე მაისურზე, რომელიც მკვრივ, გარუჯულ მუცელსა და ჭიპს ვერც კი უფარავდა, პაწია ნაკადულებად ჩამოსწანწკარებდა წყალი. იქნებ, უფრო მეტი გასამრჯელოსთვის შეთავსებით მაშველად მუშაობდა საცურაო აუზზე?

აქედან, კუზიან კაქტუსებსა და ფუფალებს

შორის, მოჩანდა ლიცლიცა ზღვა, იორდანიის ვარდისფერი მთები და კლდის ფერხთით გაწოლილი, მზის შუქზე თითბრისფრად მბზინავი, მიხვეულ-მოხვეული გზატკეცილი.

ლიზასთან მომხდარმა წეღანდელმა ეპიზოდმა, ჩემმა თავდაჯერებულმა სიბრიყვემ გაუსაძლისი სევდა დამიტოვა, თუმცა, ბოლო წლებში შევეჩვიე ექიმ

გორელიკის სხვადასხვაგვარი სახის იაღლიშების რაღაცნაირად დალაგება-ჩაფარცხვას.

მზის სათვალე მოვიხსენი და რამდენიმე წამს დახუჭული ქუთუთოების ნარინჯისფერ ნისლში მომიხდა ჯდომა. შემდეგ კი დაწყნარების მიზნით კარგი, კარგი, ექიმო, ძველ მეგობრებს შორის რაღა არ მოსულა! – მსუბუქი მენიუს შესწავლას შევუდექი. წინა ჩამოსვლიდან მახსოვდა, რომ აქ არაჩვეულებრივ სოკოს პუდინგს ამზადებდნენ.

სწორედ ამ დროს, ქვემოთ, მანქანების სადგომზე პატარა კომპანია გამოსამშვიდობებელი შეძახილებით ერთბაშად დაიშალა: სამნი ნაცრისფერ “სუბარუში” ჩასხდნენ და წავიდნენ, მეოთხემ კი დიდხანს უქნია მათ ხელი, მერე შემოტრიალდა და კაქტუსებს შორის გაყვანილ ბილიკს ზემოთ ამოუყვა. ბილიკი სანახევროდ რომ ამოიარა, კაცმა თავი ასწია და გაორმაგებული ენთუზიაზმით ისევ დაიწყო ხელის ქნევა. რა მოხდა, მეგობრები უკან დაბრუნდნენ? არა, კაცი მე მესალმებოდა, სწორედ მე. ასეთია სახანძრო კოშკის მარადიული ხვედრი: სანამ მოვასწრებ ვინმეს შემჩნევასა და ცნობას, თვითონ მცნობენ, თანაც შორიდან, და, ღმერთმა არ ქნას, რომ საპასუხოდ მეც მყისვე არ ავტეხო ხელების ქნევა და სიხარულის ფრქვე ვა სწყინთ. ამიტომ, სანამ ვიცანი ხაიფას საავადმყოფო “რამბამის” ექიმი ზივი, ყოველი

შემთხვევისთვის, მეც გავუღიმე და თათები მაღლა ავწიე მისალმების ნიშნად.

ჩვენ ყოველ წელს ვხვდებოდით ერთმანეთს კონფერენციებზე; ერთხელ თელ-ავივის სასტუმროში რომელიღაც მდიდრულ მიღებაზე შევეჩეხეთ ერთმანეთს და ოციოდე წუთს სასიამოვნოდ ვიმუსაიფეთ. ერთხელ კიდევ, საერთო ნაცნობების ოჯახში (ჩემთვის საკმაოდ შორეულები იყვნენ) ერთ მაგიდასთან აღმოვჩნდით. ზივი იყო სამოცდაათიოდე წლის წარმოსადეგი, ენერგიული და ჯანმრთელი მამაკაცი, რაღაცნაირი, დაბერებული ჩარლი ჩაპლინი, ცისფერ თვალებში მოულოდნელი, სტუდენტური სიმკვირცხლე რომ ეტყობოდა. იგი იყო მეგობრული, იოლი და, რაც მთავარია, დელიკატური, რაც იშვიათობას წარმოადგენს აქაურ საზოგადოებაში. ეს კია, თუ მეხსიერება არ მღალატობს, ზივი მთლად აქაური არც იყო, და, მგონი, საიდანღაც, აღმოსავლეთ ევროპიდან იყო ჩამოსული, – კარგა ხნის, ასე ორმოცდაათი წლის წინ.

– ოჰო! აჰა! ექიმო გორელიკ! – გაღიმებული მიახლოვდებოდა იგი, და მისმა მკვეთრმა, შეიძლება ითქვას, საზარელმა რუჯმა და დასიებულმა, ჩასისხლიანებულმა ცისფერმა თვალებმა მიმახვედრა, რომ ექიმი ზივი უკვე არანაკლებ სამი დღე იყო, რაც აქ ისვენებდა და უკვე მიღებული ჰქონდა წყლისა და მზის პროცედურების გვარიანი დოზა.

– ბედი მანებივრებს, მოწყენის საშუალებას

არ მაძლევს: ეს-ესაა, მეგობრები გავაცილე, ახლა კი თქვენ შეგხვდით. როგორ გამახარა თქვენმა კომპანიონობამ!

– ვაგლახ, – გავეპასუხე მე, – სამწუხაროდ, კომპანიონი ვერ ვიქნები. უფრო სწორად, მხოლოდ ერთი საათით შემიძლია.

– სამწუხაროა, – თქვა მან, სკამი ოდნავ გასწია ხის მაქმანისებრი ჩრდილისკენ და ჩამოჯდა, – მე კი აქ ჩემს ფსორიაზს ვხრუკავ და მოწყენილობისგან სული მძვრება. სამი წიგნი მოვინელე ორ დღეში და გავიხარე, რომ მეგობრები ჩამოვიტყუე იერუსალიმიდან. არქიტექტორები არიან, არაჩვეულებრივი ადამიანები, მშვენივრად გაატარეს დღევანდელი დღე... შეიძლება, იცნობთ კიდეც: ისინიც მოსკოველები არიან, თქვენი თანამემამულეები. ხომ არ მეშლება, – მოსკოველი ხართ, არა, ექიმო გორელიკ?

– ბორისი, უბრალოდ, ბორისი... – ჩემი სახელი აქ, რატომღაც, პირველ მარცვალზე მახვილით წარმოითქმის, რასაც ყოველთვის პედანტურად ვუსწორებ თანამოსაუბრეს, – არა, მე ლვოვიდან ვარ.

ზივი უხმოდ გადაწვა სკამზე, წარბი ისე აწია, თითქოს რაღაც საგანგებო სიახლე აცნობესო, და დინჯად წარმოთქვა:

– აჰა... ოჰო... ესე იგი, ლვოვიდან. აქამდე როგორ არ ვიცოდი?

– ეს რამეს შეცვლიდა? – ვკითხე ღიმილით.

მანაც მყისვე გაიღიმა საპასუხოდ და თქვა;

– არაფერს! სრულიად არაფერს! – და უცებ ჩემკენ გადმოიხარა და შეთქმულივით ჩამილაპარაკა:

– არაფერს, გარდა იმისა, რომ, ალბათ, პოლონური გესმით, ჰა?

– პროშემ პანა! – მივუგე მე. – ტო პან ზე ლვოვა?! ა ბალაკ პან ეშჩე პომენტა?

და ორივემ ერთდროულად გავიცინეთ...

ჩვენგან მოჩანდა კაფეს შენობის განიერდახლიანი სავაჭრო ფანჯარა. მასში, როგორც ჩარჩოში, მოძრაობდა დაქანცული ოფიციანტი გოგონა, – იგი სიგარეტს, წვენით სავსე ქილებს, თხილსა და სხვა მრავალ წვრილმანს აწვდიდა ნახევრად ან თითქმის მთლიანად შიშველ დამსვენებლებს: თუ ედემია, ედემი იყოს! დამსვენებელთა ოთხმოცი პროცენტი აქ თავის გერმანულ, შვედურ ან კიდევ რომელიმე სხვა ფსორიაზს მკურნალობდა არცთუ იაფი მზის სხივებით, რომლებიც, რადაც უნდა დაგჯდომოდა, უნდა გეყიდა.

ორი დანაოჭებული, შორტებში გამოწყობილი მოხუცი ქალი კამათობდა გერმანულ ენაზე. ისინი დიდხანს არჩევდნენ რაღაცას დახლზე და ბოლოს, როცა აარჩიეს და დახლს მოსცილდნენ, ოფიციანტმა გოგონამ გამიღიმა ფანჯრიდან და უსიტყვოდ დამეკითხა, – შეკვეთაზე რას ფიქრობთო. ეს ადგილობრივ მოსახლეობაში ფრიად გავრცელებული ჟესტია: ხელის მტევანი თითქოს უხილავ ნათურას ხრახნის ბუდეში. უარყოფის ნიშნად თავი გავაქნიე.

ლიზა აშკარად ვეღარ შორდება სუვენირებისა და სამკაულების რომელიღაც დახლს. მე კი მინდოდა თვითონ გასცნობოდა მენიუს, აერჩია, მერე უარეყო, მერე ისევ აერჩია, – მოკლედ, კონტაქტში შესულიყო გარესამყაროსთან, მაგალითად, ამ კიბუცელ ქალთევზასთან.

– ლვოვში ყოფილხართ? – ვკითხე ექიმ ზივს.

– ო-ო-ო... – ექიმმა ზივმა დიდ, ლამაზ, საფეთქლებთან ფსორიაზშეპარულ თავზე ზღარბის ეკლებივით ამოქოჩრილ ჭაღარაზე გადაისვა ხელისგული, შემდეგ შორტის უკანა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მაგიდაზე დააგდო. მერე ჯიბეებში სანთებელას ძებნას მოჰყვა.

– ლვოვი! ეს, იცით... იცით რა... ნომერში დამრჩენია! ო, დიდი მადლობა!.. იქ კარგა ხანს ვცხოვრობდი. თუმცა ყაზახეთში დავიბადე, სადაც მამაჩემი, თავისი გრძელი ენის გამო, ბრიტანელი შპიონის თანამდებობაზე მოხვდა, ბანაკის სალაფავის საჭმელად. თუ დაგაინტერესებთ, გიამბობთ. – ზივი ერთბაშად გამოცოცხლდა, – მაგრამ ამან სიკვდილს გადაარჩინა. ისიც და მეც ხომ იცით, რა ბედიც ეწია ლვოვის ებრაელ მოსახლეობას: გერმანელებმა ფესვებიანად ამოძირკვეს, თუმცა პირველი დარბევა, – ძველი, კეთილი ტრადიციის თანახმად, – ადგილობრივი მოსახლეობის ხელით განხორციელდა. ლვოვი ხომ ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქალაქთაგან, სადაც გეტოც

იყო, საკონცენტრაციო ბანაკიც... რას ვლაპარაკობ, უჩემოდაც კარგად იცით ყველაფერი...

იგი ჩემი სანთებელას წვეტიანი ალისკენ დაიხარა; სასაცილოდ, თითქოს საკოცნელად მობუშტა ტუჩები, რომლებშიც სიგარეტი გაერჭო, ღონივრად მოქაჩა და მერე ზევით აუშვა კვამლის ნაკადი, რომელმაც "ბაობაბის" ქვედა ტოტამდე მიაღწია, ჩიტი დააფრთხო და მერე ცოტა ხანს ჭაღარა ძონძად დაეკიდა ტოტზე.

– თუმცა ამაზე ხმამაღლა საუბარი მიღებული არ იყო, – შევნიშნე და მეც მოვუკიდე სიგარეტს, – იცით, საბჭოური ლვოვი ყოველთვის ებრძოდა წარსულს. ჩვენს დროს იანოვსკის საკონცენტრაციო ბანაკის ადგილზე მილიციის ძაღლსაშენი იყო განთავსებული, და კიდევ სრულიად მოქმედი ბანაკური ტიპის ბარაკები.

მან თავი დამიქნია და ფიქრიანად ამოუშვა კვამლი, თითებით კი მინის საწიწაკეს აწვალებდა, რომელიც ჭადრაკის ეტლს წააგავდა. მერე შეტრიალდა და თვალი ჩაუკრა გოგონას. ის აუჩქარებლად, საპასუხოდ გაღიმებული წამოვიდა ჩვენკენ, თან გზადაგზა ჯერაც შეუმშრალი თმის კულულებს იშორებდა შუბლიდან.

– ერთი ბოთლი მინერალური, – უთხრა ზივმა, – ისე, უბრალოდ, რაღაცით რომ შევიქციოთ თავი.

გოგონამ ჩაიცინა, შებრუნდა და წავიდა, თან გამომწვევად მიაბიჯებდა გარუჯულ,

ნიჩბებივით გრძელ ფეხებს. ორივემ გავაყოლეთ მზერა.

– ჰო... ლვოვი... – მან თვალი მოაშორა გოგონას და სიგარეტი საფერფლისკენ გაიწვდინა. – გამოცანა ქალაქი... ნესტიანი ჰავა, ტუბერკულოზი, ქვა, ვიწრო ქუჩები... თვალსაჩინო ღვთისნიერებისა და დაფარული მანკიერების ნაზავი... – შუასაუკუნეობრივი მორალი. მახსოვს, მიდიხარ ტრამვაით, შიგ კი ვიღაც ქალები ერთმანეთს ლანძღავენ... და უცებ ტაძარი მოჩანს ფანჯარაში! – და ქალები უდიდესი მონდომებით ისახავენ პირჯვარს. რაღაცნაირი, მისტიკური კუთხე-კუნჭულები ჰქონდა იმ ქალაქს, პირდაპირ შემაშინებელი ადგილები...

მაგრამ მე მაინც მოვესწარი იმ ევროპულ ლვოვს, მის შეუდარებელ პოლონურ შარმს. ჯერ კიდევ მახსოვს ის სუფთა ქვაფენილები, ვარდები, მონაზონი ქალები ქუჩებში, – მათ შორის, ფეხშიშველად მოსიარულეებიც, “ფეხშიშველა კარმელიტების” ორდენიდან... ჯერ კიდევ დადიოდნენ საზიდრები ახლაც ჩამესმის ფლოქვების ხმა, – ცხენებს კუდები აკრული ჰქონდათ, უკანალქვეშ კი ბრეზენტის პატარა საფარველი ჰქონდათ ამოდებული, რომ ფუნა პირდაპირ სათლში ჩაცურებულიყო...

აქ, მთის წვერზე, პაპანაქების დროსაც კი ქარი უბერავდა და “ბაობაბის” ხმელ-ხმელ ფოთლებს ატკაცუნებდა. თუმცა, იქნებ, ეს

ჩიტები იყვნენ, რომელთა ხმასაც (მჟღერ ჭახჭახს, ჭიკჭიკს, გადაძახილს, სტვენასა და ნაზ ჟღურტულს) უხილავი, მაგრამ მჭიდრო კარავი მოექსოვა მთელი კიბუცის თავზე? იქნებ, სწორედ ჩიტები დაფრთხიალობდნენ შეხმატკბილებულად მწვანე ტევრში და მაგიდებზე ფერთხავდნენ ხმელ ფიჩხებსა და დაგორგლილ ხის ჭიებს?..

– დღემდე თვალწინ მიდგას იმ გიჟი ლვოველების ტიპაჟები, – განაგრძობდა ზივი, – იქ ხომ ძნელი არ იყო ჭკუიდან გადასვლა: ვიწრო სივრცე, ვნებათა სიმრავლე, ნაირგვარი გონება, დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები. ქალაქს, რომელმაც ზაჰერ-მაზოხის ფანტაზიები და სიზმრები შვა, ნამდვილად ეკუთვნის, რომ რაღაც გარკვეული ოდენობით ამ სიზმრების განსახიერებას წარმოადგენდეს... ხოლო მოსახლეობა, რომელიც საუკუნეების მანძილზე მაჭარივით დუღდა და ღვინდებოდა?.. დამეთანხმეთ, რომ საკმაოდ პიკანტური რეცეპტია: ერთი მესამედი პოლონელები, ერთი მესამედი, ებრაელები, რუსინები, გერმანელები, სომხები, ბოშები... სივიწროვესა და შებოჭილობაში სიცოცხლის რა მძლავრი ამოფრქვევა ხდება! და ენა მჟღერი, არც მთლად პოლონური, ლვოვური პოლონური ენა...

მას ლვოვზე სურდა ლაპარაკი და სიამოვნებდა ეს თვალსაჩინო იყო, – რომ თანამემამულეები გამოვდექით, თუნდაც ირიბად, რადგან, ჩემი აზრით, ადამიანები მხოლოდ მაშინ არიან ნამდვილი

თანამემამულეები, თუ ერთ ქალაქში ერთსა და იმავე წლებში გაიზარდნენ, – ადგილის არსი და იერი ხომ ისევე ცვალებადია, როგორც დროის არსი და იერი...

– მაგრამ ოცდაცხრამეტში, რუსების მოსვლის შემდეგ, და მოგვიანებითაც, მოხდა... რომელი კომპიუტერული ტერმინი მოუხდება? – ჰო, მოსახლეობის გადატვირთვა: ებრაელები განადგურებულნი იყვნენ, პოლონელები საბჭოებმა "მოსახლეობის გაცვლის ფარგლებში" გაასახლეს, – სიმპათიური ფორმულირებაა, არა? ისეთი, რაღაცნაირი საჭადრაკო როქი... სომხები კი სადღაც აორთქლდნენ, წავიდ-წამოვიდნენ... ამასთან, სტალინმა გადაწყვიტა, სავაჭრო, კულტურული, მისტიკური ლვოვი ინდუსტრიულ ქალაქად გადაექცია... ჰოდა, ქალაქს მიმდებარე სოფლები მიაწყდა, სწორედ ის გლეხობა მიაწყდა, "პოლონელების" დროს, ქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე გამოჩენაც რომ ეკრძალებოდა, ეკრძალებოდა ქუჩებში ფეხშიშველა სიარული. მათაც ქალაქის შემოსასვლელამდე ხელით მოჰქონდათ ჩექმები და იქ იცვამდნენ. და ძალიანაც კარგი: დეიდაჩემისგან გამიგია, რომ სოფლელი დედაკაცები პირდაპირ დარცხვენილი ქალაქელების თვალწინ, საქვეყნოდ ჩაცუცქდებოდნენ ხოლმე... საწარმოები რომ გაიხსნა, საბჭოთა სპეცები ჩამოვიდნენ, და მოჯდა ყველგან ძლევამოსილი, წარბშეუხრელი რუსეთი ჩამოსული ხალხი... სხვა კომპანია... ქალაქი,

თითქოს კონტუზიამ აიტანა... და, თითქოს საკუთარ თავს ვეღარ სცნობდა.

– დიახ, მაგრამ ყოველთვის ასე ხდება მოსახლეობის ტრაგიკული ჩანაცვლების დროს, – შევეწინააღმდეგე მე, – თქვენც ხომ იცით, ახალი ქსოვილის მიხორცება რთული და ნელი პროცესია. მაგალითად, მამაჩემისთვის, წარმოშობით ოდესელისთვის, ლვოვი ვერა და ვერ იქცა მშობლიურ ქალაქად. მაგრამ მე იქ დავიბადე, იქ გავიზარდე, ლვოვის ყველა კუთხე-კუნჭულს თვალდახუჭული მივაგნებ... ამასთან, ჭიპლარის როლს ზოგჯერ სულ სხვადასხვა რამ თამაშობს: ხან მერძევის ბიდონის წკარუნი, ხან მეზობელი ყავახანიდან მოღწეული ყავის სურნელი, ხან პოლონელი ძიძა, ომამდელ კუპლეტებს რომ გიმღერის... და მერე, ებრაელებს ეძნელებათ ცვლილებებთან...

– ებრაელებს, – გამაწყვეტინა მან და მოულოდნელი სევდა გაუკრთა ცისფერი თვალებში, – იმ მცირედს, ვინც ჰოლოკოსტს გადაურჩა, ეშინოდა ამ ქალაქის, შავი ჭირივით ეჯავრებოდა ის! როცა ომის დამთავრებიდან პირველივე წელს იდიშის თეატრი ევაკუაციიდან დაბრუნდა, მსახიობები გაოგნდნენ: ქალაქი ცარიელი იყო.

იდა კამინსკაია კინაღამ ჭკუიდან შეცდა: ქუჩებში დაეხეტებოდა, რაღაცას ბუტბუტებდა, სულ ვიღაცას ეძებდა და ვერ პოულობდა... უკვე აქ, ისრაელში, ერთი ჩემი ნაცნობი ქალი ის მონაზვნებმა დამალეს

წმინდა იურის ტაძარში მეუბნებოდა, ლვოვში ჩასვლა არ შემიძლია, არ შემიძლია მის ქუჩებში სიარულიო, – ეჩვენებოდა, რომ საფლავებზე აბიჯებდა... რა თქმა უნდა, გსმენიათ “სიკვდილის ტანგოს” შესახებ: როგორ დააყენეს გერმანელებმა წრეზე კონსერვატორიის პროფესორები და ორკესტრის მუსიკოსები და როგორ აიძულეს რომელიღაც ცნობილი ტანგო დაეკრათ, თან კი სათითაოდ ესროდნენ და ხოცავდნენ; ჰაიდნის “გამოსათხოვარი სიმფონიის მაგვარი” იყო რაღაც, გახსოვთ? – მუსიკოსები სათითაოდ აქრობენ სანთლებს და გადიან სცენიდან... ბოლოს ერთადერთი, უკანასკნელი სანთელიღა ციმციმებს და ერთადერთი, უკანასკნელი ვიოლინოს ხმაღა ისმის... და ესეც ქრება.

ჩვენი გრძელფეხება კიბუცელი გოგო მოგვიახლოვდა. ისევ იმ ზარმაცი ღიმილით მოღიმარმა მაგიდაზე მინერალური წყლით სავსე ბოთლი და ორი ბოკალი დადგა. მხრები უკვე შეშრობოდა, მაგრამ მიმზიდველი ჭიპის ღრმულში ჯერაც ცისარტყელას ფერებში უბრწყინავდა წყლის წვეთი.

– სხვა არაფერი? – იკითხა მან.

– ჯერ დაისვენე, – სერიოზულად მიუგო ექიმმა ზივმა, – მაგრამ ფხიზლად იყავი, განიშნებ... კარგი გოგონაა, – თქვა და მიმავალ გოგოს გახედა, – ჩემს უმცროს შვილიშვილს ჰგავს, აბიგაილს. ესენი, ნებაზე რომ მიუშვა, ტანსაცმლის უკანასკნელ ნაკუწსაც შემოიძრობენ ტანიდან...

– არც გადასახლებული პოლონელები ჩქარობენ ლვოვის სანახავად ჩამოსვლას, – ვთქვი. – ვის ეხალისება დაკარ გული მემკვიდრეობით ტკბობა? ისინი ხომ მსუბუქად მიდიოდნენ, მთელ ქონებას ტოვებდნენ, მხოლოდ თბილი საცვლები, რამე ძველი ნახატი და ლვოვური აქცენტი მიჰქონდათ თან. თვალცრემლიანები მიდიოდნენ და იმ თავის “Lwow jeszcze bede nasz”-ს

მამაჩემი ის სწორედაც რომ სვერდლოვსკის მანქანათმშენებელ ქარხანას ჩამოჰყვა, – მიყვებოდა, რომ ომის შემდეგ საქალაქო საბჭოში ბინის ორდერებს მისამართის მიუთითებლად გასცემდნენ: დაიარე და აარჩიე. მიტოვებული სახლები ავეჯით, ჭურჭლით, ათასნაირი საოჯახო ნივთით იყო სავსე... მამას მეგობარმა, ქარხნის მთავარმა ინჟინერმა, ორმოცდაათი პურის სანაცვლოდ რომელიღაც მიმავალი ოჯახისგან თეთრი როიალი შეიძინა ქალიშვილისთვის, “ბეხშტეინი”. ის ხალხიც ძალიან ბედნიერი დარჩა, რომ ასეთ წესიერ ადამიანს გადაეყარნენ. ჩვენი მეზობელი მანია კი, – ის კერძო სახლში შესახლდა, სადაც ადრე ორი პოლონელი ძმა ცხოვრობდა, – მთელი ცხოვრება იხსენებდა, როგორ ევედრებოდა ერთ-ერთი ძმის ცოლი, უნიკალურ ფაიფურის სერვიზში სულ ცოტა ფული მაინც მიეცა მისთვის. “რამე მაინც მომეცი! – ეხვეწებოდა თურმე ქალი, – მე ხომ ყველაფერს გიტოვებ, რაღაც მაინც მომეცი!” მაგრამ სად იყო იმ დროს ფული, მანიას

თვითონაც არ ებადა არაფერი, ერთი გროშიც კი... და მაშინ იმ პოლონელ ქალს სერვიზის მსხვრევა დაუწყია. პედანტურად: აიღებდა თეფშს და დაახლიდა იატაკს; აიღებდა მეორე თეფშს და იმასაც დაახლიდა. ასე ამსხვრია და ამსხვრია...

– ო, დიახ, დიახ... – ექიმმა ზივმა სიგარეტი ბოლომდე მოწია და ნამწვი საფერფლეში ჩასრისა. – მოდით, ყავას შევუკვეთავ?

– არა, გმადლობთ. თანამგზავრთან ერთად ვარ და მინდა ვასადილო. მაგრამ ეჭვი მაქვს, რომ მან საიუველირო დახლი დაინახა და მარილის ლოდად იქცა. ხუთ წუთსაც დაველოდები და მერე მის მოსაძებნად წავალ.

ექიმი ზივი დაფიქრებული იცქირებოდა იქით, სადაც კაქტუსების ეკლიან მტევნებს შორის გამაოგნებელი სილურჯე ელვარებდა.

– თქვენ ხომ ჯერ ყმაწვილი ხართ, – ამოიოხრა გაღიმებულმა, – მე კი მშვენივრად მახსოვს შუა ორმოცდაათიანები. მაშინ დაბადებულიც არ იყავით, არა? ჩვენ კი უკვე ფრანტები ვიყავით, ვარშავიდან “ცისფერი ჯაზი” ჩამოდიოდა ხოლმე... ჰოტელ “George”-ში ჯერ კიდევ მოძრაობდა ძველი ლიფტები, წითელხავერდგამოკრულები, შიგ სკამებითა და მელიფტით... ქუჩებში ჯერ კიდევ შეგხვდებოდნენ უცნაური, გამჭვირვალე სახისკანიანი პოლონელი ქალბატონები... ჯერ კიდევ მიღებული იყო ლვოვში, ცნობილ ადგილობრივ მკერავებთან კოსტიუმის ან პალტოს შესაკერად ჩამოსვლა...

რაღაა სალაპარაკო! – მან ამოიოხრა და კვლავ გადაისვა თავზე ხელისგული, თითქოს ამოწმებდა, ხომ ყველაფერი ადგილზეაო. ეტყობოდა, ერთ დროს ამ გაქუცული, ზღარბის ეკლებივით თმის ადგილზე გრუზა, სქელი ქოჩორი ბიბინებდა.

– მერე კი მე და დედა ვარშავაში გადავედით, პოლონეთში მასობრივი რეპატრიაციის ტალღაზე. თუმცა იქიდან თითქმის მაშინვე გავემგზავრეთ ისრაელში: პოლონეთში ველური ანტისემიტიზმი ყვაოდა, და სიმართლე რომ გითხრათ...

ერთბაშად დადუმდა, თითქოს წაბორძიკდაო. რაღაცნაირად, მთელი სახე შეუკრთა, ცისფერი თვალები ჩაუმუქდა, და ამ წამიერად შევარდნილი თვალებით რაღაცას თუ ვიღაცას დააცქერდა ჩემს ზურგს უკან.

შემოვტრიალდი. სუვენირების სალონის კარიდან ლიზა გამოვიდა და ჩვენი მაგიდისკენ გამოეშურა. სწორედ მას უმზერდა დადუმებული ექიმი ზივი.

– რამე მოხდა? – ვკითხე.

– არა, – მიპასუხა ზივმა, – არაფერი.

– ლიზა, – მივმართე, როცა მოგვიახლოვდა და გაუბედავად, როგორც მოსწავლე დაფასთან, გვერდით დამიდგა. ის ყოველთვის იძაბებოდა უცნობი ადამიანების საზოგადოებაში, – გაიცანი: ეს ჩემი კოლეგაა, ექიმი ზივი, ხაიფადან. შეგიძლია ინგლისურად ესაუბრო.

– რაზე ვესაუბრო? – თავაზიანი, შეშფოთებული, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით დაინტერესდა იგი და ზივს შეხედა. კითხვა ბეჯითად, ჩემი ნებისმიერი დავალების დაუყოვნებლად შესრულების მზაობით იყო დასმული. საუბარშიც ჩაერთვებოდა, თუ მოვისურვებდი.

მე დამამშვიდებლად გავუღიმე:

– არაფერზე, თუკი არ გენდომება, – და ასე, გაღიმებულმა, ვუთხარი ექიმ ზივს ივრითით: – ჩემი პაციენტია, ძველი მეგობრის მეუღლე. სრულ რემისიამდე ჯერ შორია. შებოჭილია, იძაბება უცხოებთან.

ზივმა მიხვედრილად დამიკრა თავი, გულიანად გაუღიმა ლიზას, ხელი გაუწოდა და უთხრა:

– ჰაი, ლიზა, ნაის თუ მით იუ...

კარგია მიხვედრილ ადამიანებთან ურთიერთობა.

ლიზას სკამი გამოვუწიე:

– დაჯექი, მენიუს ჩახედე რას ისურვებდი? ჯერ წყალი ხომ არ შევუკვეთო შენთვის? ან წვენი?

– არა, დაიცა, არ მინდა არაფერი... – რაღაცნაირად, მორცხვად აღგზნებული იყო. – იცი, იქ ვერცხლის არაჩვეულებრივი სამკაულებია, ძალიან დახვეწილი ნამუშევარი. გამყიდველს ველაპარაკე... საყვარელი ქალია, მშვენივრად ლაპარაკობს ინგლისურად... მარწმუნებდა, რომ მათი აქაური ოსტატის მამა ირანის შაჰის კარის

იუველირი იყო...

ო, ღმერთო, სრულიად გამომრჩა მხედველობიდან, რომ ლიზას, საბრალოს, კაპიკი ფული არ ჰქონდა!

– ჰოდა, იყიდე, რაც გინდა! – წამოვიძახე და საფულე ამოვიღე...

– არა! არა! არ გაბედო! – ჭეშმარიტი ქალის პროტესტით შეჰკივლა მან, – იქ საშინელი სიძვირეა!

– რა სისულელეა, კრედიტით ავიღოთ. აუცილებლად იყიდე!

– გემუდარები, არ გინდა...

– არა, შენ თვითონ არ გინდა, იცოდე, გიბრძანებ, მე შენი ექიმი ვარ!

აი, კვლავ შეხებათა თემა: ერთმანეთს ხელი ვტაცეთ, ლამის ჭიდაობა გავაჩაღეთ, და ოდნავი დაძაბულობაც არ გვიგრძნია ამ დროს. ზივი ყურადღებით აკვირდებოდა ჩვენს, მისთვის გაუგებარ ორთაბრძოლას. თუმცა, რატომ იყო გაუგებარი? მას ხომ, როგორც ახლახან გაირკვა, რუსული მშვენივრად უნდა ესმოდეს...

ბოლოს და ბოლოს, ლიზა დამნებდა და პლასტიკური ბარათი გამომართვა: – და... ამას რა უნდა ვუყო?

– იმ ქალს მიეცი, გაერკვევა. ჩეკზე ხელს მოგაწერინებს და ეგაა. ჰო, – განვადებით მოითხოვე, კარგი?

და იგი თავისი განვადებული, ვერცხლის ბედნიერების შესაძენად გაეშურა, მე კი, საკუთარი თავით უზომოდ კმაყოფილმა, მივაძახე:

– და აახიე ირანის შაჰს!

ექიმი ზივი ყურადღებით გასცქეროდა ლიზას. მერე უხმოდ ამოიღო კოლოფიდან სიგარეტი, მოუკიდა და მოჭრილად მკითხა:

– ეს ქალი... ლვოვიდან ხომ არ არის?

– გამოიცანით.

– არ გამომიცნია, – მკვეთრად შემეწინააღმდეგა ზივი და ხელით კვამლი გაიფანტა სახესთან, – ვიცანი. მისი გვარია ვილკოვსკა, სწორია?

– დიახ...

გამოგიტყდებით, გვარიანად ვიყავი განცვიფრებული. ქვეყნიერება, რა თქმა უნდა, პატარაა, მაგრამ იმდენადაც ხომ არა, რომ ხაიფელმა ექიმმა იცნოს ქალი, რომელიც, ეჭვგარეშეა, არასდროს უნახავს.

– უბრალო ამბავია, – ჩაიცინა მან ჩემი გაოგნებული სახის დანახვაზე, – უბრალოდ, გოგონა წარმოუდგენლად ჰგავს დედამისს, რომელიც, ხომ გესმით, მიყვარდა. ძალიან მიყვარდა. მაგრამ უიმედოდ. ეს განუმეორებელი ფერის თმა, ეს მინიატურული ტანი... და ხმა. მეზობელ სახლებში ვცხოვრობდით. ჩემზე ოდნავ უფროსი იყო... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს.

არაფერი მითქვამს, ჭიქიდან წყალი მოვსვი და სუვენირების სალონის კარს გავხედე.

– თქვენ, ალბათ, არ იცით, ექიმო ზივ, – ვუთხარი ხმადაბლა, – მათ ოჯახში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ლიზა ერთი წლისაც კი არ იყო, როცა დედამისმა თავი მოიკლა.

მან სანახევროდ მოწეული სიგარეტი საფერფლეს დაასრისა.

– ყველაფერი ვიცი, – მიპასუხა პირქუშად, – იმაზე მეტიც კი ვიცი, ვიდრე ვისურვებდი... საქმე ისაა, რომ ბიძაჩემი ქალაქის ერთ-ერთი ცნობილი ადვოკატი იყო. ზალმან შჩუპაკი, – გაგიგიათ? ყველაფერთან ერთად, ის თავისი მახვილი ენითაც იყო ცნობილი. მოსწრებული გამოთქმები, ჯერ კიდეც ცოცხალი ადამიანებისთვის საფლავის ქვებზე წასაწერი სახუმარო ეპიტაფიები და მის მიმართ არამეგობრული პიროვნებებისთვის შერქმეული საოცრად სასაცილო მეტსახელები ლვოვში ქალაქურ ფოლკლორად ქცეულიყო. უბრალო კაცი არ ყოფილა, ვერც კეთილს ვუწოდებ და ვერც წმინდანს. ის იძულებული გახდა, ლვოვში დარჩენილიყო, როგორც თვითონ ამბობდა, “სოფია ვლასიევნას შმაგი, ეროტიული ალერსის ტყვედ”... მისი ერთადერთი ქალიშვილი, იცით, უკრაინელს გაჰყვა ცოლად, თანაც პარტიულს... ასე რომ, ბიძია ზალმანი ლვოვშივე გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული, ოთხმოცდაცხრა წელს. გარდაცვალებამდე ჩავედი და ვინახულე. ოცდათორმეტი წლის შემდეგ, რაც ლვოვიდან წამოვედი.

ოთხმოცდაათ წელს კი მისი ქალიშვილი აქ ჩამომადგა, სამი ვაჟიშვილით, და იმ თავისი აღვირამოდებული უკრაინელით. იმას თურმე დაეტოვებინა კომუნისტური პარტიის რიგები და მთლიანად შეეცვალა მსოფლმხედველობა. მსოფლმხედველობა ხომ ძალიან სწრაფად იცვლება, როცა გულის ოპერაციის გაკეთებაა საჭირო, ან როცა კატარაქტაა მოსახსნელი, ან თიაქარია მისახედი... – მოკლედ, როცა ღირსეული სიბერე გინდა... ჰოდა, ბიძაჩემი თავგადადებული პრეფერანსისტი იყო, და საერთოდ, – წათამაშება უყვარდა. წათამაშება, ანუ ისეთს წააგებდა ხოლმე, რომ ბიცოლაჩემი უკანასკნელ ჭაღარა კულულებს იგლეჯდა. ბიძია და მისი მეგობრების პატარა კომპანია ლამის ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ რომელიმე მათგანის ბინაზე. და მრავალი წლის განმავლობაში მისი პარტნიორი პრეფერანსში, ბურასა ან სეკაში სწორედ ის არამზადა იყო.

– ვის გულისხმობთ? – ვკითხე.

– იმას, იმას, სხვას ვის, – არამზადა ვილკოვსკის! – გაღიზიანებულად მიპასუხა ზივმა, – ტადეუშ ვილკოვსკის, ტედის, – როგორც ყველა უწოდებდა. აი, ვინ იყო ბნელით მოცული მოთამაშე! გარეგნობა კარგი ჰქონდა, ოციანი წლების კინომსახიობს ჰგავდა, ხომ იცით: პატარა ულვაში, ირიბად გაყოფილი მუქი ფერის თმა, მიბნედილი თვალები თავმომწონე, ცბიერი

ფრანტი, მოკლედ. ან, როგორც ჩვენთან, ლვოვში იტყოდნენ, – “ფიფაკი”. თუმცა, ჭკვიანი და განათლებული იყო, ამას ვერ წაართმევდი. ახალგაზრდა აღარ ეთქმოდა. “პოლონელების დროში” მამამისი თაბაშირის ქარხანას ფლობდა და, საერთოდაც, ძალიან მდიდარი ოჯახი იყო. მაგათ ეკუთვნოდათ ენგელსის ქუჩაზე ის სახლი, – ძალიან ლამაზი, მოწითალო-მოყავისფრო, ფლიუგერიანი, – არ გახსოვთ?.. რუსების მოსვლის მერე ყველაფერი დაკარგეს, რა თქმა უნდა...

სხვათა შორის, ხმები დადიოდა გერმანულ საოკუპაციო რეჟიმთან ამ ოჯახისა და თავად ტედის კავშირზე, მაგრამ ტყუილების თქმას არ დავიწყებ, ამ საკითხში გარკვეულად არაფერი ვიცი. ყველაზე გასაოცარი სულ სხვა რამეა: ორმოცდაექვს წელში ისიც, რა თქმა უნდა, პოლონეთში გადასახლდა, მოსახლეობის ისევ იმ გაცვლის ფარგლებში: ყველა შეძლებული პოლონელი გადასახლდა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენიმე წელიწადში უკან დაბრუნდა! როგორ, რატომ, რისთვის... როგორ, რის საფუძველზე მოახერხა ეს და, რაც მთავარია, რისთვის? რუსებთან ამ თამაშის მსურველი ცოტა მოიძებნებოდა. მოკლედ, ბნელი საქმეა, თუ მისი დაბრუნება რომელიმე ორგანიზაციის მიერ არ იყო მომზადებული და განპირობებული მაგრამ აქაც დარწმუნებული არ ვარ კერძოდ, რომელი ორგანიზაციის. სავსებით დასაშვებია, რომ ორმაგი აგენტი ყოფილიყო. უცნაურად

უშიშარი იყო და, თანაც, მათ ბანქოსმოყვარულთა გუნდში, ბიძაჩემის მონაყოლით, ისეთი ამხანაგებიც მოიძებნებოდნენ, რომლებიც, ძერჟინსკის ქუჩაზე რომ სახლია, იქიდან იყვნენ.

ექიმმა ზივმა სუვენირების სალონს გახედა: როგორც ჩანს, ლიზას თანდასწრებით არ სურდა "არამზადა" ვილკოვსკის თემას ჩაღრმავებოდა. იმავდროულად, აშკარად ეჩქარებოდა მის შესახებ რაღაცის მოყოლა. ახლა მაგონდება, რომ ვილკოვსკი პეტკას სახალინიდან მოწერილ წერილშიც ფრიად ამაზრზენი სახით იყო წარმოჩენილი. (უნდა, უნდა მოვძებნო და გადავიკითხო ის ქარბუქიანი წერილი!)

– ამბობდა, იმისთვის დავბრუნდი, რომ ჩემს ორ ობოლ ძმისშვილს მეურვეობა გავუწიოო. – განაგრძო ექიმმა და ჩემკენ შემობრუნდა, – ის გოგონები ბებიასთან ცხოვრობდნენ: უფროსს იანა ერქვა, შინაურობაში იანია. უმცროსს კი ლუდვიკა, ანუ ვისია. და აი...

– მოიცადეთ! – წამოვიძახე გაოგნებულმა, – მაშ, ვილკოვსკი მათი ბიძა იყო? კი მაგრამ... გინდათ თქვათ, რომ საკუთარ ძმისშვილზე დაქორწინდა?!

ექიმმა ზივმა შემომხედა და ჩაიცინა:

– სწორედაც. ასე რამ გაგაოცათ? თემის სავსებით ბიბლიური შემოტრიალებაა, არ მეთანხმებით? ერთი შეხედვით: ისეთი რა მეურვეობა იყო საჭირო? – წაიყვანე ბებია და

შვილიშვილები შენთან, პოლონეთში, და ეგაა; კაცმა რომ თქვას, რა დაგრჩენია ამ საბჭოთა რუსეთში? საიდუმლოებით მოცული ამბავია... არ ვიცი, რა და ვის ანკესზე იყო წამოგებული, და ვფიქრობ, ამას ვეღარასდროს გაარკვევს ვინმე... ბებია კი მალე გარდაიცვალა და სამნი ცხოვრობდნენ: ის მე-ურ-ვე... და ორი გოგონა. როგორც კი იანა თვრამეტი წლის გახდა, ვილკოვსკიმ მაშინვე ცოლად შეირთო. და რაღაც ერთბაშად ჩამოხმა და დაბერდა... მათ შორის უზარმაზარი ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ გოგონას, თქვენ წარმოიდგინეთ, სიგიჟემდე უყვარდა. მე კი... უცნაურია, ვისია რომ არ შემიყვარდა, ის ხომ ჩემი თანატოლი იყო, – ცოცხალი, ხალისიანი და ძალიან აზრიანი გოგონა გახლდათ, თუმცა ენაგრძელი... მე მაინცადამაინც იანა შევიყვარე. მასში იცით... სრულიად ნორჩი ასაკიდანვე იგრძნობოდა რაღაცნაირი... ტრაგიზმი. იმას კი არ ვგულისხმობ, რომ სევდიანი და განმარტოებული იყო, – არა, პირიქით, უიშვიათესი სილამაზის ღიმილი ჰქონდა: ჯერ თითქოს ოდნავი გაოცება გამოეხატებოდა ტუჩის კუთხეებში, მერე ღიმილი მთელ სახეზე მოეფინებოდა: თვალებიც და ოქროსფერი წარბებიც კი უღიმოდა. ევროპის ტაძრებში, ვიტრაჟებში ნახავთ ასეთ ფიგურებს: ალისფერთმიან ანგელოზებს. ეს ზეციურ სფეროთა ნათელი და მრისხანე სახეა... რაღაცის შეხსენება ოღონდ რისი? რაღაც არაღსრულებული მისიის? ვიღაცის ბუნდოვანი ბრალეულობის?.. მოკლედ, ღიმილის მიუხედავად, მასში განწირულობა

იგრძნობოდა, გესმით? ის სატანჯველად განწირულივით გამოიყურებოდა.

– დიახ, მაგრამ, – ყოყმანით ვივარაუდე მე, – შესაძლოა, მოგვიანებით მომხდარმა ტრაგიკულმა მოვლენებმა რაღაც გავლენა იქონია თქვენს...

– არა! – სწრაფად იუარა მან. – ყოველთვის ასე მეჩვენებოდა. ყოველთვის მიჩნდებოდა მისი გადარჩენის სურვილი. მახსოვს, ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი, ასე, თოთხმეტი წლის... და ვდგავარ ეზოს თაღქვეშ, დედას ველოდები: ერთ-ერთ ბიძაშვილთან ვაპირებდით სტუმრად წასვლას. უცებ კარი იღება და იანა გამოდის. პირველ წამებში მოგეჩვენებოდათ, ნათელს ასხივებსო თმის გამო, რა თქმა უნდა: თმა წითელი ოქროს უიშვიათესი ფერისა ჰქონდა. მაგრამ იმ დღეს მართლაც ანათებდა.

“ა, კუბა!” – მითხრა. ასე მოკლდებოდა ჩემი სახელი იაკობი. – “მე კი, კუბა, დღეს ჩვიდმეტი წლის გავხდი!”

ვიტრაჟის ანგელოზივით მშვენიერი იყო. იცით, ბლუზას, რომელიც ეცვა, თეთრი კი არა, ძველებური მაქმანის ფერი დაჰკრავდა... მასში საერთოდაც იყო რაღაც ძველებური, ძვირფასი, გარდასული... თითქოს არც რამე ცვლილებებთან ჰქონდა კავშირი, არც არანაირ საბჭოთა ძალაუფლებასთან და არც ხალხთან. განდგომილივით იყო, გესმით? სხვა დროში მყოფი. აბა, მკითხეთ, რომელ სკოლაში სწავლობდაო, – ვშიშობ, რომ ვერ გიპასუხებთ. არადა, ხომ ნამდვილად

სწავლობდა, ალბათ, რომელიმე სკოლაში.

და მის გარშემოც ყველაფერი გარდასულს, განსაკუთრებულს ჰგავდა... აი, ახლა უცებ გამახსენდა: ორივე და ცხენოსნობის სკოლაში დადიოდა, წარმოგიდგენიათ? მათ შორეულ ნათესავს ომამდე ცხენების ფერმა ჰქონდა, რომელიც მოგვიანებით საცხენოსნო კლუბად გადაკეთდა. ვფიქრობ, ამისკენ ვილკოვსკიმ უბიძგათ. ის თავადაც ჯირითობდა, სანამ არ გასუქდა. ერთხელ ვნახე, როგორ მოვიდა სახლში სამივე, ამხედრებულები, და ამ კავალკადის სილამაზემ ლამის დამაბრმავა. ის ორი მხედარი გოგონა... ღმერთო, სიზმარს ჰგავდა, ნამდვილ სიზმარს. გოგონებს საცხენოსნო სამოსი ეცვათ: ბრიჯები, ჟაკეტები, სპეციალური ჩექმები ამის არაფერი გამეგება, რას რა ჰქვია... დიახ: შოკოლადისფერ ფაშატებზე ამხედრებული ორი ამორძალი...

ზივმა ახალგაზრდული ცისფერი თვალები მოჭუტა, თითქოს გარდასულ სანახაობას აკვირდებაო.

– რამდენჯერმე ვყოფილვარ მათთან სახლში – ან დედამ გამაგზავნა რაღაცისთვის, ან ვისიას შევუარე, – მასთან ბავშვობიდან ვმეგობრობდი. მათ სამი ოთახი და სამზარეულო ეკავათ ივან ფრანკოს ქუჩაზე ერთ-ერთი სახლის ბოლო სართულზე. იქნებ, გახსოვთ ეს სახლი: სრულიად ჩვეულებრივი ფასადი აქვს და მხოლოდ ბოლო სართულზე,

ფანჯრებს შორის, ორ-ორი მამაკაცის სკულპტურებია ჩადგმული, – რაც აუხსნელ მოულოდნელობად აღიქმება. დგანან ორ-ორად ფანჯრებს შორის, კედლიდან წელამდე გამოშვერილები. თავით და მხრებით კედელს სრულიად არ ეხებიან, ყურადღებით იცქირებიან ქვევით, ტროტუარისკენ, – თითქოს იქ რაღაცის დანახვას ლამობენო. ჩუმი, ავის მომასწავებელი მოთვალთვალეები...

– კარგად მახსოვს ეგ სახლი, – ვთქვი მე, – იქ ჩვენი ოჯახის დანტისტი ცხოვრობდა. ის ქანდაკებები საიდუმლოებით მოცულებად არასდროს მომჩვენებია.

– საიდუმლოებით მოცული კი არა, – შემისწორა მან, – ავის მომასწავებელი.

შინაგანად გამიკვირდა, მაგრამ არ შევკამათებივარ. პირადად მე ჩვენი დანტისტის საცხოვრებელი ძალიანაც საყვარელი მეჩვენებოდა ბორმანქანის გამო. სამუშაო საათებში იგი სანგრევი ჩაქუჩივით ძაგძაგებდა და გრუხუნებდა ლამის მთელი ქუჩის გასაგონად; სამაგიეროდ, საღამო ჟამს მას, კონსპირაციული მიზნებით, ჩინურ ხალათს აფარებდნენ, ზემოდან კი ორმოცდაათიანი წლების განიერ, ფოჩებშემოკერებულ ქსოვილის აბაჟურსაც ადებდნენ.

– მოკლედ, მათი საცხოვრებელი ძველებური მძიმე ავეჯით, მძიმე ფარდებითა და ძველებური, მუქი ნახატებით გაწყობილ ტიპურ ომამდელ პოლონურ ბინას

წარმოადგენდა. კიდევ, გახსოვთ ლვოვური ქაშანურის ხელსაბანები? ეგეც ჰქონდათ. და მთელი ბინა დარიჩინის სურნელით იყო გაჟღენთილი...

და იქ, იატაკის ვეება საათის შუშის მიღმა, ის თოჯინა დავინახე. და გავშეშდი. საოცარი თოჯინა იყო: ნაღდი ძველი ებრაელი არახჩინი სერთუკი, გრძელი თმა ყველაფერი წესისა და რიგისამებრ, თანაც, რა ფაქიზად დამუშავებული! სახე კი საოცრად მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, პირქუში, მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი იღიმებოდა. მაგრამ მთელ ამ ფიგურაში ‌ ‌ ‌ აი, რამ გამაოცა ყველაფერზე მეტად, – არაფერი ჩვეული პაროდიის მაგვარი არ იგრძნობოდა. გარდა დიდი ღიპისა, და სასაცილო არც ის იყო. მახსოვს, ეჭვიანად ვიკითხე:

– ვისია, რად გინდათ სახლში ებრაული თოჯინა?

მან მომიჭრა:

– ებრაული კი არა, ჩვენია! ქალების მშობელი თოჯინაა!

მე გადავიხარხარე და ვკითხე:

– ქალების რატომ? ის ხომ კაცია!

ვისია გაბრაზდა და მიპასუხა: – შენი საქმე არაა, სულელო, გითხარი ‌ ‌ ‌ ქალებისაა-მეთქი, ესე იგი ‌ ‌ ‌ ქალებისაა!

კაქტუსების ხეივანში მოსახვევიდან მძიმედ

გამოძვრა ავტობუსი, რომელიც კიბუცსა და მის კუთვნილ, ზღვისპირა სამკურნალო დაწესებულებას შორის დადიოდა, და სასტუმროს კართან გაჩერდა. ავტობუსიდან მზით გარუჯული, გოგირდწყალბადიანი წყლის აბაზანებით გაპრიალებული ხალხი გადმოეფინა და მე და ექიმი ზივი ცოტა ხანს უხმოდ ვუცქერდით, როგორ მიაშურეს ამ დასვენებით დაქანცულმა, თავზე შლაპაჩამომხობილმა ადამიანებმა თავთავიანთ კუთხეს...

– ყველაზე უცნაური ისაა, – კვლავ ალაპარაკდა ზივი, როცა ავტობუსი წავიდა, – რომ ერთხელ ტედიმ ის თოჯინა ბიძაჩემთან, ზალმანთან, წააგო ბანქოში. ბიძაჩემს უთქვამს ჩემთვის, დიდი აზარტი მქონდა, ის თოჯინა როგორმე დამეთრია მისგანო. ჰოდა, იცით, – მოუგო კიდეც! მიაღწია თავისას! და ის თოჯინაც მთელი სამი წელი იჯდა ჩვენს სერვანტში, მინის უკან. ჩემი ბიძაშვილი თამაშობდა ხოლმე იმით, აი, ის, მთელი თავისი უკრაინული მონაგარით აქ რომ ჩამომადგა სიბერის ჟამს... დებმა ვილკოვსკებმა ცხარე ცრემლით გამოიტირეს თავიანთი “ქალური” თოჯინა. თანაც კიდევ, იანას ძალიან უბედურად წაუვიდა დედობის საქმე; ზედიზედ ორჯერ გააჩინა რაღაცნაირი, ავადმყოფი ბიჭები, და ორივე მოუკვდა... ბიძიას ვარწმუნებდი, დაებრუნებინა მათთვის თოჯინა. მაგრამ გაჯიუტდა: არაფერი ესაქმება გოებთანო!

თავისიანებში იყოსო. მაგრამ სამი წლის მერე ტედიმ მაინც მოუგო თოჯინა ბანქოში.

და თოჯინა ვილკოვსკებთან დაბრუნდა. ერთი ეგაა, რომ ჩემმა ბიძაშვილმა მისი სერთუკი თამაშისას სადღაც დაკარგა, – ძალიან პატარა იყო მაშინ, რა უნდა მოგეთხოვა... მე და დედა კი მალე გამოვემგზავრეთ კიდეც იქიდან...

ჩვენს მაგიდას ლამის მთლიანად მოსდგომოდა მზე, მაგრამ მოხუცს ეს თითქოს არ აღელვებდა. ჟოლოსფერი შუბლი ალაპლაპებოდა, ნიკაპი ხელისგულზე ჩამოედო ჩაფიქრებულს და ტუჩებს ოდნავ ამოძრავებდა, თითქოს დიდი ხნის წინ წარმოთქმულ, ვიღაცისადმი მიძღვნილ და ლვოვის ნესტიან ჰაერში გამლღვარ სიტყვებს იმეორებსო. და უცებ პოლონურად ჩაილაპარაკა:

– კუბა, ია მამ დზისაი დზენ ნაროდზენია, მამ სემნაშჩე ლიატ... – და გამოფხიზლდა: – ჩაიარა ცხოვრებამ. გესმით? მე კი სრულიად ნათლად ვხედავ იანიას: კარი იღება და თითქოს ანგელოზი გამოდის თაღიდან.

და თითქოს განზრახ, მის ამ სიტყვებზე ლიზა გამოვიდა სუვენირების სალონის კარიდან. მისი დარცხვენილი და, იმავდროულად, კმაყოფილი ღიმილი ცხადყოფდა, რომ ირანის შაჰი მისადმი შურით უნდა აღვსილიყო.

ექიმი ზივი ერთბაშად წამოდგა და თქვა:

– არ შემიძლია, აღარ ვუყურებ. გული ისევ მტკივა. აი, რას ნიშნავს პირველი სიყვარული.

– მერე ინგლისურზე გადავიდა და მე და მოახლოებულ ლიზას სასიამოვნო სადილი, საუკეთესო საღამო და შინ მშვიდობიანად დაბრუნება გვისურვა.

– გამიხარდა თქვენი ნახვა, ექიმო გორელიკ.

– ბორისი, – შევუსწორე, – მოდით, ბოლოს და ბოლოს, ამ ვერსიაზე შევჩერდეთ.

– ბორისი, რა თქმა უნდა... წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, თქვენი ტელეფონის ნომერი რომ ჩავიწერო?

– ცხადია, არა. ჩაიწერეთ, იაკობ. მეც სიამოვნებით ჩავიწერ თქვენსას, რატომაც არა...

ერთმანეთს ჩვენ-ჩვენი ნომრები ვუკარნახეთ და ის უკანმოუხედავად გაუყვა გზას ხეთა შორის თავისი სახლისკენ, ალბათ...

* * *

...დაბრუნებისას, გზად იერუსალიმისკენ, უკვე ბნელოდა და მე მიხვეულ-მოხვეულ, ცალმხრივ გზატკეცილზე მქონდა მთელი ყურადღება გადატანილი, – ლიზა ხან იხსნიდა, ხან ისევ იკეთებდა ნაყიდ კულონს, ხან კი სახესთან მიჰქონდა იგი და ქვის სილამაზითა და საიუველირო ხელოვნების სიფაქიზით ტკბებოდა. თან შეუჩერებლად ლაპარაკობდა. კარგ გუნებაზე იყო, შენაძენით გახარებული, – შემეძლო მეამაყა წარმატებული გასეირნებით.

– ჩემი აზრით, ფირუზია, – ამბობდა ლიზა, – მაგრამ გამყიდველმა რაღაც სხვა უწოდა: “ეილათური ქვა”, რატომ?

– ეს ადგილობრივი ქვაა. ძალიან ლამაზი. წითელიც არსებობს, ლურჯიც და მწვანეც.

– მაგრამ აღიარე, რომ ჩემი საოცრად იშვიათი ელფერისაა! ფარშავანგის გულმკერდივითაა, დამეთანხმე!

– ო, კი. საუცხოო რამეა. მიხარია, რომ შენ გერგო.

– რაც მთავარია, – განაგრძო ლიზამ, – საოცარი, ბუნებრივი ნახატია ზედ, პუანტებიანი ბალერინა... თითქოს კალმითაა დახატული. არ მიაქციე ყურადღება?

– ბალერინა? მ-მ-მ-... – თვალები გადავბრიცე, მაგრამ მყისვე გზას მოვხედე. ჩვენ უკან ვიღაც მაგარი ბიჭი მოაქროლებდა მანქანას. უკვე ორჯერ სცადა გადაესწრო ჩემთვის და სულაც არ აშინებდა, რომ წინიდან ასეთივე მაგარი ბიჭი შეიძლებოდა დატაკებოდა შუბლში. – მერე ვნახავ, ლიზა, კარგი?

მან კვლავ გაიკეთა ყელზე კულონი, თავი სავარძლის საზურგეზე გადააგდო, გააქნია-გამოაქნია, რომ უფრო მორგებოდა მას და თქვა:

– ამიტომაც ამოვარჩიე ეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ უამრავი ულამაზესი რამე იყო. რაღაც მომაგონა... შენ ხომ იცი ეს ჩემი ცხოვრების ძალიან დიდი ნაწილია. მთელი ბავშვობა ტრამვაით საბალეტო სკოლაში... სადგამთან ვარჯიში... იქ კი ის მარადიული ტატიანა მიხაილოვნა გაჰყვირის: “ლიზა, უკანალი გაწიე! მუცელი ნუ ჩამოგიგდია! მუცელი აიკრიფე! ზურგი სწორად დაიჭირე, ძროხა!

თავი გეჭიროს!” არადა, რა ალერსიანად, რა მელოდიურად იწყებდა ხოლმე მუსიკის თანხლებით: “ა-ა-ბა ნაა-ააზად... ლაა-აა-მაზად... ტონდიუ-ბაატ-მააან... პლი-ეეეეე, დემი-პლი-ეეე”, და უცებ მერე, რომ დამჩხავლებდა: “ლიზა, უკანალი!”... და რა ამბავი ტყდებოდა, პუანტებით ვარჯიშზე რომ გადავედით! ამ პუანტებისთვის ჯერ უნდა გერბინა, მიგეგნო, მერე მოგეპოვებინა, გეყიდა, მაღაზიიდან გამოგეტანა... და უცებ, ფეხზე ვერ ირგებდი. ჩემი ზომის ნახვა კი საერთოდაც შეუძლებელი იყო. მერე იწყებოდა ჩაკერების, ჩაკეცვის, დარბილების, მიჩვევის პროცესი... ფეხების დასისხლიანება... პუანტებს ჩანთით დავათრევდი სკოლაში, დასვენებებზე რომ მევარჯიშა, ვითომ, და, რა თქმა უნდა, ბიჭებს რომ გავპრანჭვოდი... სამაგიეროდ, ჩემი, როგორც ბალერინის, პოპულარობა სკოლაში განუზომლად დიდი იყო.

– ერთხელ ტელევიზიითაც გაჩვენეს, მახსოვს...

გადავწყვიტე არ შემეხსენებინა მისთვის, სახელდობრ ვინ დარბოდა, არჩევდა, ყიდულობდა, აკერებდა, არბილებდა და ა.შ. და მოკლედ, მთელი წლით, მომდევნო ჩამოსვლამდე, სახელდობრ ვინ უმზადებდა მას პუანტებს... – მაშინ ერთადერთი არხი იყო და ყველა იმას უყურებდა. მეც გნახე. სკოლის ვარსკვლავი იყავი.

– ჰო, – კმაყოფილმა გაიღიმა და მოჭუტული თვალებით გახედა გზას.

– ლიზა... – წამოვიწყე ისე, რომ ჯერ გაცნობიერებული არც კი მქონდა, არც კი ვიცოდი, რა უნდა მეკითხა. – შენ... დედა სულ არ გახსოვს?

ჩემი შეკითხვა არ გაჰკვირვებია. თავიც კი არ მოუბრუნებია.

– ხმა, – მიპასუხა მშვიდად, – მთელი ცხოვრება მახსოვს დედის ხმა. ამიტომ შემეშინდა ისე, ვისიამ რომ დარეკა. – განსაცვიფრებლად უგავდათ ხმები ერთმანეთს; დაბალი ტემბრი, მღერადი... მხოლოდ ვისიას უფრო მკვეთრი ინტონაცია ჰქონდა. – მაგრამ ვისიამ ხომ იმ დროისათვის უკვე მრავალი წელი სამარაში იცხოვრა.

ლიზა გაჩუმდა. აღარ ჭიკჭიკებდა, და აღარც მე შემიწუხებია. ბოლოს ჩათვლიმა. დღევანდელი დღე მისთვის მეტისმეტად გადატვირთული გამოდგა საავადმყოფოს მოზომილ-გაწერილი განრიგის მერე...

მანქანას უხმოდ მივაქროლებდი ზღვის გაყოლებაზე, თითქოს საკუთარი შუქფარების სინათლის დაწევას ვცდილობდი. ღრმად ვისუნთქავდი მშრალი ქარის მოტანილ მარილის, ბალახის, გახურებული ქვებისა და ფინიკის პლანტაციების სურნელს. შემდეგ თვალებბრიალა ფანრების ორმაგი მწკრივით განათებულ ახალ გზატკეცილზე გადავუხვიე.

ლიზას სავარძლის საზურგეზე თავგადაგდებულს ეძინა. მის ვიტრაჟის ანგელოზურ პროფილს ტალღებად ურბენდა

ფარნების ყვითელი შუქი, – თითქოს ნავში მჯდომი სადღაც მიცურავდა... – და იყო ამ სანახაობაში რაღაც ჯადოსნური.

კარგი იქნება, ხმელთაშუა ზღვისკენაც თუ გავატარებ, – ვფიქრობდი, – იაროს ქვიშაზე ფეხშიშველმა, ეს ადუნებს, ამშვიდებს ადამიანს... და შთაგონებით აღვივსე: რა მოხდა, ვიქირავებ ორ ნომერს, ღამეს ზღვისპირა სახლში გავა თევთ, სადაც ლამის ბალიშთან გიშრიალებს ზღვა... და კვლავ დავაცქერდი ანგელოზურ პროფილს, უდრტვინველად რომ მიცურავდა იერუსალიმის უდაბნოს გასწვრივ გაყოლებული ლამპიონების თანაბარ ათინათებში; დიახ, არცაა გასაკვირი: სწორედ აქ შემოივლიდნენ ხოლმე უფლის მახარებლები...

და ასე, იერუსალიმისკენ ამავალი, ხშირ-ხშირად ვატრიალებდი თავს და ვაკვირდებოდი გამჭვირვალე პროფილს, სანამ არ დამკრა თავში...

არა! – მკაცრად ვუბრძანე საკუთარ თავს. – არა, იდიოტო! არსადაც აღარ გაატარებ, და არავითარ ნომრებსაც არ იქირავებ. აი, სულ მალე მის მკურნალობას დაასრულებ, და მერე ქმარმა ჩამოაკითხოს, და იმან გაატაროს...

ფიქრით გადავურბინე ჩავლილ დღეს და გავიხსენე: ლიზა, აღფრთოვანებული რომ ტკბებოდა ირგვლივ ყველაფრით, თითქმის განუწყვეტლად მხოლოდ მასზე ლაპარაკობდა, – მხოლოდ ჯიუტად არიდებდა

თავს მის სახელით მოხსენიებას. ტაიტური ან ჰაიტური რომელიღაც ველური, ჭყეტელა ყვავილი მის მეხსიერებაში სულ სხვა სურათს აცოცხლებდა: მის მიმართ რომელიღაც მწვავე წყენას, რომელიღაც მოგონებას, რომელიც ორივე მათგანს მათს გასტროლებს, მათს საცხოვრებლებს, მათს ცხოვრებას ეხებოდა. და, როგორც კი განვიზრახე ამასთან დაკავშირებით ჩემი გაღიზიანება გამომეხატა, თითქოს ურო დამკრეს თავში: ლიზას ხომ მის გარეშე არც ახსოვს საკუთარი თავი! – გავიფიქრე. ის ყოველთვის იყო ლიზას ცხოვრებაში მისი მასწავლებელი, მისი ჯალათი, მისი მონა. ის, უბრალოდ, მისი შემოქმედი გახდა სხვა მასწავლებელთა არყოფნის ჟამს. ამ გოგონას, რომელზეც მონაცვლეობით მზრუნველობდა კახპა ძიძათა მთელი ჯარი მისი საეჭვო მამიკოს წინამძღოლობით, სინამდვილეში, სიტყვა “აღზრდის” პირდაპირი და ერთადერთი მნიშვნელობით, – მხოლოდ და მხოლოდ ჩემი უბედური, ნერვული, დესპოტური და ნაზი მეგობარი ზრდიდა...

* * *

...ჩემი ახალი ტელეფონის განუწყვეტელი წკრიალი კიბეზე ასვლისას გავიგონე და, სანამ ჯიბიდან ბინის გასაღებს ამოვიღებდი და საკეტის ჭუჭრუტანას მოვარგებდი, ტელეფონი კვლავ გამოსცემდა ქსილოფონურ ბიმ-ბომს, დროდადრო თითქოს იღლებოდა, მაგრამ მყისვე

მომთხოვნად იმაღლებდა ხმას.

– ბორისი ხართ?

არ მეგონა, ასე მალე თუ გავიგებდი ამ ხმას. დღეს ხომ მშვენივრად ვისაუბრეთ, ახლა კი ძალიან დაღლილი ვარ, მწყურია და საშარდე ბუშტის დაცლაც მეჩქარება, მეძინება, დაწოლა მინდა, ღმერთმანი, თან, რაც შეიძლება მალე...

– ბორის, მაპატიეთ, რომ ასე გაწუხებთ. ალბათ, ძალიან დაიღალეთ...

– ეს წუთია, სახლში შემოვედი.

– მაშინ... ალბათ, ჯობს, დაგემშვიდობოთ.

არა, იყო მის ხმაში რაღაც ისეთი, რაც ყურმილის დადების ნებას არ მაძლევდა: რაღაცნაირი წუხილი, უხერხულობა...

– რა მომაბეზრებელი სისულელეა, – თითქოს უკან დაგედევნეთ ამ ჩემი ზარით.. – თქვა მან.

– მოითმინეთ, იაკობ. ვგრძნობ, რომ რაღაცის ამოთქმა გჭირდებათ. ერთი წუთით დამელოდეთ და ახლავე დაგიბრუნდებით.

ცალი ფეხსაცმელი მეორის ჭვინტით წავიძრე, მერე მეორეც გავიხადე და ტელეფონის ტუმბოს ქვეშ საშინაო ჩუსტები მოვძებნე ფეხით.

და მხოლოდ ახლა შევნიშნე ტანსაცმლის საკიდქვეშ დაუდევრად მიყრილი, ერთიმეორეს მიწოლილი ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი (ისევ ახალი!). ჯანდაბა! ესე იგი, უკვე წინასწარი დარეკვის გარეშე მეცხადება ღრმად დარწმუნებული

იმაში, რომ სხვა ქალის აქ ყოფნა გამორიცხულია. რა თავხედობაა! არც დამლოდებია, მშვიდად შეგორებულა ჩემს საწოლში და ჰგონია, რომ, ზღურბლს გადმოვაბიჯებ თუ არა, მაშინვე გავაღვიძებ. არა, გვრიტო, ლოდინი მოგიწევს...

– იაკობ? – ჩავილაპარაკე მოგუდული ხმით, – აი, ახლა თქვენი ვარ.

მან ფრთხილად მკითხა:

– და... თქვენი თანამგზავრი... თქვენ გვერდითაა?

ავფეთქდი:

– მგონი, გითხარით, რომ ის ჩემი მეგობრის ცოლია და ჩემი პაციენტი და არა საყვარელი.

– დიახ, დიახ, მაპატიეთ! უდროოდ ვრეკავ და უტაქტო... და, რაც მთავარია, ყველაფერი ამაოა, დაგვიანებულია, ყველაფერი დიდი ხნის წინ დამთავრდა... – იგი ლაპარაკობდა იმ კარგად აღზრდილი ადამიანის დამწუხრებული ინტონაციით, რომელიც უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა, მაგრამ ხვდება, რომ ჯობს განაგრძოს, ვიდრე უკან დაიხიოს. – დამიჯერებთ, დაძინებას ვერც ვახერხებ, ვერც კითხვას, დავიწყებით კი ნამდვილად ვეღარაფერს დავივიწყებ.

მან დარცხვენილად ჩაიცინა და განაგრძო:

– ისე ამაფორიაქა ჩვენმა შეხვედრამ და იმ თქვენმა... თქვე ნი მეგობრის ცოლმა... გამოცხადებული იანაა, ცოცხალი, ცოცხალი იანა... და იცით, – ყველაფერი, რისი მოყოლაც ვერ მოვასწარი თქვენთვის, უცებ დამახვავდა თავზე, ყელში გამეხირა... ვგრძნობდი, რომ უნდა, უნდა დამერეკა და ბოლომდე მეთქვა სათქმელი. მე ხომ მთავარის თქმა ვერ მოვასწარი: ის, რაც ბიძია ზალმანისგან შევიტყვე ჩვენი ბოლო შეხვედრისას და რაც მრავალი წელია მტანჯავს. დღეს კი მისი ქალიშვილი დავინახე, თითქოს ჩემს დასამუნათებლად: თითქოს რას გაჩუმებულხარო! აი, ასე წახვალ და შენთან ერთად დაიკარგება ეს ჭეშმარიტად ანტიკური ტრაგედიაო... მეორე მხრივ კი, თითქოს პირიქითაა: საჭიროა, რომ მისმა ქალიშვილმა ეს იცოდეს? აზრზე არ ვარ... ჰოდა, ვიფიქრე: თქვენთვის დამერეკა, მომეყოლა ყველაფერი, თქვენ კი გადაწყვეტთ, როგორ მოიქცეთ.

შუქი არ ამინთია, ისე გავედი სამზარეულოში, ონკანი მოვუშვი, რომ ერთი დღის დანაგროვები წყალი ჩამოცლილიყო, მერე ჭიქა ავივსე და დიდი ყლუპებით მოვსვი წყალი.

– საქმე ისაა, – ჩაილაპარაკა მან ყურმილში, – რომ ტადეუშ ვილკოვსკიმ ცოლი ბანქოში წააგო.

წყალი გულზე დამადგა და ხველა ამიტყდა. განრისხებული ბებიაჩემის სახე ისე თვალნათლივ დამიდგა თვალწინ, თითქოს ჩვენი დიდი ხნის წინანდელი საუბრის

შეხსენებას ლამობსო.

– მეგონა... ქალების მონაჭორია-მეთქი...

– ეს ბიძია ზალმანის სახლში მოხდა. იმ საღამოს დიდი ვისტის სათამაშოდ მოიყარეს თავი და, როგორც ბიძიამ მითხრა, ერთი მაღალჩინოსანიც ყოფილა მათ შორის ვიღაც, – არ ვიცი, იმათი პოლკოვნიკი იყო თუ სულაც გენერალი, მიმიხვდით? – აი, ისეთი, ვისთანაც საერთოდ, არანაირი თამაშის თამაში არ ღირს... ბიძიას კარგი კონიაკი დაუდგამს, ყველანი თანდათან შეხურებულან, ხოლო ტედი ძალიან აღგზნებული ყოფილა. საღამოს დასაწყისში კარგა დიდ თანხას ჩამოსულა, მერე კი, წანაგების ამოსაღებად ბოლო კაპიკამდე ჩამოსულა ფულს... ბინასაც კი ჩამოსულა... ფქვილივით თეთრი იყოო, – მიყვებოდა ბიძია, – სრულიად თეთრი, ცოცხალ-მკვდარი, და ნიკაპი უცახცახებდა... და განუცხადებია, მეტი აღარაფერი მაბადია, რომ ჩამოვიდეო, ღატაკი ვარ უკვეო. მაშინ იმ მაღალჩინოსანს, პოლკოვნიკსა თუ სულაც გენერალს უთქვამს, – თან, თურმე, პაპიროსს პირის ერთი კუთხიდან მეორისკენ დაათამაშებდა, და კვამლის გამო ზარმაცულად ჭუტავდა თვალებს:

– ო, არა, ცდებით, ვილკოვსკი. თქვენ ნამდვილი განძის მფლობელი ხართ თქვენი მეუღლის. აბა, რას იტყვით, – შევუბეროთ? ვშიშობ, ახლა მხოლოდ ეს თუ გადაგარჩენთ...

ტედი წამოხტა, ჰალსტუხი ჩამოიგლიჯა და

აივანზე გავარდა, თითქოს ჰაერი აღარ ჰყოფნიდა. და დიდხანს მდგარა იქ, მიუხედავად კოკისპირული წვიმისა. იდგა და იდგა იმ წვიმაში და აღარ შემოდიოდა... დანარჩენები კი ისხდნენ მყუდროდ განათებულ ოთახში დიდ აბაჟურიან მაგიდასთან, კონიაკს წრუპავდნენ და ელოდნენ, როდის დაბრუნდებოდა...

უცებ პრეფერანსისტების ოთხეული გამახსენდა, ჩვენი დანტისტის სახლში რომ ვნახე, როცა ერთხელ, ბებიას დავალებით, პროთეზისთვის რაღაც შეკვრა მივიტანე იქ. მე სიგარეტის კვამლით გაბუღულ და სასმელით შეხურებულ, უაღრესად საშიშ გარემოში მოვხვდი. განსაკუთრებით საოცარი კი ის იყო, რომ აზრი ფრაზებისა, რომლებსაც ეს ყურს უკან კალმისტარგაჩრილი და მაგიდაზე ქაღალდმომარჯვებული კაცები წამოიძახებდნენ ხოლმე, ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო:

– მოვისტისგან მოტუზეს!

– თითო მოთამაშისგან თითო შვიდიანი!

– ცოლი და მაგიდის გადასაფარებელი ორივე პრეფერანსის მტერია!

– ვერ ჩამოდიხარ? – თავს ჩამოდი!

სწრაფად გადავეცი შეკვრა მოტიას (ამისათვის მან “კაბინეტში” შემათრია, სადაც ბორმანქანა უკვე შეენიღბათ). იქაურობას სასწრაფოდ გავცილდი და შვებით ამოვისუნთქე წინკარში, რადგან სიგარეტის

კვამლმა საშინლად ამიწვა თვალები. ჩემ უკან რაღაც ამდაგვარი გაისმა:

– ბანქოს კვამლი უყვარს!

– ამის გამო კანდელაბრითაა საცემი!

ჩვენს ოჯახში ბანქოს არავინ თამაშობდა. მე სხვა გარემოში გავიზარდე: დედას მოწაფეების მიერ შესრულებული ოგინსკის “პოლონეზისა” და კლემენტის “სონატინის” ჰანგებქვეშ... დანტისტ გრედერის გაკვამლული სასტუმრო ოთახი დიდი ხნით ჩამრჩა გონებაში. მაგრამ ახლა, როცა ასე მოულოდნელად გამახსენდა ის საღამო, მივხვდი, რომ მოტიას თავისუფლად შეეძლო მეოთხე მოთამაშედ დამჯდარიყო მსგავს კომპანიაში.

– ასე, თხუთმეტი წუთის შემდეგ ტედი ოთახში დაბრუნდა: წვიმით გალუმპული, აცახცახებული... მაგიდას მიუჯდა და თქვა, რომ თანახმაა ითამაშოს... – ექიმ ზივს ხველა აუტყდა, სული ძლივს მოითქვა... ჩამესმა, რა საგულდაგულოდ მოიხოცა ცხვირი.

აივნის კარი გამოვაღე და ტელეფონით ხელში ჰაერზე გავედი. პირდაპირ ჩემ წინ, უახლოეს ბორცვს ულმობელი, მიბნედილსახიანი მთვარე დასდგომოდა. რა გამომეტყველებაც არ უნდა მიეცა მისთვის უდაბნოს მოცახცახე ჰაერს ან ნელ ღრუბელთა გამჭვირვალე ნაკუწებს, ეს სახე მაინც პირქუში, ზიზღნარევი, ფსორიაზის ჟანგშეპარული დარჩებოდა...

– იცით, ბორის, როგორ აგებენ ცოლებს? – ხმადაბლა მკითხა ექიმმა ზივმა, – ერთი ერთზე თამაშობენ და ამას “კოზაჩოკს ვწერთ” ჰქვია. ბანქოს ქაღალდს სამ კაცზე არიგებენ, მაგრამ მესამე გროვას მევისტე ხსნის, და მევისტე ქაღალდის ორი შეკვრით თამაშობს... და აი, ისინი ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ, – ტადეუშ ვილკოვსკი და ის პოლკოვნიკი, თუ გენერალი, ეშმაკმა იცის იმისი თავი, რა ჩინი ჰქონდა იმ არამზადას... – და ტედიმ ცოლი წააგო მასთან. თავისი ცეცხლისფერთმიანი ანგელოზი. ზეციური სამყაროს ნათელი ხატება...

– კი მაგრამ... დაიცათ... რა გაგებით? – ყრუდ ვკითხე მე, – იმ კაცის ცოლი უნდა გამხდარიყო? იმ გებისტის

– კარგით რა! – ზიზღნარევად, ნაძალადევად თქვა მან, – ვის სჭირდება სხვისი ცოლი სამუდამოდ? ის მხოლოდ ერთი საღამოთი, მხოლოდ ერთი ღამით უნდათ... ამის მერე რაში სჭირდებათ, თავსატეხია, სხვა რა! იმათ იქ, სავარაუდოდ, კონსპირაციული თუ რა ვიცი, რა ჰქვია, ბინების ნაკლებობა არ ექნებოდათ. ერთი დივანი კი ყველგან მოიძებნება. უბრძანებ ამა და ამ მისამართზე მოსვლას და მორჩა! სამაგიეროდ, მთელ სხვა წანაგებს ხელგაშლით გიბრუნებს.

– ეს რაღაც სისულელეა, მაპატიეთ! – წამოვიყვირე, – მაპატიეთ, მაგრამ ეს ყველაფერი, რაღაც ისე ჟღერს... არარეალურად. ვშიშობ, რომ ბიძათქვენი მხოლოდ ეპიტაფიებსა და მეტსახელებს არ იგონებდა! არა, მართლა და მართლა: ეს ხომ

რაღაც კრიმინალების ბარაკი არაა სადღაც, ზონაზე! ან მთვრალი ჰუსარების თამაში! ეს მოვლენები ხომ სამოციანი წლების ბოლოს ხდებოდა, საუბარი ადვოკატს ეხება, კანონის ადამიანს, და ცოცხალ ქალზე, დამოუკიდებელ პიროვნებაზე...

– ასე ნუ ცხარობთ, ჩემო ბიჭო, – წყნარად ჩაილაპარაკა ზივმა, – როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდამ დატოვეთ ის ქვეყანა. და კიდევ, იანიას დამოუკიდებელი პიროვნება რომ უწოდეთ, მანდ ძალიან შეცდით.

ორივე გავჩუმდით. აივნის ქვეშ მანქანების ხმით ყრუდ ზუზუნებდა ხეობაში გაწოლილი გზატკეცილი. ახლომახლო მთებზე, ჩაბნელებულ ჰაერში, მინარეთების თავზე ეკიდა მწვა ნე ცეცხლის მოცახცახე რკალები. და მომეჩვენა, რომ მთელი ჩვენი საუბარი, ყველა სიტყვა, რომელიც ამ მწვანე რკალებისკენ, მთვარის ამ ამრეზილი, ბასრყვრიმალებიანი სახისკენ მიფრინავდა, სრულიად არარეალური, არაამქვეყნიური და უწონო იყო, – არავისი...

– სამყარო სავსეა სისაძაგლეებით, – კვლავ წყნარად ჩაილაპარაკა მან, – ეს ბიბლიაა. აი, რა არ ძველდება არასდროს... წარმოიდგინეთ, ისეთი სურათი დაუხატა ცოლს, თითქოს მხოლოდ მას შეეძლო ოჯახის გადარჩენა, თუკი ერთხელ ეახლებოდა იმ ამაზრზენ კაცს. ოჯახის გადარჩენა. ქალისთვის ასეთი სიტყვების თქმა არ შეიძლება. და ისიც წავიდა.

– საიდან იცით?! – ვერ მოვითმინე, – ეს უკვე ნამდვილად ვარაუდია. აი, ამას თქვენი ბიძა ნამდვილად ვერ ნახავდა!

რატომღაც შემამცივნა. უცნაური იყო, რომ ამ ძველმა და ნაკლებსარწმუნო ამბავმა ესოდენ ამაღელვა. უბრალოდ, თვალწინ ლიზა წარმომიდგა ისეთი, როგორიც დღეს იყო, ბილიკზე რომ ადიოდა: ავადმყოფი სულის მქონე მინიატურული, მოქნილი, დაუცველი ქალი.

– საქმე ისაა... – ნელა განაგრძო ექიმმა ზივმა, თითქოს თან ყოყმანობდა, მოეყოლა ჩემთვის ყველაფერი თუ თავი შეეკავებინა უკანასკნელი საზარელი დასაბუთებისაგან, – საქმე ისაა, რომ მათ საერთო მოახლე ჰყავდათ... ანუ, ვილკოვსკებს და ბიძაჩემის ოჯახს. ერთი გოგონა იყო, რუსინი... ბიძია ასე უწოდებდა და სახელი არ მახსოვს. ის გოგონა პატარა ბავშვის ძიძად მუშაობდა ვილკოვსკებთან. სწორედ იმის, ვისთან ერთადაც დღეს კიბუცში ჩამოხვედით. ბიძიასთან კი, უბრალოდ, სახლის დასალაგებლად მოდიოდა. აი, სწორედ ის გოგონა გახდა უნებლიე მოწმე... გოგონა ბავშვის ოთახში იძინებდა ხოლმე, ჩვეულებრივ, ბავშვთან ერთად წვებოდა, ასე, 9 საათზე. მაგრამ იმ საღამოს ბავშვი გაჭირვეულებულა, გვიან დაუძინია, მერე კი ისეთი წვიმა წამოსულა, ისეთი რაკარუკი გაუდიოდა თურმე წვიმას ფანჯრის რაფებზე, რომ ახლად ჩათვლემილ ძიძას მაშინვე გამოღვიძებია. თუმცა, მერე ირწმუნებოდა, ტედის ხმამ გამაღვიძაო. კაცი ყმუოდა

თურმე...

– ყმუოდა?! – გავიმეორე გაოგნებულმა.

– დიახ, გოგონამ ასე თქვა... საჩქაროდ წამომდგარა, კარი გამოუღია და ფარდის იქით დაუნახავს ორივე. კაცი ცოლის ფეხებთან ფორთხავდა, ხელებზე ეპოტინებოდა, ტიროდა და ევედრებოდა, ჩემი ღირსება იხსენიო... სწორედ ასე ამბობდა "ღირსება იხსენი"... აი, ასეთი ღირსეული ბატონი იყო. გესმით? მთელი სიმართლე არ უთხრა ბინძური ფულის სიმართლე. უბრალოდ, ღირსებას აწვებოდა. ღირსება ხომ წმიდათაწმიდა საქმეა ასეთი ნაძირლებისთვის. დიასახლისი კი, როგორც გოგონა ჰყვებოდა, უბრალოდ, იდგა, გაუნძრევლად, და სახეზე სიკვდილი ეხატა. დიახ, სიტყვასიტყვით ასე უთქვამს: "ქალი იდგა და სახეზე სიკვდილი ეხატა"... – ზივი ცოტა ხანს გაჩუმდა, თითქოს ამ სურათის წარმოსახვის საშუალება მომცა...

– მერე იანა მომზადებულა, ჩაუცვამს და ასე უხმოდ გასულა იმ წვიმაში მარტო. და დილითღა დაბრუნებულა... – ექიმმა ზივმა ფიქრიანად დაამატა: – ბიძია ზალმანი თვლიდა, რომ ამ სცენამ გოგონაზე შემდგომში იანა ვილკოვსკას თვითმკვლელობის გამო იმოქმედა ასე ძლიერად. მე კი ძალიან ნათლად წარმომიდგენია მისი დიასახლისის სახე იმ მომენტში: მის თვალებში სიკვდილი, ტუჩებზე სიკვდილი, შუბლზე სიკვდილი...

ორივე გავჩუმდით...

ზივმა ან ღონივრად ამოიოხრა, ან დაისლუკუნა. მერე ჩაილაპარაკა:

– აი, ახლა ყველაფერი იცით... გიამბეთ და გულზე მომეშვა, თითქოს ყელიდან მორგვი ამომიღეს. ახლა თქვენი ნებაა, როგორ მოიქცევით...

მე კი... მე რა უნდა მექნა? ვერავითარ შემთხვევაში ვერ ავკიდებდი ლიზას ამ უმძიმეს ტვირთს მე, ვინც უამისოდაც სუსტ სულიერ ჯანმრთელობას ველოლიავებოდი. არა, არა! იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ოდესმე პეტკას ვუამბობდი ამ ყველაფერს. საკუთარი ტრაგედიებიც ჰყოფნით.

სამზარეულოს კარადიდან ვისკის ბოთლი გამოვიღე, რომელიც "დიუტი-ფრიში" ვიყიდე ჩემი ბოლო შვებულების დღეებში, აივანზე გავიტანე, პლასტიკატის მტვრიან სკამზე ჩამოვჯექი, რომელიც, მგონი, გაზაფხულს აქეთ არ გადამეწმინდა... და იმ დროს, როცა ჩემს საწოლში ეძინა ქალს, რომელიც ვეღარ დამელოდა და რომელიც, ჯანდაბა ჩემს თავს, მაინც მიყვარდა, – დილის ხუთ საათამდე ვიჯექი აივანზე, და სევდიან-თრობაშეპარული გავცქეროდი განწირულ, მოცახცახე ვარსკვლავთა ბისერული ღრუბლით გარშემორტყმულ მთვარეს.

მთვარე გუშინდელი საღამოს დიდი, სისხლსავსე, ჟოლოსფერი მთვარე... იგი ნელა ამოდიოდა და თანდათან ფერმკრთალდებოდა, სულ უფრო

პატარავდებოდა და შაქარყინულივით გამჭვირვალე ხდებოდა... და სულ უფრო ტრაგიკულიც... – აღსასრულის წინათგრძნობის, გარდაუვალი განთიადის გამო.

მთვარე დნებოდა და ალიონისწინა სევდისგან იცლებოდა. მთვარე უხმოდ გაჰკიოდა თავის სასოწარკვეთას...

და მის თვალებში სიკვდილი იყო. და მის ტუჩებზეც სიკვდილი იყო. და მის შუბლზეც – სიკვდილი იყო.

თავი მეშვიდე

ბერლინში უკანასკნელად სამიოდე წლის წინ იყო, ძმებ ფერმანების თეატრთან ერთად.

ისინი ევროპაში თავიანთ ახალ სპექტაკლს დაატარებდნენ “Lik-2-Lok” (“სიზმრები ურჩხულთა კუნძულის შესახებ”), რომელშიც პეტიას ორი დამოუკიდებელი ნომერი ჰქონდა, ერთი მათგანი ელისსთან ერთად, მხოლოდ უცნაურად განხორციელებული.

რეჟისორმა რობერტ ფერმანმა ორჯერ გაატარებინა ეს ცეკვა, ცქერისას თითებს ცეკვის რიტმში ატკაცუნებდა, იდაყვებს პატარა ფრთებივით აქნევდა და თან ნეტარად აყოლებდა ნიკაპს სახელგანთქმული სვინგის მელოდიას. ბოლოს თქვა:

– სამწუხაროა. კონტექსტში არ ჯდებით... მაგრამ ცეკვა კარგია! – და ანაზდად გამოცოცხლდა: – მისმინე, და არ შეიძლება, რამე სხვა რომ მოიფიქრო? რაღაც ისეთი, უკონტროლო, თავაშვებული, სისხლს რომ აგიდუღებს, აი, იმისავით... – და ჰაერში უხილავი კასტანიეტები აატკაცუნა, – ეროტიკული სიზმარივით, რა!.. მონსტრიც რომ ერიოს თან, გამიგე? ჩვენთან ხომ ყველაფერი მონსტრებზეა, ურჩხულებზე, გესმის?..

და მეორე დღეს პეტია უკვე გორილის ფორმაში გამოწყობილი გადიოდა რეპეტიციას, – ეს რობერტის იდეა იყო. რეჟისორი უსაზღვროდ კმაყოფილი ჩანდა და ირწმუნებოდა, რომ ნომერი ამით

მხოლოდ მოიგებდა, რომ “ცეკვამ, როგორც იქნა, ეროტიკული ელფერი შეიძინა და ობივატელური ცნობიერების ხალხს ცოტათი მაინც გამოუცოცხლებს გამოლაყებულ კეთილგონივრულობას”... მოკლედ, მადლობა ყველა ღმერთს, რომ ლიზა მას ვერ ხედავდა.

იმ ზაფხულს იძულებული იყო, ორი თვით მარტო დაეტოვებინა ლიზა ფერმანებმა მკაცრი კონტრაქტი დაუდეს, რომელიც თითქმის არ გულისხმობდა გამოსასვლელ დღეებს, სამაგიეროდ, ელისსთან ერთად შესრულებულმა იმ ბანჯგვლიანმა ცეკვამ საკმაოდ სოლიდური თანხა აშოვნინა: მაყურებელი შეშლილივით აწყდებოდა ნარინჯისფერ-კუბოკრულ შაპიტოს, ასე რომ, დამატებითი სპექტაკლების თამაშიც კი სჭირდებოდათ ხოლმე იმ თითო-ოროლა თავისუფალ დღეს.

მაგრამ რომ დაბრუნდა, ლიზა სავსებით გაველურებული დაუხვდა. არადა, თითქოს ყველაფერი გაითვალისწინა: სამუშაო მიაყარა, საუკეთესო ფილმების უამრავი დისკი უყიდა, ტონდას დაავალა ყოველ დილით დაერეკა მასთან და შეეხალისებინა. თვითონაც, ჩაიგდებდა თუ არა თავისუფალ წუთს, მაშინვე ურეკავდა სცენაზე გასვლის წინაც კი, გაფაციცებით აყურადებდა ოდნავ ჩახლეჩილი ხმით წარმოთქმულ ყოველ ფრაზას, და სამჯერ უმეორებდა ერთსა და იმავე შეკითხვას, ოღონდ კი ამოექაჩა მისგან ციცქნა იმედისთვის მაინც სამყოფი, ოდნავი სიმშვიდისთვის მაინც საკმარისი პასუხი...

მაშინ ჰანამაც უთხრა:

– შენ, პეტია, აწი ნუღარსად წახვალ. მთელი ქვეყნის ფულს მაინც ვერ იშოვი და აი, ასეთი ავადმყოფი გოგონა ჯობს მარტო არ დატოვო. რა იცი, რა მოუვა თავში!

როგორც გაირკვა, ლიზა ორჯერ შეჭრილა კარმელიტებზე, სახელოსნოში, და ყველაფერი თავდაყირა დაუყენებია. მას ეძებდა, პირქუშად ივარაუდა ტონდამ.

იცი, მთელ ქალაქში დადის ეძებს, განუმარტა ჰანამ, თუმცა პეტია მის განმარტებებს არ საჭიროებდა. მაგრამ როცა ჰანას წამოსცდა, რომ ერთხელ ლიზამ ნახევარი დღე იბოდიალა კარლის ხიდზე, ტურისტებს აჩერებდა და ხელნაკეთი სუვენირების გამყიდველებს აცივდებოდა შეკითხვით: ხომ არ უნახავს ვინმეს მისი და, ერთი-ერთში მისი მსგავსი... – პეტია უკიდურესად შეშინდა. როგორ ფიქრობ, ჰკითხა მას ჰანამ, ლიზა ხვდება, რომ ის აქაა, ჩემს სახელოსნოში? პეტიამ უპასუხა:

– ჰანა, მოკეტე.

სასოწარკვეთით დახუჭა თვალები და წარმოიდგინა, როგორ დაძრწის ყველგან მისი შეშლილი ცოლი, რათა ერთხელაც დარწმუნდეს: იქ, ევროპის ქალაქებში, საგასტროლო ბზრიალ-ტრიალში, სადაც უწინ ერთად გამოდიოდნენ სცენაზე, მისი ქმარი ახლა ყოველდღიურად მას იკრავს მკერდზე. და ნაღვლიანად იგონებდა, არაადამიანური ხმით როგორ გაჰკიოდა ლიზა: “ჯოჯოხეთის ნაშიერი! გადასლექილი მკვდარქალა!

შუშისთვალა! კუდიანი, კუდიანი, ჩვენი დამშორებელი!”

და მისი დაბრუნებიდან მეორე დღეს ის და ლიზა იერუსალიმში გაფრინდნენ ჭირსაც წაუღია, იმ კარგად გათელილი გზით.

ასე რომ, მომდევნო სეზონზე ფერმანებს უარი უთხრა გასვლითი კონტრაქტის დადებაზე. ახლა ელისსთან ერთად მხოლოდ ერთი-ორი დღით გასვლის უფლებას აძლევდა საკუთარ თავს: ფესტივალებზე, “რომელიღაც-ქალაქობებზე”, ან უახლოეს ციხე-კოშკებში ნელაგოზევესში, ლიბოხოვიცეში, პერნშტეინში სადაც წარმოდგენებს ზედ ციხე-კოშკის ეზოში მოწყობილ ფიცარნაგზე მართავდნენ, და სადაც შეგეძლო ჩაკარგულიყავი შუასაუკუნეობრივ კოსტიუმებში გამოწყობილ ბაზიერებს შორის, მკლავზე გაწვრთნილი შავარდნები რომ ესხდათ, ოჩოფეხებზე შემდგარ ილუზიონისტებს შორის, საკუთარი სამოსიდან მამლები და კურდღლები რომ ამოჰყავდათ, კერამიკულ ნაკეთობათა ვეება ბაზრის ჭრელაჭრულა რიგებში და უზრუნველ ბრბოში, რომელიც მუსრს ავლებდა ბრამბორაკებს, დარიჩინიან ტრდელნიკებს, თაფლის სასმელს, ადგილობრივ ღვინოსა და – რაღა თქმა უნდა, ლუდს.

ეს ყველაფერი გაცილებით მოკრძალებულ ანაზღაურებას გულისხმობდა, მაგრამ დროდადრო, სახელდახელოდ შეკოწიწებული პროგრამით გამოსვლები,

თოჯინებით ვაჭრობა, მცირე შემოსავალი პროხაზკების “ვორქშოფებიდან” და მსუბუქი საზაფხულო ღონისძიებები კარლის ხიდზე თავის რჩენის საშუალებას იძლეოდა.

* * *

... ჰაუპტბანჰოფზე ვაგონიდან ჩამოვიდა და გადაწყვიტა ტაქსი ექირავა პროფესორი ვაცლავ რატი ბერლინის აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა, ჰაკეშერ მარკტის რაიონში, ალექსანდერპლატცის შორიახლო.

გზებსა და ტროტუარებზე დაყრილი ხრეშისგან ჩარუხებულ, ფერებდაკარგულ, გათოშილ ბერლინში თოვდა და ქარი უბერავდა ისევე, როგორც მთელ ევროპაში. სურათს მხოლოდ თაფლაკვერისფერი, ხის პაწია საშობაო სავაჭრო ქოხები ახალისებდა, ყველა მოედანზე მიჯრით რომ ჩაედგათ. ყოველწლიურად ეს ქოხები სულ უფრო ადრიანად იჩეკებიან, და უნდა ვივარაუდოთ, რომ მალე ხალხი სექტემბერშივე სიხარულით დაესევა შესაძენად ტრადიციულ მარციპანებსა და კრენდელებს.

ვაგზლის წინ მოედანზე ნაძვის ხე აღემართათ, დაუღალავი მუსიკის ფონზე კარუსელი ტრიალებდა და ვეებერთელა ცეცხლოვანი გრილი მილიონიანი ტირაჟით უკვე ბეჭდავდა სტეიკებსა და ადგილობრივ სოსისებს “კერი-ვურსტენ”. ნაძვის ხის მოსართავთა სარკისებრ ორბიტებში ოფლით დაცვარული შუბლებისა და მსხვილი ცხვირების დამახინჯებული პანორამა ირეკლებოდა, ღეჭვით გართულ პირთა

მობრეცილი გამოქვაბულები კი მხიარულად ფქვავდნენ ტონობით საშობაო ტკბილეულს.

ამ ვერტეპული

 პაწია სოფლების თავზე, ყინვიან ჰაერში სულ უფრო მატულობდა და თავბრუდამხვევ ქსელად იხლართებოდა დარიჩინის, მიხაკის, მოხალული ნუშის სურნელი; და გლინტვეინის ცხელი ორთქლი გათოშილი გულ-მუცლის საუკეთესო საწვავი მსოფლიოში ნელა მიიწევდა ჩამობურული ზეცისკენ.

ტაქსისტს, ჩაფსკვნილ ხანშიშესულ გერმანელს, რომელსაც “დუტის” ჟილეტი შემოეტმასნა ღონიერ ტორსზე, გათოშილი ყურები კი წითლად უბრიალებდა, მთელი გზა ენა არ გაუჩერებია. პეტიამ სისულელე ჩაიდინა და ერთხელ გაწელა “ოოოო, ია-იაააა”... და ამის გამო გაბმულ მონოლოგში ამოჰყო თავი. რაკი ძალიან ხშირად ჟღერდა სიტყვა “შაისე!” – როგორც ჩანს, ეს ცუდი ამინდის გამო ჩივილი იყო. ძალიან რომ მობეზრდა, გამყინავი ხმით დაამღერა აიდას არია. მძღოლი კინაღამ წინ მიმავალი მანქანის ბამპერს შეეჯახა, აცახცახებული თითებით გადაურბინა გამორთული რადიოს ღილაკებს, და უკანა სალონის მაჩვენებელ სარკეში მგზავრს თვალებგადმოქაჩული შეაცქერდა. ის მაგრად მოკუმული ტუჩებით თავაზიანად უღიმოდა, არია კი ჟღერდა... მანქანა ბალაამის ვირივით იდგა, თუმც მწვანე შუქი ანთებულიყო...

– წადი რა, შენი დედაც... – გულიანად უთხრა პეტიამ რუსულად. ამის შემდეგ დანიშნულების ადგილამდე უხმოდ იარეს. მხოლოდ დროდადრო გაიელვებდა მძღოლის შეშლილი თვალები.

აუგუსტშტრასე... დიახ, სავსებით ლოგიკური მისამართია პროფესორ-ანტიკოსისთვის, თუკი, რა თქმა უნდა, იმპერატორი ავგუსტუსი იგულისხმება. პეტიას ეს ქუჩა ზაფხულში ენახა: ქვაფენილიანი გზა, პუშკინის ლამპიონები, ჩინართა გაკრეჭილი ვარჯები, შენობათა კოპწია, პასტელური ფერების ფასადები. ზაფხულის იმ საღამოს ტროტუარებზე გამოდგმულ მაგიდებს წყნარი მუსიკა დასტრიალებდა თავს, და ხაშხაშოვან-მარციპანული გერმანული ენა ზუოდა-გუგუნებდა-თუხთუხებდა.

ახლა კი ჩაუჟმურებულ ქუჩას თითქოს გაყინულ-გათოშილი ჯუბის ვეება კალთები აეკეცა.

ეს სად არის? მგონი, მასნეს “ელეგიაში”: “ვე-ერ, ვე-ერ დავიბრუნ-ეებთ ზა-აფხულის დღე-ებს”...

სადარბაზოს წინ განიერი კიბის საფეხურები აიარა და სანამ ბინის კოდს აკრეფდა, შეიცადა.

მთელი გზა აზრობრივად აგებდა საუბარს, ეძებდა სტილსა და სტრატეგიას, და მატარებელში ყველაფერი საკმაოდ ლოგიკური ეჩვენებოდა (“თუ ამის საჭიროება შეიქმნება, ავუხსნი, რომ... მაგრამ თუ მკითხავს... – არა, ვუპასუხებ: მირჩევნია, ამ

საკითხს არ შევეხოთ...”). ახლა კი, როგორც უნდა მიუდგე, მეცნიერული წყობის ადამიანთან მოსალოდნელი შეხვედრა უადგილო და სულელურ რამედ ეჩვენებოდა. ეს წააგავდა სადილის შესვენებაზე სტუდენტ-მეთოჯინეთა გამოსვლას ფოლადჩამომსხმელ საამქროში. ასეთი რამეც მომხდარა მის კარიერაში.

თუმცა, თუ სატელეფონო საუბრით იმსჯელებდით და თუ ამას საუბარი ეთქმოდა, – შესაძლოა, პროფესორი ფრიად სახალისო ვინმეც გამომდგარიყო.

– აი, ეგეთი ინგლისურით აპირებთ ჩემთან ურთიერთობას? – რუსულ ენაზე დაინტერესდა მხიარული ბარიტონი პეტიას ორი-სამი შესავალი ფრაზის შემდეგ, – ჯობდა, ჩეხურად მოგემართათ.

– ჩეხურადაც დაახლოებით ასე ვლაპარაკობ, – უპასუხა პეტიამ და სატელეფონო ხაზის მეორე ბოლოში მისი თანამოსაუბრე ახარხარდა.

– ვხედავ, ნამდვილი პოლიგლოტი ყოფილხართ, – თქვა მან, – კარგი. ნუ დაიძაბებით. მე დიდსულოვანი ადამიანი ვარ. ოცდაათი წელი ვიცხოვრე რუს ცოლთან, როგორმე თქვენც გაგიძლებთ...

ბინის კარი ერთბაშად გაიღო და პეტიამ ამოიოხრა: იმდენად თოჯინური ადამიანი აღმოჩნდა პროფესორი ვაცლავ რატი. დავიწყოთ იმით, რომ ის იდგა გამთბარი ბინის მისაღებში. გახუნებული კანადური თივთიკის ქურთუკი და ბათინკები ეცვა და

ნაქსოვი ნარინჯისფერი ხელთათმანები ეკეთა. მაღალ-მაღალი, წეროს ფეხებზე შემოტკეცილი ჯინსებით, ზამთრის ტანსაცმელშიც კი გამხდარი მოჩანდა.

– ო, ა-ა-რა! – ამოიკვნესა ტრაგიკული სახით, – ვინ წარმოიდგენდა, რომ თქვენი პროფესიის ადამიანი ასეთი ზუსტი აღმოჩნდებოდა?!პეტია ჩუმად იყო: არ იცოდა, როგორი რეაქცია უნდა ჰქონოდა მსგავს შეხვედრაზე და, იმავდროულად, ტკბებოდა: თხელი ჭაღარა თმის უთავბოლო კულულებქვეშ ცოცხალი, ცეცხლოვანი შავი თვალები გიზგიზებდნენ და ხარბად აცქერდებოდნენ ყველაფერს, რაც კი მათი ხედვის არეალში მოხვდებოდა. ხელები ერთი წამითაც კი არ ისვენებდნენ.

– კაპიუშონი მოიხადეთ! – წამოიძახა რატმა და ისე აიქნია ორივე ხელი, თითქოს დირიჟორია და ორკესტრს tutti ანიშნაო. – არა! არ მოიხადოთ! ასე შუა საუკუნეთა ალქიმიკოსს ჰგავხართ, ან სულაც რაბინ ლევის, გოლემის შექმნის წინ. განა ის, უბრალოდ, გიგანტური თოჯინა არ იყო, ჰა?

– დიახ, – უპასუხა პეტიამ, – დიდი ხნის წინ მივხვდი: გოლემი რთული ავტომატი იყო. – და რატის მხურვალე ტაშის მერე განაგრძო: – თუკი ძველი ჩინელი და ეგვიპტელი ჯადოქრები თავიანთ ანდროიდებს ქმნიდნენ, თუკი ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში არქიტა ტარენტელის ხის მტრედი “ფრენდა და ოდნავი გართულების

გარეშე ჯდებოდა მიწაზე”, რატომ არ შეიძლებოდა, რომ შუა საუკუნეების პრაღის გეტოებში, სადაც უამრავი ოსტატი ცხოვრობდა, რაღაც ამდაგვარი შეექმნათ?..

მაშინ პროფესორმა რატმა შესძახა: “ზღურბლზე არ შეიძლება!”, ბინიდან გამოვიდა, პეტიას მხრებზე შემოხვია ხელები, გადაეხვია და შემპარავად ჰკითხა:

– და... არ გქონიათ ცდუნება, ასულიყავით სტარო-ნოვაია სინაგოგის სხვენზე და შეგემოწმებინათ, მართლაც დევს თუ არა იქ გოლემის ნამსხვრევები, როგორც ეს ყველა იდიოტურ გზამკვლევში წერია?

– დიახ, – მშვიდად მიუგო პეტიამ, – მაგრამ ეგ ღონისძიება წინასწარ მომზადებას მოითხოვს.

– თუ ასეა, – შესძახა რატმა, და კიბეზე ჩაიყვანა, – ჩათვალეთ, რომ თანამზრახველი იპოვეთ! ახლა კი ნაბიჯით იარ საცხობისაკენ! სწორედ ახლა ვაპირებდი ღვეზელის მოსატანად წასვლას. დამავიწყდა, უნივერსიტეტიდან რომ მოვდიოდი, გზად მეყიდა (ბოლოს და ბოლოს, ვარ თუ არა პროფესორი? ერთი ბეწო მარაზმის უფლება აღარ მაქვს?!). მეგონა, თქვენს მოსვლამდე მოვასწრებდი ჩარბენას... ახლა კი სხვა აღარაფერი დაგრჩენიათ, თან უნდა გამომყვეთ. დაიცათ! – მან დაბლა დაუშვა ხელი, რომელიც სადარბაზოს კარისთვის უნდა ეკრა. – ღმერთმა ნუ ქნას და, ხომ არ გაივლებთ თავში, რომ ჩემს კოლექციასთან ერთი ერთზე თქვენი დატოვების შემეშინდა?

– ნუ ღელავთ, – უპასუხა პეტიამ, – დღეს მხოლოდ დაზვერვა მაქვს დაგეგმილი.

პროფესორმა გადაიხარხარა, მხარზე მოუთათუნა ხელი და თქვა:

– წამოდით, ხუმარავ!

და, სანამ, რატომღაც, სირბილით მიიჩქაროდნენ საკონდიტროსკენ (ან სიცივე მიარბენინებდათ, ან პროფესორ რატის ვეება ნაბიჯები), სანამ ფაციფუცით არჩევდნენ ღვეზელს და მერე უკან ბრუნდებოდნენ (ამ ყველაფერს თხუთმეტი წუთი დასჭირდა), პეტიამ აუარება და სრულიად ნაირგვარი ამბები შეიტყო. პროფესორი რატი იმ ბერლინელი ტაქსისტივით სიტყვადაუშურვებელი იყო, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი ყველა სიტყვა გინდოდა დაგემახსოვრებინა, ჩაგეწერა, შეგენახა მეხსიერებაში და მოქმედებაში მოგეყვანა, – რა თქმა უნდა, მას შემდეგ, როცა მის თოჯინას დაამზადებდი.

– როგორც ჩანს, ჩემი ბედისწერაა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენი პროფესიის ან რაღაც მისდაგვარის ადამიანებთან მქონდეს საქმე... – ამბობდა ის ქშენით, რაც პეტიას ძველ იაპონურ ორთქლმავალს აგონებდა, ტომარისა და იუჟნო-სახალინსკს შორის რომ აფრქვევდა ორთქლს. – ამ დღეებში ერთ მწერალ ქალს ეპიგრაფი ვაჩუქე მისი ახალი რომანისთვის, რომელიც შეშლილ მეთოჯინეზეა. მას სურდა იური ოლეშას ცნობილი ციტატა აეღო წიგნიდან

“არც ერთი დღე უსტრიქონოდ”, გეცოდინებათ, რა თქმა უნდა: “იგი თოჯინა იყო. იმდენად თოჯინა, რომ, როცა ავიწყდებოდა, რომ თოჯინაა და ხელს შეუშვებდა, უნიფორმა სძვრებოდა...” მაგრამ მე ვუთხარი: “ააარა, ჩემო მტრედო, თავი დაანებეთ ამას, აქ ყველაფერი მეტისმეტად ზედაპირულად დევს... თქვენ რაღაც უფრო სიღრმისეული, უფრო მისტიკური და საა-აშიში გჭირდებათ...” ბოლოს და ბოლოს, უძველესი დროიდან თოჯინას ხომ მიცვალებულთა იმქვეყნიური, მიღმური სამყაროს პერსონაჟად აღიქვამდნენ. ასე არ არის? ძველისძველ სამარხებში ხშირად პოულობენ თოჯინებს, ძველბერძნულ თეატრში კი, სპექტაკლის ფინალში უკანა კარიდან სცენაზე ეკიკლემა გამოდიოდა, – პატარა ბაქანი, რომელზეც გვამი იდო, მაგალითად, აგამემნონის. გვამობას კი, სხვათა შორის, ხის მანეკენი სწევდა, რომელსაც მოძრავი კიდურები ჰქონდა და ადამიანური სამოსი ეცვა. ყურადღება მიაქციეთ: ხის იყო. ეს სიმბოლოა: თოჯინა იმავე ხისგან ითლებოდა, რომლითაც კუბო მზადდება. ხისგან, რომელიც თავისი ფესვებით ქვედა, ქტონიკურ სამყაროში ჩადის. ანუ: თოჯინა პირველად ხვდება სიკვდილის სამყაროში...

სწორედ ამ დროს ისინი ვიწრო, მაგრამ ღვეზელებისა და ფუნთუშების სიმრავლისაგან თითქოს გვერდებში გაწეულ და დაბრაწულ საკონდიტროში შევიდნენ, რომლის შუაგულში ასეთივე, საფუვრით აფუებული, ზეფირული გამყიდველი ქალი

იდგა, და პროფესორი მყისვე გადავიდა მედგარ გერმანულ ენაზე, მით უფრო, რომ საქმე ღვეზელის ამორჩევას ეხებოდა.

პროფესორი რატი ხან პეტიას მიმართავდა რუსულად, ხან კი ქალს ცელქურად ჩაულაპარაკებდა გერმანულ ფრაზებს. ის ახლა ძალიან წააგავდა ჟონგლიორს, რომელიც ძალდაუტანებლად ზრდის კეგლების რაოდენობას, თან მის ზურგს უკან ვიღაცასთან ლაპარაკსაც განაგრძობს, და თან ფეხით მაღლა უბიძგებს ქვევით დაშვებულ კეგლს, რომელიც თითქოს თამაშიდან გასვლას აპირებს... მისი ასისტენტობა უდიდესი სიამოვნება იყო.

– ეს ეგვიპტური წამებაა! – გაჰყვიროდა იგი რუსულად, – განა შესაძლებელია ნებაყოფლობითი არჩევანი “შტროიზელკუხენს”, “კეზეკუხენსა” და “მონკუხენს” შორის?! და “აპფელშტრუდელს” რაღა ვუყოთ? – ეკითხებოდა იგი სტუმარს და შავი, ცბიერი თვალები მოწამებრივი გამომეტყველებით უკიაფებდა.

– ესე იგი, “მონკუხენზე” შევჩერდეთ! – ეს იყო მისი ბოლო ფრაზა კონდიტერულ დიალოგში. ფლეგმატურ გამყიდველს ყუთი გამოართვა, საკონდიტროს მძიმე კარი გამოაღო და მგზნებარედ ამოფრქვეული ორთქლის ბოლქვებში კვლავ გახვეულმა განაგრძო:

– დიახ, ეპიგრაფის შესახებ: რა მოვიფიქრე? იმ ქალის რომანისთვის მართლაც გემრიელი ლუკმა გამოვთხარე, – თითებს ჩაიკვნეტთ,

ისეთი! აი, მომისმინეთ:

„ერთხელ, გარდავაქციე რა ძალითა ჩემითა ჰაერი წყლად, წყალი სისხლად, და ხორცად მისი განმყარებით შევქმენ რა ადამიანის არსება, – ბიჭი, – ამით შევქმენ შემოქმედის ქმნი ლებაზე ბევრად ამაღლებული რამ. რამეთუ მან ადამიანი მიწისგან შექმნა, ხოლო მე ჰაერისგან, რაიც ბევრად ძნელია...

და ჩვენ მივხვდით, რომ იგი (საუბარია სიმონ მოგვზე) ლაპარაკობდა ბიჭზე, რომელიც მოკლა და რომლის სულიც მსახურად გაიხადა”.

როგორ მოგწონთ ეს ნაწყვეტი? შიგ მიზანში ურტყამს, არა? თქვენი ეშმაკისეული ხელობის შიგ გულში. სულიო, სული მსახურად! თანაც შემოუბრუნებლად, დაუბრუნებლად, კუბოს კარამდე. თუ, რა თქმა უნდა, ის ქალბატონი ჩემს მშვენიერ ეპიგრაფს თავისი რომანით არ წაახდენს.

პროფესორ რატის შავი თვალები ყველაზე მკვეთრ ლაქად მოჩანდა ამ ქუჩაზე. ციდან დაშვებული მშრალი ფიფქები მის მსუბუქ, ფაფუკ კულულებს ფერფლივით დასდებოდა, ისიც ხშირ-ხშირად იფერთხავდა თოვლს სახიდან და მხრებიდან, და თავს აღვირმოქაჩული ცხენივით სწევდა ზევით.

– რა მოხდა, რატომ გაჩერდით?

– ეგ საიდანაა? – ჰკითხა პეტიამ. ადგილიდან არ დაძრულა.

პროფესორმა გადაიხარხარა, თანამგზავრი

სახელოთი მოქაჩა:

– წამოდით, ჩქარა წამოდით სახლში, ვკვდები სიცივით! ეს არის რომანი “შეცნობანი”, ჩემო კარგო. ჩვენს ერამდე II საუკუნე. მე-ო-რე საუკუნე! ის ფსევდოკლემენტინების კორპუსს განეკუთვნება, ანუ ნაწარმოებებს, რომელთა ავტორობაც პაპ კლიმენტის მიეწერება. იქ კიდევ ბევრი რამ წერია. კლიმენტი წმინდა პეტრეს მოწაფე იყო, სავსებით დასაშვებია, რომ არსებობდა და რომში რაღაც ერთობასაც ედგა სათავეში, მაგრამ!..

სადარბაზოში შევიდნენ, ლიფტს გვერდი აუარეს და ფეხით აუყვნენ კიბეს, თანაც აშკარა იყო, რომ პროფესორი თავს იკავებდა, რომ ორ-ორი საფეხური არ აევლო: როგორც ჩანს, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმდევარი იყო. პროფესორი ხშირ-ხშირად ჩერდებოდა, რათა ლამის ცხვირთან მიეტანა საჩვენებელი თითი თანამოსაუბრისათვის და ამით ხაზი გაესვა საკუთარი სიტყვებისთვის:

– მაგრამ! კლიმენტი რომაელის დაწერილი ნამდვილად არ არის. ეს ტიპური ალექსანდრიული ლიტერატურაა, სავარაუდოდ, ოდინდელი ებრაული ლიტერატურის დანატოვარი. სხვათა შორის, ლეგენდის თანახმად, ეს პაპი ყირიმშია დაკრძალული, და ამიტომაც მიაგებს პატივს მართლმადიდებლობა... აი, ახლა კი მოიხადეთ ეგ თქვენი შუასაუკუნეობრივი კაპიუშონი, თორემ ვიფიქრებ, რომ ავ განზრახვებს მალავთ...

– და... როგორ შეიძლება მაგ ნაწარმოების წაკითხვა? – ჰკითხა პეტიამ და ქურთუკის კაპიუშონი თავს უკან გადაიგდო.

– როგორ შეიძლება, მეგობარო? – გაიცინა პროფესორმა, – რომელ ენაზე?

მერე გაჩერდა, პეტიასკენ გადმოიხარა და რბილად გამოსდო ხელკავი: – არ გეწყინოთ. წიგნი ბერძნულ ენაზე დაიწერა, მერე ლათინურად ითარგმნა და არა მგონია, რუსულ ენაზე არსებობდეს... ძალიან საინტერესო თავის ქალა გაქვთ... ზოგადად, თქვენს გარეგნობაშიც არის რაღაც მიღმური. თვალები: საეჭვოდ ღია ფერის. სადღაც, არსაით ჩამავალი უფსკრულები ხომ არაა? "მას ჩრდილი არ აქვს!". აბა ერთი, პროფილით შემოტრიალდით... ო, რა სახასიათო ცხვირია, და რა მკაცრი რომაული ნიკაპი, და რა ამოუცნობი, შეუღწევადი ღიმილი... თავადაც კარგად განასახიერებდით პეტრუშკას, ღვთაებრივ ტრიქსტერს! ხომ არ დაგარცხვინეთ? და ერთი ყური მეორეზე გრძელი რატომ გაქვთ? მშვენიერია. ეს ასეა საჭირო?

– საყურეა. დამატებითი კონტროლი თოჯინაზე. ჩემს თოჯინებს ერთი დამატებითი ძაფი აქვთ ყოველთვის.

– გენიალურია! დიახ, პაპ კლიმენტიზე ვლაპარაკობდი. მისი სახელობის ერთ უზარმაზარ, ბაროკოს სტილის ტაძარში ვმუშაობდი, ტრეტიაკოვკას შორიახლო, წიგნის გორებში უნდა გავრკვეულიყავი. გამაოგნებელ რაღაცებს ვაწყდებოდი იქ.

მაგალითად პომპეის გათხრები, ვილკელმანის, ხბოს ტყავში ჩასმული, გარეკანზე ნეაპოლიტანელი ბურბონების ოქროს შროშნებით. დიახ-დიახ, სიტყვაზე მენდეთ: რადიატორის უკნიდან ამოვაძვრინე. რით არაა სარომანე სიუჟეტი?

პროფესორმა ჯიბიდან გასაღებების აცმა ამოიღო და თვალებმოჭუტულმა ისე დაიწყო საჭირო გასაღების ამორჩევა, თითქოს უცხო სახლში უნდა შესულიყო. და მართლაც: კარის ჭუჭრუტანაში გასაღების მორგების სამი ცდა წარუმატებლად დამთავრდა, პროფესორი კი აუღელვებლად სინჯავდა მეოთხე გასაღებს.

– ის ტაძარი ლენინკის

 საცავი იყო და შიგ ლამის გუმბათამდე ელაგა სხვადასხვა ადგილას ჩამორთმეული წიგნები, – ჩემი აზრით, ცხრაას ჩვიდმეტიდან მოყოლებული. მაგალითად, იქ იყო თავად შახოვსკების ბიბლიოთეკა, საპატრიარქოს ბიბლიოთეკა... გორები იდგა, ხომ გეუბნებით, – წიგნების ვეება, გაუვალი მთები! დროდადრო უფროსობა “მტვრის გადაწმენდის” ოპერაციას ატარებდა და მაშინ სველი ჩვრებით წიგნების საწმენდად ლენინკის ლამის მთელ პერსონალს მოიყვანდნენ ხოლმე. პირადად მე წიგნების თემატურად დაჯგუფება მევალებოდა. დიახ, დამავიწყდა მეთქვა, რომ ამ ყველაფერს ერთი ლოთი ვახტიორი იცავდა, რომელიც ერთხელაც, სიმთვრალის ჟამს, აბაზანაში დაიხრჩო...

როგორც იქნა, ბინაში შევიდნენ და ვიწრო შემოსასვლელში, ისე, რომ ერთმანეთს უშლიდნენ ხელს, გახდა დაიწყეს. პეტიას რბილი, დახურული ჩუსტები შეხვდა.

– მე თუ მკითხავთ, ვისაც რა აცვია ფეხზე, იმით უნდა იაროს აქაც, – თქვა პროფესორმა, – მაგრამ რას იზამ, ასეთი წესები დამიკანონა ჩემმა რუსმა ცოლმა.

– და სად არის? – ჰკითხა პეტიამ, – სადმე გაემგზავრა?

– არა. გარდაიცვალა. – იმავე ღიმილით მიუგო პროფესორმა.

– ო, მაპატიეთ... მე არ...

– საბოდიშო რა არის! კარგით, რა. ჩემმა ცოლმა მგზნებარე და ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრა, ოთხი ქმარი გამოიცვალა, – მე მეოთხე და ყველაზე კეთილსაიმედო ვიყავი, სხვები ჩემზე უარესი...

პროფესორმა ნამცხვრები სამზარეულოში შეიტანა, მაგიდაზე მათ ამოლაგებას შეუდგა და თან ლაპარაკს განაგრძობდა. იმ სანახაობისდა მიხედვით, რომელიც შეღებულ კარში მოჩანდა, ეს იყო ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოსკოვური სამზარეულო: თაროები და პატარა კარადები, ლამის რომ ჩამტვრეულიყო გჟელის თეთრ-ლურჯი კერამიკული სუვენირების სიმრავლისაგან, მოხატული დაფები კედლებზე, ხის სკამ-კუთხე...

– ის ჩემი ლექტორი იყო მსუ-ში

, და ჩემზე საგრძნობლად უფროსი გახლდათ.

ერთად მხიარულად ვიყავით ხოლმე, ბევრს ვმოგზაურობდით, ბევრი რამ გვიყვარდა და მის ხსოვნას დაძმარებული ფიზიონომიით არასდროს ვამძიმებ.

ის კარის ღიობში ისე აღიმართა, თითქოს ჩარჩოს აქეთ-იქით გაწევას აპირებსო:

– ააა-ბა, ჰერ უკსუსოვ... ოჰ, მაპატიეთ, ეს დაძმარებულ ფიზიონომიასთან არანაირ კავშირში არ იყო! შემთხვევითი კალამბური გამოვიდა. აბა, რას მიბრძანებთ სტუმარივით მიგიღოთ თუ ჩემიანივით? ყავა-ეტიკეტი თუ ჯერ...

– ჯერ! – სწრაფად უპასუხა პეტიამ, რომელსაც უკვე გაურბოდა თვალი წინკარიდან მარცხნივ, იქით, სადაც დიდ სასტუმრო ოთახში შემავალ ღია კარს მიღმა შემინული სტელაჟები და აუარება თოჯინა დაინახა.

– გთხოვთ, – წყნარად შეიპატიჟა პროფესორმა და წინ გაატარა.

პეტიამ ზღურბლს გადააბიჯა და დაინახა, რომ ეს იყო ერთ სივრცედ გაერთიანებული სამი დიდი ოთახი, რომელიც მთლი ანად სუნთქვაც კი შეეკრა! – მთლიანად კოლექციას ჰქონდა დათმობილი.

– ააუჰ, ჩე-მიიი!!! – ამოიკვნესა.

– დიახ-დიახ, მეგობარო, ნუ გეუხერხულებათ, ნუ შეიკავებთ თავს, – აიტაცა მისი ემოცია ნასიამოვნებმა კოლექციონერმა, – პროფესიონალის ნამდვილი აღტაცების

გადმოცემა მხოლოდ აღფრთოვანებულ რუსულ გინებას ძალუძს! ნება მომეცით, სული გავითბო თქვენ გვერდით: თქვით, რაც გინდათ! ბილწსიტყვაობა პეტრუშკას ვერ გააფუჭებს. ძველ ტომში ტაბუდადებულ მეტყველებას ისეთ პატივს სცემდნენ, რომ დაკრძალვის ცერემონიალის ნაწილადაც კი აქციეს. სიკვდილთან ერთგვარი ლანძღვა-გინება ჩაღდებოდა. იმხანად ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვნენ გარემოებაში: ვინ ვის... კიდევ, ასეთებიც მომხდარა, რომ მიცვალებულთა სამეფოში ჩასულან და იქიდან მშვიდობიანად დაბრუნებულან.

და რაკი სტუმარი უძრავად დამდგარიყო, რადგან არ იცოდა, რით დაეწყო, ვაცლავ რატმა მისი პიჯაკის სახელოს ჩაავლო ხელი და ოთახის მარცხენა კუთხეში მდგარი ვიტრინისკენ გაქაჩა.

– აქედან იწყება... აქ მამაჩემის ძველისძველი შენაძენები დევს. განათლებით ინჟინერ-მექანიკოსი იყო და, ჩემი აზრით, ძალიან კარგად ხატავდა: სამოყვარულოდ, რა თქმა უნდა, მაგრამ ნიჭიერად. თავის დროზე დიპლომატიური განხრითაც მუშაობდა, ამიტომ საცხოვრებელს ხშირად ვიცვლიდით. და ყველგან, სადაც მოხვდებოდა, ადგილობრივი თოჯინების საძებნად გაქანდებოდა ხოლმე პირველ ყოვლისა. ალერსიანად ამბობდა: “პატარა თოჯინები...” მოგვიანებით გავიგე, რა ხშირად წარმოთქვამენ ამ სიტყვას ნამდვილი მეთოჯინეები და ოსტატები...

მან ფრთხილად გამოაღო ვიტრინის მინის

კარი:

– ერთი ამ წყვილს შეხედეთ: პრინცი და პრინცესა. ინდონეზია. XIX საუკუნე. რაოდენი სინაზეა მათში, ჰა? რა ნატიფია ორივე, რა მყიფე... ეს ჯოხებივით ხელები... ეს სიფრთხილის მავედრებელი სიგამხდრე... რა მოკრძალებით დაუხრიათ სახეები ერთმანეთისკენ, და თან რა დარცხვენილები არიან სიყვარულისგან. კარგად შენახული თოჯინებია. როცა პროხაზკები მოვიწვიე რესტავრაციის გასაკეთებლად, მეჩვენებოდა, რომ აი, აქ... პრინცის გვირგვინზეც და პრინცესისაზეც... ოდნავი მოოქროვებაა საჭირო. მაგრამ ზდენეკმა გადამაფიქრებინა, და ახლა ვხედავ, რომ მართალი იყო. ეს მქრქალი ოქროსფერი არ უნდა ბრწყინავდეს.

მან შეყვარებული მზერა შეაჩერა თოჯინებზე, შეჩერდა, მერე თითქოს ფიქრები ჩამოიბერტყაო და შემდეგი თოჯინისკენ გადაინაცვლა.

– ახლა კი, ამას შეხედეთ ეს არის ჩემი საყვარელი ტიო, მაღაროს სული. სიმპათიურია, არა?

– ბოლივიურია.

– სწორია. ოინბაზური გარეგნობა აქვს. სახის ნაკვთები ქალწულისებრი. ნახეთ ერთი, რამსიგრძე წარბები აქვს, თვალებიც ნუშისებური... თვითონ კი კომბალი ჩაუბღუჯავს და დარტყმის მოლოდინში ჩამჯდარა კიდეც. თოჯინის მარადიული

ორმაგობა! ყურადღება მიაქციეთ ნაქარგობას, ბისერს, შუშის მძივებს მის სამოსზე რა ჯოჯოხეთურად საკირკიმალო სამუშაოა! ფრთებიც კი ქვებით აქვს მოოჭვილი! ზდენეკმა ოდნავ შეუსწორა გრიმი: მეშინოდა, სულ არ დაშლილიყო; ამიტომ ახლა იმდენად ძველებური იერი აღარ აქვს... – პროფესორმა პეტია შემდგომ თოჯინასთან მიიხმო, – ამ ბირმულ ალქაჯს გვერდს ნუ ჩაუვლით. ან ურჩხულთა უფლისწულია, ან ვინმე ამდაგვარი. შეხედეთ, მწვანე და ლურჯ ბუმბულს რა საოცარი ელფერი დაჰკრავს!.. მამამ ეს თოჯინა დელიში, ერთი მსახიობის ქვრივისგან იყიდა, და თვითონ ჩამომიტანა საჩუქრად... რომელი წელი იყო... დაიცათ... – ცხრაას ოცდათხუთმეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ხელებს განუწყვეტლად იქნევდა, ფეხებით კი ნაჩქარევი კრენდელები გამოჰყავდა, პროფესორი მაინც ფრთხილად გადაადგილდებოდა სტელაჟებსა და ვიტრინებს შორის. მისი მოძრაობები, რომელთაც თან ახლდა უცხოელის პირობაზე მეტად სწრაფი, სუფთა და საოცრად ხატოვანი რუსული მეტყველება, საბალეტო კონტრაპუნქტივით გამოიყურებოდა, მფრინავ არაბესკად რაღაც ისეთად, სავსებით ბუნებრივად რომ მოჩანს, როგორც თვითონ ამბობდა “იქითა” სამყაროს მთვარეულ არსებათა შორის:

– დიახ-დიახ, იმ ადამიანს, ვინც ცხოვრება თოჯინებს მიუძღვნა, სავსებით

ჭკუათმყოფელს ხომ ვერ ვუწოდებთ, ასე არ არის? რაღაცას გიჩვენებთ, მაგრამ თქვენი მოკრძალებულობის იმედი მაქვს: ამ თოჯინას ჯერ სამალავში ვინახავ, პარტიზანივით; ჯერ მისით ტრაბახის დრო არ დამდგარა.

პროფესორი დაიხარა და ვიტრინის ქვეშიდან ბრტყელი ყუთი გამოსწია; თავი გადახადა და შეყვარებული მზერით დააცქერდა ძველ, საინტერიერო თოჯინას, რომელსაც ულამაზესად გამოყვანილი ფაიფურის ხელები და ფაიფურისვე სახე ჰქონდა. ასეთ თოჯინებს მრავლად ამზადებდნენ გასული საუკუნის ევროპაში.

– განსაკუთრებული არაფერია, არა? – თვალი ჩაუკრა პროფესორმა. – განსაკუთრებული არაფერი, თუკი არ იცი, რომ ეს მხატვარ კოკოშკას თოჯინაა, – სწორედ ის, სახელგანთქმული თოჯინა, რომლის გამოც ის ჭკუიდან შეცდა. თურმე თოჯინა ალმა მალერს ჰგავდა, კომპოზიტორის ქვრივს; კოკოშკას მასთან რომანი ჰქონია. ხელი და გულიც კი შეუთავაზებია მისთვის, მაგრამ გამჭრიახი ქალი დროულად მიმხვდარა, რომ საქმე არანორმალურ კაცთან დაიჭირა, და უარი უთხრა. და კოკოშკა ნამდვილად იყო კიდეც არანორმალური: ის ხომ, იცით, სერიოზულად ამტკიცებდა, ფრენა შემიძლიაო! და აი, უარყოფილმა მხატვარმა ეს თოჯინა იყიდა და ყველგან თან დაატარებდა მას ელიტურ მიღებებზეც კი! – სანამ მეგობრებმა სიგიჟედ არ ჩაუთვალეს

ეს, და ერთ მშვენიერ დღეს თოჯინა გაქრა. დიახ გაქრა!

პროფესორის სიცილმა ცხენის ჭიხვინივით გაიჟღერა.

– მე თოჯინა მავანი ანონიმისაგან შევიძინე, რომელმაც მტკიცე პირობა დამადებინა, რომ არც რომელიმე სალონში გამოვფენდი მას და არც ჩემს საკუთარ კოლექციაში... ორი ათას თხუთმეტ წლამდე, რატომღაც! ეს თარიღი ჩამიწერა კონტრაქტში.

და ცბიერად გაიღიმა:

– ასე იყოს. თუმცა კი სისულელეა: კოკოშკა ათას ცხრაას ოთხმოც წელს გარდაიცვალა, და არა მგონია, დიდად ეწყინოს... და... შედარებით სრულად, რა თქმა უნდა, ჩეხური თოჯინები მყავს წარმოდგენილი. სხვათა შორის, ორი მათგანი იოზეფ სკუპას ნამუშევარია, ანუ, მისი ესკიზების მიხედვით დაამზადა ნოსეკმა. მამა კარგად იცნობდა სკუპას, ცოტ-ცოტას ეხმარებოდა კიდეც მექანიკის განხრით...

კოლექციონერმა ვიტრინის კარი გამოაღო და ღიმილით სთხოვა პეტიას ყურადღება მიეპყრო შიგ მჯდომი დიდთვალა პერსონაჟისთვის. – აი, ეს თოჯინა, სპეიბლი, გესტაპოში იჯდა. იცოდით, რომ სპექტაკლის “გაუმარჯოს ხვალინდელ დღეს!” პრემიერაზე სკუპა დააპატიმრეს, პლზენის ციხეში ჩასვეს, მისი თოჯინები კი გესტაპოში, სეიფში ინახებოდა? ჰოდა, გაიცანით: სახელგანთქმული პატიმარი... მისმინეთ... – ის ოდნავ განზე გადგა, თითქოს თავისი

მოუსვენარი, შთაგონებული მხურვალე თვალებით ხელახლა სურდა სტუმრის შეთვალიერება: – ზდენეკ პროხაზკამ მითხრა, რომ გენიოსი ხართ. ეს სინამდვილეს შეესაბამება?

– მეტ-ნაკლებად, – მშვიდად მიუგო სტუმარმა.

– თუ ასეა, მაჩვენეთ რამე! – მოითხოვა მასპინძელმა, – მესმის, იმპროვიზაცია რთული ამოცანაა ყოველთვის, მაგრამ მაინც. არ შემიძლია მეთოჯინის უქმად მყოფი ხელების ცქერა! ყოველთვის მინდა, გავეცნო მათ. – მან გულითადად გაშალა ხელები და ასე, ხელებგაშლილი დატრიალდა: – ამოარჩიეთ ნებისმიერი!

პეტიამ მიმოიხედა... არ ჩქარობდა...

ამ რუდუნებით შერჩეულ კოლექციაში ცხადი იყო, რომ ერთი შეცდომაც არ იყო დაშვებული. მას გარს ეხვია სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა დროის სახელგანთქმულ ოსტატთა მიერ შექმნილი თოჯინები. აუცილებელი იყო, რომ თითოეულ მათგანთან სულ ცოტა დრო მაინც გაეტარებინა, რათა ხელებზე ოდინდელი მხურვალე ტალღა გადმოღვროდა, რომელიც თოჯინასთან დააკავშირებდა...

– კეთილი. მოდით, ეს ვსინჯოთ, – და პროფესორს თავით მიანიშნა კუთხის ვიტრინაზე, რომელშიც ერთადერთი დიდი მარიონეტი იყო მოთავსებული. – ეს ხომ ექიმი ფაუსტია?

– სწორედაც რომ! – აიტაცა პროფესორმა, მინის კარს მივარდა და ფრთხილად გამოიღო ხის თოჯინა, რომელსაც შავი კაბა ეცვა, თავზე შავი ბერეტი ეხურა და სახე საგულდაგულოდ ჰქონდა მოხატული: პირქუში, კეხიანცხვირიანი სახე, როგორც ჩარჩოში, ისე მოუჩანდა შავ წვერ-ულვაშში. – სწავლული დოქტორი, მთელი თავისი პერსონით. ვენის თოჯინათა თეატრი. მეცხრამეტე საუკუნის მიწურული.

მარიონეტი დიდი იყო, მძიმე, თავს ლითონის ჭოკი უმაგრებდა და მასიური, მოხერხებული ჰორიზონტალური ვაგა ჰქონდა. პეტიამ ბავშვივით აიყვანა ხელში, და მერე ბავშვივით დასვა იატაკზე. ძაფები გაუსწორა, თითებით გაეთამაშა მათ, – ასე მოძრაობს ბადეში ზანტი თევზი.

ამდაგვარი თოჯინები მონაწილეობდნენ პრაღის თოჯინათა ნაციონალური თეატრის სპექტაკლში “დონ ჯოვანი”, ზატეჩკას ქუჩაზე: იქ იყო მაღალი პატარა სცენა, გულისამაჩუყებელი, ნესტისგან მოხატული ფრანგული ფარდა და იოზეფ სკუპას ნახატის მიხედვით გაკეთებული, სასაცილო ქობით დამშვენებული, შესანიშნავი, ოქროსფერბარელიფიანი ლოჟა.

და თვით თოჯინა დონ ჟუანიც დოქტორ ფაუსტს წააგავდა: იგივე ხმელ-ხმელი, პირქუში სახე, შეჭმუხნული წარბები, შავი წვერი და მარადიული ბერეტი. ამ თოჯინას შეეძლო ეთამაშა მეფისტოფელიც, ნოსტრადამუსიც, და ავბედითი ნოტარიუსიც შუასაუკუნეობრივ ფარსში: ფართო

მოხმარების რამ იყო, მაგრამ კარგი პროპორციებითა და ზუსტად გათვლილი ბალანსით.

პეტიას დიდად არ უყვარდა დიდი მარიონეტები მათ აკლდათ ის მოქნილობა, რომლებიც პატარა და მსუბუქ თოჯინებს ახასიათებთ, – და არც ამ წმინდა კომერციულ სპექტაკლს სწყალობდა, რომლითაც პატივსაცემი “დივადლის”

მსახიობები, უკვე ათი წელი იყო, რაც გვარიან ფულს შოულობდნენ ტურისტებისაგან. თუმცა, ავად გამხდარი რომელიმე მსახიობის შეცვლას თუ სთხოვდნენ, უარს არ ამბობდა მაინც ფული იყო.

მისმა ხელებმა მოძრაობა იწყეს მარჯვენამ – ვაგაზე, როგორც მხედარმა უნაგირზე, მარცხენამ კი მარაოდ გადაშლილმა, თითქოს არფაზე უკრავსო. ხელები მსუბუქ სიგნალებს აწვდიდნენ თოჯინას (ასე ფრთხილად აღვიძებს მძინარე ბავშვს დედა, ასე ნაზად უბერავს სულს შუბლზე, რომ არ შეაშინოს), და თოჯინაში შემპარავად შეაღწია სიცოცხლემ: თითქოს ეტკინაო, ხელი შეახტუნა, თავი უკან გადააგდო და თვალები დაატრიალა, უაზრო გამომეტყველება ტანჯული გამომეტყველებით შეეცვალა; ხის ფეხსაცმელში გაუბედავად და დაღლილად შეირხა ფეხები...

იყო ამ ყველაფერში რაღაც არაბუნებრივი

და შემაშინებელიც კი თითქოს მკვდარი გაცოცხლდაო. და სიცოცხლე ყოველწამიერად იკრებდა ძალას და თოჯინის ხის სხეულს თანდათან ავსებდა. უცებ რაღაც მოხდა გაურკვეველია, როგორ, მოუხელთებლად, აუხსნელად მოხდა: ორიოდე წუთის წინ მის ხელზე უსიცოცხლოდ გადაღვენთილი თოჯინა ერთბაშად შეირხა, აიკრიფა, ზამბარასავით მოიმართა... და ადამიანად იქცა. დოქტორმა ფაუსტმა თავი ასწია, ოთახი მწარედ ჩაფიქრებული ადამიანის გამომეტყველებით მოათვალიერა, და ნელა, მსუყე ბანით და თითქოსდა საკუთარ აზრებს რიტმულად აყოლილი თავის ქნევით წარმოთქვა:

ფილოსოფიას შევწირე წლები,

დავშვერ სამართლით და მედიცინით,

ღვთისმეტყველების საბმურშიც ვები...

გასაოცარი ის იყო, რომ პერსონაჟი თითქმის არ ინძრეოდა და მაინც იგრძნობოდა მისი დაუდეგარი შინაგანი ცხოვრება. შესაძლოა, ამის მიზეზი ზამთრის გაბნეული სინათლე იყო შუქი, რომელიც ფანჯრებიდან შემოდიოდა და ყოველ საგანს ისე ებურებოდა გარს, რომ არანაირ ჩრდილს აღარ უტოვებდა, და რომელიც ადამიანებსაც და თოჯინებსაც ერთნაირად მქრქალ გაურკვევლობაში ხვევდა და თითქოს მოხაზულობას უკარგავდა... მთელი ოთახი ამ ცივ, წყალქვეშეთურ ნათელში იყო გახვეული და ძაფებში ატორტმანებული თოჯინა, უნებურად ბადეში გახლართული

დამხრჩვალი ადამიანივით, უამრავ დაბნეულ, დაფანტულ, მაგრამ გასაოცრად ადამიანურ მოძრაობას ასრულებდა და თან, მეთოჯინის თითების მოძრაობას დამორჩილებული, იერსა და განწყობას იცვლიდა.

ანაზდად დოქტორ ფაუსტის მარჯვენა ხელი მაღლა აღიმართა და მრისხანედ დაემიზნა ზეცას:

და ვდგავარ ახლა, სიმწრით ვიცინი.

პროფესორმა რატმა, რომელიც პირველ წუთებში იმ ადამიანივით დაიბნა, რომელმაც რაღაც სულ სხვა დაინახა იმის მაგიერ, რასაც ელოდა, – შავი თვალები გადმოქაჩა და ხმადაბლა წამოიძახა:

– ღმერთო, ის ხომ ცოცხალია, ეშმაკმა წამიღოს! არ მესმის, ამას როგორ აკეთებთ... შემეშინდა კიდეც! მეშინია აქ, თქვენ გვერდით ყოფნა...

ამ რეპლიკის საპასუხოდ დოქტორი ფაუსტი მკვეთრად შემობრუნდა, თითქოს გაუკვირდა, რომ, მის გარდა, ოთახში ვიღაც უცხოც იმყოფებოდა, ამრეზით დაუკრა თავი პროფესორს და უკვე მისი მისამართით განაგრძო:

ჰოდა, რა გიკვირს, შემკრთალი გული

თუ გეწურება და სევდა გთრგუნავს,

თუ ჩუმად გართმევს უჩინო წყლული

საძრაობას და სიცოცხლის უნარს?

ცხოველმყოფელი ბუნების ნაცვლად,

სადაც ღვთისაგან დაგვედო წილი,

სენაკი გაკრავს, ქცეული საძვლედ,

გამოვსებული ობით და ჩრჩილით

– გამაოგნებელია! გა-მა-ოგ-ნე-ბელი! შეიძლება გამოლენჩდე, როგორც ჩემი ცოლი იტყოდა! და ტექსტი?! ტექსტი რა, მთლიანი როლი იცით ზეპირად?

– ასე, ასი წლის წინ, – მშვიდად მიუგო პეტიამ, – კურგანის თეატრში ვათამაშებდი ფაუსტს. რაღაცები შემომრჩა მეხსიერებაში.

და ამ დროს მარიონეტმა, რომელიც ნაწყენი დარჩა, ყურადღება სხვაგან რომ გადაიტანეს, პეტიასკენ შემოაბრუნა კეხიანცხვირიანი სახე, თამამად გაიწოდა ხელი და მომთხოვნად მოქაჩა მას შარვალზე. მან გულითადად დაუქნია თავი: “ო, ნატურლიხ, მაინ ჰერც!” – ერთბაშად გადავიდა გერმანულ ენაზე და სრულიად ჩამოფერთხა ფაუსტს ყველანაირი იდუმალება და სევდა, და დღევანდელი ტაქსისტის მონოლოგი გააბა ყოველ სამ სიტყვაში იმ “შაისეს” ურევდა. მერე უცებ ერთ წამში გადააქცია შუა საუკუნეთა დოქტორი თურქ ემიგრანტად (აი, იმად, პაწია დახლი რომ აქვს, სადაც ხუთ-შვიდ ევროდ გრილზე შემწვარ ქათამს ყიდულობთ), თანაც შესაბამისი აქცენტისა და შესაბამისი მანერების თანხლებით. ხოლო, როცა თურქმა გადაწყვიტა, რომ ნამაზის დრო დადგა, მუხლებზე დაეცა და პროფესორისკენ მიაშვირა წვეტიანი უკანალი... – სიცილით

გასავათებული და აცრემლებული რატი ხელების სავსავით შეევედრა დანდობას...

ამის შემდეგ, საათ-ნახევრის განმავლობაში, ორივე გიჟი ნელა გადადიოდა ერთი სტელაჟიდან მეორისკენ, აღებდნენ კარებს, თაროებზევე ეხებოდნენ, თითებით სინჯავდნენ თოჯინებს ან სულაც გამოჰქონდათ ისინი ვიტრინებიდან; კამათობდნენ, ლაპარაკს აწყვეტინებდნენ და ხელს ხელზე სტაცებდნენ ერთმანეთს, აღტაცების გამოსახატავად მოურიდებლად იშველიებდნენ სხვადასხვა გამონათქვამს, ხარხარებდნენ, კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს; უკან ბრუნდებოდნენ, რათა კიდევ ერთხელ შეეთვალიერებინათ ლაფლორისეული, XVIII საუკუნის მიწურულის რომელიმე ამიენური მარიონეტი (ლილისფერი ხავერდის კამზოლში, მოკლე პანტალონსა და თეთრ-წითელ ზოლიან წინდებში გამოწყობილი მორიგი პეტრუშკა), ან ხელახლა, სათითაოდ მოესინჯათ თითებით XV საუკუნის ბოლოთი დათარიღებული, ფაიფურისგან ნამზადი “ჩინური წვრილმანი”: ხუთი სანტიმეტრის სიმაღლის სასაცილო სტატუეტები; ან იმისთვის, რომ გურმანული იერით, აღფრთოვანებულად დაეყნოსათ ინგლისური ცვილის თოჯინა, რომელიც პროფესორს ამსტერდამის ძველმანების ბაზრის ნანგრევებში ეპოვა ათას ცხრაას, ჩემო კეთილო, სამოცდათორმეტ წელს, დი-ახ!

– და ეს, – შესძახებდა პეტია და მინას

ატაკებდა თითს, – სედოვის პეტრუშკა არ არის?

– მისია, მისია, თანაც, უფროსი სედოვის... მოითმინეთ, სინათლეს ავანთებ, თორემ უკვე შებინდდა...

პროფესორმა ჩამრთველის კლავიშები ისე აატკაცუნა კედელზე, როგორც კომპიუტერის კლავიატურა, და მყისვე აქეთ-იქით, ირგვლივ, ზემოთ და კუთხეებში ლამპებმა იწყეს ანთება და წყნარი შუქი მოჰფინეს ვიტრინებს. თოჯინები შიგ ცოცხლდებოდნენ, წინ მოიწევდნენ, ლამაზდებოდნენ, და თითოეული მათგანი ცდილობდა თუნდაც ერთი წამით მაინც, – როგორმე წინ, რამპისკენ გამოეღწია: დანატრებულიყვნენ, საყვარლები.

– სედოვი, დიახ-დიახ, პაველ ივანოვიჩი. ეგ პეტრუშკა პირადად ვიყიდე ერთ მოსკოვურ ოჯახში, და კარგი ძალი ფული მოვაკელი იმ თანხას, რაც ცოლმა აგარაკის დასაქირავებლად გამატანა. თოჯინა იქ სრულიად შემთხვევით აღმოჩენილა, უმცროსი ნაშიერის ბალიშზე იჯდა და გარდაუვალი განადგურება ელოდა კიდეც მისგან. მე კი გადავარჩინე! ჰოდა, აი, ცხოვრობს არხეინად.

ერთი სიტყვით, პროფესორი ვაცლავ რატი მამისეული კოლექციის დაუცხრომელი მემკვიდრე გამოდგა: მან არათუ სისტემაში მოიყვანა კოლექცია, არათუ მოუარა, შეავსო, რესტავრირება არ მოაკლო და ოდნავი ორპირი ქარიც კი არ მიაკარა მას: მან

პოეზიად აქცია იქაურობა.

მორიგი ვიტრინა გაჭირვებით ეტეოდა ორ მაღალ ფანჯარას შორის, რომლებიც აუგუსტშტრასეს ქუჩაზე ზამთრის ბინდბუნდით უკვე ჩარუხებულ ხეთა ჩონჩხებს გასცქეროდა. ვიტრინა შედარებით ხალვათად გამოიყურებოდა. შესაძლოა იმიტომ, რომ მოზრდილ თაროზე, სადგამებით გვერდიგვერდ იჯდა (პეტიამ უხმოდ გადათვალა) ხის ცხრა პატარა, ხელისგულისოდენა პეტრუშკა: ცხრავეს ტილოს ქვედაკაბაზე წამოცმული გრძელცხვირა თავი ჰქონდა, ოსტატურად იყო გამოთლილი და მკვეთრი ფერებით აშკარად ერთი ხელით მოხატული. სწორედ ისეთები იყვნენ, როგორსაც ესოდენ დიდხანს ინელებდა და მაინც ვერ მოენელებინა კორჩმარის გაუმაძღარ მუცელს.

ახლაღა გახდა ცხადი, რომ კორჩმარის ჩვილი, თავზე ცეცხლოვანი, აწ გამოხუნებული თმის ბღუჯა რომ ჰქონდა, პროფესორ რატის კოლექციის პეტრუშკებისგან განსხვავებით, მდედრობითი სქესის არსება იყო...

რაკი პეტია დაიბნა და უხმოდ ათვალიერებდა ამ პატარა, სასაცილო ლაშქარს, პროფესორიც შედგა და გაკვირვებული ღიმილით თქვა:

– იცით, თქვენ პირველი ადამიანი ხართ, ვინც გვერდი არ აუარა ჩემს ამ შეუხედავ პაწია

თოჯინებს. ჩვეულებრივ, სტუმრები ისე იხიბლებიან ამ მან თავი ვიტრინებისკენ გაიქნია, – ბისერ-აბრეშუმ-მოხატული საოცრებებით, რომ ყველაზე მთავარს უყურადღებოდ ჩაუქროლებენ ხოლმე.

– ასეთი განსაკუთრებულები რითი არიან? – ჰკითხა პეტიამ. ცდილობდა ხმა დაემორჩილებინა.

– ო! სწორედ ესენია მამისეული კოლექციის სათავე და მიზეზი. მხოლოდ ამას გრძლად მოყოლა სჭირდება, თანაც სუფრასთან და თანაც ყავასთან კი არა, არამედ...

– მე მოვიტანე! – ნაჩქარევად ჩაურთო პეტიამ. – ვისკის მომხმარებელი თუ ხართ?

– ყველაფრის მომხმარებელი ვარ, – ამცნო პროფესორმა, – ხომ გითხარით: ასპირანტურა უმაღლესი დონის კომპანიაში დავამთავრე. მაგრამ ჯერ, მოდით, მაინც დავამთავროთ დათვალიერება. წამოდით იქით ოთახში აფრიკა და ჩრდილო ამერიკა მაქვს...

... – მონკუ-უ-უ-ხენ, – წაუმღერა ვაცლავ რატმა, ელექტროჩაიდანში წყალს რომ ასხამდა, – ეს ხაშხაშიანი ღვეზელი ისეთია, თითებს ჩაიკვნეტთ! რა-რა და ცხობა გერმანელებს არ ეშლებათ... მაგრამ თქვენისთანა მადლიერ სტუმარს, პეტია, ჰონორარის სახით ერბოკვერცხი ეკუთვნის!

– ნუ შეწუხდებით, ვაცლავ! – იუარა პეტიამ. რატის კოლექციის საათ-ნახევრიანი საგულდაგულო და ჩაკირკიტებული

თვალიერების შემდეგ ისინი უკვე სახელებით მიმართავდნენ ერთმანეთს, თუმც “შენობით” მიმართვაზე ჯერ არ გადასულიყვნენ. – არ ღირს, დროც მენანება. მე ხომ დღესვე ვბრუნდები უკან. საქმეზე ჩამოვედი.

– თუ ასეა, დაჯექით. იქით შეძვერით, კუთხეში. ჯერ ერთი, იქ სკამის საზურგე ბოლომდე არ გაცვეთილა, და მეორე, სტუმრებს ყოველთვის კუთხეში ვიმწყვდევ. თან ფანჯარასთან მეტი სიმყუდროვეა, ეს ჩემი ცოლის საყვარელი ადგილია: ხედავთ, რა ცისფერი ნაძვი გვაქვს ფანჯარასთან? რა ტანადია, რა ღონიერი... ზაფხულის ცხელ დღეებში აქ ფრინველთა კონფერენციები ტარდება ხოლმე: მოხსენებები, დებატები, კარგი მაგარი ჩხუბები...

პროფესორმა ჩაიდანი ჩართო, კარადიდან ფინჯნები, თეფშები და მომცრო ბოკალები გამოიღო, მერე ღვეზლის დაჭრას შეუდგა... ყვითელი წინსაფარი აეფარებინა, რომელსაც გულზე მარაოსავით გადაშლილი მწვანე პალმა ეხატა და თავად წააგავდა გამხდარ, გულისამაჩუყებელ თოჯინას. ყველაფერს აწოწილი კაცის მოხერხებულობით აკეთებდა, დროდადრო ოდნავ დაიქნევდა ხოლმე ჰაეროვან კულულებს, თითქოსდა სადღაც, საკუთარ წიაღში მჟღერ ფოქსტროტს აყოლებს ტაქტშიო. პეტკას ჩამოტანილ ვისკის ბოთლს თავი მოხსნა და სასმელი ბოკალებში ჩამოასხა.

– აბა, რა საქმე გაქვთ?

– მაგრამ ჯერ, – შეახსენა პეტიამ, – დამპირდით, რომ იმ პატარა, უცნაურ პეტრუშკებზე მიამბობდით.

– აჰ, დიახ, დიახ... დაგპირდით, – პროფესორმა თავი გადახარა და ისე ჩააკვირდა კარგი მეხსიერების მქონე სტუმარს. – შემპარავი ადამიანი ხართ! კარგი, რაკი დაგპირდით გიამბობთ! ოღონდ ეს, ხომ გესმით... გრძელი საოჯახო საგა... რაღაც ისეთია, “ბასკერვილების ძაღლის” მსგავსი, მხოლოდ უძაღლოდ. მაგრამ გაფრთხილებთ: თუ ერთხელ მაინც გაბედავთ და წამოიძახებთ: “შეუძლებელია!” – თქვენდამი მთელი ჩემი სიმპათიის მიუხედავად, ბზრიალასავით მოგისვრით აქედან. მოსულა?

პროფესორმა ვერცხლის ტორტის ასაღები შეაცურა ღვეზლის ქვეშ, ფუმფულა, მოყვითალო-მოიისფრო ნაჭერს ამოსდო და ფრთხილი მოძრაობით გააცურა იგი პეტიას თეფშისკენ, თან ტუჩების ცმაცუნით ეხვეწებოდა, არ გადმოვარდე, არ გადმოცურდეო... და, როცა ნამცხვარი მშვიდობიანად მოთავსდა დანიშნულების ადგილზე, მასპინძელმა შვებით ამოისუნთქა.

– მაშასადამე: პატარა უცნაური პეტრუშკები... რით დავიწყო? გადავწიოთ ფარდა. XIX საუკუნის შუა ხანი. მოქმედება ხდება მორავიის, ბოჰემიისა და გალიციის ქალაქებსა და ალაგებში... დეკორაციები შესაბამისია: ავსტრო-უნგრეთის იმპერია, ადამიანთა ისტორიაში საუკეთესო იმპერია...

იგი წამით ჩაფიქრდა, შეიცადა და უცებ ძლიერად დაიქნია ფაფარი:

– არა, ამით არ უნდა დამეწყო! – და დაბეჯითებით გაიმეორა: – ამით არა, ამით არა. თავიდან დავიწყოთ, და თავი დავანებოთ დეკორაციებსა და ანტურაჟს. უბრალოდ, თქვენი პროფესიის ადამიანი წარმოიდგინეთ: მარტოსული, მოხეტიალე მეპეტრუშკე, თავისი ზურგსმოკიდებული რეკვიზიტით, – თოჯინებიანი სკივრი და დასაკეცი თეჯირი... ჰოდა, დადის თავისთვის ქალაქებსა და ალაგებში, ციხე-კოშკების ეზო-ეზო, შოულობს უბადრუკ გროშებს. კარგ დღეებში, შესაძლოა, არცთუ უბადრუკს იმხანად ხალხს ბევრი გასართობი არ ჰქონდა, თოჯინების თეატრი კი, თავისი მუდამ მყვირალი პეტრუშკით, თუ რა ვიცი, რას უწოდებდნენ სხვადასხვა მხარეში, მაყურებელს მუდამ ბლომად აგროვებდა. თუმცა, განა, რამდენია ის კარგი დღეები? და გადაბმული წვიმები? და ძვალ-რბილში გამტანი სიცივე? ჰოდა, ასე გამოდის საბოლოო ჯამში გროშები. და კიდევ ბედი, თუ რომელიმე კოშკში დიდი ოჯახი ცხოვრობს: ბავშვებიანი, მოსამსახურეებიანი... მაშინ საშობაოდ ან სხვა დღესასწაულებზე უთუოდ დაუძახებენ მეთოჯინეს და, შეიძლება, ერთი-ორი კვირითაც კი დაიტოვონ თავისთან, სადაც ადამიანურადაც აჭმევენ და სითბოშიც დააძინებენ, განა, სადღაც ფარდულში...

პროფესორმა პეტიას თავზემოთ, თაროსკენ გაიწვდინა ხელი, ძველი ყავის საფქვავი ჩამოიღო, პეშვით ყავის მარცვლები ჩაყარა შიგ, გულზე მიიხუტა და წარმოუდგენელი ტკაცატკუცით შეუდგა ფქვას, თან კი, ეს პროცესი რომ გადაეფარა, ხმამაღლა დასძახა:

– აინ სეკუნდ! სამაგიეროდ, ნამდვილი თურქული ყავა გვექნება! ეს საფქვავი ჰერმან ჰესსეს ეკუთვნოდა, მისი ნაჩუქარია!

ძველი საფქვავი ადგილზე, მიბჯენით ხვრეტდა მარცვლებს: რამდენიმე მარცვალი, სახურავის ღრიჭოდან რომ ამოხტა, პეტიას მოხვდა. და თვით პროფესორიც მაგრად ჭუტავდა თვალებს, – ეტყობა, კარგად იცოდა საფქვავის ზნე. ჩემმა ბებრუხანამ ისევ მასახელაო, კმაყოფილად აღნიშნა ვაცლავმა.

– იცით... ჩემი ცოლი დიდხანს კვდებოდა... – ის იღიმებოდა და კოვზით ყავის საფქვავიდან საგულდაგულოდ გახეხილ-გაპრიალებულ ჯეზვეში ყრიდა დაფქვილ ყავას. – ეგონა, რომ სიკვდილს შეეჩვეოდა, თუ უფრო ახლოს გაიცნობდა მას. და მაინც ვერ შეეჩვია. ვერა, ვერ შეეჩვია... მეუბნებოდა: “ვასია”... ასე მიწოდებდა. ვაცლავს კი არა, – ვასიას. ისე, თუ ჩაუფიქრდებით, ერთი და იგივეა არსობრივად. “ვას, – მეუბნებოდა, – რაღაც მოსაწყენია ეს გარდაცვალება. იქაც მოწყენილი ვიქნები. მითხარი, აბა, – მეუბნებოდა, – როგორ დავშორდე ჩვენს ყავის საფქვავს? როგორ იქნება, რომ გავიღვიძებ და მაგის სპილენძის კოპზე მზის

ათინათს ვეღარ დავინახავ?”

პროფესორმა ორთქლადენილი ჯეზვე სტუმრის ფინჯანზე გადმოხარა, თან მარგალიტისფერ ორთქლს უღიმოდა, თვალები დაეხარა და ცხვირ-ტუჩის ღრმა ნაოჭში ჩაჭედილი ბავშვური ცრემლი უბრწყინავდა.

– ახლახან გარდაიცვალა? – ხმადაბლა ჰკითხა პეტიამ.

– დიახ. – მოკლედ მიუგო ვაცლავმა, – ხუთი წლის წინ. აბა, მოგწონთ ყავა? – და პეტიას აწეული ცერის დანახვაზე თქვა: – ორი რამაა ჩემი სიამაყე: ჩემი კოლექცია და ჩემი ყავა... აბა, რაზე გავჩერდით?.. ჰო! თქვენ პაწია შარისთავების გულადი ქვედანაყოფი იხილეთ. საქმე ისაა, რომ დედაჩემის ოჯახში ერთი ასეთი თოჯინა ინახებოდა, სასაცილო ხულიგანი. იგი არა მარტო დედაჩემის დედას ახსოვდა, ანუ ბებიაჩემს, არამედ დიდ ბებიასაც კი: ის თოჯინა სწორედ მისთვის გაეკეთებინა პატარაობისას მამამისს, როგორც დიდი ბებო ჰყვებოდა, მის თვალწინ, ნახევარ საათში. იმხანად იგი, ანუ დიდი ბებიას მამა, ქვეყანაში სათამაშოების ერთ-ერთი ცნობილი მწარმოებელი ყოფილა, მის სახელოსნოში, თურმე, ექვსი ოსტატი მუშაობდა... სხვათა შორის, რამდენადაც დღეს მის შესახებ მსჯელობა შემიძლია, საინტერესო ტიპუსი ყოფილა. ახალგაზრდობაში სწორედაც რომ ზურგზე მოკიდებული სათოჯინო მოწყობილობით აქეთ-იქით დაეხეტებოდა თურმე, თანაც თავის თოჯინებს თვითონვე ამზადებდა, –

იმხანად ხელოვნებას ჯერ კიდევ არ ექცია ზურგი ხელოსნობისთვის...

ცხოვრება კი, ხომ იცით დიდია. განსაკუთრებით, ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით, მაწანწალისთვის. იაფფასიან სასტუმროებში ან, თუკი შეუშვებდნენ, ციხე-კოშკების სალაქიო სადგომებში გაჩერებისას, ეს მეგობრული მასხარა იოლად ხიბლავდა ქალიშვილებსა და ქალბატონებს... ამა თუ იმ ქალაქსა და ალაგსა ერთ კვირას, ერთ ან ორ თვეს თუ გაატარებდა, თავის მორიგ სატრფოს აი, ისეთ სუვენირს უტოვებდა, – ხომ ნახეთ იმ ყოჩაღი ჩხუბისთავების მწკრივი. ასე რომ, წინაპრის გამო არ მრცხვენია. უფრო სწორად, ცოტათი მრცხვენია: ის ხომ ზოგჯერ, თვითონაც რომ არ იცოდა, ისე, სათამაშოს გარდა, უფრო არსებით "სამახსოვროსაც" უტოვებდა ქალიშვილს, – თუკი იმით ვიმსჯელებთ, რაც სხვა მისი შთამომავლებისგანაა ცნობილი... ამრიგად... – რატმა დაასრულა ზეთისხილით სავსე ქილის გახსნა და სტუმრისკენ მიაჩოჩა იგი. – მიირთვით. ძალიან გემრიელია. ბერძნულია. იცით, ვისი სადღეგრძელო შევსვათ? ჩემი წინაპრის. მისი დაუოკებელი წელ-თეძოსი, ასე ვთქვათ!

– მაგრამ... ამდენი თოჯინა? საიდან გაქვთ? – იკითხა პეტიამ. ზეთისხილს არც მიჰკარებია. – თქვენ რა, ეძებდით?

– მე არა. ძირითადად, მამაჩემი ეძებდა. და

იცით, პირდაპირ სასწაულია: თითქოს ჩვენ კი არ ვეძებდით პაპის-პაპის სასიყვარულო საჩუქრებს, არამედ ისინი თვითონ მოცურავდნენ ჩვენკენ... ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ერთხელ, ათას ცხრაას ორმოცდარვა წელს, რომელიღაც სტუმარმა, მამის კოლექციის თვალიერებისას (კოლექცია მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ასეთი წარმომადგენლობითი), ჩვენი გაცრეცილი პეტრუშკა დაინახა და თქვა: აი, ზუსტად ასეთი მინახავს ჩემი მეგობრების ოჯახში, ვარშავაში. მამაჩემი უჰ, უნდა გცნო ბოდათ ის! – როგორც ნებისმიერი სერიოზული კოლექციონერი, არანორმალური ენერგიისა და მიზანდასახულობის პატრონი იყო. წარმოიდგინეთ, აღარ გადაუდია, ადგილს მოსწყდა, ვარშავაში გაემგზავრა და იქიდან ხელცარიელიც არ დაბრუნებულა. მე და დედას არც კი გვიკითხავს რამდენ ზლოტად დათანხმდა ის ხალხი ოჯახური რელიკვიის გაყიდვაზე... მესამე, იცით, სად გამოჩნდა? ჩეშსკი-კრუმლოვში. მამა იქ, ადგილობრივი მოყვარულ-მეთოჯინეების კლუბში ლექციებს კითხულობდა. იქ თავისი ხუთი-ექვსი თოჯინა ჩაიტანა სადემონსტრაციოდ, მათ შორის ეს ჩვენი ბარტყიც, – მაგას ხომ მოგზაურობა უყვარდა... ლექციის ბოლოს მამას ერთი მსმენელი ქალი მიუახლოვდა და უთხრა: “პან პროფესორო, თქვენთვის საჩუქარი მაქვს. ახლახან ჩემი უახლოესი მეგობარი გარდაიცვალა, სრულიად მარტოხელა ქალი; მისი სიკვდილის შემდეგ იქაურობის დალაგება და რაღაც ნივთების გადარჩევა

მომიხდა. თითქმის ყველაფერი გავეცი, მე თვითონ პაწაწინა ბინა მაქვს. მაგრამ აი, ზუსტად ასეთი კაშპარიკი სამახსოვროდ დავიტოვე ვიცოდი, რომ იგი იმ ოჯახში ძალიან დიდხანს ინახებოდა. ახლა კი ვხედავ, რომ მან თქვენს კოლექციაში უნდა დაიდოს ბინა...”

ვაცლავმა კვლავ ჩამოასხა ვისკი ბოკალებში.

– რასთან დაკავშირებითაც, მსურს შემოგთავაზოთ სადღეგრძელო იმ ენთუზიასტებისა, რომლებიც ყველგან არიან და ყოველთვის რაღაც უყვართ, – მან ჩანგლით ჩამოაჭრა გვერდი ნოტიო-პრიალა “მონკუხენს”, – მათი მომაბეზრებელი ენთუზიაზმის გარეშე ჩემი ფეხები განხორციელდებოდა ამ ცხოვრებაში. პროფესიონალები პირქუში, ეჭვიანი, ეგოისტური, შურიანი ხალხია. ისინი ფანატიკოსები არიან. ისინი... მოკლედ, მოდი, დაზუსტებების გარეშე დავლიოთ: ვისკი ნამდვილად იმსახურებს ამას. და თქვენ რა ახლადდანიშნული სასიძოსავით ზიხართ? ყოჩაღად იმოქმედეთ: კარაქი, ყველი... ამ ფუნთუშებს “ბროტხენი” ჰქვია... დიახ. მახსოვს, მამა უკან თითქოს საკუთარი ფრთებით ჩამოფრინდა. და რა მოიფიქრა ამ შემთხვევის შემდეგ? აი, რას ნიშნავს ორგანიზატორული ნიჭი: რამდენიმე ადგილობრივ გაზეთში განცხადება მოათავსა. ხომ იცით, პატარ-პატარა გაზეთებია, მაგრამ მოცემული ქალაქის მაცხოვრებლები წერტილ-მძიმიანად კითხულობენ. არ დაიზარა და მსგავსი განცხადებები, ჩეხეთის

გარდა, გერმანიისა და ავსტრიის გაზეთებშიც ჩათესა-ჩამარცვლა... ჰოდა, მარცვლებმაც გაიხარა, ნერგი ამოიზარდა და დროის კაშხალიც ამოანგრია! და ჩვენი გიჟმაჟი წინაპრის სიყვარულის იმქვეყნიურმა ფლოტილიამ გამოსცურა ჩვენკენ... უფრო სწორად, ფლოტილიის ნარჩენმა: დარწმუნებული ვარ, რომ ამდენი წლის შემდეგ ყველამ ვერ მოაღწია ჩვენს ნაპირამდე... ესეც სარომანე მასალაა, არა?

პროფესორი გაჩუმდა და ჩაცხრა, მოწყენილი ხელები ისე დარჩა მაგიდის კიდეზე, როგორც პიანისტს კლავიატურაზე, თითქოს ფიქრობდა, განეგრძო თხრობა თუ უკვე საკმარისი იყო სტუმრისთვის. და, როგორც ჩანს, მიიჩნია, რომ ეს კმაროდა. რა გაეწყობოდა, ეს მისი უფლება იყო...

რა დიდი ხელის მტევნები აქვს, – გაიფიქრა სტუმარმა, – დიდი, გამომსახველი მტევნები, სრულიადაც არა სამეცნიერო მუშაობისთვის შექმნილ-დამუშავებული ბუნების მიერ.

– როიალზე უკრავთ?

– ღვთის წყალობით, – გამოფხიზლდა პროფესორი, – ახალგაზრდობაში გიტარას ვაჩხაკუნებდი, დისიდენტურ სიმღერებს გავყმუოდი... როგორც ჩემი ცოლი ამბობდა, საკმაოდ სასიამოვნო ხმა მაქვს... აბა, ბატონო ჩემო... ჩამოვასხათ ერთიც, აღარ მახსოვს, მერამდენე და იმედია, არა უკანასკნელი. – და ღვეზელი რატომ არ მოათავეთ?

– ვიღაცას დავუტოვე, – თქვა პეტიამ და ყურადღებითა და მახვილი მზერით შეხედა ვაცლავს. და უცებ, გაურკვეველია, საიდან, უფრო ალბათ მაგიდის ქვეშიდან, გამჭოლი, სკანდალური ხმა აწივლდა:

– გამიშვი! გამიშვი-მეთქი! მზის შუქზე რად არ მიშ-ვებ, რადაა! შე კარგოარამ-ზადაა!!!

რა თქმა უნდა, ეს დაუნდობელი ხუმრობა იყო: პროფესორი სკამზე შეხტა, წამოვარდა და აქეთ-იქით დაიწყო ცქერა: ყვითელ წინსაფარს ზემოთ შეშლილივით უელავდა შავი თვალები. და მაშინ პეტიამ, რომ აღარ ეწვალებინა მასპინძელი, პიჯაკი გადაიხსნა, უხმოდ მიუთითა შიგა ჯიბისკენ, საიდანაც, როგორც თეჯირიდან, პატარა თავხედი შარისთავი ამოჩრილიყო და კვლავ წრიპინებდა:

– მთელი დღე აქ ვზივარ, და-აწყევლილივით! აბუჩად აგდებული! მიტოვებული! ეს ღორი, ეს არამზადა, ეს საზიზღარი და ძუნწი: ღვეზელს თვითონ შეღმურძლავს, არ გაუყოფს პეტრუშ-კას!

პროფესორი სკამზე დაეხეთქა და უხმოდ მიაშტერდა პატარა ტუსაღს, რომელიც ჯიბიდან ამოხტომას ლამობდა.

– ო, ღმერთო... – ჩაილაპარაკა ბოლოს, თან ღონივრად ისრესდა მკერდს, – ვენტროლოგიც ყოფილხართ! ხომ უნდა გააფრთხილოთ ადამიანი... – მაგიდის მეორე მხრიდან პეტიასკენ გადმოიხარა,

ფრთხილად გასწია თავისკენ პიჯაკის კიდე: – შეიძლება? – და ფრთხილად ამოაძვრინა ჯიბიდან პაწაწინა ფიგურა, თან ბუტბუტებდა:

– დიახ, დიახ... აშკარად ჩვენებს ეკუთვნის... – არც გაუხედავს, ფანჯრის რაფაზე ისე დაძებნა ხელის ფათურით სათვალე და, უკვე ლინზებით შეიარაღებულმა, გაკვირვებულ-ბედნიერმა დაბეჯითებით დაამატა: – ჩვენებისაა... ოღონდ... ოღონდ, მამრობითი კი არა, მდედრობითია... არა? აი, მესმის საჩუქარი, აი, მესმის მოხერხებულობა! რას არ მოახერხებს საქმის კაცი! აი, თურმე, რა საქმე გქონიათ ჩემთან...

– მთლად ასეც არაა, – უპასუხა პეტიამ, – ეს საქმის მხოლოდ ნახევარია. თუმცა, დარწმუნებული არ ვარ, რომ დანარჩენში ჩემს დახმარებას შეძლებთ.

– ხომ მომყიდით? – მოუთმენლად გააწყვეტინა რატმა.

– არ შემიძლია, თქვენი კოლექციისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად. ეს თოჯინა ჩემი ცოლის ოჯახს ეკუთვნის. და ეს მემკვიდრეობის მხოლოდ ნაწილია. ვაცლავ! – პეტია მკერდით მაგიდას გადააწვა, თუმცა შეიძლებოდა ბოკალი გადაეყირავებინა, ან ხაშხაშით დასვროდა პიჯაკი, – რამე იცით ასეთი თოჯინის შესახებ? – ძველი ებრაელი, მთელი თავისი ტრადიციული აღკაზმულობით, კიკინებით და ვეება ღიპით... რომელშიც აი, ეს უცნაური არსება ვიპოვე.

და უცებ რაღაც ისეთი მოხდა, რასაც პეტია ვერც ივარაუდებდა: ვაცლავ რატმა ორივე

მუშტი ისე დასცხო მაგიდას, რომ ღვეზელი შეხტა, სათვალე მაგიდას დაეცა, ტორტის ასაღები კი სულაც სამზარეულოს კუთხისკენ გაფრინდა, ხოლო პროფესორი აღრიალდა:

– კორჩმა-ა-ა-რიიიი!!! – და ამ ღრიალში, უფრო სწორად, ჭიხვინში ერთდროულად რამდენიმე გრძნობა შეერთდა: გაოგნებულობა, აღფრთოვანება, აზარტი და თითქოს შიშნარევი თაყვანისცემაც კი. – მაშ, ის არსებობს?! არ-სე-ბობს?!

მერე მუშტების ქნევით ფეხზე წამოხტა, გეგონება, პეტიას გემოზე ცემას აპირებსო, სამზარეულოდან გავარდა და იქ სადღაც, ოთახებსა და დერეფნებში, გამოშვებული ცხენივით ფეხების ბაკუნით მოჰყვა სირბილს...

ხუთიოდე წუთის შემდეგ სამზარეულოში დაბრუნდა. სტუმრის პირისპირ დადგა, ორივე ხელით მაგიდას დაეყრდნო და პეტიასკენ გადმოხრილმა დაიჩურჩულა:

– წითელია?

– რა? – პეტია უხერხულობისგან უკან გადაიხარა.

– ცოლი, – იმავე შეთქმულის ჩურჩულით დააზუსტა პროფესორმა, – თქვენი ცოლი წითელია?

– ე-ე... რა, გაგებ... ანუ... დიახ!

ვაცლავი მოპირდაპირე მხარეს ჩამოჯდა და თავშეკავებული, მოზეიმე ტონით წარმოთქვა:

– ესე იგი, ეს ელიზას შტოა! – და უცებ აღრიალდა: – ქურდები! ქურ-დეე-ბიი! აი, ვინ ხართ თქვენ ყველა: ქურ-დე-ბი!!!

პეტია შეწუხებულად წამოიკრიფა. რა თქმა უნდა, მან და პროფესორმა დალიეს, გვარიანადაც დალიეს... მაგრამ იმდენიც ხომ არა... იმდენიც ხომ არა, რომ ჩხუბი ატეხონ, ან, ღმერთმა ნუ ქნას, ჭიდაობაში მთელი ეს კერამიკა და ღვეზელი თავზე რომ დაიმხონ?

– მისმინეთ, ვაცლავ... – ფრთხილად ჩაილაპარაკა, – გირჩევთ, თავი ხელში აიყვანოთ. მოდი, ორივე დავმშვიდდეთ და... ჯანდაბას, თითოც დავლიოთ!

– თქვენ რა გიჭირთ, – ბუტბუტებდა პროფესორი და ბოკალის კიდეს უჭახუნებდა ბოთლის ყელს, – თქვენ რა გიჭირთ, ლოთი ხართ. მე კი ავად ვარ, ის მჭირს, ქრონიკული...

– მე ლოთი არ ვარ, – იუარა სტუმარმა, – ლოთი მამა მყავდა. ეს კი საუკეთესო აცრაა... რას იზამთ, ვაცლავ, კორჩმარი ჩემთანაა და არავის დავუთმობ. მაგრამ უფლება მაქვს ყველაფერი ვიცოდე. თქვენი პაპის-პაპის შემთხვევითი კავშირების რომანტიკა... და მისი დანატოვარი სასიყვარულო მინიშნებები, – ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ლამაზია. მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის, არა? მიდით, მთავარი ისტორია მიამბეთ.

– უნდა გაგაგდოთ კაცმა ჯანდაბის იქით... – ამოიოხრა ვაცლავმა, – ან შეგიტყუოთ მაგ თოჯინიანად და მოგწამლოთ. ან, რა ვიცი, თავი მოგჭრათ. თქვენი ბედი, რომ კორჩმარი, როგორც ასეთი, არაფერში მჭირდება.

– რატომ?

– იმიტომ. – პროფესორმა პირში მოიპირქვავა ბოკალის შიგთავსი. – კორჩმარი, უკაცრავად და, შვილიერების ასაკშია საჭირო. სწორედ ამ ასაკში შობს ის ქალიშვილებს.

– როგორ?! – წამოიძახა პეტიამ, – თქვენც მაგას ამბობთ? ეს რა ბოდვაა? რას ნიშნავს, შობს?.. ვის უნდა შობ...

– დიახ, არცთუ ზუსტად მოგახსენეთ. ის, მოდი, ასე ვთქვ ათ... უზრუნველყოფს სწორედ რომ ქალიშვილების დაბადებას, ქალიშვილების, რომელთა გზითაც მიედინება უბედური, დაწყევლილი მოდგმის სნეული ნაკადული.: “ქვიდან ქვაზე, ქვიდან ქვაზე, გორაკიდან ქვიი-შიანზე”... ის წარმატების საწინდარია, არა? აბა! ეს ხომ უჩემოდაც იცით, კორჩმარი ხომ თქვენთანაა?

– არაფერიც არ ვიცი! – მოწყვეტით ჩაილაპარაკა პეტიამ, – ვაცლავ, მისმინეთ. დრო ცოტა მაქვს. საათ-ნახევარში უნდა წავიდე. უკან, პრაღაში დასაბრუნებელი მატარებლის ბილეთი მაქვს. დიდი ხნით არ შემიძლია ცოლის დატოვება, ის ავადაა... კორჩმარი ამ დღეებში გამოჩნდა, სრულიად შემთხვევით, მოულოდნელად გარდაცვლილი ნათესავი ქალის სახლში, და... არა აქვს მნიშვნელობა, არა აქვს მნიშვნელობა, ეს გრძელი ისტორიაა, რა საჭიროა! შეგვიძლია იმაზე ვილაპარაკოთ, რომ ეს ყველაფერი ბოდვაა, ზღაპარი და ცრურწმენა, რომ ჩვენ

ზრდასრული ადამიანები, თანაც მამაკაცები და არა ქალები... მაგრამ დრო არ მაქვს. მისმინეთ: – პეტიამ ისე გადაყლაპა ჰაერი, რომ ადამის ვაშლი დაეძაგრა, – მე... შვილი მყავდა... ბიჭი... და ის... ჩვილივე გარდაიცვალა.

– აბა, სხვაგვარად როგორ იქნებოდა, – ჩაილაპარაკა პროფესორმა და მწარედ ჩაიცინა, – და, ალბათ, ეგრეთ წოდებული "ანგელმანის სინდრომი" დაჰყვა, ანუ "მოცინარი თოჯინის სინდრომი". კიდევ აქვს მაგ დაავადებას ერთი, ცოტა არ იყოს, დამცინავი სახელწოდება: "პეტრუშკას სინდრომი". გამოვიცანი?

პეტია უხმოდ გადაიწია კედლისკენ და იჯდა ასე, თავდახრილი, ყბებმოკუმული: რუხი ნიღაბი იყო, სახე კი არა.

– ესე იგი, გამოვიცანი... – ამოიოხრა პროფესორმა, – გამოდის, რომ თქვენს ცოლსაც მოჰპარეს "საშობაო თოჯინა"... "ორსულ კერპს დადევნებულ ცეცხლისფერთმიან ქალთა ჯაჭვი"... – წარმოთქვა მან, არავინ უწყის, ვისი სიტყვები; წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და კარგა ხანს იდგა იქ, თან საკუთარ ანარეკლს ათვალიერებდა და თან კვლავ ლაპარაკობდა პეტიას მისამართით.

– კარგი! ღმერთი თქვენკენ! გიამბობთ ამ ისტორიას იმ სახით, როგორიც ჩემამდე მოსულა. მაშ, იცოდეთ: გადაცრეცილი ფოტოსურათი, რომელიც შვილთაშვილმა ფოტოშოპით განაახლა და თანამედროვე

ატელიეში დაბეჭდა, საოჯახო ალბომის პირველ გვერდზე დააწებეს, ვითარცა ფესვი, სათავე, და მოდგმის ხსოვნა. გადარეცხილ სახეზე, პენსნეს და ულვაშის მეტი, არაფერი ჩანს, სამაგიეროდ, დიდპაპისეული ტროსტის ბრინჯაოს ბუნიკი ახალივით ბზინავს... იმედია, საათ-ნახევარში ჩავეტევი. მხოლოდ გაითვალისწინეთ: ეს ისტორია ბებიამ მიამბო, დედის დედამ, ის კი შეუდარებელი მსახიობი და დიდი ფანტაზიორი იყო. მე სულაც, მთელი ცხოვრება ვთვლიდი, რომ სწორედ მან მოიგონა ეს ისტორია, გამომდინარე მისი საშინელი ოჯახური... მემკვიდრეობიდან, ასე ვთქვათ. თუმცა, ხომ ხედავთ, რეალობა აღმოჩნდა ყველაფერი.

მან ორივე ხელი შეიცურა დაუდეგარი ჭაღარა თმის კულულებში და ნერვულად ააფათურა შიგ, თითქოს ამ ამბის ფესვები უნდა გამოთხაროსო, ან, სულაც, მისი გაქრობის პირას მყოფი დედააზრის მოხელთებას ცდილობსო. და ფანჯრის მინაზე არეკლილმა მისმა ორეულმა, ჟესტებით რომ უცხადებდა სოლიდარობას, შურდულივით გადაშალა წვეტიანი იდაყვები და პროფესორ რატის დაბნეულობა გამოსახა.

– ყველაფერი შემზარავად რეალური აღმოჩნდა... ასე და ამრიგად: მეთოჯინე. XIX საუკუნის შუახანი. ეს რა დროა თავადაც იცით, ისტორიულ თარიღებსა და გარემოებებს არ ვუღრმავდებით, არც არაფერში გვჭირდება ისინი: საქმე პირწმინდად კერძოა. მაწანწალას ფრანცი

ერქვა, გვარი კი... უცნაურია, რომ მისი გვარი საოჯახო მეხსიერებაში არ შემონახულა. თუმცა, რატომაა უცნაური? გვარის ძაფს ქალები ექაჩებოდნენ, ქალი კი თავიდანვე განწირულია, რომ ვინაობა იცვალოს, ასე რომ, წინაპრის გვარი დაკარგულია, გაწყდა ძაფი. ერთხელ, ასე, ... ორმოც წელს, ჩემი აზრით, ან ოდნავ მერე, ხეტიალ-ხეტიალში იგი ქალაქ ბროდიში ჩასულა, – ეს ლემბერგის, ახლანდელი ლვოვის მიმდებარედაა. და იქ ადგილობრივი კორჩმარის ქალიშვილი შეუთვალიერებია. და არა მხოლოდ შეუთვალიერებია, არამედ, პირდაპირ ვთქვათ, შეჰყვარებია: უნდა ვივარაუდოთ, რომ ქალი მზეთუნახავი იყო. ნამდვილი სიყვარული სწვევია კაცს, პირველად თავის სიცოცხლეში. ისე შეჰყვარებია, რომ თანახმა ყოფილა, სამუდამოდ დარჩენილიყო იქ და მეპეტრუშკის ხელობა მიეტოვებინა: თანახმა ყოფილა, დაფუძნებულიყო, რამე სხვა საქმით ეშოვა ლუკმაპურის ფული, და არა სკაბრეზული ბალაგანით. მაგრამ ქალიშვილს არ შეეძლო თუ არ სურდა მის რწმენაზე გადასვლა (ფრანცი გაგერმანელებული ჩეხი იყო), ხოლო ქალის მამამ, პირქუშმა და ღვარძლიანმა კაცმა, ხელის მთხოვნელი ზღურბლიდანვე გაისტუმრა ცივი უარით. უცხოებს თურმე არ სწყალობდა, თანაც ასეთ უცხოს მებალაგანეს, ტაკიმასხარას, ყბედს. რა უნდა ექნათ ახალგაზრდებს? სად წასულიყვნენ? ქალი ხომ უკვე ორსულად იყო. და მათ სადმე, ძალიან შორს გაქცევა გადაწყვიტეს

საკმაოდ ბანალური გამოსავალი მოძებნეს შექმნილი სიტუაციიდან... და გაიქცნენ... დალიეთ, დალიეთ! რას გაქვავდით? ჯერ სადაა, გრძელი ამბავია...

პროფესორი ფანჯარას მოშორდა, ბოკალი აიღო და ერთიანად მოიყუდა პირში თავისი წილი ვისკი; ორი თითით ლამის ქლიავისხელა შავი, ცხიმიანი ზეთისხილი ამოაძვრინა ქილიდან და კურკის გარშემო მის საფუძვლიანად შემოხვრას შეუდგა. – იცით, რომ ორი-სამი ზეთისხილის კურკის გადაყლაპვა თირკმელების კარგი მუშაობისთვის ძალიან სასარგებლოა? კარგი, კარგი, ნუ წამოიფოფრებით. განზრახ არ ვამბობ, უბრალოდ, აზრად მომივიდა და... ვაგრძელებ თხრობას... განა საჭიროა იმის თქმა, რომ ლტოლვილი გვრიტები პირველივე სასტუმროში დაიჭირეს მეზობელ სოფელში? დილით, აღმოაჩინა თუ არა დანაკლისი კორჩმარმა, ყველაფერს მყისვე მიხვდა, საჩივარი დაწერა და იქაურ თავადთან გაქანდა. იმან კი თავისი ყოჩაღი ბიჭები და ძაღლები დაადევნა გაქცეულებს... ასე რომ, ქალიშვილი შინ, გააფთრებულ მამასთან დააბრუნეს, ხოლო მეთოჯინემ კი რაღაც სასწაულით თავს უშველა (გამორიცხული არ არის, რომ მას თავად მდევრებმა თანაუგრძნეს, – წინა დღეს ალბათ ბევრი იცინეს მის მორიგ წარმოდგენაზე: “აბა, ცოლო, რა გაქვს კაბის ქვეშ? ოჰოოო! ეს ხომ ბატონი ექიმია! მანდ რას მკურნალობთ თქვენი გრძელი და მსხვილი ჩიბუხით ჰაა-ა-ა?! ბრახ თავში!

მოკლა! მოდი, ცოლო, გვამის დამალვაში მომეხმარე...”). – ვაცლავ რატმა სკამი შემოაბრუნა და ცხენივით გადააჯდა, ხელები საზურგეს შემოხვია.

– ახლა წარმოვიდგინოთ სიტუაცია. კორჩმარი დარდისა და სირცხვილისაგან გონზე არაა, – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ მისი ქალიშვილი მუცლით ნაბიჭვარს დაატარებს, მამზერს...

ირგვლივ კი უკვე ყველამ იცის ეს ამბავი და სიამოვნებითაც ფქვავენ მის სადარდებელს – აბა, სად გინახავთ, რომ მოსახლეობას კორჩმარები უყვარდეს, მით უმეტეს, ასეთი უჟმურები? და მაშინ, – ყურადღება, ამ ამბის ძარღვებში სისხლის გამყინავ ეპიზოდს ვუახლოვდებით... მაშინ მოხუცმა სახალხოდ დასწყევლა ის არამზადა რაღაც საშინელი ებრაული წყევლით... სხვათა შორის... – ის უკან გადაქანდა სკამიდან და ისე გამოშვირა თავისი გრძელი ფეხები, რომ პეტიას ფეხებს მიაწვდინა მაგიდის ქვეშ...

– სხვათა შორის, იცით თუ არა, რომ არსებობს უძველესი და მომაკვდინებელი კაბალისტური რიტუალ-წყევლა: “პულსა დე ნურა”? ეს არის ზეციური სამსჯავროსადმი თითქოსდა პირდაპირი მიმართვა ამა თუ იმ ადამიანის კონკრეტული მხილებით დანაშაულის ჩადენაში და მისი უსასტიკესად დასჯის მოთხოვნით. მაგრამ, ჯერ ერთი, წყევლა რომ ამუშავდეს, საჭიროა ათი ზრდასრული მამაკაცი და თავად რიტუალის

ცოდნა; მეორეც იგი მხოლოდ ებრაელი ხალხის წიაღში მოქმედებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰიტლერი იმდენ ხანს ვერ იბოგინებდა დედამიწაზე... ჩვენი კორჩმარი, რა თქმა უნდა, უფრო ნაკლები გაქანების იყო, კაბალა აშკარად არ შეუსწავლია, შელოცვები არ იცოდა, მაგრამ ხომ გესმით... დარდისა და მძვინვარების ძალამ, რომელიც განუზომელი სასოწარკვეთითაა შეკრული... შესაძლოა, მისცეს კიდეც რაღაც წარმოთქმულ სიტყვებს აღსრულების, ახდენის ენერგია. ან, ამაღლებულად რომ ვთქვათ: მამის გოდებამ, მისმა სისხლიანმა ჩივილმა უზენაესის ყურამდე მიაღწია!

სამზარეულოში უკვე დიდი ხანია, მაგიდის ლამპა ენთო, რომელიც თბილი, რბილი შუქით ანათებდა სტუმარსა და მასპინძელს.

ჩაკეტილი, ღრმა ბინდში ჩაძირული ეზო ელექტრონული, მხიარული საკერებლებით იყო მოფენილი. ფანჯრის მიღმა კი თავის კანტურით, ხელების ქნევით, სტუმრისკენ საჩვენებელი თითის დამიზნებით, წვეტიანი მხრების ჩეჩვით უცნაურ ამბავს ჰყვებოდა ნაძვის კენწეროს თავზე მოლივლივე პროფესორი ვაცლავ რატი.

– ამის შემდგომ გაურკვევლობა გვაქვს, ანუ სპექტაკლში ანტრაქტია. კიდევ დალევთ? არა? მე კი, ალბათ, დავლევ... დიახ: ასე, თხუთმეტწლიანი ანტრაქტი გვაქვს. არაფერი ვიცით მეთოჯინე ხეტიალს განაგრძობდა, ნებისმიერ მოედანზე შლიდა თავის ბალაგანს: ბაზრობის რიგებს შორის, სასტუმროების ეზოებში, ციხე-კოშკების წინ...

თავის მარშრუტებში ფრთხილად უვლიდა გვერდს იმ ქალაქს, – მით უფრო, რომ მის ყურამდეც მისულიყო ხმები კორჩმარის წყევლისა და შურისძიების შესახებ. ან რატომ უნდა გაერისკა? ის გოგო ძალიან ენატრებოდა, სწორია, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი უკანალი ხომ ბევრად უფრო ახლობელი იყო მისთვის, ვიდრე რაგინდარა მზეთუნახავი ქალი?..

მაგრამ ასე, ორმოცდაათიანი წლებისკენ დაიღალა, გადაწყვიტა დაშოშმინებულიყო და სადმე, ერთ ადგილას დაფუძნებულიყო. იყო ასეთი ქალაქი, სტანისლავი, ჰოდა, მანდ ჩაუშვა ღუზა. პატარა სახლი იყიდა, ფარდულში კი თოჯინების დასამზადებელი სახელოსნო მოიწყო... და საქმეც აეწყო, აეწყო: ის ოსტატი იყო და, როგორც ჩანს, ნიჭიერი მექანიკოსიც, და საერთოდაც, ოქროს ხელები ჰქონდა, ყველაფერი ეხერხებოდა ბიჭს. მისი სათამაშოები ბავშვებსაც მოსწონდათ და დიდებსაც. ბოლოს და ბოლოს, ერთი ჯერ კიდევ ახალგაზრდა უშვილო ქვრივი შეუთვალიერებია, მისი ცოლად შერთვა გადაუწყვეტია და, მოკლედ, შვილების გაჩენაც. ნორმალური მოსაწყენი ისტორიაა... კორჩმარი რომ არა! ხომ გახსოვთ, რომ მისი სისხლიანი ჩივილი მივიდა მაინც მივიდა! – უზენაესის ყურამდე? და აი, სათანადო დროს ქვრივმა პირველი შვილი შობა. ვაჟი... უცნაური ბავშვი დაიბადა: მოცინარი. ეს უკვე მერე, მოგვიანებით, მამაჩემმა დაძებნა

ენციკლოპედიებსა და ცნობარებში და თავის ნაცნობ-მეგობარ ექიმებთანაც მრავალჯერ უმსჯელია ამ დაავადების შესახებ. ბავშვობაში კი ბებო, უბრალოდ, ასე მეუბნებოდა: “სულ იცინოდა”. “მერე რა, ბებო, რომ იცინოდა? ეს ხომ კარგია, როცა ბავშვები იცინიან?” ის კი მპასუხობდა: “ღმერთმა ნუ ქნას!”... მოკლედ, როცა მიხვდნენ, რომ ბავშვი არანორმალური დაიბადა, ბედისწერის დამარცხება განიზრახეს. და რაღაც ხნის მერე ქალმა, თუმც კი უკვე ოცდათხუთმეტისა მოყრილიყო, მეთოჯინეს მეორე ვაჟიშვილი გაუჩინა. შეხედეს მის მოცინარ სახეს... და, როგორც იტყვიან, თვალთ დაუბნელდათ.

აი, მაშინ კი გაახსენდა მეპეტრუშკეს კორჩმარის წყევლა, გაახ-სენდა... აი, თურმე რით და ვისით მოუხდა მას პასუხისგება თავის ნამოქმედარ ბოროტებაზე... ის, რა თქმა უნდა, დანებდებოდა, შეეგუებოდა, ცოლი რომ არა. კითხვა ისმოდა: რატომ უნდა ეტანჯა საბრალო ქალს? რაში იყო დამნაშავე? საბოლოო ჯამში, მე თქვენ გეუბნებით, რომ სასოწარკვეთის ხარისხი წყვეტს საქმეს. სასოწარკვეთის ხარისხი! არა გაბედულება გაბედულების წინააღმდეგ, არამედ სასოწარკვეთა სასოწარკვეთის წინააღმდეგ... დაიწყო ცოლ-ქმარმა ძებნა-გაკითხვა და მიაკვლია, რომ სადღაც, რომელიღაც სოფელში ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობდა, რომელიც თურმე მსგავსი უბედურებისას ეხმარებოდა ადამიანებს. ახლა ასეთ მოხუცს “ექსტრასენსი” ან “ნათელმხილველი” ერქმეოდა, არა? მაშინ კი ისე ამბობდნენ,

როგორც იყო, უბრალოდ და სადად:
გრძნე ული, კუდიანი.

ჰოდა, გაემგზავრნენ გრძნეულთან, შორეულ სოფელში... იცით, ბავშვობაში, ბებია ამ ამბავს რომ მიყვებოდა ხოლმე (ვინ იცის, რამდენჯერ მოუყოლია ძილის წინ), იმ გზის წარმოდგენა მიყვარდა: რითი მიდიოდნენ? – ურმით ან საზიდრით, ალბათ? მეც ყოველ წელს ჩავდიოდი არდადეგებზე მამის მშობლებთან, სოფელ ოლეშნაში ქალაქ ბლანსკოდან სამ კილომეტრში. ბაბუას იქ ღონიერი მეურნეობა ჰქონდა: ქათმები, ბატები, ბოცვრები, ღორები. ყველაზე ბედნიერი მოგონება: ჩემი ველოსიპედი სოფლის შარაზე მიქრის, მზით დაძენძილ მწვანე ფარდებქვეშ, ბალახის სურნელისა და ფრინველთა წარმოუდგენელი ჟივჟივის ფონზე, ტყის ძლევამოსილი მუსიკის, მიწის სურნელიანი, ხელშესახები, ნოტიო სიცოცხლის წიაღში... და წარმომიდგებოდა ხოლმე, როგორ მიდიან ის უბედურები საზიდრით ტყის გავლით, ჩიტების ჭიკჭიკის, მთელი ცხოვრების გავლით... როგორ ცდილობენ მოატყუონ სიკვდილი და სახლიდან შორს გაიტყუონ იგი... უცნობია, როგორ და რით გადაუხადეს მადლობა მოხუც ქალს რჩევისათვის, მაგრამ რჩევა, ყოველივეს გათვალისწინებით, – აშკარად მიუღიათ, რადგან შინ რომ დაბრუნებულან, მეთოჯინე სახელოსნოში ჩაკეტილა და მარტოს, ტუსაღივით გაუტარებია იქ ერთი კვირა: ჭრიდა, თლიდა, ხერხავდა, ხატავდა და აწებებდა, ეშმაკურ საკეტს იგონებდა

სამალავისთვის... ბებიაჩემი ამტკიცებდა, რომ გრძნეულს დამაწყევარის ზუსტი ასლის დამზადება, და კიდევ, პატარა, “წითელთმიანი” თოჯინის გაკეთება უბრძანებია. რატომ წითელთმიანი? ეს საინტერესო კითხვაა... განზე გადავდოთ ამ ფერის აღმოსავლური ახსნა. იქ მაგალითად, იაპონიაში ან ჩინეთში წითელი ფერი გამბედაობას, ვაჟკაცობას და სიცოცხლეს ნიშნავდა. მაგრამ ევროპაში წითელი ფერი ეშაფოტზე გამოსყიდულ დანაშაულზე მიანიშნებდა ოდითგან. ამიტომაც იყო ხოლმე სისხლისმღვრელი ჯალათი წითელ სამოსში გამოწყობილი. ევროპულ ტრადიციაში წითელი ფერი ყოველთვის ნიშნავდა ცეცხლოვან, ქტონიკურ საწყისს, ანუ რაღაც მიღმურს, იმქვეყნიურს: თუნდაც ყველა პეტრუშკას წითელი ჩაჩი გაიხსენეთ.

რისი მიღწევა სურდა ამით ჯადოქარს? არ ვიცი, შესაძლოა, კორჩმარის წყევლის დაძლევა სურდა. ან მშობიარეთა სასიცოცხლო ძალების გაღონივრება. ჩავთვალოთ, რომ ის მხოლოდ მსგავსი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღმერთმა უწყის, საით წაგვიყვანს ვარაუდები.

სხვათა შორის, “პულსა დე ნურას” წყევლა, რომელზეც გესაუბრებოდით, არამეულიდან რომ გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს: “ცეცხლის დარტყმა”. ეს ისე გვერდითი შენიშვნაა... მეთოჯინემ ყველაფერი შეასრულა, რაც

მისანმა უბრძანა. ხომ გეუბნებით: სასოწარკვეთა სასოწარკვეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ნახევარი იყო. საქმე კი თავად იმ გრძნეულმა დაასრულა: კვლავ გაემგზავრნენ მასთან, ქვეყნის დასალიერზე, და მან, როგორც ბებიაჩემი ირწმუნებოდა, კორჩმარსა და მის მუცელში მყოფ ნაყოფს შე-უ-ლო-ცა...

– მისმინეთ, ვაცლავ, – ვეღარ მოითმინა პეტიამ, – ყველაფერი მესმის, ეს ამბავი, რად უნდა თქმა, იმდენად მძაფრსიუჟეტიანია, რომ ჰაერში გოგირდის სუნი დატრიალდა და, წესით, მისგან კარგი სათოჯინო სპექტაკლი უნდა გაკეთდეს. მაგრამ... იქნებ მაინც რაღაც სხვა წარმოდგენებით ვიხელმძღვანელოთ? სათოჯინო მაგია, თავისთავად ცხადია, ჩვენი მეურნეობის უძველესი განხრაა: იაპონური დოგუ, ინდური კატჰპუტლი, ალბერტ დიდის მოლაპარაკე თავი, კოჭლი ჰეფესტოსის ოქროს მოახლეები, და სხვა ბევრი... მაგრამ კიდევ "მკვლელი თოჯინებიც" არსებობენ, – ესეც მომხიბვლელია. . ეს ყველაფერი მეც ძალიან მიყვარს, მაგრამ... ახლა არა. ახლა არა! ახლა საკუთარ ბედისწერაში გარკვევას ვისურვებდი: რატომ უნდა წამოეკრა ჩემს ბედისწერას ფეხი ვიღაცის დაწყევლილ თოჯინაზე? გულახდილად მითხარით: გჯერათ მთელი ამ ჯადოქრობის?

– მჯერა? მე მჯერა თუ არა?! ჩემო კარგო! – არობრობდა პროფესორი, – და თქვენ, თქვენ თვითონ ვინ ხართ? თქვენი წყეული, მაგიური ხელოვნება რა არის? ჯადოქრობა

არ არის? როცა თქვენს ხელში მოხატული ხის ნაფოტი ცოცხლდება, – ამას რა ჰქვია? ჯადოქრობა არ ჰქვია?

– არა! – მტკიცედ უპასუხა პეტიამ, – ეს ჯადოქრობა კი არა, ჩემი ხელებია, – და ორივე ხელი ასწია მაგიდის თავზე, ხელისგულებით ზევით გაჭიმა, თითები აამოძრავა: – ჩემი ხელები და ჩემი ინტუიცია.

– ხელები! – გაიმეორა პროფესორმა, – კარგად შეხედეთ საკუთარ ხელებს. – და დამცინავი მზერით მიანიშნა კედელზე სტუმრის ზურგს უკან.

ვეება ჩრდილი კედელზე, რომელსაც თითქოს ფრთები გამოსხმოდა, სავსებით აბათილებდა პეტიას სიტყვებს: გეგონებოდათ, თითები ათი კი არა, ბევრად მეტიაო, და თითოეულ მათგანს კი სამი კი არა, ოთხი ფალანგა აქვსო.

– და რა არის თქვენს საქმეში ინტუიცია, თუ არა აღსრულების, შექმნის წინამორბედი? – განაგრძო პროფესორმა, – რა არის იგი, თუ არა წინასწარ განჭვრეტის ენერგია, რომელიც თავისთავად, უკვე აღსრულებაა? ინტუიცია... – სწორედაც რომ ჯადოქრობაა... გამძაფრებული და განვითარებული ინტუიცია სწორედაც ის ძალაა, რომელსაც შეუძლია აქციოს “ჰაერი წყლად, წყალი სისხლად, და სისხლი ხორცად”. ხოლო სულის მოპოვება ამ ხორცისთვის... – პროფესორი სკამზე გადმოიხარა, სახე სტუმრის ქორისებრ სახეს მიუახლოვა და ხმას დაუწია: – სულის მოპოვება... ეს უკვე

როგორც გამოუვა...

უცებ წელში გაიმართა, ფეხზე წამოხტა და პეტიას დაადგა თავს:

– ან იქნებ გგონიათ, რომ ის ძველები იდიოტები იყვნენ? გაგრძელება გაინტერესებთ? კი? თუ ასეა, მოკეტეთ, სანამ დავასრულებ. დაიოკეთ თქვენი საღი აზრები, მით უფრო, რომ თავადაც ამ "მძაფრსიუჟეტიანი" ამბით ხართ გვარიანად დამწვარი...

ჰოდა, არ გასულა ერთი წელი, – განაგრძო მან, – რომ ცოლმა მეთოჯინეს ჯანმრთელი გოგონა გაუჩინა, რომელსაც გასაოცარი, მოგიზგიზე ხანძრისფერი თმები ჰქონდა. შემდეგ ამას მოჰყვა კიდევ ერთი: ელიზა. და ეს გახდა მისი მთავარი შეცდომა! მე გეუბნები: მეორე გოგონას გაჩენა ჩემი დანავსული წინაპრის საბედისწერო შეცდომა იყო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ კორჩმარი ერთადერთია, და მხოლოდ ერთი ქალის ამოჩემება შეუძლია. წარმოუდგენლად ითვლებოდა, რომ ის საზიარო ყოფილიყო დებისთვის. უფროსი ჩემი დიდი ბებია პირველი გათხოვდა, და მამამ საზეიმოდ გადასცა მას სანუკვარი თოჯინა. მისი ქმარი, მიწის მზომელი, ერთი უდარდელი კაცი იყო სულ ნაირ-ნაირ მიწებზე, ვოევოდებსა და პროვინციებში ეწყობოდა სამუშაოდ, ამიტომ ქორწილის

მერე ახალგაზრდა წყვილი მალევე გაემგზავრა სადღაც. და რამდენიმე ხნის შემდეგ ოჯახს შეატყობინეს, რომ ცოლ-ქმარს ისევ და ისევ იმ მომაჯადოებელი, მოგიზგიზე ფერის ქალიშვილი შეეძინა. ღიპიანი კერპი სინდისიერად მსახურობდა: როგორც მონეტების საბეჭდი ჩარხი, ის ბეჭდავდა და ბეჭდავდა ცეცხლოვანი თმის ორეოლში გახვეულ, ფაიფურივით ნაზი სილამაზის მქონე მინიატიურულ ქალიშვილებს. რაღაცნაირ, საშიშ, პორცელანის თოჯინებს.

სხვათა შორის, ასეთი თმა ბებიაჩემზეც მახსოვს. წარმოიდგინეთ, ოთხმოცდათორმეტ წლამდე იცოცხლა. სიცოცხლის ბოლოს სახე გამომცხვარ ვაშლს მიუგავდა, – ვერ გაიგებდი, ტიროდა თუ იცინოდა; მაგრამ თმა! – ნაზი, კულულა, ახალგაზრდული სისქის და სიხშირის... ამ თმის წყალობით ბებიას თავი, განსაკუთრებით მზიან ამინდში, მძლავრ, ძოწისფერ ნათელს ასხივებდა, რომლის გამოც ბილწსიტყვა და მასხარა ბებიაჩემი რომელიღაც ვიტრაჟულ, სხივმოსილ წმინდანს ემსგავსებოდა.

მაგრამ კორჩმარს დავუბრუნდეთ. ყველას თითქოს დაავიწყდა, რომ უკვე წამოიზარდა ელიზა, მეტისმეტად გაბედული ქალიშვილი, რომელსაც არ სჩვეოდა თავისი საქმეების თვითდინებაზე მიშვება, მით უმეტეს, რომ ორი გულაფანცქალებული თაყვანისმცემელი მეწამული თმის ათინათურ ციალში უკვე ელოდა მისგან საბოლოო პასუხს... – პროფესორმა ჩაიცინა,

თავი გადააქნია, თითქოს ამ ამბის შემდგომი შემობრუნებით ტკბებაო. – გამოიცნობთ, რა მოხდა მერე? სწორია: ჭკვიანი და მოხერხებული დაიკო თავისი დის მოსანახულებლად და პაწაწინა დისშვილის გასაცნობად გაემგზავრა (იმხანად ბებიაჩემი ერთი წლისა თუ იქნებოდა). ჩავიდა საჩუქრებით, ტკბილეულითა და მოკითხვებით დატვირთული და... ზუსტად მეორე დილით გაქრა! აორთქლდა დის სახლიდან და კორჩმარიც გააყოლა ხელს! და მას შემდეგ ახლობელთაგან ის აღარავის უნახავს, მათ შორის, აღარც იმ ორ გულაფანცქალებულ საქმროს. როგორი გაბედულებაა, ჰა?! რომ წარმოვიდგენ იმ მარტოსულ გოგონას რომელიღაც, მისთვის უცნობი ქალაქის ვაგზლის ბაქანზე, ერთადერთი ბარგით ხელში... – ღმერთმანი, აღტაცების ღირსია!..

ვისია... ლტოლვილი ვისია სამარის ვაგზლის ბაქანზე, ერთადერთი პატარა ჩანთით ხელში, რომელშიც მოპარული კერპი აქვს დამალული. “იდგა მარტოდმარტო... მიუსაფარი...” ...და მას შემდეგ ახლობელთაგან ის აღარავის... არა, ის ტადეუშ ვილკოვსკის სიკვდილს დაელოდა და მაშინ გამოჩნდა... რისთვის? ის აწუხებდა, რაც თავისი თვითმკვლელი დის დაკრძალვის დღეს ჩაიდინა? დანაშაულის აღიარება უნდოდა... და ვერ გაბედა? იდუმალო ვისია შენ ხომ ვეღარასდროს იტყვი, ვეღარასდროს გაამხელ საიდუმლოს, თუ რატომ უნდა გაქცეულიყავი მაშინ ასე ნაჩქარევად, ვის

შეეძლო შენი დადევნება, ვინ წარმოადგენდა საფრთხეს შენი შვილისთვის?..

...დიახ, თავგანწირული ნაბიჯია, მარტოსული გადაწყვეტილება, ნახტომი სიცარიელეში... – ფიქრიანად გაიმეორა ვაცლავ რატმა, – გარწმუნებთ, ისინი ყველანი საშიში ქალები იყვნენ, აღტაცების ღირსნი... თუმცა ბებიაჩემს, რომ წამოიზარდა, აღტაცებისთვის არ სცხელოდა. ასე, ოცდაათ წლამდე შიშით არ თხოვდებოდა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ბაბუაჩემი გაიცნო, ზედმიწევნით მიზანდასახული, თხემით ტერფამდე მიწიერი ადამიანი, – ის იურისტიც იყო, რამდენიმე საზოგადოების თავკაციც, გაზეთებში სტატიებსაც ბეჭდავდა... ჯადოქრობა და სხვა ყველანაირი მისტიკაც, თავის "საშობ თოჯინებიანად" სულ ფეხებზე ეკიდა. და იცით, თავისი დარწმუნებებით განგება დააჰიპნოზა, – განგებამ თითქოს მიიძინა, ყოველ შემთხვევაში, ჩათვლიმა მაინც, სხვანაირად ასეთ გამართლებას ვერ ავხსნი: დაბადებითგან ოცდაცამეტი წლისამ ბებიაჩემმა ერთადერთი ქალიშვილი დედაჩემი გააჩინა, – ყოველმხრივ კარგი გოგონა, რომელიც ოდნავადაც კი არ ჰგავდა იმ ცეცხლოვანთმიან ფურიებს, რომელთაც ბეჯითად აწარმოებდა კორჩმარი... და ამის მერე ბებოს აღარ გაურისკავს. ოჯახში მშვიდ სიხარულთან ერთად თანდათან გამეფდა რწმენა, რომ მორჩა, გავიდა წყევლის ვადა, უბედურებამ ჩაიარა და წარსულს ჩაბარდა... ბებია ყველას უყვებოდა კორჩმარის

ისტორიას, ძალიან ხატოვნად, დაწვრილებით ჰყვებოდა ხოლმე, თვალები უმრგვალდებოდა, საჭირო ადგილებში ხმას უმაღლებდა, და თან ხშირ-ხშირად იფიცებოდა, რომ ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა, რადგან, მისი ესოდენ არტისტული გადმოცემისგან ამბავს არათუ გოგირდის სუნი დაჰკრავდა, როგორც ეს თქვენ მართებულად შენიშნეთ, არამედ რაღაც ტრანსილვანური ვამპირებისაც კი, ან რაღაც ამდაგვარის. მაგალითად, ჩემს ცოლს ამ ისტორიის საერთოდ არ სჯეროდა. ჩემი ცოლი უმაღლესი დონის ფხიზელი და ირონიული ადამიანი იყო... დედაჩემი კი... დედა ახალგაზრდობაში ძალიან ლამაზი იყო. მერე თუ მოისურვებთ ნახვას, – ჩემს კაბინეტში, მაგიდაზე დგას მისი ფოტოსურათი. მას ჰქონდა მდიდარ ოჯახში გაზრდილი ქალიშვილის მშვიდი, რბილი მშვენიერება. დედა ვენის კონსერვატორიაში სწავლობდა, ფორტეპიანოს კლასში, შპენგლერის დიდი თაყვანისმცემელი იყო, და კეთილგონივრული არჩევნის შედეგად მამაჩემის საიმედო მკლავებში აღმოჩნდა. და სწორადაც მოიქცა: მამას იგი მთელი ცხოვრება უყვარდა, ყმაწვილი კაცივით, და საშინლად განიცადა, როცა... იცით, დედამ კონსერვატორია დაამთავრა თუ არა, მაშინვე დაქორწინდნენ, მერე კი ნახევარი წელი ევროპაში მოგზაურობდნენ: იტალია, პორტუგალია, ესპანეთი... დედა სცენაზეც კი გამოდიოდა ძალიან კარგი პიანისტი იყო. მოკლედ, ყველაფერი მშვენივრად, უღრუბლოდ, ზღაპრულად მიდიოდა...

როგორც დედა იტყოდა, – “აწყობილად”. დედა ბავშვს ელოდებოდა და ცოლ-ქმარი ბედნიერ გეგმებს აწყობდა, თუმცა გერმანიაში უკვე ცუდი სიტუაცია იყო და ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც საკუთარ ალღოს ენდობოდნენ, ამერიკის ვიზებს აფორმებდნენ. მაგრამ ხომ იცით, რას წარმოადგენს პირადი ბედნიერების აბსოლუტური სიბრმავე. უბრალოდ, არ იყურები გარშემო, ვერაფერს ამჩნევ ირგვლივ. შენ და შენი ბედნიერება სულ ესაა მთელი სამყაროს უსასრულობა.

და აი, მათ ვაჟი შეეძინათ... – ვაცლავ რატმა ნაღვლიანად ჩაიცინა. მერე პეტიას ამოხედა და მისმა აწყლიანებულმა თვალებმა და ოდნავ დამნაშავე მზერამ ცხადყო, რომ პროფესორს სასმელი გვარიანად მოჰკიდებოდა. – ალბათ, მიხვდით უკვე: ბავშვი იცინოდა. სულ იცინოდა, სანამ არ მოკვდა. წყეული, დიდი ხნის წინ გარდაცვლილი კორჩმარი ამნისტიებს არ არიგებდა... მამამ მთელი სამედიცინო ლიტერატურა გადაქექა, დედას ლამის მთელი ევროპის დედაქალაქებში საუკეთესო ექიმებთან დაატარებდა კონსულტაციებზე. და ყველა ექიმი ერთხმად არწმუნებდა მათ, რომ ქალი სავსებით ჯანმრთელი იყო და უდავოდ შეეძლო ჯანსაღი ბავშვის შობა. თუმცა, მამის განწირული ხვეწნა-მუდარების მიუხედავად, ქალს ვეღარ გადაუწყვეტია კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა. ა-ღა-რა-სო-დეს.

– მაგრამ... მოითმინეთ! – წამოიძახა გაოგნებულმა პეტიამ, – ვერაფერი გამიგია. და თქვენ?!

– მე ნაშვილები ვარ, – მოკლედ მიუგო ვაცლავმა.

რამდენიმე წამს ორივე დუმდა: ერთი დაბნეულად, მეორე ჩაფიქრებულად და მშვიდად.

– დედას არასდროს მოუყოლია ჩემი შვილად აყვანის ამბავი, – განმარტა პროფესორმა, – ეს უცნაური ტაბუ იყო ოჯახში. ვფიქრობ, ეს კიდევ ერთ ტრაგედიასთანაა დაკავშირებული, რომლის შესახებ რამის შეტყობა მე აღარ მიწერია. მაგრამ ყველა მინიშნება, ჩემი ომიანობისდროინდელი დაბადების თარიღის ჩათვლით, და კიდევ სიკვდილამდე ცეცხლისფერთმიანი ბებიაჩემის ერთი-ორი გამონათქვამიც, იმაზე მიუთითებს, რომ მე ბოშა ვარ, რომელიც შემთხვევით გადაურჩა მასობრივ დახვრეტებს.

და, როგორც თოჯინის დამზადებისას ხდება ხოლმე, როცა ბოლო წუთს ოსტატი პაწია, საბოლოო მონასმს გააკეთებს და მყისვე, წამიერად ლაგდება დეტალურად მოფიქრებული სახება, – ყველაფერი ერთბაშად თავის ადგილზე დადგა: ეს ვეება, მეჯინიბისა თუ გიტარისტის ხელისგულები, ხუჭუჭა ფაფარი და მხურვალე თვალები, მოქნეული, ლაღი ჟესტები და მაგიდაზე, ბოთლებს შორის მოცეკვავე ბოშის თანდაყოლილი გრაცია...

პეტია უხმოდ გასცქეროდა ჩაჩუმებული ეზოს თავზე, ლილისფერ ჰაერში მოყვითალო-ნარინჯისფრად მანათობელ ფანჯრებს და ახსენდებოდა სხვა, სამარაში ცოტა ხნის წინ ნანახი ეზო, ასეთივე მართკუთხა, მანათობელი ფანჯრებით გარშემო და ასეთივე ხრაშუნა თოვლით ფეხქვეშ... და ხედავდა თავის ლიზას, მიუსაფარი, ქუჩაში ნაპოვნი ბავშვივით მოკუნტულს დეიდის ვნებიანი საძინებლის საწოლზე.

აი, თურმე ვინ ყოფილხარ, ვისია, – ფიქრობდა, – ბოროტმოქმედი ვისია, ქურდი, რომელმაც ჩემს გოგონას არა მხოლოდ "საშობი თოჯინა" მოჰპარა, არამედ მის შესახებ რამის ცოდნის შესაძლებლობაც... და, როცა შენი ქალიშვილი დაიღუპა, არავინ უწყის, ვისგან გაჩენილი, და კორჩმარი ბოლომოკვეთილი გვარის ჩიხში აღმოჩნდა, შენ ამჯობინე სარდაფში მოგესროლა "ორსული კერპი", რადგან აღარ გჭირდებოდა, კარტოფილიანი ტომრის უკან გადამალე იგი, – ოღონდ კი არ გამოტყდომოდი ლიზას შენს ძველ ბოროტმოქმედებაში; ოღონდ კი თავადაც სამუდამოდ დაგევიწყებინა წყეული თოჯინა; წყეული, მაგრამ ჯერაც ქმედითი თოჯინა ერთადერთი გასაღები სიცოცხლის გაგრძელებისთვის...

* * *

...ისინი წინკარში იდგნენ: ორივე არაფხიზელი, ორივე შეძრული ამ შეხვედრით.

ვაცლავ რატი წარამარა მხრებში სტაცებდა ორივე ხელს უკვე ჩაცმულ სტუმარს, აჯანჯღარებდა და უმეორებდა:

– დარჩი, სულელო, დარჩი, ჩემთან გაათენე! ჯერ წესიერად არაფერზე გვილაპარაკია!

– არ შემიძლია, მაპატიე, – ბუტბუტებდა პეტია, – ჩემი ლიზა... ლიზა...

როგორც იქნა, ტაქსი გამოიძახეს, რომელიც ნახევარ წუთში მოგრიალდა, და პეტია დიდხანს, ნელა ჩადიოდა კიბეზე (თუმცა, შეეძლო, ერთ წამში ჩასულიყო ლიფტით), ხმამაღლა ითვლიდა კიბის საფეხურებს გერმანულად, რადგან, როგორც ცნობილია, ადგილობრივი კონტროლიორები მატარებლებში, გარდა იმისა, რომ ბილეთის წარდგენას ითხოვენ, ყოველთვის ეკითხებიან მგზავრს დღეში გავლილი საფეხურების რაოდენობას.

როცა, ბოლოს და ბოლოს, სადარბაზოს კარსაც სძლია, რომელმაც, ძაღლიშ-შ-ვილმა, ჯიბრზე, შიგა მხარეს დაიწყო გაღება და არა ადამიანურად, და როცა ჩაისუნთქა ყინულოვანი ჰაერის მჭრელი დანისპირების მთელი გუნდი, როცა აჩქარებით გასწია მორჩილ-მომთმენი ტაქსის თბილი წიაღისკენ (შაისე! აი, ზუსტადაც რომ შაისე! ამხანაგო!), – სადღაც მის თავს ზემოთ ერთბაშად გადასკდა შმაგად გამოღებული, საზამთროდ ჩაწებებულ-ჩაგმანული ფანჯარა და ფარნების სუსხიან ბურუსში მძინარე ქუჩას თავს გადაევლო მემკვიდრეობითი ცხენიპარიას მძლავრი ყიჟინა:

– ჰეი, იუმორისტო! და სინაგოგის სხვენზე გოლემის დასათრევად არ ავძვრეთ?

თავი მერვე

“...დღეს ვერ მოვახერხე დაწესებულების ავტოსადგომზე პარკირება, ასე რომ, კარგა ბლომად ვიარე, როცა გამახსენდა, რომ ტორტი დამრჩა მანქანაში.

მეც თუ შვილიშვილი მქვია... ისეთი ზეიმია დღეს, დღეს ისეთი ზეიმია, – და როგორ აუხსნი თვითონ, ღმერთო ჩემო, როგორ აუხსნი, – რა ასაკამდე მოაღწია?

უკან დავბრუნდი და მანქანიდან ლენტებით შემკული დიდი მრგვალი ყუთი გადმოვიღე.

აი, რას ჰგავს ეს ტორტი ყველაზე დიდი მათ შორის, საკონდიტროს ვიტრინაში რომ იწონებდნენ თავს, – წყლის კოშკურა-ავზს, ოღონდ ნუშისას. შოკოლადის მინდორზე კრემოვან-ძლევამოსილი, პირდაპირ ოლიმპიური თარიღი წერია. “ო-ო-ო”, – წარმოთქვა ნორჩმა კონდიტერმა, თან ორივე ხელის მოჭერით გამოდევნა ტუბიდან გაწელილი ლაქის კლაკნილი, და ორმა მომრგვალებულმა ცხრიანმა კარაქის ელვარებით გაიბრწყინა, თითქოსდა იმ “ო-ო-ო!”-ს გაგრძელებად.

თვითონ ახალდაბადებული ოდითგან გულგრილი იყო ტკბ ი ლეულის მიმართ და დღესაც, დიდი-დიდი, ერთი ლუკმა გასინჯოს. არაფერია, ამ გრანდიოზულ მოწყობილობას ჩვენი სახელოვანი თავშესაფრის სანიტრები, მედდები და პაციენტები შეაფასებენ.

მოხუცებულთა თავშესაფრებს აქ

ამაღლებულად “მამათა სახლს” უწოდებენ აბა, სად გაექცევი ამ ერთი ბეწო ქვეყანაში ენისა და ისტორიის ბიბლიურ მონუმენტურობას? თუმცა გლოვისა და ანეკდოტის ამ სახლს გარკვეულ მონუმენტურობას ვერ წაართმევ: არაჩვეულებრივად აღჭურვილი ხუთსართულიანი შენობა, მარმარილოს ვეება ჰოლი, სამი ლიფტი. და კვლავ, ესტამპები კედლებზე: დაწესებულების ბინადართათვის აწ უკვე მიუწვდომელი ცხოვრებისეული სიხარულები შადრევანთა მქუხარე სვეტები, ოკეანის შტორმული ხახა, ალპინისტთა დაკლაკნილი ბილიკი ყინულოვანი მწვერვალისაკენ...

მესამე სართულზე ავედი, გავიარე ჰოლი, სადაც ნათესავები რამდენიმე საინვალიდო ეტლს დაასეირნებდნენ იმიანად, რაც შიგ იყო მოთავსებული, და სასადილოს დარბაზში შევედი, რომლის სანახევროდ მრგვალ კედელს დაჩრდილული ფანჯრები მიუყვებოდა შუაწელზე. მთელი დარჩენილი სიცოცხლის მანძილზე მოხუცებს იუდეის უდაბნოს რბილი ბორცვების იასამნისფერ წყებათა ზემოთ, ზეციურ გუნება-განწყობილებათა ცვალებადობაზე დაკვირვებას სთავაზობდნენ. ასეთ ხედზე არც მე ვიტყოდი უარს. ოღონდ ჯერ არა, ჯერ მოვიცდით, ასე... ორმოც წელს მაინც.

ტორტი ძლივს შევაცოცე მედდების თაროზე, რომლის მიღმაც უფროსი მედდის, ტანეჩკას, კულულებიანი კეფა მოჩანდა, – ის რაღაც

ბლანკებს ავსებდა. ტანეჩკამ ჩემს მისალმებაზე თავი ასწია, ყუთი დაინახა და სახეზე ყველაფერი ერთბაშად გამოეხატა: ღიმილიც, გაკვირვებაც, კმაყოფილებაც, და სრული წესრიგიც...

– ოთხმოცდაცხრამეტი! – საზეიმოდ წარმოვთქვი მე. და ტანეჩკა მყისვე, ავტომატურად გამომეხმაურა აქაური დალოცვით: – ას ოც წლამდე!

აჰ, არაა საჭირო, გავიფიქრე სევდიანად. არაა საჭირო... და თავად მას, ვისი ბრალეულობითაც ვზეიმობთ დღეს, – ერთი წუთით მაინც რომ შეეძლოს მთელი სიტუაციის ხილვა და თავისი განუმეორებელი იუმორით შეფასება, – ჯანდაბის იქით გაგზავნიდა კეთილსაიმედო საფენებიან მთელ ამ ღვთაებრივ მიმწუხრს...

–დღეს ყოჩა-ღადაა! – დაამღერა ტანეჩკამ, – ოღონდ ცუდად ჭამს. ლაპარაკით კი ლაპარაკო-ობს...

ლაპარაკობს! აქ ეს პაციენტის ვიტალურობის მაჩვენებელია. ისე კი, როცა ჩუმადაა, მე მაშინ უფრო მშვიდად ვარ; ყოველ შემთხვევაში, ასეთ დროს, მისი შეუდარებელი გინება, ლეგენდად რომ იყო ქცეული მის კოლეგებსა და მშობიარე ქალებში, და რომელიც, როგორც თავად იტყოდა ხოლმე, “საქმეში” მასაც შველოდა და მშობიარეებსაც, ამ კულტურული დაწესებულების ყველა სართულს არ შეძრავს ხოლმე...

ფანჯარასთან მზერით მოვძებნე გამხდარი

მოზარდის ჭაღარა კეფა და იქით გავემართე. ფრთხილი, თითქოსდა მოცეკვავე ნაბიჯით გავიკვლიე გზა სავარძლებში მსხდომ მოხუცებულთა შორის. სპილოს ინვალიდური კადრილი ჭურჭლეულის ფარდულში...

– აბა, რაო, – ვკითხე და ვერცხლისფერ კეფაზე ვაკოცე, – ვატანთ გემოს ცხოვრებას?

– გარიკ! სასწრაფოდ დაიბანე ხელები, სისხლისდენა გვაქვს.

– ახლავე, – ვპასუხობ მშვიდად, სკამს მისკენ ვაჩოჩებ და პირისპირ ვუჯდები. კვლავ, როგორც ყოველთვის, ვათვალიერებ მის მოჭმუჭნულ პატარა სახეს, და კვლავ, როგორც ყოველთვის, ვცდილობ ჩემი მავედრებელი მზერით საღი აზრის ნარჩენები დავიჭირო მის უკვე წარმავალ თვალებში...

– საშვილოსნოს ყელი სავსებით სუფთა აქვს!

– მიხარია...

სანიტარი მოვიხმე, ვახშამს რომ არიგებდა ლანგრებით, ქაღალდის ხელსახოცი დავუმაგრე ყელზე ჩემს ჭაღარა და ულვაშიან მოზარდს და იოგურტით სავსე პლასტიკატის ქილის გახსნას შევუდექი. და, რა თქმა უნდა, ხელიდან გამივარდა ქილა, – საბედნიეროდ, შიგთავსის ნაწილი დაღვრას გადაურჩა.

– ხელები რას გიგავთ, გარიკ? – შენიშნა ბებიკომ, – ასეთი ხელებით ნაკერები კი არ უნდა დაადო პაციენტს, საფლავები უნდა თხარო კაცმა.

– ლაპარაკი მწყობრშიი! – უფრო ახლოს მივჩოჩდი მაგიდისკენ და მისი სავარძელიც უფრო მოხერხებულად შემოვაბრუნე.

– გავაღეთ პირი, ა-ბა!

ვაგლახ: დღევანდელი დღე “ლაპარაკის” იყო. ანუ, იმ ერთი საათის განმავლობაში, რომელსაც აქ გავატარებ, ბევრ საამო რამეს მოვისმენ იმ ვიღაც, ჯანდაბა მის თავს, გარიკის მისამართით ნათქვამს, ვინც უკვე რამდენიმე თვეა, ვგონივარ.

ვახშმის საათი, გრძელი დღის ამაღლებული დასასრული: მაგიდებს ეტლები შემოსჯარვია და ლამის ყოველ მათგანს გვერდით წვეთოვანის შტატივი უდგას. კოვზის მოხმარება ყველას არ შეუძლია, ამიტომ სანიტრები და მედდები ხან ერთთან მივლენ, ხან მეორესთან, დადიან და მხიარულად დასძახიან ივრითზე, არაბულად და რუსულად: – შირალე, პირი გააღე! გემრიელია! იციკ! არა! ფურთხება არ შეიძლება! გემრიელია!

შესაძლოა კნინობითი მიმართვების გამო, ყოველივე საშინლად წააგავს საბავშვო ბაღს, ბოლომდე განუვითარებელი ბავშვების რომელიღაც სპეცჯგუფს. ბავშვობაში სამუდამოდ ჩარჩენილების სპეცჯგუფს.

– ცოლიანი ხართ, გარიკ? – მკაცრი ტონია, შემაგულიანებელი ქვეტექსტით, და თან

დაუღეჭავი რბილობის ლუკმა მოცოცავს ნიკაპზე... ინვალიდური კადრილი: ყოველკვირეულად მე და ბებია ერთი და იმავე თემების წრეზე ვცეკვავთ. ძირითადად, ეს არის პირადი ცხოვრება მავანი გარიკისა, რომელსაც უკვე შევეჩვიე კიდეც, და კიდევ მისივე საშინელი პროფუვარგისობა ჩემი დაუვიწყარი ბებიკოს ფონზე.

– ცოლიანი ვარ, ვერა ლეოპოლდოვნა.

– თქვენს ცოლს რა ჰქვია?

– მაია.

– ჰმ! მაია... ლამაზი სახელია...

ჩავიცინე: ლამაზია, აბა რა. და ის თუ გახსოვს, ბებიკო, ერთმანეთი როგორ გიყვარდათ, რა დაქალები იყავით: ორივე მაღალი, ძლიერი, ორივე მხიარული და კისკისა, და ორივე ხეტიალა: ოღონდ კი მაღაზიებში გეწოწიალათ, თანაც ისე, რომ ქმრების ხელფასის მესამედი დაგეტოვებინათ ერთ გავლაზე. და გახსოვს, რა ცხარე ცრემლებით ტიროდი, როცა გაირკვა, რომ ჩვენი მაია უშვილოა? არაფერი, არაფერი არ გახსოვს: ღვთაებრივი მიმწუხრი... გამხდარი, ულვაშა მოზარდი ხარ, ვეება საფენგამოკრული, ბინდბუნდში რომ ბოდავს და ორმოცი წლის წინანდელ ვიღაც ყეყეჩ პრაქტიკანტ გარიკს რომ უხმობს...

წარმატებით დავძლიეთ დარჩენილი იოგურტი და ხაჭოს შევუდექით.

– გარიკ, ავადმყოფობის ისტორია შეავსეთ?

– რა თქმა უნდა, ვერა ლეოპოლდოვნა.

– ახლა წადით... – ამას მოჰყვა ისეთი ხატოვანი და ისეთი გაქანების მქონე არაბეჭდვითი ფრაზა, რომ კოვზიც კი გამივარდა ხელიდან, – მით უფრო, რომ ბებიამ კვლავ შემომაფრქვია სვიტერზე ხაჭო და ახლა ხელსახოცით უნდა გამესუფთავებინა საკუთარი თავიც და ბებოც.

– ბებიკო... არ ვიცი, რა დაგიშავა თავის დროზე იმ ვიღაც გარიკმა, მაგრამ...

– თქვენს საქმეს მიხედეთ და ლაქლაქს მოუკელით! – მომახალა ბებიკომ.

– ეგეც მართალია, – ჩავიბურტყუნე, ამოვიოხრე და პურის ნაჭრისთვის ქერქის შემოჭრას შევუდექი.

სანიტარმა მაჰმუდმა, ახოვანმა, ავაზაკური სახის მქონე ჯეელმა, მთელ ამ დაწესებულებაში საუკეთესო სანიტარმა თეფშებით შოკოლადის ტორტის უთოსებრი ნაჭრების ჩამორიგება დაიწყო. თითოეულ ნაჭერს გეოლოგიურ ძარღვებად მოუჩანდა ნაღების კრემი. მოხუცები გამოცოცხლდნენ და თავების აქეთ-იქით ტრიალი დაიწყეს. გამოჩნდა ტანეჩკა.

– ყურადღება, ძვირფასებო! – პროფესიულ ღიმილს მახვილი, მბურღავი მზერაც ერთვის თან: ხომ არ ჩხუბობს ვინმე, კომაში ხომ არ ჩავარდა ვინმე, ხომ არ ჩაისვარა ვინმემ და საყოველთაო სურნელება ხომ არ დაამძიმა ამით... – დღეს ზეიმი გვაქვს, ძვირფასებო! დღეს ჩვენს ვერას ოთხმოცდაცხრამეტი

წელი შეუსრულდა! მოდი, ვუსურვოთ მას...

და ასე შემდეგ, ო, ღმერთო...

მერე ეს სადღეგრძელო ინგლისურად და რუსულად გაიმეორა.

მოხუცები აყაყანდნენ ზოგი კმაყოფილებისგან, ზოგიც ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

– რას მიედ-მოედება? – ეჭვიანად მოჭუტა თვალები ბებიკომ, – ლაყბობენ, ლაყბობენ, მშობიარე კი ვერავის გაუპარსავს.

– გილოცავენ. – დავიხარე და ქაღალდივით მშრალ ლოყაზე ვაკოცე, – დღეს ოთხმოცდაცხრამეტი წელი შეგისრულდა.

– ბოდვაა და მეტი არაფერი, – თქვა მან, – მე ორმოცდარვა წლის ვარ და მშვენიერ ფორმაში ვარ ჯერაც. რა იყო?!

– არაფერი. ფორმაში ხარ. პირი გააღეთ, ვერა ლეოპოლდოვნა... და ღვთის გულისათვის, მთელი საათი ნუ ღეჭავ ერთ ლუკმას. გადაყლაპე!

– იცით რა, გარიკ... – ო, დღეს ლაპარაკის ეშხზე იყო... მხოლოდ ისაა გასაკვირი, რომ მე, მისი შვილიშვილი, ცხოვრებაში ძალიან იშვიათად ვიყენებ იმ ყაიდის სიტყვებს, რომელთა გარეთ გამოდევნა ასე ძალიან მინდა ხანდახან.

ამ დარბაზში გეოგრაფია უხვად იყო წარმოდგენილი: მაროკო, იემენი, ერაყი, პოსტსაბჭოური ქვეყნების მთელი

თანავარსკვლავედი, ამერიკა და ახალი ზელანდიაც კი. ბოლო ხანებში, მას შემდეგ, რაც ქვეყანაში მრავლად ჩამოვიდნენ ფრანგი ებრაელები, აქაც გამოჩნდა ორი მოხუცი ბებო, რომლებსაც კარგი მანიკიური, კეკლუცი მოკლე ვარცხნილობა და მჩხავანა ხმა ჰქონდათ.

ჩვენს მაგიდასთან, დაუვიწყარი ბებიკოს გარდა, ისხდნენ: შირალე, ოთხმოცდაექვსი წლის სათნო ქმნილება, ბირკენაუს ყოფილი ტყვე, რომელსაც გაქანებული პარკინსონი და სრული პროსტრაცია ჰქონდა; კლავა, ვიღაცის ოთხმოცდათორმეტი წლის საღად მოაზროვნე სიდედრი, რომელსაც საკუთარი მძვინვარე იუდოფობია ამხნევებდა, ძალას ჰმატებდა და ასაკისთვის დანებების საშუალებას არ აძლევდა; მეოთხე იყო ბელორუსიის სსრ-ს დამსახურებული მასწავლებელი მარგარიტა ვიტალიევნა (ქალი ყოველთვის ხაზს უსვამდა მამის სახელს და არავის აძლევდა ნებას, თვით მაჰმუდსაც კი, რომელიც რუსულად ორ სიტყვაზე მეტს ვერ ამბობდა, ეწოდებინათ მისთვის “მარა”, რაც რამდენჯერმე სცადა არაბმა სანიტარმა). მარგარიტა ვიტალიევნა ჯერ კიდევ ოჰოჰო! – ჯანზე იყო: ჯოხზე დაყრდნობილი თავისით დადიოდა, და სასკოლო პროგრამა ახსოვდა. ამ სრულიად მარტოსული მოხუცებულის მოსანახულებლად მისი ნამოწაფარი, სამოცდარვა წლის ორი ქალბატონი მოდიოდა ხოლმე, რომელთაც დაუნდობლად დაარბენინებდა და ჭკუას არიგებდა. ის

იმდენად ემტერებოდა კლავას, რომ რამდენჯერმე სხვადასხვა მაგიდასთანაც კი დასხეს ისინი. მაგრამ ჩვენი მაგიდის მდებარეობა პირდაპირ ფანჯარასთან, საიდანაც მოჩანდა პატარა ქალაქისა და უდაბნოს ვრცელი პანორამა, – ყველაზე მომგებიანად ითვლებოდა. ამ ადგილისთვის ისე იბრძოდნენ ხოლმე, რომ დამსახურებულ მასწავლებელს ლითონის კათხაც კი უბრახუნებია კლავასთვის მაგიდაზე, ის კი სულ "ურია-მასონებს" გაიძახოდა და თან სულაც არ ეუხერხულებოდა, რომ ბედისწერის ნებით თავადაც ურია-მასონურ თავშესაფარში უნდა დაესრულებინა საკუთარი წუთისოფელი.

მას შემდეგ, რაც შეუდარებელმა ბებიკომ გარკვეულ მისამართზე გაგზავნა გარიკი, კლავამ მტკიცედ და გარკვევით ჩაილაპარაკა: – აი, ეს კი ჩვენიანია.

– წადი შენი... – ენერგიულად გაეპასუხა ვერა ლეოპოლდოვნა, – შაბათ-კვირასაც გამუშავებ და ფულსაც არ გადაგიხდი! ბებიაქალი კი არა, ძაღლის ფუჩუ ხარ!.

– ბებიკო... – ხელსახოცით ნიკაპი და ულვაშები გავუწმინდე და მტკიცედ დავწვდი სავარძლის სახელურებს. – ახლა კი, მოდი, გავისეირნოთ...

სადღესასწაულო ტორტის მძიმე ნაჭერი ხელუხლებლად დარჩა მის თეფშზე და, როცა ეტლი გავაგორე, დავინახე, როგორ მიაწყდნენ მას ორი მხრიდან კლავა და

მარგარიტა ვიტალიევნა, და ლამის ფარიკაობა გააჩაღეს ჩანგლებით.

ასეთ სიცივეში მისი ქუჩაში გაყვანა ვერ გავრისკე; შემოდგომაზე, ერთი ასეთი დაუფიქრებელი გასეირნების შედეგად, ფილტვების ანთება დაემართა. იძულებული ვიყავი, ჰოლში დამემუხრუჭებინა, ვეება კერამიკულ ქოთანში ამოზრდილი რომელიღაც ახლადგასხლული ხის მარაოსავით გადაშლილ ტოტებქვეშ.

სკამი მივიწიე, მის პირდაპირ დავჯექი და ხელისგულებში მოვიქციე მისი დიდი, უწინდებურად ძლევამოსილი ხელი. ძლევამოსილი არა ძალის, არამედ მისი მოძრაობის, ტვინისგან დამოუკიდებელი, ავტონომიური აზრიანობისა და სიზუსტის გამო. დაღლილი, გახარჯული ტვინი უკვე ჩამოშორდა პროცესებს, რომელთაც დღითი დღე ჯიუტად მიჰყავდათ ორგანიზმი... აი, ხელები კი... ხელები, რომლებიც მთელი ცხოვრება თანაგრძნობითა და გულითადობით აკეთებდნენ თავიანთ საქმეს, ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ცოცხალი სამყაროს ჟესტების სიცხადესა და ლოგიკას... უფალმა უწყის, ამ ხელების წყალობით რამდენმა ადამიანმა იხილა მზის შუქი. მაგალითად, მე, მისმა შვილიშვილმა. დედას მოუყოლია: როცა ის, ლამის ყველა ნაკერავზე გადამსკდარი, მამლის ბოლო ყივილივით კიოდა, ბებიკო ზუსტად მასავით გაჰკიოდა და გაიძახოდა: “მიდი, მიდი!!! ყიფლიბანდი გამოჩნდა უკვე, ლამის შლაპა დავახურო!!!”

და გაურკვეველია, რის გამო: იქნებ, იმიტომ, რომ მშობლიური ხელების შეხება იგრძნო, – სულ სხვა, ვიდრე სანიტრებისა და მედდების შეხებაა, – ან იქნებ, რამე სხვა მიზეზით (როცა ეს გასაგები გახდება, მაშინ დემენციის მკურნალობასაც შეძლებენ), – რაღაც მოხდა იქ, თითქმის ჩამქრალი ტვინის სიღრმეში. უცებ ბებიამ დრო-ჟამისაგან ამღვრეული თვალები აახამხამა, მერე მე მომაპყრო და ჩაილაპარაკა:

– ბობა, მთელი ნახევარი წელი სად იყავი, შე ქაქო?

თავისთავად ცხადია, აქ ყოველ ოთხშაბათს მოვდივარ, – ეს დღე მეტ-ნაკლებად თავისუფალი მაქვს, – მაგრამ ბებიკო, გარკვეულწილად, მართალია: ბოლო ნახევარი წელი ხომ მან თვითონ ჩამანაცვლა ვიღაც ყეყეჩი და მოუხერხებელი გარიკით.

– მამა მივლინებაშია? – ჩამესმა, და გახარებული იმით, რომ ის ოჯახს მაინც დაუბრუნდა, საჩქაროდ ვუპასუხე: – კი, – და გამიელვა აზრმა, რომ მამა გვიცქერს ახლა თავისი უვადო შვებულებიდან და, ალბათ, განცვიფრებულია თავისი გასაოცარი დედის სიცოცხლისუნარიანობით.

– იცი, ვინ მოდის ხშირად ჩემს სანახავად ამ სანატორიუმში? – მკითხა ბებიკომ.

– ვინ? – მოთმინებით დავინტერესდი, თან თვალყურს ვადევნებდი, რომ საუბრის ლოგიკური ძაფი გაგრძელებულიყო, არ

გამწყდარიყო: ეს ხომ ძალიან კარგია, როცა კითხვას პასუხი მოჰყვება! ეს უკვე, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მაღალი დონის საუბარია.

– სულელი ბასია, – მომახსენა ბებიკომ. ამოვიოხრე და თავი დავუქნიე. უცნაურია, ვერ ცნობდე საკუთარ შვილიშვილს, რომელიც გაზარდე, რომელსაც არასდროს დაშორებიხარ, და უცებ გაგახსენდეს დიდი ხნის მკვდარი მოხუცი დედაკაცი, რომელიც ორმოცი წლის წინ ქალაქ ლვოვში ხალხს სარეცხს ურეცხავდა.

– ო’ქეი. აბა, მიამბე, რა ჭამე ამ საღამოს ვახშამზე.

– არავითარ ვახშამს აქ არ მაჭმევენ! – დაიყვირა ბებიკომ, – ფაშისტები! ხუთი დღე და ღამეა, ლუკმა არ მიჭამია.

– ჩუმად, ჩუმად, სკანდალს ნუ მოაწყობ. – ტანიას უნდა ვკითხო, ტრანკვილიზატორების მიცემა ხომ არ ავიწყდებათ ბებიკოსთვის. და დოზის გაზრდა ხომ არაა საჭირო.

მაგრამ ბებიკო ერთბაშად დაწყნარდა და მშვიდად ჩაილაპარაკა:

– თქვენ, გარიკ, კარგი მონაცემები გაქვთ, მაგრამ პლაცენტა პრევიასთვის ჯერ პატარა ხართ. მოდი, მე თვითონ დავიბან ხელებს და...

ასეთი მოწოდებების შემდეგ ის სავარძლიდან წამოდგომას ცდილობს ხოლმე და, თასმებით მიბმული რომ არ იყოს ეტლზე, უთუოდ იატაკს დაასკდებოდა.

– მშვიდად, ვერა ლეოპოლდოვნა, მშვიდად. მალე ყველა წავა დასაბანად.

რომელიღაც მომნახულებელმა ტელევიზორი ჩართო. უზარმაზარ ეკრანზე ლურჯ და ყვითელტრუსებიანმა ფეხბურთელებმა დაიწყეს სირბილი. სავარძელი შევაბრუნე და ხუთიოდე წუთს ბებიკო დიდი სიამოვნებით შესცქეროდა ხელებაწეულ, თვალტანად მორბენალ მამაკაცებს. კიდევ ათი წუთიც და, პალატაში წავიყვან: მალე სანიტრები საღამოს ტუალეტს და მოხუცების მიწვენა-მიძინებას შეუდგებიან.

– ისე დარბიან, გეგონება, ხანძარია... სწრაფმშობიარე მოიყვანეს... აი! აი, სად ზის სულელი ბასია! – ბებიამ ხელი წაიწვდინა და ტრიბუნებზე მიმანიშნა. ესე იგი, იქ, ტვინში, უხილავი ღერძი აღმოჩნდა უხილავ მილაკში, სახელად “სულელი ბასია”. ვეღარაფერს გავაწყობ: დარჩენილ დროს მხოლოდ ბასიაზე ლაპარაკის მოსმენა მომიწევს.

– ბასია როგორაა? – ვკითხე არისტოკრატული ტონით და თან წიწილას მონაოჭებული ყელისთვის მეტისმეტად ფაშფაშა საყელოს სწორება დავუწყე.

– ბასიას ებრაელი ბავშვები გამოჰყავდა გეტოებიდან, – უცებ ჩემკენ შემოტრიალდა ბებიკო, – და მიტროპოლიტ შეპტიცკისთან მიჰყავდა ისინი. მიტროპოლიტი მათ მონასტრებში ანაწილებდა, ასე რჩებოდნენ ცოცხლები... გეუბნები ბასია ანგელოზია, წმინდანია. მაგრამ ვახშამს აქ არ მაჭმევენ!

ჰმ... საინტერესოა. კიდევ ვინ მიამბო ბასიას

ცხოვრების ამ მხარეზე? არა, კი არ მიამბო... მგონი, წავიკითხე... გამახსენდა: პეტკა. სწორედ პეტკა მწერდა ამის შესახებ იმ თავის ერთადერთ წერილში, ქარბუქიანი სახალინის ტყვეობაში მყოფმა რომ მომწერა.

– ბებიკო, პეტკა გახსოვს?

– ჰა! პეტკა? მახსოვს რა, ყოველ კვირას დარბის აქ ჩემთან.

მშვენიერია. ესე იგი, ახლა პეტკა მაინც ვიქნები და არა გარიკი. ეს უკვე პროგრესია.

– ის ვილკოვსკის გარდაცვლილ ცოლზე დაქორწინდა, – სრულიად ნათელი, საღი ხმით ჩაილაპარაკა უცებ ბებიკომ და თან, თანხმობის მოლოდინში, თვალებშიც ჩამხედა. გარდასული სიცოცხლის ნაკუწები, ნაგლეჯები ისე მიცურავდნენ ერთი მეორის მიყოლებით, ისე ტრიალებდნენ, როგორც ფოთლები დიდ გუბეში.

– როგორ თუ გარდაცვლილ ცოლზე? – ვკითხე, – ეს რამ მოგაფიქრა... პეტია ვილკოვსკის ქალიშვილზე დაქორწინდა. ქა-ლი-შვილ-ზე. ლიზაზე.

– ჰო. მერე უკვე ლიზა ერქვა... მე მაგას უარი ვუთხარი აბორტის გაკეთებაზე. – უკმეხი ტონით განაგრძო მან, – ეს როგორ შეიძლება? ერთი დამარხეს, მეორე კიდევ აბორტი გამიკეთეო, დაუჟინია. ეს რა ბარდაგია? ის რა – სპარსეთის შაჰია, ორი ცოლი რომ ჰყავდეს? აი, ამიტომაც სკუპ! – და გადახტა ფანჯრიდან! მეორე კიდევ ფრ-რ-რ-რ-! გაფრინდა. გადაფრინდა შაშვიო და მის

მუცელში ბავშვიო! დიდი არამზადაა ეგ ტედი. სპარსეთის შაჰი...

დამუნჯება კეფიდან ვიგრძენი, თითქოს თავში ხელკეტი ჩამცხესო.

ჰოლი საფეხბურთო ტრიბუნების თანაბარ ხმაურს აევსო, რომლის ფონზეც საუბრის ნაწყვეტები გაისმოდა. გავყუჩდი. მეშინოდა ამ ფირფიტის შეხება. მეშინოდა შევხებოდი ამ ეკალს გზაზე, ძველი ამბის გაცრეცილ ნაფლეთებს, რასაც ბებია მრავალი წლის განმავლობაში ინახავდა საიდუმლოდ. ამ ნაფლეთებზე ყველა ასო გადახუნებულიყო, და იმ მცირედის წაკითხვა კი, რაც გადარჩა, შეუძლებელი იყო ყველაფერი სრულ ბოდვას ჰგავდა.

მაგრამ იმას, რაც ექიმმა ზივმა მიამბო ახალგაზრდა ქალის სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ, სიცოცხლისა და სიკვდილის, რომლებზე ფიქრშიც დილამდე ვწრუპე ვისკი მთვარის მკვდარი ნათლით დატბორილ ჩემს აივანზე, – ისე ღრმად ავეფორიაქებინე, რომ გაჩუმება აღარ შემეძლო.

– ლუდვიკა... – ჩავილაპარაკე ხმადაბლა: ვცდილობდი დაბინდულ-დაშმორებული მეხსიერების ლანდები არ დამეფრთხო. ასე აკვირდება ჩაბნელებულ სახლში შეპარული, კედელს აკრული ქურდი სახლის ბრმა პატრონის მშვიდ გადაადგილებებს. – მეორე დას ლუდვიკა ერქვა, ვისია. უმცროს დას.

– ეშმაკმა უწყის, რამდენი იყვნენ...

– საიდან იცი, – ვკითხე შემპარავად, თან ლურჯ სპორტულ შარვალში ამოჩრილ წვეტიან მუხლებზე დალაგებულ ხელებზე ვუსვამდი ხელს, – საიდან იცი, რომ ვისია ორსულად იყო?

– ჩემი ღვეზელი, – ჯიუტად გაიმეორა ბებიკომ, თავი დახარა და თავის თითებგადაგრეხილ ფეხებზე ჩინური იეროგლიფების თვალიერებას მოჰყვა. სანამ აქ ვისხედით, ჩუსტები წასძრობოდა, თავის წინდებიანად. ბებიკო დღითიდღე კი არა, საათობრივად ხდება. იგი კი არ მოკვდება, არამედ დადნება, და ამაღლდება... და მისგან გადარჩენილთა სულები მოფრინდებიან, გამხდარ იდაყვებში ჩაავლებენ ხელს და წაიღებენ იმ მკაცრი გამშვები პუნქტისკენ, რომლის გავლაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია, და გასაღებებიან მავნე ბერიკაცს დასძახებენ: “თვალებში გამოიხედე! ვერ ხედავ, ვინ მოგვაქვს?”

– იმ ორმა ძუკნამ მომპარა ღვეზელი. თუ თქვენ შემიჭამეთ, გარიკ, თქვე ნაძირალა პრაქტიკანტო?

მე ფეხისწვერებზე ჩავცუცქდი, უხმოდ წამოვაცვი მის დაბრეცილ თათებს ჯერ წინდები, მერე ჩუსტები. წამოვდექი და სასადილოსკენ გავემართე. იქ მაჰმუდმა უსიტყვოდ მომცა ტორტის ნაჭრიანი თეფში, – ეჭვგარეშეა, რომ ჩემი ლამის ასი წლის ბებიკოს პატივსაცემი ეს ბაბილონის გოდოლი მეზობელ განყოფილებასაც

დაანაყრებს. ჩანგალიც გავიყოლე და ჰოლში დავბრუნდი. ბებიკო ყურადღებით ადევნებდა თვალს აქეთ-იქით მორბენალ მსაჯს, წითური წვერ-ულვაშის ბღუჯებიდან სასტვენი რომ გამოსჩროდა. ბებიკოს პირისპირ დავჯექი და ძალიან მოხერხებულად ჩავჩარე კუსებრ პირში ტორტის ორი ლუკმა. მერე კიდევ ვცადე ბედი.

– საიდან იცოდი, რომ ვისია ორსულად იყო? – გავუმეორე, – შენთან მიღებაზე მოვიდა?

– ვილკოვსკაია... ცეცხლის ალივით წითელი. ყველას გადაწვავს აქ...

– თქვენს კონსულტაციაში იყო აღრიცხვაზე?

– აბა კი! – დამძახა ბებიკომ, – ტედიმ სახლში მისვლა მთხოვა. მანქანა გამომიგზავნა... სახლში, სახლში... სახლში გავსინჯე, ჰოდა... ცხრა კვირის იყო, უკვე გულისცემა ისმოდა რა დროს აბორტია, შე ძუკნა... ტედი მევედრებოდა, აქვე გაუკეთეო, ახლავეო, საშინლად ბევრ ფულს მაძლევდა... ის კიდევ – რომელი იყო მაგათგან... – ცხარე ცრემლით ტიროდა, არ უნდოდა: “წავალ-წავალ აქედან”... ის კი ფულს მჩრიდა... დაიცა... რამდენი იყო... – ბებიკო ტორტს ღეჭავდა, და ნაღეჭს მუხლებზე იფურთხებდა. არ გავნძრეულვარ, რომ ამეღო და მომეწმინდა... – ხუთასი შეკელი, აი, რამდენი!

– და უარი თქვი?

– ხუთასი შეკელი! წმინდანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ იმ ადამიანს... იმ კაცს

ჯოჯოხეთის სუნი ასდის... ვეუბნები: ფეხებზე მკიდია შენი მუქარა, ტედი, ეშმაკსაც წაუღიხარ იმ შენი მეგობრებიანა, დიდი სახლიდან! მე სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკი ვარ, მაგის დედაც! კაგებისტების ცოლებიც მშობიარობენ... ვერა ლეოპოლდოვნა კიდევ ბევრს დასჭირდება... მივაფურთხე და წამოვედი.

ბებიკომ, ბოლოს და ბოლოს, თვალი მოსწყვიტა თავის ჩუსტებს, თავი ასწია და მკითხა:

– ის რაღატომ დგას თაღქვეშ, პირველი ცოლი? პირველი ცოლი დგას, მიყურებს... გზა ხომ არ აებნა?.. გეგონება, ცეცხლშია გახვეული... შეშა... ცეცხლი... თვალი გამომაყოლა... ყველაფერს მიხვდა. მივხვდი, რომ მიხვდა... ორი ცოლი. პირუტყვი!

– ბებიკო! – ჩავილაპარაკე, – რატომ გადაწყვიტე, რომ ვისია ვილკოვსკისგანაა ორსულად?

გულისცემამ მომიხშირა, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს ვარწმუნებდი ეს ყველაფერი დიდი ხნის წინ გარდასული ვნებების ამბავია, ყველა მოკვდა, ყველაფერი დავიწყებას მიეცა, თან შესაძლებელია, რომ ბებიაც რაღაც სისულელეებს ჰყვებოდეს. მაგრამ ვგრძნობდი... არა, უბრალოდ, ვიცოდი, – რომ მისი ყოველი შეშლილი სიტყვა სიმართლეა, სიმართლის ნამსხვრევია, და რომ მე რატომღაც უნდა შემეგროვებინა ეს ნამსხვრევები და რაღაც, სარკისმაგვარი

უნდა ამეწყო, რომელშიც დიდი ხნის წინ დაღუპული სიცოცხლე აირეკლებოდა.

– რატომ გადაწყვიტე, – გავიმეორე, – რომ ვისია მაინცადამაინც ვილკოვსკისგან იყო ორსულად? იქნებ, იმ კაცს, როგორც მეურვეს, უბრალოდ, უნდოდა, რომ დახმარე...

– კიდევ მინდა. – მან თეფშზე მიმითითა, რომელიც ხელში მეჭირა. – არც ისე ცუდია, გარიკ, ჭამა თავისუფლად შეიძლება. მე ღვეზელების ცხობა არასდროს მეხერხებოდა...

მაგრამ ჩემი შეჩერება უკვე შეუძლებელი იყო. სასოწარკვეთილმა ერთი მოზრდილი ლუკმა კვლავ ჩავჩარე ბებიკოს პირში და დაჟინებით გავუმეორე: – რატომ ხარ დარწმუნებული, რომ ვისია მისგან იყო ორსულად? იქნებ ვინმე სხვისგან იყო?

– სულელი ბასია... – ჩაიჩიფჩიფა პირგამოტენილმა, და კინაღამ კვნესა დავიწყე: მოხუცი მრეცხავი გზაზე მეღობებოდა, ნაკადულად ძლივს წამოწანწკარებულ ამბავს მიშრობდა, როგორც თითქმის დაწრეტილი ღელის შუაგულში გაჩრილი დიდი ქვა.

ბებიკომ, როგორც იქნა, დაღეჭა, გადაყლაპა ლუკმა და გარკვევით ჩაილაპარაკა:

– თუ არ გჯერათ, ბობას ჰკითხეთ. ჩემს შვილიშვილს. იმას ახსოვს. ის სამზარეულოში იჯდა, გაკვეთილებს ამზადებდა. ჰოდა, იმას ჰკითხეთ... უცებ

სულელი ბასია მოვარდა: თვალები გადმოკარკლული ჰქონდა, სულს ძლივს ითქვამდა... ბლუკუნებს რაღაცას. თვალებით ბობაზე ვანიშნე, – ისიც იდიშზე გადავიდა, ბავშვს რომ ვერ გაეგო. ჩვენთან, ლვოვში, პოლონელი თუ უკრაინელი მოახლეები იდიშზეც მშვენივრად ლაპარაკობენ... საწყალი ბასია... მთლად წითელი იყო აღშფოთებისგან: “უღმერთოები... უღმერთოები...” ჰაჰ! ბასია, იცი, შენი ღმერთი სად არის?! ახლა გიჩვენებ...

ბებიკომ მომდევნო ლუკმის მოლოდინში პირი დააღო, მაგრამ მე არ გავნძრეულვარ. უბრალოდ, არ შემეძლო განძრევა: მაშინ ბებიკომ პირი დახურა და აშკარა კმაყოფილებით ამოთქვა:

– ბასიამ წაასწრო იმათ...

– ვის? როდის?! – შევძახე მე.

– გარიკ, ნუ ღრიალებთ, აქ დღენაკლული ჩვილების ინტენსიური თერაპიის პალატაა.

– კაარ-გი-ი... – ამოვიკვნესე, – ოღონდ მიპასუხე: რას ნიშნავს წაასწრო?

– ბასიამ სუფთა პერანგები მიუტანა ვილკოვსკის. ის, ხომ იცით, რა ფრანტია? შინ ძვირფასი ხალათი აცვია... ყოველ წელს ახალ ხალათს იკერავს, ყოვლისშემძლე პანი...

– ჰო-ჰო! დაიცა... ბასიაზე მიყვებოდი, იმას, თუ როგორ...

– ბასია სხვების გასაღებებითაა ასხმული. – ბებიკომ ჩაახველა, – მისი პატიოსნების

ამბავი ყველამ იცის. გასაღებს ყველა ანდობს. ისიც ბინებში შედის, დარეცხილ თეთრეულს კარადებში ალაგებს, მერე მიდის და კარს ისევ გასაღებით კეტავს...

რა ბასიასთან ყოფილა შენი გასაღები და რა სეიფში!.. ოჰ, როგორ აქათქათებს ბასია სარეცხს! გარიკ, გინახავთ მისი დარეცხილი თეთრეული? სხვაგან სად ნახავთ ასეთ რამეს, რომელ სამრეცხაოში! კიდეც ახამებს, კიდეც ალილავებს... თეთრეულს ვგულისხმობ.

– მერე?! შევიდა ბასია და რა?

– მოკლედ. შევიდა და ვილკოვსკი იმ თავის სათადარიგო ცოლთან ერთად დაინახა... პერანგები იატაკზე დაყარა და გარეთ გამოვარდა... გარიკ, თქვენ რამდენი ცოლი გყავთ?

არაა ურიგო შეკითხვა, არა? კარგი კითხვაა, თანაც, სათანადო დროს დასმული. პატიოსნად ვუპასუხო, რომ ორი? თუ ვუპასუხო პატიოსნად, რომ არც ერთი?

პანსიონი უკვე ყველა მომნახულებელმა დატოვა. მაჰმუდი რამდენჯერმე გამოვიდა ჰოლში და საყვედურიანი მზერით მიმითითა კედლის კურდღლის ფორმის საათზე (ისე, ვერასდროს გაარჩევ, რა დროს აჩვენებს ეს საათი). და ყოველ ჯერზე ხატის წინ მავედრებელი მლოცველივით ვიჭდობდი გულზე ხელებს და მზად ვიყავი ნამაზისთვის უკანალაშვერილი დავხეთქებოდი იატაკს, ოღონდ კი ბოლომდე ეცლიათ ჩემთვის

პაციენტთან სამედიცინო სამსახურის პოლკოვნიკთან ლაპარაკი.

ბოლოს, ამნისტია მივანიჭე ჩემს უბედურ ბებოს და ნიავქარივით მივაქროლე ის პალატამდე, სადაც უკვე გამოღებული იყო აბაზანის კარი და სადაც ორმა სანიტარმა გაჩვეული ხელებით აიტაცა და დააბზრიალა იგი. მხოლოდ ამის მოძახებაღა მოასწრო ჩემთვის:

– აბა, გარიკ, პატარა ბიჭი არ ხართ, უჩემოდაც გაკერავთ! – და გარეთ გამოვედი.

გამოვედი და ლიფტისკენ წავეთრიე. ჯერაც ვერ გამეგო რა უნდა მექნა მწარე სევდის მთელი ამ ფეთქებადსაშიში მარაგისთვის, იმისთვის, რაც დღეს ჩემი დაუვიწყარი ბებიკოსგან ამოვქაჩე...

ხომ ცხადზე ცხადია, რომ უწინ ჩავძაღლდები, ვიდრე ამ ყველაფერს, რაც დღეს გავიგე, ვინმეს ვუამბობ, – მით უმეტეს, ლიზას. უბრალოდ, არ შემეძლო, ლიზაზე რომ არ მეფიქრა. უფრო სწორად, ლიზაზე და პეტიაზე... არა, არა, – მხოლოდ ლიზაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ მასზე. უკვე აღარ შემეძლო, არ მეფიქრა მასზე...

ხოლო, როცა მანქანაში ჩავჯექი, ათი წუთი მაინც ვერ ავწიე ხელი, რომ გასაღები გადამეტრიალებინა. ვიჯექი, თათები მუხლებზე მეყარა და უაზროდ გავცქეროდი ჩემ წინ გადაშლილ ფერფლისფერ გორაკებს, ზაფრანისფრად რომ მოევარაყებინა ჩამავალ მზეს...

* * *

...და მახსენდებოდა ჩემი ბოლო ჩასვლა პრაღაში, ორი წლის წინ. კარგი შვებულება გამომივიდა, რაღაცნაირი... გულითადი. შესაძლოა, იმიტომ, რომ ლიზა კარგად იყო: ის ახალი დაბრუნებული იყო კლინიკიდან და მახარებდა თავისი სტაბილურობით.

და ზაფხულიც ზღაპრული იდგა, თბილი; ღამღამობით წამოწვიმდა ხოლმე, დილაობით კი...

მე მანქანა ვიქირავე და ლამის ყოველდღე გავდიოდით "საშოვარზე".

საუზმისას იმ დღეს პრაღის შემოგარენში ჩასატარებელ კულტურულ ღონისძიებათა გეგმას გადავხედავდით ხოლმე და ვირჩევდით, სად წავსულიყავით.

შემოვივლიდით პაწია ქალაქებსა და ციხე-კოშკებს, სადაც მორიგი ბაზრობები, მეთუნეთა ნაწარმის გამოფენა-გაყიდვები, მოფარიკავეთა შეჯიბრებები, შუა საუკუნეთა მუსიკის ფესტივალები ან კაქტუსების გამოფენები იმართებოდა...

ჩვენ სამნი ერთად არაჩვეულებრივად ვგრძნობდით თავს...

გზის ორივე მხარეს, მინდვრებზე დაპრესილი თივის ვეება წითური კოჭები ელაგა, გაჩაჩხული ტოტებიდან მწვანე სიმებად აზიდულიყო ზევით სვიის ღეროები, და გორაკებს კრამიტის სახურავებიანი სახლებით ხან პატარა ქალაქი შეეფინებოდა,

ხან სოფელი, ხან კი ფერმა...

“რენოს” ჩამოწეულ ფანჯრებში აბრეშუმივით მოქნილი ქარი შემოქროდა, ლიზას თმას იგდებდა ხელთ და ლენტებს წნავდა მისგან ავლებდა, წურავდა, ფანჯრიდან გარეთ ისროდა... ლიზა ჩემ გვერდით იჯდა, პეტკა კი თეჯირიან-სკივრიანად უკან მოკალათებულიყო. ის წარამარა აგროვებდა ქარისგან უკან გადაწეწილ თმას და თავისკენ ექაჩებოდა თითქოს იალქანს ამაგრებს იახტაზეო. და მაშინ ლიზაც უკან გადაკიდებდა ხოლმე თავს, ბრაზობდა, იცინოდა და მაგრად გაკავებული ალალბედზე უბაგუნებდა მუშტებს პეტიას ხელებს...

კაცმა რომ თქვას, ჩვენთვის სულერთი იყო, საით წავიდოდით. მოხერხებულ პატარა მოედანს შევარჩევდით ხალხმრავალ ადგილას კოშკის ჭიშკართან, სამრეკლოებისა და ეკლესიების იისფერ, დაკბილულ ჩრდილში, ავტოსადგურის მახლობელ ასფალტის კუნძულზე, ტაძრის ძველისძველი ფილებით მოფენილ შიდა ეზოში და საფუძვლიანად განვლაგდებოდით ხოლმე: ვდგამდით თეჯირს, ზედ მარიონეტებს ვამაგრებდით, ირგვლივ პატარა, ოთხკუთხა ბალიშებს ვყრიდით ბავშვებისთვის და მუსიკას ვრთავდით.

მაყურებელი სწრაფად გროვდებოდა... ბევრი მათგანი პირველად როდი ხედავდა პეტკას წარმოდგენებს. ისეთებიც იყვნენ, სპეციალურად რომ ჩამოდიოდნენ იმ იმედით,

რომ იქნებ “ის მეთოჯინე” კიდევ გამოჩენილიყო. ხშირად გამიგია ბავშვის ყიჟინა შორიდან: “დედა, ჩვენი მეთოჯინეე!”

მე პეტკას ფეტრის შლაპით მაყურებლის ჩამოვლა მქონდა მონდობილი.

ცხვირზე ლურჯი მუყაოსგან გამოჭრილ გრძელ ცხვირს ვიმაგრებდი რეზინით, თავზე შავ, გაბუჩქულ პარიკს ვიკეთებდი, შარვალში კი, უკან, ორ ბალიშს ვიტენიდი, რის გამოც ჩემი უკანალი ისე უცნაურად და სასაცილოდ გამოიბზიკებოდა ხოლმე, რომ, როცა თეძოების ნარნარი რხევით, მოწყენილი ღიმილითა და ვეება თათში მოქცეული შლაპით მაყურებელს ჩამოვუვლიდი, – ეს ცალკე ატრაქციონი იყო, რომელიც მე თვითონ ენითაღუწერელ სიამოვნებას მანიჭებდა.

წარმოდგენების დროს ლიზა მიწაზე იჯდა, ბავშვებთან ერთად, ფეხებგადაჯვარედინებული და იდაყვებით მუხლებს დაყრდნობილი. ის თვალმოუცილებლად შესცქეროდა პეტიას, და იმ სასაცილო პატარა გოგონას მაგონებდა, რომელსაც პეტია მთელი ზაფხული, ყოველდღე, სადაც კი ჩვენ, ბიჭები წავიდოდით, ყველგან თან დაათრევდა ქალაქში. პეტკას ზღაპრული მეთოჯინის ტრადიციული კოსტიუმი ემოსა: თეთრი წინდები, მოკლე, მუხლამდე შარვალი, ფრაკი, პეპელა, ლილისფერი და ბალთებიანი ფეხსაცმელი, გრძელი კულულები მხრებამდე

სწვდებოდა, კეფაზე კი სწორედ ის ფეტრის შლაპა ჰქონდა მოგდებული.

ყურზე მძიმე ვერცხლისფერ საყურე-სამაგრს იკეთებდა დამატებითი ძაფის სამართავად, რომელსაც შეუმჩნევლად წამოაცვამდა ხოლმე ამა თუ იმ მარიონეტის სხეულის რომელიმე ნაწილს, – და მაშინ უცნაური რამ ხდებოდა: ეს, მის მიერ გამოგონებული დამატებითი ძაფი იმდენად აკავშირებდა მას თოჯინასთან, რომ შეუძლებელი იყო გარკვევა ვინ ვის ათამაშებდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ თოჯინა ნაბიჯს უწყობდა პატრონს, შექების მოლოდინში თავს აბრუნებდა მისკენ; და პატრონიც თბილად, სიყვარულით უქნევდა მას თავს, და თოჯინაც, მასთან სინქრონში, ამაყად იქნევდა თავს, ფეხებს აბაკუნებდა და ტაშსაც უკრავდა. ისინი ერთმანეთს უღიმოდნენ, ემუსაიფებდნენ, ეკამათებოდნენ, ემდურებოდნენ...

თავის მოძრაობებით... არა, არა: წაწვდილი კისრის შემპარავი ცეკვით, – რომელიც კი არ კარნახობდა რამეს, არამედ მიჰყვებოდა თოჯინის მოძრაობას, – პეტია ისეთ პლასტიკურ დამაჯერებლობასა და ჟესტების ისეთ წარმოუდგენელ ადამიანურობას აზიარებდა თოჯინას, რომ, მუშაობის შემდეგ, როცა თოჯინა თეჯირზე გადაეკიდებოდა და სხვას დაუთმობდა სცენას, ხშირად მომხდარა: ბავშვებიცა და მოზრდილებიც მიუახლოვდებოდნენ ხოლმე და ფრთხილად ეხებოდნენ ხელით, თითქოს საკუთარ თავს ამოწმებდნენ, – ხომ ნამდვილად თოჯინაა ეს

და არა ცოცხალი არსებაო?

ზოგჯერ დასჯიდა ხოლმე ამა თუ იმ თოჯინას და რამოდენიმე კვირა აღარ აცოცხლებდა ხოლმე. მერე რიგდებოდნენ. ერთხელ თვითონ გავხდი ასეთი, თითქოსდა ხუმრობა-შერიგების მოწმე (როგორც ჩანს, მოუნდა, რომ ჩემ თვალწინ ყველაფერი თამაშად, სცენად ექცია). მაგრამ მე ხომ დავინახე მისი სახე იმ მომენტში, როცა კედელს მიკიდული თოჯინების კომპანიის წინ ჩავლილმა მსუბუქად შეახო მხარი ერთ-ერთ თოჯინას და რაღაც გაუკეთა. თოჯინამ თვალები გაახილა, და პეტიამ დამცინავად ჩაილაპარაკა: “რაო? გადაგიარა ბრაზმა? კიდევ დაიწყებ სისულელეებს?”

მაყურებელს განსაკუთრებულად უყვარდა ნომერი ფაიუმოჩკას მონაწილეობით. მეც ვგიჟდებოდი ამ ნომერზე. ფაიუმოჩკა გაურკვეველი სქესისა და ჯიშის კეთილი და ცბიერი თოჯინა იყო: რაღაც საშუალო ოჩოპინტრესა და საფრთხობელას შორის. ოყნის მილივით ცხვირი ჰქონდა, სქელი უკანალი, წვეტიანი, ცელქი ყურები და ახლო-ახლო განლაგებული თვალები. ამ პერსონაჟის მომხიბვლელობა ერთ ვაგონ პუტკუნა ბავშვებს ეყოფოდა.

ფაიუმოჩკას ჰქონდა ფრიად საქმიანი, თითქოსდა სადღაც შორს მიმსწრაფველი სიარულის მანერა; ყოველთვის სადღაც მიიჩქაროდა: მისი ცხვირი ქარს მიაპობდა, ტანი კი ტორპედოსავით მიქროდა წინ.

მრავალჯერ მინახავს მისი თამაში და ეს ყოველთვის იმპროვიზაცია იყო. ფაიუმოჩკა ხუმრობდა, ცეკვავდა და სიტუაციისა და გუნება-განწყობილების შესაბამისად ეკონტაქტებოდა მაყურებელს. ის მეტად საქმიანი ფიზიონომიით, სწრაფად, წრიულად შემოურბენდა ხოლმე მაყურებელს და შეეძლო უცებ დაემუხრუჭებინა რომელიმე პატარა გოგონას წინ, რომელსაც ხელში ჩამომდნარი ნაყინი ეჭირა, დიდხანს, დიდხანს მდგარიყო მის წინ და მაყურებლის თანდათან მზარდი ხითხითის ფონზე ეცქირა მისთვის ცბიერი და საყვედურიანი მზერით (დავიფიცებ, რომ ამ დროს მისი ღიმილი სულ უფრო ფართო და გულიანი ხდებოდა). და მერე უცებ, ზუსტად შერჩეულ პაუზაში გარკვევით ჩაილაპარაკებდა მსუნაგი და დათაფლული ხმით:

– და ფაიუმოჩკას?..

და მაყურებელი კოტრიალს იწყებდა ხარხარისაგან.

მის მერე კონტრასტისათვის პეტკას ესტრადის ხმაჩახლეჩილი ვარსკვლავი, არიადნა გამოჰყავდა. წამყვანი: “ევროვიზიის პრიზი, ხუთი პლასტიკური ოპერაცია, ბოლო ქმარი ფოლადდნობის მაგნატი”... ნამდვილი კახპა იყო! ძალიან ქერა თმა ჰქონდა და მოღებული სარაფანი ეცვა. პოროლონის ორი ვეება ძუძუ ხან ერთი იღლიის ქვეშიდან გადმოუვარდებოდა და ხან მეორის. პეტკას სიგნალზე მე მუსიკალური ცენტრის ღილაკს ვაჭერდი თითს და მყისვე აგუგუნდებოდა ხოლმე

“ფანერა”. სცენაზე არიადნა გამოდიოდა, მაყურებელს თავს უკრავდა... ძუძუები უვარდებოდა კაბიდან. ნომერი ერთ-ერთ ძუძუსთან ბრძოლა-გამკლავებაში მდგომარეობდა, რომელიც უთუოდ ამოუვარდებოდა ხოლმე. არიადნა თან მღეროდა, თან კი ძუძუს იტენიდა სარაფანში და სწორედ ამ დროს, მკვეთრი მოძრაობების გამო, მეორე ძუძუ ამოუხტებოდა კაბიდან... სანამ შეშლილი მილიონი ალისფერი ვარდის კორიანტელში მომღერალი თავბრუდამხვევად ბზრიალებდა, ორივე ბარაქიანი ძუძუ მასთან ერთად დაქროდა და დაფრინავდა წრეზე და ქალი საბაზრო ბადურებაკიდებულ დიასახლისს წააგავდა...

თავის იმპერიაში პეტია ძლევამოსილი და სავსებით ბედნიერი იყო. ამქვეყნად არსებულ იმპერიათა შორის ყველაზე ბედნიერი იმპერიის ყველაზე ბედნიერი მბრძანებელი! მისი ტანჯულობა რეალურ ცხოვრებაში, მისი მარადიული, დაუღალავი სიყვარული ერთადერთი ქალისადმი ამ წუთებსა და საათებში სავსებით ქრებოდა, როგორც კი თავისი სამოთხის თაღებქვეშ შეაბიჯებდა (ასე ჩაქრება ხოლმე სცენაზე დეკორაციები წყვდიადში მომდევნო დეკორაციაზე გადასვლის წინ), როგორც კი აღმოჩნდებოდა მუყაოს ხასხასა პალმების ჩრდილში, შადრევნის ბისერული ცისარტყელის ან აკვარელით მოოქროვილი ღრუბლების ქვეშ...

...ბლომად ფულის შოვნა ნაკლებად გვადარდებდა და ერთი-ორი წარმოდგენის შემდეგ რომელიმე არცთუ ურიგო რესტორანთან მივგრიალდებოდით ხოლმე. ერთხელ სუპერმარკეტში ვიყიდეთ საჭმელი და ტყეში გავჩერდით, ერთ-ერთი იმ ჩუხჩუხა, მეჩხერი, ზურმუხტისფერი ქვებით მოჭედილი, ოქრომბადი შემოსავლიანობის თვალსაზრისით მდინარის პირას, რომელთა მინერალური წყალიც განაპირობებს საკურორტო მხარის სიმდიდრეს.

ეს იყო უმყუდროვესი მინდორი ქალაქის გარეუბანში, შერეულ ტყეში, სადაც წიფელი, წაბლი, რცხილა, არყის ხეებისა და მუხების ფოთლოვან ტევრში მოყვითალო-მოცისფრო ჩანართებად ამოზრდილიყვნენ სხვადასხვა ჯიშისა და შეფერილობის წიწვოვანები...

შორიახლო, ცოტა არ იყოს, პირქუში ვილის ხავსმოდებული ქვის მესერი მოჩანდა. ვილა პირდაპირ ზედგამოჭრილი იყო საშინელებათა ფილმისთვის: ის პაწია კოშკურებითა და მუცელგამობერილი აივნებით იყო შემკული, ასპიდის წვეტიანი სახურავები ჩაჩებივით ჩამომხობოდა, ღუმლების ფიგურული თავები ამოსჩროდა და სამი ფლიუგელით სამ სხვადასხვა მხარეს გასცქეროდა...

ვეება, ეპიკური სიმძლავრის მუხის ქვეშ, ტოტები თითქოს რომ დამძიმებოდა მზის ოქროს ზოდებისაგან, წვრილ-წვრილი

გვირილებით მოფენილ ბალახზე გეგონებოდათ, ვიღაცას მანანის ბურღული დაებნაო, – პლედი დავაფინეთ, და მყისვე შევუტიეთ ქათამს, – დამშეული სიშმაგით ვაცლიდით დაბრაწულ ნაწილებს. სწორედ რომ ედემური სადილი იყო მწვა ნე ტაძრის თაღებქვეშ...

– ძალიან თოჯინური ციხე-კოშკია, – შენიშნა პეტკამ, თან ვილას ათვალიერებდა და თან ჩაფიქრებული ხრავდა ქათმის ფრთას. – მყუდრო ადგილია მოხუცებული ჰერცოგინიების მოსახრჩობად. ბარაქიანი მემკვიდრეობის იმედით...

– კაცებო, ბოლო ფეხი რომელს გინდათ? – იკითხა ლიზამ. ის მუხლებზე იდგა გვირილებში და გამოწვდილ ხელში ტიტასავით ეჭირა ქათმის ფეხი.

– მე!

– მე!!!

– ლიზა, გთხოვ, გაიხსენე, რომ შენი ქმარი ვარ, და სამართლიანად განსაჯე.

თავი მერვე

– ჰაჰ! ლიზა, ის ყოფილი ქმარია, ყო-ფი-ლი! მე კი კანონიერი, იურიდიული, თანაც მე ექიმი ვარ, კარგად უნდა ვიკვებო, და...

– სამამდე ვითვლი. – ლიზამ ქათმის ფეხი მაღლა ასწია, როგორც თასი სპორტული შეჯიბრებისას.

– ვინ მოასწრებს: ერთი...

და მე და პეტკამ საომარი ყიჟინით ჩავასეთ კბილები ქათმის ხორცს, თან კი ძალიან მწარედ შევასკდით ერთმანეთს შუბლებითა და ცხვირებით...

მერე წამოვკოტრიალდით და უმნიშვნელოვანეს საკითხზე დავიწყეთ მსჯელობა ვთქვათ, საიდან მოაქვს მდინარეს თეთრი ქაფის ფთილები: არის თუ არა ამის მიზეზი უხვი მინერალიზაცია, თუ ადგილობრივი ლენჩების ეკოლოგიური პრობლემაა...

ქარი მზის დაზოლილ ჩრდილებს გვაფენდა ფიზიონომიებზე. მზით გაჯერებულ სიმწვანეს ჰაერი ჟანგბადის სიროფის კონსისტენციამდე მიეყვანა; ჩრდილოვან ადგილებში წყალმცენარესავით გაუვალი ხავსი უჟმურ, მრუმე ფერად მოჩანდა, ხოლო მზის შუქზე კი, მესრის ძველისძველ ქვებზე მოდებული იგივე ხავსი ვეება ხვლიკის ქერცლივით ელვარებდა; არყის ხეთა ხასხასა, გამჭვირვალე სიმწვანე და ბალახის დაწინწკლული სიჭრელე თითქოს პაექრობდა ერთმანეთთან... სიმწვანე დიდი უპირატესობით სჯაბნიდა სიჭრელეს. და მხოლოდ გორაკზე, მეგობრულად შეჯარული ფიჭვების სიღრმეში უკვე შეპარულიყო მეწამული ნისლი. და კიდევ, ვილის ჭიშკართან, ქვის ვეება, ხავსმოდებული ვაზები ირეკლავდა პეტუნიების ლილისფერ ქაფს...

შეუმჩნევლად ჩაგვთვლიმა და მოთენთილებს ორი საათი მაინც გვეძინა ამ ედემურ მწვანე ტყეში, პაწია ციხე-კოშკის ან,

პირიქით, დიდი, კანონმორჩილი ადამიანებით დასახლებული ვილის კედლის ჩრდილში: შორიდან წყნარი მუსიკისა და ბურთზე ხელის ტყაპუნის ხმა აღწევდა.

მე პირველს გამეღვიძა და გასაკვირი იყო, რომ უფრო ადრე არ გავიღვიძე: მინდორს, რა ხანია, მზე მოსდგომოდა. წამოვჯექი და მივიხედ-მოვიხედე... იმ ორს ისევ ეძინა. გახურებულ ჰაერში ქინქლა ირეოდა. გვარიანად აჭერდა მზე. გორაკზე ცეცხლწაკიდებულებივით გიზგიზებდნენ ახალგაზრდა ფიჭვები, და თითქოს მათ ეხმიანებაო, მეწამულად ღუოდა ბალახზე ლოყადადებული ლიზას თმა თითქოს ვიღაცას ალისფერი თავშალი ჩამოუსრიალდა მხრებიდანო... ლიზა ძილში ოდნავ გადასცილებოდა პლედს, სამაგიეროდ, პეტკა გაწოლილიყო მთელ სიგანეზე, ხელებ და ფეხებ გადაშხლართული, – გალეშილი ბოცმანივით. მარჯვენა ხელით ლიზას კუბოკრული პერანგის კიდე ჩაებღუჯა: დედის კაბას ჩაბღაუჭებულ პატარა ბოშასაც მოგაგონებდათ და ლურჯწვერასაც, ბოლო წამს რომ სტაცა ხელი გაქცეულ მზეთუნახავს. ის ძილშიც კი, ერთ ნაბიჯს იქით არ უშვებდა ლიზას...

მახსოვს, გავიფიქრე: მე ხომ არასდროს დამინახავს, რომ პეტკა ლიზას თუნდაც ოდნავ მიფერებოდეს, როგორც დიდი ხნის ცოლ-ქმარი შეავლებს ხოლმე ერთმანეთს ხელს სახალხოდ, წამიერი გადაქროლვით, წამიერი გაელვებით, მეუღლეობრივი სიახლოვის დასადასტურებლად თითქოს...

ერთხელაც არ მინახავს, რომ მას, თუნდაც ხუმრობით, ეკოცნოს, ეჩქმიტოს ან ხელი მოეტყაპუნებინოს მისთვის... ისიც კი არ მინახავს, რომ სიყვარულიანი, მშვიდი მზერა გაეყოლებინოს არადა, დიდი ხნის ცოლ-ქმრის მზერა ხომ ყოველთვის შეიცავს სიყვარულზე, ყოფით მიჩვევაზე გაცილებით დიდ რაღაცას: ეს მზერა შეიცავს წლებს, ერთად გატარებულ ათასობით ღამეს... და არასდროს, არასდროს მიუმართავს ლიზასთვის კნინობითი სახელით. ამ წყვილის ალერსი რომელიღაც, განსაკუთრებულად მკაცრი წეს-განგების მქონე მონასტრის კედლებში იყო გამოკეტილი; თუმცა, სწორედ ასეთ კედლებში იფეთქებს ხოლმე ისეთი ვნებები, როგორსაც ვერც კი წარმოიდგენენ თავისუფალი სიყვარულის მიმდევრები...

პეტია მკაცრ აღმზრდელად რჩებოდა, უწინდებურად საკუთარი ზურგით დაატარებდა ლიზას, – “ო, ლიზა ბუმბულივით მსუბუქია!” – თუმცა კი ლიზა უკვე დიდი ხანია, რაც დამძიმებულიყო, მხოლოდ არა წონით; ლიზა მძიმე იყო, აუტანლად მძიმე, ის კი სულ დაატარებდა, დაატარებდა ზურგით, არ იღლებოდა...

ისინი ჩუტყვავილაგადატანილ ბავშვებს ჰგავდნენ, რომლ ებიც ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ სახეზე ნაყვავილარი დაემჩნათ სამუდამოდ. ეს წყვილი განსაკუთრებულად მძვინვარე სიყვარულის მსხვერპლი იყო: ვნებიანი, ერთპიროვნული,

ერთადერთი სიყვარულის; ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ სამუდამოდ დააჩნდათ დაუნდობელი, სასტიკი სიყვარულის კვალი...

* * *

ჩვენი ერთობლივი ზაფხული კარლოვი ვარის ცენტრში, ხის კოლონადის მარადიული ხედის წყნარ ლიცლიცად შემომრჩა მეხსიერებაში.

ორი დღე ვიცხოვრეთ იქაურ პანსიონში ზედა სართულის ორ ოთახში, დიდებულ, თავადურ სახლში, რომლის პირველ სართულზეც რესტორანი იყო. ჩვენს ორ ფანჯარას შორის სახურავისკენ აზიდულიყო მსხვილი წყალსადენი მილი. მილის თავი ზემოთ ოქროსფერი ლითონის მაქმანისებრი მოსართავით ბოლოვდებოდა და წააგავდა ბოტფორდის ყელს, რომლის ფეხზე წამოქაჩვის სურვილი გიჩნდებოდა.

ძველისძველ კოლონადაში ყოველდღე უკრავდა რომელიმე ანსამბლი, კარლოვარული სიმფონიური ორკესტრის ნატეხი. პირველ დღეს ეს იყო კვარტეტი, მეორე დღეს არაჩვეულებრივი ტრიო: სამი ახალგაზრდა ქალი ფლეიტა, ვიოლონჩელი, კლარნეტი, – უკრავდა მოცარტს, ჰაიდნს, სენ-სანსსა და შტრაუსის ვალსებს.

კლარნეტისა და ფლეიტის სარქველებზე ჩამავალი მზე ბრწყინავდა. ზევით, კოლონადის ჭერთან, ნაზად, თანაბრად ირხეოდა აბლაბუდამოხვეული თეთრი ლამპა... ჩვენ განზე წყნარად გავშალეთ ჩვენი ინვენტარი და ველოდით, როდის მოათავებდნენ დაკვრას მუსიკოსები, რომ

სცენაზე ავსულიყავით. მაგრამ ფაიუმოჩკას დანახვაზე ფლეიტისტმა ქალმა გაიღიმა და თავის დაკვრით გვანიშნა, შემოგვიერთდითო.

ის კი, ოყნა-ცხვირიანი და მომხიბვლელ უკანალიანი ფაიუმოჩკა, ამჯერად ნაღვლიანი იყო როგორც ჩანს, საამისო მიზეზი ჰქონდა. ორმოციოდე წუთს მან მოცარტის მუსიკის ფონზე ისე იბზრიალა და იფრინა, რომ ლამის ფეხი არ დაუკარებია იატაკისთვის. დროდადრო პიუპიტრებზე ჩამოჯდებოდა ხოლმე, ნოტებს ფურცლავდა, და კვლავ ნაზად ბზრიალებდა თბილ ნარინჯისფერ ბურუსში, საშუალებას აძლევდა მაყურებელს, წარმოედგინა ოდესღაც აქ მოტრიალე ტურნიურები, შინიონები, ვუალიანი შლაპები, ასევე, მონოკლები, ლორნეტები, ქოლგები და აბრეშუმის ლენტებზე დაბნეული სხვადასხვა ქვეყანათა ორდენები.

იმ საღამოს, ვახშმისას, მე და ლიზა უცებ მოცარტზე ავლაპარაკდით იმაზე, თუ რატომაა, რომ, მიუხედავად სიმსუბუქისა, აღფრთოვანებისაც და ირონიისაც კი, – მისი მუსიკა მაინც "მემენტო მორია" ყოველთვის, ყოველთვის "გახსოვდეს სიკვდილია"? ალბათ, იმიტომ, რომ ის გენიოსია, თქვა ლიზამ, გენიოსი კი არა მხოლოდ ცალკეული სიცოცხლის აღსასრულს ხედავს, არამედ მთელი სამყაროსას. აი, ნაბოკოვიც, – დაამატა, – ირწმუნებოდა, რომ სიკვდილი, ეს მხოლოდ სტილის საკითხია, მუსიკალური თემის გადაწყვეტა...

აქ პეტკა ჩაეჩხირა და გაიხსენა, როგორ ჩამოიყვანეს ერთხელ რომელიღაც მიკარგული სოფლიდან მათთან, პიტერში, კათედრაზე, მოხუცებული მეთოჯინე ქალი. ეს იყო ბნელი, გაუნათლებელი მოხუცი, რომელიც, უბრალოდ, აჯანჯღარებდა თოჯინას, და თოჯინაც სავსებით ცოცხლდებოდა... წარმოგიდგენიათ? – იმეორებდა ის რაღაცნაირი, გიჟური აღტაცებით, როგორც ჩანს, ამ ამბავს მეტად ამაღელვებელ და უცნაურ რადმე თვლიდა, – უბრალოდ, აჯანჯღარებდა და მორჩა! არადა, გენიალური იყო! ესეც თქვენი სტილის საკითხი...

* * *

გამგზავრების წინ ერთი წარმატებული აზრი მომივიდა თავში: მათთვის ფულის შეჩეჩების ხერხი მომაფიქრდა.

ეს საკითხი ჩემნაირი დათვისგან ცოტა მეტ ჭკუამახვილობას მოითხოვდა ყოველთვის. ზოგჯერ ფულს მათი საწვიმარებისა და ქურთუკების ჯიბეებში ჩავჩურთავდი ხოლმე, რათა, როცა გადააწყდებოდნენ, გაკვირვებოდათ, – ერთი ნახეთ, წინა სეზონზე ფული ჩარჩენიათ ჯიბეში! ზოგჯერ სკელეტიკის თავის ქალაში ვახერხებდი მსხვილი კუპიურის ჩატენას. მაგრამ პეტკამ უკვე ორჯერ მოაწყო სკანდალი ამის გამო: სისულელეა, მაყურებელი ამხელა ფულს არ იძლევაო!

ჰოდა, ერთბაშად თავში გამომინათდა: უბრალოდ, პეტიას თოჯინა უნდა ვიყიდო

გალერეაში და მერე ვინმეს ვაჩუქო იერუსალიმში.

და გამომგზავრების წინა დღეს განვაცხადე, რომ მინდა მარტომ წავიხეტიალო ქალაქში და კოლეგებისთვის რაღაც წვრილმანი სუვენირები შევიძინო. ვიცოდი კამპაზე პროხაზკების გალერეის მისამართი – პეტკას მაგიდაზე მისი სავიზიტო ბარათების მთელი დასტა ეყარა, – პეტკა მათ მაყურებლებს ურიგებდა ხოლმე წარმოდგენების დროს. და დილით ადრე გავედი შინიდან, რათა, როგორც ჩემი ბებიკო იტყოდა, “მომებაზრებინა” გაფრენამდე.

...პარმაღზე, გალერეაში შესასვლელი კარის წინ, საუცხოო თოჯინა-გოლიათი – ბაბა-იაგა იდგა. მას ცხვირის მაგივრად ისეთი მადისაღმძვრელი, ისეთი ფუნჩულა კრენდელი ჰქონდა დამაგრებული, რომ მისი შეჭმა მოგინდებოდათ. და კიდევ, სანამ შესასვლელ კარს შევაღებდი, თვალში მომხვდა ბაბა-იაგას გასაოცარი უკანალი, რომელსაც თვალი ვეღარ მოვწყვიტე. მისი ცქერით ხუთიოდე წუთს მაინც დავტკბი, თან კი ხან მარცხნიდან, ხან მარჯვნიდან ვუვლიდი თოჯინას. ხოლო, როცა გალერეის კარი შევაღე და შიგ მოხუცი ქალი დავინახე, მყისვე მივხვდი, თუ ვის მიხედვით დაამზადეს შემოქმედებმა სარეკლამო “საფრთხობელა”.

ო, რა ბებო იჯდა სალაროს უკან, წვერიანი ლოყით ხელისგულს დაყრდნობილი! მსუქანი, დანაოჭებული ბებო, რომლის გადამწვარ,

მოშავო-მომწვანო თმაში ისე გამოსჭვიოდა ცელულოიდისებრი თავის ქალა, როგორც ტყის ნაკადულის წყალმცენარეებში ქვიშიანი ფსკერი. ქალმა ბებერი მაჭანკლის დამცინავი მზერა მიაპყრო სტუმარს. კარგი რამ შემტყუებელი ეშოვათ პროხაზკებს თავიანთი ფარდულისთვის.

და აი, ბებომ პომადაწაგლესილი პირი გააღო... და გავშრი. გავშეშდი...

ბებოს ანგელოზური ტემბრის ხმა აღმოაჩნდა. დიახ, ეს ანგელოზის ხმა იყო მეოცნებე, მიამიტი, ბედნიერი ანგელოზის ხმა; იმ ანგელოზის, რომელსაც სწამს საუკუნო სამართლიანობისა და ადამიანის კეთილი ბუნებისა... ადამიანის ამ ბინძური ძაღლიშვილის, რომელმაც მილიონჯერ დაუმტკიცა ყველას და, მათ შორის, საკუთარ თავსაც, რომ ის მხოლოდ და მხოლოდ ბინძური ძაღლიშვილია და მეტი არაფერი. და მე ისე ჩავყვინთე ამ ხმის წიაღში, როგორც უსასრულო გზების მტვერში სანდლებშემოცვეთილი მომლოცველები დაემხობიან ხოლმე ხისგან ნათალი მარიამის წინაშე, ცარიელი ტაძრის საკმევლიან სიჩუმეში რომ ეგებება მგზავრს.

– მეი აი ჰელფ იუ, ფლი-ი-იზ? – დაამღერა ანგელოზმა და მე ცრემლი მომადგა თვალზე: ეს აქცენტი ხმელ კუნძზე რუსული ნაჯახის ეს დარტყმები არაფერში აგერეოდა.

– შეგიძლიათ, – ვთქვი მე. და მიმოვიხედე, რათა საშუალება მიმეცა მისთვის ჩვეულ სავაჭრო ბილიკს დასდგომოდა. – გამაცანით

თქვენი გალერეა. ნამდვილი თოჯინათა სამეფო გაქვთ აქ!

სინამდვილეში, მე მხოლოდ ის მინდოდა, რომ მესმინა და მესმინა ამ ხმისთვის. კიდევ ილაპარაკოს, ცოტა ხანს მაინც... ო’ქეი, ილაპარაკოს ამინდზე, ბიზნესზე, პროხაზკების ძლევამოსილ კლანზე...

მე საიდან ვარ? მე იერუსალიმიდან ვარ: ვიცოდი, ვის ვეუბნებოდი, და ვიცოდი, მე, ბებერმა სპეკულანტმა, დაახლოებით რა რეაქციას მოაყოლებდა ამას სისხლივით წითელი პომადით შემოხაზული საზარელი ხვრელი: დიახ, დიახ, სწორია, ჩვენ ჩვენს ქვეყანაში უნდა ვცხოვრობდეთ; ჩვენ ხომ ვერ გვიძლებენ, ვერ გადაგვხარშეს ამ ნაბოზვარ სამყაროში, ამიტომაც ჩვენ სწორედ იქ უნდა ვცხოვრობდეთ, იმ მთაზე, სადაც ჩვენი ტაძარია აღმართული, – მოხუცის თავში ერთად იხარშებოდა ლეგენდების, საბავშვო სააღდგომო კუპლეტებისა და პოპულარული წიგნებიდან ამოკრეფილი რაღაც საეჭვო იგავების ნაზავი. სხვათა შორის, მასაც ჰანა ჰქვია, რომ იცოდეთ. ძალიან სასიამოვნოა. გამოდის, რომ თვით წმინდა იერუსალიმიდან ხართ... აი, ჩვენ კი სხვანაირად აგვეწყო: ჩემს ქალიშვილს, ხომ გესმით, ჩეხი შეუყვარდა. არა, ზდენეკი კარგი ყმაწვილია, და ჯერ არავისთვის უწყენინებია, ის ნამდვილი ოსტატი და წესიერი ადამიანია, და უკვე სამი დიდი შვილიშვილი მყავს, და ორი შვილთაშვილი გოგონაც, მაგრამ... – მოხუცი სალაროს აპარატს გადმოეკიდა და მოგუდული ხმით გამიმხილა საიდუმლო:

“ყველანი ჩეხები არიან, ხომ გესმით? ეჰ! ჩეხები...”... აი, ტონდა, მისი შვილიშვილი. კარგი ბიჭია, მაგრამ ჩეხია. არა, გულით თუ ეტყვი: შე სირო, შე ნაბიჭვარო, შე ნაძირალა, არ შეიძლება, ხანდახან ბებია რომ მოინახულო სახლში, გალერეაში კი არა, თან ისე, უბრალოდ, ფულისთვის კი არა, შე სირო? – ის, რა თქმა უნდა, გაგიგებს. მაგრამ საპასუხოდ რას გაიგონებ? ერთადერთ რამეს:

– ია-ასნე... იასნე, იასნე, – აი, რას გაიგონებ...

ორმოციოდე წუთს დავტკბი ზეციურ სფეროთა მუსიკით. თავისთავად ცხადია, ამქვეყნად ყველაფერს შევეხეთ, მათ შორის, იმ ორმოსაც, რომელშიც გასროლამდე ერთი წამით ადრე წარმატებულად გადახტომაა შესაძლებელი; უკრაინელ გლეხებზეც, რომლებზეც ვინ იცის, რას აღარ ამბობენ, მაგრამ სწორედ მათ შეიფარეს და დამალეს – ზოგმა ღუმლის თავზე, ზოგმა ღუმელს უკან, ზოგმაც ბოსელში... – და ამით სიცოცხლე შეუნარჩუნეს, ასე რომ, უკრაინულ ანტისემიტიზმზე, თუ შეიძლება, მასთან სიტყვაც არ დაგცდეთ...

ბოლოს საათს შევხედე და მივხვდი, რომ დრო იყო აქცია დამესრულებინა. მთელი გალერეა შემოვიარე, რომელიც, მართლაცდა, ბარაქიანი საქონლით იყო დახუნძლული. პრინცესები, საფრთხობელები, რაშები და კატები, მეფეები და კაშპარეკები, თვალებდაქაჩული გურვინეკები, დიდყურა სპეიბლები, სხვა სასაცილო ხალხი გუნდ-

გუნდად ეკიდა ჭერიდან დაშვებულ თავ-თავის სიმებზე და წყნარად ირხეოდა: ჯადოსნური მისტერიის უხმო მუსიკა...

არ მინდოდა მეკითხა ჰანასთვის, თუ სად ეკიდა კონკრეტულად პეტკას თოჯინები; მინდოდა, თვითონ გამომეცნო, თან არც თავის გამომჟღავნება მსურდა. არ მინდოდა, ერთ დღესაც, მოხუცს პეტკასთვის ეამბა, რომ ერთხელ, ერთი მოხეული იერუსალიმელი კაცი აქ მაინცდამაინც პეტია უკსუსოვის თოჯინებს ეძებდა. თუმცა, მალე აღმოვაჩინე, რომ ყოველ თოჯინას ხელზე ან ფეხზე ბირკა ეკიდა, რომლის ერთ მხარეზეც ფასი ეწერა, მეორეზე კი ოსტატის ვინაობა. მაგრამ მანამდე პეტკას რამდენიმე თოჯინა ამოვიცანი: ორი საფრთხობელა, მასხარა-კაშპარეკი, და უნაზესი, აღმაფრთოვანებელი ზებრა, რომელსაც არაბუნებრივად გრძელი კისერი და მორცხვი თვალები ჰქონდა. უმშვენიერესი ზებრა იყო, მაგრამ მე მაინც მასხარა-კაშპარეკისკენ გადავიხარე. ჯერ ერთი, მას ეცვა გასაოცარი, ცელქური ლიმონისფერ-მწვანე-ბორდოსფერი ფერებით აწყობილი კუბოკრული სამოსი. მეორე: მას ჰქონდა მთვარისებრი თვალები, რომლებიც მუდამ თქვენ თავზემოთ იცქირებოდნენ, რა კუთხითაც უნდა შეგეხედათ მისთვის; მას ღონიერი მუშტები და ღონიერი მუხლები ჰქონდა, ხის ჭვინტიანი ფეხსაცმელი ეცვა, ხელში კომბალი ეჭირა, თავზე ხის ჩაჩი ეხურა, რომელსაც წვერი ორად ეყოფოდა და ეს წვერები სახის ორივე მხარეს რქებივით

ეკიდა, ხოლო ჩაჩს იმდენი პაწია ზანზალაკი ებნია, რომ ჩამოვხსენი თუ არა თოჯინა კედლიდან, მაშინვე აჟღარუნდა და ასე ჟღარუნებდა მთელი გზა, როცაA იატაკზე ჩამოვსვი და ვცადე, ცოტა გამეტარებინა...

მოხუცმა ვეება უკანალი წამოსწია სკამიდან და გამომყვა, თან ორივე ხელით ცდილობდა დუნდულებს შორის ხეობაში შეკვეხებული ქვედაკაბის გამოზიდვას. მისი ზანზალაკური ხმა ედემურ მუსიკად ჟღერდა, და ასე წკრიალებდა ორივე ერთად მოხუცი და მასხარა-კაშპარეკი, – თუმცა კი სხვადასხვანაირად წკრიალებდნენ: ბებო ანგელოზივით, თოჯინა კი დამცინავი მასხარას ზანზალაკივით.

ნებისმიერი, ნებისმიერი თოჯინა აქ ხელოვნების ნიმუშია, – გაიძახოდა მოხუცი ნამდვილად არ შეგრცხვებათ მისი ჩუქება არც ბავშვისთვის, არც დიდისთვის, ფასს ნუ დასცქერით, დაგიკლებთ. იცით რა ორ თოჯინაზე ორმაგ ფასდაკლებას გაგიკეთებთ, გულდაწყვეტილს ნამდვილად არ დაგტოვებთ...

კაცმა რომ თქვას, უკვე ვიცოდი, ვის ჩავუტანდი მასხარას. მე მას შიზოფრენიით დაავადებული ერთი ჩვენი უმძიმესი პაციენტი ქალის რვა წლის ტყუპებს, რამისა და რივკეს, ვაჩუქებ.

ისინი ყოველ მეორე დღეს აკითხავდნენ დედას, ხილი და ბებიის გამომცხვარი შინაური ნამცხვარი მოჰქონდათ.

ხელიხელჩაკიდებულები ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ტახტზე და ორ წყვილ შავ, მშვიდ თვალს არ აცილებდნენ დედას. მათ ევალებოდათ თვალყურის დევნება, რომ დედას ყველაფერი შეეჭამა, და ისინიც თვალყურს ადევნებდნენ. ისინიც ანგელოზები იყვნენ, დამხმარე ანგელოზები, – იმათგანნი, ზუსტად და მშვიდად რომ ასრულებენ მინდობილ დავალებას. მამა გარდაცვლილი ჰყავდათ, ბებიაც, საეჭვოა, რომ სამარადისო სიცოცხლეს ეპირებოდა, მათ კი აი, ასეთი დედა ხვდათ წილად კიდევ მრავალი წლით. და ისინი ისხდნენ, ხელიხელჩაჭიდებულები, და უცქერდნენ დედას მშვიდი შავი თვალებით შავ-მუშა ანგელოზები, იმათგანნი, რომლებზეც დგას ამ სამყაროს ყოველი წუთი... აი, ვის ჩავუტან თოჯინას. სწორედაც რომ კაშპარეკს: საშიშ, მხიარულ და ლაღ კაშპარეკს, ხელკომბლიანსა და ზანზალაკებიანს, ძლიერი, იხვისებრი ცხვირი რომ აქვს, წვეტიანი ნიკაპი და მთვარისებრი თვალები, რომელთაც რაღაც ისეთი იციან, რაც, შესაძლოა, ჯერ არ ეცოდინებათ ტყუპებს...

– სწორი არჩევანია, – თქვა მოხუცმა, – ეს ერთი რუსი ოსტატის ნამუშევარია, ჩვენი მეგობრის. იმას ორი ერთნაირი არასდროს გამოსდის. მის ყოველ თოჯინას თავისი სახე და ხასიათი აქვს. მე თვითონ მთელი ცხოვრება დავატარებდი თოჯინებს თეჯირზე, და გეტყვით, რამდენად მნიშვნელოვანია, რომ თოჯინას თავისი სახე და ხასიათი ჰქონდეს. თუ ასეა, თოჯინა თვითონ

მოგახსენებთ რა უნდა და რა არ უნდა, რა უყვარს და რა ეჯავრება. აი, აქ, გეუბნებათ თოჯინა, ცოტა გრძელი პაუზა მომიწყვე, იმიტომ, რომ როცა აი, ასე, ნელა და გაკვირვებით მოვაბრუნებ თავს, ჩემი მარჯვენა თვალი ძალიან გამომსახველად შესცქერის დარბაზს... გესმით? დანარჩენს უკვე მეთოჯინე დააბოლოებს, თუკი ტვინი და ნიჭი აქვს... და, სხვათა შორის, აი, სწორედ ეს ოსტატი მსახიობიცაა, თანაც როგორი მსახიობი! ისეთი მსახიობია, რომ კარლის ხიდზე არ გადის, სხვა მეთოჯინეებს რომ არ ჩაუშალოს მუშაობა. კეთილშობილების გამო! იმიტომ, რომ ის თუ გამოჩნდა მორჩა, დაახვიე ანკესი: სანამ ის ხიდზეა, ვერც ერთი ტურისტი მას ვეღარ მოშორდება, ერთი ნაბიჯითაც კი, და დანარჩენი მსახიობებისკენ არც კი გაიხედავს ვინმე. ისეთი ხელები აქვს, შეეხება თუ არა თოჯინას, ის მაშინვე ცოცხლდება. შეგიძლიათ დამიჯეროთ, ცოცხლდება და ადამიანივით მოძრაობს... ვეუბნები ხოლმე: “პეტკა, როცა ჩავძაღლდები, მოდი და უბრალოდ შემეხე შენი ცხოველმყოფელი თათით. და მეც მაშინვე წამოვდგები”... გახსოვთ, რომელ წიგნში დასძახიან მკვდარს: “ლაზარე, აეთრიე!” – და ისიც დგება და მიდის თავისი გზით?

.და უცებ წარმოვიდგინე სურათი: ჩემი მეგობარი იესოს სახით დგას და მკვდრეთით აღადგენს ბორდელის ღირსშესანიშნაობასავით შეღებილ, სასაცილო მოხუც ქალს: “ჰანა, აეთრიე!”

– ვშიშობ, რომ ეს სახარებიდანაა, – ვთქვი.

– რას მეუბნებით! – გაუკვირდა მას.

მე ტკიცინა ევრო-კუპიურები ჩავუთვალე, ჩეკი მივიღე, და, სანამ ის სწრაფად და მოხერხებულად მიფუთავდა პეტკას ნახელავს, ცოტაც წავიქაქანეთ... მე ვტკბებოდი მოხუცის ნათელი გონებით და შესანიშნავი მეხსიერებით: მას კიევის ტრამვაების ნომრები და მათი ომამდელი მარშრუტები ახსოვდა, ახსოვდა გუშინდელი და გუშინწინდელი დღე, ახსოვდა ის თავისი ორმო და თავისი გადამრჩენლები, ყველა თავისი თოჯინა, ყველა სიხარული და წყენა, ყველა გარდაცვლილი ნათესავი. მოხუცი სრულ წესრიგში იყო; ის, – ის არაჩვეულებრივი მოხუცებული გერონტოლოგის ოცნება იყო, და მეც ვიდექი სალაროსთან და ვუსმენდი ღვთაებრივ ქნართა მუსიკას, და ვაყოვნებდი, ვაყოვნებდი წასვლას...

– კეთილი, მგონი, ჩემი წასვლის დროა, – ჩავილაპარაკე ბოლოს დანანებით. – გამიხარდა თქვენი გაცნობა, ჰანა. მიხარია, რომ შემოვედი აქ და ეს საოცრებები ვნახე.

კარის სახელურს რომ დავწვდი, ზურგსუკან მომაყოლა:

– დაიცათ, ჯანდაბას თქვენი თავი!

სალაროს უკნიდან გამოძვრა, თითქოს ტანკი მოგორავს მუხლუხებზეო.

– სულში ჩამივარდით, აი, რა. მინდა, რაღაც გაჩვენოთ, მხოლოდ ეს ჩვენ შორის უნდა

დარჩეს. კარგი?

ის ჩემ წინ იდგა, იდუმალად და გამარჯვებულად იღიმებოდა გათხიპნილი კლოუნური პირით.

– ამბობთ, ეს საოცრებებიო, არა? – მკითხა, და ხელი გაიქნია წრიულად. – ჩემო კარგო, ეს რა საოცრებებია! ეს, უბრალოდ, კეთილსინდისიერი ნამუშევარია. წამომყევით, და ნამდვილ საოცრებას გაჩვენებთ! შეტრიალდა და ისე, რომ ჩემთვის აღარ შემოუხედავს, გვერდითა შენობის დაკეტილი, ცისფრად შეღებილი კარისკენ გაემართა, კარს ხელი ჰკრა, შევიდა, მე კი ზღურბლზე შევჩერდი. კიბის რამდენიმე საფეხური ქვევით ჩადიოდა. აქ, სარდაფამდე შუა გზაში, პაწია ოთახი იყო, სადაც გამოსაწევუჯრებიანი დაბალი კარადა იდგა; ეჭვი შემეპარა, რომ მე და ჰანა ორივე დავეტეოდით ამ სოროში.

– ჩამოდით, – თქვა ჰანამ და ქვემოდან ზემოთ ამომაცქერდა, – არ ინანებთ.

მერე კარადასა და კედელს შორის შემალული გასაშლელი კიბე გამოაჩოჩა და კარადას მიადგა.

– ოღონდ, ჩუ!.. ხედავთ, იქ, ზემოთ... დევს? კიბეზე ადით და ფრთხიიიი-იილად შემოაცალეთ სახვევი.

ახლაღა შევნიშნე, რომ ჩემი თვალების გასწვრივ, კარადის თავზე, მოხაზულობისდა მიხედვით, პატარა ტანის, აშკარად

ადამიანური პროპორციების მქონე ვიღაც იწვა. ცოტა არ იყოს, ცუდად ვიგრძენი თავი.

– იცით... მე ნამდვილად არ ვარ მიცვალებულების მკვდრეთით აღმდგენი, – ჩავილაპარაკე და უხერხულად გავიღიმე.

– გახსენით, გახსენით, ოღონდ ფრთხილად. თორემ თავს წამაცლის ის.

კიბეზე ავედი, თავით ლამის ჭერს მივებჯინე და შიშნარევად დავიწყე სახვევის შემოცლა...

უცნაური ამბავია! და მოგვიანებით, ამ წუთების გახსენებისას, საკუთარ თავს ვუმეორებდი უცნაური ამბავია, უცნაური ამბავია: მე ხომ უკვე მინახავს ეს თოჯინა, მე ის მოქმედებაში მინახავს, აღვფრთოვანებულვარ მისით, თუმცა, ყოველთვის ვცდილობდი სასწრაფოდ მომერიდებინა მისთვის მზერა... მაშ, როცა ნახევრად გამჭვირვალე ქსოვილის ბოლო ნაწილიც გადავწიე და როცა ის დავინახე... – ლიზა, ლიზა, ლიზა! – რატომ ვიგრძენი ისეთი უხერხულობა, ისეთი სირცხვილი, და ისეთი წვა მკერდში, და... შიშიც კი? რატომ ჩავჩუმდი, და რატომ დავაშტერდი უდრტვინველად მწოლიარე მინიატიურულ ქალს, სავსებით ცოცხალი ხელები მწვანე აბრეშუმის კაბის ჩასწვრივ რომ გაეჭიმა? რატომ გავშეშდი, ფანტასტიკური სიზუსტით შექმნილი მისი სახის ნაკვთებისა და ვირტუოზულად შეფერილ კანზე, ნიკაპთან, პაწია ხალის დანახვაზე? რატომ გავქვავდი ოფლის წინწკლებივით, გამაოგნებელი დამაჯერებლობით მოფანტული ბისერების

ხილვაზე ზედა ტუჩის თავსა და თმის ძირებში? და რატომ დამეუფლა ანაზდად უმართავი სიშმაგე დიახ, ეს სიშმაგე იყო, და საკუთარ თავს ვერაფერს ვუხერხებდი.

– აი, თურმე სად მალავს, – ჩავიჩურჩულე, და ჰანამ ქვემოდან მკითხა: – აბა, რაო? ხომ საოცარია?

– დიახ, – ვუპასუხე მოგუდული ხმით, – დიახ.

– სამწუხაროა, რომ თვალებს ვერ გავუღებ, – მღელვარედ ჩაილაპარაკა ჰანამ, – საერთოდაც, ხელის ხლების მეშინია: მანდ ურთულესი მექანიკაა, – რაღაც კვანძებია, რაღაც მზიდები, მოძრავი ნაწილები... რაღაც ექსცენტრიკული ბორბლების სისტემა, და ფოტოელემენტები, და მინიატიურული ჰიდრავლიკა, – პეტკამ კი ამიხსნა, მაგრამ ყველაფერი არ დამამახსოვრდა. მითხრა: “ჰანა, მისი კორპუსის შიგნით რომ შეგეძლოს შეხედვა, გული წაგივიდოდა”. ო, ნეტავ განახათ, რა ნაზად მოძრაობს! ფეხისგულებზე პაწაწინა ბორბლები აქვს. თვალები კი, ჩეხეთის ერთ-ერთმა ლეგენდარულმა, უხუცესმა მეთვალემ, მარეკ დოლეჟალმა გააკეთა შეკვეთით: ის ნამდვილი გენიოსია, ოთხმოცდარვა წლისაა, ბრნოში ცხოვრობს. პეტიამ მითხრა, რომ მან და მარეკმა სამი დღე იომეს თვალის ფერზე და ვერა და ვერ შეარჩიეს ზუსტი შეფერილობა, სანამ ბაზარში წასვლა და თაფლის დახლების დათვალიერება არ მოაფიქრდა. და იცით, ეს ახალი მთის თაფლი

აღმოჩნდა: შოთხვი, ცხრატყავა და სამყურა, მხოხავი ბეგქონდარა და სალბი... ჰოდა, მაშინ კი გააკეთა მარეკმა ეს თვალები. სამწუხაროა, რომ ვერ ნახავთ, იმიტომ, რომ ეს ნამდვილი ადამიანური თვალებია... ცრემლიანი... რვაჯერ მაინც ვნახე ამათი ცეკვა, და კიდევ ასჯერ ვნახავდი, და აი, რას გეტყვით: ეს მისი თვალები რამპის შუქზე ისე ციმციმებს და ისე ელავს, – ცოცხალივით!

მადლობა ღმერთს, გავიფიქრე, რომ ახლა ეს თვალები დახუჭულია, თორემ მართლა შეიშლებოდა კაცი ჭკუიდან. ჩემზე ექიმზე, რომელიც ყოველდღე სინჯავს ავადმყოფებს, ცუდად მოქმედებდა აქ, მძინარე ლიზას გვერდით დგომა და ჩემთვის უცხო ადამიანთან მასზე ლაპარაკი... იყო, იყო ამაში რაღაც აკრძალული.

უცებ გამახსენდა, რომ ერთხელ, დილის შემოვლისას, პალატაში შესულს, ლიზა მძინარე დამიხვდა. შირამ მითხრა, რომ ამ ავადმყოფს შფოთიანი ღამე ჰქონდა და გამთენიისას ძლივს ჩაეძინა. აი, ასე იწვა, ზუსტად ასე უღონოდ გაჭიმული, ოფლის პაწაწინა ბისერები ემჩნია ზედა ტუჩის თავზე, და წვრილი ხელებიც ასე ჰქონდა გაჭიმული ტანის გასწვრივ... “ნუ გავაღვიძებთ” – ვთქვი და მეზობელ საწოლზე მწოლიარე პაციენტი ქალისკენ გადავინაცვლე.

– გეტყვით, მაგრამ ყველაფერი ჩვენ შორის უნდა დარჩეს, – მითხრა ჰანამ და ამოიოხრა. კეფაზე ბოლომდე ვერშეღებილი მისი თმა ზემოდან მონაზვნის ტონზურას წააგავდა.

– ასეთი რაღაცის თქმაც კი ძნელია. ეს ხომ მისი ცოლია...

.

– როგორ თუ ცოლი? – შემოვტრიალდი, თუმც ვიცოდი, რასაც გულისხმობდა, მაგრამ რაღაცამ მაიძულა ამ იდიოტური კითხვის დასმა. იქნებ საკუთარმა მღელვარებამ, სულს რომ მიკაწრავდა... – რას ნიშნავს ცოლი? ეს ხომ თოჯინაა.

– დიახ, კი, კი... იცით, მას შეშლილი ცოლი ჰყავს, და მისი ერთადერთი სიხარული აი, ესაა... ეს... არსება. ელაპარაკება ხოლმე, იცით? და აჯობებს, ყურს თუ არ მიუგდებ ადამიანი ამ ლაპარაკს. ეუბნება: "ჩემო გოგონა", და "აბა, რაო, მოგენატრე?"... და "მოდი, ხელუცები-ფეხუცები შევამოწმოთ", და ეგეთებს... ყოველთვის გავდივარ, რომ არ მოვისმინო. ჩემი აზრით, ეს ძალიან ინტიმურია...

მკერდში შემომსკდარი დახუთული სიმხურვალე რომ გამეძევებინა, მკვეთრად ვთქვი:

– მისმინეთ, ჰანა! ეს, უბრალოდ, თოჯინაა. არაჩვეულებრივი ნამუშევარი. ხელოვნების ნიმუში. მაგრამ ეს ადამიანი კი არა, თოჯინაა! და თქვენ, როგორც პროფესიონალს, ეს მშვენივრად გესმით...

მან რაღაცნაირად, უცნაურად ჩაიცინა და თქვა:

– მე კი მესმის... და თქვენ, შემთხვევით,

არასდროს ყოფილხართ ობრაზცოვის თოჯინათა მუზეუმში? არ შეგიხედავთ მათ საცავში? როგორ წვანან იქ თაროებზე, როგორც მორგში, და გადასაფარებლის ქვეშიდან ხან ხელია გადმოვარდნილი, ხან ფეხია გამოჩრილი... იქ მუზეუმის მეთვალყურედ ერთი მშვენიერი ქალბატონი მუშაობდა. ჰოდა, სამუშაო მაგიდა ისეთნაირად დადგა, რომ მთელი იქაური მოსახლეობა თვალწინ ჰყოლოდა. თორემო, ამბობდა, მივბრუნდები თუ არა, პოზებს იცვლიანო.

მაღაზიის დარბაზში ტელეფონი აწკრიალდა. ჰანა მძიმედ აუყვა კიბის საფეხურებს, თან მეუბნებოდა:

– ახლავე დავბრუნდები, ხელი არაფერს ახლოთ, არაფერს!

გზად ჯოხით გააღო ფანჯარა და ძალიანაც კარგი ქნა, აქ საშინელი ჩახუთულობა იყო.

სანამ ჰანა ტელეფონზე ლაპარაკობდა, მე ქალის ასლს ვადექი თავს შესაძლოა, სამყაროში ქალის ყველაზე ზუსტ ასლს, – და მისი კაბის ქსოვილის შეხებაც კი ვერ გამებედა. რა მოგდის, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, რა მოგდის, ექიმო? ადრეც ხომ გინახავს ეს საოცრებათა საოცრება, პეტკას ნიჭისა და ოსტატობის ქმნილება? თანაც, ასე უღონოდ მწოლიარე კი არა, – მის მკლავებში მოცეკვავე გინახავს. მაშ, რა გემართება ახლა, რას გაქვავებულხარ და რად არ ჩქარობ მის ქსოვილში გახვევას და კიბიდან ჩამოსვლას? არანაირი საიდუმლო არაა

მასში, – ეს მხოლოდ ნიჭის და შრომის შედეგია, პეტკას ნიჭის და შრომის, ეს მისთვისაც ბევრჯერ გაგიმეორებია.

რა არის აქ გამოუცნობი?

და უეცრად ქარმა შეარხია გამოღებული ფანჯრის ჩარჩო, ოთახში შემოიჭრა და... თოჯინამ ამოისუნთქა.

არ ვიცი, როგორ ჩამოვფორთხდი კიბიდან... ხელები გამეყინა, გულისცემა გიჟურად ამიჩქარდა, ყელში კი თითქოს ონკანი გადამეკეტა. კიდევ ორი-სამი წამი გავიდა, სანამ მე, ჩემივე იდიოტური პანიკით გაცოფებული, მკერდზე დავადებდი მას ხელს და მყისვე მოვაშორებდი: ეს იყო რბილი, დამყოლი სხეული... მე ქვევით ჩამოვუწიე მძიმე მწვანე აბრეშუმის დეკოლტე და ყველაფერს მივხვდი: მან სამედიცინო სილიკონის იმპლანტანტები გამოიყენა, მან ისინი რომელიმე პლასტიკურ ქირურგზე არანაკლებ ვირტუოზულად გააცოცხლა ქსოვილქვეშ, – ალბათ, იმისთვის, რომ ცეკვის დროს მკერდს ცოცხალივით ემღელვარა და ესუნთქა...

გამახსენდა მათი ცეკვა: უზადოდ აწყობილი მოძრაობების ჩამოქნილი კონტრაპუნქტი. ახლაღა, კიბეზე მდგომი, ნელ-ნელა მივხვდი – რა გენიალური ხერხებით შექმნა ჩემმა მეგობარმა ასეთი ზუსტი ანარეკლი, ახლაღა გავაცნობიერე ბოლომდე რა მასშტაბის მხატვარია იგი... კარგი, კარგი. ყველაფერი ახსნილია. ჯანდაბა! ჯანდაბა! მისმინე, ექიმო.

ეს მკერდი ხომ მრავალჯერ მოგისმენია, შენმა ცივსისხლიანმა სტეტოსკოპმა ის ზეპირად იცის, შენ ხომ კარგად გახსოვს ეს გამჭვირვალე ნახევარწრეები, მოცისფრო ვენები რომ ამჩნევია ქვემოთ იქ, სადაც გულის მკვეთრი ტონების ძიებაში სტეტოსკოპი განსაკუთრებული დაჟინებით ჩააფრინდება ხოლმე სხეულს... და გახსოვს პატარა კერტებიც, იმავე... როგორ თქვა ჰანამ? – მთის თაფლის ფერები... ჰოდა, რაღა ჯანდაბას უდგახარ აქ უკანასკნელი იდიოტივით, და რაღა აღმოჩენებს ელი?

აი, იწვა იგი აქ უტყვი, უძრავი და მშვენიერი თოჯინა, შემოქმედისა და შექმნის მოლოდინში, მარადიული, დაუსრულებელი ქმნის მოლოდინში... ის მხოლოდ მაშინ იცოცხლებდა, როცა მისი შემოქმედი მოინებებდა. ჩავფიქრდი შემოქმედსა და მის ქმნილებას შორის უმტკიცეს კავშირებზე, სრულ დაქვემდებარებულობაზე, შემოქმედში მისი ქმნილების სრულ გახსნაზე... ვფიქრობდი: ელისის ეს სრული ფლობა ხომ არ იყო ჩემი მეგობრისათვის ესოდენ ძვირფასი და ესოდენ სასიცოცხლოდ აუცილებელი? აბსოლუტური ფლობა, რომელსაც ვერა და ვერ მიაღწია ლიზასთან. რამეთუ, პეტკაზე მისი სულიერი, ფიზიკური და ყოფითი დამოკიდებულობის მიუხედავად, დათრგუნულობისა და კარგ პერიოდებშიც კი მისი ჩაყურსულ-ჩასაფრებული ავადმყოფობის მიუხედავად, ლიზა მაინც ცოცხალ, განცალკევებულ, ტანჯულ პიროვნებად რჩებოდა...

მე საგულდაგულოდ გავახვიე ძვირფასი მექანიზმი, პლედი წავაფარე უმშვენიერეს სახეს და კიბიდან ჩამოვძვერი. იძინე მშვიდად...

დარბაზში ასულმა ჩემი კაშპარეკი ავიღე და სახეზე ბოდიში გამოვიხატე. ხელისგულები გულზე ავიკარი, ჩემი მაჯის საათის ციფერბლატზე ავაკაკუნე თითი, უსიტყვოდ, მოკლედ დავემშვიდობე ტელეფონის ყურმილს აწებებულ მოხუცს და გამოვიქეცი...

იმ საღამოს, აეროპორტში წასვლამდე სამი საათით ადრე, პროხაზკას მაღაზიაში მომხდარით აფორიაქებული, წამიერად ლიზაზე გადავიტანდი ხოლმე მზერას. უბრალოდ, თვალის მოწყვეტა არ შემეძლო მისთვის: უნებურად ვადარებდი კარადის თავზე უძრავად გაჭიმულ მეორე ლიზას ამას, ჩემ მოპირდაპირე მხარეს რომ იჯდა მაგიდასთან, წარამარა რომ წამოხტებოდა ხოლმე, რათა დაეხედა, “ამოვიდა” თუ არა გაზქურაში შედებული რაღაც სოკოიან-ყაბაყიანი, განსხვავებული, რომელიღაც ჟურნალში ამოკითხული რეცეპტით გამზადებული ბრაწულა.

ბოლოს და ბოლოს, პეტკამაც შენიშნა ეს, ხუმრობით მუშტი წამკრა გვერდში და თქვა:

– რას მიშტერებიხარ ჩემს ცოლს?

და მეც იმავე ტონში მივუგე:

– შენსას კი არა, ჩემსას. მომეპრიანება და

თან წავიყვან. ლიზა, წამომყვები იერუსალიმში?

ლიზა ცხელ ლანგარს დასტრიალებდა... უცებ გასწორდა, ჩვენკენ შემოტრიალდა და სავსებით სერიოზულად წარმოთქვა:

– იქნებ წამოგყვე კიდეც... ოდესმე.

* * *

...რა უცნაური ბედისწერებია, ვფიქრობდი მანქანაში მჯდო მი და საქარე მინიდან გავცქეროდი, თუ რა სისწრაფით უჩინარდებოდნენ შორს კუმრანის შავ-ლილისფერი კუზები; რა ტრაგიკული ბედისწერისანი არიან ეს ცეცხლოვანთმიანი ქალები, თითქოს ხანძარი მისდევთ კვალდაკვალ; თითქოს გარბიან, თავი რომ დაიხსნან მისგან, ზურგსუკან რომ მოიტოვონ ალი, და ვერასდროს ასწრებენ თავის შველას... ეს რა წყეული საგვარეულო მატრიცაა და რატომ ხდებიან ისინი ღალატის მსხვერპლნი ყოველთვის? და რატომაა, რომ ჩემი მეგობარიც კი ყველაზე დიდსულოვანი, ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე შეყვარებული მათ შორის, ვისაც კი ვიცნობ რატომაა, რომ ისიც კი ღალატისთვისაა განწირული?

როგორც იქნა, მანქანა დავქოქე და იერუსალიმის ავტოსადგომი დავტოვე. კარგა ხანს ვმჯდარვარ ასე: კუმრანის მოხაზულობები თანდათან გადნა ცის გარსშემომდგარ შავ ნისლში, და ავედი თუ არა უღელტეხილზე, ჰაერში რა იშვიათად ხდება ეს აქ! – უკვე ბზრიალებდნენ,

ციბრუტივით ტრიალებდნენ, ცეკვავდნენ რბილი თეთრი ბუზები. ნუთუ თოვლია? ო, რამხელა სიხარულია აქაური ბავშვებისთვის – თუ, რასაკვირველია, კიდევ ნახევარ საათს იფრენენ ფიფქები ასე.

“უნდა მოვძებნო პეტკას ის წერილი, სახალინურ ქარბუქს რომ აღწერდა, – გადავწყვიტე მტკიცედ. – აი, ახლა კი უნდა ვიპოვო, რადაც უნდა დამიჯდეს!..”.

თავი მეცხრე

“ჩაკეტილი ვარ, ბორკა. ქარბუქის ტყვეობაში ვარ... მეორე დღეა, კუნძულზე გაგიჟებული, თოვლიანი სტიქია ღმუის და სტვენს. აეროპორტი დახურულია. სახალინი მოწყვეტილია მატერიკს და ჩამკვდარია, მეგატონობით თოვლშია ჩამარხული. გუშინ საღამოს ისეთი კორიანტელი დატრიალდა, რომ მოპირდაპირე სახლის ფანჯრებში ძლივსღა ვარჩევდი სინათლეს...

ამდენი თოვლი არასდროს მინახავს. თოვლი ყველაფერს ასკდება და ნთქავს, რაც გზად შეხვდება: ძელსკამებს, ბოძებს, თაღებს, ღობეებს და სახურავებს, ფარავს სახლებს და ჩრდილოეთისკენ მიმავალ მატარებლებს. თოვლი მოეხვავება და მოეხვავება, თოვს ვეება, შეკრულ-შეწებებულ მუშტებად აქ ფიფქებს და ჩვეულებრივ ზამთრულ იდილიას ვერ ნახავ; ეს თოვა იმქვეყნიური ლაშქრის პანიკურ სრბოლას წააგავს, მთელ სამყაროს დანგრევას, განადგურებას რომ უქადის. მთელი სამყარო ნაწილებად იშლება, მთელი ქვეყნიერება მისი ცა, მისი მატერიალური არსი; ნაწილებად იშლება მისი მკვდარი, გაყინული სხეული, და იმ ნაწილებსაც ქარიშხალი იტაცებს და სადღაც, კოსმიურ ქაოსში მიაქანებს...

სამყაროს აღსასრული აქაური გრიგალის მრისხანე სახით წარმომედგინა ყოველთვის. მკაცრი სახალინელი ბოსხი იყო მუდამ ჩემი სიზმრების დირიჟორი. სიზმრებისა, რომლებშიც მტანჯველი სიჯიუტით ვცდილობდი ამ ღმუილის, ამ ქარაშოტის, ამ

სასიკვდილოდ დაღებული თეთრი ხახის დაძლევას. ასე ცდილობენ საცოდავი ადამიანები ზღვის უფსკრულისკენ სანახევროდ წასული გემის აყირავებულ გემბანზე აცოცებას, – ზევით, შტორმული ცის უსასრულო სიცარიელისკენ...

და ჭექაქუხილიანი ქარბუქი თუ გინახავს ოდესმე? როგორ სერავს დანისპირივით ბასრი ელვა თოვლის ბობოქარ ნისლს?..

თავიდან გეჩვენება, რომ ეს, უბრალოდ, მოკლე ჩართვაა, მით უფრო, რომ ასეთ საათებში დენს თიშავენ. ახლაც სანთელი მინთია, ფანჯრის ჩაბნელებულ მინებს იქით ჩამობურული თოვლის გამო მოჩვენებად ქცეულ სამზარეულოში, ამ ბრმა ქარბუქში თითქოსდა წყალქვეშა ნავივით რომ დასრიალებს სადღაც, რომელიღაც მარაკოტის უფსკრულში; მაგიდაზე წიგნი დევს, და ცისფერი გაელვებები დროდადრო იფეთქებს ხოლმე მის უშფოთველ ფურცლებზე.

წიგნი გადაშლილია, მაგრამ ან სახელწოდებას თუ მკითხავ მისას, ან სიუჟეტს... – ვერაფერს გიპასუხებ. წიგნი ისე ჩამოვიღე თაროდან, ავტორის ვინაობისთვის არც დამიხედავს. მის ყდაზე გაუსაძლის, ცისფერ ელვებად იფეთქებს და იფეთქებს ხოლმე ჩემი მკვლელი სევდა. ამ დაკუნთულ, სლიკინა საძაგლობას, ამ გველს, რომელიც ჩემს უბედურ სულს ნთქავს, სულ სხვადასხვა სახელი ჰქვია: დედა, რომკა, ბასია, კაზიმირ მატვეევიჩი... და მთავარი, ცეცხლისმფრქვეველი, ჩემს ზედა მრისხანედ

აღმართული დანაშაული: ლიზა.

ზოგჯერ თავი ძალაგამოცლილი ლაოკოონი მგონია, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, თავად შეაჭმევინებს თავს საკუთარი სევდის გაუმაძღარ გველებს.

აი, ვზივარ ახლა პაწაწინა, ერთადერთი ცეცხლის ენის წინ და ერთ უცნაურ ადამიანზე ვფიქრობ საკუთარ თავზე. აღარაფერი მესმის ჩემი თავის. და არც არასდროს მესმოდა. და, რაც უფრო ვცდილობ რამეში გარკვევას, მით უფრო ვეფლობი ურთიერთგამომრიცხავ, არარაობა წვრილმანებში.

გუშინწინ დედა დავასაფლავე კეთილი, სუსტი, ძალიან ჩვეულებრივი, ძალიან უბედური დედა. მე ის მტკივნეულად და სიბრალულით მიყვარდა. რაღატომ ვფიქრობ ისევ და ისევ მამაზე? ისევ და ისევ... რატომაა, რომ ამ ორთაგან მხოლოდ ის, ტრაგიკული მასხარა იპყრობდა მუდამ ჩემს ფიქრებს? – განა ეს სამართლიანია? იმიტომ ხომ არა, რომ ის ისე შემოვიდა ჩემს თოჯინურ სამყაროში, როგორც დანა კარაქში და კვლავაც იქაა მთელი თავისი მანკიერებებით, ცბიერებით, უსირცხვილობით, ფანდებისა და ტრიუკების დაულეველი დივერტისმენტით და... ნათელ თვალებში მოულოდნელი სინაზის გაელვებით?..

უკვე ძალაგამოცლილი, ლოგინად ჩავარდნილი დედა გამომიტყდა, რომ ნანობდა საკუთარ დამყოლობას: მითხრა, არ

უნდა გამეშვი ხოლმე იუჟნიში მატვეევიჩთანო, არ უნდა მომეცა შენთვის ნება, ასე “მიწებებოდი” სათოჯინო საქმეს, ამდენად “ჩაკარგულიყავი” მასშიო.

რატომ-მეთქი? – ვკითხე და გაკვირვებული სახე მივიღე, თუმცა კი მშვენივრად ვიცოდი, ძაღლიშვილმა, რაც ჰქონდა მხედველობაში. იმიტომ, რომ, თქვა დედამ საბრალობელი და დამნაშავე ღიმილით, რადგან ერიდებოდა, თუნდაც სიკვდილის წინ რამე ისეთის თქმა ჩემთვის, რაც დამაღონებდა, – იმიტომ, რომ ტყის მეფემ წაგიყვანა შენ...

და კინაღამ ავქვითინდი მოწოლილი სიბრალულისგან მისი, ჩემი, დედაჩემის მთელი ჩავლილი, გადათელილი ცხოვრების სიბრალულით.

და აი, იმის მაგივრად, რომ დედის წინაშე ჩემი უსაშველო დანაშაულის გამო მეყმუვლა, ვზივარ სანთლის წინ და ვფიქრობ რომკაზე, მხოლოდ და მხოლოდ რომკაზე...

უცებ გამახსენდა, რომ მოფარფატე თოვლის ფიფქებს ის “მიტევებულ სულებს” უწოდებდა. აიო, ამბობდა, მიტევებული სულები მიფრინავენო... ბავშვობაში მეჩვენებოდა, რომ ის სამყაროს აგებულებაში რაღაც ისეთს ამჩნევდა, რასაც სხვები ვერ ხედავდნენ.

დედაჩემისა და ჩემ გარდა, არავინ იცოდა ამდენი რამ მისი ხელის შესახებ. ყოველ კვირას რომკა დედას ანდობდა მისთვის ფრჩხილების დაჭრას. ეს იყო ერთადერთი რამ, რაც თვითონ არ შეეძლო. სხვა

ყველაფერს სწრაფად და მოხერხებულად აკეთებდა. ახლა ერთი შემთხვევა გამახსენდა (აი, გველის კიდევ ერთი ნაკბენი): მამას ძალიან უყვარდა ხახვი. რა საჭმელიც უნდა ჰქონოდა, ხახვი ბლომად უნდა დებულიყო სუფრაზე: ზაფხულში მწვანე, და მთელი წელი თეთრი, ძველი. მისთვის ოთხად გავჭრიდი ხოლმე ხახვს, ეს ჩემი მოვალეობა იყო. ერთხელ ვიჩხუბეთ და ხახვის დაჭრა აღარ მთხოვა. მე მაგიდასთან ვიჯექი იქ, სადაც ახლა სანთლის ალს ვუზივარ, – და ნიშნისმოგებით ვადევნებდი თვალს, როგორ უმკლავდებოდა ამ საქმეს თავად. ვერ მიპატიებია საკუთარი თავისთვის! ის მაგიდის კიდესთან დადგა, “პატარა ხელით” მაგიდას დაეყრდნო და ხახვი დააკავა, მერე ხელი აიქნია და სამზარეულოს დანა დასცხო ხახვს. ხახვი იატაკზე გადახტა. რომკამ მოთმინებით მოძებნა და აიღო ის, საწყისი პოზა მიიღო და ისევ დასცხო... ასე ეომა ხახვს, სანამ არ გაჭრა.

ასე მგონია, რომ რცხვენოდა თავისი “პატარა ხელის”. ზაფხულობით იდაყვებამდე სახელოებიან მაისურებს იცვამდა ხოლმე, რომ ტაკვი დაემალა. ყველა ფოტოსურათზე ისე დგას თითქოს იდაყვს იფხანსო. ასე იფარებენ უკბილოები პირზე ხელს სიცილისას.

ბავშვობაში მიყვარდა “პატარა ხელის” შეხება: ის ყოველთვის ძალიან ცივი იყო ალბათ, არასაკმარისი სისხლმომარაგების გამო. რომკას მოსწონდა, რომ ვეხებოდი და

მეუბნებოდა: “გამითბე, გამითბე“. ოღონდ, მთლად წვეტზე ხელის შეხებას მიკრძალავდა, – ეტყობა, იქ ნერვული დაბოლოებები იყო. შემთხვევით თუ წამოვედებოდი, რომკა კრთებოდა, და “პატარა ხელი” რეფლექსურად მაღლა იწეოდა, შლაგბაუმივით.

მას ფანტომური ტკივილები სტანჯავდა... ღამღამობით თვალებს გავახელდი ხოლმე და კედელზე მის მობორიალე, დაკრუნჩხულ ჩრდილს ვხედავდი ეს ჩემი ბავშვობის თანმდევი სურათი იყო: ერთი კაცის ჩრდილის თეატრი უძინარი მთვარის ბადრაგქვეშ. ასეთ ღამეებს დილამდე წრიალში ატარებდა, ტაკვს უნანავებდა, ლამის სისხლს ადენდა იმდენი ფხანით. არ ვიცი, რომელი ეფხანებოდა, ცერი თუ ნეკი, – ორივე აღარარსებული. და მაშინ მხოლოდ არაყი შველოდა. დედა ბოთლს ამოაძვრენდა ხოლმე მორიგი სამალავიდან და საკუთარი ხელით უხსნიდა.

რომკაში რაღაც მომაკვდინებელი ზამბარა იყო ჩატენილი; ალკოჰოლის მიღებისთანავე მისი მოუხელთებელი ამოსკდომა გარშემომყოფებისთვის სახიფათო იყო და, ბოლოს და ბოლოს, თავად რომკა დაღუპა. დაუოკებელი მოჩხუბარი თავისიანებისთვის, უცხოებისთვის, სამართლიანობისთვის, მოხასიათებისთვის, – ის მომენტალურად ფეთქდებოდა და შეტევაზე გადადიოდა. რამდენჯერმე მინახავს მისი მუშტი-კრივი ეს ერთ-ერთი უძლიერესი სანახაობა იყო, რომლისთვისაც

კი ოდესმე თვალი მიდევნებია. მარცხენა ხელი ძალიან ძლიერი ჰქონდა როგორც ჩანს, მარჯვენას ძალაც მას გადაეცა, – მაგრამ ისიც კი, რაც მარჯვენა ხელისგან შემორჩენოდა, მარცხენაზე ნაკლებად როდი ჩხუბობდა. ეს იყო მკვეთრი, ზუსტი დარტყმების სერია, მოწინააღმდეგისათვის მოულოდნელი, რადგან ის ჯერ არ იყო მომწიფებული ჩხუბისთვის. რომკა გაცილებით სწრაფად მომწიფდებოდა ხოლმე, და ცდილობდა გაეოგნებინა, გაეთიშა მოწინააღმდეგე, აზრზე მოსვლის საშუალება არ მიეცა მისთვის. რამდენჯერმე მისი ჩხუბის გამო თვითმხილველების მიერ გამოძახებული მილიციაც მოსულა, მაგრამ, ჩვეულებრივ, რომკა არ მიჰყავდათ ხოლმე: მილიციელები ხედავდნენ ცალხელა, ჩხუბის მერე უკვე ჩამქრალ ინვალიდს, დამცინავად შესცქეროდნენ დაზარალებულს, და საფეთქელთან იტრიალებდნენ თითს. ისე, რომკას მილიციის დალილავებაც მშვენივრად შეეძლო.

მამის ჩხუბისთავობის წყალობით შედარებით უსაფრთხოდ ვიყავი სკოლაში (კარგა აბურდულ და ჭრელ ბრბოში ვსწავლობდი, ამასთან, გალეული ბავშვიც ვიყავი) – და იმავეს წყალობით ვაჩხუბებ ჩემს პეტრუშკებს ასეთი დაუნდობელი სიზუსტით.

ის ყოველთვის ახერხებდა ჩემს გაოცებას, ჩემს მონუსხვას რომელიმე ახალი ილეთით, თავგადასავალში ჩემს შეტყუებას, ისეთი

რამის ჩვენებას, რაც მე, ლაწირაკს, ადგილზე გამაშეშებდა ხოლმე გაოგნებისგან გულამოვარდნილს. ერთხელ, მისი და დედის ერთ-ერთი განსაკუთრებულად გააფთრებული ჩხუბის შემდეგ, როცა, როგორც ჩანს, ჩემი ჯიუტი წინააღმდეგობა და დედისადმი გამოსარჩლება იგრძნო, სკოლაში... ვერტმფრენით მოფრინდა. დაცვის სამსახურიდან რომელიღაც მეგობარი დაუთანხმებია და ასე, ელვათა გრუხუნითა და ნათებით მოგვევლინენ, ვითარცა ძველი აღთქმისეული უფალი-ყოვლისმპყრობელი. რამდენიმე წრე დაარტყეს სკოლის ეზოს, და იქვე, მეზობლად მოშიშვლებულ ადგილზე დაფრინდნენ. და როგორ, როგორ მივრბოდით ერთმანეთისკენ მე და რომკა! როგორ ბაგუნობდა ჩემი გული, და მისიც მის მკერდზე მიჭერილ ყურში ჩამესმოდა, – ისევე ძგერდა, როგორც ჩემი.

ის ფრენა ხმაურიანი “შვეულათი” (ეს იყო “ბებრუხანა” МИ-8), ხშირად მესიზმრება ძილში.

ჩვენ სანაპიროს გასწვრივ მივფრინავთ, და უცებ ჰაერში ისე ვეკიდებით, როგორც აკვარიუმში: ზემოდან თუთიის ღრუბელთა მძიმე საფარი გვადევს, მარცხნივ, ქვემოთ ზღვის მტკიცე, ზეთოვან-ქერცლოვანი ტყავი გადაჭიმულა, მარჯვნივ, ჰორიზონტამდე კი ნავთობგაყვანილობით დასერილი ფოთლოვანი ტაიგა. და, როცა მთის თავზე წრიულად ვუხვევთ, ზედ ჩვენ ქვემოთ ტყიანი ფერდობი მოჩანს, ვიწრო ჩასასვლელი მდინარისკენ და ვეება, ზემოდანაც კი ვეება,

ვერცხლისფრად წამოქოჩრილი ალვის ხეები...

...ცაში ცეცხლოვანი როზგების ცემის ხმამ გამომაღვიძა. თურმე სანთელთან ჩამძინებია, ისე, რომ ხელებზეც არ დამიდევს თავი... აი, ასე, მოტორტმანე, გაორმაგებულ ნათელს თვალმიშტერებულს და გამლღვარს ჩამძინებია და ამ ნათლიდან დედა გამოცურდა, უფრო სწორად, მისი ხმა... აშკარაა, რომ ქვეცნობიერი თუ რა ვიცი, რა მართავს ჩვენს სიზმრებს, – უფრო კეთილშობილია, უფრო თბილი და გულჩვილი, ვიდრე ფხიზელი ცნობიერება გულცივი ადამიანისა. აი, – თურმე ძილში ტირილი შემძლებია... და რაღაცნაირი, გამოთავისუფლებული ტანჯვით ვტირი, ბავშვური სლუკუნით. და თითქოს ჩემ ზურგს უკან დედა რაღაცას დიასახლისობს და თან თავისი ჩვეული ტონით მეუბნება: “შვილო, გაიქეცი ბაზარში, ალუბალი იყიდე. მე კი ცომს მოვზელ მანამდე”.

და მეც რკინიგზის სადგურისკენ გავიქეცი იქ, პატარა მოედანზე, ჩვენი ბაზარია შეჭუჭყნული. ღმერთო ჩემო, რამდენი გემრიელი რამ მიყიდია ბავშვობაში ამ ხიჭვებიან, ფიცრულ დახლებზე: ტკბილი, ჰაეროვანი ბრინჯის ნუგბარი, გასაწელი კანფეტის ჯოხები, “ჩალტოკის” პაწია რომბები კორეული სასუსნავი, გემოთი ირისს რომ წააგავდა.

და აი, სიზმარში თვალნათლივ დავინახე

გაფენილ გაზეთზე მდგარი ალუბლით სავსე ჭიქა. და გამახსენდა, რომ ეს ჭიქა ერთი რუბლი ღირს, და რომ მას დედაბერი ნასტია ყიდის, რუსეთის შუაწელიდან აქ გამოთხოვილი ქალი. ის დახელოვნებულად, ორი-სამი ძუნწი გადახვევით აკეთებდა გაზეთის პარკებს. მე სავსებით ნათლად დავინახე ქალი: მრგვალი სახე და ალუბალივით წითელი ხალი ნიკაპზე, თავიდან მხრებზე ჩამოცურებული რუხი ორენბურგული თავსაფარი, რბილი, მოცისფრო ჭაღარა თმა, თავს რომ ევლებოდა სიშავემდე ჩაწითლებულ-ჩამწიფებული, მწვანეყუნწებიანი ალუბლის გორაკს. დახლის შუაგულში კი, გაშლილ-გაფენილ გაზეთზე ჩვეულებრივი მინის თლილი ჭიქა დგას, – ჭიქა, რომელსაც ადგილობრივი ლოთები ხშირად თხოულობდნენ ხოლმე მისგან, – და ჭიქა ალუბლითაა სავსე.

და ჭექა-ქუხილმა გამაღვიძა: აღარც დედაა, აღარც ალუბალი, აღარც დედაბერი ნასტია... აღარც ჩემი მოხუცი კაზიმირ მატვეევიჩი, რომელზეც ასე ნაწყენი იყო დედა და რომელმაც თავისი ცხოვრებისეული სიმწარეებისთვის ძალიან იოლი და თოჯინური სიკვდილი მიიღო ჯილდოდ: სეზონის ბოლო სპექტაკლი ჩაატარა, და პირქვე დავარდა კულისებში, ზუსტად ისე, როგორც მეთოჯინის ხელიდან გავარდნილი მარიონეტი ეცემა იატაკზე... მას არც კი დაურტყამს რამე თუმცა რომც დაერტყა, ვეღარ იგრძნობდა: ის დაეცა “ალისფერი

ყვავილის” ურჩხულის უზარმაზარ ბამბის კუზზე, რომელიც ეშვებიან ნიღაბთან ერთად წამოეცვათ მისთვის. (“აი, როგორ ამოწმებს ოსტატი, პიოტრეკ, გამოუვიდა თუ არა თოჯინა: თოჯინას მაგიდაზე ვაგდებთ, და იმის მიხედვით, თუ როგორ დაეცა იგი, განვსაზღვრავთ ცხოვრობს თუ არა თოჯინა თავისი ცხოვრებით, აღძრავს თუ არა იგი თავისი იერით რაღაც ფიქრებს, აზრებს. აი, როგორც პეტრონიუსის “სატირიკონშია”: მაგიდაზე დაგდებული თოჯინა მეინახეთა შორის სიკვდილსა და სიცოცხლეზე საუბარს აღძრავს...”)

ჩემი მოხუცი, სხვათა შორის, თავის საქმეში უგანათლებულესი ადამიანი იყო ამას პიტერში მივხვდი, ჩვენი ლექტორების მოსმენისას. გეფიცები, იმჟამად ჩემთვის ეს ლექციები არანაირ სიახლეს აღარ წარმოადგენდა. იმიტომ, რომ არ არსებობდა სათოჯინო თემა, რომელიც მე და კაზიმირ მატვეევიჩს არ განგვეხილა მთელ იმ წლებში.

იცი, მას რაღაცნაირი, სევდიანი, უკანასკნელი სიყვარულით ვუყვარდი... სიყვარულით, რომელიც არ გამოადგა თავისი დაღუპული ოჯახისთვის. თოჯინათა გულმოწყალე ღმერთმა სიბერეში მას ჩემი თავი აჩუქა, მე კი შესაბამისად მისი. მომიყოლია ოდესმე შენთვის, პირველად როგორ გამიყვანა თეჯირზე?

მე ჩემი პირველი ლვოვური ზაფხულიდან დავბრუნდი მაშინ, სავსებით

დარეტიანებული პაწია ლიზათი. მე, ალბათ, საერთოდ, – ბარაქიანი მასალა ვარ ნებისმიერი ფსიქოპათოლოგისთვის, მაგრამ ბავშვობაში ჩემი უცნაურობები განსაკუთრებულად იბუჩქებოდნენ რაღაც ვეება, მეოცნებე ეკალ-ბარდებად (ისეთებად, სხვათა შორის, უხვად რომ ხარობს აქ, და ადგილობრივი მოსახლეობა მისგან გემრიელ სალათს რომ ამზადებს).

ლვოვიდან დაბრუნებული მძიმე მდგომარეობაში ვიყავი: უძილობა დამჩემდა და, პრაქტიკულად, აღარ ვჭამდი საჭმელს, და წყნარ პანიკაში წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ ტოვებს მორიგი ძიძა ლიზას მარტოს, საბავშვო ეტლში მწოლიარეს სადღაც მაღაზიაში, ქუჩაში ან პარკში და როგორ მოდის ვიღაც ჩამოკონკილი, კუზიანი, ფართხუნა და... როგორ იწვდის ლიზასკენ ვეება, დაგრეხილ-დაჩონჩხილ თათებს... მოგვიანებით ვცადე გამერკვია რა იყო ეს, რა დამემართა რვა წლის ასაკში? რა სახელი მეწოდებინა აღტაცებისა და სევდის ამ მწველი ნაზავისთვის: აღფრთოვანება მთავარი მეთოჯინის ქმნილებით, თუ სევდა იმის გამო, რომ არ შემეძლო თვალმოუშორებლად მისი ცქერა?.. რა უნდა ეწოდოს ასეთ დაუოკებელ მისწრაფებას უაზრო და უსიტყვო ჩვილისადმი, რომელსაც ჯერ საპასუხო გრძნობის გამოვლენაც არ შეუძლია? და იცი, ვერ მომიფიქრებია იმაზე უფრო დამაჯერებელი და სანუგეშო სიტყვა, ვიდრე სიყვარული. და ყველას, ვინც ეცდება რაღაც სხვა კომპლექსი ან კიდევ

უარესი რამ ამკიდოს, უბრალოდ, ზიზღით შევაქცევ ზურგს.

ყოველდღე, გაკვეთილების შემდეგ, ხის მოყანყალებულ ვიადუკზე ავრბოდი, რომელიც ქვედა ქალაქს ზედასთან აკავშირებდა. როცა მის ქვეშ სარკინიგზო შემადგენლობები გადიოდნენ, ვიადუკს მტანჯველი, ლამის ადამიანური კონვულსიები აძაგძაგებდა.

იქ, გორაკზე, საიდანაც მთელი ყურე მოჩანდა, დაბრმავებულ, უსინათლო საზღვაო შუქურასავით იდგა ყველასგან მივიწყებული სააფიშე ბოძი, და ქარი წყნარად აშრიალებდა ხოლმე ზედ შერჩენილ სანახევროდ დამპალ ქაღალდის ნაფლეთებს...

საათობით ვიდექი იქ და არავინ უწყის, რის მოლოდინში გავცქეროდი სამყაროს ცისფერ სიცარიელეს. სამყარო ჩემსა და ჩემს კერპს შორის ჩაწოლილ უკაცურ უფსკრულად მეჩვენებოდა... ჩემსა და მას შორის, ვისი ხვეული თმაც ისეთი მოზარზეიმე ფერისა იყო, რომ დავხუჭავდი თუ არა თვალს, უხმო სალუტად ფეთქდებოდა და ნაპერწკალთა კორიანტელით ანათებდა სიბნელეს... ამასთან, ფრთაგაშლილი ფრინველივით კვლავ განაგრძობდა ფრენას და ვერა და ვერ ჩამქრალიყო ჩემს მეხსიერებაში მისი პატარა გოგოსავით მინიატიურული დედა, ასე მიზანსწრაფულად რომ გადაეშვა ფანჯრის რაფიდან ცაში. მე თვითონაც ღმერთო, მომიტევე! – ახლოს ვიყავი იმ აზრთან, რომ პირდაპირ ცაში

გადავმხტარიყავი, თუნდაც, ხის ვიადუკიდან...

ახლა მსგავს მდგომარეობას შენ დეპრესიას უწოდებდი და აბებს გამომიწერდი. მაშინ კი არავის მოსვლია აზრად ჩემი ექიმთან წაყვანა. უბრალოდ, მე, როგორც დედა ამბობდა, “რაღაცნაირი, ცოცხალმკვდარი” ვიყავი. აი, კაზიმირ მატვეევიჩი კი მან თავისი მრავლისმომსწრე გულით, პირველივე შაბათს, მასთან რომ ჩავედი, – მყისვე იგუმანა რაღაც უბედურება.

– შვილო... – მკითხა მან, თან ყურადღებით მაკვირდებოდა, – რაღაც ძალიან წყნარი მეჩვენები. რამ დაგთრგუნა? იქ რა, ვინმეს შეხვდი?

მე თავი ჯერ დავუქნიე, მერე ჩავღუნე.

– გოგონა. – თქვა მოხუცმა.

და მე ისევ დავუქნიე თავი.

– და რა, ისიც გამოგიტყდა?

– ა-არა... ის... – ამოვილუღლუღე, – ის... იმას... ლაპარაკი არ შეუძლია.

– დედაო ღვთისა! მუნჯია?!

– ა-არა... ის... ის ძალიან პატარაა, – ამოვთქვი ძლივს, – ის... თოჯინასავით პატარაა.

და ავქვითინდი.

მოხუცმა მაგრად ჩამიხუტა გულში, და მე მის მკლავებში ვძაგძაგებდი, ვტიროდი დიდხანს, ტკბილად, საკურნებლად (კაზიმირ მატვეევიჩს პერანგის გამოცვლაც კი

დასჭირდა), – ისე, რომ ჩემგან მთელი სევდა გადმოდინდა, გადმოიღვარა.

მოხუცმა გადაჭრით გამომიცხადა, რომ სლუკუნისა და ცრემლების ღვრის დრო არაა, რადგან ტირილი კი არა, არამედ “მომავალი ზაფხულისთვის” ფულის შოვნაა საჭირო. ასე იქცევა ყველა კაცური კაცი, თქვა მან. – ფულის შოვნა, – ეს მამაკაცური ამოცანაა, და ფული იმით უნდა იშოვო, რისი კეთებაც შეგიძლია. შენ, პიოტრეკ, თქვა მან, ჩემი ასისტენტი იქნები.

და პირველივე საშემოდგომო არდადეგებზე კუნძულზე ერთკვირიან გასტროლზე წამიყვანა.

ჩვენ გამოვდიოდით კორსაკოვში, ალექსანდროვსკში, ნეველსკსა და ხოლმსკში. პიონერთა სასახლეებში, სკოლებსა და საბავშვო ბაღებში... მისი მხრიდან ეს სულაც არ იყო ქველმოქმედება. მან მუშურ არტელში მიმიღო, და წინასწარ მომელაპარაკა ჩემი მოვალეობებისა და ჩემი გასამრჯელოს თაობაზე. ჩვენ არტელის თანასწორუფლებიანი წევრები ვიყავით მე და ის. მე გაშმაგებულად ვმუშაობდი: რეკვიზიტებიან ჩანთას დავათრევდი, თეჯირს ვშლიდი, ფარდას ვამაგრებდი, თოჯინებს ვამზადებდი წარმოდგენისთვის; ვათამაშებდი კიდეც ზოგ მათგანს!

მოკლედ, არდადეგებზე დიდი ფული გამოვიმუშავე ოცდათხუთმეტი მანეთი; ფული ყველაზე მიუგნებელ ადგილზე

დავმალეთ: ხაბალკას შლიაპაში. ახლა მისი საძაგელი გარეგნობა ამაღლებული საიდუმლოს კეთილშობილებით აღსავსედ მეჩვენებოდა...

სწორედ მაშინ, ჩემს ცხოვრებაში პირველი გასტროლის დროს, მოხუცმა მუცლითმეზღაპრეობის ფოკუსი მანახვა. ის ამას "მუცლის ხმას" უწოდებდა. ჩვენ ალექსანდროვსკის სასტუმროში ვათევდით ღამეს, თუმცა კი, ზოგადად, ნაცნობებთან დაბინავებას ვამჯობინებდით ხოლმე უფრო ეკონომიური იყო. მაგრამ ალექსანდროვსკში კაზიმირ მატვეევიჩს კარგი ნაცნობ-მეგობარი არავინ აღმოაჩნდა, ასე რომ, იძულებულები გავხდით ოთხადგილიან ნომერში ორი ადგილის საფასური გაგვემეტებინა. და გაგვიმართლა, რადგან ის ორი, მივლინებით ჩამოსული ბინადარი ჩვენი შესახლებისთანავე თავ-თავისი გზით გაემგზავრა და ჩვენ სწორედ რომ სამოთხეში აღმოვჩნდით: აღარც მთვრალების ყაყანი, აღარც აქოთებული წინდების სუნი, აღარც მთელი ღამე რაღაც ხელშეკრულებებზე, განყოფილებებზე, მიწერებსა და წუნის დადებაზე საუბრები...

კაზიმირ მატვეევიჩმა ვახშამი მოამზადა ჩვენ თან დავატარებდით მადუღარასა და პაწია ქვაბს. ადმინისტრაციის აკრძალვების მიუხედავად, მაინც ვახერხებდით ნომერში კარტოფილისა და კვერცხის მოხარშვას. ჩვენი მთავარი დევიზი ხომ "ყველაფერზე ეკონომიის გაწევა!" იყო.

როცა უკვე შუქი ჩავაქრეთ და დავწექით, და

ჩემმა მოხუცმა ჯერ თავისებურად წამოუხვრინა მთელი ქუჩის გასაგონად, მერე კი წყნარად, უსაწვავო ძრავასავით აღუღუნდა, უცებ, ვიღაც უცხოს ბლუკუნა, მიწისქვეშა ხმა გაისმა ბნელში, რომელმაც ზედ ყურთან ჩამილაპარაკა: “არ ვარ ბიჭი მდიდარიო, ჩემი ცხვირი დიდ არიო, მეძახიან ცხვირასაო, ხანაც წითელცხვირასაო”.

მე საბრალობელი კივილით წამოვხტი და დენის ჩამრთველს ვეცი. და, როცა ოთახი ბუზებშემოწებებული სასტუმროს ჭაღის ობოლმა შუქმა გაანათა, დავინახე, რომ მოხუცი საწოლზე წამომჯდარიყო და იცინოდა. და იგივე ხმა, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონდა ჩვენ ორთან, საიდანღაც, ფანჯრის... არა, კარის მხრიდან... არა, ჭერიდან... განაგრძობდა: “სამ დღეს ვიბერე, ვიბერე, მერე ცეკვისთვის ვემზადე: ფეხსაცმელები ჩავიცვი, ქუდიც დავიმხე ფრთიანი, უცებ გავუშვი შარვალში ქარები ბარაქიანი!”

– ვინ არის? სად არის? – გავიძახოდი და ბზრიალასავით ვტრიალებდი.

კაზიმირ მატვეევიჩმა კი თქვა:

– წყნარად, წყნარად, პიოტრეკ. თორემ მილიცია მოირბენს. ეს მასხარა ცხვირა-წითელცხვირაა. რუსული პეტრუშკას პაპის-პაპის-პაპა. ნუ ეძებ, ნუ ეძებ... არც საწოლქვეშაა. არ გესმის? – არაა-მეთქი; ის მე-18 საუკუნეში ცხოვრობდა. რუსთა დედოფლის, ანნა იოანნოვნას მასხარა იყო. არ გჯერა? არ გეხუმრები. იტალიური

კომედია დელ-არტეს დასში არის ასეთი პერსონაჟი, პეტრილო. პიეტრო მირო იოზეფ რეგალსკი... გაუსაძლისი გაიძვერა იყო: ხან მეფუნდუკე გახლდა, ხან მევახშე, ხან მასხარა... ხოლო ის, რაც შენ გაიგონე, არის ვენტროლოგია, მუცლით-მეტყველება. მუცლით, და არა სალაპარაკო იოგებით ლაპარაკი. ეს ძალიან ფაქიზი ხელოვნებაა, ქურუმების, ჯადოქრების ხელობა, – მათი, ვისაც ადამიანთა შეშინება და მათი მორჩილება სჭირდება. ჯადოსანმა ენდორამ სწორედ ასე უწინასწარმეტყველა დაღუპვა ებრაელთა მეფე საულს. ენდორა მუცლით ლაპარაკობდა, მეფეს კი ეგონა, რომ მიწისქვეშეთის სული წინასწარმეტყველებდა. დაუჯერა. და ფილისტიმელებთან ბრძოლაში დაიღუპა. ამიტომ, ამით თამაში არ შეიძლება, სახიფათოა! მოდი, მოდი აქ... სწორად დადექი. მე მიყურე... ჩვენ შიგნით რა არის? ბე-ევრი რამ. აი, აქ, სახმო იოგებია, აქ ტრაქეა, საყლაპავი... მერე კუჭია. საყლაპავსა და კუჭს შორის პატარა, ბეჭედივით წრეა... ეს დაიმახსოვრე, გამოგადგება...

მე მის წინ ვიდექი გალეული ჯარისკაცივით, ტრუსი და მაისური მეცვა, ის მატრიალებდა, ცერს ხან ყელზე დამაჭერდა, ხან დიაფრაგმაზე, ხან კუჭზე, თან შინაგანი ორგანოების რბილი მუსკულატურის საშუალებით ხმის გამოცემის კანონებს მიხსნიდა. ჩაისუნთქეო, მეუბნებოდა, მუცლის

კუნთები დაჭიმე და სუნთქვა შეიკავე... ახლა კი ამოისუნთქე... და მეც ვიკავებდი სუნთქვას, მუცელს ვჭიმავდი, პირით და ცხვირით ამოვისუნთქავდი, და მეტისმეტი გულმოდგინებისგან, მგონი, მუცლის ქარიც კი გამეპარა ერთხელ.

ცხადია, არაფერი გამომდიოდა. არაფერი, წრიპინისა და ღმუილის გარდა, ჩემგან არ ამოქროდა, მაგრამ უკვე ვოცნებობდი, თუ როგორ ავლაპარაკდებოდი დედის წინაშე ასეთივე საძაგელი, გულ-გვამური ხმით და როგორ შეეშინდებოდა მას ჯერ, მერე კი როგორ დასცხებდა ტაშს და აკისკისდებოდა...

...გუშინწინ ყველა ჩემი მიცვალებულის საფლავი შემოვიარე. აქაური სასაფლაო მაღალ გორაზეა, ზღვის ნაპირას. სვიფტის მფრინავი კუნძულები გახსოვს? ბავშვობაში, ეს წიგნი რომ წავიკითხე, თვალწინ ჩვენი სასაფლაო წარმომიდგა: ყოველთვის მეჩვენებოდა, რომ ღამღამობით ის ცაში იჭრებოდა და დილამდე დაფრინავდა იქ. შესაძლოა იმიტომ, რომ ძეგლების, ჯვრებისა და პატარა პირამიდების თავზე ღრუბლები განსაკუთრებული მიზანსწრაფულობით მიცურავენ ხოლმე.

ქარბუქი უკვე იწყებოდა: ზღვიდან მომსკდარ გრილ ქარზე თოვლი რბილად ეწებებოდა სამოსს, მის ნაოჭებში გროვდებოდა, სახეს ადნებოდა... ბავშვობაში სწორედ გრილ ქარზე დამდნარი თოვლის სურნელი იყო ჩემთვის ქარბუქის სურნელი. და აი, როცა კაზიმირ მატვეევიჩის გაახლებულ ფოტოს ჯიუტი სახრახნისით ქარებისგან გადახეხილ

გრანიტის ფილას ვამაგრებდი, ვფიქრობდი, – რა კარგია აქ, რა სიამეა აქ წოლა. ამქვეყნად ბევრი ადგილი არაა, სადაც ადამიანთა სულები ასე ლაღად ინავარდებენ მძიმე წყლის თავზე.

მე ხომ გარდაცვლილთა სულებიც გამჭვირვალე თოჯინებად წარმომიდგენია, რომელნიც უზენაესმა კვლავ იხმო თავის სამსახურში. თვალნათლივ ვხედავ, როგორ მიქრის თავის თოჯინათა ამალით გარშემორტყმული ჩემი მოხუცი ზევით. თუმცა, ვტყუი: თავისი თოჯინები მან თეატრს უანდერძა: მხოლოდ ხაბალკა მოგზაურობს ჩემთან ერთად ყველგან.

სხვათა შორის, იცი, ვინ დამალა კაზიმირ მატვეევიჩის თოჯინები, როცა ის დააპატიმრეს, და ვინ ინახავდა მათ, სანამ ის იჯდა, და მერე ვინ გადაუგზავნა მას ისინი ამანათებით სახალინზე? ჩემმა ბასიამ, ჩემმა საყვარელმა ბასიამ. აი ჩემი კიდევ ერთი სევდა.

ბასიამ, წყნარად რომ ქრებოდა საავადმყოფოს საწოლზე მწოლიარე; ბასიამ, რომელიც ბრაზობდა, მის სანახავად რომ ჩავფრინდებოდი ხოლმე ("ნე ტრაჩ ნა მნე ჩასუ ი პენიონზი, პიოტრუსიუ, ბო ესტეს ტაკი ბედნი ი ტაკი ბარდზო ზაენტი!"

) – სწორედ ბასიამ გადაგვარჩინა მე და ლიზა, იმ ერთადერთი ფრაზით, განაცრისფრებული, თითქმის მკვდარი ტუჩებით რომ წარმოთქვა, როცა უკვე აღარ ეშინოდა, რომ გაჭორავდა,

ცილს დასწამებდა ვინმეს, როცა აღარაფრის ეშინოდა უკვე, – სიკვდილისაც კი.

სიკვდილთან მას თავისებური ურთიერთობა ჰქონდა.

ერთხელ ბასიამ ერთი ისტორია მიამბო, რომელსაც მერე აღარასდროს მიბრუნებია, მიუხედავად იმისა, რომ ხვიარასავით ავეტმასნებოდი ხოლმე და შეკითხვებით გასაქანს აღარ ვაძლევდი: მე ხომ ნებისმიერ სიუჟეტში დეტალები მაინტერესებდა ყოველთვის. ბასიას მონათხრობმა ისე მომხიბლა, იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ კარგა ხანს დაძინების მეშინოდა, და ბასია აუცილებლად გვერდით უნდა მჯდომოდა, ენა რატომ არ გამიხმაო, – ებუტბუტა, ჩემი ხელი უნდა სჭეროდა ხელში და რაღაც სულელური, თავისი ახალგაზრდობისდროინდელი სიმღერები უნდა ეღიღინა რათა ჩემი ყურადღება ამ ამბიდან სხვა რამეზე გადაეტანა.

ამბავი კი ასეთი იყო: ომი, ლვოვი გერმანელებს აქვთ ოკუპირებული, და ის, ბასია, თაღქვეშ დგას, გარეთ იმისთვის გამოვიდა, რომ შეეხედა იწვიმებდა თუ არა. ანუ, – სხვენში გაეფინა სარეცხი თუ აივანზე? და უცებ ხედავს, რომ ქუჩის ბოლოდან მისკენ ასე, ხუთი-ექვსი წლის სრულიად შიშველი ბიჭუნა მორბის... ბასია ამბობდა, თვალებიც კი დავხუჭე, – არ დავიჯერე, რომ სიზმარი არ იყოო. მაგრამ მერე თვალების გახელა დასჭირდა, რადგან ბიჭმა მასთან მიირბინა და შეევედრა, დამმალეო. და ბასიას ძალიან შეეშინდა. შეეშინდა ბავშვის თავისთან

დამალვა; ისეთი ზაფრა დამეცაო, ჰყვებოდა, ისეთი შიშის ზარიო... ლამის გული გამეყინაო! და მან ბიჭუნას ურჩია, იქვე, კანალიზაციის ჭაში დამალულიყო, და თვითონაც კი მიეხმარა ჭის სახურავის აღებასა და შიგ ჩაძრომაში. ძლივს მოასწრო ისევ თაღქვეშ დადგომა და ხედავს: ლიჩაკოვსკიდან ორნი მორბიან.

მოირბინეს და ეკითხებიან: “დედილო, ბავშვი სადაა?” მან კი, შიშით აკანკალებულმა, ხელი გაიქნია, ანუ, იქით გაიქცაო... ერთი ათი წუთი კიდევ იდგა იქ, დაელოდა, სანამ ის ორნი თვალს მიეფარებოდნენ, მერე კიდევ ხუთი წუთიც მოიცადა, – ვაითუ ისევ მობრუნდნენო... ბოლოს, მივიდა და ჭის სახურავი გადასწია...

მერე სულ ტიროდა და იმეორებდა: “გჯერა, რომ მხოლოდ ოცი წუთი გავიდა? სულ რაღაც საცოდავი ოცი წუთი! გჯერა ჩემი?” და ჰყვებოდა, რომ სანამ იდგა და იცდიდა, ის ორნი თვალს მიფარებოდნენ, უკვე მოიფიქრა კიდეც, სად წაიყვანდა ბიჭუნას, და რას ჩააცმევდა, და ასე შემდეგ... მოკლედ: ჭის სახურავი რომ გადასწია, ვირთხების მიერ დაღრღნილი ბავშვის გვამი დაინახა. “ებრაელი იყო”... – დამიზუსტა.

მაშინ ჰოლოკოსტის შესახებ არაფერი ვიცოდი და ძარღვებში სისხლი გამეყინა თავზარდაცემისაგან. და დიდხანს, დიდხანს მომდევდა და მეწეოდა სიზმრებში შიშველი ბიჭუნა და მევედრებოდა დამმალეო. მერე, მოგვიანებით, ბასიას მონათხრობმა უფრო

ჭეშმარიტი, უფრო შემზარავი აზრი შეიძინა. უკვე ყმაწვილკაცობაში, იცი, ლვოვის თაღებქვეშ და ბნელ კუთხე-კუნჭულებში სეირნობისას, ზოგჯერ შევჩერდებოდი ხოლმე, რომელიღაც სხვენის ფანჯარას, ან რომელიღაც აქოთებული ნახევარსარდაფის ობობის ქსელით გადაბლანდულ სარკმელს გავუშტერებდი თვალს და ვფიქრობდი, რომ აი, აქ შეიძლებოდა მისი დამალვა... მისი... მათი... ბევრის, თუკი მოინდომებდი...

ჩემი აზრით, ამ გაუბედავი ქალის ცნობიერებაში, სამყაროს თაობაზე მის წარმოდგენაში რაღაც საზარელი გარდატეხა მოხდა, რაკი მან იმდენად დასძლია საკუთარი შიში, რომ გაუგონარი, წარმოუდგენელი რაღაცების კეთება დაიწყო. მხედველობაში მაქვს ბავშვთა გადარჩენის საქმეში ბასიას გმირული მოღვაწეობა, რის შესახებაც მისგან კი არა, არამედ დედაჩემისგან შევიტყვე ყველაფერი, თანაც მრავალი წლის შემდეგ.

სამწუხაროდ, ახლა უკვე შეუძლებელია დეტალების გარკვევა მაგალითად, იმის, თუ როგორ დაუკავშირდა ბასია მიტროპოლიტ შეპტიცკის. მაგრამ ვვარაუდობ, რომ ეს იმავე ტილოსა და სელის გახამებული კავშირებით მოხდა, – ბასია ხომ უამრავ ადამიანს ურეცხავდა სარეცხს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ბასია გაენდო, ბაბუაჩემი იყო; იმან ბასიას ეშმაკური, ვითომდა სარეცხის სატარებელი ბორბლებიანი ურიკა დაუმზადა. ურიკის ძირქვეშ კიდევ მეორე ძირი, მეორე ფსკერი

იყო, სადაც ბავშვს შეეძლო დამალვა. აი, ასეთი პანდორას ყუთი იყო, ილუზიონისტის ურიკა. სწორედ ამ ურიკით გამოჰყავდა ბასიას გეტოდან ებრაელი ბავშვები და ანდრეი შეპტიცკისთან მიჰყავდა, – საუცხოო ფოკუსი იყო, რის გამოც დაუფიქრებლად ჩამოახრჩობდნენ, – ის კი მონასტრებში ანაწილებდა მათ.

ოდესმე გინახავს ამ ადამიანის ფოტოსურათი? ბასიას კომოდზე ედგა ეს ფოტო. დაუვიწყარი გარეგნობის კაცი იყო: ვეება ჭაღარა არწივი ინვალიდის ეტლში: თეთრი ფაფარი, თეთრი წვერი. ტრაგიკული პიროვნება იყო, სხვათა შორის: ის ხომ სიხარულით შეეგება ხელისუფლებაში მოსულ ჰიტლერს, – მოეჩვენა, რომ ბოლშევიკებისაგან მხსნელი მოევლინა. მაგრამ როცა ებრაელთა მასობრივი მკვლელობები დაიწყო, შეპტიცკი მიხვდა, რა მონსტრსაც უგალობა ოსანა: და როგორც ჩანს, ამან გადატრიალება მოახდინა მის ცნობიერებაში. მან ბლომად ხალხი გადაარჩინა იმით, რომ მონასტრებში ან წმ. იურის ტაძარში მალავდა ადამიანებს...

მაგრამ მე, კაცმა რომ თქვას, მასზე არ გიამბობ. ბასიაზე გიყვებოდი. გეუბნები მან ჩვენც გადაგვარჩინა. ერთადერთი ფრაზით გამომაფხიზლა, შემაჯანჯღარა, მაიძულა მეხსნა ლიზა თავისი სახლის ბინძური გეტოდან.

ბორკა, შენ ხომ იცნობდი ლიზას მამას?

ტადეუშ ვილკოვსკის ვინ არ იცნობდა! ის, ალბათ, ყველაზე ცნობილი ადვოკატი იყო ლვოვში სისხლის სამართლის საქმეების განხრით, ადვოკატთა კოლეგიის წევრიც იყო. ბასიას მიერ უზადოდ გაუთოებულ პერანგებში გამოწყობილი ზრდილი, გონებამახვილი ბატონი ბრძანდებოდა. საუცხოო მთხრობელი იყო. ოდნავ შესამჩნევი პოლონური აქცენტით ლაპარაკობდა, საუბარში ხშირად ურთავდა ლათინურ ფრაზებს, და არც მათი თარგმნა ავიწყდებოდა. ზოგი რამ მეც კი მახსოვს: “Ubi uber, ibi tuber” – “სადაც ფუფუნებაა, მანკიერებაც იქაა”...

რაც შეეხება მანკიერებას ვილკოვსკი გაჟღენთილი იყო მანკიერებით, როგორც რომიანი კექსი რომით. და მე თვითონ, უფრო გამოცდილი რომ ვყოფილიყავი ამ განხრით... გესმის? – მე თვითონ, ის რომ არ ვყოფილიყავი, ვინც ვიყავი, და ვინც ახლაც ვარ, არამედ ნორმალური მოწიფული მამაკაცი რომ ვყოფილიყავი, ათიოდე ბოზთან მაინც ნაწოლი, – ცოტა ადრე ვიყნოსავდი იმ სიმყრალეს... გაცილებით ადრე. ბასიას დაუხმარებლად.

მაშინ კი, უბრალოდ, მიწისქვეშეთელებში გავამწესე ის აზრობრივად...

შენ ხომ იცი ჩემი უცნაურობები. ბავშვობიდან შემეძლო ამ ჯიშის ამოცნობა... სიტყვა “ადამიანების” წარმოთქმა არც კი შემიძლია. ესენი რაღაც ტროლები არიან, მიწისქვეშეთის ხალხი, ადამიანური ცხოვრების კვლევის ცნობისწადილით არიან

აღსავსენი. და თუ მიეცათ ადამიანში პაწია ხვრელის გაბურღვის, შიგ შეჭვრეტისა და წკირით ან ბალახის ღეროთი მოღუტუნების, ან უფრო ღრმად იმ წკირის ჩასობის შანსი, რათა ჭრილობა გააღრმავონ, ან სულაც ჩააფურთხონ ამ სანუკვარ იარაში, ისე, რომ ადამიანს ნაწლავები გადაეხლართოს, – არასდროს გაუშვებენ ხელიდან ამ შესაძლებლობას.

სიკეთესა და ბოროტებაზე არ გესაუბრები ახლა, რადგან ეს არსებები თავისთავად სულ სხვა შედგენილობისანი არიან და სულ სხვა კატეგორიებით განსაზღვრავენ გარესამყაროს. აი, შენ იცი, რომ ვაშლი, რომელიც დახლზე დევს იყიდება, ფული ღირს, და თუ ეს ფული არ გაქვს, ვაშლის აღება არ შეიძლება. ამას გარდა, შენ იცი, რომ ვაშლის პატრონს მისი გაყიდვა სურს, ფულის აღება და მონაგებით დაბრუნება შინ, თავისი პატარებისთვის საჩუქრების ყიდვა... ესენი კი, მიწისქვეშეთელები, მხოლოდ იმას ფიქრობენ, რა დაბრაწული და რა გამჭვირვალეკანა ვაშლია, და ნეტავ მომჟავო გემო თუ დაჰკრავს, თუ ისეთი ტკბილია, რომ მისი წვენი სასიამოვნოდ ერევა პირში ნერწყვს... ამაში ახალი არაფერია. ეს ბიბლიური არაკია გლახაკისა და მისი ცხვრის შესახებ არაკი, რომელსაც არასდროს შეუძრავს არც ერთი მიწისქვეშელი.

მე ლიზას მამასთან იმთავითვე დაძაბული ურთიერთობა მქონდა. ბავშვობაში, ფეხებში თუ მოვებლანდებოდი, ისე მიშორებდა,

როგორც მაწანწალა ძაღლს. ერთხელ ცამეტი წლის ვიქნებოდი მაშინ ქოლგითაც კი მცემა. მან შინიდან გასვლა დააგვიანა, მე კი, იმის იმედით, რომ უკვე წასული იქნებოდა, ცოტა ადრიანად მივედი. ჰოდა, თაღქვეშ შევეჩეხეთ ერთმანეთს.

ერთ დროს შეყვარებული ვიყავი მათ სახლზე, მოხიბლული ვიყავი მისით... იქ უამრავი ძველებური “თოჯინური” რამ იყო, და თითოეული მათგანით სპექტაკლის დადგმა, ასობით პიესის მოფიქრება შეიძლებოდა. თეატრი, როგორც მისი წესი და რიგია... წინკარიდან და საკიდიდან იწყებოდა. იქ იდგა ბრინჯაოს ფავნი, რომელსაც თავზე განიერი სინი შემოედო. სინზე ქუდებსა და შარფებს დებდნენ. კუთხეში ბრინჯაოსვე ქალწული იდგა, რომელსაც თავზემოთ, მაღლა აწეული ხელებით ეჭირა სავსე მთვარე დაბურული მინის ლამპა, ქარვისფერ შუქს რომ ჰფენდა იქაურობას. ლამპის შუქზე ბრინჯაოს ორი მოშიშვლებული ძუძუ ელავდა, უზადოდ გაპრიალებული კერტები ცეცხლოვან ფერად რომ უბრწყინავდა. ნაზი ათინათებით კრთოდა ქალწულის ქიტონის რბილი, ბრინჯაოს ნაოჭები და შიშველ მხარზე ჩამოყრილი ბრინჯაოს სამი კულული.

სასტუმრო ოთახში, წიგნების კარადის გვერდით, იდგა ჭადრაკის მაგიდა, რომელიც იმავე წითელი ხისგან იყო დამზადებული, რისგანაც წიგნების კარადა და ჭადრაკის დაფისებურად იყო გაწყობილი სპილოს

ძვლით.

არ ვიცი, ვინ თამაშობდა იმ ოჯახში ჭადრაკს... იერიშზე გადასვლის მზადყოფნაში გამწკრივებულიყო შავი და თეთრი ლაშქარი. თეთრი სპილოს ძვლისა, შავი კი, უფრო სწორად, შინდისფერი ხისგან ნაკვეთი. მაგრამ დამატყვევებლად მშვენიერი თავად ჭადრაკი კი არ იყო, არამედ მაღალი ლამპა, რომელიც თითქოს ამოზრდილიყო მაგიდიდან. მის ფეხს პაწია კიბე ისე შემოვლებოდა, როგორც გველი ედემის ხეს! და უნდა გენახათ, რა მოზეიმე ათინათებით ელვარებდნენ კიბის მოაჯირზე ბრინჯაოს პაწაწინა ბურთულები, როცა ლამპას აანთებდნენ ხოლმე!

ამ კიბეზე თამაშდებოდა ჩემი საუკეთესო პიესები.

იცი, ვის უყვარდა ჩემი პიესები ყველაზე მეტად? მოუქნელ და უქნარა ევას, ლიზას ძიძას, – უკეთილეს ქალს, რომელიც არათუ მიტანდა მე მთელი დღეების განმავლობაში, არამედ გემრიელად მაჭმევდა და მიცავდა კიდეც. მე და ევა კარგი მეგობრები ვიყავით. ის პოლონურის, უკრაინულისა და რუსულის მსუყე ნაზავით ლაპარაკობდა: რუს ჯარისკაცებს შორის თავისი ურყევი წარმატებით ამაყობდა, თვლიდა, რომ ზედმიწევნით კარგად ფლობდა მათ ენას, ამიტომ ლაპარაკისას გინებასაც თავისუფლად და თანასწორუფლებიანად იყენებდა სხვა ყოფითი სიტყვების მხარდამხარ. კიდევ, მას განსაკუთრებულად უყვარდა ორი სიტყვა: “გრატულიუიუ!” – ანუ

“გილოცავთ!” და სრულიად გამოუცნობი, აღტაცების გამომხატველი “ევენტუალურია!” როცა ხმაურისა და ალიაქოთისგან, ოთახებში ჩვენი სირბილისგან დაიღლებოდა, ყვიროდა: “გეყოფათ! წყნარად ითამაშეთ ახლავე, აბა! პიოტრეკ, მიდი, თეატრი დაიწყე!” წინკარიდან ალუბლისფერი ტყავით გადაკრულ, ფუმფულა დასაჯდომიან პატარა სკამს შემოათრევდა, ჭადრაკის მაგიდასთან ჯდებოდა და ორივე ხელით ჩაბღუჯავდა ხოლმე მის მაღალ მუხლებზე მოკალათებულ ველურ ლიზას. როგორ მიყურებდა! რა გენიალური მაყურებელი იყო ჩვენი ევა! რაღაცნაირი, ერთგული სახით, მღელვარედ აკვირდებოდა, როგორ ადიოდა პაწია კიბის საფეხურებზე თეთრი დედოფალი და საოპერო ხმით როგორ მოსთქვამდა:

“ო, რა უბედური ვარ, რა უბედური! რა ვქნა! შავი მეფე შემიყვარდა, და ქმარმა კოშკში გამომკეტა!”

სევდიანი პიესების ცქერისას ევა ტიროდა ხოლმე. გეფიცები: ნამდვილი ცრემლებით ტიროდა. ევენტუალურია!..

...ჰოდა, ერთხელაც მე და ლიზას მამა ერთმანეთს თაღქვეშ შევეჩეხეთ. მას ერთი სამჯერ მაინც ვყავდი უკვე გაფრთხილებული, რომ ლიზას ახლოს არ გავკარებოდი. და მესმის კიდეც მისი: არც მე მესიამოვნებოდა მოზარდი ბიჭის აუხსნელი დაინტერესება ჩემი ხუთი წლის გოგონათი... ამიტომ, მოფარებულიდან ვუდარაჯებდი ხოლმე

მომენტს, როცა ელეგანტური, თითბრის პრიალ-სიგლუვემდე გაპარსული (ყოველდღე იპარსებოდა თავის პარიკმახერთან) ვილკოვსკი ქუჩის კუთხეში თვალს არ მოეფარებოდა და თავის უკან პარფიუმერიულ სურნელს არ მოიტოვებდა ქალივით.

მაგრამ იმ დღეს ვერ გავთვალე. და ერთმანეთს შევეჩეხეთ.

სანამ დამცხებდა, ქოლგა მოხერხებულად მოირგო ხელში, რათა სწორედ ხის მძიმე სახელურით ვეცემე. თავდასხმა საფუძვლიანი იყო, დარტყმები გათვლილ-გაანგარიშებული და ამ ყველაფერს კი ერთვოდა ძაღლიშვილო ნაძირალა ვიგინდარა მაწანწალა ლიზას არ გაეკარო თორემ...

– აი, რამ გამაოგნა. მან იცოდა, რომ შეეძლო დაუსჯელად ემოქმედა: ვინ გამომესარჩლებოდა? ბასია? ახლა მესმის, რა იყო ამ ადამიანის ხასიათში მთავარი: საკუთარი სრული დაუსჯელობის შეგნება, – მიწისქვეშეთელების ერთ-ერთი ტიპური თვისება...

მაგრამ ძალიან გადავუხვიე. ჰოდა, ასე მდია და მირტყა კარგა ხანს. საქმე ისაა, რომ, როცა გავიზარდე და მოვმაგრდი, მან ხელების ქნევას მოუკლო. არა, აქ სხვა ამბავია, სხვა... მე კი არ ვარ აქ მთავარი, არამედ ლიზაა. ლიზა, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს უცებ გაიზარდა.

ის სწორედ რომ “უცებ” გაიზარდა, დროის

მოკლე მონაკვეთში, – თითქოს ჯადოსნური აბი გადაყლაპაო, რომელმაც მხოლოდ სიმაღლე, სისრულე და ჭკუა კი არ მოუმატა... არამედ მთლიანად შეცვალა. მცირე ხნის განშორების შემდეგ დაბრუნებულმა ასეთი ლიზა რომ დავინახე, თვალებს არ დავუჯერე, გამოვლენჩდი და... შემეშინდა. ლამის კანითაც კი შევიგრძენი მისი ახალი, სრული დაუცველობა. ეს იყო ყველასგან მიტოვებული ობლის დაუცველობა. და კიდევ ის უკიდეგანო, უტვინო მიმნდობობა ყველასა და ყველაფრისადმი, როგორიც აქვთ ხოლმე არა დედის, არამედ, ეშმაკმა უწყის, ვის გაზრდილ გოგონებს. ამ გოგონას დედა არ ჰყავდა, ბორკა. მისი დედა მე ვიყავი, მაგრამ როგორც გაირკვა, ჩემი მღელვარება და მრისხანე მცველობა საკმარისი აშკარად არ იყო.

.

მახსოვს ის შფოთიანი ჩამოსვლა. მამამისი, უკვე დაბერებული, მაგრამ, როგორც ჩვენში ამბობენ, ჯერ კიდევ კარგი შესახედი, – ჰყვებოდა და ჰყვებოდა “თავშესაქცევ” ამბებს თავისი კრიმინალური პრაქტიკიდან. მის ბაგეთაგან მოთხრობილი ყველაზე საზარელი ამბებიც კი იდიოტების სასაცილო გამოხდომებად აღიქმებოდა:

– ...ჰოდა, აი, ასე ხუხავდნენ ლუდს ბებია და შვილიშვილი, – სანამ დასალევი არ გამოელიათ. მაშინ გოგომ ბებიამისს ბანკეტის გაგრძელება მოსთხოვა. აბაო, მიდი,

ჩამოყაჭე საყვარელო ბებო, ფულები, მე კი გავიქცევი, მოსახვევში კიდევ ერთ ბოთლს ვიყიდიო...

ამ ამბებს სადილობისას ჰყვებოდა ხოლმე. იმხანად უკვე დაშვებული ვიყავი (უეჭველად, წლების დამსახურებით) არა მხოლოდ სახლში, არამედ სადილის სუფრებზეც. უკვე ხელს მართმევდნენ, "თქვენობით" მომმართავდნენ, განსაკუთრებულად პიკანტურ ანეკდოტებს მიყვებოდნენ.

– ბებია გაჯიუტდა: ეტყობა, ფული საიდუმლო ადგილას ჰქონდა გადამალული და არ უნდოდა, მის ძროხა შვილიშვილს გაეგო, სადაც ინახავდა... მაშინ შვილიშვილი გამძვინვარდა და ერთი მაგრად ჩაცხო თავში ბებოს. მოხუცი იატაკს დაასკდა. ჰოოო-ო-ო-და... ყველაზე საინტერესოც ეგაა. როგორ უნდა ცემოს სასიკვდილოდ ერთმა ადამიანმა მეორე ადამიანი ისეთი უწყინარი იარაღით, როგორიცაა ფეხსაცმლის წვრილი ქუსლი?..

ამ საუცხოო ამბებს ლიზას თანდასწრებით ჰყვებოდა. ლიზა ისე გაიზარდა ამ ამბებში, როგორც მაწანწალები იზრდებიან საჭმლის ნარჩენებით, ძონძებითა და ნახმარი პრეზერვატივებით სავსე ყუთებში. ერთხელ ზრდილობიანად შევაწყვეტინე დაძაბული და გულისამრევი ბალადის თხრობა იმის შესახებ, თუ როგორ გააუპატიურა სამმა ჯარისკაცმა ვაგზლის ბოზი.

– ტადეუშ იგნაცევიჩ! – შევევედრე, – დარწმუნებული ხართ, რომ ლიზამ ეს ყველაფერი უნდა მოისმინოს?

ის ახარხარდა, თან თვალს უკრავდა ქალიშვილს და თავით ჩემკენ ანიშნებდა, ანუ – აი, შტერი, ნეტავ რას იპრანჭებაო...

– ლიზა მიჩვეულია... – თქვა, როცა სიცილით გული იჯერა.

მე პირქუშად გამოვცერი: – ძალიან სამწუხაროა!

ლიზა მაშინ თხუთმეტი წლის იქნებოდა.

და დაახლოებით იმ დროიდან ჩემი და ვილკოვსკის ურთიერთობაში გაჩნდა კიდევ რაღაც ახალი, უცნაური, ძლივს შესამჩნევი ნიუანსი. მის ლაპარაკს რაღაცნაირი, შეთქმულის ტონალობა შეემატა, თითქოს ჩვენ სამს შორის ხდებოდა... უფრო სწორად, ჯერ არ ხდებოდა, მაგრამ მზადდებოდა, იგულისხმებოდა, რომ უნდა მომხდარიყო... ვშიშობ, სიტყვებით ვერ აღგიწერ იმ წამიერ მზერებს, ხან მე და ხან ლიზას რომ გვტყორცნიდა ცალ-ცალკე, და მერე უცებ ზეთიანი თვალების შემოტარებით ერთბაშად რომ გაგვაერთიანებდა: ასე გადაატარებს ხოლმე ცელქი ხელი სარკეს საპნის ქაფს, და ხუმრობით მოხატულ გულში მოაქცევს ორი ადამიანის ანარეკლს.

მისი ხელები აი, რა იზიდავდა ჩემს მზერას ყოველთვის. მრავალი წლის შემდეგ, ერთი ჩემი მიწისქვეშეთელი თოჯინისთვის მისი ხელების შექმნაც კი მოვისურვე; მაგრამ ვერ გავბედე: ლიზა უთუოდ იცნობდა მათ. ეს

ქალის ხელები იყო: ისეთი, იცი, ტანსრული, მოვლილი, გარყვნილი დედაკაცის ხელები: გრძელი, მსუქანი თითები თანდათან წვრილდებოდა ბალიშებისკენ, რომლებიც თითქმის არც ჰქონდა. თვალწინ მიდგას იმ კაცის ვნებიანად, გარყვნილად მოცახცახე წვეტიანი თითები ნამცხვრით სავსე სინის თავზე და მათი კალიასავით მკვეთრი მოძრაობები ყოყმანი, თუ რომელი ნაჭერი აერჩიათ. გეგონებოდა, ეს-ესაა ჩანგალივით ჩაესობიან ნამცხვარს, ისე ეკვეთებიან, როგორც ბარჯი ნაკადულში მოცურავე კალმახსო...

ბედნიერებაა, ბორკა, რომ ლიზაში არაფერია, არაფერია მისი. ლიზა დედის ასლია, რაც მაშინებს კიდეც, მხიბლავს კიდეც, და მბორკავს კიდეც; შესაძლოა, ამიტომ ვერ მაიძულებს ვერავინ და ვერასდროს პირველ სართულზე მაღლა ბინის ქირაობას...

მაგრამ სიტყვა ისევ გამექცა: ეტყობა, ქარბუქი მაბზრიალებს, ეს თეთრი ალქაჯი; და ეს გრიგალი, მრისხანედ და აუღელვებლად რომ ბორგავს ფანჯრის მიღმა...

რას გიყვებოდი? ჰო; მან ჩვენზე, ჩვენ ორზე მზერის შეჩერება დაიწყო. თითქოს მის თავში რაღაც თავშესაქცევ, ნაყოფიერ აზრებს აღვძრავდით, რაღაც საინტერესო კომბინაციას, რაღაცას, – სამომავლოდ სარგებლიანს. და მე, – მთელი ჩემი ეშმაკეული მგრძნობიარობისა და იჭვნეულობის მიუხედავად, ვერა და ვერ გამერკვია, რა ბუყბუყებდა, რა დუღდა ამ ყველაფრის იქით. სამჯერ მაინც დავიჭირე

მისი გაწელილი ხავერდოვანი მზერა, როცა უკვე ჩაცმულ-გამოწყობილი, მაღალ ქუსლებზე შემდგარი, ცეცხლოვან კულულებდავარცხნილი ლიზა წინკარში გამორბოდა და კისერზე მეკიდებოდა. ერთხელ ლიზასთვის ზურგში დადევნებულ ისეთ მზერას წავაწყდი, რომ მყისვე სადღაც შორს მოვისროლე იგი...

იმავდროულად, მამძიმებდა ჩემი ეს სიძულვილნარევი დამოკიდებულება ვილკოვსკისადმი, საკუთარ თავს ვსაყვედურობდი ამის გამო, ვარწმუნებდი, რომ ეს ხომ, რაც უნდა იყოს, ლიზას მამაა... რას იზამ, როგორც ჩანს, მამები ასე უყურებენ წამოზრდილ ქალიშვილებს ასე მომთხოვნი სახით ტკბებიან მათი ცქერით. ქალიშვილი რომ მყოლოდა, მეც ასე მეყვარებოდა. ქალიშვილი რომ მყოლოდა, გავაღმერთებდი! უბრალოდ, იდიოტი ხარ, ვეუბნებოდი საკუთარ თავს, ეჭვიანი, გაუმაძღარი მგელი, ნევრასთენიკი: მამაზე რა ეჭვი უნდა მიიტანო! მამაზე!!! ეს საშინლად მტანჯავდა: საკუთარი თავი და, ჩემი როგორც თავად ვთვლიდი “ბინძური აზრები”.

ერთხელაც მე და ლიზა თავსხმა წვიმიდან დავბრუნდით შინ გალუმპულები, გათოშილები. კოკისპირულად წვიმდა, ჩვენ კი ქოლგა გაგვიტყდა...

ლიზამ ჩაიდანი შემოდგა ქურაზე, თავზე პირსახოცები შემოვიხვიეთ და ფუშფუშა ჩალმებშემოკრული ორი ფადიშაჰივით

გავაჩაღეთ ჩაის სმა. მე ბასიამდე უნდა მიმეღწია და ლიზა მეხვეწებოდა, ეკონომიის დრო არ არის, ტაქსი გამოიძახე, თორემ გზაში გაცივდებიო.

ტადეუშ იგნაცევიჩი თავის დიდებულ ხალათში გამოწყობილი იჯდა და პასიანსს შლიდა. და უცებ, ისე, რომ ბანქოსთვის თვალი არ მოუცილებია, იოლად და უბრალოდ ჩაილაპარაკა:

– ჩვენთან დარჩით ამაღამ, პეტია. რა პრობლემაა.

მათთან არასდროს დავრჩენილვარ ღამის გასათევად. და მთავარი ის არაა, რომ მესამე საწოლი, ან დასაწოლად გამოსადეგი კანაპე, ტახტი ან გასაშლელი საწოლი არ ჰქონდათ. მთავარი ისაა, რომ ლიზა უკვე გაიზარდა. გესმის თუ არა: გაიზარდა. და, როცა ჩავუფიქრდებოდი, თუ რამდენად გაიზარდა ლიზა, გულისცემა მემატებოდა...

უცნაურია, რომ მე ჩემი ბიოგრაფიის, ჩემი პროფესიის, ჩემი ფერადოვანი და მეტად თავისუფალი სამსახიობო გარემოცვის მქონე ადამიანი, მე რომელიც მუდმივად ვიმყოფებოდი რომანების, საერთო საცხოვრებლებისთვის ჩვეული წამიერი ქორწინება-განქორწინებების და სულაც, უბრალოდ, გამაოგნებელი გარყვნილების ეპიცენტრში, – ყველაფერში, რაც კი ლიზას ეხებოდა, – მკაცრ იდიოტად, პურიტანად, ზნეობრიობის მცველად ვრჩებოდი. და ამ ჩემი დესპოტური კოდექსის მიხედვით, კავალერს ქალიშვილის შინამდე მიცილება,

მერე კი თავისი გზით წასვლა ევალებოდა. მე ყოველთვის ასე ვიქცეოდი. ჩემმა ამხანაგმა, ლენინგრადის მოზარდმაყურებლის თეატრის მსახიობმა ლიუდკა რასტოლჩინამ (ის, მგონი, ერთხანს გულგრილი არ იყო ჩემ მიმართ) “ობოლი ხასია” შემარქვა, და როცა დალევდა ხოლმე (ეს საქმე უყვარდა და ბოლოს გალოთდა, საბრალო), – ბრაზი ერეოდა და ღიად დამცინოდა: ხან იმპოტენტს მიწოდებდა, ხან ნეტარს, ხან ჩუმჩუმელას...

ჰო, ყველას თავისი უცნაურობა სჭირს. მე ლიზა მჭირს. მრავალი წლის განმავლობაში, მისგან ასობით, ათასობით კილომეტრის სიშორეზე მყოფი მწველი სიცხადით წარმოვიდგენდი ხოლმე, როგორ არ აძლევენ გასაქანს ვიღაც ყოჩაღი ბიჭები. და არც აძლევდნენ, დარწმუნებული იყავი. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლიზა ვარიეტეს კორდებალეტში მიიღეს, მაღლივ კოშკში. არაფერია: ჩავდიოდი და სიის მიხედვით ვცემდი ყველას. სიას კი, ჩემი მოთხოვნით, თვითონ ლიზა ადგენდა. მას სიაში, ყოველი შემთხვევისთვის, შეჰყავდა “ყველა, ვინც გაბედა...” მახსოვს სასაცილო პუნქტებიც. მაგალითად: “5 ოქტომბერს კოლპაკოვმა მითხრა: “შერშე ლა ფამ”... ან: “12 მაისს, გასახდელიდან რომ გამოვედი, მიშკა გურევიჩი მომვარდა და ყურში მითხრა: “რა ფასონის ტრუსებს ატარებენ ახლა პარიზში?”

“ლა ფამს” შევუნდე ცოდვები, ჯანდაბას მისი თავი, აი, უწმაწურ გურევიჩს კი ტრუსების გამო გვარიანად ვაგებინე პასუხი... ერთი-ორი სეზონი და ლიზასთან მიახლოებას ვეღარც ერთი მამლაყინწა ვეღარ ბედავდა: მეთოჯინის ხელები ხომ დაუნდობელია. ჰო: მონსტრი ვარ, ციხის ზედამხედველი, დუენია, იდიოტი, პურიტანი... მაგრამ, იცი, მე ის სწორად აღვზარდე. ის კარგი გოგოა, ბორკა.

– არა, წავალ, – ვუპასუხე ლიზას მამას თვალის არიდებით. ყოველთვის გავურბოდი მის დამცინავ მზერას, რომ არ გავცოფებულიყავი. შეხედავ ადამიანს თვალებში და მერე შუაღამემდე ფიქრობ, ასეთი სასაცილო რა ნახა ჩემში?

– მაგრამ... სად უნდა დავწვე? – ვკითხე დაბნეულ-არეულმა. სასტუმრო ოთახში მჭიდროდ ელაგათ წითელი ხის ავეჯი: მაგიდები, სეკრეტერი, კარადა, სავარძლები... ხალიჩაზე დაწოლაც რომ მომესურვებინა, კარგა საფუძვლიანად უნდა გადაგველაგებინა ავეჯი.

– ლიზას ტახტი ხომ განიერია, – ალერსიანად წარმოთქვა მამიკომ და პირველად მოაშორა თვალი პასიანსს. – როგორმე დაეტევით.

და ჩვენ თვალი თვალში გავუყარეთ ერთმანეთს.

ვერა, ვერ აღგიწერ, თუ რა ფუთფუთებდა მის დასიებულ ქუთუთოებქვეშ: მთელი მიწისქვეშეთი! მთელ, მთელ ჩემს საძულველ მიწისქვეშეთელებს სიფათები გამოეშვირათ და რაღაც ტკბილის მტანჯველ მოლოდინში

ცახცახი გაუდიოდათ... დაფარული წინასწარტკბობა, თანაზიარობაზე მინიშნება... ბიძგი... – არა, ვერ შევძლებ მთელი იმ სიმყრალის, მთელი იმ მოთუხთუხე ნაზავის აღწერას!.. რა ამოძრავებდა, როცა მოწიფულ მამაკაცს საკუთარი, თექვსმეტი წლის ქალიშვილის ლოგინში ეპატიჟებოდა? რა, რა სანახაობით აპირებდა ტკბობას გასაღების ჭუჭრუტანიდან, კარის ღრიჭოდან, ფარდის ნაოჭებიდან ან კიდევ საიდანმე თვალთვალისას?

ლიზას შევხედე. პირსახოცის ჩალმა ყურზე ჩამოჩოჩებოდა, სახეზე დაბნეულობა და გაოგნება ეწერა. ლიზა, რომელიც შენც კარგად გახსოვს, – საშინელ სკანდალს აწყობდა ყოველთვის, როცა მატარებელში ან თვითმფრინავში ჩასაჯდომად მაცილებდა, და გაჰკიოდა, “მეც წამიყვანე!!!”, – იმ ზაფხულს, უბრალოდ, სწრაფად წამოზრდილი მოზარდი იყო, ბოლოს და ბოლოს! თუნდაც ალერსიანი, თუნდაც მგზნებარე, თუნდაც ცბიერი, – მაგრამ მაინც: მოზარდი. იმაშიც კი არ ვარ დარწმუნებული, რომ იმხანად ლიზა ჩემდამი გრძნობებს აცნობიერებდა, ფიქრობდა მათზე ან რამე სახელი დაარქვა მათ საკუთარ ფიქრებში.

იმაში კი, რომ მას წარმოდგენაც არ ჰქონდა ჩემს ტანჯვაზე, სრულიად დარწმუნებული ვარ. და სავსებით სწორი იყო, ამდენ ხანს რომ ველოდე მას. თუმცა ახლა მიკვირს, როგორ შევძელი ეს და როგორ არ გადავედი ჭკუიდან.

საშინლად არ მინდოდა წასვლა. მაგრამ მაინც შემოვიხსენი თავიდან პირსახოცი და წამოვდექი.

– დაწექი, დაიძინე, პატარავ. – რბილად ვუთხარი ლიზას. მერე წინკარში ჩემი სველი ფეხსაცმელი ჩავიცვი, თავსხმა წვიმაში გავედი და ფეხით მივედი ბასიამდე, რათა ბოლომდე გავლუმპულიყავი, ძაღლივით დავქანცულიყავი, მერე კი დავწოლილიყავი და არაფერზე, არაფერზე მეფიქრა.

ჰო, მაგრამ ბასიაზე გიყვებოდი. სულ ბასიაზე, ბასიაზე გიყვები, რომელიც გამგზავრებისას სავსებით მხნე და შრომისუნარიანი დავტოვე, და რომელსაც, ლიზას დეპეშის გამო ლვოვში ჩასულმა, სიცოცხლის ბოლო წუთებში მივუსწარი. ის უკვე ვეღარ ლაპარაკობდა, ნემსებით ედგა სული, თვლემდა... მიდიოდა...

მაგრამ, როგორც კი საწოლზე ჩამოვუჯექი და განაცრისფრებულ, ბრტყელ სახეზე ვაკოცე, მან მყისვე გაახილა თვალები და ამოისუნთქა: “პიოტრეკ...”

ბასიამ მიცნო. და, როცა ამგვარი სიტუაციებისათვის ნიშანდობლივი სულელური მოწოდებების ბურტყუნი დავიწყე – “ნუ სულელობ”, “ყოჩაღად უნდა იყო” და ასეთები... მან მოუთმენლად გააქნია თავი, რათა გავჩუმებულიყავი და მისთვის მომესმინა. მე მისი ტუჩებისკენ დავიხარე და გავიგონე ზუსტად შემდეგი:

– ლიზა... ლიზას ხელი დასტაცე და გაიქეცით... იმ კაციჭამიასგან...

რატომ, ბორკა, რატომ მივიღე ეს სიტყვები ზეციურ მითითებად და არა მომაკვდავი ადამიანის აგონიურ ბოდვად, – რაც უფრო გონივრული იქნებოდა?.. “გაიქეცით იმ კაციჭამიასგან...”. ბასიამ რამე ისეთი ხომ არ იცოდა ტედი ვილკოვსკის შესახებ, რისი იმქვეყნად წაღებაც არ სურდა? რის თაობაზე აპირებდა ჩემს გაფრთხილებას?

მე ზედ გადავემხე და ყურში ჩავძახე:

– რატომ, რატომ?!

მაგრამ აღარ უპასუხია.

ახლა მეფიქრება, – ცოცხალი იყო ბასია, როცა მკვდარი ტუჩები შეარხია და ის სიტყვები წარმოთქვა, თუ უკვე სხვა ნაპირიდან გამომიგზავნა მინიშნება? ან გზად როცა ჩემდამი უწინდებური გულმხურვალე ერთგულებით აღსავსე მისი კეთილი, ანგელოზური სული ზეცისკენ მიფრინავდა?..

ხუთიოდე წუთის შემდეგ მედდა შემოვიდა და გულგრილად ჩაილაპარაკა: “მოკვდა”...

გახსოვს ჩვენი ლაპარაკი არმიანსკაიას ყავახანაში? ეს ბასიას დასაფლავებიდან ორი დღის შემდეგ იყო, და მაშინ, როცა შენ მომიწოდებდი “ყველაფერი ამეწონ-დამეწონა” და “ცოტაც მომეთმინა”, ლიზა უკვე პიტერში იყო: მე ის დილის პირველივე მატარებლით გავამგზავრე, ბასიას რედიკულით ხელში, წარღვნამდელ

საბებიაქალო საკვოიაჟს რომ წააგავდა. მე ჯერ უნდა დავრჩენილიყავი ბასიას ბინა სახლმმართველობისთვის უნდა ჩამებარებინა, ავეჯის ნაწილი გამეყიდა, დანარჩენი კი მეზობლებისთვის დამერიგებინა...

ჰო, ლიზა დილაადრიან გავამგზავრე, ჩემსა და ვილკოვსკის შორის გამართული შემზარავი სცენის შემდეგ.

როგორც კი ბასიას ზეწარი წააფარეს და პალატიდან გაიტანეს, მე ლიზასთან გავქანდი.

არ მესმოდა, რატომ მოახდინა ასეთი დამანგრეველი ზეგავლენა ჩემზე მომაკვდავის სიტყვებმა, მაგრამ შინაგანად მთელი ჩემი არსება არაადამიანური ძალით გაჰკიოდა და იმეორებდა მათ: მთელი ჩემი ეჭვები, ინსტინქტური ზიზღი ვილკოვსკისადმი, ჩემი ღამეული კოშმარები (სად გაგონილა, რომ საყვარელ ქალზე სიზმრები იმით კი არ ბოლოვდებოდეს, რაც ახალგაზრდულ სიზმარს შეჰფერის, არამედ საშინელების ხილვით გამოწვეული გოდებით?) – ყველაფერი ერთბაშად გამთლიანდა და მოახლოებული, გარდაუვალი საფრთხის წინათგრძნობად იქცა.

მერე ბევრჯერ დავაბრუნე და დავატრიალე ის საღამო ჩემს გონებაში: თითქოს სცენაზე უნდა დამედგა იგი (რამეთუ მომიტევე ჩემი “პროფესიული სიგიჟე” – მაგრამ ძალიან თოჯინური საღამო იყო თავისი უცხო-

რეალურობისა გამო); ასეც ვფიქრობდი, ისეც, – თუ კიდევ როგორ შეიძლებოდა მოქცევა: რატომ არ უნდა დაველოდო გათენებას, მაგალითად? რატომ არ უნდა დავფიქრდე კარგად, აზრიანი გეგმა რატომ არ უნდა შევიმუშაო? რატომ უნდა გავრისკო ცხელ გულზე და რატომ უნდა ვიცრუო, ბოლოს და ბოლოს? ვიცრუო ლიზას გამო... და ვრწმუნდებოდი, რომ სხვა გზა არ იყო. შესაძლოა, იმ საღამოს, უბრალოდ, შეურაცხადი ვიყავი.

ლიზას სახლის თაღში შევვარდი, შეუსვენებლად ავფრინდი კიბით ზედა, ბოლო სართულზე და კარის ღილაკს დავეკარი.

კარი თვითონ ვილკოვსკიმ გამიღო. როგორც ყოველთვის, ხალათი ეცვა, საუცხოო, დალიანდაგებული აბრეშუმის საყელოთი დამშვენებული ხალათი, ბრიტანელ მინისტრს რომ უნდა სცმოდა მოსვენების ჟამს... ან ცუდად გრძნობდა თავს, ან ცუდ გუნებაზე იყო, ან უკვე დაწოლას აპირებდა, – ხალათში დაუდევრად გახვეულიყო და არც ქამარი მოეჭირა ზედ, თითქოს ეს-ესაა მოიცვაო.

.

იმჟამად, რამდენიმე აშკარად სიძულვილნარევი შეტაკების შემდეგ, ერთმანეთთან “ცივი ნეიტრალიტეტის” რეჟიმში გვქონდა ურთიერთობა. როგორც ჩანს, უკვე მიმხვდარიყო, რომ ჩემსა და ლიზასთან მიმართებით სიტუაცია უფრო

რთული და ღრმა იყო, ვიდრე ვარაუდობდა, და რომ მე გაცილებით დიდ საშიშროებას წარმოვადგენდი, ვიდრე ეგონა.

– ლიზა სად არის? – ვკითხე მოკლედ.

– საღამო მშვიდობისა, ყმაწვილო, თუ წინააღმდეგი არ ხართ... – თქვა მან და წარბებქვეშიდან შემომხედა. შესაძლოა, გავაღვიძე. – კარგი მანერები უპირველეს ყოვლისა. ლიზა კი... სადღაც აქაა... მოძებნეთ... – და თავისი ოთახისკენ წავიდა.

– ლიზა! – დავიძახე.

ლიზა ბინის სიღრმიდან გამომეპასუხა:

– ე-ე-ეი!

– ლიზა!

– მოდი აქ, – გაისმა მისი მოთენთილი ხმა მდუმარებასა და წყლის ყრუ დგაფუნში.

მე ხმას მივყევი, სააბაზანოს კარს ავეკარი და ყრუ ხმით ჩავილაპარაკე:

– ბასია მოკვდა...

ლიზამ რაღაც შესძახა, ატირდა და მითხრა:

– შემოდი...

კარს ვუბიძგე და შევედი. გული ყელში გადმომიგორდა, როგორც ბილიარდის ბურთი – ლუზაში, და იქ გაეხირა.

ლიზა აბაზანაში იჯდა, წყლიდან ამოზიდული პრიალა მუხლების ორი კუნძულის პირისპირ და მშვენიერი, ცრემლიანი თვალებით შემომცქეროდა, – თითქოს არაფერი იყო უჩვეულო იმაში, რომ ჩემ წინ შიშველი იჯდა,

მხოლოდ და მხოლოდ საპნის ქაფით დაფარული. მე კი მეგონა, რომ ის, როგორც ყოველთვის, ტუშს უხვად იგლესდა წამწამებზე სარკის წინ.

– შენ... ეს რას ნიშ... – ამოვიბურტყუნე. ანაზდად, ჯერ ოფლმა დამასხა, მერე გავიყინე, მერე კი კვლავ გავოფლიანდი, – ჩვენი ბასია... ახლახან... ხვალ სასაფლაოზე ადგილი უნდ... – და უცებ ვიღრიალე:

– კარი რატომ არ ჩაკეტე?

– პირსახოცი მომაწოდე...

პირსახოცი მივაწოდე. ლიზამ სახე ჩარგო მასში და აქვითინდა. მას უყვარდა ბასია. საპნიანი წყალი ირწეოდა, ტრიალებდა და ლოკავდა მის შიშველ მხრებს, რომლებზეც ქაფის პაწია ბუშტები სკდებოდა.

სისველისგან ჩამუქებული თმა გარს შემოწებებოდა კოლომბინას პატარა, კოხტა თავს და საპნის ქაფში წყალმცენარეებივით ჩაკიდულიყო.

შიშველი ბოლოს სამი წლის ასაკში მყავდა ნანახი. ევა, მისი ძიძა, რომელიც ზოგჯერ ვერ უმკლავდებოდა ლიზას ტემპერამენტს, მთხოვდა მივხმარებოდი “ამ წრიპას დაბანაში”.

– ნაოჭები დავსაპნოთ! – მეუბნებოდა და ენერგიულად ხეხავდა გოგონას ღრუბლით, – ყველა ნაოჭი უნდა დავსაპნოთ! – მერე მიბრძანებდა: – ჩამობანე! – მეც შხაპს ვხსნიდი და წყალს ზემოდან ვასხამდი ლიზას.

ის კი იდგა აბაზანაში, მსუქანი მუცელი გამოებზიკა, და ჟოლოსფერქუდიან დათვისსოკოს წააგავდა. თან სულ ცელქობდა: ფეხებს ველური აღტაცებით ატყაპუნებდა წყალში, რომ მე და ევა გავეწუწეთ.

– რატომ... – სულს ძლივს ვითქვამდი, – რატომ არ ჩაკეტე კარი?

– რატომ უნდა ჩამეკეტა? – მკითხა მან ნამტირალევი სახით.

და თითქოს ამ შეკითხვის პასუხად, კარი გაიღო, მამამისმა თავი შემოყო და თქვა:

– ისევ აგიღია ჩემი მანიკიურის მაკრატელი და თავის ადგილზე აღარ დაგიდევს!

– მაპატიე. სამზარეულოშია. ღილების ყუთში, – მიუგო ქალიშვილმა, – მამა, ბასია მოკვდა.

– სამწუხაროა. აღარ გაბედო ჩემი მაკრატლის აღება.

მე თითქოს არც ვიყავი იქ... როგორც ჩანს, საგიჟეთში ვიმყოფებოდი. თუ სამოთხეში? მხოლოდ ისაა, რომ დიდებულ ხალათში გამოწყობილი ნათრევი, გაცვეთილი პატრიცი ნაკლებად ჰგავდა ადამს, მით უფრო, ცოდვით დაცემამდელ ადამს, რაკი სავსებით დასაშვებად მიაჩნდა ჩემი იქ ყოფნა... მე კი, ჩემმა ძველმოდურმა და მოწესრიგებულმა დედამ, რომელიც ჭეშმარიტი კათოლიკეს, ბასიას, გაზრდილი იყო, ხუთი წლის ასაკიდან მიმაჩვია, რომ ბანაობა ყოველი ადამიანისთვის ინტიმური საქმეა, და რომ შიშველი სხეული სანუკვარი ფასეულობაა, რომლის სიახლოვეს მხოლოდ შენი რჩეული

ადამიანი დაიშვება.. თავი რაღაცნაირ, ხავსმოდებულ იდიოტად ვიგრძენი.

ეს იყო დაცინვა იმისა, რასაც ვილკოვსკი ტუჩების ხაზგასმული გამობურცვით "გრძნობიებს" უწოდებდა; ნებისმიერ ზღვართა, ნებისმიერ აკრძალვათა ირონიული არაფრადჩაგდება ლიზას დიდებული, შთამბეჭდავი მამისგან იღებდა სათავეს და იმ სახლის ჰაერიც კი ამ არაფრადჩაგდებით იყო გაჟღენთილი. ჰაერში მაქციობის, შეცნობის, გარყვნილების მსუბუქი, მოფარფატე საფრთხე ტრიალებდა და საწამლავივით აღწევდა სულში, – ასე აღწევს ფილტვებამდე ნესტი და ჭლექს იწვევს.

– შენ რა, სააბაზანოს კარს არ კეტავ ხოლმე? – ვკითხე ლიზას წყნარად, უძლური ისტერიული სიჯიუტით, – და ყველას შეუძლია შემოიხედოს?

– ყველას კი არა, მამას, – თქვა მან სრულიად უბრალოდ, წყლიდან ხელი ამოყო და პირსახოცი ნიჟარის კიდეზე შემოდო. – საერთოდ, ძალიან უყვარს ჩემი ბანაობის ყურება.

– რა?! – აღშფოთებისგან ლამის გული წამსვლოდა.

– და რა იყო? – გაკვირვებული, მიამიტი სახით მკითხა მან, – ისეთი რა მოხდა? უბრალოდ, დედას ვაგონებ...

აი, ეს ფრაზა არ უნდა ეთქვა. ამ ფრაზამ ისე

ამიმღვრია გულ-გვამი, რომ სლოკინი დამაწყებინა.

წამით გავიფიქრე, რომ მამამისი, უბრალოდ, შეარყია განსვენებულ ცოლთან თავისი წამოზრდილი ქალიშვილის მსგავსებამ; რომ ამ გამაოგნებელმა მსგავსებამ მისი ყველაზე მიწისქვეშა ინსტინქტები აღაგზნო და ააფორიაქა; მაგრამ მისი უფხიზლესი თვალების ჭუტვა მომაგონდა და მყისვე უკუვაგდე ეს აზრი. არა, ის გიჟი არ იყო. ყველა და ყველაფერი იყო, გიჟის გარდა. წარმოვიდგინე, მოწონებით როგორ ადევნებს თვალს ხალათზე დაუდევრად შემოჭერილი ქამრის ფუნჯებით მოთამაშე მამა წყალში ჩაშვებას... მსუბუქი სუბმარინის ჩაძირვას... და უცებ, თითქოს პროჟექტორი დაანათეს სცენას და ერთბაშად გაანათეს ის, რასაც ადრე ვერ ვხედავდი: მთელი ის შემფასებლური მზერები, იდეის თანდათან წინ წაჩოჩება, მიზანთან მიახლოება. თავის მიზანთან. თავის სანუკვარ მიზანთან. თავად ეშინოდა დაწყების, ესმოდა, რა სუნიც უდიოდა ამ საქმეს. მან მომსინჯველად გამამწესა, მერე კი გამოცდილი ჩლიქებით გამაგდებდა განზე, შესაძლოა, უასაკოს გარყვნისთვის ჩამსვამდა კიდეც, და საკუთრებაზე თავის უფლებებს აამოქმედებდა... უფლებებს თავის საბოლოო და სრულ საკუთრებაზე: დაბნეულ, უსუსურ, ტირილით დაქანცულ ქალიშვილზე (“ხომ ხედავ, მამიკო ხომ გაფრთხილებდა... ამიერიდან მხოლოდ მამას დაუჯერებ!”).

გულისრევა ვიგრძენი... სიძულვილი, ზიზღი,

შიში ლიზას გამო, და დამანგრეველი ძალის მძვინვარება ყელში მომაწვა; უნიტაზს მივვარდი და ვაღებინე. ღმერთო, რა საშინლად ვიყავი, ბორკა... გული მერეოდა და მერეოდა მის შეშინებულ თვალთა წინ. და არაფრის ახსნა არ შემეძლო მისთვის. ამ გოგონას, ჩემს უცოდველ, ჩემს უტვინო სიყვარულს, არ ენახა ის, რაც მე მენახა: მას არ ენახა თავისი დედა, ქვაფენილზე მწოლიარე. მას არ ესიზმრებოდა ეს სურათი მთელი ბავშვობის განმავლობაში...

ბოლოს, გულისრევამ გადამიარა, წყალი ჩამოვუშვი, სახე მისი პირსახოცით შევიმშრალე და ისე, რომ არ შემოვბრუნებულვარ, ვთქვი:

– შენ, მგონი, გინდოდა, რომ აქედან წამეყვანე? ჩაიცვი. მივდივართ.

– სად? – მკითხა მან დაძაბულად, რადგან რაღაც მისთვის ახალი, უცნობი იგრძნო ჩემს ხმაში. პასუხი არ გამიცია, სააბაზანოდან ისე გამოვედი.

ტადეუშ იგნაცევიჩი ნიჩბოსანთა შეჯიბრს უყურებდა. ეკ რ ანზე, ტბის ზედაპირზე კანოე მიფრინავდა და წყლის მიზანსწრაფულ ხოჭოსავით თანაბრად იქნევდა ნიჩაბთა ფრთებს. მე ქვეყნის დასალიერის პატარა ქალაქის საბჭოურ “ხრუშჩოვკაში” გაზრდილი ყმაწვილი, – თითქოს პირველად ვხედავდი ამ მყუდრო, ევროპულ, საუცხოო ძველებური ავეჯით გაწყობილ, ბრინჯაოთი და საგვარეულო

ვერცხლეულით, ბროლითა და პორცელანით დამშვენებულ სახლს, რომელიც კეთილშობილი საგვარეულოს რამდენიმე თაობის ცხოვრებათა სურნელით იყო გაჟღენთილი...

ამ სახლს, როგორც სანერგეს, როგორც სათბურს, ისე გამოჰყავდა განსაკუთრებულად გამხრწნელი ბოროტება. ის წამლავდა და კლავდა თავის ბინადარ ქალებს, – ფანჯრებიდან ისროდა მათ, აძევებდა, უარყოფდა, თელავდა...

ვილკოვსკის გვერდი ავუარე და ლიზას ოთახში შევედი.

იცი, ბორკა, ზოგჯერ ცხოვრებაში ისეთი გამონათებები მაქვს ხოლმე, როცა ჩემს უნებურად ვაკეთებ რაღაცებს, განსაკუთრებული განსჯის გარეშე თუ რატომ და რისთვის ვაკეთებ ამას. მაგრამ მერე აღმოჩნდება ხოლმე, რომ ეს ნაბიჯი, ჟესტი, გადაწყვეტილება ერთადერთი სწორი სვლა იყო. ხომ შემეძლო, მაშინვე დამეწყო იმ კაცთან ურთიერთობების გარკვევა, შემეძლო, უნიჭოდ დამეღუპა ყველაფერი და წარმოდგენა არ მქონოდა იმ წუთებში, თუ რაზე იყო წამსვლელი ეს კაცი. მაგრამ მე, ვითომ აქ არაფერიაო, უკან მოვიტოვე მისი ჭაღარა კეფა, მყუდროდ რომ მისვენებოდა ღრმა სავარძლის თავს და ლიზას ოთახში აღმოვჩნდი. იქ ტანსაცმლის კარადის კარი გამოვაღე და თეთრეულის ქვეშიდან მისი საბუთები გამოვაძვრინე; პასპორტი, დაბადების მოწმობა, სასწავლებლის ატესტატი... და მხოლოდ მას მერე, რაც ეს

ყველაფერი მყარად ჩავიტენე ჯინსის უკანა ჯიბეში, სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, ვილკოვსკის პირისპირ დავდექი და, რაც შემეძლო, დავიოკე ყელს ღრიალად მოწოლილი საკუთარი ხმა და ვთქვი:

– ლიზა მიმყავს.

სანამ ვილკოვსკიმ მიპასუხა, ხოჭო-კანოემ, რომელიც ფინიშს მიახლოებოდა, რამდენიმე რბილი, საბოლოო მოძრაობა გააკეთა ფეხებით რაღაცნაირი, მექანიკური ხოჭო იყო და რბილად შერგო ცხვირი ნაპირში.

– მეფარები... – ხმადაბლა თქვა მან, ისე, რომ ჩემთვის არ შემოუხედავს, – დაჯექი.

და იმის მაგივრად, რომ სანამ ეს კაცი საპასუხო დარტყმისთვის მოემზადებოდა, ლიზა სააბაზანოდან გამომეთრია და დაუყოვნებლად დაგვეხვია ამ სახლიდან, მე მორჩილად ჩავეშვი გვერდითა სავარძელში. მან უწინდებურად ჩააშტერა მზერა მორიგ მფრინავ კანოეს და თქვა:

– ნაგავო, დამპალო მეთოჯინევ, არარაობავ...
– მოგკლავ!

ვხედავდი მის თხელცხვირა, პატრიციულ პროფილს, ყბისქვეშ მოჭმუჭნული კანის რბილად დაკიდებულ პარკს, უძრავ, ნახევრად დახურულ ქუთუთოს, რომლის ქვეშიდან მოელვარე თვალი ეკრანს შესცქეროდა: წიწილის მოთვალთვალე ქორს წააგავდა; უდაბნოს ვარანს მიწის კურდღლის პირისპირ. იმავდროულად, მისი წყნარი ხმა

ძეწკვად ასხამდა ციხის ჟარგონულ სიტყვებს და მამცნობდა, რომ: საგიჟეთში ამომალპობენ, ზონაზე მიკრავენ თავს, მოსახვევში ჩამაძაღლებენ, ტყეში დამმარხავენ, სირს ძირში მომაჭრიან თუ მიპოვეს, – და პირში ჩამთხრიან; რომ, ყვავების გარდა, ვერავინ მიაგნებს ჩემს აყროლებულ გვამს. რომ მე ახლავე, საჩქაროდ, გადავიკარგები აქედან, რაც შეიძლება შორს, სადამდეც მოვახერხებ გაქცევას, და რომ ამიერიდან აღარასდროს, აღარავინ მომკრას თვალი ლვოვში და ჩემი სახელიც კი დაივიწყოს ყველამ, და რომ ეს ჩემი უკანასკნელი შანსია, ჩემი გადარჩენა სანამ გვიანი არაა... და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი წყნარი, მონოტონური ხმით წარმოთქვა, და მხოლოდ სიტყვა “ლიზა” გამოირჩეოდა სიმკვეთრით: “ლიზა შენი ტოლი და სწორი არაა გაიგე, ნაბიჭვარო? ლიზა აქ დარჩება”.

და აი, რა აღმოჩნდა ხსნა. ჩემში რომკამ იფეთქა თანაც ისეთი თვალისმომჭრელი ელვარებით, როგორითაც ახლა ელვის ათინათები ფეთქდებიან აქ, წიგნის ყდაზე. აქამდე ვერც კი ვხვდებოდი, რომ ის ჩემში ცოცხლობდა საიდუმლოდ, საზარლად და მხსნელად. ჩემი დაუღალავი დარაჯობის წლები, ჩემი მტანჯველი სიზმრები, ჩემი სულელური, არავისთვის საჭირო მონაზვნობა ლიზას გამო, ერთ რაღაცნაირ, ხილულ მუშტად შეიკრა და შედუღაბდა. ჩემში ტრიქსტერმა გაიღვიძა: ყველაზე შიგა სიღრმეებიდან ამოვარდა, ყვერებში

ამოიჭრა, გრიგალივით გაიზუზუნა კუჭსა და ფილტვებში და ნესტოებიდან ამოსკდა. და ისე, რომ არც კი მესმოდა, რატომ უნდა წარმომეთქვა სწორედ ეს სიტყვები, ვინ მიკარნახა ისინი ან რა კავშირში იყო თვით ვილკოვსკისთან, – გავიღიმე, მისკენ გადავიხარე და ისევე ხმადაბლა, როგორც ეს-ესაა თვითონ მელაპარაკებოდა, ვუთხარი:

– არ გამოვა. და იცი, რატომ? თქვენ ისევ მეოთხე სართულზე ცხოვრობთ. და ეს სართული ისევ მაღალია ქვევით საფრენად.

ის უკან გადაქანდა. ორივე ერთდროულად წამოვიჭერით ფეხზე. მან დამასწრო და სახეში გამარტყა მოქნეული ხელი. მან ვერ გათვალა ჩემი რეაქცია დარწმუნებული იყო, რომ არ ვუპასუხებდი. მე კი უხმოდ ვეძგერე...

ამ დროს ოთახში ლიზა შემოვიდა. უკვე აქეთ-იქით ცვიოდა რაღაც ლარნაკები და საფერფლეები, სკამები ყირავდებოდა... ვილკოვსკი ფარდას ეცა, ჩაებღაუჭა, რომ თავი შეემაგრებინა და ჩამოგლიჯა იგი.

ლიზა აკივლდა: “მარ-ტ-ი-ი-ი-ინ!!!” ისე განწირულად კიოდა, რომ ჩემს ყურებში გაუგონარმა სიჩუმემ დაისადგურა, რომლის ფონზეც, მე კი არა, – რომკა ურტყამდა ვილკოვსკის ზუსტად და ძლიერად, და მხოლოდ მაშინღა, როცა ის ორ გადაბრუნებულ სავარძელს შორის დავარდა, ლიზა კი მე ჩამომეკიდა ყელზე... დავინახე, რომ მოხუც კაცს ვცემდი. თან, საზიზღარი

სანახაობა იყო გადახსნილ ხალათში, შემოხეული პერანგიდან გამომსკდარი მისი რბილი, ბანჯგვლიანი ფაშვი... მაგრამ მთავარი... – მთავარი ჩემი საბრალო გოგონა იყო, მისი ფერფლისფერი, უსისხლო სახე... ის სველ თავს აქნევდა და ერთი სიტყვაც ვერ წარმოეთქვა. მე კი არაფერი შემეძლო, უფლება არ მქონდა, მისთვის რამე ამეხსნა. ტუჩებსა და ნიკაპზე ჩამოღვრილ სისხლს ხელისგულებით ვიწმენდდი და ის თავზარდაცემული უცქერდა ჩემს გასისხლიანებულ ხელებს.

– ლიზა, – ვთქვი, – იცი, რომ მიყვარხარ?

ეს სიტყვები, ბორკა, ყოველთვის პატარა, უფერულ კინოფილმურ სიტყვებად მიმაჩნდა. განა, შეეძლოთ მათ ოდნავ მაინც გამოეხატათ, ოდნავ მაინც გადმოეცათ... ალბათ, ამიტომაც არასდროს წარმომითქვამს ისინი არ მინდოდა გამემეორებინა, სხვებს მივმსგავსებოდი, არ მინდოდა მათ წარმომთქმელთა მილიონიან რიგში ჩავმდგარიყავი. მაგრამ იმ წუთს, უცებ მივხვდი, რომ ჩემი გახეთქილი ტუჩები მათ საერთოდ პირველად წარმოთქვამდნენ:

– იცი, რომ მიყვარხარ?

ის კვლავ რაღაცნაირად, საბრალობლად იქნევდა თავს, გაუბედურებული მზერით ხან მე მიცქერდა, ხან მამამისს, რომელიც სადღაც, ჩემ ზურგსუკან ხვნეშოდა, რაღაცებს აჩოჩებდა, და სრულიად აღარ იყო ჩემთვის საშიში. ლიზა, აი, ვინ უნდა დამემარცხებინა, ვინ უნდა მომეპოვებინა, რომ აქედან

წამეყვანა. მაგრამ ახლა ტრუბადურების სიმღერათა მღერის დრო არ მქონდა.

– მუდამ, მთელი ცხოვრება, სიკვდილამდე... – პირქუშად ჩავილაპარაკე საბუღალტრო ანგარიშის სტილში, თან მისი მორბენალი მზერის დაჭერას ვცდილობდი, ამ მზერის ჩემზე შეჩერებას ვლამობდი. მაგრამ ლიზა ცახცახებდა, ასლოკინებდა და სრულ პროსტრაციაში იმყოფებოდა. მაშინ მისი სახე ღონივრად მოვიქციე ხელისგულებს შორის, რის შედეგადაც ჩემი სისხლით მოვუთხვარე ლოყები, და ხმადაბლა ვუთხარი:

– წამოდი... წამოდი, საყვარელო...

– სდექ!

მოვტრიალდი და თავიდან ოდნავ დავიბენი კიდეც. კინაღამ გამეცინა, იმდენად სულელური სანახაობა იყო: უწინდებურად ხალათგაღეღილი ვილკოვსკი თავისი ოთახის კარში იდგა, ხელით რაღაცისკენ მიმანიშნებდა და ფომფლო მუცელი უთახთახებდა.

მომდევნო წამს მივხვდი, რომ ის არაფერზეც არ მიმანიშნებდა, – უბრალოდ, ხელში პისტოლეტი ეჭირა. და ეს ისეთი უნიჭობა იყო, ისეთი გაცვეთილობა... – მხოლოდ დაბალი დონის საბრძოლო ფილმებში რომ ნახავ... კიდევ ორი-სამი წამის განმავლობაში სიტუაცია კარგად ვერ გავიაზრე, თუმცა ვხედავდი, რომ სახე სავსებით დაუნდობელი ჰქონდა და პისტოლეტი აშკარად ნამდვილი

იყო რატომაც არ უნდა ჰქონოდა მას, მისი პროფესიის კაცს, მისი ნაცნობების წრის პატრონს, სახლში პისტოლეტი? ჩვეულებრივი ამბავია! ცხადი იყო ისიც, რომ სავსებით დასაშვები იყო, განეხორციელებინა ის, რის თაობაზეც წეღან მაფრთხილებდა.

– განზე გადექი! – უბრძანა ქალიშვილს.

– მამა!!! – დაიყვირა ლიზამ და ოდნავ უკან დაიხია, – მამა... მამა...

– ხელები! – მიბრძანა ახლა მე, – ხელები, შე დამპალო მეთოჯინევ!

და მე ხელები ავწიე.

– ზურგით!

შევბრუნდი. ჩემ წინ შემოსასვლელი იყო, რომლის ყველა უმცირესი დეტალი შესწავლილი მქონდა ამ წლების განმავლობაში. უწინდებურად იდგა კუთხეში ბრინჯაოს ქალწული და უწინდებურად ეკავა მაღლა აწეული ხელებით ბურთი-ლამპა. ფავნის სინიდან მძიმე, ნარინჯისფერ მახრჩობელად გადმოკიდებულიყო ვილკოვსკის კაშნე; ქოლგების ბრინჯაოს სადგამში მჭიდრო წრედ ჩარგულიყო მამაკაცის ორი შავი და ერთიც ლიზას ალუბლისფერ ქოლგა. ჩემგან ერთი დიდი ნახტომის მანძილზე კი, კარის (რომელიც შემოსვლისას კარგად არ მიმიხურავს) ღრიჭოში ელექტრონის შუქი მოჩანდა.

თვალები გადავბრიცე და ჩემგან მარცხნივ და უკან ლიზა დავლანდე. ის აღარ ტიროდა,

ხმასაც აღარ იღებდა. ვფიქრობ, პირველად დაინახა ასეთი მამა, და ეს სანახაობა, მამის აქამდე უცნობი ხმა და იარაღი მის ხელში თავზარდამცემი და შემძვრელი რამ იყო მისთვის. ახლა კი... – თქვა ვილკოვსკიმ, – აქედან გაეთრიე. ძაღლიშვილო! და ღმერთმა არ ქნას, კიდევ მოგინდეს აქ თოჯინობანას თამაში!

მე ხელებაწეული ვიდექი მეთოჯინისთვის ეს სავსებით ჩვეული პოზაა, – და აზრობრივად ვსაზღვრავდი მანძილს ჩემსა და ლიზას შორის. ლიზა ხომ ძალიან მოქნილი იყო და ბალერინისთვის ჩვეული მძლავრი, პროფესიული ნახტომის გაკეთება შეეძლო.

– ლიზა... – ვთქვი შემოუბრუნებლად და ზემოთ აშვერილი თითები ისე შევარხიე, როგორც ჩემსა და მის ერთ საბავშვო “ნომერშია”.

ის ბავშვობიდან იყო მოჯადოებული ჩემი ხელებით. როცა მივიდოდი, პირველად სახეზე კი არა, ხელებზე შემომხედავდა ხოლმე. ეს ხელები მუდამ რაღაც სიურპრიზს, რაღაც ნომერს სთავაზობდნენ მას: ან მოხატულსიფათებიან პინგ-პონგის ბურთებს, ან მოჩხუბარ მამალთა ორთაბრძოლას, ან ორი რაინდის ბატალურ სცენას... – მსგავსი რამეები და მსგავსი ოინები ხომ მე არასდროს მელეოდა, ყოველ ჯერზე რამე ახალს ვიგონებდი ხოლმე. ბავშვობაში ჩემი ხელები ლიზასთვის უდიდეს საიდუმლოს

წარმოადგენდა, რომლის ამოცნობასაც დაუღალავად ცდილობდა. გახსოვს? – ლიზას გასართობად საკმარისი იყო, მისთვის ხელი, უფრო სწორად, ორივე ხელი, მიმეცა და ისიც ნაწნავების წვნას იწყებდა თითებით, რაღაც ფიგურებს აკეთებდა, თამაშობდა მათით, რაღაც როლებს იგონებდა... ლიზა თითქოს მაცალკევებდა ჩემივე საკუთარი ხელებისგან და ჩემი ხელები მის განუყოფელ საკუთრებად იყო ქცეული. მე კი განზრახ ვირბილებდი თითებს, ლამის ქსოვილის მოქნილობას ვანიჭებდი მათ, ვირინდებოდი, ველოდი... და, როცა მოტიტინე ლიზა ისე გაერთობოდა, რომ სავსებით დამივიწყებდა მე... ანაზდად რაღაც ფიგურას ვაკეთებდი ხელებით. ის შეჰკივლებდა და შეხტებოდა ხოლმე აღტაცებისგან და გაოცებით შესცქეროდა მორიგ ირემსა თუ გველს.

მე მაღლა აწეული თითები შევარხიე და მთელი ტანით ვიგრძენი, როგორ დაიძაგრა ლიზა და როგორ გადმოქანდა ჩემკენ.

– გაეთრიე!!! – დაიყვირა ვილკოვსკიმ, – შე ნაგავო, შე არარაობავ, თორემ აქვე ჩაგაძაღლებ!

ეჭვიც არ მეპარებოდა იმაში, რომ მესროდა. ისიც კარგად ვიცოდი, მიზანს არ ააცდენდა. ვიცოდი ეს: ლიზას უთქვამს ხოლმე, რომ “მამას ტირში სიარული უყვარს”. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა.

– ლიზა! – ვუბრძანე ხმადაბლა, – ალე-ჰოპ!!!

და მომდევნო წამს ის უკვე ზურგზე მეჯდა

ჩემი ჭკვიანი, ჩემი მძევალი, ჩემი მხსნელი! – მე ჩემი ტვირთიანად წინ მივაწყდი, კარს ფეხი ვკარი, მეოთხე სართულიდან ქვევით დავეშვი და თაღიდან გარეთ გავარდნილი ჩაბნელებული ქუჩით გავიქეცი: რაშს ვგავდი, რომელმაც ჯოჯოხეთიდან გამოიყვანა მხედარი ქალწული. ლიზა თითქოს ჩაზრდოდა ჩემს ზურგს, მუცელზე სამკვდრო-სასიცოცხლოდ შემოერტყა ჩემთვის შიშველი ფეხები და მისი გული ჩემს გულს დაფდაფივით სცემდა და უბრახუნებდა...

ასე ვიქროლე ბასიას ბინამდე. ბუღი ამდიოდა. არ გამიკვირდებოდა, ჩემს ხრინწიან სუნთქვას ცეცხლის ენები რომ ამოჰყოლოდა. ორმოცდაათი ცხენისძალა მაინც იყო მაშინ ჩემში. ლიზას დაბლა, მიწაზე ჩამოსმაც კი არ შემეძლო, – ნახტომისას მას ჩუსტები წასძრობოდა...

არ დამიჯერებ: დავაწვინე თუ არა ლიზა ბასიას მაღალთავიან საწოლზე, – მაშინვე გაითიშა, მოიკუნტა, მომრგვალდა, როგორც ხის ტოტიდან ჩამოვარდნილი გახევებული მუხლუხო. ასე ემართებათ ხოლმე ბავშვებს სტრესის მერე: მყისვე იძინებენ, თავდავიწყებაში ჩაყვინთავენ ხოლმე, რადგან ახალ რეალობასთან გამკლავება არ შეუძლიათ. და, სანამ კომოდი გადავაჩოჩე, რათა ბარიკადები აღმემართა შემოსასვლელ კართან (დარწმუნებული ვიყავი, რომ ვილკოვსკი ლიზას

გაუჩინარებას არ დაუშვებდა, – მილიციაში განაცხადებდა ან მხოლოდ მისთვის ნაცნობ ძაღლებს მომისევდა), სანამ ფანჯრებს სქელ ფარდებს ავაფარებდი მჭიდროდ, – ლიზას უკვე მკვდარივით დასძინებოდა...

სხვათა შორის, აქამდე ვერ გამიგია, – როგორ შეგვრჩა ჩვენი ის გამოქცევა. ნუთუ ვილკოვსკი მიხვდა, რომ იმ სცენის მერე ლიზა მასთან აღარ დაბრუნდებოდა? თუ პირიქით, ჩათვალა, რომ ჩემთან გატარებული ერთი-ორი თვის შემდეგ ლიზა, ბოლოს და ბოლოს, შინ დაბრუნდებოდა დამნაშავე და მორჩილი? ან იქნებ რაც სავსებით შესაძლებელია, თუ გავიხსენებთ, რა კოშმარულად გამოიყურებოდა ვილკოვსკი ჩვენი ჩხუბის შემდეგ, – იმდენად ცუდად იყო, რომ დადევნების თავიც არ ჰქონდა? და, იქნებ, ვფიქრობ იმედმოცემული, – იქნებ კიდევ შერჩა რაღაც კაცური, ნამდვილი, და აღიარა საკუთარი მარცხი, როგორც მამაკაცს შეჰფერის?

იცი, ამაზე ახლაც კი ვფიქრობ ზოგჯერ... მრავალი წლის მერე გაირკვა, რომ ვილკოვსკის (ერთხელ კიევში სპექტაკლის შემდეგ ერთი გულაჩვილებული მოხუცი გენერალი მოვიდა ჩვენთან, ბანქოს თამაშში ტადეუშ იგნაცევიჩის პარტნიორი; ქათინაურებად დაიღვარა, საღამოს ჩაიზეც კი დაგვაპატიჟებინა თავი) – დიახ, ვილკოვსკის, როგორც იმ მოხუცმა მიგვანიშნა, არათუ რომელიმე სხვა ქალაქში არ გაუჭირდებოდა ჩვენი პოვნა, არამედ რომელიმე სხვა გალაქტიკიდანაც კი

მოგვთხრიდა, თუ მოისურვებდა.

ის არ იყო აგენტი, რადაც ბევრი თვლიდა; ის იქ მუშაობდა და რაღაც ჩინიც კი ჰქონდა, მგონი, მაიორის თუ პოდპოლკოვნიკის. თუმცა, არ მინდა შემეშალოს, მე ხომ ამ საქმეების არასდროს არაფერი გამეგებოდა.

მაგრამ ის, რომ მან ყოველთვის იცოდა, თუ სად ვიმყოფებოდით ჩვენ, – აშკარა იყო, რადგან ყველგან და მყისვე გვირეკავდა მისი საყვარელი, ის გოგო, რომელიც ბოლო წლებში მოახლედ ემსახურებოდა, და რომელსაც ერგო ბინაც და ყველაფერი, რაც შიგ იყო: მთელი ის ბურთებიანი ქალწულები, ბრინჯაოს ფავნები, ჭადრაკის მაგიდები...

მაგრამ ეს ყველაფერი მერე იყო. იმ ღამით კი აქეთ-იქით ვაწყდებოდი ლიზასთვის რამე ფეხსაცმლის ძებნაში, მაგრამ ვერაფერს ვპოულობდი ხომ გახსოვს ბასიას ვეება ფეხები...

და გათენებამდე, პირველ მატარებლამდე, სააბაზანოში მჯდომმა ბასიას გაცვეთილძირიანი ჩექმისგან რომაული სანდლები შევუკერე ლიზას. ლიზას ეძინა და ვერ გრძნობდა, როგორ ვუახლოვდებოდი, როგორ ვადებდი ხელისგულს მის მინიატიურულ ფეხს, როგორ ვუზომავდი ტერფის სიმაღლესა და სიგანეს, მერე კი ძველი ჩექმებისგან გრძელ ტყავის ლენტებს ვჭრიდი და ერთმანეთს ვაკერებდი. ხელები სულ დავიჩხვლიტე; ჩვენი ბედი, რომ ბასია არაფერს ყრიდა, ბაბუაჩემის ხელსაწყოებიანი ყუთიც შეენახა, რომელშიც

მეწაღის დანაც აღმოვაჩინე, სადგისიც, მსხვილი ნემსებიც და პაწია, ძირის შემოსარტყმელი ლურსმნებიც კი, რომლებითაც ტყავის ლენტები ლანჩებს შემოვაკარი.

(სხვათა შორის, ის სანდლები ლიზას ძალიან უყვარდა და სამი წელი ატარა: თასმები ისე კოხტად ეკვროდა მის წვივებს! მე კი ვნატრობდი, ნეტავ, პიტერამდე გაუძლოს-მეთქი. როგორც ჩანს, იმ ღამით ჩემმა მძვინვარებამ და ჩემმა სიყვარულმა, ჩემსავე მანიაკალურ სიჯიუტესთან ერთად, შექმნა ის მეწაღეობრივი საოცრება).

ვაგზლიდან მე სწორედ იმ ლიუდკა რასტოლჩინას დავურეკე; მას ჰიენასთან სიტყვა ეთქმოდა ასე უწოდებდნენ სტუდენტები ზურგსუკან როზალინა პლატონოვნას, სამსახიობო საერთო საცხოვრებლის კომენდანტს. ლიუდკამ მოისმინა ჩემი მხურვალე თხოვნები, ბრძანებებს უფრო რომ ჰგავდა, დედა მაგინა, მაგრამ არ მიმტყუნა:

– ხომ მიცნობ, – თქვა, – ყველა ჯანდაბის იქით გაგიშვებდა ამ უთენია დარეკვისთვის, მე კი გაგიგე. თან მაინტერესებს: ასე ვინ გაგხედნა, რომ ლამის იმას დაგამსგავსა, რკინის ხისმჭრელს...

კარგი, დაწყნარდი: არ მოკვდება აქ შიმშილით შენი გოგო...

– ცოლი, – შევუსწორე მე, ჟღერადობით

მოვსინჯე ეს სიტყვა, გემოთი, გულისცემით, გახეთქილ ტუჩებზე შემხმარი სისხლით. – ცოლი.

და, სანამ ცოცხალი ვიქნები, მუდამ მემახსოვრება ლიზას სახე ვაგზალზე, მისი საბრალო, დაბნეული სახე: ერთ ღამეში ამ გოგონას წაართვეს სახლი, მამა, ჩვეული ცხოვრება, მეგობრები და ქალაქი, რომლის ყველა კუთხე-კუნჭულს იცნობდა; მას წაართვეს ყველაფერი და ახლა, თვითნაკეთ სანდლებში გამოწყობილს, სადღაც, სრულიად უცხო ცხოვრებაში აგზავნიან. და არც ერთი დაჩივლება, არც ერთი საყვედური. თუმცა, ვტყუი: იცი, ვის გამო იკლავდა თავს ძალიან დიდხანს და ვის მისტიროდა? იმ ნათრევ-გაზუზნულ მაიმუნს, მარტინს იმას, იმ პირველ სათამაშოს, რომელიც მატვეევიჩის გულითადი ხელმძღვანელობით გავაკეთე ლიზასთვის: სათამაშოს, რომელმაც სხვა, ჩემი ღამეული სახელი მომცა...

ჰო ეს გამოთხოვების სცენა ვაგზალზე მთელი ჩემი ცხოვრება მემახსოვრება.

ჩემს საკუთარ, ჩემს ლამის კრუნჩხვასაყოლილ გულს, უბრალოდ, ვერ ვგრძნობდი. მაგრამ მე უნდა დავრჩენილიყავი, ბასია უნდა დამესაფლავებინა და ყველა ანგარიში უნდა გამესწორებინა ლვოვთან, სადაც თავისთავად იგულისხმებოდა უახლოეს წლებში ვეღარ დავბრუნდებოდით...

მას მერე ლიზას ასეთი დაბნეული ტრაგიკული სახე მხოლოდ ერთხელ ვნახე. როცა სამშობიაროში მივედი მის და ჩვენი ახლადდაბადებული ვაჟიშვილის წამოსაყვანად. მაგრამ ჯერ მთავარ ექიმთან შემიყვანეს და, თანაგრძნობით აღსავსე საუბრის შემდეგ, რომლის წყალობითაც სიტუაციაში გავერკვიე, გავედი დარბაზში, სადაც ჩვილები გამოჰყავდათ.

ლიზა უკვე იქ იდგა მედდასთან ერთად, რომელიც მისთვის კონვერტში გახვეული ბავშვის გამორთმევას ლამობდა. დაუწერელი კანონის თანახმად, ჩვილი მამისთვის მედდას უნდა ჩაებარებინა; მე გაფრთხილებული ვიყავი და პიჯაკის ჯიბეში ხუთმანეთიანი მედო გამოსასყიდი, ვაჟიშვილზე დაწესებული ტარიფი გოგონა უფრო იაფი დამიჯდებოდა. მაგრამ ლიზა ბავშვს არ ანებებდა მედდას. ის იდგა, გულზე მაგრად იკრავდა შეფუთულ ჩვილს და ისე შემომცქეროდა, როგორც შორეულ, მხსნელ ნაპირს, რომლამდეც ჯერ კიდევ კარგა ხანს უნდა იცურო. მე კი, ვისაც შიგნით ყველაფრის ნაცვლად ერთი დიდი სიცარიელე მქონდა, დიდი ხვრელი, – მეჩვენებოდა, რომ ჩემს ერთ ბავშვს მეორე უჭირავს, და ორივე ერთად იძირება ღრმა, დამღუპველ უფსკრულში, მე კი უძლური ვარ, ვერაფრით ვშველი.

კომეტასავით გაელვებულ იმ წამს გამახსენდა, როგორ მივათრევდი ლიზას ივან ფრანკოს ქუჩით ბასიასკენ მას, ჩემს ახალ ნამდვილთოჯინას, – და როგორ მიცურდებოდა ის ხელებიდან, როგორ

კრუსუნებდა, მე კი მუხლით ავაჩოჩებდი ხოლმე ზევით...

მე მათ მივუახლოვდი გახევებული ფეხებით, როგორც უნიჭო მეთოჯინის ხელში ჩავარდნილი მარიონეტი, ცისფერი ფუთის კიდე წამოვწიე...

ლიზამ სახეში შემომხედა, აცახცახებული ტუჩებით გამიღიმა და თქვა:

– მხიარულია, არა? შეხედე, როგორი... მხიარულია...

და რა, რა მივეცი მე მას, ჩემს მხედარს, ჩემს ერთადერთ სიყვარულს, – რომელმაც არ მიღალატა და ყოჩაღად შეახტა ჩემს ძვლოვან ზურგს?

დასაწყისში უბადრუკ თოჯინების თეატრებში ხეტიალი: ხუთი წლის განმავლობაში, მამამისის შიშით, ვმომთაბარეობდით, და თან კვალს ვშლიდით. თეატრს ყოველ წელს ვიცვლიდით. და ყოველ ახალ თეატრში მათხოვრულ ხელფასს ვჯერდებოდი უბრალოდ, ვერც კი ასწრებდნენ ჩემთვის კატეგორიის ამაღლებას. თან დროც არეული იყო უკვე, იმპერიის რღვევის დამშეული ხანა დამდგარიყო ვიღას ეთოჯინებოდა?

ჩემი პროფესიული დონე, ჩემი ოსტატობა განუზომლად გაიზარდა. “მაკბეტის”, კაფკას “პროცესის” დადგმის გეგმებს ვამუშავებდი... ყოველი შემთხვევისთვის ვაკეთებდი უნიკალურ თოჯინებს, რომლებიც არავის სჭირდებოდა... და იმავდროულად, ქალაქ

კარშის რომელიღაც პაწია თეატრში ვათამაშებდი ბრტყელთავა ალდარ კოსეს, და თავის მაღალინტელექტუალურ სიმღერას ვამღერებდი: “ზარდახშაო, არ გამთქვაო, არა, არ გაიღო ხმაო...” – ლოყაზე მელანქოლიურად ჩამოყრდნობილი ლიზა კი ჩაურთავდა ხოლმე: “სულელო!”

ლიზა ამას ადრეც ვხვდებოდი სრულიად უვარგისი გამოდგა ჩვენს საქმეში. რას იზამ, ასეა: ცოტაა დაბადებით მეთოჯინე. ლიზა ეწინააღმდეგებოდა ჩემს ნებისმიერ მცდელობას, რამე მესწავლებინა მისთვის, საშინლად ეჭვიანობდა თოჯინებზე და სცენაზე; ფეთქდებოდა, როცა თეჯირს უკან, რომელიმე მეთოჯინე ქალთან ჩემს მცირედ, იძულებით შეხებას მოჰკრავდა ხოლმე თვალს (მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენი წლისა იყო ის საბრალო პენსიონერი ქალი, და არც იმას, თუ რა ჯოჯოხეთურ სივიწროვეში ვიჭეჭყებოდით თეჯირს უკან ცხენებივით გაოფლილი მსახიობები)... მთავარი ის იყო, რომ ლიზა, ჩემი “მთავარი თოჯინა”... სულაც არ იყო თოჯინა. ის, ისევე, როგორც დედაჩემი, ბოლომდე, მთელი არსებით ადამიანი იყო.

რა დამამახსოვრდა იმ ცხოვრებიდან? შეუმდგარი სამსახიობო ბედისწერის მქონე სასაცილო ადამიანები. ბუხრის საწმენდივით დაგრეხილ-დაბრეცილი რაისა ეფიმოვნა, თოჯინების თეატრის ნახევარსაუკუნოვანი სტაჟის მქონე დირექტორი.

“ეს რა მსახიობები მყავს, ეს ქალები, –

ოხრავდა ხოლმე ის, – ჩამოუჯდები სალაპარაკოდ, ის კი წამოწვება...”

სიბერისგან ყველაფერი ავიწყდებოდა და, როცა ტელეფონი დარეკავდა, მივიდოდა და მკაცრი, ძალაუფლებიანი ტონით, ფრანგულ მანერაზე ამბობდა “ტეატლ!.. – და მყისვე დაფრთხებოდა ხოლმე: – უი! რას ვამბობ!” – და ყურმილს დებდა.

კომპანიის უმრავლესობას ხნიერი ადამიანები და ცხოვრებისგან გაქუცული მოუვლელი ქალები წარმოადგენდნენ, სოსისის გრძელ რიგში ბოლომდე ნადგომებს და ეს-ესაა იქიდან გამოსულებს რომ ჰგავდნენ. და, თუ საკუთარი თვალით არ ნახავდი, როგორ შეჭუჭყულიყვნენ ისინი თეჯირს უკან თოჯინებით ხელში, როგორ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს იმ სივიწროვეში და როგორ გადმოისროდნენ თეჯირს აქეთ თავიანთ გამჭოლ-გამკივან “თოჯინურ” ხმებს, ცხოვრებაში არ დაიჯერებდი, რომ “არტისტები” იყვნენ.

ეს იყო ლამის სრული იდიოტების უცნაური სამყარო. გამოუსწორებელი იდიოტების... თოჯინების თეატრებში დღემდე ქუჩიდან იყვანენ ხალხს. მსახიობებიც იდიოტები იყვნენ, რეჟისორებიც, კულტურის სამმართველოს მიმღები კომისიის წევრებიც, რომელთაგან ერთ-ერთი გამუდმებით ამას შეძახებდა ხოლმე: “სად გინახავთ ლურჯი ანგელოზები?” (ჩვენ ცოტათი მართლაც შევალილავეთ ანგელოზები: თეთრი ქსოვილი შუქს ხარბად “ყლაპავს”, ნთქავს მას).

თუმცა, ზოგჯერ ბეჯითი, კარგი ტექნიკის მქონე მეთოჯინეებიც შემხვედრიან. ბუნებისგან ნიჭით დაჯილდოებული მეთოჯინეებიც გამოერეოდნენ ხოლმე, რომლებიც თოჯინას ცოცხალ არსებად შეიგრძნობდნენ ელაპარაკებოდნენ მას, შინ მიჰყავდათ, საათობით იდგნენ მასთან ერთად სარკის წინ სარეპეტიციოდ. გასტროლებით სხვა თეატრში მოხვედრისას ისინი, პირველ ყოვლისა, კულისებს მიაშურებდნენ ხოლმე, – იქაური თოჯინების მოსასინჯად. ერთი სამჯერ მაინც გადავაწყდი ნამდვილ გენიოსს: როცა თოჯინა, ისე, რომ სრულიად არ ინძრეოდა მსახიობის ხელში, მაინც, მაინც ცოცხალი იყო... დაუჯერებლად ცოცხალი...

მახსოვს ერთი მათგანი: ბებერი ალკოჰოლიკი, რომლისთვისაც ყოველი სპექტაკლის წინ ფოლადის კბილები უნდა შეგეთეთრებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი სინათლეს ირეკლავდნენ. ის ერთ პატარა პიესაში ლომს ათამაშებდა, რომელიც ერთბაშად მოსულელო ხდებოდა. კურდღელი სკუპ-სკუპით მიდიოდა მასთან და წკრიალა ხმით ეკითხებოდა: “ბიძია, რას აკეთებთ?” ის კი პასუხობდა: “ცალ ფეხზე ვხტუ ნაობ!” და ერთხელაც, ამ ფრაზის თქმის შემდეგ, ის შედგა და ღრმად ჩაფიქრდა. როგორც ჩანს, საკუთარი უბადრუკი არსებობის უფსკრული გადაეხსნა თვალწინ. და ლომმა თქვა: “და რა ჩემ სირად მჭირდება ეს ყველაფერი?” – და მსახიობმა

დადო თოჯინა და სამუდამოდ წავიდა თეატრიდან.

მეც ბევრი აღარაფერი მაკლდა ასეთ რამემდე...

და აი, სასოწარკვეთილების ზღვარზე მყოფი, მოსკოვში გავემგზავრე. იქ ერთმა ჩემმა თანაკურსელმა დამპატიჟა, რომელიც ობრაზცოვის თოჯინათა თეატრში რეჟისორის თანაშემწედ მუშაობდა. მან დამითანხმა, ჩავსულიყავი და ჩემი ოსტატობა მეჩვენებინა, დროზეც შემითანხმდა. და პირველივე საღამოს გრაპელის კონცერტზე წამათრია. ხომ გახსოვს: ვირტუოზი, ჯაზ-მევიოლინე სტეფან გრაპელი – შუა ოცდაათიანებში ცნობილი ჯაზ-კვინტეტი რომ ჩამოაყალიბა დიდ ჯანგო რეინჰარდტთან ერთად? ისიც კი არ ვიცოდი, რომ გრაპელი ჯერ ისევ ცოცხალი იყო; ის კი არათუ ცოცხალი, არამედ ნამდვილი საოცრება გახლდათ: მისი ვიოლინო ახალგაზრდულად და ვნებიანად ჟღერდა; ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ეს ადამიანი 1908 წელს დაიბადა.

თუ არ ვცდები, მეოთხე პიესად რეინჰარდტის “მინორული სვინგი” ჰქონდათ.

ვერც კი გადმოგცემ, რა დამემართა, როცა შესავალი სიტყვის შემდეგ მოხუცმა, ჭაღარა გრაპელიმ ვიოლინო ასწია და დაკვრა დაიწყო... იმ წუთებში – სანამ მუსიკა ჟღერდა – ჩემი და ლიზას მომავალი ნომერი დავინახე. უფრო სწორად, დავინახე, როგორ ამოაბიჯებს ხოლმე ლიზა ქვედაკაბიდან,

როცა დაწოლის წინ ტანზე იხდის: მისი ორი პატარა ნაბიჯი დავინახე, მორიგეობით აწეული მისი ორი თხელი მუხლი. გახსოვს: “სულია?.. ხორცი?.. – ლანდი უცხო პატეფონს დაჰფრენს... თითქოს საქსოფონს შენი კაბა აუტყორცნია...”; ოქროსფერი თმის ნიაღვარი დავინახე მის საფეთქელთან, სქელი, ოქროსფერი თმის ნაკადები, სავარცხლის კვალდაკვალ რომ მიედინებიან, თავს ზემოთ აღმართული თლილი იდაყვი დავინახე...

და უცებ მივხვდი, თუ როგორ უნდა ჩამერთო ჩვენს ცხოვრებაში, სცენაში, თოჯინურ სივრცეში ხელოვნებაში! – ლიზას მოქნილობა, პლასტიკურობა, გრაციოზულობა და მისი მინიატიურული ტერფების სიფაქიზე.

მაგრამ მთავარი “სადადგმო ხილვა” როდი იყო: იმ მუსიკაში იყო რაღაც ისეთი, რაც პირდაპირ გვიკავშირდებოდა ჩვენ ორს, რაც მტკივნეულად და შიშვლად ჰყვებოდა ჩვენ შესახებ: როგორები ვართ, როცა ცუდად ვართ, და როგორები ვართ, – როცა ვართ კარგად; და როგორები ვართ, როცა მე ფავნი ვარ, ის კი ნიმფა, როცა მე მუშა და ხელოსანი ვარ, ის კი მიუსაფარი ობოლი... იმ მუსიკამ დამაჰიპნოზა: იმ თან ნაღვლიანმა, თან დამცინავმა, უსაზღვროდ მგრძნობიარე და უსაზღვროდ თავისუფალმა მელოდიამ...

მთელი ღამე რაღაცებს ვჩხაპნიდი ჩემს ბლოკნოტში და დილისთვის ნომერი, პრაქტიკულად, მზად მქონდა. მაგრამ მეორე

დღესაც წავედი გრაპელის მოსასმენად: ვიოლინოს ის გაწელილი ამოფრენები, მწარე-მელანქოლიური დარტყმები სიმებზე, უსაშველო სევდა და დაკარგული სიხარულები, ყველაფერი, რაც სულს ესოდენ კორტნიდა, – ერთხელ კიდევ უნდა მომესმინა...

მერე პიტერში გავყევი გრაპელის და მაესტროს მიერ ჩატარებულ სამივე კონცერტს ბეჯითად დავესწარი. ახლა ამ პიესის ყველა ტაქტი, ყველა პაუზა ვიცოდი. ახლობლების დახმარებით ორიგინალური, 1937 წელს ჩაწერილი ვერსია ვიშოვე: ვიოლინო გრაპელი, გიტარა თვითონ ჯანგო რეინჰარდტი, გენიალური ბოშა... – და ობრაზცოვის თეატრში ფეხიც არ მიმიდგამს, ისე გავემგზავრე აშხაბადში, რომ ლიზა წამომეყვანა და რეპეტიციები დაგვეწყო.

ნახევარი წლის შემდეგ ჩვენმა ნომერმა მთავარი პრიზი მიიღო ბერლინის საერთაშორისო ფესტივალზე... კიდევ ხუთი თვის მერე ჩვენ გრან-პრი ავიღეთ ბარსელონაში, მერე კი პრიზების, კონრაქტებისა და გასტროლების წვიმა წამოვიდა...

და ერთ საღამოს, ჩვენი გამოსვლის შემდეგ იმ გაზაფხულზე პოლონეთსა და გერმანიაში გვქონდა გასტროლები, – უკვე გრიმმოცილებულმა, ნახევრად მძინარე, თბილმა, ჩემს მკლავზე მძიმედ თმადაფენილმა ლიზამ უცებ მთელი ტანით წამოიწია, მოიღვენთა და იდუმალი ღიმილით ნელა ჩაილაპარაკა:

– იცი, მგონი, ორსულად ვარ...

და თუმც ეს მთლიანად აბურდავდა ჩვენს საშემოდგომო და საზამთრო გეგმებს, – უკან დაგვრჩებოდა ფესტივალები, გასტროლები, მასტერკლასები... – სადღაც, ჩემ შიგნით, ნაზი და მომთხოვნი ბიძგი ვიგრძენი, თითქოს ლიზას კი არა, მე უნდა მეტარებინა მუცლით ჩვენი შვილი; სხეული დავჭიმე, შინაგანი კუნთები ავათამაშე, ხმამაღალი, ბავშვური ყვირილით ავკნავლდი, თითქოს ვადამდე მოვავლინე იგი წუთისოფელს... ლიზას სიცილი აუტყდა და ყურით დაებჯინა ჩემს მუცელს. მე კი ვიწექი, ორივე ხელით ვეფერებოდი ჩემს მუცელზე დაფენილ მის სამსონურ დალალებს, ცალკეულ ნაკადებად ვანაწევრებდი მათ, ცეცხლოვან მათრახებად ვწნავდი და ისევ ვშლიდი... ჭერს ვუღიმოდი და ვცდილობდი წარმომედგინა, როგორი დაიბადებოდა ის ჩვენი შვილი...

აი, ჭექა-ქუხილმაც გადაიარა და შეწყვიტა განგაშის ზარების რეკვა; ქარი ჩაშოშმინდა. შეუვალი ფანჯარა დგას, ვითარცა ალიონის ციხე-სიმაგრე, რომელმაც ალყას გაუძლო. მაგრამ მის მიღმა ისევ ტრიალებს, ისევ ბორგავს თეთრი მხეცი, საკუთარ კუდს დასდევს, მილიარდობით ფანტელს აფრქვევს ხახიდან...

იქნებ, ეს მართლაც ვიღაცების სულებია?

ელისი რომ გავაკეთე, პირველ ხანებში მტანჯველი სიზმარი მესიზმრებოდა ხოლმე: ვითომ, ის გაცოცხლდა და მეუბნება: “ხედავ,

შენ მე შემქმენი, სიცოცხლე შთამბერე, ახლა კი მინდა, შენი ცოლი გავხდე”. და მე, რაღაც ჯიუტი ძალისგან შეშინებულ-შეძრწუნებული, ძილშივე ვლუღლუღებ რაღაცას მის პასუხად, რომ მაპატიე, უკვე მყავს ცოლი... და უცებ სევდიანი ლიზა ჩნდება... რაღაც მომენტში ვაცნობიერებ, რომ ერთმანეთისგან ვერ ვასხვავებ მათ, და ნამდვილ, ნამდვილ უბედურებას ვგრძნობ სად, სად არის ჩემი ლიზა, რომელი მათგანია ლიზა?! და ხმამაღლა, უნუგეშოდ ვტირი, ბავშვივით ვიწვდი მათკენ ხელებს და ვყვირი: “ლიზა! სად ხარ, ლიზა?!”

“მე ვარ შენი ცოლი!” – მეუბნება ერთი. “არა, მე ვარ!” – ამბობს მეორე... სიზმარში ეს ყველაფერი ნამდვილი ტრაგედიაა.

უცებ, შვებით ვხვდები, რომ გამოსავალი მარტივია: სულ დამავიწყდა, რომ ელისი ისაა, რომელსაც მწვანე კაბა აცვია. და ისიც შეუდარებელი, “თოჯინური” ღიმილით, ღიმილით, რომელიც ლიზასგან განასხვავებს, – მყისვე აიტაცებს სიტყვებს და ამბობს: “გამოსავალი მარტივია. ის, შენი ძველი ცოლი, უბრალოდ, უნდა მოკლა. ის ხომ უკვე აღარ ცეკვავს შენთან. რაღაში გჭირდება?”

ცივ ოფლში გაღვრილს მეღვიძებოდა ხოლმე და ვერც ვინმეს ვუყვებოდი ამ სიზმრებს.

(გითხრა, როდის მახსენდება ხოლმე ეს სიზმრები? როცა ბახ-გუნოს “ავე მარიას” ვუსმენ ანდრეა ბოჩელის შესრულებით; იმ ადგილზე ლოცვა-ვედრების კულმინაციისას – როცა თავისი განუზომელი ტენორით

მომღერალი მიღმურ მწვერვალებს აღწევს, როცა ბრაზით, მომთხოვნად უხმობს “მარი-ია! მარ-ი-ია!!!”... ის კაცობრიობის უსხეულო, უარსო ოცნებას შეჰღაღადებს. იმიტომ, რომ ადამიანებს არ სჭირდებათ სხეულებრივი ქალი, რომელმაც მათ ღმერთი უშვა. ადამიანებს ამ ქალზე ოცნება სჭირდებათ. და ღმერთიც მოკლული, ჯვარცმული, და აღმდგარი სჭირდებათ... – როგორიც გნებავთ, ისეთი, ოღონდ იქ, მიუწვდომელ სიშორეში მსუფევი, კი, კი ბატონო, მხოლოდ არა აქ, გვერდით მყოფი. უსხეულო არსი ხომ ისეთი პლასტიკურია ჩვენს ხელში, ჩვენს სულებში; და ისეთი დამყოლია ყველაფერში...

იმ ღამეულმა კოშმარებმა მიმახვედრა, რა შევქმენი და რას მივაღწიე: მე ჩემი უსხეულო ოცნება განვახორციელე; საკუთარი უსხეულო მარია გამოვჩორკნე...

და მას შემდეგ ჩემი გული დაუსრულებლად უხმობდა მას ძილში: გაწელილი, გაწელილი ღაღადით...)

მოკლედ, დადგა ჟამი, როცა აღარ ვიძინებდი, რადგან თავზარდაცემით ველოდი მორიგ ასეთ სიზმარს. სრულიად მოვიშალე და ხმაურიანი წარმატების ფონზე ძალიან ახლო ვიყავი იმასთან, რომ საკუთარი ხელით გამენადგურებინა ჩემი შესანიშნავი ქმნილება, ჩემი საუკეთესო თოჯინა, ჩემი უფაქიზესი ნამუშევარი, ჩემი და ლიზას მარჩენალი მორჩილი უსულო ნაკეთობა, მაყურებლის ალალი სიხარული...

ვიცი: ერთ დროს შენც ფიქრობდი, რომ ასე აჯობებდა. მაგრამ გამბედაობა არ მეყო. ნეტავ, იცოდე, რამდენი შრომა და ხელოვნება ჩავდე ელისში! თანაც, რა ფულით ვიცხოვრებდით მერე? არც “ხიდი” და არც “კამპა” იმდენ ფულს არ მოგვცემდა, რამდენსაც ჩემი და ელისის უკვე სახელგანთქმული, უკვე “საფირმო” ცეკვა გვაძლევდა. ამასთან, შვილის სიკვდილის შემდეგ ლიზამ გადაჭრით განაცხადა უარი სცენაზე გამოსვლაზე... თუნდაც ელისის გაყიდვა გადამეწყვიტა – არადა, ის დიდ ფულად გაიყიდებოდა, – სულერთია, აღებული თანხა მთელ ჩვენს სიცოცხლეს ვერ უზრუნველყოფდა; და თან, რომ წარმოვიდგენ, რომ ჩემი საბრალო, გენიალური გოგონა სამუდამოდ განწირულია ვიღაცის კერძო გალერეაში ან მუზეუმში დგას მინის უკან... და აღარასდროს ეღირსება სცენაზე ერთი პაწია ნაბიჯის გადადგმაც კი, აღარც ხელის აქნევა მუსიკის ფონზე, აღარც გრაციოზული პირუეტი...

...სანამ ამ უსასრულო, შეშლილ წერილს გწერდი, გათენდა კიდეც. ჩემი ჩამქრალი სანთლის ნამწვი კოლობოკის კუნძს წააგავს, სწორედ ისეთს, თოჯინების თეატრის მხატვარი რომ დაამზადებს.

ფანჯრის იქით ქარბუქი კი არ ჩადგა, არამედ “შედგა”. ის მდუმარე კედლადაა აღმართული – მიტევებული მილიარდი სული და ჩემი ვაჟიც მათ შორის – ჩემი შვილი, სახეზე სიცილი რომ დაჰყვა დაბადებიდან და უარი რომ განაცხადა მთელი ცხოვრება მის

ტარებაზე...

ხანდახან მორდვინოვის ყურეს გედები მახსენდება ხოლმე. ისინი გაზაფხულობით ჩერდებოდნენ იქ, სანამ უფრო შორს, ჩრდილოეთისკენ გაფრინდებოდნენ. აი, რას ვერ გადმოსცემ თოჯინით: გედის ფრთის ღონიერ აქნევას გადაშლილი ცის უსასრულობაში. გესმის? – ყველა ადამიანური ჟესტი, ყველა გრძნობა შეიძლება, რომ თოჯინით გადმოსცე. მაგრამ ეს თავისუფალი, გამოსათხოვარი ფრთის აქნევა... – მისი გადმოცემა შეუძლებელია...

ახლა ფანჯარაში გავიხედე: ქუჩები ვიწრო ბილიკებად ქცეულა, და მეზობლის გოგონა ორი თავისი სიმაღლისხელა გვირაბს თხრის თოვლში ისევე, როგორც მე ვთხრიდი ბავშვობაში.

არასდროს გამახსენო ეს წერილი.

დღეს ჩემი ვაჟიშვილი რვა წლის გახდა...”

თავი მეათე

“...მესამედ ვკითხულობ პეტიას წერილს. ახლა ეჭვი მეპარება, რომ ხუთი წლის წინ მოთმინება მეყო, ბოლომდე გამერჩია ეს გაუსაძლისი, წვრილი, “ჩხვლეტია” ხელწერა. და აი, ლამის მთელი ღამეა ვუზივარ ამ მოქვითინე-მოღრიალე ბატიფეხურს, და თან საკუთარ მოუთმენლობას, საკუთარ მარადიულ დაკავებულობას და საკუთარ გულკეთილობას ვწყევლი...

...სტივენსონს უწერია, მგონი, სადღაც: “დამძიმებული გულით, მკერდში დიდი მღელვარებით განვაგრძობ წერას...”.

და საერთოდ, რა ჯანდაბად მოჰკიდეთ ხელი, ექიმო გორელიკ, ამ საქმეს?

რას ეძებდით ამ დაბურდულ ეკალ-ბარდებში? რატომ ჩათვალეთ, რომ შეძლებდით თუნდაც ქაღალდზე თქვენი მიკროსკოპით, სხვათა სულების დაფატვრას და გამოკვლევას? ჰა?! დუმს ექიმი. პასუხს არ იძლევა...

გუშინ დავბრუნდი პრაღიდან, სადაც საშობაოდ ჩამაქანა ბედისწერამ “გასართობად”. ჰოდა, გავერთე: ჯერაც ვერ მოვსულვარ გონზე.

სიმართლე რომ ვთქვა, უბრალოდ, ძალიან მომინდა მათი, ორივეს მონახულება ბოლო ჯერზე მეტისმეტად უგემურად დავშორდით ერთმანეთს. იერუსალიმი ლიზასთვის საერთოდაც, – ყველას ყველასთან განშორებაა, საავადმყოფოს ერთი დიდი

პალატაა. და პეტია ხომ... როცა ის ლიზამონატრებული, დამშეული, გაძვალტყავებული, ეშვებალესილი მგელი გამომეცხადება, – ერთიანად დაძაგრული, ზამბარასავით დაჭიმული და სავსებით მზა საიმისოდ, რომ ყელში ჩამაფრინდეს, ოდნავ მაინც თუ მივანიშნებ, რომ ლიზას არ აწყენდა კიდევ ორი კვირით დარჩენა კლინიკაში... – არა, ასეთ დროს, უბრალოდ, მეშინია მისი.

ვიყოყმანე წავსულიყავი, არ წავსულიყავი. გადავწყვიტე, დამერეკა, მათი ხმებისთვის მომესმინა, გამერკვია როგორი განწყობა სუფევდა იქ, მათთან. დავრეკე და ლიზა შემხვდა.

– ბორია! – შესძახა მან, და უცებ ისე, ისე გამიხარდა მისი ოდნავ ჩახლეჩილი, “პუნქტირული” ხმა! – ბორია, ჩამოხვალ?

გავიფიქრე: ასე იყოს! ვინახულოთ ერთი, “შავი ცხვარი”... ჩემოდანში თბილი ტანსაცმელი ჩავტენე (ინტერნეტი ევროპაში რაღაც საშინელ ყინვებს მამცნობდა, ბატონი მეთოჯინისგან კი ჩემი ციკლოპური ზომის ტყავს ვერ ითხოვებ), და ღამის რეისით გავფრინდი.

და პირდაპირ “მაკნატუნას” დეკორაციებში ამოვყავი თავი.

ბევრჯერ ვყოფილვარ ამ ქალაქში, კარგად ვიცნობ მას, მიყვარს... მიყვარს რესპუბლიკის მოედნის ვეება ფანრები, რომლებიც ნემსიწვერებით სავსე საყვავილეებით არის

გარშემორტყმული; მიყვარს აქაური მანსარდების ფანჯრები, რომლებიც ისე ამომსკდარან კრამიტის სახურავებში, როგორც გაზაფხულის კვირტები ბებერი მერქნიდან; მიყვარს ქვაფენილზე ცხენების ფლოქვების ხმა და ღია ოთხთვალებში შებმული მორთულ-მოკაზმული ცხენები: ცისფერი უნაგირი, ცისფერი სამკერდე, ცისფერი ჩაჩები დაცქვეტილ ყურებზე...

მაგრამ თოვლით დაზვინული, თეატრალურ ფანართა მტევნებით ჯადოსნურად განათებული პრაღა ეს განსაკუთრებული ჟანრია: ბალეტისა და სიზმრის ნაზავი, შემწვარი შპიკაჩკების მძაფრი სურნელის თანხლებით.

სტარომესტსკაიას მოედანს სვეტად დასდგომოდა თავს საშობაო ბაზრობის მხიარული ჟრიამული ყველა სახის მხიარულებათა შორის ყველაზე სახალხო, ყველაზე უწესრიგო და ყველაზე მადისაღმძვრელი მხიარულება.

ცენტრში მოწყობილი იყო ვეება, გირლანდებითა და ნაძვის ტოტებით მორთული სცენა, სადაც ეკრანი იყო დამონტაჟებ ული. თოვლით გაბურუსებული ცისკენ აზიდულიყო მბრწყინავ-მოელვარე ნაძვის ხე, რომელსაც მჭიდრო წრედ შემორტყმოდა გარს “სტანკები”, – ათასნაირი გემრიელობებით სავსე საშობაო ქოხები. ყველაფერი იყიდებოდა, ყველაფერი იქვე მზადდებოდა, ილესებოდა, იჭედებოდა, ტრიალებდა, იხრაკებოდა იქვე, მყიდველთა თვალწინ. ქოხში, სადაც უფაფუკესი

ტრდელნიკები ცომის დარიჩინ და შაქარმოყრილი რგოლები იყიდებოდა, – ღუმლის მხურვალებისგან ღუმელზევე არანაკლებად გახურებული მცხობელი ქალის ქათქათა ხელები დაუღალავად დაფრინავდნენ და გაჭიმული ხელისგულებით აბრტყელებდნენ ცომის უსასრულო ლენტებს.

და გრძელ შლეიფად მოგყვებოდა უკან შემწვარი შპიკაჩკების სურნელი, რომელიც იბლანდებოდა თმაში, უღიტინებდა ულვაშს, უბეში ძვრებოდა და ჯიბეებში იკალათებდა ასე რომ, მერე შინ შეგეძლო იმ სურნელით გევახშმა კიდეც...

იმ გადატვირთულ დღეებში პეტიას აშკარად არ ჰქონდა ჩემი თავი: შემოსავლიანი დრო ედგა. დატაცებაზე იყო. თეატრებიდან ურეკავდნენ, პროგრამებში იწვევდნენ, ვიღაცების შეცვლას, სადღაც სასწრაფოდ ჩასვლას სთხოვდნენ, გამოსვლები კი წინასწარ იყო გაწერილი, ასე რომ, საქმეების ხელახლა გადალაგება, თარიღების შეცვლა ხდებოდა საჭირო, მუდმივი სიჩქარე, სადღაც გაქცევა...

პეტია მშვენიერ განწყობაზე იყო: ჯერ ერთი, ვიღაც მათ სამარელ ანგელოზ-მოურავს, რომელსაც საოპერეტო სახელი სილვა ერქვა, კარგ ფასად მოეხერხებინა დეიდის ბინის გაყიდვა; და ახლა დილა იწყებოდა იმით, რომ თმაგაწეწილი, პიჟამოიანი ლიზა ღონივრად ქანაობდა სარწეველა სავარძელში, ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ფეხიდან სძვრებოდა პაწია ქოში, ფანქრით

ინიშნავდა სამაკლერო კანტორების განცხადებებს ადგილობრივ გაზეთში და წარამარა შესძახებდა ხოლმე აღშფოთებული: “საზიზღრები! სამი ათასი ერთ კვადრატულ მეტრში?!” – ანუ, იგი საქმით იყო დაკავებული და გატაცებული, – რაც კარგი ნიშანი იყო.

მეორე: ხანგრძლივი მოლაპარაკებებისა და მრავალი სატელეფონო ზარის შემდეგ პრაღის ხელოვნების აკადემიის დირექციამ პეტია სათოჯინო კათედრაზე მიიწვია სამსახიობო ხელოვნების კურსის წასაკითხად.

დაბოლოს, მესამე: მაისის დასაწყისში შოტლანდიელები პეტიას რომელიღაც საერთაშორისო ფესტივალზე იწვევდნენ. თუმცა, შეცდა და ლიზას წააკითხა მოსაწვევი, სადაც ეწერა: “მეუღლესთან ერთად”, და ლიზაც აღფრთოვანდა. არადა, როგორ უნდა შეეთავსებინა ერთმანეთთან ის ორნი ცოლი და პარტნიორი, იმ ჩვენს დრამატულ გარემოებებში? იფიქრე, პეტრუშკა, იფიქრე.

მოკლედ, იდგა ზამთრის დღესასწაულების ნაყოფიერი და კეთილი ჟამი, და პეტიასა და ლიზას შორის ვხედავდი ამას ყველაფერი კარგად იყო; რამდენიმედღიანი დაკვირვების შემდეგ წამლის დოზაც კი შევუმცირე ლიზას.

როგორც გაირკვა, არ უნდა მექნა ეს.

ჰო, მართლა, ერთი აღმოჩენაც გავაკეთე.

იდუმალი.

პირველივე საღამოს პეტკას რაღაცის გამოღება უნდოდა ვეება, ყველასგან მიტოვებული კარადიდან, რომელიც, მისი თქმით, ცხენებისგან ერგოთ მემკვიდრეობით. მან კარი გამოაღო და ზედა თაროზე, სადაც უცხოს ნამდვილად არ უნდა შეეხედა, მე კი ჩემი სიმაღლის წყალობით, ხელისგულივით გადამეშალა ყველაფერი, – ნახევრადბნელში რაღაცით ნაცნობი თოჯინა გავარჩიე, მხოლოდ პეტკასი კი არა, – ვიღაც სხვისი.

– დაიცა... – ჩავილაპარაკე და მაცივრისკენ შემოვტრიალდი. მაცივარზე მაგნიტით მიწებებულ ძველ ფოტოზე პატარა ლიზას გვერდით სწორედ ის იჯდა... ვილკოვსკების ოჯახის სწორედ ამ “სამშობიარო თოჯინაზე” ხომ არ მესაუბრებოდა ექიმი ზივი? ეს ხომ არაა ის დრამატული პრიზი, რომელიც ბანქოში იქნა წაგებული, მერე ოჯახში დაბრუნდა და მერე კი ისევ დაიკარგა? არადა, აშკარად ის იყო ჟილეტში გამოწყობილი, კიკინებიანი ბებერი ებრაელი, ხელში ჩიბუხი რომ ეჭირა, რომლის სპილენძის მუნდშტუკი რბილად ელვარებდა კარადის სიბნელეში... აქამდე სად ინახებოდა? ან საიდან გაჩნდა აქ?

– დაიცა, ეს ხომ...

პეტკამ თითი მიიჭირა ტუჩებზე, რბილად მოაშორა ჩემი ხელი კარადის კარს, მიხურა იგი და ჩაიბურდღუნა:

– მერე... სხვა დროს.

რომ ჩავედი, როგორც ყოველთვის, ფარდულიდან ამობრძანებულ იქნა “ექიმის საწოლი” – რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა ხის ჩარჩოში ჩამაგრებული ჩვეულებრივი მატრასი, პეტკამ პრაღაში ჩემი პირველი ჩასვლისთანავე რომ დაამზადა. მატრასი გაყინულ-გაქვავებული იყო, ჩვენ სახლში შევიტანეთ ის და სახელოსნოში, კედელს ავაყუდეთ, რომ დაღამებამდე გამთბარიყო და დარბილებულიყო.

სააბაზანოდან რომ გამოვედი, და ხარბად შევიყნოსე შემწვარი ხახვის, ანუ საფირმო კერძ “ექიმ გორელიკის რვა კვერცხის” სურნელი, – ჩემი “საწოლი” უკვე ათვისებული დამხვდა; ზედ ორნი ჩამომსხდარიყვნენ: ფაიუმოჩკა და ესტრადის ვარსკვლავი ანჟელა ტაბაჩნიკი. ისინი ყოველთვის დუეტში მუშაობდნენ და ძალიან სასაცილო დიალოგებს მართავდნენ. ამჟამად ჩხუბობდნენ: ერთმანეთისგან კარგა მოშორებით ისხდნენ, ფეხები გადმოეკიდათ და გაცეცხლებულნი ილანძღებოდნენ.

“შე სქე-ე-ლ-ტრა-კა...” – წელავდა ფაიუმოჩკა თავისი ხავერდოვანი ხმით, – “გინდა ე-ექიმს ლო-ოგინი გაუთბო, ა-არა? გინდა ამაღამ ლო-ოგინში ჩაა-უგორდე, არა-ა?”...

ანჟელა ტაბაჩნიკი კი რას აღარ უწოდებდა მას გამწივანი ხმით: თავხედს, საცოდავ ოყნას, ყეყეჩს... თან კი რაღაცებით ტრაბახსაც ახერხებდა: “ოჰ, რა მშვენიერი ლიფი ვიყიდე”, – ამბობდა და უდიერ

ინტონაციას ჭეშმარიტი პოეზიით ცვლიდა, – “პირისფერი, მაქმანიანი, წითელ ვარდებიანი...”

ჩემი მეგობარი ამ დროს მაგიდასთან იჯდა, ორივე ყურსუკან ფანქრები გაერჭო, ჩაღრმავებულად ჭმუხნიდა წარბებს, ხან ერთ ფანქარს გამოიძვრენდა და თმას იფხანდა იმით, ხან მეორეს, – მოკლედ, თავს საქმეში ჩაფლულად მაჩვენებდა.

“რამდენი ქმარი გყავდა, ჰა?“ – არ ცხრებოდა ფაიუმოჩკა, – “ახლა ექიმი მოგინდა არა, შეE უნამუსო!”

ანჟელა კი დაუყოვნებლად უბრუნებდა ხურდას და თან სულ ტრაბახობდა ახალი საცვლების მაცდუნებელი სილამაზით აშკარად მიზანში ჰყავდა ამოღებული “ექიმი”; აქებდა მაქმანებს, ღილკილოს, წითელ ვარდებს... მილიონ, მილიონ წითელ ვარდს... აი, ერთხელაც გამიტანს მანქანაო, ამბობდა მეოცნებე ხმით, ჰოდა, რომ გამხდიან ტანზე კლინიკის მიმღებში, მთელი მედდები შურით გასკდებიან, ენებს ააწკლაპუნებენ შურითო...

– ხომ არ კმარა? – თქვა ბოლოს ლიზამ და ტაფაზე ერბოკვერცხი გადააბრუნა. პეტკამ სამუშაოს თავი ანება, თოჯინებს მიაშტერდა, თითქოს უკვირს, ამათ აქ რა უნდაო, და დასძახა:

– ჰეი, თქვენ, მოკეტეთ რა!

მერე წამოდგა და სხვადასხვა კედელს მიაკიდა ორივე.

– ბორია, – თქვა ლიზამ და თან თეფში დამიდგა წინ მაგიდაზე, – ვერ ამჩნევ მსგავსებას აქაურობასა და შენს კლინიკას შორის?

ღამისთვის მატრასი განვათავსეთ იქ, სადაც, ჩვეულებრივ, ვდებდით ხოლმე; კარ-ფანჯრის გასწვრივ, ისე, რომ დაწოლილი, ფარდებს შორის ღიობში კარგად ვხედავდი მონასტრის კედელზე ძარღვებად დაქსაქსულ სუროს, ბოძზე დამაგრებულ ეზოს თუნუქის ფანარს, ფარდულის დაბრეცილ კარს და ყინულოვან გორაკებს, რომელთა წიაღშიც ფიქრიანი თოვის კორიანტელში აჩრდილურ მაგიდას აჩრდილური პეტკა დასტრიალებდა თავს...

ღამით ჩემთან განკაზმულმა სამფეხა ყარაგიოზმა მოირბინა, მატრასზე ამოხტა, მოიკუნტა, ჩემს გაბანჯგვლულ მკერდზე ჩათბა, და რაღაც მომენტში ჩამეძინა, მერე გამეღვიძა, ისევ ჩამეძინა... და ისევ გამეღვიძა, როცა ოთხის ნახევარზე მწყემსმა გოგონამ თავისი გაბზარული სიმღერა დაამღერა ძველებურ საათზე, რომელსაც ვერა და ვერ შევეჩვიე. პეტკა კი ისევ იჯდა, გულმოდგინედ ხაზავდა რაღაცას და ფურცლებს აშარიშურებდა.

ორი სარჭიანი სანათური, მაგიდის კიდეზე რომ მიემაგრებინა, ქვემოდან უცნაურად ანათებდა მის სახეს ყვითელი შუქით. და ეს იდუმალი შუქი, ეს შიშნეული ვეება ჩრდილები, მისი ხელის ოდნავ აქნევაზეც კი რომ დასხლტოდნენ კედლებზე, თოჯინები, სიბნელეში მოთმინებით რომ ელოდნენ

ნიშანს რაღაც მოქმედების დასაწყებად; და, რაც მთავარია, პეტიას უჩვეულოდ განათებული შუასაუკუნეობრივი სახე: სკულპტურული ნიკაპი, არწივისებური ცხვირი, მაღალი წარბები... – ეს ყველაფერი არარეალურ, სიზმრისეულ სანახაობას ქმნიდა, – შემაშინებელსაც კი... იქნებ, ოდესღაც, პრაღის გეტოს ერთ-ერთი სახლის ღრმა სარდაფში, სწორედ ასე, სანთლებზე დახრილი იჯდა დიდი და ძლევამოსილი, უგანათლებულესი რაბინი იეჰუდა ლევ ბენ ბეცალელი, და თავისი უზარმაზარი თოჯინის გაცოცხლების ხერხებზე ფიქრობდა?..

– რას აკეთებ? – ჩავიბუტბუტე, რათა ეს შემოწოლილი აზრები გამეფანტა.

– ისე, არაფერს... ცუგას ყავარჯენს პოროლონი დავაწებე. ძალიან დაკაკუნობს. აღარ შემიძლია...

– შენ რა, საერთოდ არ წვები? – გავიოცე ძილმორეულმა, და მან თავის აუწევლად ჩაილაპარაკა:

– მიდი, დაიძინე, დაიძინე. სტუმარი ხარ...

მერე მაინც ადგა, ნათურები ჩააქრო და გავიდა. საძინებლიდან მომესმა, როგორ ჩაიბურტყუნა ლიზამ რაღაც გაურკვეველი კითხვა, და პეტკას ხმამ ჩურჩულით მიუგო რაღაც ამდაგვარი: “წიპა-წიპა-წიპა”... მერე საძინებლის კარი მჭიდროდ მოხურეს, და ნახევრად მძინარემ ბიბლიური ფრაზის ფორმით გავიფიქრე: “და შევიდა კაცი იგი ცოლისა თვისისა თანა...”, ჩავიცინე, საკუთარ თავს შევუსწორე: “ცოლისა ჩემისა თანა”...

გვერდზე გადავბრუნდი, ყარაგიოზის ცხელი, გამხდარი სხეული მივიხუტე და, ბოლოს და ბოლოს, ღრმად ჩამეძინა.

* * *

დილით კი ლიზას გაღვიძებას არ დაველოდეთ და ადრიანად გავიმზადეთ საუზმე, – პეტიამ მკითხა:

– საღამოს წამოხვალ ჩემთან ერთად? ერთ მოკაბარეო კლუბში ფულის გაკეთებას ვაპირებ. ნაღდ ფულს მაძლევენ ხელში, კვებაც იმათია, თან ამბობენ, გემრიელი საჭმელები აქვთო. – კითხვითი მზერით დაელოდა ჩემს თავის დაქნევას (პირს არ ეცალა), და დაამატა: – ოღონდ იცოდე, ლიზას ვეუბნებით, რომ კორპორატიული წვეულებაა.

მივხვდი, რომ კონკრეტულად მისი და ელისის ნომერი იყო შეკვეთილი. გამახსენდა პროხაზკების გალერეაში ჩემი უნებური შეხვედრა ელისსთან და ისე ავირიე, თითქოს რაღაც საიდუმლო ინტრიგაზე ვლაპარაკობდით.

– და ლიზასაც რომ მოუნდეს წამოსვლა?

– რატომ უნდა მოუნდეს? ჯერ ერთი, მოსაწვევი ორი ადამიანისთვისაა, შენ კი სტუმარი ხარ და ვალდებული ვარ შენ დაგპატიჟო. მეორე, ლიზა ვერ იტანს ხალხმრავლობას და, მესამე, საღამოსკენ უკვე დაღლილია ხოლმე.

– ცეცხლს ეთამაშები, პეტკა! დიდი ხანია, რაც მოპარულ სულზე აღარაფერი გვსმენია?

– შემეშვი, ნუ დამჩხავი, – მშვიდად მიპასუხა მან, თან კარაქს უსვამდა ტოსტს. – ლიზა მშვენიერ ფორმაშია, – თხელი თაფლით სავსე პაწია ქილა გახსნა, თავისი თეფშისკენ გადახარა და ქარვისფერი ნაკადით ნელა გამოიყვანა გოთიკური ასო “ლ“. მერე კარს გახედა და ხმადაბლა თქვა: – გარდა ამისა, ლიზა დარწმუნებულია, რომ ელისი უსაშველოდ დალეწილია: იცის, თითქოს ცეკვისას ფეხი ამერია, ელისიანა ისე გადმოვეხეთქე სცენიდან, რომ მთელი მისი მექანიკა დაიმსხვრა, თვალიც გაუსკდა, და ასე შემდეგ, და კარგად დაიმახსოვრე ეს ყველაფერი... კაბარე კი ხუთ წუთში ხუთას ევროს იძლევა. რა ვქნა უარი ვუთხრა? შენ რა, გამოსირდი? ღმერთის გეშინოდეს!

მეც კეთილგონივრულად გავჩუმდი: ხუთასი ევრო დამაჯერებელი მიზეზია.

ვუცქერდი მის ხელებს, მაგიდის თავზე ყოვლად ჩვეულებრივ მოძრაობებს რომ ახორციელებდნენ, და ვფიქრობდი, რომ საღამოს ეს ხელები სულ სხვა სამყაროში იქნებოდნენ: თოჯინის ნაწილად იქცეოდნენ, ჯადოსნური მოქმედების ნაწილი გახდებოდნენ.

ეს იყო პრაღაში ჩემი ყოფნის ბოლო დღე. ხვალ, გარიჟრაჟზე მივფრინავ.

პეტკა კი აჩქარდა, წამოხტა, სახელოსნოში დაიწყო წრიალი, რაღაც საჭირო ნივთებს ტენიდა ზურგჩანთაში, წარამარა ედებოდა ჩემს მატრასს, ილანძღებოდა...

როგორც იქნა, გადაყლაპა თავისი გაციებული ყავა და გავარდა.

მე, მარტოსული სტუმარი, სახელოსნოში ავბორიალდი. დილის ცივ, სრულიად არაიდუმალ შუქზე თოჯინები რაღაცნაირად, არასაზეიმოდ, ყოფითად ეკიდა კედლებზე... სახელოსნოს ლამის ნახევარი საოცარ, სასადილო-სამუშაო-თარგსაჭრელ-სახაზავ მაგიდას ეჭირა, რომელზეც და რომელთანაც ამ სახლის ბინადრებს თავიანთი ცხოვრების დიდი ნაწილი ჰქონდათ დაფუძნებულ-დაკავშირებული.

მაგიდის კუთხეში შემოდებულ ერთ თავღია მუყაოს ყუთში ჩავიხედე. ყუთი სავსე იყო მუყაოსგანვე დამზადებული სხვადასხვა სათოჯინო ნაწილებით, რომლებსაც პეტკა თავისუფალ დროს “ვორქშოფებისთვის” აკეთებდა. აქ იყო თოჯინის სუფთა, მოუხატავი სახე, რაღაც გოლემის თავის მსგავსი ნახევარფაბრიკატი, საიდანაც მერე, რაც გინდა, იმას გააკეთებ, თუკი სახეს მოუხატავ და თავზე პარიკს დააწებებ...

პეტკამ ერთხელ ამიხსნა, რომ მაყურებლის ფანტაზია ბევრად უფრო მდიდარია, ვიდრე მზა, უნიჭო თოჯინა, და რომ ასეთ ნამზადში უკვე იგულისხმება ვიღაც პერსონაჟი, სახე, რომლის სრულყოფაც მაყურებელს თავისი წარმოსახვის შესაბამისად შეუძლია.

ყუთიდან ერთ-ერთი ასეთი ნახევარფაბრიკატი ამოვიღე და ხელში დავატრიალე... წაგრძელებული, წინ წამოწვდილი სიფათი, ოდნავშესამჩნევად

მოხაზული პატარა რქები, წვერი: ეშმაკია? თუ თხა?..

ამ დეტალში, ამ ცალკე დამზადებულ თავში ემოციათა მთელი სპექტრი იყო თავმოყრილი. თუ ანფასს შეხედავდი, – იცინოდა და ვიწრო, ელამი თვალებით სიავესა და ეშმაკობას გამოხატავდა. მაგრამ, თუ ოდნავ გადახრიდი გვერდზე და ოდნავ ჩამოაწევინებდი ნიკაპს სიცილი ქრებოდა, და ნახევრადდახუჭული, ძალიან სევდიანი თვალები შეგრჩებოდა...

რაღაც ძალა მექაჩებოდა, რომ კარადა გამომეღო და კარგად დამეთვალიერებინა ვილკოვსკების ის ძველი თოჯინა. ხომ სწორედ მას, ოჯახიდან მთელი სამი წლით გამქრალს, დასტიროდა ორი ყოჩაღი და იანა და ვისია? თუმცა, ვინ იცის, იქნებ, ყველაფერი სულ სხვანაირად იყო, და ის, რაც ექიმმა ზივმა მიამბო...

ამ დროს საძინებლის კარი გაიღო, მხიარულად გაიკაკუნა ყარაგიოზმა, ლიზა სააბაზანოსკენ გატყაპუნდა... – სახლი გამოცოცხლდა.

მერე დიდებულად ვისაუზმე ლიზასთან ერთად (დილით შემიძლია სამჯერ ვისაუზმო და ჩემს ორგანიზმსაც არაფერი დავუშავო ამით); მერე გარეთ გავედით “საბოდიალოდ” და დიდხანს ვისეირნეთ ცენტრში, დროდადრო მაღაზიებში, გალერეებსა და წიგნის პასაჟებში ვთბებოდით.

კვლავ ცივი და რუხი, ზემოდან ნესტიანი ცით გადახურული დღე იდგა; სამაგიეროდ, საღამო და ღამე გუშინდელივით ცეცხლოვან ნათებას, ჯადოსნობას, ოქროსფერ ბურთებსა და ვარსკვლავებს გვპირდებოდა ტინის ტაძრის ქონგურებზე, რაც კვლავ დაჯაბნიდა თეთრ წყვდიადს.

ლიზა უნგელტეზე, ერთ სიმპათიურ რესტორანში შევათრიე, სახელად “ბრძენ არწივთან”. ფანჯარასთან მოვკალათდით. ლიზა ისე დაჯდა, რომ თან მოპირდაპირე სახლის სავსებით ფლორენციული გალერეის თაღედისთვის ეცქირა, რომელიც ძალიან უყვარდა. მე კი ისე მოვეწყვე, რომ სახით პატარა ბუხრისკენ ვყოფილიყავი, რომლის წიაღშიც ცეცხლის ენები თრთოდნენ, იწელებოდნენ და ტკაცუნობდნენ. ლიზას სქელი თმის ბულულებს შორის თოვლის ჩამდნარი ფიფქებისგან ერთიანად რომ დანოტივებოდა, – ცეცხლი გაორმაგებული მოჩანდა და მხიარულ ნაპერწკლებად ისე ფეთქდებოდა, თითქოს რაღაც საიდუმლო თამაშს თამაშობსო.

ჩვენ გარდა, რესტორანში მხოლოდ ორნი ისხდნენ: შუახნის მამაკაცი და მისი პატარა ვაჟი. სანამ ფანჯარაში დაბნეულად მაცქერალი მამა ლუდის თანხლებით უღებდა ბოლოს თავის კარტოფილის კლიოცკებს, სკამზე მუხლებით შემდგარი ბიჭუნა მის პორტრეტს ხატავდა ოფიციანტის მიცემულ ფურცელზე. ის სწრაფად, შთაგონებით და დაბეჯითებით ელაპარაკებოდა საკუთარ თავს ფრანგულად, თან ზემოთ სწევდა

ფუმფულა წარბებს, და წვრილ-წვრილი შტრიხებით ხატავდა ჩრდილებს პორტრეტზე. და რაც უფრო ახლო იყო პორტრეტი დასრულებისკენ, მით უფრო ემოციურად და დამაჯერებლად ეთანხმებოდა ბიჭი საკუთარ თავს. ბოლოს ბოკალი გადაუყირავდა და ლუდით დაასველა მამა. მყისვე აფუსფუსდა ორი ოფიციანტი ქალი. მათ მამიკო ბუხართან დასვეს; კაცი ნახევარ საათს მაინც იშრობდა ველვეტის შარვალს, სავსებით შინაურულად იჯდა, ცეცხლისკენ ფეხებგაშხლართული...

ვგრძნობდი, რომ ლიზა გამოცოცხლებული და გახალისებული იყო ჩემი ჩამოსვლით, უხაროდა ჩემი გაყვანა-გასეირნება და თვითონაც სიამოვნებდა გარეთ გასვლა. სავსებით ჯანმრთელად გამოიყურებოდა. ზომიერად, ადეკვატურად ხუმრობდა, ოდნავი დაძაბულობის გარეშე იხსენებდა ჩვენს იერუსალიმურ გასეირნებებს, – მოკლედ, გასაოცრად კარგად იყო...

მოგვიანებით, იმის გაანალიზებისას, რაც იმავე საღამოს მოხდა, “უკანა რიცხვით” კვლავ და კვლავ ვამოწმებდი ჩემს შთაბეჭდილებას ლიზას თაობაზე. და ყოველ ჯერზე იძულებული ვხდებოდი გამემეორებინა საკუთარი თავისთვის: არანაირი ავადმყოფურობა, აღგზნებულობა ან შფოთი მას არ ემჩნეოდა. პირიქით, იგი აღსავსე იყო ჩემთვის სრულიად ახალი და მოულოდნელი სიმშვიდით: ოდნავ მოსუქებულიყო, და მისი თხელი, ჩვეულებრივ, ფერმკრთალი კანი შიგნიდან შეფერილიყო ასეთი ზამთრის პირობაზე

უცნაურად თბილი, ჯანსაღი ფერით, რომელიც საოცრად ეხამებოდა მის მდოგვისფერ-თაფლისფერ თვალებს, ალმოდებულივით მოელვარე თმის ნიაღვრებს და ბუხარში მოცახცახე ცეცხლის ენებსაც კი...

მაგიდის იქით მის თხელ მტევანს გადავწვდი, ხელი მოვუჭირე და ვკითხე:

– ლიზა... ყველაფერი კარგადაა?

ის მადლიერად წამოენთო, გაიღიმა, თვალებში შემომხედა და ჩაილაპარაკა:

– კი, ბორია. შენ როგორ იგრძენი?

– საგრძნობი არც არაფერია, – ვუპასუხე, – შენთვის ერთი შემოხედვაც საკმარისია. შენთვისაც, მისთვისაც.

– საქმე ისაა, – წარმოთქვა ნელა, – რომ ჩვენთან რაღაც მოხდა... ერთი რამ, ძალიან ძვირფასი რაღაც, ოჯახში დაგვიბრუნდა. და როგორც კი ის რაღაც... დაბრუნდა თუ არა ის... – და უცებ დაფაცურდა, საკუთარ თავს შეაწყვეტინა ლაპარაკი: – არა, ახლა არა! ასე გავლით არ მინდა. მორჩა. საღამოს იყოს, კარგი?

მივხვდი, რა “რაღაცაზეც” იყო საუბარი, მაგრამ აღარ მივეძალე ლიზას. საღამოს შესახებ კი კრინტიც არ დამიძრავს, რამე რომ არ შემშლოდა. თვითონ გამოძვრეს პეტკა. და უცებ წყენით გავიფიქრე სასაცილოა: ისე რატომ ვუდგები სა კითხს, თითქოს ჩემი მეგობარი ცოლს საყვარელთან ღალატობდეს? რა სისულელეა: ბოლოს და

ბოლოს, ეს მისი პროფესიაა, მისი შემოსავლის წყარო, მისი საუკეთესო ნომერი, რომელსაც მაყურებელი ისე სწყურია, როგორც მშვენიერ ქალს საზოგადოებაში გასვლა საუკეთესო სამოსის გასატარებლად. არაფერში ჩაერიო, ექიმო, – გავაფრთხილე სკუთარი თავი. არ გაბედო და შენი ქადაგებებით მათ უღრან ტყეში არ შეძვრე, – ტყეში მგელი დადის რუხი, ბობას შეჭამს ხრაშა-ხრუშით!

ოფიციანტი ვიხმე და ანგარიშის მოტანა ვთხოვე: საღამოვდებოდა. შინ დაბრუნების დრო იყო. ჩავიცვით და გარეთ გამოვედით...

ციდან პაწია კორკოშალებად კვლავ ცვიოდა და ცვიოდა თოვლის ფაფა. დილით თოვლისა და ყინულისაგან გასუფთავებული ტროტუარი უკვე დათოვლილ-მოყინულიყო. ჩვენ ვიწრო ქუჩით მივდიოდით უნგელტედან სტარომესტსკაიას მოედნისკენ, ახლადდადებული თოვლის ფხვიერ გროვებში გვეფლობოდა ფეხები და მე ხელკავი გამოვდე ლიზას, რისთვისაც დახრა დამჭირდა.

– ისეთი ციცქნა ხარ, – ვუთხარი, – ჯობდა, უბეში ჩამესვი, ანდერსენის ნამცეცასავით.

ლიზამ გაიცინა:

– ჰო, მე და შენ მართლაც ძალიან სასაცილოები ვართ, როცა ერთად დავდივართ.

მე კი უცაბედი სიმწრით გავიფიქრე: ეს ქალი ჩემი ცოლი რომ იყოს, ჩემი ნამდვილი ცოლი, მე მას ყოველთვის, განა მარტო ზამთარში, ყოველთვის უბით ვატარებდი. მას არ მოუწევდა რაღაც წყეულ თოჯინაზე დარდი და ვერავინ გაბედავდა მის მოტყუებას, და მე... ჩემთან ის...

– ახლა მესების და კონცერტების დროა, – თქვა ლიზამ, – არაჩვეულებრივი მომღერლები მღერიან. გინდა, კონცერტზე წავიდეთ?

მე ავირიე და ავბურდღუნდი, რომ ისე, მე და პეტკა დღეს... სადღაც... არც მახსოვს, სად. მგონი, კორპორატიული წვეულებაა. კარგა ბლომად მაყუთს იძლევიან ერთ წუთში...

– კარგი, – იოლად დამთანხმდა ლიზა, – მე კი, იცი, რას მოვამზადებ ამ საღამოს? – და აენთო: – მისმინე, ბორია, დღეს მე საშობაო გმირობას ჩავიდენ. მართლა! დღეს თუ არა, აბა, როდის? იხვი მაქვს საყინულეში! აბა, გამოიცანი, რა ელის?

– ნუთუ ცეკვა ვაშლებით?

– ...ნიგვზითაც, და შავი ქლიავითაც... ასე რომ, მაინცადამაინც ნუ დააცხრებით იმათ ბუტერბროდებს, კარგი? გამოსვლა დამთავრდება და ეგრევე წამოდით. მე კი დაგელოდებით, იმიტომ, რომ დღეს... – მან რბილი, მეტად მნიშვნელოვანი ღიმილით გაიღიმა: – დღეს, იცი... გრანდიოზული სიახლე გამოცხადდება.

სხვა რა უნდა იყოს, ალბათ, იმ თავის

განცხადებების გაზეთში რაღაც მოძებნა, – გავიფიქრე მე. მხრებზე შემოვხვიე ხელი და ვუთხარი:

– ლიზა, რა ყოჩაღი ხარ! ყველაზე გრანდიოზული ყოჩაღი ხარ მთელი პლანეტის ყოჩაღებს შორის!

და ჩვენ უეცრად გავჩერდით შუა ქუჩაში და სამჯერ გადავკოცნეთ ერთმანეთი.

– და იქ რომელ საათზე უნდა იყოთ? – იკითხა მან.

და მეც მოშვებულმა, გულაჩუყებულმა ყეყეჩმა ვუპასუხე: – ცხრაზე, მგონი. მაგრამ გზად სადღაც უნდა შევიაროთ, რაღაცის ასაღებად, და მერე, ალბათ, ისევ უნდა დავაბრუნოთ, ასე რომ...

ლიზა მკვეთრად შემობრუნდა ჩემკენ. და მაშინვე მივხვდი, რომ საბედისწერო შეცდომა დავუშვი.

– რის ასაღებად? – მკითხა მან, წამიერად დათრგუნული სახით. – და სად? ყველა თოჯინა სახლშია...

პასუხად ავბურტყუნდი, რაღაცებს მივედ-მოვედე, სულ უფრო ღრმად და გულისამრევად ჩავეფალი ტყუილში და, ბოლოს და ბოლოს, განვაცხადე, რომ, როგორც ყოველთვის, ყველაფერი ამერ-დამერია და შემეშალა.

ლიზა დუმდა; ასე უხმოდ ჩავედით მეტროში

და მივაღწიეთ სახლამდე. იქ უკვე გველოდა პეტკა. კარი რომ გააღო, ხელში უთო ეჭირა: ეტყობა, პერანგს იუთოებდა.

– სად დაეხეტები, ავაზაკო? – გულღიად ჩაიბურდღუნა მან, – უკვე მეგონა, გაიქცნენ-მეთქი. ბორკა, გაინძერი, ულვაშის დასაბრიოლინებლად მხოლოდ ნახევარი საათი გაქვს.

სიმართლე რომ ვთქვა, უკანასკნელი ლაჩარივით ვშიშობდი: ლიზას შეეძლო გამოძიება დაეწყო, და ჩვენ, მე და პეტკას, ორი თაღლითივით დაგვჭირდებოდა სიტუაციიდან გამოძრომა. ამ საქმეში არანაირი გამოცდილება არ მქონდა. მაგრამ ლიზა უცნაურად ჩაცხრა, და სანამ მოვემზადებოდით, უჩვეულოდ მშვიდი და გამგონი იყო. პეტკა საზეიმოდ ალაგებდა ზანდუკში თოჯინებს და რეკვიზიტს: როგორც მივხვდი ეს აუცილებელი შენიღბვა იყო. მე ნაჩქარევად მივიღე შხაპი და ჩავიცვი. მიხაროდა, რომ გამოსასვლელი კოსტიუმის წამოღება მომივიდა აზრად.

მოკლედ, მოვდუნდი... პეტკამ კი, – აი, რას ნიშნავს დენთის კასრზე ცხოვრება, – გუმანით მყისვე იგრძნო რაღაც.

– ლიზა! – გამოსძახა საძინებლიდან, – რაღაც ძალიან წყნარი მეჩვენები. ლიზა! ფინჯნები რატომ არ ილეწება? რატომ არ კივიან მუხრუჭები?

ლიზამ მშვიდად მიუგო:

– მე ჩემს იხვზე ვფიქრობ...

მადლობა ღმერთს, – გავიფიქრე, – გადავრჩით. მოკლედ, ექიმი კი არა, ერთი რიგითი მიამიტი კრეტინი გამოვდექი...

როგორც იქნა, პეტკა გამოვიდა გამოწყობილი, მოახლოებული რამპის ათინათებით გასხივოსნებული.

შევხედე და გავიფიქრე: აი, რას ნიშნავს არტისტი!

აი, ხომ უხდებათ ადამიანებს სმოკინგები და ფრაკები! და პეტკას კი როგორ უხდება ეს პეპლები, სამაგრ-მანჟეტ-ტროსტი! ჩემს ტანზე მთელი ეს მიღებებისა და საზეიმო წვეულებების უნიფორმა ისე მოჩანს, როგორც ბრეზენტის ჩიხოლი ხეოფსის პირამიდაზე. ეს კი, – როგორც კი მოირგებს მხრებზე ფრაკს და როგორც კი მიიმაგრებს პეპელას სცენაზე გამოსვლის წინ, მყისვე გამაოგნებელი გარდასახვა ხდება: ზურგჩანთიან-კიკინიანი მაწანწალას ნაცვლად, ეშმაკმა უწყის, ვინ გამოცურდება სცენაზე ვიღაც იტალიელი მსახიობი, ვენეციელი მონტიჩელების უკანასკნელი შთამომავლის როლში. და სად ქრება მისი აწურულობა-მოხრილობა და მარადიულად პირქუში ფიზიონომია? ჟესტებიც კი სულ სხვანაირი უხდება, მანერები მთლიანად ეცვლება: მხრები გადაშლილი აქვს, ხელები – დირიჟორის, მზერა მშვიდი და მბრძანებლური. მის ულამაზო, მაგრამ საინტერესო სახეს, მის არწივისებრ პროფილს მომნუსხველი, ირიბი ღიმილი ადნება. და ეს ჩამოქაჩული საყურიანი ყურიც, ეს უფერო, გამჭოლი თვალებიც კი მის

მთლიან ტიპზე მუშაობს, მის მთლიან სახეზე. ესეც შენი სასაზღვრო ფორპოსტის ფიცრულ ბარაკში გაზრდილი სახალინელი ბიჭი, ვფიქრობ ხოლმე ასეთ წუთებში. და ვტკბები მისი ცქერით. და ვამაყობ მისით...

– პეტკა... აი, ეს მესმის!..

ის დარცხვენილად შეიშმუშნა, “მარილიანი წიწაკისფერ” ტალღოვან, გაშვებულ ფაფარზე გადაისვა ხელი და ჩაიცინა: – სცენიური სახეა. კიკინა ფრაკზე არ მიდის, ჰოდა, სხვა რა გზაა... უნდა გავუძლო ამ უგემოვნობას...

მე კი, სიმართლე რომ ვთქვა, გულში მიხაროდა: ძალიან მინდოდა, კიდევ ერთხელ მენახა მისი და ელისის ნომერი. როგორ თქვა მაშინ ჰანამ? “კიდევ ასჯერ ვნახავდი”.

გარეთ რომ გამოვედით, უკვე ბნელოდა. მე ამ საღამოს სრულიად არავისთვის საჭირო “პატარებით” სავსე ზანდუკს მოვათრევდი.

– ვაგვიანებთ, ვაგვიანებთ, – შეწუხებულად ბუტბუტებდა პეტია, – პროგრამას ხომ ჩვენ ვხსნით! ჯანდაბა, სადაა ტაქსი...

სწორედ ამ დროს ტაქსიც გამოემართა ჩვენკენ თითქოს პეტკამ ეზოს ლეკვივით მიიტყუა რაღაცითო.

მან მძღოლს მისამართი უთხრა: კამპაზე, და მივხვდი, რომ ელისი დღემდე იქაა, ჰანას კარადის თავზე წევს, მორჩილად ელის თავის

გამოსვლებს, ლიზასათვის საიდუმლო და ლიზასგან თავისუფალ თავის ცხოვრებას.

და ჩვენ ფარნების ნათლით მოცული საღამოს პრაღის ქუჩებით შევცურეთ მოყვითალო, მოცისფრო თოვლიან ბურუსში, ჩემს თავში უნებურად აჟღერებული “მაკნატუნას” მუსიკის ფონზე.

რაღაცნაირ წყნარ ექსტაზშიც კი ჩავვარდი და მზად ვიყავი მევლო და მევლო ასე, რადგან ცხოვრებაში ბევრი არაფერი მენახა ამ თოვლის ცილინდრებიან, ჩაყუჩებულ მოციქულებზე, მეფეებსა და ანგელოზებზე ლამაზი; თოვლისგან თითქოსდა დაბერილ ამ წყალსადენ მილებზე უცნაური; ფარნების შუქით აბრწყინებული ფიფქების ბურღულში ყურებამდე ჩაფლულ ამ გუმბათებზე, სამრეკლოებსა და კოშკებზე მშვენიერი, და ამ თოვლზე ზღაპრული, – პრაღის სახურავთა ნებისმიერი მდუმარე ბინადარის მარმარილოს ტოგის ნაოჭებშიც კი რომ აღწევდა...

მაგრამ ტაქსი მალე გაჩერდა პროხაზკების ჩაბნელებული, ღამისათვის ჩაკეტილი მაღაზიის წინ.

პეტკა, ზანდუკით ხელში, პარმაღზე აიჭრა კიბით. პარმაღი უჩვეულოდ ცარიელი ჩანდა გავასქელი საფრთხობელას გარეშე. პეტკამ კარი გააღო თავისი გასაღებით და თითქოს მიწამ უყო პირი: შუქიც კი არ აუნთია, ისე იცნობდა შენობას.

მე და მძღოლი ჩუმად ვისხედით ძრავის ზუზუნში. ერთბაშად წამობარდნილი თოვლი სქელ ფაფად ეფინებოდა მანქანას. განსაკუთრებულად მაღალი ხარისხის საგანგებო რეჟიმზე გადასული მეეზოვეები ენერგიულად ხვეტდნენ მშრალ, ხრაშუნა თოვლს საქარე მინების კიდეებისკენ.

ერთი წუთი გავიდა... ორიც... უცებ მაღაზიის ზღურბლზე უხმაუროდ აღმოცენდა პეტკა... (უცნაური იყო, მაგრამ უკვე რაღაც სხვა სახელით მინდოდა მისთვის მიმართვა). მან თოვლის კორიანტელიდან ამოყვინთა მაგია? ეშმაკია? – გაღეღილი ქურთუკიდან თეთრი პერანგი და შავი პეპელა მოუჩანდა. ხელებზე უწონო სულიერი, პლედში გახვეული მძინარე გოგონა გადაეწვინა.

– ჰალლო! – ნერვულად შესძახა მძღოლმა, როცა პეტკამ მანქანის კარი გამოაღო და უკანა სკამზე დააპირა თავისი ტვირთის შეჩურთვა. კაცმა შეშფოთებული ტონით დაიწყო გარკვევა, თუ რა ხდებოდა. პეტკამ გაიცინა, რაღაც უპასუხა და ელისი გაუწოდა ექსპერტიზისთვის. მძღოლმა უხალისოდ მოსინჯა თოჯინა საჩვენებელი თითით, ამოიოხრა, და ასე, საგონებელში ჩავარდნილმა, ენის წკლაპუნითა და სარკეში თოჯინისკენ მზერის პარებით მიგვიყვანა საჭირო მისამართზე.

– ეგონა, სარდაფიდან გვამი ამოათრიე, არა? – ვკითხე პეტკას.

– ჰო, მგონი... ჩვეულებრივი ამბავია. იძულებული ვარ, მოვასინჯინო ხოლმე. აი,

ასე მოსინჯავენ თითით და უცებ ისე ასხლეტენ ხელს, გეგონება, ან უკბენს და ან დაწვავს ვინმეს. საერთოდ, ელისის სადმე გადატანა დიდი თავსატეხია. კარგი იქნებოდა, ახალი მანქანა რომ მაყიდინა. ჩემმა პიკაპმა შარშან ზაფხულს მოგჭამა ჭირი.

დაწესებულების შესასვლელს მივადექით...

ორ წითელ ფარანს შორის წითელსავე კაპიუშონიან ქურთუკში გამოწყობილი მაღალი ზანგი იდგა და ყურადღებით ადევნებდა თვალს, როგორ იქექავდა ჯიბეებს მხარზე ტვირთგადადებული პეტკა.

– ჯანდაბა... – ბუტბუტებდა თან. – მოსაწვევები... სად წავიღე... ნუთუ ამომივარდა? ქურთუკის ჯიბეში მედო, ზუსტად მახსოვს...

– არაფერია, – ანაზდად რუსულად თქვა ზანგმა, – არტისტები ხართ?

– არტისტები ვართ, – დაუდასტურა პეტკამ.

– მაშინ თანამშრომელთა შესასვლელიდან შედით. კუთხეში კარია, შეხვალთ და პირდაპირ, დერეფნით გაუყვებით. თვითონ გაერკვევით.

სანამ ვერკვეოდით და საჭირო კარს ვეძებდით, პეტკა რაღაცებს მიხსნიდა ამ კლუბის თაობაზე, რომელიც, თურმე, რუსული ყოფილა. ზანგიც რუსი იყო, უბრალოდ, გრიმი ჰქონდა წასმული: როგორც ჩანს, კლუბის მეპატრონეები თვლიდნენ, რომ ასეთი ეგზოტიკა პრაღაში შემოსავლის ზრდას

შეუწყობდა ხელს.

– ესე იგი, კაზინოა?

– არც მთლად... ორიოდე ავტომატი კი დგას ფოიეში, მაგრამ აქ... ე-ე-ე... სხვა სპეციალიზაციაა...

– ანუ, ბორდელია?

– არა, ასე უხეშადაც ნუ იტყვი. აბრაზე გარკვევით დაგიწერეს "კაბარე". დაწერილს დაუჯერე. სტრიპტიზი კი არის ხოლმე, მაგრამ მსუბუქი.

– და ოთახები ზემოთ, ალბათ, მაინც მოეძებნებათ, არა? ექნებათ რამე პანსიონი, – "ზეციური მერცხლები" ან რამე ეგეთი, სადაც პანსიონელი ქალები სტუმრებს კარგ მანერებს ასწავლიან?

– შესაძლოა. არ გამომიძიებია. მე ჩემს ნომერში მიხდიან ფულს.

– ჰო, მართლა, ხომ გახსოვს, ლიზა რაღაც საშობაო სიურპრიზს რომ გვიმზადებს? იმას გეუბნები, რომ აქ ზედმეტად დანაყრება არ ღირს.

– კარგი რა, ექიმო! მარტო თითო კათხა ლუდი, სამკურნალოდ...

თანამშრომელთათვის განკუთვნილ შესასვლელში საესტრადო, ბრჭყვიალა ჟილეტში გამოწყობილი ნახევრადმძინარე ან ნახევრადმთვრალი ტიპი იჯდა. მასაც იმ წითელქურთუკიანი ზანგივით აქაურობისთვის შეუსაბამო, აჩეჩილ-

აფუებული ბაკები ჰქონდა, თითქოს ყოველი მსახიობი, რომელიც თანამშრომელთა შემოსასვლელის ზღურბლს გადმოაბიჯებდა, თავს ვალდებულად თვლიდა, ბაკებით ეთრია იგი დერეფანში. ამ მცველს არც კი უკითხავს ჩვენთვის ვინა ვართ და საით გაგვიწევია.

პეტკა სულ ტყუილად დარდობდა დაკარგულ მოსაწვევზე.

ცხრა საათი სრულდებოდა. პეტია გამოსვლისათვის უნდა მომზადებულიყო, და მე დავტოვე იგი სამსახიობოში უწესრიგო, სააბაზანოს ფარდით გადატიხრულ, სხეულისა და გრიმის ყველანაირი სუნით გაჟღენთილ ოთახში, სადაც კედელთან დაბალი, გრძელი ძელსკამი იყო მიდგმული, ფანჯრიდან კი ჩაჩუმებული, უკაცური ქუჩა მოჩანდა. მერე კიბეებითა და დერეფნებით გავეშურე დარბაზის მოსაძებნად. ეს არცთუ იოლი საქმე აღმოჩნდა. ნახევრადჩაბნელებულ მისახვევ-მოსახვევებში მივიკვლევდი გზას და ორჯერ მივადექი ჩიხს, ორჯერ კი, რაღაც უცნაურ გამოქვაბულებში შევრგე თავი, რომელთა კარებიც ბამბუკური რაკარუკით იღებოდა... ბოლოს და ბოლოს, ნელი, მიყრუებული მუსიკის, ერთ მთლიან ზუზუნად ქცეული ლაპარაკისა და ბოკალების წკრიალის ხმას მივუახლოვდი. დარბაზიც სწორედ იქ აღმოჩნდა: “არ-დეკოს” სტილის ტევადი, კვადრატული, შესანიშნავი პროპორციების მქონე ფართი.

ვაღიარებ, რომ გამაოგნა მჭიდროდ გადაწნული ვიტრაჟების სილამაზემ და მაღალი ჭერის მოხატულობამ, რომელზეც სამ მხრებგანიერ ანგელოზს (ერთი მათგანი ქალი იყო) წრე შეეკრა და ვეება ტომრებიდან თითქოსდა თავზე აყრიდა დარბაზის სტუმრებს ხილსა და ყვავილებს. თაღებისა და სვეტების თანაფარდობა, საოცრად ლამაზი და კარგად შენახული მუხის პარკეტი, ტიფანის ერთიან სტილში ნაკეთი მაგიდის ლამპები და დარბაზის ოთხივე კუთხეში დამაგრებული ოთხი მძიმე ჭაღის ნავები... – რა ხდება? "ტრადიციების მქონე", პატივსაცემი პრაღული დაწესებულება ჩემს ყოფილ თანამემამულეებს ჩაუვარდათ თათებში?

ყველა მაგიდა უკვე დაკავებული იყო კარგად ჩაცმული, სავსებით ღირსეული საზოგადოების ძირითადად, შუახნის მამაკაცების მიერ; წამით ეჭვიც კი შემეპარა, რომ აქ სადმე ადგილი მოიძებნებოდა ჩვენთვის. ანაზდად და საბედნიეროდ, მეტრდოტელს წამოვედე ლამის ლიზას სიმაღლის ადამიანს, – პეტკას გვარი დავუსახელე და მანაც სვეტს უკან, დარბაზში შემომავალ გვერდითა კართან საკმაოდ ახლოს მდგარ ორკაციან მაგიდამდე მიმაცილა. აქედან კარგად მოჩანდა პატარა, მაგრამ მაღალი და ღრმა, წითელი ღვინისფერი ხავერდით მოფარდაგებული სცენა.

როგორც ჩანს, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების შემდეგ აქ არაფერი შეეცვალათ: არც

ძველი, მუქი ფერის ავეჯი, არც ხალიჩები, არც ხის მოჩუქურთმებულ საზურგეებიანი ხავერდის ტახტები და არც მომცრო, დახვეწილი სავარძლებით გარშემორტყმული მყუდრო მაგიდები. კუთხეში, სცენის ქვეშ ძველი ფორტეპიანო მიყუჟულიყო, რომელსაც მოჩუქურთმებული პიუპიტრის ორივე მხარეს ბრინჯაოს შანდლები ჰქონდა მიმაგრებული. მოკლედ, დარბაზს თავისი ისტორია და თავისი "ატმოსფერო" ჰქონდა...

მე ერთი ბოკალი "კარლსბერგი" შევუკვეთე და იმ იმედით, რომ პეტკას გამოსვლას მოვუსწრებდი, ტუალეტის მოსაძებნად გავეშურე. გზა ტუალეტამდე საკმაოდ გრძელი გამოდგა და, როცა დარბაზში ვბრუნდებოდი, უკვე ჟღერდა "მინორული სვინგის" შესავალი, უკვე ნელ-ნელა იხსნებოდა ფარდაც და აჩენდა ელისს, რომელიც მოლოდინით მოღლილი ადამიანის პოზით იჯდა სავარძელში. და იმავ წუთს კულისებიდან პეტკა გამოიჭრა და ცალ მუხლზე დაეცა მის წინ...

მე დარბაზის კარში დავრჩი და იქიდან ვუყურე მთელ ცეკვას, რომელიც ერთი მთლიანი მოძრაობა იყო, ერთი ბრუნი, გასაოცარი პლასტიკურობის მქონე ორი სხეულის ერთი მღელვარე ქარბორბალა; და ამ ყველაფერს წამითაც ვერ მოვწყვეტდი თვალს იმის შიშით, რომ სიხარულის თუნდაც ის ერთი წამიც კი არ მომეკლო საკუთარი თვალთახედვისთვის, თუნდაც ერთი ბრუნი, თუნდაც ხელის ოდნავ შესამჩნევი აქნევაც

რომ არ გამომპარვოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ნომერი “ელისისთვის” იყო ჩაფიქრებული, მე პეტკას არ ვაცილებდი თვალს: მისი სხეულის ყოველი ნაწილი, ყოველი კუნთი თითქოს მოცემული ცეკვის მოცემული მოძრაობისთვის არსებობდა. მისი სხეული ჩამოქნილი სიმსუბუქითა და მოუხელთებელი ირონიით ეპასუხებოდა კვინტეტის ყოველი ცალკეული ინსტრუმენტის ხმას და წამიერი გარდასახვებით, საკუთარი არსების შინაგან, ღრმა რიტმებში ხან ვიოლინო იყო, ხან გიტარა, ხან ბანჯო...

და მთელი ნომერი სტილისტურად საოცრად ერწყმოდა იმ ჩაბნელებულ დარბაზს, მის დეკადენტურ გაწყობილობას, ფარდებისა და სავარძლების ხავერდს, მწუხრის ლამპების მოხრილ კისრებს, ვიტრაჟთა ტყვიის ჩარჩოების მთელ იმ ფოთლებს, რკოებსა და მფრინავ ამურებს; თითქოს პაწია სათოჯინო სცენის კოლოფში კომედია დელ არტეს პერსონაჟები ასრულებდნენ ფაქიზი, დახვეწილი სათოჯინო ცეკვის მოძრაობებს...

ელისის შესახებ უკვე ბევრი რამ იყო ჩემთვის ნათელი: მას, როგორც ჰანამ გამიმხილა, “პაწია ბორბლები აქვს ფეხისგულებზე”. მაგრამ, ეშმაკმა წამიღოს, ეს ხომ ვერანაირად ახსნიდა პეტკას მოძრაობებს?! პეტკას ხომ არ აქვს არანაირი პაწია ბორბლები?! და აბა, როგორ, რანაირად

ხერხდებოდა ეს თითქოსდა ციგურებიანი სრიალი? ღვთის გულისათვის, როგორ, რანაირად ამოძრავებდა ის ესოდენ აბრეშუმული, ესოდენ ქალური, ესოდენ სავსებით ადამიანური მოძრაობებით თავის პარტნიორს უსულო კუნძს? დაბოლოს, რატომ იყო, რომ ამ ორი, სავსებით შემოსილი პერსონაჟის ცეკვა ესოდენ შიშველი სასიყვარულო სცენის შთაბეჭდილებას ტოვებდა, და ასე წუხდა, ოცნებობდა და დარდობდა რაღაც აუხდენელ ვნებებზე, ასე გიფორიაქებდა სულს?

ისინი, ვინც დაგვიანებით შემოდიოდნენ დარბაზში, ადგილზე შეშდებოდნენ და ასე, ფეხზე მდგომნი შესცქეროდნენ ცეკვას. მაგიდებთანაც ყველა ჩუმად იყო. ხელში სინიანი ოფიციანტებიც კი იქ გაქვავებულიყვნენ, სადაც ამ ცეკვამ მოუსწროთ.

და მხოლოდ მაშინ, როცა ბოლო აკორდიც მიჩუმდა და აპლოდისმენტებმა იქუხა, და ყველა ამოძრავდა და ყოველი მაგიდიდან აღრიალდნენ: “ბრავო!”, – ცალკეულმა წამოძახილებმა მოაღწია ჩემამდე:

– ...იქ წერია “თოჯინა ელისი”...

– კარგი რა, თოჯინა არა, ის! ვერ ნახე, რა ცეცხლს გინთებენ? ცოცხალი ქალია, აბა, რა არის, მაგრამ რას გინთებ-ე-ე-ენ!

– ...მაგრამ “თოჯინაო”, წერია და!..

– შეხედე, სულელო, შენი “თოჯინა” თავს გვიკრავს...

პეტკა ელისის გვერდით იდგა, მსუბუქად მოეხვია მისთვის წელზე ხელი და დროდადრო ორივე მადლიერად უკრავდა თავს მაყურებელს. აღფრთოვანებული, მქუხარე, მომთხოვნი ტაში არ... მაგრამ, ცხადია, ცეკვის “ბისზე” გამეორებას პეტკა არ აპირებდა.

ბოლოს და ბოლოს ეს, შეიძლება ითქვას, ცეკვის მთავარი მომენტი იყო, – ის “სახეს ამსხვრევდა”: მსუბუქად ასწია ელისი უკვე გაშეშებული, არაცოცხალი, უკვე არა ქალი, არამედ თოჯინა, – და ასე, ხაზგასმული დაუდევრობით იღლიაში ამოჩრილი, როგორც მუშაობადასრულებული რეკვიზიტი, წაიღო სცენიდან. და უკნიდან ახალი, სულ უფრო მზარდი და შეუჩერებელი აპლოდისმენტების გრიგალი მიჰყვა: ესე იგი, მართალია, – ხედავთ? – მართლა თოჯინა ყოფილა!

ჩემი მაგიდისკენ გავაღწიე, სავარძელში ჩავჯექი და ლუდიან ბოკალს დავეწაფე. წყურვილი მახრჩობდა, ერთიანად ვცახცახებდი, საოცრად აღგზნებული ვიყავი ნანახით. ცხადია, როგორც ნებისმიერი ილუზიონისტი, როგორც ნებისმიერი ოსტატი, პეტია წინააღმდეგი იყო იმისა, რომ პროფესიული საიდუმლოებები გაემხილა; და მაინც, ორი-სამი კითხვის დასმა მინდოდა მისთვის...

ათიოდე წუთის შემდეგ პეტკა დარბაზში შემოვიდა, მაგიდისკენ გამოაღწია და ჩემ

პირისპირ, სცენისკენ ზურგით დაჯდა სავარძელში.

– შავი ლუდი, დიახ. – მიუგო პასუხად ოფიციანტს, – სულერთია, “კრუშოვიცეც” შეიძლება, მაგრამ “კოზელი” აჯობებს.

უკვე დაეწნა კიკინა... და ეს კიკინა სავსებით ეხამება პეპელას... და ფრაკსაც.

– პიოტრ რომანიჩ, – ვთქვი მე, – ნება მომეცით, აზრი გამოვთქვა: ძალიან ვღელავ. თქვენ საშინლად ნიჭიერი არამზადა ხართ.

– სცენაა კარგი, – თქვა მან და ჩემი ლუდი მოსვა. – მოხერხებული, კარგი სცენაა, ძალიან თოჯინური. ეს არის მეორე, რამაც, ფულის გარდა, მიმიზიდა. უფრო სწორად, პირველი. მართლა მოგეწონა?

– მისმინე, ვიცი, ყველაფერს მალავ, მაგრამ... მითხარი და სამარეში წავიღებ, რასაც მეტყვი... როგორ ახერხებ სინქრონულ ნაბიჯებს მასთან ერთად?

მან ჩაიცინა:

– ეს ყველაზე მარტივი რამეა. თავიდან, როცა მის წინ ვიჩოქებ, მის ფეხს ჩემს ფეხზე ვიბამ გამჭვირვალე თასმით.

– და მერე?

– მერე, მაყურებლისთვის შეუმჩნევლად ვიხსნი თასმას. ელისის გრძელი კაბა ყველაფერს ფარავს. რაში გჭირდება ეს დეტალები? როცა პისაროს ნახატს უყურებ, შენ რა, ყველა მონასმს სათითაოდ აკვირდები? და ასე ცდილობ გაიგო, ტილოზე

ფერის ვიბრაციას როგორ მიაღწია? უბრალოდ, უყურებ და ტკბები, არა?

– კარგი... და თეძოების ტალღურად მოძრაობა როგორღა კეთდება?..

– კმარა, ექიმო. შეჰერეზადა წყვეტს ნებადართულ სიტყვებს. დალიე შენი ლუდი და...

ამ დროს თაღების მხრიდან ჩვენკენ ნამდვილი კოლობოკი წამოგორდა. ეს იყო მავანი ბატონი, რომელსაც პატარა და მკვრივი, თითქოსდა ხელოვნურად მიმაგრებული ღიპი გამოებზიკა ალუბლისფერი პეპლის ქვემოთ. მისი გადაპარსული თავი, ცალკე აღებული, სწორედ რომ პრიალა კოლობოკი იყო, მისი პაწია, მრგვალი ცხვირიც კოლობოკი იყო, და მრგვალი, საგულდაგულოდ გაპარსული მისი ნიკაპიც იგივე კოლობოკი გახლდათ...

ის ღიპით დააწვა პეტკას ზურგს, და ხელისგულებით მისი მხრების სრესას მოჰყვა.

– ოჰ, პეტიუშა... – იმეორებდა კაცი და თან მალიმალ შემომხედავდა ხოლმე. – ოჰ, რა ხარ შენ, რა ხარ, პეტუშოკ! ეს ხომ პირდაპირ საშინელებაა, ჰა?! ეს ხომ, როგორი დიდებული ნომერია: მაგის ნახვის მერე ამ უბნის კაცებს ერთი კვირა ამდგარი აქვთ, როგორც აღლუმზე, არანაირი ვიაგრა აღარ სჭირდებათ!

– გაიცანი, მიშა, ეს ჩემი მეგობარია, –

აუღელვებლად უთხრა პეტიამ ისე, რომ არ შებრუნებულა მისკენ, – ესეც ისრაელიდანაა.

და უცებ ყველაფერი დალაგდა, სურათი ერთ წამში დაიხატა ნათლად და გასაგებად. მით უფრო, რომ მიშა ერთბაშად რაღაცნაირად დასევდიანდა, პატარა ხელი გამომიწოდა და ჩაიბურტყუნა:

– დიდი, დიდი ხანია იქით არ ვყოფილვარ, რა ამბებია ჩვენკენ, რა ხდება? არაბები ახურებენ? კარგი, გავიქეცი... რაღაცები მაქვს გასარკვევი და... – ერთხელაც მოუთათუნა პეტკას ხელი მხრებზე და მაგიდებს შორის წაგორდა. მაგრამ უცებ დაბრუნდა:

– გაგიგია?! ჰონორარის მოცემა დამავიწყდა! – ცისფერმა კონვერტმა სმოკინგის ჯიბიდან ფრაკის ჯიბეში გადაინაცვლა, კოლობოკი კი კვლავ წასაგორებლად გაემზადა და გვითხრა: – ბიჭებო, შეუკვეთეთ, რაც გინდათ, ნებისმიერი სასმელი, ნებისმიერი კერძი, შეგერგოთ! დაგირეკავ, პეტიუშ, კიდევ დავგეგმოთ რამე...

– აბა? – მკითხა ჩემმა დაკვირვებულმა მეგობარმა, – გაქვს მოსაზრებები?

– მერედა როგორი, – ვუპასუხე, – დანამდვილებით გეტყვი, რომ შენი მეგობარი კოლობოკი ისრაელის პოლიციის მიერ იძებნება. თავიდანვე ვერ ვიცანი, – სმოკინგში არ მინახავს, შორტებსა და პლაჟის ქოშებში გამოწყობილი მყავს ნანახი. ოდესღაც ჩვენთან ლამის მთლიანად მართავდა რუსული წიგნის ბიზნესს. ერთხელ მოსკოვიდან ცნობარებით სავსე ყუთი

გამომიგზავნეს, რომელიც დაიკარგა, – ვიღაც მებითუმის კონტეინერში მოხვედრილა. ჰოდა, ყუთის მოსაძებნად თელ-ავივში გავემგზავრე.

– იპოვე?

– აბა, რა. სწორედ ამ მიშამ დაკარგა ჩემი წიგნები, მაგრამ იძულებული გახდა მოეძებნა ვუთხარი, ადგილზე დაგაჭედებ-მეთქი და სიტყვაზე დამიჯერა. ახლაც თვალწინ მიდგას: ისეთი, რაღაცნაირი მყუდრო, საყვარელი; რეზინის ქოშები მრგვალი თითები... კონკურენტების ორი მაღაზია გადაწვა და აორთქლდა გაურკვეველი გარემოებიდან. სტატიაც კი დაიბეჭდა გაზეთში. ახლა კი, აგერ სმოკინგი, პეპელა... ესე იგი, მაგან იყიდა ეს დიდებული დაწესებულება?

პეტკამ ცნობისმოყვარეობისგან წამოუსტვინა კიდეც.

– არ ვიცი, იყიდა თუ იჯარით აქვს აღებული. არ გამომიძიებია.

– შენც ადექი და გამოიძიე ერთხელაც. მაშინვე მიხვდები, რა ბიზნესსაც მართავს. და რატომაა მისთვის ესოდენ მნიშვნელოვანი, რომ ამ უბნის მამაკაცებს ერთი კვირა...

პეტკა შეტრიალდა და დაინახა ის, რასაც მე უკვე ათი წუთი იყო, თვალს ვადევნებდი, რადგან, მისგან განსხვავებით, სცენისკენ სახით ვიჯექი. იქ, მოჩურჩულე-მკვნესარე მუსიკისა და იისფერი ნათების ფონზე

ძელების გარშემო რიგრიგობით, მონდომებულად ტრიალებდნენ გოგონები, რომელთაც მხოლოდ და მხოლოდ მაღალქუსლიანი ღია ფეხსაცმელი ემოსათ. თუმცა, ვტყუი: რაღაც, ტრუსებისმაგვარიც ეცვათ, რომელთან შედარებითაც ანტიკური ქანდაკებების გენიტალიებს აფარებული ფოთოლი სარკინიგზო მონტიორის დაბამბული შარვალი იყო. თუ ამ სტრიპტიზს "მსუბუქი" ეთქმოდა, ვერც კი წარმოვიდგენდი, მძიმე რა უნდა ყოფილიყო. ეს იყო ადგილობრივი პლანეტების აღლუმი ("მხურვალე გრძნობებისთვის არ არსებობს შაბათ-კვირა!"): ქერა გოგო შავთმიანს ცვლიდა, მერე ძელთან ჟღალთმიანი გოგონა გამოდიოდა, რის შემდეგაც კვლავ შავთმიანი ბრუნდებოდა. მაყურებელთათვის მრავალფეროვნება მხოლოდ თმის ფერების ცვლით იქმნებოდა, ყველა "მსახიობი" ერთსა და იმავე მოძრაობებს ასრულებდა: ნელა, მიბნედილად სწევდნენ მაღლა ფეხებს, უკანალს არწევდნენ, წელში იხრებოდნენ და იბზიკებოდნენ (ამ ყველაფრის ცქერისას მე სავსებით სამედიცინო ასოციაციები მიჩნდებოდა ჩემი დაუვიწყარი ბებიკოს განხრით). პოზებსაც და თავად გოგონებსაც გულისამრევი შტამპის ანაბეჭდი აჩნდა, რომელიც, სამწუხაროდ, სრულიად არ შეესაბამებოდა ამ სცენას, ამ მშვენიერ დარბაზს, მის ვიტრაჟებს, სვეტებს, ჭერის გულუხვ ანგელოზებს, ჩაფიქრებული სახეებით რომ იცქირებოდნენ ზემოდან.

– სამწუხაროა, – თქვა პეტკამ, სცენას ზურგი

აქცია და ახლადმოტანილი ლუდი გასინჯა. – ყველაფერს ღუპავენ მაგ ქუსლებით. ერთხელაც ვინმემ უნდა აუხსნას მაგათ, რომ კოთორნებზე შემდგარი შიშველი ქალი ვნების ობიექტი ვერ ხდება, ეს ორი ურთიერთგამომრიცხავი რამაა. შიშველი ქალი ფეხშიშველი უნდა იყოს... პატარა, მხუბუქი ტერფები უნდა მოუჩანდეს, რომელთა ხელისგულებში მოქცევა და გათბობა მოგინდება; და არა შენს დაუცველ კვერცხებს დამიზნებული მომაკვდინებელი ქუსლები. სხვათა შორის, ეს ძალიან კარგად ესმოდა აისიდორა დუნკანს, რომელიც ფეხშიშველი ცეკვავდა, და ამით მართლაც აღაგზნებდა მაყურებელთა მამრობით ნაწილს. რადგან, იცი, ქალის ტერფი ზედმიწევნით ეროტიკული რამაა თავისთავად... სხვათა შორის, ერთხელ დავაპირე დამემზადებინა თოჯინა, რომელიც მთლიანად ტერფი იქნებოდა: რაღაცნაირი, გულისამაჩუყებელი, მფრთხალი, შემპარავთითებიანი ტერფი... მერე ის ხუთთავიან გველ-გორინიჩად უნდა გადაქცეულიყო...

და მან დაიწყო მსჯელობა ძელისა და ქალის სხეულის პროპორციათა შეუსაბამობაზე, სადადგმო ფანტაზიის არარსებობაზე, და კიდევ რაღაცებზე, რაც აინტერესებდა... მე კი შევცქეროდი ძუძუებისა და დუნდულების ტრიალსა და რხევას ძელის გარშემო და მის აღმა-დაღმა, მერე მზერა პეტკას აუღელვებელ სახეზე გადმომქონდა და ვინ

იცის, მერამდენედ მაოცებდა ამ უნიკალური პიროვნების ცნობიერების ჰერმეტულობა.

მას არ ეხებოდა არაფერი, რაც ირგვლივ ხდებოდა. ის სრულ უშფოთველობაში იმყოფებოდა ან რაზე უნდა ეშფოთა? ლიზა – მისი ერთადერთი საზრუნავი ამ, არათოჯინურ ცხოვრებაში ახლა შინ იყო, უსაფრთხოდ, მოცემული მომენტისთვის ჯანმრთელი. სხვა დანარჩენი ოდნავ ყურადღებასაც არ იმსახურებდა.

და მოულოდნელად ამან გამაბრაზა.

– მისმინე, – მტკიცედ შევაწყვეტინე მსჯელობა, – სწორედ ახლა ვაპირებდი შენთან ლიზაზე დალაპარაკებას. ვისარგებლებ იმით, რომ მარტონი ვართ...

– მარტონი ვართ? – გაუკვირდა მას, წამით სცენისკენ შებრუნდა, სადაც ძელის გარშემო უკვე ორი ოდალისკა ტრიალებდა სინქრონულად. – ან ლიზა რა შუაშია? ლიზა სრულ წესრიგშია.

– რას დაგიჟინია ერთი და იგივე! წესრიგშია, წესრიგშია... შენთვის “წესრიგი” ისაა, კედლებზე თუ არ დადის, სისულელეებს თუ არ ლაპარაკობს და შენს მუშაობაში ხელს თუ არ გიშლის.

ეს უხეშადაც იყო ნათქვამი და არასამართლიანადაც, მაგრამ უცებ ძალიან მომინდა ამ ფრაკიანი მეთოჯინე-ესთეტის მაგრად შეჯანჯღარება. და, ღმერთია მოწმე, რომ მქონდა კიდეც ამის უფლება.

– სხვათა შორის, მაგ შენი საკუთარ თავში

ჩაღრმავების და ქვიშაში თავის ჩარგვის მარადიული მისწრაფების გამო ის მომენტი გეპარება, როცა სასწრაფოდ ჩემთან გადმოფრენაა საჭირო, ამიტომაც ჩამოგყავს მერე მძიმე მდგომარეობაში მყოფი. მერე კი – მკურნალობის ზედმეტი კვირები და თვეები ხდება საჭირო. ამით საკუთარ თავსაც ვნებ.

– ღმერთო, – ჩაილაპარაკა მან დაბნეულად, – რა ეშმაკად წამოიწყე ეს ლაპარაკი? ყველაფერი ხომ კარგადაა. მართლა კარგად.

– ჰოდა, სანამ კარგადაა, ახლა უნდა დაფიქრდე რა უნდა ქნა მერე. ლიზა რაღაცით უნდა იყოს დაკავებული. არა მარტო ბინის ძებნით.

– დაკავებულია! – დაიყვირა მან, – სულ ვაძლევ სამუშაოს. თვალყურს ვადევნებ, რომ...

– ...თვალყურს ადევნებ, რომ ხის ცხვირები არ შემოაკლდეს, – და იმ შენს სპეიბლებს და კაშპარეკებს დროულად ჩაუსვას. მაგრამ სად წერია, ვინ გითხრა, რომ ლიზა მხოლოდ შენით, მხოლოდ შენი თოჯინებით უნდა იყოს დაკავებული?

– ბორკა... – გაოგნებულად ჩაილაპარაკა მან, – რას მეცი! შენ ხომ ძალიან კარგად იცი სიტუაცია. რას მთავაზობ?

– რამე კურსებზე ჩაწერე. მის ასაკში ჯერ კიდევ სავსებით შესაძლებელია რამე პროფესიის დაუფლება.

– მაინც რომლის? – წამოიძახა მან, –

ბულალტრის? მერე ხომ გაგიჟდება!

ბოლო სიტყვები მთელი მისი ცხოვრების ფონზე სასაცილოდაც კი ჟღერდა.

− კი, გაგიჟდება, გაგიჟდება... ასე თუ გაგრძელდება. მისმინე: ლიზა შრომით თერაპიაზე დასმული ალკოჰოლიკი არ არის, რომ მთელი ცხოვრება რაღაც ცხვირები თუ რა ვიცი, კიდევ რა აწებოს! კომპიუტერი უყიდე! შენ ბუნებაში უკანასკნელი ხარ, ავსტრალიელი ბუშმენების მერე, ვისაც კომპიუტერი არ გააჩნია. ჩაწერე გრაფიკის, დიზაინის, ან ეშმაკმა იცის, რის, − რაღაცის კურსებზე!@ეს საინტერესოა, ლიზა კი ნიჭიერი გოგონაა, ყველაფერს წარმატებით აითვისებს...

ის დიდხანს დუმდა და თავდახრილი უხალისოდ ჩიჩქნიდა ჩანგლით მორთმეულ სალათს. ბოლოს, ძალდატანებით წარმოთქვა:

− რისთვის, − რომ მარტომ იაროს ღმერთმა უწყის, სად? ლიზა გავუშვა სადმე? − მისი მიამიტობის პატრონი, ლიზა? − დაბნეულ მოზარდს რომ ჰგავს გარეგნობით... − რაღაც კო-ლექ-ტივში გავუშვა?.. რისთვის, − რომ სადმე გზა აებნეს და დაიკარგოს? ან მანიაკი რომ დაესხას თავს?.. რაღაც საშინელება რომ მოხდეს?

მე გაოგნებული შევცქეროდი ჩემს ძველ მეგობარს, და არც კი ვცდილობდი სიტუაციისათვის შესაფერისი რამე სიტყვები მომეძია. სიმართლე რომ ვთქვა, ვერც კი წარმომედგინა, რომ მდგომარეობა ამდენად შეუქცევადი და უსაშველო იყო. ეს იყო მისი

ახალი სახე, უფრო სწორად, ახალი გამომეტყველება... ის მუყაოს თოჯინა გამახსენდა, დღეს რომ მეჭირა ხელში... ეს სიტუაცია რაღაც სხვა რაკურსი იყო, რომლის გამოც სახეებსა და სხეულებს სხვაგვარად ეცემა შუქი.

რამდენიმე წამს ორივე ვდუმდით. ბოლოს მე ხმადაბლა წარმოვთქვი:

– შე არამზადა... შე არამზადა და ნაძირალა... ხვდები მაინც, რას აკეთებ?

მან განაწამები თვალებით ამომხედა და მყისვე სცადა, როგორმე გაქცეოდა ჩემს მომთხოვნ მზერას. მერე ამოთქვა:

– და შენ? შენ თუ ხვდები, მე რა დღეში ჩავვარდები, ლიზას რამე საშინელება რომ შეემთხვეს?

მე მისკენ გადავიხარე მაგიდის ზემოდან და გარკვევით ვუთხარი:

– მას უკვე შეემთხვა შესამთხვევი. ყველაზე საშინელი რაც იყო, უკვე შეემთხვა. როცა ადამიანი გრძნობს და ამბობს, რომ მას სული წაართვეს ამაზე დიდი საშინელება აღარაფერია.

ვიცოდი, რომ ეს აკრძალული ილეთი იყო. წელსქვემოთ დარტყმა. მაგრამ განზრახ და ზუსტად დავარტყი, რადგან ვხვდე ბოდი, რომ შოკური თერაპია ლიზას ხსნის ერთადერთი და უკანასკნელი შანსი იყო. ლიზასიც, და თვითონ მისი, პეტკას ხსნისაც, იმ გიჟის.

– შენ თვითონ ხარ ის მანიაკი, რომელიც თავს დაესხა, – ვთქვი, – თავი დაანებე! გაუშვი! საკუთარ თავში გაუშვი! ლიზა შენი ავადმყოფი ცოლია, და არა შენი საკუთრება.

– საკუთრება... – მან მწარედ ჩაიცინა და დადუმდა. და კვლავ გამახსენდა ის მუყაოს თოჯინა, რომელიც, იმისდა მიხედვით, თუ რა რაკურსით ეცემა შუქი, არა მხოლოდ სახის გამომეტყველებას იცვლის, არამედ მთელ თავის არსს. ოდნავი თავის დახრა და აი, გაქრა შემოქმედის პირქუში ეგოიზმი, და ადგილი ტანჯულ სინაზეს დაუთმო...

მან ნელა ჩაილაპარაკა:

– თვე-ნახევრის წინ ერთი კარგი კაცი გავიცანი. ის თოჯინების კოლექციონერია, ისტორიკოსი, ანტიკოსი. აფრ ქვევს და აფრქვევს უძველეს ციტატებს... ერთი ძველი ხელნაწერიდან მოიტანა ციტატა, რაღაც, ალექსანდრიული ლიტერატურის ნარჩენი... იქ ერთ მაგზე იყო ლაპარაკი, რომელმაც ჰაერისგან შექმნა ბიჭი და მერე "თავის მსახურად გაიხადა".

– ჰაერისგან?! – ვკითხე განცვიფრებულმა.

– ჰო. ჰაერისგან. – და განაგრძო, მე არც მიყურებდა. – იქ პროცესიც კი იყო აღწერილი: ჰაერისგან აქცია წყლად, წყლისგან სისხლად, სისხლისგან ხორცად... "ხორცად განმყარება" ძალიან ხატოვანი თქმაა, არა? და ესო, ანუ თიხისგან ადამიანის გამოძერწვა, შემოქმედის ქმნილებაზე ბევრად რთულიაო...

– მერე? – ვერ გამეგო, რისთვის მიყვებოდა ამას მაინცადამაინც ახლა, იმ მომენტში, როცა, ბოლოს და ბოლოს, სერიოზულად ავლაპარაკდით მასზე და ლიზაზე. ისიც კი ვიფიქრე, რომ თოჯინების შესახებ წეღანდელ მსჯელობას დაუბრუნდა, იმ თავისი წყეული თოჯინების შესახებ, და საკუთარი თავი გამოვიჭირე იმაში, რომ მალე მეც ისევე შევიძულებდი მთელი სამყაროს თოჯინებს, როგორც ლიზამ შეიძულა.

– ჰო, ჰო... – აჩქარდა პეტია, აშკარად იმის შიშით, რომ ლაპარაკს შევაწყვეტინებდი და სათქმელს ბოლომდე არ ვათქმევინებდი. – ჰო, მან ჰაერისგან შექმნა ბიჭი და მისი სული მსახურად გაიხადა, და ამით მასში პიროვნება, ადამიანი მოკლა. ჰოდა... – მან თავისი განცვიფრებული, გამჭოლი ჭაღარა თვალები მომაპყრო, რომლებიც თითქოს შენ კი არ გიცქერდნენ, არამედ სადღაც, სულ სხვა სივრცეებს უმზერდნენ, – არის ხოლმე წუთები, როცა მეჩვენება, რომ... როცა თავს სწორედ იმ ბიჭად ვგრძნობ, ჰაერისგან შექმნილ და “ხორცად განმყარებულ” ბიჭად. რომლის სულიც შემოქმედმა, ან იმან, მეორემ, – ამ ორიდან ერთ-ერთმა, – მსახურად გაიხადა. მაგრამ რომლის მსახურად ვარ აყვანილი, რაში მდგომარეობს ამ ჩემი მსახურების არსი და, რაც მთავარია ვისი საკუთრება ვარ... ეს, ლიზასგან განსხვავებით, მე არ ვიცი...

ისეთი სახე ჰქონდა, რომ ცოტა შემეშინდა კიდეც. შემეშინდა და გულისრევა ვიგრძენი...

გამოდის, რომ მაინც შევძვერი მათს უღრანში: თვითონაც დავიკაწრე და მისი ტყავიც დავგლიჯე-დავასისხლიანე.

– კარგი... – ვთქვი არეულად. – მოათავე ლუდი და წავიდეთ სახლში. აღარ შემიძლია ამ ძუძუების და უკანალების ატანა. ლიზა გველოდება... თან ჯერ ხომ ელისი უნდა მივიტანოთ? ჰო, მართლა, სად დატოვე?

– სამსახიობოში...

ის თავჩაღუნული იჯდა და უწინდებურად თვალს არ აცილებდა თეფშს. არ ვიცი, როგორ ახერხებდა ამას ნებისმიერ სიტუაციაში, ნებისმიერი საზოგადოების გარემოცვაში შეეძლო სულ სხვა ჰაერის, სხვა განათების, სხვა სივრცითი სიმკვრივის კაფსულაში ჩაძირულიყო! აი, ახლაც, ამ თავისი შუასაუკუნეობრივი ყვითელი სახის წყალობით, საოცრად ტრაგიკულ-მნიშვნელოვანი იერი ჰქონდა, და ბევრად რეალური, ვიდრე სტრიპტიზის თანმხლები, ქონიანი კვნესებით გაჯერებული მუსიკის ფონზე მოშვერილი უკანალი... უცნაური კი იყო, რომ მის ზურგს უკან მანეკენები ცოცხლებივით მოძრაობდნენ.

– იმედი მაქვს, კარი ჩაუკეტე, – ამ სიწმინდის სავანეში...

მან უნებურად ჩაიცინა და თქვა:

– ელისი შეგიძლია არ ჩაკეტო, არავინ მიუახლოვდება. მისი ეშინიათ, არ მითქვამს შენთვის? ადამიანებს ისე ეშინიათ მისი, როგორც... იმ შენი ბუშმენების ქამარზე

შებმული გამხმარი თავების. ან როგორც მუმიის... აღფრთოვანებულები კი არიან, მაგრამ ურჩევნიათ მისგან შორს დაიჭირონ თავი. შეგიძლია, ტრამვაის გაჩერებაზე დაგრჩეს, ან სუპერმარკეტში... არაფერი მოხდება. ხომ ნახე, რა ფრთხილად ეხებოდა თითით ტაქსის მძღოლი?..

წამოვდექით და სცენის გასწვრივ ჩავიარეთ, ფაქიზი, თოჯინური სცენის გასწვრივ, რომელიც დაძარღვულ, ცხენის ჩლიქებიან ფეხებს წაებილწა; ჩავუარეთ მთელ ამ უპატრონო, ყველასა და არავის კუთვნილ ქალთა კონტინგენტის მკერდებს, მუცლებს, ჭიპებს, ძუძუებს...

პეტია ჩემ წინ მიდიოდა ძუნწად განათებული კულისებსუკანა დერეფნებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბურტყუნებდა:

– კომპიუტერის ამბავში მართალი ხარ, მართალი... ვუყიდი კომპიუტერს, ხვალვე ვუყიდი, აი, ზუსტად ამ ფულით... ვინმეს დავიქირავებ, რომ ასწავლოს... სახლში ჩაუტარონ გაკვეთილები...

ამასობაში სამსახიობომდე მივედით. პეტიამ კარს ხელი ჰკრა და უეცრად შედგა ზღურბლზე, და წამიერი ავისმაუწყებელი პაუზის შემდეგ ძლივსგასაგონად ამოიხვნეშა:

– სად...

და უცებ ველურ ხმაზე იღრიალა:

– სა-ა-დ ა-ა-რ-ი-ი-ის?!!

მე ხელი ვკარი და ოთახში შევვარდი. დიახ: ძელსკამიც ცარიელი იყო, მაგიდაც; შირმის უკან, სკამის საზურგეზე ვიღაცის ლიფი ეკიდა. ხოლო ელისი არსად იყო.

დერეფანში გავვარდი და გასასვლელს ვეცი, სადაც მაგიდას კამერდინერის ბაკებიანი დარაჯი იჯდა.

– მისმინეთ, – ძლივს ამოვთქვი აქოშინებულმა, – იქ, სამსახიობოში, გამოსვლის მერე თოჯინა დავტოვეთ... და რატომღაც, იქ აღარაა! შემთხვევით ხომ არ გინახავთ...

– მინახავს. – კაცი აპათიურად აღიქვამდა ჩემს კრუნჩხვებს. – წავიდა.

– ვინ წავიდა? – ვკითხე ხმადაბლა. – თოჯინა? გაგიჟდით, პატივცემულო?

– კი, როგორ არა, თოჯინა! – ჩაიცინა მან, – ვნახე ეგ ნომერი. ყველაფერი თეთრი ძაფით იყო ნაკერი. ეგრევე მივხვდი, რომ ქალია! მსახიობი!

– მისმინე, ნაბოზვარო, ვერ გაიგე, რა გითხრეს? – დავუზუსტე და მართებულ ტონზე გადავედი, რადგან დრო ცოტა გვქონდა, ეს ნაბიჭვარი კი ჩემი დაუვიწყარი ბებიკოს გამონათქვამთა მთელ არსენალს იმსახურებდა. – ეგ თოჯინაა! რე-კვი-ზი-ტი! აფიშა არ წაიკითხე?

– კარგი რა... – თქვა მან... – აფიშა აფიშაა და ნატურა ნატურა!.. იდიოტები გგონიათ ხალხი? მე რა გითხარით: შემოვიდა, მოსაწვევი მანახა: “მაპატიეთ, წეღან სცენაზე

გამოვედი და სამსახიობოში რაღაც დამრჩა. გარეთ მთავარი შესასვლელით გავედი და ხომ ვერ მიმასწავლით სამსახიობოს, ორიენტაცია მიჭირს”... მეც მივასწავლე პირდაპირ და მარჯვნივ... წავიდა და ხუთ წუთში გამოვიდა... ეგ იყო. – ჩაიცინა და ზიზღით გაიმეორა: – თოჯინა! სინდისი უნდა გქონდეს კაცს!..

მე დავბარბაცდი, უკან შევბრუნდი და ისევ სამსახიობოსკენ გავქანდი. იქ უკვე შეგროვილიყვნენ პეპლიანი კოლობოკ-მიშა, ვიღაც ქალი, სახით ანჟელა ტაბაჩნიკს რომ ჰგავდა, ძუძუებიც რომ მისნაირი ჰქონდა, და ჯუჯა-მეტრდოტელი... და ამ პანოპტიკუმისგან განცალკევებით, ძელსკამზე პეტკა იჯდა, რომელიც ხელებით ისეთ მოძრაობებს აკეთებდა, თითქოს ჰაერს ნაფლეთებად გლეჯსო.

– პოლიცია გამოიძახე, მიშა... – მონოტონურად იმეორებდა ის, – პოლიცია უნდა გამოვიძახოთ...

ის კი, კოლობოკი, – შეხტებოდა ხოლმე ამ სიტყვებზე, პატარა ღიპს ლამის ცხვირში ირტყამდა და მხურვალედ უმტკიცებდა:

– პეტ, პეტ... ოღონდაც ეგ არა... არ გვინდა ძაღლობა, კარგი? მე აგინაზღაურებ. რაც ღირს, მთლიანად! სამასი, თუ გინდა, ხუთასი ევრო იყოს! შენ მხოლოდ მითხარი, რამდენი... ოღონდ ძაღლები არ გვინდა! მიდი, პირდაპირ მითხარი რა ღირს ის შენი ლამაზი გოგო?

– ბევრი არაფერი... – ჩაილაპარაკა პეტკამ განაცრისფრებული ტუჩებით, თითების მტვრევით. – ხუთასი ათასი... დარეკე პოლიციაში.

ფანჯარასთან მივედი და ხელი წავკარი. ფანჯარა გაიღო და ჩახუთულ ოთახში სუსხის პატარა ღრუბელი შემოცურდა. უკაცურ ჩიხს გადავხედე. ფანჯრის ქვეშ, ახლადდადებული ფუმფულა თოვლი დაგლესილ-დაპრესილი იყო, ხოლო ამ ნაკვალევის გარშემო და მერე ჩიხიდან ქუჩისკენ პაწია ნაფეხურები მოჩანდა. თითქოს სულ ახლახან ვიღაც, ბავშვივით მსუბუქი წამოწვა ამ ადგილას, მერე კი წამოდგა და წავიდაო...

და აი, ჩემი ლამის შეშლილი მეგობრის გვერდით, თითებს რომ იმტვრევდა და ხელებით ნაფლეთებად გლეჯდა ჰაერს, ამ უკიდეგანო სასოწარკვეთის გვერდით, უეცრად მრცხვე ნია აღიარების! – რაღაც ველური, მოზარდული აღტაცება და ლიზათი სიამაყის განცდა დამეუფლა იმის გამო, რომ მან მოახერხა ამის გაკეთება, მისი თვითმყოფი, ძლიერი ხასიათის გამო, მისი შეურიგებლობის გამო...

ფანჯარა ფრთხილად მივხურე, იღლიებში ამოვდე ხელები მოღვენთილ პეტკას, წამოვქაჩე და ისე დავაყენე ფეხზე, მთვრალებს რომ აყენებენ.

– არავითარი პოლიცია, – მხარსუკან ვუთხარი კოლობოკს, – და მოკეტეთ, სიტყვა არავისთან დაგცდეთ. სადაა ამის ქურთუკი, აქ მომეცით... ტაქსი გამოიძახეთ სასწრაფოდ.

ტაქსი სასწრაფოდ!

მერე პეტკას მოვეხვიე და ყურში ერთადერთი მოკლე, სიტყვა ჩავჩურჩულე, სიტყვა, ორად ორი მარცვალი, რომელიც ყველა სხვაზე უკეთ იცოდა. ქურთუკი შემოვაცვი და გასასვლელისკენ წავათრიე.

მთელი გზა ის სავარძელზე გადაგდებულ თავს ატრიალებდა და ყრუდ გმინავდა. ერთადერთხელ თქვა გარკვევით:

– ხიდიდან გადააგდებდა...

მე კი მშვიდად ვიუარე:

– წინასწარ ნუ იგონებ რაღაც საშინელებებს...

როცა ვალდშტეინსკაიაზე, მათი სახლის წინ გავჩერდით, პეტკა მანქანიდან გადახტა და გიჟივით გავარდა ჭიშკრისკენ. მაგრამ უეცრად შედგა, უღონოდ მიესვენა მას და თქვა:

– შენ წადი... მე მეშინია.

ძვლებამოჩრილ სახეზე მკვდრისფერი ედო, ისევე, როგორც ჭიშკრის თავზე გამოხატულ “შავ ცხვარს”.

სახელური ჩამოვწიე და ორივე ერთად გავქანდით პარმაღისკენ, გაწევ-გამოწევით ვცდილობდით გადაგვესწრო ერთმანეთისთვის, გზადაგზა ვიხდიდით ქურთუკებს, – ღმერთმა უწყის, რამდენ ზედმეტ და გიჟურ მოძრაობას აკეთებს ადამიანი აფექტის დროს! ეზო გადავჭერით, კართან მივირბინეთ და ერთად მივაწყდით

ისე, რომ კინაღამ გავიშხლართეთ წინკარში...

ის სურათი არასდროს დამავიწყდება. პანაშვიდურ, ოდნავ ჭრაჭუნა სიჩუმეში, სავარძელში ნელა ირწეოდა კოშმარული ორთავიანი ზღაპრული არსება... ერთი თავი, როგორც წესი და რიგია, მხრებზე იდგა, მეორე კი, მუხლებზე ედო ლიზას, მეწამული თმა მიმოშლოდა და უდრტვინველი, წყნარი ღიმილით შემოგვცქეროდა. ხოლო უნიკალური თოჯინის დამსხვრეული, დაბრეცილ-დამახინჯებული, გამოფატრული სხეული კი იატაკზე ეგდო ჩაქუჩთან, ხერხთან, და პეტკას კიდევ რაღაც სხვა ხელსაწყოებთან ერთად.

მე კარში ჩავდექი, ხელებით გავმაგრდი ჩარჩოში და ოთახში შემოსასვლელი გზა გადავუღობე ჩემს უბედურ მეგობარს.

და თვალმოუცილებლად შევცქეროდი ლიზას – ჩემთვის სრულიად უცხო ქალს...

მას ჰქონდა სახე ადამიანისა, რომელმაც მძიმე ვალი აღასრულა: სახე ყველაგზამოჭრილი ადამიანისა, რომელიც იძულებული გახდა, მოეკლა... სახე ჯალათისა, მსხვერპლის სიკვდილით დასჯის მერე პირველივე წამს, როცა ალისფერი პერანგით მოსილი, უხმოდ სწევს დაბლა ხელს, რომლითაც ჯერაც ჩაუმქრალ რკალად მოელვარე, ალესილპირიანი ნაჯახი უპყრია.

ჩემს ზურგს უკან უფრო სწორად, ზედ ჩემს გახურებულ ზურგზე პეტკა იბრძოდა,

ოთახში შეღწევას ლამობდა. და ამ ორს შორის წარმოქმნილი საშინლად მაღალვოლტიანი დაძაბულობის გამო თავში გუგუნი დამეწყო.

ლიზამ ყრუ, ჩახლეჩილი ხმით თქვა:

– შემოუშვი... – ასეთი ტონით ბრძანებენ წამებით მოკლულის გვამთან ნათესავების შეშვებას; და კიდევ, – მომკალით და, ამ ხმაში თანაგრძნობაც გამოსჭვიოდა...

მათთვის, ორივესთვის, ის მექანიკური თოჯინა ყოველთვის ცოცხალი იყო, – და ამ უფსკრულში ჩახედვისაც კი მეშინოდა...

– შემოუშვი!

ხელები დავუშვი. პეტკას გედის ყივილი აღმოხდა და შემზარავი სახით მიაწყდა ლიზასკენ. გზა მოვუჭერი და იატაკს დავანარცხე. პროფესიული ჩვევაა: ემიგრაციის გარიჟრაჟზე, ნახევარი წელი ფუჭად არ მიმუშავია მედძმად განსაკუთრებით მძვინვარეთა განყოფილებაში.

გზის მოჭრა და დანარცხება წარმატებულად გამომივიდა. მერე ზემოდან დავეცი და ყოველი შემთხვევისთვის, ხელიც გადავუგრიხე. და მისი სახის ქვეშ დამდგარმა სისხლის გუბურამ მიმახვედრა, რომ გადავაჭარბე: ჩემი საბრალო პეტკა კარგა მაგრად დახეთქებულიყო იატაკზე. ის მდუმარედ იწვა ჩემ ქვეშ და ღრმა, გაწელილი ქსუტუნით ისუნთქავდა ჰაერს.

ხოლო ლიზამ მშვიდად თქვა:

– გაუშვი, ბორია. არაფერს დამიშავებს. ყველაფერი ცუდი სამუდამოდ დამთავრდა...

არა, ჯერ არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ყველაფერი ცუდი დამთავრდა ხრინწიანი, მკვნესარე სუნთქვა მოისმოდა ჩემ ქვემოდან, – ჯერ ვერ გავბედე პეტკას ფრაკიანი ზურგიდან წამოდგომა. საკუთარი თავის მიხედვით ვსჯიდი: მე ხომ, მის ადგილას, უსათუოდ მივასიკვდილებდი ქალს. ასე რომ, ცალი ხელით კვლავ მეჭირა მისი ამოტრიალებული ხელი, მეორეს კი დამაწყნარებლად ვუსვამდი ბეჭებზე.

– ააყენე, – განაგრძო ლიზამ, – მინდა, რომ ფეხზე მდგომმა მოისმინოს ეს სიახლე. კორჩმარის დამალვა კი ამიერიდან საჭირო აღარაა. იჯდეს ჩვენ შორის. მან ეს დაიმსახურა.

და უცებ ჩემთვის აქამდე უცნობ, მოზეიმე, მოწკრიალე სიმაღლემდე აუწია ხმას და ჰეროლდივით მკაფიოდ წარმოთქვა ჩემთვის სრულიად გაუგებარი ფრაზა:

– გაიგე, მარტინ? ის უკვე! მოგვემსახურა!

და ერთბაშად ჩამოდგა სიჩუმე: როგორც სტანისლავსკის სისტემის მიხედვით რეპეტიციებზე საგულდაგულოდ დამუშავებული სცენიური პაუზა. ერთბაშად ვერც კი მივხვდი რატომ: პეტკას ქსუტუნა სუნთქვა შეწყდა.

მხარზე მოვქაჩე, ზურგზე გადმოვატრიალე და დავინახე მისი გადატრიალებული

თვალები და გვარიანად გატეხილი ცხვირი.

– ლიზა! – ვიყვირე, ის სულელური პეპელა მოვაგლიჯე პეტკას და პერანგის ღილების შეხსნა დავუწყე. – გადააგდე ეგ წყეული თავი, სალომეა ხომ არ ხარ? ყინული მოიტანე საყინულედან! და გთხოვ, არ შეგეშინდეს: ჩვეულებრივი გულის წასვლაა...

ახლა სურათის შეცვლას ხომ არ ინებებთ? – წარმოიდგინეთ: მოქვითინე ლიზა, ამ სახლის ყველა სტრესისა და სკანდალისაგან საბოლოოდ შეშლილი, მოწკმუტუნე ხისფეხა ცუგა, და დალეწილი, უგრძნობი მეთოჯინე.

ყველაფრის დასასრულ, სწორედ იმ წამს, როცა საბოლოოდ გამოვიყვანე პეტკა საკმაოდ გახანგრძლივებული უგონო მდგომარეობიდან, რომელმაც ძალიან შემაშინა, – ელისის ყველასგან მივიწყებული თავი სარწეველა სავარძლიდან იატაკზე გადმოვარდა, პატრონთან მიგორდა და მელანქოლიურ რწევას მოჰყვა ზედ მის სახესთან... და თითქოს გამოთხოვების ნიშნად დაატრიალა თვალები სწორედ ის, მთის თაფლისფერი ძვირადღირებული თვალები (შოთხვი, ცხრატყავა და სამყურა, მხოხავი ბეგქონდარა და სალბი), რომლებიც დიდი რუდუნებით დაბერა მისთვის ჩეხეთის უკანასკნელმა თვალთამბერავმა მარეკ დოლეჟალმა...

* * *

...აბა, საკმარისია. დროა, მოვამთავრო. მომბეზრდა საეჭვო საქმიანობისთვის იშვიათი მშვიდი საღამოების დათმობა. მით

უმეტეს, რომ არა მგონია, ვინმეს წავაკითხო ეს ჩემი ნაწერები, თუნდაც, მრავალი წლის შემდეგ.

ის იდიოტი მთელი თვე არ მცემდა ხმას. თავში ჩაიბეჭდა (იდიოტი! ნეხვი! – როგორც ჩემი დაუვიწყარი ბებიკო იტყოდა), რომ მე და ლიზამ პირი შევკარით! და პრაღაში რამდენიმე წარუმატებელი სატელეფონო ზარის შემდეგ, როცა მე ვცდილ ობდი მისთვის რამე ამეხსნა, ის კი საზარელი ღრიალით მიხეთქებდა ყურმილს, – გადავწყვიტე დრო მიმეცა, რომ გონს მოსულიყო.

ლიზას ნაგვიანები ორსულობა და მისი საოჯახო “სინდრომის” შლეიფი მადარდებდა. სიმართლე რომ ვთქვა, ახალი სარისკო ექსპერიმენტის წინააღმდეგი ვიყავი, და რაღაც ძალა გამუდმებით მექაჩებოდა, რომ დამერეკა, – მაგრად მეყვირა, გენეტიკური ანალიზის გასაკეთებლად გამექცუნებინა, სანამ გვიანი არ იყო... მაგრამ... რაღაც მაკავებდა მთელი ამ ჩემი ახსნა-განმარტებებიანად: ვადა, ანალიზები... რაღაც მაჩერებდა, სრულიად არაექიმურად, – რომ მათი ცხოვრების ამ სფეროში არ შევჭრილიყავი.

ლიზა კი, რომელთანაც ერთი-ორჯერ მოვახერხე დალაპარაკება, საოცრად მშვიდი, დამცინავ-საქმიანი იყო და ჩემი ფრთხილი მცდელობების პასუხად რამე მეთქვა მისთვის, ერთსა და იმავეს მიმეორებდა:

“ყველაფერი კარგად იქნება, ბორია, აი, ნახავ, – ამიერიდან ყველაფერი მშვენივრად იქნება!”...

უცნაური დარწმუნებულობაა! მართლა და მართლა: ხომ უნდა დაგაკავშიროს ბედისწერამ ორ შეშლილთან!..

ლიზასგან შევიტყვე, რომ პეტკამ, როგორც მეწილემ, პროხაზკებთან და კიდევ რომელიღაც სათოჯინო სააქციო საზოგადოებასთან ერთად, რაღაც გრანდიოზული პროექტი წამოიწყო: მათ ვლტავაზე ძველი ბარჟა შეისყიდეს და ახლა მცურავ თეატრად აკეთებენ მას, – ექსპერიმენტულ, სინთეტურ თეატრად: ადამიანები-თოჯინები ეყოლებათ... ჯერ ყველა საბუთი არაა მზად, ჯერ კიდევ ბევრი სარბენია, და ბევრი სანერვიულო, რომ მაგისტრატმა ერთ-ერთ ხიდთან ბარჟის მიყენების ნება დართოთ... მაგრამ მსახიობების ქასთინგი უკვე გამოცხადებულია და ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მიაწყდა იქაურობას: აკადემიის კურსდამთავრებულთა მთელი კურსი შენც ხომ იცი, მარტინს, რაც უნდა იყოს, კარგი რეპუტაცია აქვს. გეგმები და იდეები კი იმდენი აქვს, ლამის თავი გაუსკდეს. და, რაც მთავარია, მარტინი ლიზას დაჰპირდა, რომ ამ პროექტში მისთვისაც იქნება სამუშაო: მაგალითად, ქორეოგრაფიაში ამეცადინებს ბავშვებს, – ცხადია, მშობიარობის მერე, როცა დაიჩუტება. ბორია, გესმის, – მეუბნებოდა ლიზა, ეს ხომ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი პროფესიაა, არა?..

კი, კი...

საქმიანი წვრილმანების ბევრი არაფერი გაეგებოდა; მხო ლოდ ის დასცდა, რომ პეტკას წილად იმ რაღაც სათოჯინო სააქციო საზოგადოებაში სამარის სახლში აღებული მთელი თანხა ჩააბრეხვეს, – ასე რომ, ჯერ ისევ საჯინიბოში ვიცხოვრებთ, რა მოხდა, მალე ეზოს კედელს სურო გადაუვლის, მოედება მწვანე ტალღებად! შემოდგომაზე კი გაალისფრდება. დილაობით ნამი დაედება... გახსოვს, რა კარგია ჩვენთან ზაფხულობით? ხომ მართლა ძალიან კარგია, ბორია?

კი, ძვირფასო, კი...

მე ვუსმენდი მის განუმეორებელ ხმას, მის ბიჭურ ხაოიან ხრინწს, და ვფიქრობდი ვინ იცის? ვინ იცის, – ძალიან იშვიათად, მაგრამ ხომ ხდება ხოლმე, – იქნებ აღარასდროს დაბრუნდეს კლინიკაში? და ამ შემთხვევაში, ხომ არ დადგა დრო, რომ მე, დროებითმა ქმარმა, კვლავ წამოვიწყო განქორწინების პროცესი?..

* * *

და უცებ პეტკამ თვითონ დამირეკა.

შემოვლაზე ვიყავი. მედდა შირამ პალატაში შემოიხედა და მითხრა:

– ბორის, ის თქვენი უცნაური მეგობარი გირეკავთ, – რუსი, ფსიხი.

მეორე სართულიდან საორდინატოროსკენ

გავიქეცი, მოსწავლე ბიჭივით ვახტებოდი კიბის ორ-ორ საფეხურს. საიდან ასეთი ახალგაზრდული სიცქვიტე? მითხარით ერთი, ღვთის გულისათვის საიდან?..

– ბორკა! – ჩამძახა მან ძლიერი, რაღაცნაირი, ახალი ხმით, და ამ ქარწაღებულმა ხმამ თითქოს შეატორტმანა ჩვენ შორის მოქცეული უზარმაზარი სივრცე. – ქალიშვილი მყავს, ბორკა!

– როგორ?! – დავიბენი, – უკვე დაიბადა?

– არა, ჯერ რა დროსია, რას ამბობ, გაგიჟდი, ექიმო? მაგრამ ესენი უკვე ხედავენ. გუშინ მეც ვნახე ეკრანზე, ბორკა, ვნახე! თევზივით დაცურავს: ჯერ რას ჰგავს, საფრთხობელას, მაგრამ უკვე ლამაზია ნამდვილი თოჯინაა!

და უცებ, თითქოს მდუღარე გადამასხესო:

– არა!!! – ვიღრიალე ყურმილში და არც კი მომრიდებია მედდისა და კიდევ ერთი ჩემი თანამშრომლის, რომლებმაც ჩემს ღრიალზე დაფეთებული კურდღლებივით ისკუპეს კარისკენ. მხოლოდ დამაბრმავებელ ბრაზს ვგრძნობდი და სურვილს ძაღლივით გამეგდო წიხლქვეშ პეტკა. – არა, შე არამზადავ! არ გაბედო!!! თოჯინა არაა! ის არ არის თო-ჯი-ნა!!!...”

ეპილოგი

ძლიერი ქარი თვალებს წვავდა, კარლის ხიდიდან ყველაზე ჯიუტ ტურისტებსაც კი ხვეტდა.

გაზაფხულის პირქუში ვლტავა ლილისფერ-თუნუქისფერი პითონივით მისრიალებდა ხიდქვეშ და რუხი ცა, თითქოს მდინარეს ეხამებაო, მძიმე ღრუბელთა რიგებით იბურცებოდა და იტალღებოდა.

მხოლოდ იაპონელთა პატარა ჯგუფი, რომლის ექსკურსიამძღოლი პაწია ხელით ათითებდა მიდამოსაკენ, და რამდენიმე მონდომებული წყვილი, რომელთაც გადაეწყვიტათ ზლატა პრაღაში თავიანთი არასეზონური მოგზაურობიდან მაქსიმალურად ბევრი სასარგებლო ცნობა და საოჯახო ფოტოალბომებისთვის მაქსიმალურად მეტი მასალა მოეპოვებინათ, – ერთი ნიშიდან მეორემდე დაბორიალობდნენ და ქანდაკებების ფონზე იღებდნენ ფოტოსურათებს.

ყველა და ყველაფერი გათოშილია: მხატვრები თავიანთ მოლბერტებიანად და ბრეზენტის პატარა სკამებიანად, ირჟი თავის ტლანქ გიტარისტიანად; და კიდევ, როგორც ჩანს, შუა ხიდზე, მრავალტანჯული იან ნეპომუცკის ქვეშ, თავისი ელექტრონული ჯაზ-ბენდის თანხლებით თავგანწირულად უბერავს გაყინულ-გათოშილი ჰონზა.

ყველა ისე თბება, როგორც შეუძლია: თუ გინდა, კოცონიც დაანთე...

არაფერია, ბიჭებო: გავიდა მშიერი ზამთარი, ეს ქარიანი გაზაფხულიც ჩაივლის და სადაცაა, გადაგვეშლება თაფლის ფაფითა და ბარაქის ბუჩქებზე გამოსხმული გემრიელი კენკრით სავსე ზაფხულის ველ-მინდვრები...

ჰონზამდე რომ მივიდა, მოპირდაპირე მოაჯირთან შედგა.

სწორედ ამ დროს მათ შორის იაპონელთა ჯგუფი გადიოდა. ვაი-მუსიკოსმა ხელი დასტაცა საბავშვო დაირას, ფეხებთან რომ ედო, ხელები დასცხო, კეფაზე დახვეულ ჟღალ-კიკინებიანი თავის ტრიალს მოჰყვა და თან თავდავიწყებით მოაღო ქათქათაკბილებიანი ხახა. ვიღაცამ, მომეტებულად გულჩვილმა, გავლით ჩაუგდო მუყაოს ყუთში ორიოდ კრონი.

პეტია პაუზას დაელოდა და გაუღიმა ყმაწვილს. მანაც ხელი დაიქნია საპასუხოდ...

არა, ჰონზა დელიკატური ადამიანია. ახლა ის არ სთხოვს პეტიას: “მაჩვენე კლასი!”... ნამდვილად არ განუახლებს ჭრილობას. ყველამ იცის, რა უბედურება შეემთხვა პეტიას: მისი გენიალური თოჯინა, ის ელისი ლამის ადამიანი, ლამის ნამდვილი ქალი, ცოცხალისგან რომ ვერ გაარჩევდი! − ვიღაც ნაძირლებმა პირდაპირ იმ ღამის კლუბიდან მოიპარეს, სადაც პეტია გამოდიოდა... ამბობენ, პოლიციამაც ვერ იპოვაო. მიწამ უყო პირი თოჯინას. ირჟი ირწმუნება, რომ შეიძლება უცებ ამერიკაში გამოჩნდეს, ან იმის იქით, რომელიმე კერძო კოლექციაში... ცოდოა პეტია... აგე, დგას, დაბნეულად

იღიმება, გეგონება, არაფერი მომხდარაო, უცნაური ადამიანია...

პეტიას კი უკვე აგვიანდებოდა ტონდასთან, რომელსაც, როგორც მოილაპარაკეს, მაგისტრატთან უნდა შეხვედროდა... მაგრამ რატომღაც ფეხს არ იცვლიდა, იდგა აქ, ხიდზე, სუსხიან ქარში და მრავალტანჯულ ბებერ ჰონზას უღიმოდა. მერე მიუახლოვდა, მუყაოს ყუთს ჩახედა: ეგრეა გროშები ყრია. საცოდავი გროშები...

– მიდი! – ნიკაპი მაგნიტოფონისკენ აიქნია. გასაკვირია, რომ ელექტრონიკა ასეთ გაუსაძლის ყინვაში მუშაობს.

ყმაწვილმა თვალები ფართოდ გაახილა და თავის აქეთ-იქით ქნევას მოჰყვა:

– პეტია? არა... რას ამბობ? არ-ა-ა-ა...

– მიდი, მიდი... – გაუმეორა პეტიამ, ზურგჩანთა გადაიძრო მხრიდან, ქურთუკი გაიხადა და მხოლოდ სვიტერისა და ჯინსის ამარა დარჩა გაზაფხულის ბასრი ქარის პირისპირ.

– ვაჩვენოთ კლასი... – თვალი ჩაუკრა ჰონზას და სახელოები აიქაჩა, – წამიერად, მტაცებლურად აკრეფილმა, თითქოს უფრო გამაღლებულმაც კი.

ჰონზა აღარ შეკამათებია, დაიხარა, სწრაფად გადათვალა ჩანაწერების ნომრები და ღილაკს დააჭირა თითი.

...ჯანგო რეინჰარდტის “მინორულმა სვინგმა”

გაიღიმა ქარში, სიმებზე პიკის გადატარებით – ხრინწიანი ხველით ჩაიწმინდა ხმა, მსუქანა -კონტრაბასის ძარღვიანი ხუმრობა გადმოისროლა და მერე ღრმა პაუზაში ჩაყვინთა, თითქოს წინასწარვე ტკბება გიტარის საუცხოო, გაწელილი, აღმავალი სინკოპებითო...

მთელი შესავლის განმავლობაში პეტია თავდახრილი იდგა, თითქოს მუსიკას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მასთან. მაგრამ ვიოლინოს პირველსავე წამოკვნესაზე მაშინალურად, სადღაც, სხვაგან მყოფის მოღვენთილ-მოთენთილი იერით გადადგა სამი ნაბიჯი მარცხნივ... სამი ნაბიჯი მარჯვნივ... მერე ვიღაცის ჰაეროვანი სხეული აიტაცა ხელებით... და უცებ:
...წავედით-წავედით-წავედით, ჩემო პატარავ, – ფეხი ფეხს, მარჯვნივ-მარცხნივ: ტარა-რარა -რური-რირა-ა-ა... მკვე თრად, მთელი კორპუსით უფრო, უფრო მკაფიოდ! ოპ! – დაგიჭირე! და ისევ ოპ! – დაგიჭირე... ტარა-რარა-რური-რირა-ა-ა... და ვიოლინოს ქარაშოტული, თავგანწირული წამოფრენა: “ჯი-ჯუ-ჯა-ჯუ-ჯა-ა-ა-ა!”...

...როგორც ყოველთვის, სვინგის პირველივე აკორდებზე თითქოს ჯადოსნური ძალის ნებით პეტიას გარშემო მაყურებელმა იწყო მოგროვება. იაპონელებიც დაბრუნდნენ, ყველა წყვილმაც მოირბინა, ბევრი, ბევრი ახალი სახეც შეემატათ...

(ჰონზასთვის ეს ყოველთვის ნამდვილი

სასწაული იყო: როგორც რკინის ბურბუშელა მოილტვის მაგნიტისკენ, ისე მოირბინა ხალხმა მთელი ნახევარკილომეტრიანი ხიდიდან. ასე შორიდან როგორ გრძნობენ? – ეკითხებოდა საკუთარ თავს. ნუთუ ეს ადამიანი, მისი დაკუნთული, მოქნილი სხეული, მისი ოსტატობა, მისი ნიჭი ამსიშორეზე ასხივებს მაგიურ ძალას?)

ის კი ცეკვავდა...

დაღუპული ელისის უწონო სხეული მის ხელთან ერთად დაცურავდა თავგადაგდებული, და ლამის ქვებამდე სწვდე ბოდა მისი უკვდავი მეწამული თმა... ელისი აბრეშუმის უნაზეს ნაჭრად დაჰფენოდა მის მკლავს და დაცურავდა მასთან ერთად და ისიც, პეტია, გაორებულ-ერთიანი სხეულით მიცურავდა, ტაქტში ირწეოდა ელისთან ერთად გაზაფხულის ქარს აყოლილი, – მარჯვენა ხელი იდაყვში მოეხარა, მარცხენა მავედრებლად გაეწვდინა წინ, – "მინორული სვინგის" დამცინავ-მგრძნობიარე ლაბირინთში მიიკვლევდა გზას, ტრიალებდა, გზას უჭრიდა ელისის ლანდს, ერთი ხელიდან მეორეზე გადაისროდა მას, ბიჭური მოძრაობების ურთულეს კონტრაპუნქტს შლიდა, ანაწევრებდა... – თითქოს ვიღაცას იხმობდა, თითქოს სულის გამოცეკვებას ლამობდა ბნელეთის სამეფოდან.

მისი ხერხემალი, კისერი, მგრძნობიარე მხრები, ხელის მტე ვნები და ფეხის ტერფები რთული და თავდავიწყებული ცეკვის რიტმული ნახატის ყველა

სანტიმეტრს გადიოდნენ. იგი ტრიალებდა, ჰაერში იჭერდა ელისის ლანდს და ნიკაპწამოწვდილი, მარცხენა ხელზე ისვენებდა უწონო, მყიფე ჩრდილს... ხან წინ მიისწრაფვოდა, ხან გაქვავებულივით შედგებოდა ადგილზე, ხან მტაცებლურად იხრებოდა მის მკლავს მინებებული აჩრდილისკენ, ხან მკერდზე იხუტებდა მას...

იგი თავს დასტრიალებდა ელისის ლანდს მიზანსწრაფული, მოცახცახე, თავაშვებული ცეკვით; ცხელ ხელისგულს უსვამდა სიცარიელეს, მკერდზე იკრავდა ამ სიცარიელეს და ვნების წამიერ კრუნჩხვაში ირინდებოდა;

სახელგანთქმული სვინგის ჰანგები მიფრინავდნენ, ვლტავას თავზე დნებოდნენ, იფანტებოდნენ: უკანასკნელი სალამი მის მარჯვენა ხელქვეშ მოქცეულ ძვირფას სიცარიელეს!.. მოსახსენიებელი ცეკვა პატარა ელისს... დაღუპულ, დაკარგულ, წყნარ ელისს... მოსახსენიებელი ცეკვა მის სრულყოფილ თოჯინას, მის შედევრს, მის აბსოლუტურ, უსხეულო, შეუმღვრეველ ბედნიერებას...

...ხალხი ჯერ ერთ ტაქტში უკრავდა ტაშს როგორც ყოველთვის ხდებოდა, – მაგრამ მის სახეს რომ ჩაუკვირდებოდნენ, მაყურებლები ჩუმდებოდნენ, ღიმილი უქრებოდათ, ხელებს დაბლა უშვებდნენ: ეს იყო ოდნავ შემაშინებელი ცეკვა მარტოსული შეშლილისა, რომელსაც პარტნიორად, ქალის ნაცვლად, სიცარიელე ჰყავდა.

ის კი ცეკვავდა...

რაღა მაინცადამაინც ეს უბრალო მუსიკა ჰყვებოდა ყველაფერს ასე მტკივნეულად, ასე შიშვლად და დაუნდობლად მის, ლიზას, მათი სიყვარულის შესახებ; ჰყვებოდა იმ სულზე, რომელიც მსახურად გაიხადეს, და იმ სულზეც, რომელიც ანარეკლს არ შეეგუა; და კიდევ იმ ახალ სულზე, რომელიც ჯერ მხოლოდ ემზადებოდა სამყაროში მოსასვლელად, მაგრამ უკვე გამარჯვებული იყო...

ასეთი რა იმალებოდა სიმებზე მედიატორის მღელვარე ცახცახში, გიტარის ნელ რიტმში, ბანჯოს მავედრებელ ბუტბუტში, სიცოცხლის ერთადერთობაზე დამცინავ, ნაზ წუხილში? ან რით ეხმიანებოდა ეს მუსიკა იმ სამყაროს, რომელიც აქ, ამ ხიდზე მდგარს ერტყა გარს?

ცეკვავდა პეტია...

მის უფერო თვალებში ტურისტების ბრბო ირეკლებოდა... და მდინარეზე მცურავი კატერები, წყლის ათინათების ბადეში რომ მოქცეულიყვნენ; და ხიდის დრო-ჟამისგან გაშავებული კოშკები და ქანდაკებები, და პეტრჟინის გვერდს ჩაყოლებული ქვის დაკბილული ზოლი... ამ თვალებში მიზანსწრაფულად მიცურავდნენ უცნაურ სპირალად დაგრაგნილი ღრუბლები და ლურჯი ცის ნამსხვრევები; ამ თვალებში ბორცვებსზედა სივრცეში მიფრინავდა უსუსური თვალის მწარე ცრემლის წვეთში არეკლილი პრაჟსკი გრადი...

ცეკვავდა... – თავდავიწყებული, განდგომილი სახით... და ისე მოძრაობდა, თითქოს თავადაც მხოლოდ და მხოლოდ ჰაერია, ხორცად განმყარებული, მხოლოდ და მხოლოდ ღვთის თოჯინაა, ბოროტებისა და სიკეთის უამრავი ძაფი რომ ამოძრავებს. და შიგ გულში გავლით, მისი თავიდან ზეცისკენ მიიქაჩებოდა უსასრულო ოქროს ძაფი.

რას იზამ... კმაყოფილიც იყო, თუკი ამ ნომრით ოდნავ მაინც შეაფერადებდა შემოქმედის გრანდიოზულ სიმარტოვეს...

თვითონაც რიგიანად იმუშავა აქ, სინდისიერად იმუშავა, და ახლა წინააღმდეგი არაა, სათითაოდ დაწყვიტოს ეს ძაფები, ყველა, უკანასკნელი, ოქროსფერი ძაფის გარდა, რომელზეც სიამოვნებით დაეკიდებოდა აქ, ამ ხიდის თავზე, – თუნდაც ვერ აფრენილიყო ცამდე და თუნუქისფერ ტალღებს დანარცხებოდა...

...მაგრამ მე აქ ვრჩები.

აქ ვრჩები.

აქ უნდა დავრჩე სანამ შენ არსებობ, ჩემო სიყვარულო...

იერუსალიმი 2010